

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

# ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები

III

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

თბილისი 2015

შრომებში იბეჭდება სამეცნიერო გამოკვლევები, რომელიც მიძღვნილია ისტორიის, ეთნოლოგიის, ფილოლოგიის, თარგმანმცოდნეობისა და სამართლის აქტუალური პრობლემებისადმი.

რედაქტორები: პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**

პროფესორი **ვახტანგ გურული**

ტომი გამოსაცემად მოამზადა ისტორიის დოქტორმა **ლევან ჯიქიამ**

© გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

© ავტორთა ჯგუფი

ISSN 2346-7657

**St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia**

# **Works of Faculty of Humanities and Law**

## **III**

**Publishing House „Georgian University“  
Tbilisi 2015**

The Collection contains scientific researches dedicated to the issues of History, Ethnology, Philology, Translation Studies and Jurisprudence.

Editors: Prof.**Sergo Vardosanidze**

Prof.**Vakhtang Guruli**

The Collection was prepared for publication by Doctor of History **Levan Jikia**

o s o m n o s

სერგო ვარდოსანიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## კონსტანტინოპოლის ქართული სკოლა და XIX საუკუნის საქართველო

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არის ისეთი წლები, რომელთაც კარდინალურად შეცვალეს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება. ერთ-ერთი ასეთია 1453 წელი, როდესაც მრავალწლიანი ბრძოლა საქართველოს სამხრეთის საზღვრებთან კულტურულ-სარწმუნოებრივად ახლობელ ბიზანტიასა და ოსმალეთს შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა; 1490 წელი, როდესაც ფეოდალური საქართველო დაიშალა და ეს აქტი კანონიზირებულ იქნა დაქუცმაცებული ფეოდალური ერთეულების საზავო ხელშეკრულებით, მათაც ერთმანეთს შორის სასაზღვრო პუნქტებიც კი დაადგინეს. ამ მოვლენების პარალელურად ქართული ეკლესიაც, რომლის ეროვნული კონცეფცია X საუკუნიდან ეყრდნობოდა გიორგი მერჩულის ცნობილ დებულებას – „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“, დაქუცმაცდა. მცხეთას გამოეყო ჯერ დასავლეთ საქართველოს ეკლესია, შემდეგ სამცხე-ჯავახეთისა.

XVI-XVIII საუკუნეებში ირანი და ოსმალეთი არამარტო პოლიტიკურ ბრძოლას აწარმოებდნენ ქართველობასთან, არამედ ცდილობდნენ იდეოლოგიური საყრდენიც გამოეცალათ მათთვის, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც ქართველობის ასიმილაცია ადვილი გახდებოდა. ერს რომ ფიზიკური არსებობა შეენარჩუნებინა, ერთი ნაწილი მართლმადიდებლობის დროშით ჩრდილოეთისაკენ იცქირებოდა, მეორე, კათოლიკობას იღებდა და ხსნას ევროპიდან ელოდა, მესამე, რაკი სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა, სულთან მუჰამედ II-ის 1461 წლის ბრძანებას ემორჩილებოდა, რომლის საფუძველზეც სომხურ-მონოფიზიტურ სარწმუნოებას იღებდა, მეოთხე კი მაჰმადიანდებოდა.

ოთხ განსხვავებულ სარწმუნოებრივ-იდეოლოგიურ ბურუსში გახვეული ქართველობის ხვედრი მძიმე იყო. XVI-XIX საუკუნეებში ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ილია აღმაშენებლის ცნობა, რომელმაც 1897 წელს ჯავახეთში იმოგზაურა. „აღექსი სანაძე, ჩვენი მასპინძელი, იქამდე საინტერესო კაცი აღმოჩნდა, რომ არ შემოიძლია მკითხველსაც არ გავაცნო. ეს აღექსი სომეხია და მისი ძმა მოსე ქართველი. პაპაჩვენი ქართველი იყო – აგვიხსნა აღექსიმ – და ძალიან მიღებული კაციც ყოფილა ოსმალეების აქ ბატონობის დროს... მამაჩვენი სომხად მოუნათლავეთ, მაგრამ პაპაჩვენს ერთი შვილიშვილის ქართველად დარჩენა განუზრახავს, ასე გავხდით ჩვენი ძმა მოსე ქართველი და ჩვენ სომხები“.<sup>1</sup>

შექმნილ სიტუაციაში საჭირო იყო ძალა, რომელიც ოთხ სარწმუნოებრივ იდეოლოგიურად გაყოფილ ქართველობას ფეხზე დააყენებდა და ეროვნულ გრძნობას გაუღვიძებდა. XIX საუკუნის II ნახევარში სამცხე-ჯავახეთის მოწინავე ქართველობამ – იოანე გვარამაძემ, პეტრე ხარისჭირაშვილმა, ალფონს ხითარიშვილმა, დომინკე მულაშაშვილმა,

<sup>1</sup> ილია აღმაშენებელი. ჯავახური ლეგენდები. თბილისი, 1978, გვ. 43.

რომელთა მოღვაწეობა სცილდება წმინდა რელიგიურ-თეოლოგიურ სფეროს და ეხმიანებოდა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობ გოგებაშვილის იდეოლოგიას.

XIX საუკუნის 80-იან წლებში მეფის რუსეთის მთავრობამ თავის ტერიტორიაზე ევროპელი კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობა აკრძალა და გაკათოლიკებული ქართველი მოსახლეობის მოვლა სომეხ კათოლიკეებს დაავალა, ვინაიდან მთავრობა ევროპელი კათოლიკეების აგენტების როლში მოვლინებას კარგად ხედავდა. მეფის მთავრობის ეს გადაწყვეტილება ერთი შეხედვით წმინდა რელიგიურ-დოგმატურ საკითხებს ეხებოდა, მაგრამ სინამდვილეში მისი სისრულეში მოყვანა სამცხე-ჯავახეთის ქართველების გადაგვარებას ხელს შეუწყობდა და რომ ეს არ მომხდარიყო, 1860-იან წლებში ზემოდასახელებულმა მოღვაწეებმა კონსტანტინოპოლში ჯერ ქართული კათოლიკური ეკლესია და შემდეგ ქართული სკოლა დაარსეს. ამ სკოლაში სწავლება დედაენაზე მიმდინარეობდა, თუ გაეითვალისწინებოდა საქართველოში შექმნილ რთულ პირობებს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბრძოლას მშობლიური ენის უფლებებისათვის, მაშინ ნათელი გახდება რაოდენ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო კონსტანტინოპოლის ქართული სკოლის გახსნა.

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ისტორიკოსი ზაქარია ჭიჭინაძე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის აღნიშნული სკოლის შესახებ: „ასწავლიდნენ საქართველოს ისტორიას, ქართულს ძველსა და ახალს, მწიგნობრობის ისტორიას“.<sup>2</sup> ცხადია, იქ სასულიერო საგნებიც ისწავლებოდა, მაგრამ მარტო ამით არ იფარგლებოდნენ. სკოლის დამაარსებელი **პეტრე ხარისჭირაშვილი**, როცა სამშობლოდან მოშორებით ასეთ დიდ წამოწყებას ჩაუდგა სათავეში, წერდა: „ჩვენ გეჰქონდა ნატვრა საქართველოსადმი სამსახურის, ყოველნაირად მიიმე შრომა და წარმოების მსხვერპლი თავზედ ავიღეთ, რათა მისცემოდა საქართველოს საზოგადოებას შემწეობა და წარმატება სწავლაში და მისის მომავალ ახალ თაობასაც საშუალება მეცნიერებაში და სხვანი“.<sup>3</sup> ვინც ამ სკოლას დაამთავრებდა, საშუალება ექნებოდა სწავლა განეგრძო იტალიასა და საფრანგეთის სასწავლებლებში, ვინაიდან სკოლაში გარდა ქართულისა, დიდი ადგილი ეთმობოდა ფრანგულის, იტალიურის, თურქულისა და სომხური ენების სწავლებას. ამ სკოლის კურსდამთავრებულები მაინც ევროპულად აღზრდილნი იყვნენ და ცდილობდნენ ევროპის კულტურულ სამყაროსთან კავშირი არ გაეწყვიტათ.

ამ სკოლაში მოღვაწე ალიოზ ბათმანიშვილი 1903 წელს ახალციხეში იოანე გვარამაძეს წერდა, რომ „სკოლის მოსწავლეებს აქვთ „ქილილა და დამანა“, ჩახრუხაძე, „ვეფხისტყაოსანი“, მოსე ჯანაშვილის „საქართველოს ისტორია“, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – და მოითხოვენ ქართულ ლიტერატურას, ლექსიკონებს, რაც იმდროინდელ საქართველოში გამოდიოდა.

კონსტანტინოპოლის ქართული სკოლადამთავრებული არაერთი ქართველი მოღვაწეა XIX საუკუნის II ნახევარში სამცხე-ჯავახეთში, რომლებიც არწმუნებდნენ კათოლიკურ და სომხურ ტიპიკონზე გადასულ თანამოძმეებს, რომ სჯული, სარწმუნოება სხვა არის და ეროვნება – სხვა. ამას ჰქონდა უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა. გარდა ამისა, მათ მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან, გრძნობდნენ საქართველოს ყველა საჭიროებას და მოქმედებდნენ არა როგორც „რომის მონები და მხოლოდ საკუთარი პირადის ინტერესების მიმდევარნი“,<sup>4</sup> არამედ როგორც ქართველი პატრიოტები. აღნიშნულ სკოლაში, სადაც სწავლება ორი-სამი წელი მიმდინარეობდა, ყველა პირობა იყო ახალგაზრდობის გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისათვის. მარტო მიხეილ თამარაშვილის და მიხეილ თარხნიშვილის სახელებიც კმარა ამის წარმოსახენად. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ იმდროინდელი ქართული

<sup>2</sup> ზაქარია ჭიჭინაძე. აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი. თბილისი, 1895, გვ. 55.

<sup>3</sup> ზაქარია ჭიჭინაძე. აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი. თბილისი, 1895, გვ. 73.

<sup>4</sup> გაზეთი „კვალი“, 1995, №25 (იმმას ფსევდონიმით წერილი სტამბოლიდან).

საზოგადოება იმედის თვალით შესცქეროდა სკოლის მოღონიერება-წინსვლას და განა მარტო ქართული საზოგადოება?

ამ მხრივ ფრანგული გაზეთ „ინდეპენდანტ ბელგიეში“ 1878 წელს წერდა: „ამ შესანიშნავს მონასტერთან გამართულია ორი სკოლა: ერთი სავაჟო და მეორე საქალო, რომლებშიაც მასწავლებლები ქართულად ასწავლიან ყველა საგანს. ეს სკოლები ამ თხუთმეტი წლის წინად არიან დაფუძნებული. ამჟამად სკოლაში ასოც (120) შაგირდამდინ ითვლება. ისინი ყველა ქართველებია (თუმცა სომხები და ბერძნებიც ურევიათ, რომელნიც აგრეთვე ქართულად სწავლობენ), ამ პატარა კონგრეგაციას დიდძალი ფული აქვს და მისი მიზანი არის ეროვნული გრძნობის აღძვრა ოსმალთს ქართველებში“.<sup>5</sup> აღნიშნული კორესპონდენცია მცირე უზუსტობით დაბეჭდა ზაქარია ჭიჭინაძემ წიგნში „აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი“, სადაც 120 მოსწავლის ნაცვლად დასახელებულია 160 (იხ.: ჭიჭინაძე, გვ. 74-77). იგივე უზუსტობა გაეპარა პროფესორ შოთა ლომსაძეს, თუმცა პატივცემული მკვლევარი ეჭვს გამოთქვამს ამ ციფრზე.<sup>6</sup>

როგორც ვხედავთ, ფრანგულმა გაზეთმაც სწორად გაიგო ამ სკოლის ამოცანები, რომელთა შორის უნდა გამოეყოთ ეროვნული გრძნობის გაღვივების მცდელობა ოსმალთს ქართველებში. პეტრე ხარისჭირაშვილი და მისი ჯგუფი თავიანთი მოღვაწეობისას სარწმუნოებრივ-დოგმატიური მოსაზრებებით კი არ ხელმძღვანელობდნენ, არამედ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ სკოლის მოსწავლეები ძირითადად სტამბოლის ბაზარზე ტყვედ გაყიდული ქართველი ბავშვები და მესხეთიდან სარეკომენდაციო წერილებით წასული ახალგაზრდობა იყო. სკოლის დამაარსებელი პეტრე ხარისჭირაშვილი ფიქრობდა, რომ: „სასწავლებელ დამთავრებულს შეუძლია შეასრულოს როგორც სასულიერო, აგრეთვე სამოქალაქო სამსახური, იგი განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდა სასწავლებელში ქართველი მაჰმადიანების მიზიდვას. როცა ამგვარი პატრიოტებით დაიფარებოდა თურქეთის საქართველო, მაშინ დადგებოდა რეალური პირობები საქართველოს სრული გაერთიანებისა“.<sup>7</sup>

პეტრე ხარისჭირაშვილი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს რეალურ პირობებს ითვალისწინებდა, როცა აღნიშნავდა, რომ „აუცილებელია ყმაწვილობამ სწავლა დაიწყო დედა ენაზე, რომელიც საკმაოდ ესმის გონებას. ამის შემდეგ მას სულ მალე გაეხსნება გონება და ის ადვილად და ხალისით შეისწავლის სამეცნიერო დისციპლინებს. ამრიგად, მომზადებული ყმაწვილი ოდეს გარდავა რუსულ კლასში გინა გიმნაზიაში... რუსულის გრამატიკას და სხვა მეცნიერების საგნებს სრულ ადვილად და ცოტა ხანში წმინდად შეისწავლის“.<sup>8</sup> მტკიცება არ უნდა, რომ ამ სიტყვების ავტორი იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური პრინციპების დამცველი იყო. სკოლის დამფუძნებელი „განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმას, თუ სკოლაში ვინ კითხულობდა გაკვეთილს, ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ: „ვინ აძლევდა დარიგებასა. მასწავლებელი განსაკუთრებით მომზადებულნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ შესძლებოდათ მოსწავლეთა რიგიანი გაწვრთნა“.<sup>9</sup>

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაუცხოებული ქართველობა, თავის ფუძეზე არამკვიდრად რომ გრძნობდა თავს სამცხე-ჯავახეთის თუ თურქეთის საქართველოში, სამოღვაწეოდ ამოძრავდა. ისინი ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ აჭარის საქართველოსთან დაბრუნების თაობაზე. ეროვნულ პრობლემებს ეძღვნებოდა ივანე გვარამაძის, მიხეილ თამარაშვილისა და სხვათა მრავალმხრივი მოღვაწეობა, რომელიც მათ ფრიად რთულ პირობებში უხდებოდათ. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ივანე გვარამაძე ამასთან დაკავშირებით კიდევაც წერდა: „უცხო ტომელნი შემოგვესივნენ ოთხივე კუთხით, ჩვენს

<sup>5</sup> გაზეთი „დროება“, 1879, №65, გვ. 2.

<sup>6</sup> შოთა ლომსაძე. გვიან შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. თბილისი, 1979, გვ. 79.

<sup>7</sup> შოთა ლომსაძე. გვიან შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. თბილისი, 1979, გვ. 78-79.

<sup>8</sup> ციტირებულია ილ. მაისურაძის წერილიდან „უხსელო წიგნები“- ჟურნალი „მნათობი“, 1957, №6.

<sup>9</sup> შოთა ლომსაძე. გვიან შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. თბილისი, 1979, გვ. 81.



მამაპაპათა სიძველის ნაშთებს თვალსა და ხელშუა გვიძარცვავენ“. კონსტანტინოპოლის ქართული სკოლის მესვეურთა მიერ შემზადებული რომ არ ყოფილიყო სამცხე-ჯავახეთის ქართველობა, მათ ისევ გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდათ.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის პირობებში ქართული წიგნების გამოცემის საქმე ჭირდა. ამ მხრივაც პეტრე ხარისჭირაშვილის ჯგუფმა ახალი ეროვნული საქმე წამოიწყო, დაიწყო უცხო ენებზე არსებული და ორიგინალური სასკოლო წიგნების ქართულად თარგმნა. ალიოზ ბათმანიშვილი კონსტანტინოპოლიდან ივანე გვარამაძეს წერდა: „ჩემი მხრივ რაც ხელნაწერი გვქონდა, შევაგროვე და მოკლედ აღვწერე, დანიშნული მაქვს 36-მდე მოზრდილი სახის წიგნები, ოცი წიგნი უთარგმნია ივანე მამულაშვილს“.<sup>10</sup>

ერთი იყო წიგნების თარგმნა, ხოლო მეორე – მისი ადრესატამდე მიტანა, არც ამ მხრივ შეურცხვენიათ თავი იქ მოღვაწე ქართველებს, 1878 წლის 24 აგვისტოს გაზეთი „დროება“ წერდა: „ერთმა სტამბოლიდან გადმოგვცა ჩვენ ახალი ამბავი: პეტრე ხარისჭირაშვილს, რომელსაც ვენეტიკაში ჰქონდა ქართული სტამბა, ახლა კონსტანტინოპოლში გადმოუტანია და მოკლედ ხანში ოთხი-ხუთი წიგნი დაუბეჭდავს.“<sup>11</sup> აი, რა წინასიტყვაობა დაურთეს „მოკლე ქართული ენის გრამატიკას“ ავტორებმა: „დიდი ხნის აქეთ მწუხარე გულით ვედავთ, რომ არ იპოებოდნენ ქართულ ენაზე დასტამბული სასარგებლო და გამოსადეგი წიგნები და ამით ყოველითურთ მოკლებული იყო სწავლის საშუალებებისაგან მთელი საქართველოს საზოგადოების ფრიად უდიდესი ნაწილი, რომელმაც ქართული ენის მეტი სხვა ენა არ იცის“.<sup>12</sup>

გადის ორი წელი და უკვე გაზეთი „დროება“ აქვეყნებს განცხადებას: „კონსტანტინოპოლში და მონთობანში გამოცემული სახელმძღვანელოები და სასარგებლო წიგნები მიღებულ იქნან და იყიდებიან შემდეგ ადგილებში: თბილისში, ქუთაისში, გორში, ახალციხეში“.<sup>13</sup> სახელმძღვანელოების ავტორები იმასაც აცხადებდნენ, რომ შვილების აღზრდა ერთ-ერთი ურთულესი რამ არის. თუ მშობელი თვითონ არ არის სათანადოდ მომზადებული, მას გაუჭირდება შვილის აღზრდა. რაც მთავარია, სახელმძღვანელოების ავტორები XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას ითვალისწინებდნენ. მათ მიაჩნიათ, რომ ამ სახელმძღვანელოებზე დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლები უნდა აღზრდილიყვნენ: „საქართველოს სკოლების ყრმათა საზოგადოდ ცოტა დრო აქეთ სწავლისა, რადგან მშობლებთან ზოგთა სიგლახაკის გამო სჭირთ შემწეობა მათი თავიანთ შრომაში და ამისათვის ფრიად დიდხანს ვერ დასტოვებენ შვილებს სწავლაში. ამისთვის საჭირო იყო შემოკლებული წიგნები“.<sup>14</sup>

კონსტანტინოპოლსა და მონთობანში გამოცემული ქართული წიგნების ჩამონათვალს აქვეყნებს გაზეთი „დროება“ 1890 წელს, აი, ისინიც:

1. წინამძღვარი ზეცისა.
2. გზა ცხოვრებისა.
3. სიბრძნე კაცობრივი, რომელიც ასწავლის კაცსა ჭკუის რიგიანად მოხმარებასა.
4. ბრძენი კაცი.
5. მოკლე ქართული გრამატიკა.
6. მოკლე გეოგრაფია ფიზიკური, სამოქალაქო და ისტორიული, თანვე დამატებით ძველი დროების გეოგრაფიისა.
7. ყვაილების კონა (რჩეული ლექსები).
8. ეზოპეს იგავნი.
9. მოკლე ქართულ-ფრანგული გრამატიკა.

<sup>10</sup> ახალციხის მუზეუმის ფონდი 1, რგ. 2664. მისი პირები მოგვაწოდა დოც. მაისურაძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.

<sup>11</sup> გაზეთი „დროება“, 1878, №124, 24 აგვისტო.

<sup>12</sup> მოკლე ქართული გრამატიკა. 1877 მონთობანი.

<sup>13</sup> გაზეთი „დროება“, 1880, №149.

<sup>14</sup> მოკლე ქართული გრამატიკა. 1877, გვ. 4.

## 10. მსოფლიო ისტორია.

წიგნის გამომცემელთ იქაურ ქართველებში რომ გაეძლიერებინათ ეროვნული გრძობა, დაბეჭდეს თამარ მეფის სურათები. ამ წიგნების შესწავლა მათი გამომცემლების სამშობლოსადმი ფანატიკურ სიყვარულზე და თავდადებაზე მიგვითითებს, მით უმეტეს, რომ მათ, როგორც გაზეთი „დროება“ აღნიშნავს, რიგიანი ქაღალდიც არ ჰქონიათ, არც ეკონომიკურად ყოფილან მომძღვარებულნი, რაც მთავარია, ამ სახელმძღვანელოების გამომცემლები შესანიშნავად ერკვევიან პედაგოგიკაში, იცავენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ფაქტებს აკონკრეტებენ და ისე სთავაზობენ საზოგადოებას თავიანთ სახელმძღვანელოებს. „მოკლე ფილოსოფია გინდ სიბრძნის მოყვარეობა მაღალ სწავლაში შემსვლელ ყმაწვილ კაცთათვის“ პირველი ქართული ფილოსოფიური სახელმძღვანელოა, სადაც თანამიმდევრობითაა განხილული ფილოსოფიის საგანი, ფსიქოლოგია, ლოგიკა, ბუნებითი ღვთისმეტყველება.

ქართული რიტორიკული სკოლის წარმატებები უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი აიეტითა და ფარტაძით დაწყებული და სოლომონ ლიონიძით დამთავრებული, მაგრამ საჭირო სახელმძღვანელოები აღარ შემორჩა, რაც გაუთვალისწინებიათ კონსტანტინოპოლელ ქართველ გამომცემლებს და შეუდგენიათ „მოკლე რიტორიკა განა ბევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა“. თანაც აღნიშნული წიგნის გამომცემის საჭიროება რომ გაემართლებინათ, ასეთი წინათქმა წაუძღვარებიათ – „დღემდი არ ყოფილა რიგიანი ხელად სახმარი მჭერმეტყველების წიგნი ჩვენს დედაენაზედა, და არც არავის მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება ამასა ზედა, რათა საზოგადოებას მისცემოდა რაიმე საშუალება სწავლის გაადვილებისა“. <sup>15</sup> საინტერესო ის არის, რომ ავტორმა ორატორული ხელოვნების ნიმუშებიც დაურთო თეორიულ სახელმძღვანელოს, რაც ქართული ლიტერატურის ნიმუშებიდან გამოუკრებიან, სახელმძღვანელოთა ავტორები, რომელთა ვინაობაც ზუსტად არ ვიცით, მცირე ხელსაყრელ შესაძლებლობასაც არ უშვებენ ხელიდან ეროვნული ლიტერატურისა და ისტორიის პროპაგანდისათვის. მაგალითად, იგივე ავტორი აცხადებს, რომ კარგი მჭერმეტყველი ვერ გახდება კაცი, თუ არ იცის ქართული გრამატიკა, ისტორია, ფილოსოფია.

კონსტანტინოპოლში გამომცემული სახელმძღვანელოები ფრიად საჭირო იყო მთელი საქართველოსათვის, მაგრამ ისინი ისე სწრაფად ვერ გავრცელდნენ, როგორც მის ავტორებს სურდათ, ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ ენასა და სტილში. მართალია, მათ კარგად იცოდნენ საქართველოს სინამდვილეში მიმდინარე მძაფრი ბრძოლები „მამათა და შვილთა“ შორის ახალი სალიტერატურო ქართული ენისათვის, იზიარებდნენ და მოსწონდათ შვილების პოზიცია (ამის საბუთად ივანე გვარამაძისადმი პეტრე ხარისჭირაშვილის მიწერილი წერილიც კმარა – „ამ წიგნის თარგმნის უწინ მოგვწერე, რომ უნდა დავსტამბოთ ესენი სუფთა ქართულზე და „დროება“ გაზეთის ენაზე მეთქი“)<sup>16</sup>, მაგრამ პრაქტიკულად მათ ახალ სალიტერატურო ქართულ ენაზე წერა უჭირდათ და მკითხველიც ვერ ახერხებდა წაკითხულის შინაარსის მთლიანად აღქმას.

XIX საუკუნის ქართული საზოგადოება მაღლიერების გრძობით აღვსილი ადევნებდა თვალყურს სამშობლოს გარეთ მოღვაწე პატრიოტების საქმიანობას. მათ შესახებ დროდადრო კორესპონდენციებიც იბეჭდებოდა პრესაში, რომელიც აცნობდა მკითხველებს სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილებს – ივანე მამულაშვილს, ივანე გვარამაძეს, იოსებ წაღლაძეს, ანდრია წინამძღვრიშვილს, ალფონს ხითარიშვილს, სტეფანე გიორგიძეს, დომნიკე მულაშაშვილს და კონსტანტინოპოლის ქართულ კულტურულ წამოწყებათა სულის ჩამდგმელს – პეტრე ხარისჭირაშვილს.

ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „პეტრე ხარისჭირაშვილმა თავისი ცხოვრება ისე წყნარად და საიდუმლოდ გაატარა, რომ ქართველები, არცთუ მისი ცხოვრების ცნობებს, არამედ თვით მის სახელსაც არ იცნობდნენ“. ამ კულტურულ წამოწყებათა ორგანიზატორი, ცხადია, წყნარად და

<sup>15</sup> მოკლე რიტორიკა. კონსტანტინოპოლი, 1879, გვ. 1.

<sup>16</sup> ახალციხის მუზეუმის ფონდი 1, საბუთი 2204.

საიდუმლოდ ვერ იცხოვრებდა. ფაქტები სხვას გვეუბნება, მაგალითად, მას რომ მშობლიური ქართულისათვის კანონიერი უფლებები მიენიჭებინა, თვით რომის პაპთან მისვლაც კი დასჭირდა. სამწუხაროდ დღეს კონსტანტინოპოლში აღარც ქართული სტამბაა და აღარც სკოლა. მრავალრიცხოვანი ქართველობა თანდათან ივიწყებს ისტორიულ ფესვებს, თავის ენას და დედა სამშობლოს...

## **Sergo Vardosanidze**

### **Georgian School in Constantinople and XIX century Georgia**

#### Summary

After the fall of the Byzantine Empire, Georgia was found bordering two emerging Islamic states Iran and Ottoman Empire. In the 60s and 90s of the XV century the disintegration of feudal state of united Georgia was underway, which was followed by the intensification of separatist trends in the Church of Georgia. Whereas until XVI century Georgian nation was identified with the Orthodox Church, in XVI-XIX centuries Catholics, Monophysites and Muslims of Georgian origin were found together with Orthodox Georgians in Georgia. Catholic Georgians tried to preserve national spirit, as they were persecuted by the authorities of Russian Empire. Therefore they launched educational activities in Constantinople, where the catholic priest Petre Kharischirashvili founded a school for young Georgian Catholics and later - a Georgian printing house where numerous books were published.

The Georgian school and the printing house established in Constantinople greatly contributed to advancement of intellectual life of Georgia at the end of the XIX century and at the beginning of the XX century.

გახტანგ გურული, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### რა მოიპოვა და რა დათმო საქართველომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით?

პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918 წწ.) რუსეთის იმპერია დიდი განსაცდელის წინაშე დააყენა. ქვეყანაში უკიდურესად გამწვავდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისი. რუსეთის არმიის წარუმატებლობები ომის სხვადასხვა ფრონტზე კიდევ უფრო დაზარადა ვითარებას. საიმპერატორო კარმა შექმნილი კრიზისიდან გამოსავალი ვერ იპოვა. 1916 წლის ბოლოს უკვე ცხადი გახდა, რომ თუ ხელისუფლება ომს არ შეწყვეტდა და სოციალური დაძაბულობის განმუხტვის გზას ვერ იპოვიდა, რევოლუცია გარდაუვალი იქნებოდა. მოვლენების ეპიცენტრში იმპერიის დედაქალაქი პეტერბურგი იმყოფებოდა. დედაქალაქში დაწყებული მღელვარება 1917 წლის 23 თებერვალს მასობრივ გამოსვლებში გადაიზარდა. რევოლუციის კულმინაციას წარმოადგენდა 1917 წლის 27 თებერვლიდან 3 მარტამდე განვითარებული მოვლენები, რაც იმპერიის ხელისუფლების დამხობით დასრულდა. 1917 წლის 2 მარტს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს ტახტიდან გადადგომის შესახებ. სახელმწიფო ძალაუფლება ხელში აიღო რუსეთის დროებითმა მთავრობამ (თავმჯდომარე გიორგი ლვოვი). რუსეთის დროებითი მთავრობის მმართველობის პერიოდში (1917 წლის 3 მარტი – 25 ოქტომბერი) გარკვეულწილად შერბილდა ველიკოდერჟავული ეროვნული პოლიტიკა, თუმცა მთავრობას ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიის შენარჩუნებაზე უარი არ უთქვამს. სამაგიეროდ, რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ცხოვრება აღარ სურდათ ერთ დროს დაპყრობილ თუ „ნებაყოფლობით შეერთებულ“ არარუს ერებს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა 1917 წლის 24-25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. რუსეთში აღორძინდა ველიკოდერჟავული ეროვნული პოლიტიკა. იმავეთვე ცხადი იყო, რომ თუ კონკრეტული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება არ აიძულებდა, საბჭოთა რუსეთი ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში მცხოვრებ ერებს თავისუფლებას არ მიანიჭებდა. საბედნიეროდ, პირველი მსოფლიო ომის ბოლო წელს საბჭოთა რუსეთში შექმნილმა უმძიმესმა შიდაპოლიტიკურმა კრიზისმა და გართულებულმა საერთაშორისო ვითარებამ საბჭოთა რუსეთი აიძულა ეცნო ერთ დროს რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მოვლენები ძალზე სწრაფად განვითარდა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს: **ფინეთმა** (1917 წლის 6 დეკემბერი), **უკრაინამ** (1918 წლის 9 იანვარი), **ლიტვამ** (1918 წლის 16 თებერვალი), **ესტონეთმა** (1918 წლის 24 თებერვალი), **ბელორუსიამ** (1918 წლის 25 მარტი), **საქართველომ** (1918 წლის 26 მაისი), **აზერბაიჯანმა** (1918 წლის 28 მაისი), **სომხეთმა** (1918 წლის 28 მაისი), **პოლონეთმა** (1918 წლის 11 ნოემბერი), **ლატვიამ** (1918 წლის 18 ნოემბერი). როგორც ვხედავთ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იყო იმ საერთო პროცესის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც დასაბამი მიეცა რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ და უფრო

ინტენსიურად განვითარდა 1917 წლის 24-25 ოქტომბრის კონტრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ.

არც რუსეთის დროებით მთავრობას და არც საბჭოთა რუსეთის მთავრობას არ სურდა ეცნო ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებული დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ახლადშობილი სახელმწიფოების აღიარება საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ გადადგმულ იძულებით ნაბიჯს წარმოადგენდა. 1917 წლის 24-25 ოქტომბრის კონტრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთში შიდაპოლიტიკური კრიზისი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. პირველი მსოფლიო ომი მძინვარებდა და აჩანაგებდა ეკონომიკას, კიდევ უფრო ძაბავდა სოციალურ ვითარებას. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიის იმპერიასა და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთთან, ოსმალეთთან, ბულგარეთთან) დადებულმა სეპარატიულმა ზავმა, მართალია, გერმანიის მიერ რუსეთის ტერიტორიის (მათ შორის ქალაქ პეტროგრადის) ოკუპაციის საფრთხე მოხსნა, მაგრამ შიდაპოლიტიკური კრიზისი ოდნავაც ვერ შეასუსტა. პირიქით, 1917 წლის მიწურულიდან და 1918 წლის დამდეგიდან რუსეთში სამოქალაქო ომი დაიწყო. საფუძველი ეყრებოდა „თეთრ მოძრაობას“, რომელმაც კულმინაციას 1918-1920 წლებში მიაღწია. რუსეთში დაწყებული სამოქალაქო ომი, რომელსაც 1918 წლის მარტ-აპრილიდან თან დაერთო ანტანტის (ინგლისის, საფრანგეთის) და იაპონიის ინტერვენცია, სასიკვდილო საფრთხით ემუქრებოდა საბჭოთა ხელისუფლებას. ასეთ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა ეცნო დამოუკიდებელი სახელმწიფოები: 1917 წლის 18 დეკემბერს **ფინეთი**, 1918 წლის 12 ივნისს **უკრაინა**, 1920 წლის 2 თებერვალს **ესტონეთი**, 1920 წლის 7 მაისს **საქართველო**, 1920 წლის 12 ივლისს **ლიტვა**, 1920 წლის 11 აგვისტოს **ლატვია**.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე-იურე ცნო 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის მოსკოვის ხელშეკრულებით.<sup>1</sup> სამწუხაროდ, ეს ხელშეკრულება ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ობიექტურობით არ არის შეფასებული. მავანი და მავანი ხელშეკრულებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების განქიქების მიზნით იყენებს. ამ შემთხვევაში მთლიანად უგულებელყოფილია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც უდაოდ საქართველოს ხელისუფლების, ქართული დიპლომატიის წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. ყურადღება მახვილდება ხელშეკრულების მხოლოდ იმ მუხლებზე, რომელიც ნამდვილად ღახავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს. სანამ საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, გვინდა გარკვევით აღვნიშნოთ: **საბჭოთა რუსეთი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან არ დადებდა ისეთ ხელშეკრულებას, რომლის ყველა მუხლი მხოლოდ საქართველოსათვის იქნებოდა მისაღები და სასარგებლო**. მოსკოვის ხელშეკრულების დადებისას მოხდა ის, რაც ყოველთვის ხდება არა მარტო დიდ და პატარა ქვეყანას, არამედ ორ დიდ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების დადებისას. ხელშეკრულება მხარეებმა რაღაც უნდა დათმონ. **1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადებისას ორივე მხარემ მიიღო ის, რაც სურდა და ამის სანაცვლოდ, დათმო ის, რისი დათმობაც არ უნდოდა**.

ჩვენ წინამდებარე სტატიაში შევხებით რამდენიმე კონკრეტულ საკითხს. ამ საკითხთაგან პირველია ის, თუ რა მიიღო საქართველომ, ანუ რა იყო ის მთავარი, რისთვისაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადებას დასთანხმდა.

1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების **პირველი მუხლი** ასეა ჩამოყალიბებული:

<sup>1</sup> გურამ შარაძე, გიორგი შარაძე. ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. 1918-1921. თბილისი, 2001, გვ. 111-121; ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება.– გაზეთი „ქართული უნივერსიტეტი“, 2004, №12, 5-11 მაისი, გვ. 3-4, 7; **Вахтанг Гурული**. Грузино-русский договор (7 мая 1920 года).– газета „Свободная Грузия“, 2004, №74, 6 мая, стр. 5; **ვახტანგ გურული**. საქართველო-რუსეთის მოსკოვის ხელშეკრულება (1920 წლის 7 მაისი).– „ქართული დიპლომატია“. წელიწდეული. თბილისი, 2013, №16, გვ. 139-159.

„Исходя из провозглашенного Российской Социалистической Федеративной Советской Республикой права всех народов на свободное самоопределение вплоть до полного отделения от Государства, в состав которого они входят, Россия безоговорочно признает независимость и самостоятельность Грузинского Государства и отказывается добровольно от всяких суверенных прав, кои принадлежали России в отношении к Грузинскому народу и земле“.<sup>2</sup>

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პირველი მუხლი ძალზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის. პარიზის კონფერენციაზე (გაიხსნა 1919 წლის 18 იანვარს) საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დე-იურე აღიარებას ვერ მიაღწია. 1920 წლის იანვარში საქართველომ მხოლოდ დე-ფაქტო აღიარება მიიღო. პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციას პირდაპირ განუცხადეს, რომ დე-იურე აღიარება მანამ არ მოხდებოდა, სანამ რუსეთი დე-იურე არ ცნობდა საქართველოს. პარიზის კონფერენციის პოზიციას იზიარებდა ამერიკის შეერთებული შტატებიც. ამრიგად, საბჭოთა რუსეთის მხრიდან დე-იურე აღიარება აუცილებელი პირობა იყო საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს დე-იურე აღიარებისათვის.

უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს, ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარება ერთი და იმავე ფორმულით მოხდა.

1920 წლის 7 თებერვალს ქალაქ ტარტუში რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასა და ესტონეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების მეორე მუხლი გვაუწყებს:

„Исходя из провозглашенного Российской Социалистической Федеративной Советской Республикой права всех народов на свободное самоопределение вплоть до полного отделения от государства, в состав которого они входят, Россия признает безоговорочно независимость и самостоятельность Эстонского Государства и отказывается добровольно и на вечные времена от всяких суверенных прав, кои принадлежали России в отношении к Эстонскому народу и земле в силу существовавшего государственно-правового порядка, а равно на основании международных договоров, которые в указанном здесь смысле теряют силу на будущие времена.

Из прежней принадлежности к России для Эстонского народа и земли не возникает никаких обязательств в отношении к России“.<sup>3</sup>

1920 წლის 12 ივლისს მოსკოვში ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასა და ლიტვის რესპუბლიკას შორის. საბჭოთა რუსეთის მიერ ლიტვის დამოუკიდებლობის ცნობის ფორმულა დაახლოებით იგივე იყო, რაც საქართველოსა და ესტონეთის შემთხვევაში. ხელშეკრულების პირველ მუხლში ვკითხულობთ:

„Исходя из провозглашенного Российской Социалистической Федеративной Советской Республикой права всех народов на свободное самоопределение вплоть до полного отделения их от государства, в состав которого они входят, Россия безоговорочно признает самостоятельность и независимость Литовского Государства со всеми вытекающими из такого признания юридическими последствиями и по доброй воле и на вечные времена отказывается от всех суверенных прав России над литовским народом и его территорией.

Факт бывшей зависимости Литвы от России не налагает на литовский народ и его территорию никаких обязательств в отношении к России“.<sup>4</sup>

1920 წლის 12 აგვისტოს რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასა და ლატვიას შორის ქალაქ რიგაში დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება. საბჭოთა რუსეთის მიერ ლატვიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის ფორმულა ამ შემთხვევაშიც იგივე იყო. ხელშეკრულების მეორე მუხლი ასე იყო ჩამოყალიბებული:

<sup>2</sup> გურამ შარაძე, გიორგი შარაძე. ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. 1918-1921. თბილისი, 2001, გვ. 111.

<sup>3</sup> [http://www.skylaser.ee/buh\\_help/obzory/Tartu%20rahuleping%20Eesti%20ja%20Venemaa.htm](http://www.skylaser.ee/buh_help/obzory/Tartu%20rahuleping%20Eesti%20ja%20Venemaa.htm).

<sup>4</sup> <http://www.worldlii.org/cgi-bin/sinodisp/int/other/treaties/LNTSer/1920/2.html?query=Lithuania#disp2>.

„Исходя из провозглашенного Российской Социалистической Федеративной Советской Республикой права всех народов на свободное самоопределение вплоть до полного отделения от государства, в состав которого они входят, и ввиду определенно выраженной воли латвийского народа к самостоятельному государственному существованию, Россия признает безоговорочно независимость, самостоятельность и суверенность Латвийского Государства и отказывается добровольно и на вечные времена от всяких суверенных прав, кои принадлежали России в отношении к латвийскому народу и земле в силу существовавшего государственно-правового порядка, а равно на основании международных договоров, которые в указанном здесь смысле теряют силу на будущие времена. Из прежней принадлежности к России для латвийского народа и земли не возникает никаких обязательств в отношении к России“.

თუ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს, ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის ფორმულას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ცნობის საფუძვლად აღიარებულია ერთა თვითგამორკვევის უფლება სრულ სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე. ერთა თვითგამორკვევის უფლება შეტანილი იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველ პროგრამაში, რომელიც 1903 წელს იქნა მიღებული. ერთა თვითგამორკვევის უფლება უცვლელად იქნა გადატანილი რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მეორე პროგრამაში, რომელიც 1919 წელს მიიღეს. სახელმწიფოებრივ დონეზე ერთა თვითგამორკვევის უფლება სრულ სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე დააკანონა „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციაში“, რომელიც 1917 წლის 2 ნოემბერს ეროვნებათა საქმის სახალხო კომისრის იოსებ სტალინისა და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ ლენინის ხელმოწერით გამოქვეყნდა.<sup>5</sup> დეკლარაციაში ვკითხულობთ:

- „1) Равенство и суверенноцть народов России.
- 2) Право народов России на свободное самоопределение, вплоть до отделения и образования самостоятельного государства.
- 3) Отмена всех и всяких национальных и национально-религиозных привилегий и ограничений.
- 4) Свободное развитие национальных меньшинств и этнографических групп, населяющих территорию России“.

ცხადია, ერთა თვითგამორკვევის უფლების დაცვა სულაც არ ყოფილა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს, ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დე-იურე ცნობის მიზეზი. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი საბჭოთა რუსეთის მთავრობა დამოუკიდებელი სახელმწიფოების იძულებით აღიარებას თავის კეთილ ნებად აცხადებდა. ეს სიცრუე იმთავითვე ყველასათვის ცხადი იყო. 1918 წლის 3 მარტს, როგორც აღენიშნეთ, საბჭოთა რუსეთმა სეპარატიული ზავი დადო გერმანიის იმპერიასა და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთთან, ოსმალეთთან, ბულგარეთთან). ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა მნიშვნელოვნად შეკვეცა ის ტერიტორიები, რომელთაც საბჭოთა რუსეთის მთავრობა სხვა შემთხვევაში არ დათმობდა. ზავის ძალით, რუსეთის არმიას დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა ოსმალეთის ტერიტორია (აღმოსავლეთ ანატოლია), ასევე სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებითა (1878 წ.) და ბერლინის კონგრესის (1878 წ.) გადაწყვეტილებებით მიღებული ყარსისა და ბათუმის ოლქების (არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოკრუგების) ტერიტორია, ანუ აჭარა და ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ზავის თანახმად, საბჭოთა რუსეთს დაუყოვნებლივ უნდა გამოეყვანა ჯარები და წითელი გვარდია პოლონეთიდან, ფინეთიდან, უკრაინიდან, ბალტიისპირეთიდან და ჩრდილო-დასავლეთ ბელორუსიიდან. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიხედვით, რუსეთის დასავლეთ საზღვარი უნდა გასულიყო მდინარე ნარვაზე, ჩუდის, ფსკოვისა და ლიუბანის ტბებსა და მდინარე

<sup>5</sup> Декреты Советской власти. Т. I. Москва, 1957, стр. 39-41.

დასავლეთ დვინაზე. ასეთი კაბალური პირობები რუსეთისათვის უდიდესი დარტყმა იყო.<sup>6</sup> ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა, ამავე დროს, სტიმული მისცა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის მებრძოლ პოლონეთს, ფინეთს, ესტონეთს, ლიტვას, ლატვიას.

დამოუკიდებლობის ცნობის სანაცვლოდ საბჭოთა რუსეთმა საქართველო, ესტონეთი, ლიტვა და ლატვია აიძულა დათმობაზე წასულიყვნენ. ასე აღმოჩნდა ამ ქვეყნებთან დადებულ ხელშეკრულებებში ისეთი მუხლები, რომლებიც აშკარად ზღუდავდა მათ სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების იმ მუხლთაგან, რომლებიც ცხადად ლახავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს, განსაკუთრებით მძიმე იყო ათი პუნქტით წარმოდგენილი **მეხუთე მუხლი**. მოვიტანთ ამ მუხლს მთლიანად:

„Признавая справедливым домогательство России о недопущении отныне на территории Грузии никаких военных операций, пребывания военных сил и прочих действий, могущих создать на территории Грузии условия, угрожающие ее независимости или могущих превратить территорию Грузии в базу для операций, направленных против Российской Социалистической Федеративной Советской Республики или союзных с ней государств, и установленного в ней государственного правопорядка Грузии обязуется:

1. Немедленно разоружить и интернировать в концентрационных лагерях находящиеся на территории Грузии к моменту подписания настоящего договора, буде таковые окажутся, или имеющие впредь перейти в ее пределы военные и военноморские части, команды и группы, претендующие на роль правительства России или части ее, или на роль правительства союзных с Россией государств, а равно представительств и должностные лица, организации и группы, имеющие своей целью низвержение Правительства России или союзных с ней государств.

2. Немедленно разоружить и интернировать все находящиеся в портах Грузии суда, входящие в состав военноморских сил, организаций и групп, упомянутых в пункте I настоящей статьи, а равно на том или ином основании состоявших в распоряжении этих организаций и групп и находящиеся в портах Грузии. К экипажу этих судов полностью применяется постановление пункта I настоящей статьи.

3. Передать России безвозмездно и не требуя за то никакого вознаграждения все без исключения военное и военноморское имущество, ценности и денежные суммы, находящиеся во владении, пользовании или распоряжении организаций и групп, упомянутых в пункте I настоящей статьи и согласно пунктов 1 и 2 той же статьи ныне поступающие в распоряжение Грузии.

Под военным и военноморским имуществом в смысле настоящего пункта подразумевается: суда и прочие плавучие средства и все вообще предметы артиллерийского, интендантского (не исключая пищевого и вещевого довольствия), инженерного и авиационного снабжения.

4. Передать России после их разоружения части, организации и группы и экипажи судов, упомянутые в пункте I настоящей статьи Россия обещается сохранить жизнь всем передаваемым ей в силу настоящей статьи лицам.

5. Принять меры к удалению с территории Грузии в тех пределах ее, кой определены статьей IV-й настоящего договора, всякого рода войск и военных отрядов, не входящих в состав правительственных войск Грузии.

6. Принять меры к недопущению впредь пребывания на территории Грузии войск и военных отрядов, перечисленных в предшествующем пункте 5 настоящей статьи.

7. Воспретить лицам принадлежащим к частям, организациям и группам, перечисленным в пунктах 1 и 5 настоящей статьи, поскольку эти лица не являются по своей национальности грузинами, вступать под каким-либо видом, в том числе и в качестве добровольцев в правительственные войска Грузии.

8. Не допускать впредь образования и пребывания на ее территории в тех пределах, кои установлены статьей IV настоящего договора всякого рода организаций и групп, претендующих на роль правительства России или части ее, или на роль правительства союзного с Россией государства, а равно представительств и

<sup>6</sup> [http://www.hrono.ru/dokum/191\\_dok/19180303brest.php](http://www.hrono.ru/dokum/191_dok/19180303brest.php).



должностных лиц, организаций и групп, имеющих своей целью низвержение правительства России или союзных с нею государств; Грузия равным образом обязуется не допускать перевозку указанными организациями, группами, представительствами и должностными лицами через территорию Грузии всего того, что может быть использовано для нападения на Россию, или на союзные с ней государства, а также воспретить пребывание в своих портах и водах судов и прочих пловучих средств подобных организаций, за исключением установленных международным правом в отношении судов, терпящих бедствие и пр. случаев.

9. В случае если бы со стороны организаций, групп, представительств и должностных лиц перечисленных в предшествующем пункте 8 настоящей статьи были сделаны попытки нарушения изложенного в означенном пункте 8 воспрещения, с лицами и имущество имеющими быть задержанными правительством Грузии в силу принимаемого им на себя на основании пункта 8 настоящей статьи обязательства, будет поступлено соответственно обусловленному в пунктах 3 и 4 настоящей статьи.

10. Меры, обусловленные в пункте 5 настоящей статьи, должны быть начаты исполнением немедленно после подписания договора. Грузия обязуется закончить их в кратчайший срок, не останавливаясь перед применением вооруженной силы.<sup>7</sup>

ახალგაიერ მდგომარეობაში აღმონდა ესტონეთი. საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მსგავსად, ესტონეთის სუვერენიტეტს ზღუდავდა ესტონეთ-რუსეთის 1920 წლის 2 თებერვლის ხელშეკრულების მეშვიდე მუხლი:

„Обе договаривающиеся стороны обязуются:

1. Воспретить пребывание на своей территории каких либо войск, кроме войск правительственных или войск дружественных государств, с которыми одной из договаривающихся сторон заключена военная конвенция, но которые не находятся в фактическом состоянии войны с другой из договаривающихся сторон, а равно запретить в пределах своей территории вербовку и мобилизацию личного состава в ряды армий таковых государств, а также организаций и групп, ставящих своей целью вооруженную борьбу с другой договаривающейся стороной.

2. Разоружить не бывшие подчиненными правительствам договаривающихся сторон до 1 октября 1919 года сухопутные части и морские силы, находящиеся на их территориях, нейтрализовать и иммобилизовать на время по 1 января 1922 года все военное и морское имущество, материалы артиллерийские и интендантские (кроме продовольственных и вещевых), инженерные, воздухоплавательные, т.е. орудия, пулеметы, винтовки, холодное оружие, огнестрельные припасы, аэропланы, броневики, танки, броневые поезда и прочее военное имущество означенных сухопутных частей и морских сил, за исключением военного имущества и технических средств, принадлежащих договаривающимся сторонам или другим государствам и данных в пользование означенным частям и силам, причем военное имущество и материалы, принадлежащие другим государствам, должны быть вывезены в 6-месячный со дня ратификации настоящего мирного договора срок. Разоружение поименованных сухопутных и морских сил, а также иммобилизация и нейтрализация упомянутых выше военных складов, всего военного имущества и технических средств неправительственных войск должны быть закончены: первые 35% всего количества сухопутных и морских сил и имущества, подлежащего иммобилизации и нейтрализации, в 7-дневный со дня ратификации мирного договора срок, а затем в каждую последующую неделю по 35% всего указанного количества.

3. Воспретить солдатам и командному составу неправительственных войск, подлежащих разоружению на основании предшествующего (2) пункта, вступать под каким либо видом, в том числе и в качестве добровольцев, в правительственные войска договаривающихся сторон за исключением:

а) лиц эстонской национальности, проживавших вне пределов Эстонии, но оптирующих в ее пользу;

<sup>7</sup> გურამ შარაძე, გიორგი შარაძე. ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. 1918-1921. თბილისი, 2001, გვ. 113-115.

ბ) лиц не эстонской национальности, проживавших на территории Эстонии до 1 мая 1919 года, не опирающихся в пользу России;

в) лиц не эстонской национальности, не опирающихся в пользу России и служивших в правительственных войсках Эстонии до 22 ноября 1919 года.

Перечисленные в подпунктах а, б, в категории лиц имеют право вступления в правительственные войска Эстонии.

4. а) Воспретить государствам, находящимся в фактическом состоянии войны с другой стороной, и организациям и группам, ставящим своей целью вооруженную борьбу с другой договаривающейся стороной, перевозку через свои порта и по своей территории всего того, что может быть использовано для нападения на другую договаривающуюся сторону, а именно: принадлежащих таковым государствам, организациям и группам вооруженных сил, военного имущества, военно-технических средств и материалов артиллерийских, интендантских, инженерных и воздухоплавательных.

б) За исключением случаев, предусмотренных международным правом, воспретить пропуск и плавание в своих территориальных водах каких либо военных судов, канонерок, миноносцев и т.д., принадлежащих или организациям и группам, ставящим своей целью вооруженную борьбу с другой договаривающейся стороной, или же государствам, находящимся с другой договаривающейся стороной в состоянии войны, и имеющих своей целью нападение на другую договаривающуюся сторону, буде таковые цели становятся известными той из договаривающихся сторон, к территории которой относятся эти территориальные воды и порта.

5. Не допускать образования и пребывания на своей территории каких бы то ни было организаций и групп, претендующих на роль правительства всей территории другой договаривающейся стороны или части ее, а равно представительств и должностных лиц, организаций и групп, имеющих своей целью низвержение правительства другой договаривающейся стороны.

6. Одновременно с ратификацией мирного договора Правительства договаривающихся сторон обязуются взаимно представить данные о состоянии неправительственных: войск, военных складов (подвижных и неподвижных), военного и технического имущества, находившегося на их территории к моменту заключения договора о приостановке военных действий, т.е. к 31 декабря 1919 года.

7. Для наблюдения за выполнением соответствующих военных гарантий учреждается смешанная комиссия, состав, права и обязанности которой определяются согласно инструкции, в приложении к сей статье приведенной.

Приложение: Инструкция для смешанной комиссии, учреждаемой на основании пункта 7-го ст. 7.<sup>8</sup>

საქართველოსა და ესტონეთის მსგავსად ლიტვის სუვერენიტეტი შეიზღუდა ლიტვა-რუსეთის 1920 წლის 12 ივლისის ხელშეკრულებით. ამასე ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლიც მეტყველებს:

„Обе договаривающиеся стороны обязуются:

1. Не допускать на своей территории образования и пребывания правительств, организаций или групп, ставящих своей целью вооруженную борьбу против другой договаривающейся стороны. Равным образом не допускать в пределах своей территории вербовку и мобилизацию личного состава в ряды армий таковых правительств, организаций или групп и пребывания их представительств или должностных лиц.

2. Воспретить тем государствам, которые находятся фактически в состоянии войны с другой из договаривающихся сторон, а также организациям или группам, которые ставят свою цель вооруженную борьбу с другой договаривающейся стороной, ввозить в свои порты и провозить через свою территорию все

<sup>8</sup> [http://www.skylaser.ee/buh\\_help/obzory/Tartu%20rahuleping%20Eesti%20ja%20Venemaa.htm](http://www.skylaser.ee/buh_help/obzory/Tartu%20rahuleping%20Eesti%20ja%20Venemaa.htm).

то, что может быть использовано против другой договаривающейся стороны, как-то: вооруженные силы, военное имущество, военно-технические средства и материалы артиллерийские, интендантские, инженерные и воздухоплавательные“.<sup>9</sup>

საქართველოს, ესტონეთისა და ლიტვის მსგავსად ლატვიის სუვერენიტეტი შეზღუდა ლატვია-რუსეთის 1920 წლის 11 აგვისტოს ხელშეკრულებამ. ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლი გვაუწყებს:

„Обе договаривающиеся стороны обязуются:

1. Воспретить пребывание на своей территории каких-либо войск, за исключением правительственных или войск дружественных государств, с которыми одной из договаривающихся сторон заключена военная конвенция, но которые не находятся в фактическом состоянии войны с другой из договаривающихся сторон, а равно воспретить в пределах своей территории вербовку и мобилизацию личного состава в ряды армий государств, организаций и групп, ставящих своей целью вооруженную борьбу с другой договаривающейся стороной.

Примечание: Существующие ныне в Российской армии наименования отдельных войсковых частей, входящих в состав «Латышской Стрелковой Дивизии», признаются обеими сторонами только имеющими историческое значение. Эти части не имеют и не будут иметь преобладающего национального латышского состава и, несмотря на свои наименования, не могут иметь отношения ни к латышскому народу, ни к Латвийскому государству.

Поэтому сохранение за ними их исторических наименований не будет рассматриваться Латвией как нарушение сего пункта.

Обе стороны не будут создавать для своих войсковых частей новых наименований, производимых от географических или национальных наименований другой стороны.

2) Не допускать образования и пребывания на своей территории каких бы то ни было организаций и групп, претендующих на роль правительства всей территории другой договаривающейся стороны или части ее, а равно представительств и должностных лиц организаций и групп, имеющих своей целью низвержение правительства другой договаривающейся стороны.

3) Воспретить государствам, находящимся в фактическом состоянии войны с другой стороной, и организациям и группам, ставящим своей целью вооруженную борьбу с другой договаривающейся стороной, перевозку через свои порты и по своей территории всего того, что может быть использовано для нападения на другую договаривающуюся сторону, а именно: принадлежащих таковым государствам, организациям и группам вооруженных сил, военного имущества, военно-технических средств и материалов артиллерийских, интендантских, инженерных и воздухоплавательных.

4) За исключением случаев, предусмотренных международным правом, воспретить пропуск и плавание в своих территориальных водах каких-либо военных судов, канонерок, миноносцев и т. д., принадлежащих или организациям и группам, ставящим своей целью вооруженную борьбу с другой договаривающейся стороной, или же государствам, находящимся с другой договаривающейся стороной в состоянии войны и имеющих своей целью нападение на другую договаривающуюся сторону, буде таковые цели становятся известными той из договаривающихся сторон, к территории которой относятся эти территориальные воды и порты“.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარების სანაცვლოდ მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს, ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების, უფლებები.

<sup>9</sup> <http://www.worldlii.org/cgi-bin/sinodisp/int/other/treaties/LNTSer/1920/2.html?query=Lithuania#disp2>.

ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორ უნდა აეცილებინა თავიდან სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შეზღუდვა რუსეთისა და ოსმალეთის გაგლეჩის სფეროში მყოფ საქართველოს მაშინ, როცა ეს ვერ შეძლეს, ესტონეთმა, ლიტვამ და ლატვიამ, რომელთა ბედიც აშკარად იყო დაინტერესებული დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები (ანტანტა)? საქართველოს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან არასდროს მიუღია ისეთი ძლიერი სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერა, როგორსაც თითქმის მუდმივად დებულობდნენ ესტონეთი, ლიტვა და ლატვია.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაში მეხუთე მუხლის გარდა კიდევ იყო მუხლები, რომლებიც წამგებიანი იყო საქართველოსათვის. ხელშეკრულების **მესამე მუხლის** პირველი პუნქტი ადგენდა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარს. შექმნილ ვითარებაში საზღვრის ამგვარად დადგენა ქართული დიპლომატიის წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან საქართველოს შემადგენლობაში რჩებოდა აფხაზეთი (სოხუმის ოკრუგი 1904 წლის საზღვრებში) და ზაქათალის ოკრუგი (საინგილო). იმავე მესამე მუხლის მეორე და მესამე პუნქტები ძალზე არახელსაყრელ პირობებში აყენებდა საქართველოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევისათვის, თუ საქართველოსა და რუსეთს შორის ომი დაიწყებოდა. მესამე მუხლის მეორე და მესამე პუნქტები გვაუწყებენ:

„2. Все перевалы на означенной пограничной линии до первого января тысяча девятьсот двадцать второго года признаются нейтральными. Они не могут быть занимаемы войсками ни одной из обеих договаривающихся сторон и не могут быть ни одной из них укрепляемы.

3. На Дарьяльском перевале указанная в пункте 2 настоящей статьи нейтрализация будет распространена на протяжении перевала от Бальты до Коби, на Мамисонском перевале от Зарамага до Они, а на всех прочих перевалах на пятиверстное в обе стороны от пункта прохождения границы расстояния“.<sup>10</sup>

როგორც ვხედავთ, დაუცველი რჩებოდა საქართველო-რუსეთის საზღვარი. საზღვრის ზონაში საქართველოს საფორთიფიკაციო ნაგებობების მშენებლობის უფლება არ ჰქონდა, საზღვარზე ვერ განალაგებდა ჯარებს.

1920 წლის 14 ოქტომბერს ქალაქ ტარტუში ხელმოწერილი იქნა საბჭოთა რუსეთ-ფინეთის სამშვიდობო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მუხლები საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მესამე მუხლთან შედარებით გაცილებით მძიმე იყო. რუსეთ-ფინეთის ხელშეკრულების **მეექვსე მუხლში** ვკითხულობთ:

„1. Финляндия обязуется не содержать в водах своего побережья Северного Ледовитого океана военных и прочих вооруженных судов, за исключением вооруженных судов размером меньше ста тонн, каковые Финляндия имеет право содержать без ограничения, а также содержать не более пятнадцати военных и прочих вооруженных судов, тоннаж которых не должен превышать четырехсот тонн для каждого.

Финляндия также обязуется не содержать в означенных водах подводных лодок и вооруженных воздушных судов.

2. Равным образом Финляндия обязуется не устраивать на этом побережье военных портов, баз для военного флота и военных ремонтных мастерских объемом больше, чем потребно для упомянутых в предыдущем пункте судов и их вооружения“.<sup>11</sup>

საბჭოთა რუსეთმა ფინეთს ეს არ აკმარა. ხელშეკრულების **მეცამეტე, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე** მუხლებმა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ფინეთი. მეცამეტე მუხლი გვაუწყებდა:

„Финляндия нейтрализует в военном отношении следующие принадлежащие ей острова Финского залива: Сомерс, Нерва, Сескар, Пенисаари, Лавенсаари, Большой и Малый Тютерсы и Родшер. Эта военная нейтрализация означает, что на данных островах не возводятся и не устраиваются укрепления, батареи, военно-наблюдательные посты, радиостанции сильнее полкиловатта, военные порты и военно-морские

<sup>10</sup> გურამ შარაძე, გიორგი შარაძე. ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. 1918-1921. თბილისი, 2001, გვ. 112.

<sup>11</sup> <http://heninen.net/sopimus/1920.htm>.

базы, склады военного имущества и военных припасов, а также не содержатся войска в большем числе, чем потребно для поддержания порядка.

На островах Сомерс и Нерва Финляндия, однако, имеет право содержать военно-наблюдательные посты“.<sup>12</sup>

ფინეთისათვის თითქოს ნაკლებად მძიმე, მაგრამ ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოებისათვის ძალზე საშიში იყო ხელშეკრულების **მეთოთხმეტე მუხლი**. მოვიტანთ ამ მუხლს:

„Финляндия приступит немедленно по вступлении в силу мирного договора к мерам для военной нейтрализации острова Гогланда под международной гарантией. Эта нейтрализация означает, что на означенном острове не возводятся и не устраиваются укрепления, батареи, радиостанции сильнее одного киловатта, военные порты и военно-морские базы, склады военного имущества и военных припасов, а также не содержатся войска в большем числе, чем потребно для поддержания порядка.

Россия обязуется содействовать получению вышеупомянутой международной гарантии“.<sup>13</sup>

ფინეთის სამხედრო უსაფრთხოებისათვის განსაკუთრებით საშიში იყო ხელშეკრულების **მეთხუთმეტე მუხლი**:

„Финляндия обязуется в течение трех месяцев, считая со дня вступления в силу мирного договора, удалить с фортов Ино и Пуумала орудийные замки, прицельные приспособления, приспособления наводки и боевые запасы и в течение одного года, считая со дня вступления в силу мирного договора, разрушить эти форты.

Финляндия также обязуется не строить на побережье между Стирсуденом и Инониemi на расстоянии двадцати километров от берега башенных установок, а также батарей с сектором обстрела, простирающимся за границы финляндских территориальных вод, и на побережье между Инониemi и устьем реки Сестры на расстоянии двадцати километров от батарей, дальность которых допускает стрельбу за границы финляндских территориальных вод“.<sup>14</sup>

შეიძლება ზედმეტიც კი იყოს იმისი აღნიშვნა, რომ რუსეთთან მოსალოდნელ ომში ფინეთის საზღვრებისა და სხვა სტრატეგიული პუნქტების დაუცველობა ჩრდილოეთ ევროპის და, საერთოდ ევროპის ქვეყნების, დაუცველობას ნიშნავდა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა რუსეთმა ფინეთი მაინც აიძულა მისთვის საზიანო დათმობაზე წასულიყო.

ამრიგად, საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც საქართველოს სუვერენიტეტს ზღუდავდა, არ შეიძლება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ქართული დიპლომატიის არაპროფესიონალიზმით, წინდაუხედაობითა და დაუდევრობით აიხსნას. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაში საქართველოს სუვერენიტეტის შემლახველი მუხლების შეტანა განაპირობა 1920 წლის გაზაფხულისათვის შექმნილმა კონკრეტულ-ისტორიულმა ვითარებამ, იმ ვითარებამ, რომლის შეცვლა საქართველოს ხელისუფლებას არ შეეძლო.

<sup>12</sup> <http://heninen.net/sopimus/1920.htm>.

<sup>13</sup> <http://heninen.net/sopimus/1920.htm>.

<sup>14</sup> <http://heninen.net/sopimus/1920.htm>.

# Vakhtang Guruli

## Was erwarb und verlor Georgien mit dem Vertrag vom 7. Mai 1920

### Resümee

Am 26. Mai 1918 gab Georgien die Wiederherstellung seiner staatlichen Souveränität kund. Zur gleichen Zeit erklärten sich auch andere, von Russland einst annektierte Nationen und Länder für unabhängig: Finnland (6.12.1917), die Ukraine (9.01.1918), Litauen (16.02.1918), Estland (24.02.1918), Belarus (25.03.1918), Georgien (25.05. 1918), Aserbaidshan (28.05. 1918), Armenien (28.05.1918), Polen (11.11.1918), Lettland (18.11 1918). Die Regierung vom sowjetischen Russland wollte die Unabhängigkeit der Länder nicht anerkennen. Im Moskauer Friedensvertrag vom 7. Mai 1920, der zwischen Russland und Georgien abgeschlossen wurde, wurde Georgiens Unabhängigkeit de jure anerkannt. In georgischer Historiografie herrscht die Meinung vor, dass zwar Russland Georgiens Unabhängigkeit anerkannt hatte, aber Georgien dafür ungerechtfertigte Kompromisse eingehen musste, was allerdings nicht ganz stimmt. Ungerechtfertigte Kompromisse gingen Estland, Litauen und Lettland ein. Obwohl sie europäische Staaten waren, konnten sie Russland nicht dazu bringen, die Forderungen zurückzunehmen, die die Souveränität dieser drei Länder verletzten. Es ist also nicht zu verwundern, dass Georgien ohne aktive militärisch-politische Unterstützung von der Seite Europas einiges für die Anerkennung der Unabhängigkeit Georgiens aufopfern musste.

როზეტა გუჯეჯიანი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი

## ისტორიის რეპრეზენტაცია – ყანსავ ყიფიანი – ლეგენდა თუ სინამდვილე?

„ყანსავ ყიფიანო, ყანსავ ყიფიანო,  
უბერებელო და უკვდავო,  
უბერებელო და უკვდავო...  
იკრიბებიან სოლელ-ლენჯერელები,  
მესტიელ-სეტელები,  
მულახ-მუქალი,  
წვირმი-იფარი,  
კალა-უშგული...  
კარგი ვაჟები, ბახში ომობენ,  
მხარზე გაედვათ ნამცას თოფები,  
თხელპირიანები...  
ცუდი ვაჟები ხევში ეყარნენ,  
მხრებზე გაედვათ მუხის კეტები...  
ყანსავ ყიფიანო, ყანსავ ყიფიანო,  
უბერებელო და უკვდავო,  
უბერებელო და უკვდავო“<sup>1</sup>.

ქართული ეთნომუსიკალური მემკვიდრეობის ერთ-ერთი შედევრი სიმღერა//ფერხული „ყანსავ ყიფიანი“ ფართოდაა გავრცელებული სვანეთის ტრადიციულ ყოფაში და მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფოლკლორულ ანსამბლთა რეპერტუარშიც.

ყანსავ ყიფიანთან დაკავშირებით არსებობს კითხვა – იყო ის რეალური პიროვნება თუ მხოლოდ ლეგენდა-გადმოცემათა პერსონაჟს წარმოადგენს?

ქართველთა ყოფაში ისტორიის რეპრეზენტაციის ფაქტორი თვალსაჩინოა და დღესაც მოქმედი. სოციალური (კოლექტიური, ისტორიული) მახსოვრობის ფაქტებით განპირობებულია ტრადიციული მსოფლხედვის არაერთი ასპექტი.

ცნობილია, კოლექტიური მახსოვრობის, როგორც ინდივიდუალური მახსოვრობის ჩამომყალიბებელი მექანიზმის, შესახებ პირველი საუბრობს მორის ჰალბვაქსი (M. Halbwachs) და ტერმინში იგი მოიაზრებს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისთვის მშობლიურად მიჩნეულ, საყოველთაოდ გაზიარებულ საერთო მახსოვრობას.

ეთნოგრაფიული კვლევით მოპოვებული ისტორიული სიუჟეტები, ცხადია, დაცილებულია კონკრეტულ ისტორიულ გარემოსა და დროს, მაგრამ ეს ბუნებრივია, რადგანაც კოლექტიურ მახსოვრობას ახასიათებს კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლების დაკარგვა და იგნორირება. სოციალურ მახსოვრობაში რჩება მხოლოდ მთავარი და არსობრივად მნიშვნელოვანი ფაქტები, ხოლო დროთა განმავლობაში ხდება ამ ფაქტების მითოსური ელფერით

<sup>1</sup> სვანური პოეზია. I. სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურამ, მ. გუჯეჯიანმა.– მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის. II. თბილისი, 1939.

შემოსვა<sup>2</sup>. მითოსური სახეებით შეზღუდული საისტორიო სიუჟეტები გადადის თაობიდან თაობაში ყოფის განუყოფელ, ორგანულ ნაწილად.

ქართულ სინამდვილეში მრავალი ისტორიული ფაქტი და სიუჟეტი არის გადასული ხალხურ (ისტორიულ) მახსოვრობაში, მათგან განსაკუთრებით მასშტაბური და სხვადასხვა ლოკალური დეტალებით აღჭურვილია წმიდა თამარ მეფესთან დაკავშირებული ფაქტები და სიუჟეტები<sup>3</sup>, ასევეა, დიდგორის „ძლევაი საკვირველის“ მოტივები და სხვ.

სამეცნიერო საზოგადოებაში ინტერესი ისტორიული მახსოვრობის, როგორც საკვლევი თემატიკის, მიმართ (Memory Studies) დღითი დღე აქტუალიზირდება<sup>4</sup>. მით უფრო მნიშვნელოვანია ამ სახის კვლევები საქართველოსთვის, სადაც ნარატიულ წყაროთა უმეტესობა სხვადასხვა ობიექტურ გარემოებათა გამო (ომიანობა, დამპყრობელთა მიერ სამეფო კანცელარიებისა და ბიბლიოთეკების განადგურება) დროთა ვითარებაში დაიკარგა.

ქართული ეთნოლოგიური სკოლა, ტრადიციულად, გამოიყენებს ზეპირ წყაროებს ისტორიის რეკონსტრუირებისათვის და კონკრეტული თემატიკა მრავალი საინტერესო დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. **ისტორიულ მახსოვრობაში არსებული და პერიოდულად აღდგენადი ყანსავე ყიფიანის მითოლოგიზებული სახეობა ამგვარი კვლევისთვის საყურადღებო ეთნოგრაფიული არტეფაქტია.**

ყიფიანთა საგვარეულოს ფუძე სვანეთია და მათი ტრადიციული განსახლების კვალი შემონახულია როგორც ზემო, ასევე ქვემო სვანეთში. ყიფიანთა განსახლების არეალის შესახებ მოგვითხრობს რამდენიმე წერილობითი ძეგლი და მრავალი გადმოცემა. მნიშვნელოვანია, რომ ზეპირი საისტორიო წყაროები ამ შემთხვევაში მატერიალური კულტურის ძეგლებითაც მყარდება და დღემდე ნანგრევების სახით შემორჩენილია ყიფიანთა, მათ შორის, უშუალოდ ყანსავეს სახელთან დაკავშირებული, სამოსახლოები, ეკლესიები, ციხეები, სასაფლაოები, ფრესკები.

მატერიალური არტეფაქტები, ზეპირი ისტორიები და ინტერპრეტაციები უტყუარი წყაროა ყანსავე ყიფიანის, როგორც რეალურად არსებული მოღვაწის ცხოვრების შესწავლისათვის.

მართალია, დღეს სვანეთში ყიფიანები უკვე აღარ სახლობენ, მაგრამ სახელი „ყანსავე“ ჯერ კიდევ XX საუკუნის მიწურულამდე ფართოდ იყო გავრცელებული სვანეთის ორივე მხარეში.

ცნობილია, სვანეთში შექმნილ ქართულ ნარატივებს საქართველოს ისტორიის კვლევის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ განსაკუთრებთ ფასეულია საეკლესიო კრებათა ანგარიშები, ე.წ. „სვანეთის სულთა პირველი და მეორე მატინაეები“, აგრეთვე, ქტიტორთა წარწერები, საერო ხასიათის „დაწერილები“, სამართლებრივი ხასიათის აქტები და სხვ.<sup>5</sup>

წერილობით ძეგლებში, რომლებიც განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება, იხსენიებიან ყიფიანთა საგვარეულოს შემდეგი წარმომადგენლები: აბზაგან, ბერა, ესტატე, კონა, მერაბ, მუხიერ, პაპუ, სათუთ, ტაიბულ, ჯანბულად, ხამინა, ხოსრო, ელენე...<sup>6</sup>

ერთ წყაროში დასტურდება გვარის განსხვავებული ფორმა: **ყოფილიანი გვანცაი**.<sup>7</sup>

<sup>2</sup>მ. ხიდაშელი. რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში. თბილისი, 2005; მ. ხიდაშელი. საქართველოს ძველი კულტურის საკითხები. თბილისი, 2010; გურევიჩ ა. Я. Категории средневековой культуры. Москва, 1972; Элиаде М. Космос и история. Москва, 1987; Ле Гофф Ж. Цивилизация средневекового Запада. Москва, 1992.

<sup>3</sup>რ. გუჯუჯაიანი. თამარ მეფის ხატება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტრადიციულ ყოფაში.– კრებული „ქართულ-თურქული კულტურული პარალელები I“. თბილისი, 2009. გვ. 16-28.

<sup>4</sup>Нора П. Проблематика мест памяти; Франция-память / П. Нора, М. Озуф, Ж. де Пюимеж, М. Винок. СПб.: Изд-во С.-Петербург. ун-та, 1999, стр. 17-50; <http://ec-dejavu.ru/m-2/Memory-Nora.html>; Йейтс Ф. Искусство памяти, Фонд поддержки науки и образования «Университетская книга», СПб, 1997; Арнаутова Ю. Е., MEMORIA: «ТОТАЛЬНЫЙ СОЦИАЛЬНЫЙ ФЕНОМЕН»И ОБЪЕКТ ИССЛЕДОВАНИЯ. Образы прошлого и коллективная идентичность в Европе до начала Нового времени. Москва, 2003, стр. 19-37; Рикёр П. Память, история, забвение. Москва, 2004, стр. 136-143.

<sup>5</sup>პავლე ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვეთი მეორე. თბილისი, 1941.

<sup>6</sup>პავლე ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვეთი მეორე. თბილისი, 1941.

<sup>7</sup>პავლე ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვეთი მეორე. თბილისი, 1941.



„ლიბიანის“ ფორმით შეოგვენახა ზოგიერთი ყიფიანის ვინაობა **ჩიხარეშის თემის სოფელ დაბიშში** მდებარე ოქონდაბიშის ეკლესიის ფრესკაზე, სადაც გამოსახულია ლიბიანთა საგვარეულოს რამდენიმე წევრი: კველჯა, მარეხ, ნანბალად, მერაბ, ტაიბუხ, ბაწია<sup>8</sup>.

ეთნოგრაფიული მასალით, ოქონდაბიშის ეკლესია ყიფიანთა საგვარეულო საყდარი ყოფილა. ეზოში შემონახულია ყიფიანთა საფლავები; ეკლესიასთან ახლოს მდებარე ფერდობზე მიუთითებენ ყიფიანთა ნამოსახლარებს.

გადმოცემით, ყიფიანები ქვემო სვანეთში სახლობდნენ **ჩოლურის თემის ნასოფლარ იედიჭში, ლაშხეთის თემის სოფელ შგედში, ჩიხარეშის თემის სოფელ დაბიშში**, აგრეთვე, ყიფიანებს ეკუთვნოდათ უღელტეხილთან ახლოს გაშენებული სოფელი **დეცილი** (ამჟამად ნასოფლარი, დღევანდელი ღენტეხის რაიონი).

ზემო სვანეთში ყიფიანები ფლობდნენ **წვირმის**, ხოლო მათი ერთი შტო სახლობდა სოფელ **აცში**.

ყიფიანთა შესახებ არსებულ გადმოცემათა ექვსი ვარიაცია გამოქვეყნებულია „სვანური ენის ქრესტომათიაში“.<sup>9</sup> მასალა ჩაწერილია ბალსზემოური და ჩოლურული კილოებით. მნიშვნელოვანი წყაროა „სვანური პოეზია“,<sup>10</sup> სადაც გამოქვეყნებულია რამდენიმე ლექსი, ბალადა და საფერხულო ტექსტი, რომლებშიც ყიფიანთა საგვარეულოს შესახებ საინტერესო ინფორმაციაა დაცული.

სვანეთის ტრადიციულ ყოფაში ყიფიანები იხსენიებიან ტერმინ **„ვარგ“**-ით. სიმონ ჯანაშიას დაკვირვებით, „ლაშხეთში ვარგ და ბალს ქვემოთ ვარგ იხმარება თავადის მნიშვნელობით... ბალს ზემოთ ვარგ იხმარება როგორც ამ მნიშვნელობით, ისე საერთოდ აზნაურის მნიშვნელობით“.<sup>11</sup>

ისტორიული მახსოვრობის ფაქტების კვლევამ გამოავლინა სვანეთის ყიფიანთა ყველაზე ცნობილი წარმომადგენლის ყანსავ ყიფიანის შესახებ არსებული მრავალი ლეგენდა და გადმოცემა ჩვენს დროშიც, ასევე მის სახელთან და სამოღვაწეო ასპარეზთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ძეგლები.

2010-2011 წლების ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს ჩავწერე ყანსავ ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი 24 გადმოცემა.

ექსპედიციების მთავარ მონაპოვრად სამეცნიერო კუთხით, ვთვლი ყანსავ ყიფიანის სახელთან და მფლობელობასთან დაკავშირებული მატერიალური არტეფაქტების იდენტიფიკაციას ქვემო სვანეთში, ღენტეხის რაიონში. რასაკვირველია, ადგილზე მოსახლეობამ იცოდა, რომ ესა თუ ის ნამოსახლარი და ეკლესია ყანსავ ყიფიანისა იყო, მაგრამ ინფორმაციას არ ფლობდნენ სამეცნიერო წრეები. გასაკვირია, მაგრამ ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლები ფიქსირებული არ იყო ძეგლთა დაცვის რეესტრშიც. განსაკუთრებით მასშტაბური ძეგლები მდებარეობს **ნასოფლარ იედიყსა და ნასოფლარ დეცილში**.

**ყანსავ ყიფიანი, სავარაუდოდ მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა, თუმცა ამ მხრივ გადამწვევტი სიტყვა უნდა თქვას მომავლმა კომპლექსურმა კვლევამ, რომელიც მეცნიერულად შეისწავლის მატერიალური კულტურის ძეგლებსაც.**

ყანსავ ყიფიანის რეზიდენცია – **იედიყი** – ჩოლურის თემში მდებარეობს. ის რამდენიმე კილომეტრითაა დაცილებული სოფელ **მამს**. სოფელი მამი მრავალმხრივ საინტერესო დასახლებაა. აქ შემონახულია შუა საუკუნეების საცხოვრებელი და თავდაცვითი კომპლექსის

<sup>8</sup> **ექვთიმე თაყაიშვილი**. არქეოლოგიური ექსპედიცია ღენჯუმ-სვანეთში.– ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. დაბრუნება. მრავალტომედი. ტ. 2. **გ. შარაძის** საერთო რედაქციით. თბილისი, 1991, გვ. 137-138.

<sup>9</sup> **სვანური ენის ქრესტომათია**. ტექსტები შეკრიბეს **ა. შანიძემ, მ. ქაღდანმა** და **ზ. ჭუმბურიძემ**. **ა. შანიძისა და მ. ქაღდანის** რედაქციით. თსუ. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 21. თბილისი, 1978, გვ. 61-62.

<sup>10</sup> **სვანური პოეზია**. I. სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს **ა. შანიძემ, ვ. თოფურამ, მ. გუჯავანიამ**.– მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის. II. თბილისი, 1939.

<sup>11</sup> **სიმონ ჯანაშია**. საქართველოს ისტორიის უძველესი ქრონოლოგიიდან ენობრივი მასალების მიხედვით. შრომები. ტ. III. თბილისი, 1959, გვ. 135.

ნანგრევები, რომლის ბოლო მფლობელად ადგილობრივი მოსახლეობა ასახელებს „ოთარს“. დაკარგულია „ოთარის“ გვარი. ოთარისეული კომპლექსი შედგება კოშკისა და სახლისაგან, შეინიშნება ფართო გალავნის ნაშთებიც.

კოშკი და სოფლის განაპირას არსებული ეკლესია აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს. „სოფელი მამი პატარა სოფელია. ამ სოფელში ლამაზი ოთხკუთხედი კოშკია (№17413); სოფლის ბოლოს კლდეტან, დიდი ხეების ჩრდილს ქვეშ, პატარ ქვის ეკლესია არის წმიდის გიორგისა. დახურულია ყავრით; შესავალი აქვს დასავლეთით. დასავლეთის კედელზე ქვიდან გამოქანდაკებული ცხვრის თავია. კარი ხისა ლამაზია. კანკელი ახალი ხისა. ტრაპეზი მიშენებულია კედელზე საკურთხეველისა“.<sup>12</sup>

დღეისათვის ამ ეკლესიის გარშემო სასაფლაოა. ძველი სამარხის პირები გამოვლინდა ეკლესიისაკენ მიმავალ გზაზე, გზის მოწესრიგების დროს 2011 წელს და მოსახლეობამ სასწრაფოდ მიაყარა მათ მიწა.

გადმოცემით, მამის წმიდა გიორგის ეკლესიის ქვები გადმოტანილია იედიყიდან, რომლის წმიდა გიორგის საყდარი შემოსეულ სავიარებს<sup>13</sup> დაუნგრევიათ.

ნასოფლარი იედიყი, გადმოცემით, ყანსავე ყიფიანის რეზიდენციად ითვლება. ამჟამად ეს ტერიტორია, ადგილობრივი მოსახლეობის დამსახურებით, ხის ღობითაა შემორაგული და დაცული. ნასახლარი ვრცელ მინდორში მდებარეობს. იგი ყოველი მხრიდან ტყითაა შემოსაზღვრული. შემორჩენილია რამდენიმე მცირე და მოზრდილი ზომის ნაგებობის ნანგრევი, რომელთაგანაც ერთი ნაეკლესიარია. ეკლესიას მოსახლეობა „ანდლაბ“-ს უწოდებს, ანუ იგი ამადლების სახელობისაა. ზედაპირული დათვალიერების დროს გამოვლინდა ორი ჩუქურთმიანი ქვა.

ამ ტერიტორიაზე ჩოღურელები იკრიბებიან **ამადლების** დღესასწაულზე. „იედიყში ამადლებას (ანდლაბ) ვლოცულობთ. ადრე მთელი სვანეთი, ცაგერი, ამადლებას აქ მოდიოდნენ, 12 თეთრი ჯორი გროვდებოდაო. ახლა ქვემო სვანები მიედივართ. საკლავი მიგვყავს. ეს ეკლესია ყანსავე ყიფიანის მიწაზე დგას, ამადლების ეკლესია ყანსავე ყიფიანის კარის ეკლესიაა. იქ სასახლის ნანგრევებიც არის. აქაურობის მხედართმთავარი ყანსავე ყიფიანი ყოფილა. ის მეფესაც ეხმარებოდა, მეფე მამის სუსტი ყოფილა და ყანსავესთვის უთქვამს, სავიარების, ლეკებისა და თათრებისგან შენ უნდა დაიცვა ქვეყანაო. იცავდა კიდევ. ბოლოს იქ მოკვდა, საზღვრის იქით. მტერი გარეკა და უკან გზაში თოვლმა მოუსწრო, იქ არის მისი საფლავი, კავკასიონის ქედზე“.

ნამოსახლარზე, გარდა ეკლესიისა შემონახულია სასახლის ნანგრევი და კიდევ ოთხი ნაგებობის კვალი და ვრცელ ტერიტორიაზე გაფანტული საფლავის ქვები.

ყანსავე ყიფიანის გაშენებულად ითვლება სოფელი **დეცილი**. დეცილის დასახლების შექმნა **ოსების** შემოსევას უკავშირდება: გადმოცემით, „ყანსავე ქალაქშიაო, ოსებს გაუგიათ და დიდი ჯარით გადმოსულან, 214 ცხენით ყოფილან. წმიდა გიორგის ეკლესია დაუნგრევიათ. წმიდა გიორგის ყანსავესთვის დაუძახია, სად ხარ, ქვეყანას მიეშველეო. გამოფრინდა ყანსავეს რაში. გამოეკიდა მტერს, დეცილში დასწევია ოსებს. ყველა დაუხოცავს, მხოლოდ ექვსი კაცისთვის შეუნარჩუნებია სიცოცხლე და ოსეთში გაუზზავნია – შეუთვლია, თუ კიდევ გამოილაშქრებთ, ერთ კაცსაც არ გამოვუშვებ ცოცხალსო. დეცილში სულ სისხლიანი ყოფილა მიწა. დიდი ომი შექმნილა. დეცილის „ბახრე ლიშიაღ“ გვიქვია ამ ადგილისათვის. ნადავლიც უკან წამოუღიათ. ყანსავეს უფიქრია, მოდი, დეცილსაც დაგასახლებო და იქ სოფელი დაუსახლებია. დიდი სოფელი გამხდარა დეცილი. დეცილში ახლა ტყეა. ლატფარი რომ იწყება, იქ ლამარიას ეკლესია დგას.

<sup>12</sup> **ექვთიმე თაყაიშვილი**. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში.– ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. დაბრუნება. მრავალტომედი. ტ. 2. **გ. შარაძის** საერთო რედაქციით. თბილისი, 1991, გვ. 114.

<sup>13</sup> სავიარები, საე სვანური მეტყველებით გულისხმობს ისტორიული სავიარების მიწა-წყალს და ხალხს, რომელთა ტერიტორიაზეც მოგვიანო ხანაში იკვეთება ბალყარელებისა და ყარანაელების დასახლებები. სალიტერატურო ქართულზე, ხშირად, „სავე“ გადმოტანილია „ოსეთის“ აღსანიშნავად. ქვემო სვანეთის ტრადიციული ყოფას ასსოვს ჩერქეზთა და ყაბარდოელთა თავდასხმებიც.

ისიც ყანსავს აუშენებია, ამ ხალხმა ხომ უნდა ილოცოსო. ხეობა ახლა სულ ნამოსახლარებით არის მოფენილი. ნაქალაქარისხელა ადგილია“.

სხვა გადმოცემით, „ყანსავ ყიფიანის ჯარმა, რომ მთა გადალახა, იქ თითო ქვა ყველამ დადო, გადმოსვლისას, ვინც დავბრუნდებით, ავიღებთ თითო ქვასო. ცოტანიდა გადარჩენილან, იქ დიდი ქვის გორა დარჩა – კოშკივით. ახლაც არის. „ლაჭთუნარ“ ჰქვია იმ ადგილს“. „ლაჭთუნარ“ სვანურად „საწყევლ“ ადგილს ნიშნავს.

ყანსავ ყიფიანს ბრძოლა უწევდა არამხოლოდ გარეშე მტრებთან, არამედ მოღალატე ქართველ ფეოდალებთანაც, რომელთაც უცხო ჯარი შემოჰყავდათ საქართველოს ასაოხრებლად. ამ მხრივ საინტერესოა გადმოცემა **ყანსავ ყიფიანისა და საქართველოს მოღალატე წერეთლის შესახებ**. მეფის მოღალატე წერეთლის მეფეს ერთგული სვანების აოხრება გადაუწყვეტია და ლეკებს დაკავშირებია. ლეკებსაც მოსწონებიათ ეს აზრი და სვანეთს შესვეიან. ყანსავ ყიფიანს ტაქტიკური ხერხის გამოუყენებით მტერი დაუმარცხებია: „ერთ დროს მოუყვანია წერეთელს ლაშხეთში ლეკების ჯარი ლაშხეთის ამოსაწყვეტად. ზემო ლაშხეთში მრავალი ამოუწყვეტია მტერს. ყანსავი მისულა წერეთელთან და უთქვამს: ხალხს ნუ ამომიწყვეტ და რასაც ინებებ, საჩუქრად მოგიძღვნიო, ხვალ კი სადილს მოგართმევ შენ და შენ ჯარსო. წერეთელს გახარებია. მეორე დღეს ყანსავს პურ-მარილი სოფლისაგან მოშორებულ მინდორში გაუშლია. წერეთელს საჩუქრად თოფისწამალი მოუთხოვია, შენ კარგი თოფისწამლის დამზადება იციო. ფინთისხაც დაგიმატებო, დათანხმებია ყანსავი. მტერი შედგომია ნადიმს. ყანსავს ქართველთა ჯარი მოშორებით ჩაუსაფრებია და მათთვის უთქვამს, როცა კი წითელ ღვინოს მოვითხოვ, იცოდეთ, რომ ეს ბრძოლის ნიშანი იქნებაო, იმ წუთში დაიწყეთ სროლაო. შუა სადილობის დროს ყანსავს წითელი ღვინო მოუთხოვია და ქართველებს თოფების სროლა აუტეხავთ, მტერი ალყაში მოუქცევიათ. ზოგ ლეკს გაქცევა მოუსწრია, მაგრამ მათ ყანსავის მოლაშქრე მღვდარი მისწევიათ და შგედის მთებში ამოუწყვეტიათ. ამბის წამლებიც კი არ დაუტოვებიათ. ამის შემდეგ ლეკები ვეღარ ბედადნენ ლაშხეთში შემოჭრას. ვერც წერეთლებმა გაბედეს შურისძიება. ყანსავი ძლიერ კარგი კაცი ყოფილა, ყველას სჯაბნიდა, ყველას იმორჩილებდა. ზოგიერთმა ლექსიც იცის ყანსავ ყიფიანზე, უკვდავ-უბერებელს უწოდებენ“.<sup>14</sup>

ყანსავ ყიფიანის შესახებ ლეგენდებში საომარ იარაღად კაჟიანი თოფები იხსენიება, მაგალითად, ამ გადმოცემაშიც: „**ლემზაგორთან** მოსულან თათრები, ყანსავ ყიფიანი იმ დროს ქუთაისში ყოფილა, გაუგია თათრების გადმოსვლა და გამოუჭენებია რაში. დარეგია თათრებს და ერთიც არ გაუშვია ცოცხალი, თათრებსაც კაჟიანი თოფები ჰქონიათ, ჩვენც. ახლაც ვლოცულობთ იქ ლემზირებით“.<sup>15</sup>

ყანსავ ყიფიანის სახელი უკავშირდება კულტურულ-სამეურნეო აღმშენებლობასაც. **მის დროს გამოუყვანიათ გრძელი სარწყავი არხი, რომელიც დაახლოებით 30 კილომეტრზე ყოფილა გადაჭიმული და მასში ჩადებულნი ყოფილა თიხის მიღები.**

ყანსავ ყიფიანის სახელი მითოლოგიზებულია. ის ლეგენდის ნაწილია და ისტორიული მასსოვრობის მეტად საინტერესო ელემენტს წარმოადგენს. „ყანსავ ყიფიანს ქარივით სწრაფი რაში ჰყავდა, ის რაში წყალს არ სვამდა, მხოლოდ მუაგე წყალს იყო მიჩვეული.“ „ადღვომას, გამთენიისას ერთს დავიძახებ: ყანსავ ყიფიანო, ყანსავ ყიფიანო, უბერებელო და უკვდავო, უბერებელო და უკვდავო... – მან გადაარჩინა სვანეთი სავიარებისგან, მე რომ დღეს ქრისტიანი ვარ და ქართველი მქვია, სულ ყანსავ ყიფიანის ამაგია“.

გადმოცემით, ყანსავ ყიფიანი მტერთან ბრძოლას შეეწირა.

ყიფიანთა საგვარეულოს ცნობილი ვაჟკაცების საგმირო ისტორიაა აღწერილი კალას თემში ჩაწერილ ლექსში – ყიფიანაშ მახეღვაჟარე (ყიფიანთ ახალგაზრდებო):

<sup>14</sup> სვანური ენის ქრესტომათია. ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქაღდანმა და ზ. ჭუმბურიძემ. ა. შანიძის და მ. ქაღდანის რედაქციით. თსუ. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 21. თბილისი, 1978, გვ. 247-248.

<sup>15</sup> ლემზირ – სეფისკვერის პაგნიზებული სახეობა სვანეთში.

„ყიფიანთ ახალგაზრდებო,  
 კვირას (იყო) თქვენი კრება,  
 სახელოში თქვენი კრება.  
 მზე განათებთ, მოვარე,  
 ყველა მსგავსი ღმერთებისა (თავადებისა);  
 ფერი გედვით ოქროსი,  
 თქვენი მზერა სამოთხე(ა).  
 დაგიწყიათ სვლა წასვლა,  
 რიყის ზემოთ მიდიხართ,  
 კარგს ყიფიანს წარმოგიტყვამს:  
 „ომ დასაქცევო ახლანდელი მგზავრობავ!  
 მარცხენა მხარი მემოწმება,  
 მემოწმება ცუდ (რამეს).  
 ერთი უკან მოიხედა,  
 ცრემლები გადმოსცვივდა მსხვილ-მსხვილი.  
 „ომ დასაქცევო, როგორ მეზარება  
 მოცილება ჩემი კარგი ცოლისა,  
 ციხე-ქალაქ სახლ-კოშკისა,  
 წყვილ-წყვილი ჩემი განძებისა!“  
 დაბიშს ზემოთ მოვსულვართ,  
 ქონული ყაფლანს ესხვევა.  
 – შე ქონულ, რასა შვრები?  
 – მოცილება მეზარება ყიფიანებისა.  
 ჯარაშდუყვა, ხუმრობ.  
 „რატომ არ გვექნება სიცილ-ხუმრობა,  
 ამაღამის სადგომი მე მეგულებოდა  
 ხვასგარაშის გამოქვაბულებში,  
 ვახშამი დროზე გვექნეს!“  
 კარგ ყიფიანს დაეძინა.  
 შუაღამის დროს  
 ჯარაშდუყვამ გარეთ გაიხედა:  
 „დარი და აედარი რა იქნება“.  
 „ჩვენ საბრალონი, ჩვენ საცოდავნი!  
 შემოგვრტყმიან სამეკცად  
 ეს ურჯულო სავები.  
 საღამს თოფებით გვაძლევენ!“  
 ყიფიანს სიკვდილი ვერ გაუგია,  
 ჯარაშდუყვა გადამხტარხარ:  
 „ო წარმართო ქონულ ჩემო,  
 აბა, როგორ ვივარგებთ,  
 სავები გვლაშქრავენ““  
 ზევით კლდეზე ჯარაშდუყვა,  
 ქვევით ხევში სავები,  
 ბრძოლა ჩვენი სჯობდა.  
 ქრისტეს დალოცვლილი ჯარაშდუყვა!  
 დასაკიდი მისი ყირიმული  
 სწრაფ სწრაფად სცემდა.  
 რვა-ცხრა მოუკლავს,

იქით ქონულს გასძახის:  
 „ყოფიანი სისხლაუღებელი არ დაგვრჩეს!“  
 ქონული დეკაში (შქერში) იმალება,  
 ჩამომხტარ ჯარაშდუყვა,  
 მიუწოდა კარგ ყოფიანს:  
 „ო, სიხარულო, კარგო ყოფიანო,  
 შენ უსისხლარი არ დამრჩენიხარ,  
 რისი დარდი გექნება?  
 შენ აქ არ დაგტოვებ,  
 სულის რიგს კარგს გიზამ,  
 ცოლსა და შვილს ოხრად არ დაგიყრი,  
 ადგილ-მამულს („ცა-მიწას“) არ მოგიკლებ!“

ეს ლექსი ჩაწერილია დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის მიერ იფარში, ქავზა ხორგუანის თქმით 1881 წლის სექტემბერში.<sup>16</sup> ვფიქრობ, შესაძლებელია ამ ლექსისეული „კარგი ყოფიანი“-ს გაიგივება ყანსავ ყოფიანთან.

ისტორიულ მახსოვრობით, ყანსავის დაღუპვის შემდეგ ყოფიანთა შტო თანდათან დასუსტებულა.

ყოფიანთა ფეოდალური სახლის განდევნა ქვემო სვანეთიდან, ისტორიული მახსოვრობით, უკავშირდება დადიანს, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ცანისწყლის (ცხენისწყლის) ხეობის სვანეთის დაპყრობა, მაგრამ უფრთხოდა ყოფიანთა საგვარეულოს. გადმოცემით, დადიანს მოუქრთამავს გიგო გელოვანი, რომლის მეშვეობითაც თანდათან ამოწყვეტილან ყოფიანები და მათი ნაწილი, რომელიც უკვე ვეღარ ეწინააღმდეგებოდა დადიანის შემოტევას, აყრილა თავისი მამულიდან და საცხოვრებლად გადასულა რაჭაში.<sup>17</sup>

შეგდის ყოფიანები ამოწყვეტილან უშეუღლებლეთან შეტაკების დროს.<sup>18</sup>

შემონახულია საინტერესო გადმოცემები ზემო სვანეთის ყოფიანთა შესახებაც: წვირმის მფლობელ ყოფიანების გლეხს მესტიელი ჯაფარიძეების გლეხი შემოკვდომია. გამართულა სასამართლო და ყოფიანების გლეხს გადაუხდია სისხლის სწორი. ამის მიუხედავად ჯაფარიძეებს ყოფიანების გლეხი დაუბეგრავთ. გლეხი ერთხანს იხდიდა ბეგარას, შემდეგ კი ყოფიანებს შესცოდებიათ გლეხი და შეუწყვეტინებიათ მისთვის ჯაფარიძეთა სასარგებლო ბეგარის გადახდა. ჯაფარიძეები თავიანთი გლეხებითურთ თავს დასხმიან წვირმის და მოუნდომებით საქონლის გატაცება. გამართულა ბრძოლა. გამარჯვება ჯაფარიძეებს დარჩენიათ.<sup>19</sup>

ლექსში „ქავზა“ აღწერილია წვირში ჩასიძებული ქავზას ტრაგიკული ცხოვრება. ამ ლექსში ჩვენთვის საინტერესოა ქავზას ამხანაგის, ბოროტი ბობზიკის მუხანათური ქმედება, რის შედეგადაც წვირმის ყოფიანები დაღუპულან და მათი მიწა-წყალი მიუთვისებიათ ქურდიანებს:

„იმ დროს ყოფიანები ეომებიან  
 მულახის აზნაურ ქურდანებს.  
 ბობზიკს სიტყვა ჰქონდა  
 მულახის ქურდანებისგან.  
 ქურდანი ეუბნება თავის ბობზიკს:

<sup>16</sup> სვანური პოეზია. I. სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურია, მ. გუჯეჯიანმა.– მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის. II. თბილისი, გვ. 12-15.

<sup>17</sup> სვანური ენის ქრესტომათია. ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალღანმა და ზ. ჭუმბურიძემ. ა. შანიძისა და მ. ქალღანის რედაქციით. თსუ. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 21. თბილისი, 1978, გვ. 248-249.

<sup>18</sup> სვანური ენის ქრესტომათია. ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალღანმა და ზ. ჭუმბურიძემ. ა. შანიძისა და მ. ქალღანის რედაქციით. თსუ. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 21. თბილისი, 1978, გვ. 62-63.

<sup>19</sup> სვანური ენის ქრესტომათია. ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალღანმა და ზ. ჭუმბურიძემ. ა. შანიძისა და მ. ქალღანის რედაქციით. თსუ. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 21. თბილისი, 1978, გვ. 61.

ყიფანს შენ თუ მოჰკლავ,  
 სახლ-კარს მე მოგცემ“.  
 ბობზიკს ყიფიანი მოუკლავს,  
 ქურდანმა წყაროსთან სასახელ მისცა,  
 თორმეტი დღიური ყანა, -  
 ესენი საჩუქრად მიუცია.  
 ამით ქურდანი ხარობს,  
 მთელი ფარი შინ ჰყოლია;  
 დაუწყებელი ქვევრი დაუწყია,  
 დიდი ხარიც დაუკლავს,  
 ზეიმი კარგი გადაუხდია  
 ყიფიანის მოკვლისათვის“.

ლექსი ჩაუწერია ეთნოგრაფ და მხარეთმცოდნე სები გულედანს მესტიაში ლევან ნიგურიანის თქმით (50 წლისა).<sup>20</sup>

**ისტორიის რეკონსტრუირებისა და მისი მულტივი რეპრეზენტაციის მთავარი მოტივი ხალხის განწყობაა, ანუ, ის ფაქტორები, რაც ქმნის კოლექტიურ განწყობებსა და მახსოვრობას.** ამ მხრივ, გარდა ნარატიული წყაროებისა და ნივთიერი მასალისა, ცხადია, საყურადღებოა ზეპირი საისტორიო წყაროებიც. როლანდ თოფნიშვილის მართებული დაკვირვებით ლეგენდა-გადმოცემების „საშუალებით საქართველოს ისტორიის არაერთ საკითხს შეიძლება ფარდა აეხადოს“, <sup>21</sup> რადგანაც ფოლკლორი (ლეგენდა, გადმოცემა, ლექსი, ანდრეზი, არაკი...) რეალური ისტორიის მრავალი ამბის ანარეკლს შეიცავს. ხოლო როდესაც ტრადიციული მენტალობის ამა თუ იმ მხარეზე ვსაუბრობთ, ისტორიული მახსოვრობის დანაშრევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მენტალობაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ ლოკალურ ერთეულთან – ადამიანთა მჭიდროდ შეკავშირებულ (საერთო წარსული, საცხოვრისი, კულტურა...) ჯგუფთან მიმართებათ. <sup>22</sup> ჯგუფების აზროვნების სტერეოტიპები, რასაკვირველია, ყველაზე თვალსაჩინოდ მათ ფოლკლორში აისახება. ამ კუთხით, უადრესად საგულისხმო მეთოდური ხასიათის მითითება მოცემულია ელენე ვირსალაძის თეორიული ხასიათის წერილში. მკვლევარი ხალხური შემოქმედების მთავარ მახვენებლებს გამოკვეთს: 1. ინდივიდუალურ-შემოქმედებითი აქტის დროს მოქმედის ფსიქოლოგია მოქცეულია კოლექტიური ფსიქოლოგიური ენერჯის ველში. 2. მოქმედი ეფუძნება კოლექტიურ-გამოცდილებას, იყენებს კოლექტივის მიერ შექმნილ და დაგროვილ სახეებსა თუ შეხედულებებს. 3. მოქმედი იმპროვიზაციას ახდენს კოლექტივის წინაშე და ცხადია, იმყოფება კოლექტივის გემოვნების კონტროლქვეშ. 4. როგორც იმპროვიზაცია, ასევე ინდივიდუალური ლირიკა მნიშვნელოვანი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას მიიღებს კოლექტივი. ამის შემდეგ ეს ნაწარმოები ხდება საერთო მიღწევა, სხვა შემთხვევაში კი იგი ეძლევა დავიწყებას.<sup>23</sup>

ყანსავ ყიფიანის ციკლთან დაკავშირებული სვანური ენოგრაფიული მასალა ყოველივე ზემოთქმულის ნათელი მაგალითია. ყანსავის მოღვაწეობის ამსახველი საგმირო ეპიზოდები, მისი სიქველე, თავგანწირვა, სიყვარული სამშობლოსადმი ქმნის სურათს გმირისა, რომელიც მფარველია სვანეთისა, ქვეშევრდომებისა და, რაც მთავარია, ერთგულია მეფისა. ანუ, ყანსავ ყიფიანის ხატება აერთიანებს იმ საუკეთესო თვისებებს, რაც კი შეიძლება ქართველს დამახსოვრობოდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

<sup>20</sup> სვანური პოეზია. I. სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, გ. თოფურიამ, მ. გუჯუჯიანმა.– მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის. II. თბილისი, გვ. 72-75.

<sup>21</sup> როლანდ თოფნიშვილი. ზეპირი საისტორიო წყაროები.–ქურნალი „კლიო“, №3, 1998. გვ. 143.

<sup>22</sup> Гуревич А. Я. Проблема ментальностей в современной историографии. Всеобщая история: Дискуссион, новые подходы, вып. I. Москва, 1989, стр.75-88.

<sup>23</sup> ელენე ვირსალაძე. ზემო სვანეთში ფოლკლორული მივლინების მოკლე ანგარიში.– ლიტერატურული ძიებანი. ტ. VIII. თბილისი, 1953.

ყანსავ ყიფიანის დროინდელმა „ოქროს ხანამ“ წარუშლელი კვალი დატოვა სვანეთის მოსახლეობის ისტორიულ მახსოვრობაში. ეს მომენტები განსაკუთრებით მკაფიოდ შემოინახა „კოლექტიური ხსოვნის“ ყველაზე ცოცხალმა წყარომ – ფოლკლორმა. ფოლკლორში ხომ „გმირის იდეალი ფეთქავს და ამ გმირის სახეში თავმოყრილია ერის საუკეთესო თვისებები და ინტერესები“.<sup>24</sup>

ამრიგად, 1. სვანეთის შუა საუკუნეების ყოფაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ყიფიანთა ფოლადურ საგვარეულოს.

2. ყიფიანთა განსახლების არეალი საკმაოდ ვრცელია და მოიცავს ზემო და ქვემო სვანეთის რამდენიმე სოფელს.

3. შემონახულია ყიფიანთა სამოსახლოები, ნასახლარები, კოშკები, სასაფლაოები, ფრესკები, მათ შორის კონკრეტდება უშუალოდ ყანსავ ყიფიანთა დაკავშირებული მატერიალური კულტურის ძეგლები.

4. გადმოცემებს ყიფიანთა საგვარეულოს შესახებ დიდი ადგილი უკავიათ სვანეთის ყოფაში, ხოლო ყანსავ ყიფიანი „გმირის“ ყველა მახასიათებლის მატრებელი კრებითი სახეა.

5. რეალური მონაცემებით, მატერიალური კულტურის ძეგლებითა და ისტორიული მახსოვრობის ფაქტებით დასტურდება ყანსავ ყიფიანის, როგორც ცნობილი სარდლის, მოღვაწისა და გმირის არსებობა, სავარაუდოდ, მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრისათვის.

6. ყანსავ ყიფიანის ხატება არის მკვეთრად მითოლოგიზებული, რაც ქართველ მთიელთა მენტალობის ტიპურ და უნივერსალურ სისტემაში სრულიად ბუნებრივი ეთნოგრაფიული არტეფაქტია.

7. ლეგენდა-გადმოცემებით იკვეთება სვანეთის საზოგადოების სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხი, რაც იდენტურია იმდროინდელი საქართველოს პრობლემატიკისა: ფოლადთა ურთიერთ დაპირისპირება; უწყვეტი ბრძოლა გარეშე მტრების წინააღმდეგ, რომლებიც ისტორიის ამ ეტაპზე, სვანეთისთვის, არიან ჩრდილო კავკასიელი ტომები; ბრძოლა შინაურ მტრებთანაც, რომლებიც იყენებენ დაქირავებულ მეომრებს ჩრდილო კავკასიიდან.

8. გადმოცემათა ანალიზით აღდგება მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების სვანეთის ყოფა-ცხოვრების ბევრი ელემენტი: საომარი წყობა, საომარი აღჭურვილობა და იარაღი, ბრძოლის ხერხები, ცნობილ მეომართა სახელები, მათი საგმირო საქმენი, მეომრის საგზლის სახეობანი, ტრადიციული სამოსის ვარიაციები, ურთიერთობები მეზობელ თემთა შორის, მათი დაპირისპირების ან დამეგობრების განმაპირობებელი მიზეზები.

9. სიუჟეტური ქარგა ლექსებისა თუ გადმოცემებისა, ზოგიერთ შემთხვევაში, მითოლოგიზებულია, მაგრამ მათში ნახსენები ყოფისა და კულტურის ელემენტები საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ აღწერილი სიუჟეტის მიახლოებითი დრო, ასევე, გამოვკვეთოთ ისტორიის სხვადასხვა ეტაპის დანაშრევეები ამა თუ იმ ლეგენდაზე.

ამრიგად, ტრადიციულ ქართულ ყოფაში დღემდე შემონახულ ისტორიულ ფაქტთაგან განსახილველად არჩეული თემა – ყანსავ ყიფიანი და მისი საგვარეულო – ერთგვარი კრებითი სახით ავლენს ქართველთა ისტორიული მახსოვრობის მთავარ მახასიათებლებს: ცნობილი გმირის – სოციუმისათვის მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებებით გამორჩეული ადამიანის – სახელის ხანგრძლივ ხსოვნას და მის მითოლოგიზებას; მიმდინარე დროის ერთგვარ „შეჩერებას“ მათზე საუბრისას და მთხრობელის მხრიდან აშკარა თანაგანცდას სიუჟეტური ქარგისა. იკვეთება რა ქართული ხალხური მენტალობის საერთო მარკერები, ვლინდება მისი ლოკალური – სვანური მახასიათებლებიც და ეს თავისებურებები კეთილი ტონალობებით ამდიდრებს ქართულ ეროვნულ ისტორიულ (კოლექტიურ, სოციალურ) მახსოვრობას და მისი რეპრეზენტაციის მუდმივ წყაროდაც გვევლინება.

<sup>24</sup> ელენე ვირსალაძე. ზემო სვანეთში ფოლკლორული მივლინების მოკლე ანგარიში.– ლიტერატურული ძიებანი. ტ. VIII. თბილისი, 1953, გვ. 21.



ყანსაჲ ყიფიანის რეზიდენციისა და ამაღლების ეკლესიის ნანგრევები  
სოფელ იედიყში







ნასოფლარ დეცილის კოშკი



ქვის ჯვარი სოფელ მამის ეკლესიასთან, გადმოტანილი სოფელ იედიყის ეკლესიიდან

**The Representation of the History – Kansav Kipiani – Legend or Reality?**

Summary

The factor of representation of the history in Georgian life is noticeable and still active. Many aspects of the traditional ideology are caused by the facts of the social (collective, historical) memory.

In the scientific society the interest towards the collective memory as the research theme (Memory Studies) is gradually actualizing. These types of research are very important for Georgia, where the most part of the narrative sources were lost due to the various objective reasons (wars, the destruction of the royal chancelleries and libraries by the conquerors).

The Georgian ethnological school will traditionally use the oral sources for reconstructing the history. The concrete themes give us the opportunity to make many interesting conclusions. The existed and periodically restored mythologized image of Kansav Kipiani in the historical memory is an interesting fact for such studies.

The paper specifies the resettlement area of the Kipiani family, the individual representatives of this family; it is approved with the combination of the ethnographical and archaeological materials and the historical sources. The information found about Kansav Kipiani and the factors causing his mythologization are emphasized.

It became possible to identify the material artifacts related to the name and ownership of Kansav Kipiani in Kvemo (Lower) Svaneti.

The following conclusions were made:

1. In the medieval life of Svaneti the feudal family of Kipiani takes a special place.
2. The resettlement area of Kipiani family is vast and includes the villages of Zemo (Upper) and Kvemo (Lower) Svaneti.
3. The former settlements, palaces, towers, cemeteries, frescoes of Kipiani family are preserved.
4. The legends about Kipiani family take a great place in the life of Svaneti and create the main segment of the historical memory in Kvemo (Lower) Svaneti.
5. According to the real data, the monuments of the material culture and the facts of the historical memory, the existence of Kansav Kipiani, the famous commander, the public man and the hero is proved presumably in the second half of the XVII century.
6. The image of Kansav Kipiani is highly mythologized, and this is the natural ethnographic artifact for the typical and universal system of Georgian mountaineers' mentality.

## მოლაპარაკებების წარმართვის ამერიკული სტილი

დიპლომატიურ მოლაპარაკებებში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ ხასიათს, სტილს, ქცევას, რომელშიც აისახება ეროვნული კულტურა, ისტორიული წარსული, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები.

დიპლომატიური მოლაპარაკებების პროცესის შესახებ ჩატარებული კვლევები, ისევე როგორც მემუარული ლიტერატურა, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თუ როგორ გავლენას ახდენს ეროვნული განსხვავებები და თავისებურებები მოლაპარაკებების პროცესზე. დიპლომატიური მოლაპარაკებების ეროვნული სტილი მეცნიერებისთვის განსაკუთრებით საინტერესო თემად ბოლო სამ ათწლეულში იქცა (ბერმანი, ზარტმანი, ზონენფელდი, ფიშერი, იურა, კარასი, კენედი, კოენი, იონსონი, კვანდი, მაკდონალდი, შარფი და ა.შ.).

უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიური მოლაპარაკებების შესწავლის ძირითად მეთოდად გამოიყენება შედარებითი ანალიზის მეთოდი.<sup>1</sup>

მკვლევართა დაინტერესება ამ თემით გამოიწვია სუვერენული სახელმწიფოების, საერთაშორისო გლობალური პრობლემების, საერთაშორისო და რეგიონალური კონფლიქტების, საერთაშორისო მოლაპარაკებების რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ, არა მარტო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების დონეზე, არამედ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების, საჯარო, რელიგიური, ტერორისტული, საქმიანი ურთიერთობებისა და ფიზიკურ პირებს შორის მოლაპარაკებების პროცესის საჭიროებამ და გაფართოებამ.

ამ კვლევებს პასუხი უნდა გაეცა ისეთ კითხვებზე, როგორებიცაა: აქვს თუ არა გავლენა ეროვნულ თავისებურებებს მოლაპარაკებებში მონაწილეთა ქცევებზე და მოლაპარაკებების შედეგებზე? თუ ახდენს ზეგავლენას, რაში გამოიხატება იგი? არსებობს კი საერთოდ ნაციონალური მოლაპარაკებების სტილის გავლენის ცნება? თუ არსებობს, რაში გამოიხატება იგი?

მიუხედავად იმისა, რომ დასავლელი მკვლევარები ეროვნული თავისებურებების როლს მოლაპარაკებებში სხვადასხვანაირად განიხილავენ, ყველა აღიარებს მათ არსებობას<sup>2</sup> (თუმცა, ზოგი ფიქრობს, რომ ასეთი თავისებურებები საერთოდ არ არსებობს, ან თუ არსებობს მას არანაირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია მოლაპარაკების პროცესზე, მით უმეტეს შედეგზე, ხოლო დანარჩენები ფიქრობენ, რომ პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება მოლაპარაკებების პროცესში, ძირითადად გამოწვეულია ეროვნული თავისებურებების გამო).

შვედი მკვლევარის იონსონის აზრით, ეროვნული ინტერესების თანხვედრის დროს ნაციონალური თავისებურებანი დიდ როლს არ თამაშობს. კონფლიქტის წარმოშობისას კი ნაციონალური თავისებურებები გამოდის წინა პლანზე.

მოლაპარაკებების ეროვნულ სტილში იგულისხმება ეროვნული ხასიათისა და კულტურის თავისებურება, უმეტესად აზროვნების, აღქმისა და ქცევის გავრცელებული თავისებურებანი,

<sup>1</sup> Zartman I. W. Berman M. R. The practical Negotiator. New Haven, Yale Uni. Press. 1982.

<sup>2</sup> დანიელ დრაკმენი. მოლაპარაკებების წარმართვა საერთაშორისო კონტექსტში. თარგმანი ქართულ ენაზე. თბილისი, 2009.

რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მოლაპარაკებების პროცესისთვის მზადებასა და მის წარმართვაზე.

შევეცადოთ განვაზოგადოთ მოლაპარაკებების პროცესი, განვიხილოთ მოლაპარაკებების წარმართვის ეროვნული სტილის თავისებურებები კონკრეტული ქვეყნის აშშ-ის მაგალითზე.<sup>3</sup>

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც დიპლომატიური მოლაპარაკებების თეორიული კვლევის საქმეში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამერიკელმა მეცნიერებმა, ასევე ამერიკელმა დიპლომატებმა გადამწვევტი როლი შეასრულეს მოლაპარაკებების წარმართვის ამერიკული სტილის ჩამოყალიბებაში.<sup>4</sup>

ბრიტანელი მკვლევარი პ. შარპი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამერიკელ დიპლომატებთან ურთიერთობისას ყოველი მომლაპარაკებელი დგება სამი პრობლემის წინაშე: მატერიალური, იდეოლოგიური და ენობრივი. პირველი დაკავშირებულია იმასთან, რომ ამერიკელი დიპლომატები მოლაპარაკებებზე წარმოაჩენენ თავის ქვეყანას, უფრო მდიდარსა და ძლიერს, ვიდრე რომელიმე სხვას. მეორე პრობლემა გამომდინარეობს პირველიდან და მდგომარეობს იმაში, რომ ამერიკელები ყოველთვის დარწმუნებულნი არიან თავიანთ სიმართლეში. მესამე პრობლემა კი არის ის, რომ საერთაშორისო მოლაპარაკებების უმეტესობა ტარდება ინგლისურ ენაზე – და ამერიკელთა მარტივი ფორმულირებები, რომლებიც შესაძლოა ძალიან მარტივი მოგეგნოთ, ხშირ შემთხვევებში მალავდეს შედარებით რთულ საკითხებს, პოზიციებსა და პრიორიტეტებს.<sup>5</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელი მომლაპარაკებელი ყოველთვის კარგად არის მომზადებული მოლაპარაკებებისათვის, მისთვის დამახასიათებელია პროფესიონალიზმი, გახსნილობა, დამოუკიდებლობა, პრაგმატულობა. ამერიკელებში მწვავედ დგას შიდა მოლაპარაკებების პრობლემა, სხვადასხვა უწყებებთან მიმართებაში, რომლებიც ასევე არიან ჩართულნი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებისა და განხორციელების საქმეში, როგორც სახელმწიფო დეპარტამენტი, მაგალითად: თავდაცვის სამინისტრო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, დახვედრის ცენტრალური სამმართველო, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, კონგრესი და სხვა. თუმცა, ამ უწყებებთან პოზიციების თანხვედრისთანავე ამერიკული დიპლომატები, დელეგაციის წევრები დამოუკიდებელნი არიან გადაწყვეტილების მიღების დროს.

მოლაპარაკებებზე ამერიკელები კონცენტრირებას ახდენენ ძირითად პრობლემაზე, მისწრაფიან გამოავლინონ და განიხილონ არა მარტო საერთო შესაძლო საშუალებები გადაწყვეტილების მისაღებად, არამედ დეტალებიც, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო შეთანხმების შესრულებასთან. ისინი ცდილობენ თავისი მიზნის მიღწევას, უყვართ და შეუძლიათ ვაჭრობა, ხანდახან აგრესიულები ჩანან, შესაძლოა უხეშებიც. მოლაპარაკებებს ყოველთვის მართავენ სპეციალისტები, რომელთაც ზურგს უმაგრებთ ექსპერტთა პროფესიონალთა ჯგუფები. ამერიკელები უპირატესობას ანიჭებენ არგუმენტაციის ინდუქციურ მეთოდს, მიზეზ-შედეგობრივ არგუმენტებს, რომელიც საბოლოო დასკვნას ფაქტებით ამყარებს.<sup>6</sup>

ამერიკელი მომლაპარაკებელი უპირატესობას ანიჭებს არაფორმალურ ურთიერთობებს, ნაკლებად ცდილობს მოლაპარაკებების ეტაპებს მიჰყვეს, ხშირად დემოკრატიულობა გამოიხატება მოძველებულ პროტოკოლზე უარის თქმით. ამერიკელთა სწრაფვა არაფორმალური ურთიერთობებისაკენ შეიძლება გადაიზარდოს ფამილიარობაში. ამერიკელებს ნაკლებად აინტერესებთ მაღალფარდოვანი სიტყვებით საუბარი, ისინი დაინტერესებულნი არიან დღის წესრიგში არსებული საკითხების ოპერატიული განხილვით და რაც შეიძლება სწრაფად მომგებიანი გადაწყვეტილების მიღებით.

<sup>3</sup> John McDonald. American negotiation style on the *American Diplomacy* webpage (2001).

<sup>4</sup> Rojot J. Negotiation: From Theory to practice. London. Macmillan. 1991.

<sup>5</sup> Stempel John D. The American Approach to Negotiation – Its Virtues and Vices. University of Kentucky: Patterson School of Diplomacy. 2001.

<sup>6</sup> John McDonald. American negotiation style on the *American Diplomacy* webpage (2001).

ამერიკელები მედიის მნიშვნელობიდან და მისდამი პატივისცემის გამო დიდ ყურადღებას უთმობენ პრესასთან ურთიერთობას.<sup>7</sup>

ამერიკელები პრობლემის გადაწყვეტისას ცდილობენ განიხილონ არა მხოლოდ საერთო მიდგომები, არამედ დეტალებიც, რომლებიც დაკავშირებულია შეთანხმების რეალიზებასთან. ისინი ადამიანებში აფასებენ გულახდილობასა და პატიოსნებას, სწრაფად იწყებენ საქმის არსის განხილვას, არ კარგავენ დროს ფორმალუბებზე. არცთუ იშვიათად ავლენენ ეგოცენტრიზმს, სჯერათ, რომ მოლაპარაკებებში მონაწილე პარტნიორიც ასევე უნდა ხელმძღვანელობდეს იმ წესებით, რომელსაც თავად იცავენ. არ უყვართ საუბრის დროს შესვენებები, ხალხში აფასებენ პუნქტუალობას, ყოველთვის დათქმულ დროს მიდიან შესვენებებზე და თვლიან რომ დაგვიანება ყოველად დაუშვებელია და მას გამართლება არ აქვს. მათთვის მისაღები მოლაპარაკებების პერიოდი არის ნახევარი საათიდან ერთ საათამდე და უპირატესობას ანიჭებენ ერთი ერთზე შესვენებას. ამერიკელებმა იციან და უყვართ ვაჭრობა, არცთუ ცოტა დროს უთმობენ სხვადასხვა საკითხების განხილვას – ეგრეთ წოდებულ „კომპლექსურ“ გადაწყვეტილებებს. საქმიანი მოლაპარაკებების დროს ხშირად თვითონაც სთავაზობენ მონაწილეებს ამ პაკეტს. მათ არ აშინებთ რისკი, მათ აშინებთ პარტნიორის არაკომპეტენტურობა.<sup>8</sup>

დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმართვის ამერიკული სტილი გამოირჩევა ლიდერობისკენ. ნათლად გამოხატული სწრაფვით ამერიკელი პოლიტიკოსები სიამაყით აღნიშნავენ იმას, რომ მათ სტილს ჰყავს თავისი თავყანისმცემლები და მიმდევრები საზღვარგარეთ, ხოლო ამერიკელი დიპლომატები და პოლიტიკოსები ხდებიან საფუძვლიანი შესწავლისა და მიბაძვის ობიექტები. ზბუგინსკი ხაზს უსვამს იმას, რომ დღესდღეობით ინგლისელ და იაპონელ პოლიტიკოსებს ძალზედ მართებულად მიაჩნიათ გადმოიღონ ამერიკელი პრეზიდენტების „შინაურული მანერა, მხარდაჭერის გრძნობა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ტაქტიკა“.

დიპლომატიური მოლაპარაკებების ამერიკული სტილი, უპირველეს ყოვლისა, გამოირჩევა ამერიკელი დიპლომატებისა და პოლიტიკოსების მისწრაფებით შეუპოვრად დაიცვან თავიანთი უნივერსალური ღირებულებები. თვითონ ამერიკელი დიპლომატები აღნიშნავენ იმას, რომ არც ერთი ერი არ იყო უფრო პრაგმატული ყოველდღიურ დიპლომატიურ მოღვაწეობაში და უფრო იდეოლოგიზირებული თავის მისწრაფებაში მიჰყვებს ისტორიულად ჩამოყალიბებულ მორალურ ნორმებს ვიდრე ამერიკელები. ჰ. კისინჯერის აზრით, ამერიკული ნაციონალური სტილი გამოირჩევა გამოკვეთილი ამბივალენტობით იზოლაციონიზმსა და ჰეგემონიას შორის, პატრიარქალური წარსულის ნოსტალგიითა და იდეალური მომავლისაკენ მისწრაფებას შორის. მას მიაჩნია, რომ დღეს ამერიკა უნდა იქცეს „გზის მანათებელ შუქურად“ მთელი მსოფლიოსათვის და განავითაროს თავისი იდეალები და ღირებულებები მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

თუმცა, ამავე დროს, არსებობს სერიოზული საშიშროება იმისა, რომ მსოფლიო ლიდერობა შეიძლება გადავიდეს ჰეგემონიაში და ზედმეტი ამბიციურობის გამო საყოველთაო სიძულვილში გადაიზარდოს გარკვეული ქვეყნების მხრიდან. ამ საფრთხეზე მიუთითებენ მრავალი თანამედროვე პოლიტოლოგები და პოლიტიკოსები. თავის ახალ წიგნში „არჩევანი: მსოფლიო ბატონობა ან გლობალური ლიდერობა“ ზ. ბუგინსკი განიხილავს მოლაპარაკებების ამერიკულ სტილს სწორედ ამ რაკურსში: ბატონობა ან ლიდერობა. ამერიკული ჰეგემონიის საჭიროებას მსოფლიო პოლიტიკაში ის ხსნის გეოპოლიტიკური ქაოსის თავიდან აცილებით. ბუგინსკი აშინებს მსოფლიოს დემოგრაფიული აფეთქებისა და მიგრაციის დამანგრეველი შედეგებით, რომელიც გამოწვეული იქნება სიღარიბით, რადიკალური ურბანიზაციით, აგრეთვე ეთნიკური და რელიგიური მტრობით და გამანადგურებელი მასობრივი იარაღის გაგრძელებით, თუმცა ერთპოლარული მსოფლიოს პირობებში ეს პროცესები ჩვენს თვალწინ ვითარდება სტიქიურად

<sup>7</sup> Ibid.

<sup>8</sup> INTERNATIONAL NEGOTIATION: ANALYSIS, APPROACHES, ISSUES (Victor A. Kremenyuk ed., 2d. ed. 2002).



და უკონტროლოდ. ამერიკელი პოლიტოლოგი ამერიკის ჰეგემონიის ორ შესაძლო სტილისტურ ალტერნატივას ხედავს: ბატონობა დაფუძნებული ძალაზე ან ლიდერობა დაფუძნებული თანამშრომლობაზე და თანხმობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ის ირჩევს ლიდერობის სტილს მსოფლიო პოლიტიკაში, მისი კონცეფცია პარადოქსული გამოსახულებით აერთიანებს ჰეგემონიას დემოკრატიის ელემენტებთან. „ჰეგემონური ლიდერობა“ ვარაუდობს იმას, რომ „ამერიკული გლობალური ჰეგემონია მართავს ამერიკულ დემოკრატიას“. ბუეხინსკი ღიად გვიხვენებს ასეთი მმართველობის მექანიზმებს: 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში მომხდარი ტერაქტების შემდეგ პრეზიდენტ ჯ. ბუშის გაკეთებული განცხადებებიდან 15 თვის განმავლობაში ჩანდა, რომ მან საჯაროდ, არანაკლებ 100-ჯერ გამოიყენა ამერიკული ფრთიანი ფრახის „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენს წინააღმდეგაა“ რამდენიმე მოდიფიცირებული ვარიანტი.<sup>9</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკული ჰეგემონიის გლობალური სტილი ღიად ეფუძნება ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მართავს საზოგადოებრივ აზრს, ხოლო ინფორმაციული ფანტომები მოხერხებულად იყენებენ მათ, რათა გაამართლონ ამერიკის ჰეგემონია მსოფლიოში.

ამერიკული მენტალობის თვალსაზრისიდან გამომდინარე მოლაპარაკებისას საჭიროა ხაზი გაუვსვათ იმას, რომ ამერიკელი პოლიტიკოსები და დიპლომატები ჩვეულებრივ უპირატესობას ანიჭებენ მოტივაციებს და არა სტრუქტურულ ფაქტორებს. მათთვის მნიშვნელოვანია გავლენა მოახდინონ ქცევაზე, ვიდრე თავიანთი ოპონენტების გათვლებზე. ამის მიზეზებს ზოგიერთი ამერიკელი პოლიტოლოგი ხედავს იმაში, რომ ამერიკელები ორმაგი სტანდარტებით უდგებიან ისტორიის გაკეთილებს. ამერიკულ ფილმებში ხშირ შემთხვევაში გვიჩვენებენ რაიმე დრამატულ ისტორიულ მოვლენას და ბოროტმოქმედს გვიჩვენებენ კეთილად იმის დასტურად, რომ წარსული არ თამაშობს განმსაზღვრელ როლს და ყოველთვის შეიძლება ყველაფრის თავიდან დაწყება.<sup>10</sup>

ისტორიის ასეთი აბსტრაგირება საშუალებას იძლევა განავითაროს ამერიკულ პოლიტიკურ კულტურაში უნივერსალური ადამიანის გამოსახულება, რომელიც ცხოვრობს უნივერსალური კანონებით და არ არის დამოკიდებული წარსულზე, გეოგრაფიასა და სხვა მსგავს გარემოებებზე. ამერიკული სტილი აქცენტს აკეთებს პოლიტიკური ტექნოლოგიების უნივერსალობაზე, რომელიც არაა დამოკიდებული ნაციონალურ სპეციფიკაზე. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი აქცენტირება მიხნად ისახავს ხაზი გაუსვას ამერიკული ლიდერობის უნივერსალობას მოლაპარაკებების დროს და მეტწილად პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებს. ძალიან ზუსტად შენიშნა ს. ჰანტინგტონმა, რომ „იმპერიალიზმი არის უნივერსალიზმის გარდაუვალი შედეგი“.<sup>11</sup>

აღსანიშნავია, რომ ამერიკელები ძალზედ პრაქტიკულები და პრაგმატულები არიან მოლაპარაკებებში ნებისმიერ პარტნიორებთან ურთიერთობაში. მოლაპარაკებების დროს ისინი მზად არიან იმსჯელონ გამოთქმულ ვარაუდებზე ემპირიული მონაცემებით და მიაჩნიათ, რომ გზა ჭეშმარიტებისკენ გადის ცდებისა და შეცდომების მეთოდებზე. ამიტომ მათ წინაშე დაყენებული წინადადებები უნდა იყოს რეალური და კონკრეტული. მოლაპარაკებებზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს ამერიკელები ეჭიდებიან ინდუქციის პრინციპს და ფაქტებზე დაყრდნობით თავიანთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოქმედებენ. ამერიკელები, როგორც წესი, ძნელად აღიქვამენ კრიტიკას თავიანთი მისამართით, საკმარისად თავდაჯერებულნი არიან და იღებენ მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც დაფუძნებულია ფაქტებზე: სხვისი პოზიციის მორალური გამართლება, როგორც წესი, მათზე ნაკლებად მოქმედებს. ამერიკელების უმრავლესობა ამაყობს თავისი თავისუფლებით და ცხოვრების წესით. ბევრი ამერიკელი მკვლევარი ხაზს უსვამს ამერიკულ ვნებას ექსპერიმენტირებისკენ, სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ ამერიკის დამფუძნებელი მამები იყვნენ ერთგულნი პოლიტიკური ექსპერიმენტებისადმი და მათ მიერ შექმნილ რესპუბლიკას ეკიდებოდნენ, როგორც

<sup>9</sup> 12.INTERNATIONAL NEGOTIATION: ANALYSIS, APPROACHES, ISSUES (Victor A. Kremenyuk ed., 2d. ed. 2002).

<sup>10</sup> <http://negotiationguidance.com/2012/05/25/american-negotiating-style-part-1>.

<sup>11</sup> <http://negotiationguidance.com/2012/05/25/american-negotiating-style-part-1>.

„სარისკო და საეჭვო საქმიანობას“. დიდწილად სწორედ ამ მიზეზის გამო ამერიკელებმა დაიჯერეს, რომ მათ მართლა შეუძლიათ გარდაქმნან მსოფლიო ახლებურად. მათ გულწრფელად სჯერათ, რომ ამერიკელი ერი არის გამორჩეული ერი, რომელსაც შესწევს ძალა გადაარჩინოს ცოდვებში ჩაფლული მსოფლიო. ამ თვალსაზრისით, საკმაოდ სიმბოლურია ამერიკის ერთ-ერთი პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის სიტყვები: „ჩვენ მოვევლინეთ სამყაროს, რათა გადავარჩინოთ მსოფლიო თავისუფლებისა და სამართლიანობის მიცემით“. დღესდღეობით აშშ-ის საშინაო პოლიტიკაში განსაკუთრებით მუდავნდება მესიანერობა, რაც დაკავშირებულია მათი გლობალური ლიდერობის პრეტენზიებზე.

მოლაპარაკებების დროს ამერიკელების ამოჩემებული ტაქტიკაა მოქნილი ბალანსირება საპირისპირო ნაციონალურ ინტერესებს შორის. გამომდინარე იქიდან, რომ არიან ფხიზელი და მიუკერძოებელი ადამიანები, ისინი უპირატესობას ანიჭებენ სიტუაციურ ანალიზს და შეუძლიათ სწრაფად გადაწყვიტონ სხვა ტალღაზე. ამერიკული საგარეო პოლიტიკის ტაქტიკის შინაარსი ზუსტად განსაზღვრა ტომას ჯეფერსონმა: „ჩვენ უნდა დავიკავოთ ნეიტრალური პოზიცია ორ მეტოქე ერს შორის და დავრჩეთ მიუკერძოებელი იმ დრომდე, სანამ საჭიროება არ მოითხოვს ამას და ჩვენ ჯამში შეგვიძლია მივუერთდეთ იმ მეტერს, რომელმაც ჩვენ დაგვაყენა ასეთი საჭიროების წინაშე“. სწორედ ასეთი მიდგომით იქცეოდნენ ამერიკელები ორი მსოფლიო ომის დროს მიმდინარე მოლაპარაკებებში.

საკითხი, როგორ მივალწიოთ ამა თუ იმ მიზანს ამერიკელი მოლაპარაკებლებისათვის არის საკვანძო და ამ თვალსაზრისით მათთვის მიზანი ყოველთვის ამართლებს საშუალებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამერიკელი დიპლომატების განცხადებებში პრაქტიკულად არ არის ფარული ზრახვები. როგორც ფრანგმა ფილოსოფოსმა ბოდრიიარმა აღნიშნა, პრინციპული განსხვავება ევროპელისა ამერიკელისგან მდგომარეობს იმაში, რომ ისინი გამოხატავენ თავიანთ თანხმობას. ევროპელები ხშირად თანხმდებიან, რათა მერე ყველაფერი უარყონ; როცა ამერიკელი გეუბნება, რომ ის გეთანხმებათ, ის გამოთქვამს ამას „გულწრფელად, ყოველგვარი ცუდი ზრახვების გარეშე“. ამასთან ერთად ის დაამტკიცებს თქვენს ანალიზს ფაქტებითა და სტატისტიკით, რადგან ამერიკელისათვის სტატისტიკა წარმოადგენს სტიმულს, წარმატების მაჩვენებელს.

მოლაპარაკებების წარმართვის ამერიკული სტილი ყოველთვის გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით: ამერიკელები პრაქტიკულად ყოველთვის კომპეტენტურნი არიან მოლაპარაკების ნებისმიერ საკითხში. ისინი ვარაუდობენ, რომ მათი პარტნიორებიც ისევე კარგად არიან მომზადებულნი, ამიტომ მათგან მოელიან სწრაფ რეაგირებას არსებულ ინფორმაციაზე და თვითონაც საკმარისად სწრაფად რეაგირებენ. აღსანიშნავია ამერიკული დელეგაციის მაღალი დამოუკიდებლობა მოლაპარაკების პროცესში გადაწყვეტილებების მიღების დროს. ნებისმიერი პრობლემის გადაჭრის დროს ამერიკელები მისწრაფვიან თავიდანვე განიხილონ შეთანხმების საერთო „ჩარჩოები“ და ძირითადი მიდგომები, რომ არ ჩავარდნენ ზედმეტ ფორმალობაში დეტალების შესახებ, ამჯობინებენ შეთანხმონ ისინი მოლაპარაკების მსვლელობისას. ამავედროულად ისინი მიდრეკილნი არ არიან მკაცრად მისდონ მოლაპარაკებების პროცესის წინასწარ დაგეგმილ სცენარს და ეტაპებს, რომელიც უპირატესად დაყრდნობილია სიტუაციურ ანალიზზე. ამერიკელები სწრაფად რეაგირებენ ყველაფერზე და მოლაპარაკებებს სძენენ მაღალ ტემპს, რაც მოლაპარაკებების პროცესის მოდელს ამსგავსებს ვიდუო თამაშს. ძალიან ხშირად ისინი ტოვებენ შეუპოვრებისა და აგრესიული პარტნიორების შთაბეჭდილებას: ეს არის მათი ტრადიციული სტილი და არა თავიანთი დამოკიდებულებების გამოვლინება ოპონენტისადმი.<sup>12</sup>

ფსიქოლოგები აღნიშნავენ ამერიკული ხასიათის ოპტიმისტურობას, ამერიკელების მისწრაფებას გახსნილობისაკენ, მათ ენერგიულობასა და კეთილმოსურნეობას. ყველაზე მართებულად ამერიკელი ლიმილი ირონიულად აღწერა ბოდრიიარმა: „...აქ თქვენ გიღიმიან არა

<sup>12</sup> Каррас Честер Ли. Искусство ведения переговоров. Москва, 2007.

თავაზიანობის ან მოწონების მიზნით. ეს ღიმილი ნიშნავს მხოლოდ საჭიროების ღიმილს. რაღაც კატის ღიმილის მსგავსს: ის ღიმილს რჩება სახეზე, იმის შემდეგ როცა ყველა ემოცია გაქრა. ყოველ წამს თქვენ გჩუქნიან ღიმილს, მაგრამ ის რჩება შეუცვლელად და არაფერს გამოხატავს. თქვენ ვიღიმიან ყოველგვარი ცუდი განზრახვის გარეშე და სწორედ ეს გაყენებთ დისტანციაზე. ღიმილი აცივებს ვნებას... „ეს ქვეყანა კარგია, მე თვითონაც კარგი ვარ და ჩვენ ყველანი საუკეთესოები ვართ“.<sup>13</sup>

მოლაპარაკებებზე ამერიკელები ჩვეულებრივი კეთილმეგობრული მანერით გამოიჩნებიან, ამის უკან რაიმე განსაკუთრებული არ დგას – მოლაპარაკებების შედეგები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ხელსაყრელია ან არახელსაყრელია მათთვის განხილული წინადადება. მიუხედავად ამისა, საკითხის განხილვის სტილი ამერიკელებთან მოლაპარაკების დროს – ოპტიმისტურია.<sup>14</sup>

როგორც წესი, ამერიკელები ამჯობინებენ მოლაპარაკებების ჩატარების არც ისე ოფიციალურ ატმოსფეროს, მიისწრაფვიან გააერთიანონ ოფიციალური შეხვედრები არაოფიციალურთან, ხანდახან ლიდერებთან შეხვედრებზე ჰალსტუხის გარეშეც მიდიან. ეს დაკავშირებულია მაღალი პატივისცემით ლიდერებისკენ და ლიდერობისკენ, იმათთვის ვინც შეძლო და აღმოჩნდა სიმალეზე. ლიდერობის კულტი – ამერიკელებისთვის დამახასიათებელი თვისებაა, ამიტომ მოლაპარაკებების დროს აქცენტი კეთდება პირველი პირების შეხვედრებსა და შეთანხმებებზე.<sup>15</sup>

მოლაპარაკებებზე ტაქტიკურ სრიკებს შორის ამერიკელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სხვადასხვა საკითხების „პაკეტირებას“. ყველაზე ხშირად ისინი მიმართავენ ამ ილეთს იმ შემთხვევაში, როდესაც პარტნიორისათვის შეთავაზებული გადაწყვეტილება არახელსაყრელია, როდესაც საჭიროა მისი კოორდინირება სხვა უფრო ხელსაყრელ პოზიციასთან, რათა დაბალანსდეს მხარეების ინტერესები.<sup>16</sup>

თუ მოლაპარაკებებზე პოლიტიკური საკითხების გარდა განიხილება ეკონომიკური საკითხებიც, ამერიკელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საქმიანი პარტნიორებისა და ფირმების რეკომენდაციებს. ეკონომიკური თემების განხილვის დროს, რათა კიდევ ერთხელ დამტკიცდეს საქმიანი რეპუტაცია მნიშვნელოვანია დაასახელოთ პარტნიორები აშშ-ში, ვისთანაც უკვე გქონდათ საქმე ან მოლაპარაკებების მომენტისას გაქვთ. ამერიკელები საერთოდ მიუნდობლები არიან. ეს თვისება ეროვნული ხასიათიდან გამომდინარეობს. ჯერ კიდევ ჯორჯ ვაშინგტონი აფრთხილებდა მათ: „არც ერთ ერში ნდობა არ უნდა სცილდებოდეს თავისი ქვეყნის ინტერესების საზღვრებს“.<sup>17</sup>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელებთან მოლაპარაკებების დამახასიათებელი თვისებაა დადებული შეთანხმებების ტექსტების საკმაოდ დიდი მოცულობა, სადაც ყველაფერი დაწვრილებით არის გაწერილი, აღებული ვადებულებების შესრულების ვადების მითითებით. ეს ამერიკელი მომლაპარაკებლებისათვის ტიპური სიტუაციაა, რომელიც ასახავს ამერიკულ წინდახედულობას ცხოვრების ნებისმიერი შემთხვევისათვის: მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია სქელტანიანი ამერიკული საქორწინო კონტრაქტები.

მოლაპარაკებების ჩატარების ამერიკული სტილი მეტწილად ასახავს ამერიკული ხასიათისა და პოლიტიკური კულტურის თავისებურებებს: „საგარეო პოლიტიკა – ერის სახეა, რომელიც მიმართულია მთელი მსოფლიოსკენ“.<sup>18</sup>

<sup>13</sup><http://www.pon.harvard.edu/main/home/index.php3>.

<sup>14</sup><http://www.pon.harvard.edu/main/home/index.php3>.

<sup>15</sup> Ibid.

<sup>16</sup> ROGER FISHER & WILLIAM URY. GETTING TO YES: NEGOTIATING AGREEMENT WITHOUT GIVING IN (Bruce Patton ed., Houghton Mifflin 1991) (1981).

<sup>17</sup><http://negotiationguidance.com/2012/05/25/american-negotiating-style-part-1>.

<sup>18</sup> www.state.gov.



ისიც უნდა ითქვას, რომ მოლაპარაკებების წარმოებისას პრობლემები ხშირად გამოწვეულია მხარეების ნაციონალური კულტურული განსხვავებების გამო. მხარეების ინტერესების თანხვედრისას ნაციონალური განსხვავებები არ იგრძნობა, მაგრამ როდესაც ისინი განსხვავდება, მაშინვე ხდება კონფლიქტის წამოწყება. მოლაპარაკებების დროს სირთულეები ძირითადად გამოწვეულია ნაციონალური კულტურული სხვაობის გამო. გავრცელებულია მოსაზრება, რომ უფრო მარტივია მოლაპარაკების წარმოება ერთი რასის და ნაციონალობის მქონე ადამიანებს შორის. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ერები რაც უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან ეთიკურად, მით უფრო მნიშვნელოვნად წარმოიხინდება მათი შეხედულებების სხვაობა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით (ყურადღება მიაქციეთ იმას თუ რა რთულად მიმდინარეობს ამერიკელების ურთიერთობები ავღანეთსა და ერაყში, თავის დროზე ასევე იყო ვიეტნამშიც). ხოლო რაც უფრო მეტად განსხვავდებიან ეთიკურად ერები, მათი წარმომადგენლებისათვის უფრო მნიშვნელოვანი იქნება აზრთა თანხვედრა. ამასთან ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მხარეებს შორის ინტერესების დამთხვევამდე ნაციონალური განსხვავებები არ შეიმჩნევა, საკმარისია წარმოიშვას კონფლიქტი და მათი მნიშვნელობა დიდ როლს თამაშობს. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თუ სად დაიბადა მოლაპარაკების მონაწილე, სად მიიღო განათლება, სად ცხოვრობს და მუშაობს ამჟამად. მაგალითად, იაპონელს, რომელიც ცხოვრობს აშშ-ში და მოლაპარაკებებს აწარმოებს ამერიკული კომპანიის სახელით, შეიძლება ჰქონდეს შემორჩენილი იაპონური ნაციონალური ხასიათი და თვისებები, ეს თავის მხრივ გავლენას იქონიებს მოლაპარაკებების წარმოებაზე. მთლიანობაში მისი ქცევის თავისებურება უფრო ამერიკული იქნება, რადგან მის პიროვნულ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა იმ გარემოებებმა, სადაც იგი გაიზარდა. ყველაფერი რაც უკვე ვახსენეთ და განვიხილეთ დაგეხმარებათ განსაზღვროთ თქვენი ამერიკელი პარტნიორის საქმიანი ქმედებები.<sup>19</sup>

ასეთია მოლაპარაკების წარმართვის ამერიკული სტილის ზოგიერთი ასპექტები, რომლებიც მართალია აბსოლუტური და სრულყოფილი არ არის, მაგრამ ამერიკელ პარტნიორებთან მოლაპარაკებების მზადების ან წარმართვის პროცესში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

## **Avtandil Kiknadze**

### **US Negotiation Style**

#### **Summary**

The article examines US negotiation style its characteristics and methods. There is discussed whether national cultural peculiarities have influence on the negotiation style. It is claimed that United States plays a leading role in numerous negotiating forums. American diplomats enter a negotiation with their own timeframe and usually press for an early agreement, especially if the issue at stake has political significance at home. The United States applies pressure by simultaneously exerting its substantial and multifaceted resources. At the negotiating table, U.S. diplomats are adept at creating „linkage“ between issues and at marshalling facts and arguments as they seek to convince their counterparts of the benefits of reaching an agreement on U.S. terms, and the costs of failing to do so.

---

<sup>19</sup> THE HANDBOOK OF NEGOTIATION AND CULTURE (Michele J. Gelfand & Jeanne M. Brett eds., 2004).

გვანცა ბურდული, ისტორიის დოქტორი

## საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმის პროექტი (1905 წლის 18 დეკემბერი)

საქართველოს ისტორიაში XX საუკუნის დამდეგიდან შეინიშნება რამდენიმე საუკუნადღებო მოვლენა. ამ მოვლენათაგან ჩვენ გამოვყოფთ ორს: პირველი. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის შექმნისათვის დაწესებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას (ავტონომისტთა მოძრაობას); მეორე. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის დაწესებულ მოძრაობას (ავტოკეფალისტთა მოძრაობას).

1811 წლიდან საქართველოს ეკლესია რუსული ბიუროკრატიული სისტემის დანამატად აქციეს. სამართლიანადაა მიჩნეული, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა იმპერატორისა და რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებით, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა ეკლესიის რბევა და ძარცვა. 1811-1906 წლებში რუსეთმა საქართველოში დახურა 800 ეკლესია და 15 მონასტერი, 29 ეპარქიის ნაცვლად მხოლოდ 5 ეპარქია დატოვა. გაძარცვეს ეკლესიები და მონასტრები, გაიტანეს ხატები, ხელნაწერი წიგნები, ჯვრები, ბარძიმები და სხვა საეკლესიო ნივთები. გარდა ნაძარცვისა, რუსებმა საქართველოს ეკლესიას ოფიციალურად ჩამოართვეს 220 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება, ყოველივე ეს კი საქართველოში გამოგზავნილი ეგზარქოსების ინიციატივითა თუ დახმარებით ხდებოდა.<sup>1</sup>

მიუხედავად ამისა, რუსეთის საიმპერატორო კარმა ვერ შეძლო ეროვნული სულის ჩაკვლა ქართველ სამღვდელთაში. ამის დადასტურებას წარმოადგენდა XX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში დაწესებული ავტოკეფალისტური მოძრაობა.

1905 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული გახშირდა ქართველი სამღვდელთა კრებები, რომლებზეც ითხოვდნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) აღდგენას. 1905 წლიდან სულ უფრო აქტიური ხასიათი მიიღო ქართველი სასულიერო და საერო პირების მიერ რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდში პეტიციების გაგზავნამ. პეტიციებში კი ძირითადად წარმოდგენილი იყო საქართველოს ეკლესიის მძიმე მდგომარეობა, მრევლსა და სასულიერო პირებს შორის არსებული რთული დამოკიდებულება და ამ ვითარებიდან დაღწევის გზაც. ქართველი სასულიერო და საერო პირების მიერ გაგზავნილ

<sup>1</sup> ნ. დურნოვო. ბედი ქართული ეკლესიისა (ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე). თბილისი, 1997, გვ. 53.

პეტიციებში ერთხმად იყო აღნიშნული, რომ ქართველ ერში სარწმუნოება დასცა როგორც ბიუროკრატიულმა წყობილებამ, ასევე მოციქულთა და საეკლესიო კანონების უგულებელყოფამ.<sup>2</sup>

რუსეთის ეკლესიის უწმიდესი და უმართებულესი სინოდი პრობლემის გადაწყვეტას სამიტროპოლიტო ოლქების დაარსებაში ხედავდა. ერთ სამიტროპოლიტო ოლქად მოიაზრებოდა კავკასიაც, რომელიც ასევე მოიცავდა „დაბეჩავებულ“ საქართველოს. სამიტროპოლიტო ოლქის დაარსების საკითხზე ქართველმა სასულიერო პირებმაც იმსჯელეს. ამ საკითხთან დაკავშირებით იმერეთის მაშინდელმა ეპისკოპოსმა **ლეონიდემ** დასაბუთებული მოხსენებაც წარადგინა. ეპისკოპოს ლეონიდეს მხარი აუბეს გორის ეპისკოპოსმა **ექვთიმემ** და ალავერდელმა **პეტრემ**. საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე ქართველმა სასულიერო პირებმა საქართველოს ეგზარქოსს აცნობეს, რომ თუ 1905 წლის 14 იანვრამდე საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიური მართვა-გამგეობა არ მიენიჭებოდა, მაშინ სასულიერო და საერო წოდება თვითონ აღადგენდა უძველესი ეკლესიის თვითმწყემსობას. იმისათვის, რომ ქართველი მღვდელმთავრების ეს სურვილი განხორციელდებოდა იყო საქართველოს ეკლესიის სამღვდლოებისაგან არჩეული დელეგატების კრებას ჩაეტარებინა წინასწარი სამუშაო საჭირობორტო საკითხების მოსაგვარებლად. ქართველი სამღვდლოების კრების დღედ დაინიშნა 1905 წლის 7 დეკემბერი. დასავლეთ საქართველოდან სასულიერო პირების უმრავლესობის არ ყოფნის გამო კრებას დადგენილება არ მიუღია. 1905 წლის 9 დეკემბერს იმერეთის ეპარქიის ყველა სასულიერო პირი თბილისში იყო. კრება გაიმართა წმინდა ნიკოლოზის სასწავლებლის შენობაში, რომელსაც ესწრებოდა იმერეთის ეპისკოპოსი **ლეონიდე**, გორის ეპისკოპოსი **ექვთიმე**, ასევე სხვა საერო პირებიც. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია დეკანოზი **დავით დამბაშიძე**, საქმის მწარმოებლად მღვდელი **ილია ჯაში**, ხოლო მის დამხმარედ კი ბატონი **სერგი გორგაძე**.<sup>3</sup>

დეკანოზმა დავით დამბაშიძემ კრებაზე მყოფთ ასე მიმართა: „ის კითხვა, რის გარდასაწყვეტადაც ჩვენ დღეს ვართ აქ შეკრებილი, მეტის-მეტად საგაღალღო და დიდმნიშვნელოვანია. ასე წლის განმავლობაში დარჩენილი და უყურადღებოდ დატოვებული ჩვენი ეკლესიისათვის ასეთი მნიშვნელოვანი კითხვა დღეს გვსურს საბოლოოდ გამოვარკვიოთ და განვახორციელოთ. სრული იმედი მაქვს, როგორც მთელი კრება, ისე დამსწრე პირებიც აღმოგვიჩვენენ დახმარებას ამ სამძიმო საქმის შესრულებაში. მოგეხსენებათ, რომ ოთხ მღვდელმთავარს აქვს მიცემული სიტყვიერი განცხადება ექსარქოსისადმი, რომ საქართველოს ეკლესიას 14 იანვრამდე მიეცეს ნება, აღადგინოს ავტოკეფალიური მმართველობა. იმედია, მთავრობა შეიწყნარებს სამღვდლოების და საზოგადოების ასეთ თხოვნას და აღადგენს იმ უფლებას, რომელსაც იგი მოკლებულია რუსეთთან შეერთების დღიდან. ამნაირივე თხოვნა იყო წარმოდგენილი სამღვდლოებისა და საზოგადოებისაგანაც. აღარ შეიძლება დაყოვნება ამ სურვილის აღსრულებისა, ვინაიდან სამღვდლოებისა და საზოგადოების დამოკიდებულება მეტისმეტად გამწვავდა და სარწმუნოებაც დაასუსტა ამ უფლების დაკარგვამ. ჩვენი საზოგადოება დღემდეც უნდა ცდილიყო ამ კანონიერი სურვილის აღსრულებას და ესლა-კი დრო არის, მოპოვებულ იქმნას ეს დაკარგული უფლება, რომლითაც დაუბრკოლებლად სარგებლობენ ჩვენში ფრანგები და სომხები“.<sup>4</sup>

1905 წლის 9 დეკემბერს კრებაზე მყოფ დელეგატებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე არ უმსჯელია. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა მეორე დღისთვის

<sup>2</sup> ჟურნალი „მწყემსი“, 1906, №1-2, 15-30 იანვარი, გვ. 6-15; საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადეს **მერაბ ვაჩნაძემ** და **ვახტანგ გურულმა**. ტომი II. თბილისი, 2008, გვ. 160.

<sup>3</sup> ჟურნალი „მწყემსი“, 1906, №1-2, 15-30 იანვარი, გვ. 6-15; საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადეს **მერაბ ვაჩნაძემ** და **ვახტანგ გურულმა**. ტომი II. თბილისი, 2008, გვ. 160.

<sup>4</sup> ჟურნალი „მწყემსი“, 1906, №1-2, 15-30 იანვარი, გვ. 6-15; საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადეს **მერაბ ვაჩნაძემ** და **ვახტანგ გურულმა**. ტომი II. თბილისი, 2008, გვ. 160-161.

გადაიდო. 10 დეკემბერს კვლავ შეიკრიბა კრება, რომელმაც არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე მიიღო გადაწყვეტილება. პირველ რიგში გასარკვევი იყო, თუ როგორი ხასიათი უნდა ჰქონოდა დელეგატების კრებას. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ: „აღნიშნული კრება არის ორგანიზაციული“.<sup>5</sup>

მეორე საკითხად წარმოდგენილი იყო კრებაზე მეოფი არადელეგატების სტატუსი. ამის თაობაზე კრებამ დაადგინა: „დელეგატების კრებები, როგორც ორგანიზაციული სხდომები, სწარმოებენ არა დელეგატთა დაუსწრებლად, მაგრამ კრება იწვევს სათათბირო ხმით მღვდელმთავრებს და აგრეთვე გარეშე პირებსაც, სასულიეროსა და საეროს, რომელთაც იგი საჭიროდ სცნობს. ამასთანავე, რამოდენიმე პირნი მოწვეულნი იქნებიან მუდმივ თანამშრომლებად ამნაირისავე ხმით. პრესის წარმომადგენელთაც სრული ნება აქვთ, დაესწონ კრებებს“.<sup>6</sup>

„1905 წლის 11 დეკემბრიდან კრება შეუდგა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმის შემუშავებას. ამ საკითხზე მუშაობა 18 დეკემბრამდე გაგრძელდა. თითოეული კრება 6-7 საათს მოიცავდა. ყველა კრების ანგარიში და საბოლოო დასკვნები იწერებოდა ცალკე ოქმებად, რომელსაც ხელს აწერდა კრებაზე მეოფი ყველა დელეგატი. სწორედ ამ ოქმებიდან იქნა ამოღებული საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის თაობაზე არსებული გეგმა“.<sup>7</sup> საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმა დასამტკიცებლად უნდა გადასცემოდა საქართველოს მომავალ საეკლესიო კრებას.

კრების დასრულების შემდეგ დეკანოზმა დავით დამბაშიძემ ასე მიმართა დელეგატებს: „პატივცემულნი მამანო! მადლობას გწირავთ ყველას იმ პატიოსანი და გულს-მოდგინე შრომისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ კრების პირველი დღიდან ცხრა დღის განმავლობაში. ეს შრომა დიდად დასაფასებელია, ვინაიდან ომიანობის მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ თფილისის ქალაქმა სულ სხვა ფერი მიიღო და დაწინარებული მუშაობა თითქმის შესწყდა. მთელი მცხოვრებლები შიშქვეშ არიან. არა მიმხედველი ამისთანა მდგომარეობისა ჩვენი ეკლესიური ავტომობილის (ავტოკეფალიის), ურმის აშენებაზე მაინც ხელი არ ავიდეთ და კიდევაც ავაშენეთ. დედა მიწაზე არსად არ აშენებულა ისეთი თვით-მოქმედი მანქანა, რომ მას შეეკეთება, შესწორება არ დაჭირვებოდეს. მე არა მჯერა, რომ ჩვენგან შედგენილს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ მართვა-გამგეობის გეგმას (პროექტს) არ დასჭირდეს ცხოვრების მიხედვით დამატება, შესწორება და შეკეთება. მაგრამ მრწამს, რომ ამ პირველად შემუშავებულ გეგმისამებრ ჩვენ ეკლესიას უფრო სიცხოველე ექმნება და უფრო გაიღვიძებს იგი, ვინემ დღეს აქვს მას, როცა გარეშე ძალა ამოძრავებს მას მისდა შეუტყობლად და გაუგებრად. ვილოცოთ, ძმანო, რომ ღმერთმან ისმინოს ჩვენი ვედრება და დაეხმაროს ღვთისმშობლის წილხდომილს ივერიას, რომ მასზედა აღდგინდეს, განმტკიცდეს და განცხოველდეს ძველებურად, ჩვენებურად ქრისტეს სარწმუნოება და კეთილზნეობა“.<sup>8</sup>

დელეგატების მიერ შემუშავებული საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი სამი ძირითადი თავისა და ოცდაექვსი პარაგრაფისგან შედგება. თითოეული თავი განმარტავს ეკლესიის წიაღში არსებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

<sup>5</sup> ჟურნალი „მწყემსი“, 1906, №1-2, 15-30 იანვარი, გვ. 6-15; საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადეს მერაბ ვაჩნაძემ და ვახტანგ გურულმა. ტომი II. თბილისი, 2008, გვ. 162.

<sup>6</sup> ჟურნალი „მწყემსი“, 1906, №1-2, 15-30 იანვარი, გვ. 6-15; საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადეს მერაბ ვაჩნაძემ და ვახტანგ გურულმა. ტომი II. თბილისი, 2008, გვ. 162.

<sup>7</sup> ჟურნალი „მწყემსი“, 1906, №1-2, 15-30 იანვარი, გვ. 6-15; საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადეს მერაბ ვაჩნაძემ და ვახტანგ გურულმა. ტომი II. თბილისი, 2008, გვ. 162.

<sup>8</sup> ჟურნალი „მწყემსი“, 1906, №1-2, 15-30 იანვარი, გვ.6-15; საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადეს მერაბ ვაჩნაძემ და ვახტანგ გურულმა. ტომი II. თბილისი, 2008, გვ. 162-163.

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმის პირველი თავი ეთმობა ეკლესიის ძირითადი პრინციპების განმარტებას. ძირითადი პრინციპები კი გულისხმობს ეკლესიის რაობის თუ მიზნის ახსნას, წარმოადგენს თუ როგორი უნდა იყოს მისი სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან ურთიერთობა და ასევე ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება:

„§1. **განმარტება საქართველოს ეკლესიისა.** საქართველოს ეკლესია არის მორწმუნე ქართველებისაგან შემდგარი და „ერთის, წმიდის, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის“ პრინციპებზე დამყარებული სარწმუნოებრივი საზოგადოება, რომელშიაც და რომლის საშუალებითაც ხორციელდება ამ ქვეყნად „ღვთის სასუფევლის დედა-აზრი“.

§2. **მისი მიზანი.** ამ საზოგადოების მიზანს შეადგენს მისი წევრების სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მათი ზნეობრივი სრულ-ყოფა ქრისტეს მცნების თანახმად: „იყავით სრული, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი სრულ არს“.

§3. **სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან ურთიერთობა.** როგორც ისტორიულად, ისე კანონიურად საქართველოს ეკლესიას აქვს სრული უფლება სხვა ეკლესიათაგან დამოუკიდებლად იარსებოს; ამას აუცილებლად მოითხოვს თანამედროვე ცხოვრებაც. სხვა ეკლესიათაგან დამოუკიდებლობა საქართველოს ეკლესიისა მდგომარეობს: ა) მისი იერარქიის სხვა ეკლესიათა იერარქიისაგან დამოუკიდებლობაში; ბ) ადგილობრივ კანონმდებლობისა და სამართლის უფლებაში და გ) ადგილობრივთა საეკლესიო ჩვეულებათა და სამღვდლო-წესთა სხვაობაში.

§4. **ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან.** როგორც ზნეობრივ-სარწმუნოებრივის მიზნით არსებული საზოგადოება, საქართველოს ეკლესია შეეხება თავის წევრებს მარტო ზნეობრივ პრინციპის მხრივ და აზრად არა აქვს შეეხოს მათ, როგორც წევრებს სახელმწიფოსას ან რომლისაჲმე პოლიტიკურ ორგანიზაციისას. მსგავსადვე არც სახელმწიფოს აქვს უფლება ამ საზოგადოების შინაგან წეს-წყობილებასა და ცხოვრებაში ჩაერიოს, რადგან, როგორც ითქვა, ეს საზოგადოება არავითარს პოლიტიკურსა და ეკონომიურს მიზანს არ ესწრაფვის. სახელმწიფო როგორც ყველგან, ისე ამ შემთხვევაშიაც ვალდებულია მხოლოდ უზრუნველ-ჰყოს ამ საზოგადოების წევრთა ნამდვილი სარწმუნოებრივი თავისუფლება (17 ოქტომბრის მანიფესტით აღიარებული) და მის დაწესებულებათა ხელშეუხებლობა ეკლესიის გარეშე მდგომ პირთა და დაწესებულებათაგან; რომ საქართველოს ეკლესიამ სამუდამოდ აიცილოს თავიდან ეჭვი ან ბრალდება ეგრედ წოდებულს „კლერიკალიზმში“ და თანაც საესებით განახორციელოს თავის წევრთა სინიდისის თავისუფლება, აუცილებლად საჭიროა, განთავისუფლდეს არა მარტო ეკლესია სახელმწიფოსაგან, არამედ სახელმწიფოც ეკლესიისაგან. არც სახელმწიფო უნდა ეროდეს ეკლესიის საქმეებში და არც ეკლესია – სახელმწიფოს საქმეებში.

ამ ძირითად პრინციპების თანახმად უნდა მოეწიოს მთელი შინაგანი ცხოვრება და გარეგანი მდგომარეობა საქართველოს ეკლესიისა.<sup>9</sup>

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტის მეორე თავი წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის წეს-წყობილების განმარტებას. ამავე თავში ასახულია თუ რა ტერიტორიებს მოიცავს საქართველოს ეკლესია; ვისგან შედგება ეკლესია, როგორც ერთიანი ორგანიზმი და როგორ და ვისი მეშვეობით იმართება იგი:

„§5. **საქართველოს ეკლესიის ტერიტორიას შეადგენს** ქართველის ტომით დასახლებული ადგილები ესლანდელის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისა, ზაქათალის, სოხუმის, ბათუმისა და ყარსის ოლქთა საზღვრებში.

*შენიშვნა:* საკუთარის სურვილით შეუძლიათ საქართველოს ეკლესიას ეკუთვნოდნ ამ ტერიტორიის გარეშე მცხოვრები ქართველები და აგრეთვე არა-ქართველებიც როგორც ამ ტერიტორიის საზღვრებში, ისე მათ გარეშეც.

<sup>9</sup> უფრო ადრე „მწიგნობრობის“, 1906, №1-2, 15-30 იანვარი, გვ. 6-15; საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადეს მერაბ ვაჩნაძემ და ვახტანგ გურულმა. ტომი II. თბილისი, 2008, გვ. 163-164.

**§6. მთელი ეს ტერიტორია დანაწილებულია ოთხ ეპარქიად:** ა) კახეთ-ზაქათალისა, ბ) ქართლისა (სამცხე-საათაბაგოთურთ), გ) იმერეთ-გურია-სვანეთისა (ამავე ეპარქიაში შედის ბათუმის ოლქიც) და დ) სამეგრელო-სამურზაყანოსა. თვითეული ეპარქია განიყოფება სამო ოლქებად, ხოლო ეს უკანასკნელი – სამრევლოებად.

**§7. საქართველოს ეკლესიის სამღვდლოებას შეადგენენ:** ა) სრულიად საქართველოს კათალიკოს-მამათ-მთავარი, რომელიც იმავე დროს არის მთავარ-ეპისკოპოსი ქართლისა, ბ) სამი ეპისკოპოსი, გ) მღვდლები, დ) დიაკვნები (=მთავრები) და ე) მედავითნეები.

**§8. ეკლესიის უუდიდეს ნაწილს შეადგენენ მორწმუნენი.** მორწმუნედ, ანუ ეკლესიის წევრად ითვლება ყოველი კაცი და ქალი, რომელსაც ნათელ-უდია, აღიარებს მართლ-მადიდებლობის სწავლას და ემორჩილება საეკლესიო წყობილებას. როგორც ეკლესიის წევრად გახდომა, ისე მასში დარჩენა ან გასვლა, დამოკიდებულია თვით მორწმუნის სინიდისა და სურვილზე; ხოლო რამდენადაც საქმე ბავშვებს შეეხება, იმათი ეკლესიის წევრებად დატოვება, თუ იქიდან გაყვანა, მათი მშობლებისა და მზრუნველების სინიდისის საქმეა.

**§9. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა დამყარებულია კრებითი პრინციპებზე.** მთელს საქართველოს ეკლესიას თავში უდგას: ა) სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება და ბ) საკათალიკოსო საბჭო კათალიკოსის თავმჯდომარეობით. ეპარქიას მოთავეობს: ა) საეპარქიო კრება და ბ) საეპარქიო საბჭო ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით. სამო ოლქს განაგებს: ა) საოლქო კრება და ბ) საოლქო საბჭო; ხოლო სამრევლოს მართავს: ა) სამრევლო კრება და ბ) სამრევლო საბჭო ადგილობრივ მღვდლის დახმარებითა და ხელმძღვანელობით.

**§10. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება.** ეს კრება შესდგება 120 წევრისაგან, რომელთა შორის 40 სამღვდლოების წარმომადგენელია (ცხრა-ცხრა ეპარქიებიდან და 4 ქალაქ თბილისიდან), ხოლო 80 მორწმუნეთა დელეგატი (თვრამეტ-თვრამეტი ეპარქიებიდან და 8 ქალაქ თბილისიდან). ამათ გარდა, კრების მუდმივ წევრებად ითვლებიან ყველა ქართველი ეპისკოპოსები. კრებას თავმჯდომარეობს კათალიკოსი, ხოლო როცა იგი არაა, ერთ-ერთი მღვდელმთავარი კრებისავე არჩევით. კრება ირჩევს საქმის მწარმოებელსაც. ამ კრების კომპეტენციას ექვემდებარება: ა) საეკლესიო კანონმდებლობა, ბ) საეკლესიო სამართალი, გ) ყოველგვარი საეკლესიო საქმეების გარჩევა და გადაწყვეტა, დ) პირველის კათალიკოსისა და საკათალიკოსო საბჭოს წევრების არჩევა. კრება არის ჩვეულებრივი – სამს წელიწადში ერთხელ და არა-ჩვეულებრივი, როცა საჭიროება მოითხოვს. კრება კანონიერია, თუ მასზე ყველა წევრების  $\frac{2}{3}$  მაინც გამოცხადდება. თუ კრება პირველ მოწვევაზე ვერ შესდგა, მეორედ მოწვეული კრება კანონიერია, უკეთუ დაესწრება არა უმცირეს ყველა წევრების  $\frac{1}{3}$ -სა.

**§11. საკათალიკოსო საბჭო.** საკათალიკოსო საბჭო შესდგება 8 წევრისაგან, რომელთა შორის 4 სამღვდლოების წარმომადგენელია და 4 მორწმუნეებისა (თითო ეპარქიიდან), არჩეულნი 3 წლის ვადით. საბჭოს თავმჯდომარეობს კათალიკოსი, ხოლო როცა იგი არ არის, ერთ-ერთი ეპისკოპოსი, რომელიც ამ შემთხვევისათვის სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მიერ იქნება წინდაწინვე არჩეული. საბჭოს ჰყავს საქმის მწარმოებელი და მისი თანაშემწე, რომელთაც იწვევს თვითონ საბჭო 3 წლის ვადით. ამ ორგანოს კომპეტენციას ექვემდებარება: ყოველგვარი საქმეები სრულიად საქართველოს ეკლესიის შესახებ – საკუთრივ საეკლესიო, სამოსწავლო და სამეურნეო, რომელთაც მას სრულიად საეკლესიო კრება დააკისრებს.

**§12. კათალიკოსი.** კათალიკოსი არის მხოლოდ „პირველი თანასწორ ეპისკოპოსთა შორის“ (მოციქულთა კანონი 34) და მარტოოდენ შემდგეს საქმეებში ეკუთვნის მას სხვა ეპისკოპოსთაგან განსხვავებული უფლებანი: ა) იგი თავმჯდომარეობს საკათალიკოსო საბჭოსა და სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას, ბ) უფლება აქვს მწყემსთ-მთავრულად მიმოიხილოს ყველა ეპარქიები, გ) მისს სახელს იხსენიებენ წირვა-ლოცვის დროს მასზე დამოკიდებული ეპისკოპოსები. საკათალიკოსო საბჭოსთან ერთად მას ეკუთვნის: აა) მზრუნველობა უეპისკოპოსოდ დარჩენილს ეპარქიებზე, ბბ) მიღება საჩივრისა ეპისკოპოსთა და საეკლესიო დაწესებულებათა შესახებ და გამოძიების დანიშვნა, გგ) უმაღლესი ხელმძღვანელობა

და ზედამხედველობა ყველა საეკლესიო საქმეებისა მასზე დამოკიდებულს ეპარქიებში, დღ) მიცემა დათხოვნითი სიგელებისა იმ ეპისკოპოსთათვის, რომელნიც ეპარქიიდან დროებით სხვაგან სადმე მიდიან, ეე) დასასრულ, იგი ხელმძღვანელობს საეპისკოპოსო კანდიდატების არჩევნებს საეპარქიო კრებაზე, ხოლო სხვა ეპისკოპოსებთან ერთად ხელდასხამს არჩეულ კანდიდატებს. მაგრამ დაწყება ისეთის საქმისა, რომელიც მთელს საქართველოს ეკლესიას შეეხება, კათალიკოსს შეუძლია მხოლოდ ყველა დანარჩენ ეპისკოპოსებისა და სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების თანხმობით და როგორც სხვა ეპისკოპოსები, იგიც ამავე კრების სამართალს ემორჩილება.

**§13. კათალიკოსის არჩევა და კურთხევა.** კათალიკოსს ირჩევენ ყველა ქართველი ეპისკოპოსები, წარმომადგენელი სრულიად საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებისა – რიცხვით 30 (რომელთაგანაც 15 ქართლის ეპარქიისაა, რადგან კათალიკოსი ამ ეპარქიისათვის მთავარ-ეპისკოპოსადაც ითვლება, ხოლო ხუთ-ხუთი დანარჩენი სამი ეპარქიიდან) და მორწმუნეთა დელეგატები რიცხვით 60 (ცამეტი-ცამეტი ოთხივე ეპარქიიდან და 8 ქალაქ თბილისიდან). როცა კათალიკოსის არჩევა და ეპისკოპოსთაგან მისი კურთხევა გათავდება, კრება წარუდგენს დასამტკიცებლად ხელმწიფეს და დამტკიცების შემდეგ აცნობებს როგორც უმაღლესს საერო მთავრობას, ისე ყველა ავტოკეფალურს ეკლესიებს.

**§14. საეპარქიო კრება.** საეპარქიო კრება შესდგება 90-ის წევრისაგან, რომელთა შორის 30 სამღვდელოების წარმომადგენელია და 60 მორწმუნეებისა. კრებას თავმჯდომარეობს ადგილობრივი ეპისკოპოსი, ხოლო როცა იგი არაა, თავმჯდომარეს კრება თვითონვე ირჩევს სამღვდლო პირთა შორის. კრებავე ირჩევს საქმის მწარმოებელსაც. კრება კანონიერია, თუ ყველა წევრების  $\frac{2}{3}$  გამოცხადდება, ხოლო განმეორებითი მოწვევის შემდეგ კრება კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრება არა უმცირეს ყველა წევრების  $\frac{1}{3}$ -ისა. საეპარქიო კრება არის ჩვეულებრივი – წელიწადში ერთჯერ და არა-ჩვეულებრივი – საჭიროებისადაგვარად. საეპარქიო კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) მღვდელ-მთავრისა, საკათალიკოსო და საეპარქიო საბჭოების წევრთა არჩევა და აგრეთვე არჩევა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისათვის დელეგატებისა, ბ) ყოველგვარი საეკლესიო საქმეების განხილვა და გადაწყვეტა ეპარქიაში.

**§15. საეპარქიო საბჭო.** საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარეობს ეპისკოპოსი, ხოლო როცა იგი არ არის, მაშინ საბჭოს წევრები თვის შორის ირჩევენ თავმჯდომარეს. ეპისკოპოსს გარდა საეპარქიო საბჭოში შედის 6 წევრი, რომელთაგან 2 ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელია (ერთი მღვდლებისა და ერთი მედავითნეების) და 4 მორწმუნეთა წარმომადგენელი. საბჭოს წევრები ირჩევიან 3 წლის ვადით. საქმის მწარმოებელს საბჭოსათვის ნიშნავს საეპარქიო კრება. საბჭოს სხდომა კანონიერია, უკეთუ მასზე გამოცხადდება არა უმცირეს 4 წევრისა. საბჭოს კომპეტენციას ეკუთვნის: ა) უმაღლესი ზრუნვა სარწმუნოებისა და ზნეობის დაცვა-განმტკიცებაზე ეპარქიაში, ბ) უმაღლესი თვალყურის დევნება სამონასტრო და საეკლესიო ქონებათა მართვა-გამგეობისა ეპარქიაში. ეს ქონება საეპარქიო საბჭოს უცნობელად არ უნდა იხმარებოდეს, გ) განხილვა იმ საქმეებისა, რომელთაც მას საოლქო კრება ან საოლქო საბჭო წარუდგენს, დ) უმაღლესი სასულიერო სამართალი ეპარქიაში, უკეთუ ამ სამართალს მიმართავს ვინმე, ე) უმაღლესი მეთვალყურეობა ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და საეკლესიო თანამდებობის პირთა მოქმედებისა ეპარქიაში, ვ) მის ნებადაურთველად არავის შეუძლია ტაძრის ან მონასტრის შენება დაიწყოს, ზ) საბჭოს შეუძლია მღვდელს მღვდელ-მოქმედება აღუკრძალოს, ლ) შეუძლია შეამციროს ან გააძლიეროს დადებული ეპიტიმია, თ) იგი ამტკიცებს საეკლესიო მიზნით დაარსებულ საზოგადოებათა, ანუ ძმობათა წესდებას, ი) შეუძლია მიიღოს და გაანაწილოს საეკლესიო საჭიროებათათვის კეთილმორწმუნე ქრისტიანეთაგან შეწირული ფული და უძრავ-მოძრავი ქონება, ია) დასასრულ, მას აქვს უფლება, აღნნას ქორწინების დროს ზოგიერთი დაბრკოლებანი, რომელნიც ნათესაურ კავშირიდან გამომდინარეობენ, აგრეთვე ზოგიერთი აღთქმანიც, გარდა ბერობის აღთქმისა.

**§16. ეპისკოპოსი. მისი უფლება და მოვალეობანი.** ეპისკოპოსს ეკუთვნის: ა) სრული უფლება მთელს ეპარქიაში ქადაგებისა, ბ) უფლება ყოველგვარის მღვდელ-მოქმედების

შესრულებისა, გ) უზენაესი ზრუნვა, რათა მის ეპარქიაში ყველა მორწმუნენი საღს საეკლესიო სწავლას იცავდენ, დ) სარწმუნოებრივს საქმეებში მასზე დამოკიდებული არიან ეპარქიის ყველა წევრები, ე) დასასრულ, ეპისკოპოსს ეკუთვნის უფლება, წირვა-ლოცვის დროს თავისი ეპარქიის სამღვდელოებისაგან იხსენიებოდეს.

ეპისკოპოსი **ვალდებულია:** ა) ყველაფერში პატივსა სცემდეს ყველა საეკლესიო დაწესებულებებს ეპარქიაში, რომელნიც კანონიერად არიან დაარსებულნი და იმ საქმეებში, რომლებიც აღნიშნულს დაწესებულებებს ექვემდებარება, მათი წესდების თანახმად იქცეოდეს, ბ) დაემორჩილოს საეკლესიო კანონებს და კანონიერად გამოცემულს დადგენილებათ როგორც საეკლესიო მთავრობისას, ისე სამოქალაქოსას, რამოდენადაც ამ უკანასკნელის დადგენილებანი საეკლესიო მიზანს არ ეწინააღმდეგება; როცა ამა თუ იმ საეკლესიო კანონის ან დადგენილების შესახებ აზრის ორჭოფობა დაიბადება, განსამარტებლად უმაღლესს საეკლესიო მთავრობას უნდა მიმართოს, გ) განუწყვეტლივ თავის ეპარქიაში იმყოფებოდეს, ხოლო საკუთარ საჭიროებისათვის ეპარქიიდან წასვლა შეუძლია მხოლოდ სათანადო მთავრობის (საკათალიკოსო საბჭოს) თანხმობით, დ) თავისს სამღვდელოებასა და სამწყსოს ხშირ-ხშირად უგზავნოს მოძღვრებითი ეპისტოლეები, რითაც ასწავლოს მათ ქრისტიანობრივი ჭეშმარიტებანი და მათთან ცხოველი კავშირი იქონიოს, ე) მიმოიხილოს ხოლმე თავისი ეპარქია, რათა მის მღვდმარეობას პირადათ გაეცნოს, ვ) ყველაფერში დაემორჩილოს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების დადგენილებას, ზ) საეპარქიო საბჭოსთან ერთად მოახსენებდეს ხოლმე აღნიშნულს კრებას ყველა ღირს-შესანიშნავ შემთხვევათა შესახებ მისს ეპარქიაში; აცნობებდეს მას თავისს ეპარქიის მიმოხილვის შედეგებსა და თანაც აღნიშნავდეს იმ ზომებს, რომელნიც საეკლესიო საქმეთა უკეთ მოსაწყობადაა საჭირო, ლ) როცა სათანადო მთავრობა მოიწვევს, სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე გამოცხადდეს, თ) უმაღლესი საეკლესიო მთავრობის უცოდინრად არა მოიმოქმედოს რა ისეთი, რაც მის უფლებას აღემატება, ი) წირვა-ლოცვის დროს კათალიკოსის სახელს იხსენიებდეს, ია) სხვის ეპარქიაში თავის ნებით არა დაიწყოს-რა, იბ) დასასრულ, პატივისცემით ეპყრობოდეს სხვა მღვდელ-მთავრებისა და საეპარქიო საბჭოების, ანუ საეპარქიო კრებების გადაწყვეტილებას.

**§17. ეპისკოპოსის არჩევა და ხელდასხმა.** ეპისკოპოსს ირჩევს, კათალიკოსის ან მისი რწმუნებულის ხელმძღვანელობით, კრება ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენლებისა რიცხვით 30 (20 სამღვდელო ხარისხის მქონეთა და 10 მედავითნეებისა) და მორწმუნეთა დელეგატებისა რიცხვით 60 (რომელთა შორის 5 საკათედრო ქალაქიდან), ხოლო ხელდასხმას კათალიკოსი და ორი ეპისკოპოსი, ან მარტო ორი ეპისკოპოსი. ეპისკოპოსის არჩევის დროს კრებას თავმჯდომარეობს ან თვით კათალიკოსი, ან საკათალიკოსო საბჭოს მიერ არჩეული პირი.

**შენიშვნა:** აღნიშნული კრებისათვის დეპუტატების არჩევის დროს სამღვდელო ხარისხთა მექონი ბერები (არქიმანდრიტები, იგუმენები, მღვდელ-მონაზვნები და ბერ-დიაკვნები) სამღვდელოებასთან ერთად ჰყრიან კენჭს, დანარჩენი ბერები კი – ერისკაცებთან ერთად. **მეორე აზრი:** არც ერთ ბერს, თუნდაც იგი სამღვდელო ხარისხითაც იყოს შემოსილი, უფლება არა აქვს საეპარქიო არჩევნებში ან საეკლესიო მართვა-გამგეობაში მიიღოს მონაწილეობა, რადგან მას, თავისი აღთქმის თანახმად, ერთხელვე უარი აქვს ნათქვამი საკუთარს ნება-სურვილზე და სანამ იგი ბერად დარჩება, ამ აღთქმასაც ძალა არ დაეკარგება.<sup>10</sup>

ცალკე პარაგრაფები ეთმობა საოლქო საძმოსს კრებისა და საოლქო საძმოს საბჭოს განმარტებას:

„**§18. საოლქო კრება და საოლქო საბჭო** – ორივე მარტო საკრებულო დაწესებულებაა. **საძმო საოლქო კრებაში** თანასწორის ხმით მონაწილეობას იღებენ ოლქის ყველა კრებულთა წევრები (მღვდლები, დიაკვნები და მედავითნეები). თავმჯდომარესა და საქმის მწარმოებელს

<sup>10</sup> ქურნალი „მწყემსი“, 1906, №1-2, 15-30 იანვარი, გვ. 6-15; საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადეს მერაბ ვაჩნაძემ და ვახტანგ გურულმა. ტომი II. თბილისი, 2008, გვ. 164-169.



კრება თვითონ ირჩევს. კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) საოლქო საბჭოს წევრებისა და თავმჯდომარის არჩევა სამ-სამის წლით, ბ) სამყო საბჭოს ყოველგვარი მოქმედების ანგარიშთა განხილვა, გ) სამყო საბჭოს წევრების ან კრებულთა წევრების უთანადო მოქმედების წინააღმდეგ აღძრული საქმეების განხილვა და გასამართლება, დ) ყოველგვარი საზოგადო სამყო საქმეები.

§19. **სამყო საოლქო საბჭო** შესდგება თავმჯდომარისა და 4-ის წევრისაგან, რომელთა შორის 3 მღვდლების წარმომადგენელია და 2 მედავითნეებისა; თავმჯდომარედ უსათუოდ მღვდელი უნდა იქნეს.

*შენიშვნა.* საბჭოს აქვს საკუთარი ბეჭედი.

საბჭოს კომპეტენციას ეკუთვნის: ა) სამღვდლო და სამთავრო კანდიდატის გამოცდა (მარტო ღვთისმსახურებისა და მღვდელ-მოქმედების ცოდნაში) და სათანადო მოწმობების მიცემა, ბ) ხელმძღვანელობა სამრევლო კრებათა, როცა ეს უკანასკნელნი კრებულის წევრებს ირჩევენ, გ) სამრევლო კრებულთა წევრებს შორის მომხდარ უთანხმოების განხილვა და გადაწყვეტა, დ) ზრუნვა სარწმუნოებისა და ზნეობის დაცვა-გაძლიერებაზე ოლქში, ე) გამგეობა საოლქო სამყო წიგნთსაცავ-სამკითხველოსი და მასზე ზრუნვა, ვ) გამგეობა სამყო კასისა, ზ) მოწვევა სამყო საოლქო კრებისა (2-ჯერ მაინც წელიწადში, ხოლო თუ საჭიროება მოითხოვს, უფრო ხშირადაც). კრება უნდა მოწვეულ-იქნას იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ამას მოითხოვს არა უმცირეს 5-ს საკრებულო პირისა, ზ) დასასრულ, ზრუნვა ოლქის სამღვდლოების გაჭირვებულ წევრთა, ქვრივთა და ობლებზე.<sup>11</sup>

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო დეტალი იყო გათვალისწინებული. პროექტში ასევე განხილული იყო, მრევლის, სამრევლო კრების, სამრევლო საბჭოს და კრებულის საკითხიც:

„§20. **მრევლი.** სამრევლოს გახსნა არ შეიძლება, თუ მორწმუნეთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ საკუთარი ტაძრისა და მღვდლის შენახვა არ შეუძლიათ. სამრევლოს უსათუოდ უნდა ჰქონდეს საკუთარი ტაძარი, ხოლო თუ ამავე სამრევლოში სხვა ტაძრებიცაა, იგინი ზედ-მიწერილ ტაძრებად ითვლებიან.

*შენიშვნა.* მრევლი, როგორც ერთის მიზნით და განსაზღვრულის წყობილებით შეერთებული საზოგადოება, იურიდიულს პირს წარმოადგენს.

§21. **სამრევლო კრება.** სამრევლო კრებას შეადგენს ყველა სრულ-წლოვანი მორწმუნე კაცი და ქალი (არა უმცირეს 21-ს წლისა).

*შენიშვნა.* ქალს, როგორც მამაკაცს, უფლება აქვს როგორც სხვა აირჩიოს, ისე თვითონაც არჩეულ-იქნას (დელეგატად, საბჭოს წევრად და ისეთს საეკლესიო თანამდებობაზე, რომლის შესახებაც წინდაწინვე არაფერი იქნება გადაწყვეტილი).

კრება თითონვე ირჩევს თავმჯდომარეს და, თუ საჭიროა, საქმის მწარმოებელსაც. კრება კანონიერია, უკეთუ მასზე მრევლის (სრულწლოვანები იგულისხმებიან)  $\frac{2}{3}$  მაინც გამოცხადდება; ხოლო თუ კრება პირველ მოწვევაზე ვერ შესდგა, მეორედ იგი კანონიერია, უკეთუ მას დაესწრება არა უმცირეს მრევლის  $\frac{1}{3}$ -სა. **არჩევნების დროს** საჭიროა კრებაზე მრევლის  $\frac{2}{3}$  გამოცხადდეს და არჩეულადაც მხოლოდ ის კანდიდატი ჩაითვლება, რომელსაც ერგება არა უმცირეს ყველა კენჭების  $\frac{3}{4}$ -ისა (თუ საჭიროება მოითხოვს, განმეორებითი კენჭის ყრაც შესაძლებელია. კენჭი ეყრება ორს კანდიდატს, რომელთაც ყველა დანარჩენ კანდიდატებზე მეტი კენჭი ერგოთ პირველი კენჭის ყრის დროს). **ჩვეულებრივს საქმეებს** კი კრება სწვევტს ხმის უბრალო უმეტესობით. ამავე წესრიგს ემორჩილება ყველა სხვა საეკლესიო კრებებიც (საოლქო, საეპარქიო და სრულიად საქართველოსი). სამრევლო კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) მღვდლისა და მედავითნის საბჭოს წევრთა არჩევა, ბ) ეკლესიისა და კრებულის შესანახ ხარჯის მორწმუნეთა შექმნისდაგვარად გაწერა, გ) სარწმუნოებრივ და ზნეობრივ დანაშაულთა თავის

<sup>11</sup> უურნალი „მწვემსი“, 1906, №1-2, 15-30 იანვარი, გვ. 6-15; საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადეს მერაბ ვაჩნაძემ და ვახტანგ გურულმა. ტომი II. თბილისი, 2008, გვ. 169-170.

წვერთა (=მორწმუნეთა) განსამართლება, დ) განსამართლება და სამართალში მიცემა სამრევლო საბჭოს წევრებისა სამსახურის აღსრულების დროს დაუდევრობისა, უფლების აღმატებისა და ბოროტ-მოქმედებისათვის, ე) აღძვრა საქმისა საოლქო, ანუ საეპარქიო საბჭოებისა, გინდ კრებათა წინაშე კრებულის წვერთა შესახებ მათი უთანადო მოქმედებისა და ცუდი ყოფაქცევისათვის.

**§22. სამრევლო საბჭო.** სამრევლო საბჭო შესდგება 5-ს წევრისაგან, რომელთაც სამრევლო კრება ირჩევს ერთის წლის ვადით; თავმჯდომარეს ირჩევენ თვის შორის თვითონ საბჭოს წევრები.

*შენიშვნა.* საბჭოს წევრებად მრევლს შეუძლია კრებულის წევრნიც აირჩიოს; ყოველს შემთხვევაში, კრებულის წევრთ სამრევლო საბჭოში სათათბირო ხმა მაინც უსათუოდ ეკუთვნისთ. კერძოდ, მღვდელი ამ საბჭოს ხელმძღვანელად ითვლება. საბჭოს აქვს საკუთარი ბეჭედი.

სამრევლო საბჭოს კომპეტენციას ეკუთვნის: ა) საეკლესიო უძრავ-მოძრავ ქონების მართვა-გამგეობა სამრევლოში, ბ) ყოველგვარი სტატისტიკური ცნობების შეკრება, რასაც კი სამრევლოს მართვა-გამგეობისათვის აქვს რაიმე მნიშვნელობა, გ) აკრფა საეკლესიო გადასახადისა მრევლში და მისი დანიშნულებისამებრ განკარგულება, დ) ზრუნვა ტაძრისა და ღვთისმსახურების კეთილ-მოწყობაზე, ე) ზრუნვა ქვრივ-ობლებისა და დარბებზე საქველ-მოქმედო აზრით, ვ) აღძვრა საქმისა იმ პირთ წინააღმდეგ, რომელნიც ეკლესიასა და მორწმუნეთა სარწმუნოებრივს გრძობას შელახავენ, ზ) მოწვევა სამრევლო კრებისა.

*შენიშვნა.* სამრევლო კრება უნდა მოწვეულ იქნას იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ამას მოითხოვს არა უმცირეს 20 მორწმუნისა.

**§23. კრებულნი.** კრებულს შეადგენენ: მღვდელი, დიაკონი (უკეთუ იგი არის) და მედავითნე.

ა) **მღვდელი. მისი მოვალეობანი.** მღვდელი ვალდებულია: აა) მუდამ თავის მრევლში იცხოვროს და სამრევლო საბჭოს ნებადაურთველად უფლება არა აქვს მრევლი დასტოვოს, განსაკუთრებით როცა იქ რაიმე მთავარი სენი განხდება, ან როდესაც სამრევლოს განსაცდელი რამ მოელის, ბბ) განსაკუთრებულ თვალ-ყურს ადევნებდეს საკუთარს ყოფა-ქცევას როგორც საზოგადოებაში, ისე თავის სახლში, გგ) აასრულოს საზოგადოებრივი ღვთისმსახურებანი საეკლესიო ტიბიკონით დაწესებულ დროებში, დდ) თავისი მრევლის მოთხოვნისამებრ დაუყოვნებლივ აასრულოს საჭირო მღვდელ-მოქმედებანი, ეე) თვალ-ყური ადევნოს ტაძრისა და საღვთისმსახურო საგნების სისუფთავესა და კეთილშეგნებებს, ვვ) თვალ-ყური ადევნოს მრევლში საეკლესიო დისციპლინისა და ზნეობის დაცვას, ხოლო ურჩს წევრებს მოძღვრული ჩაგონებაც გადასცეს, ზზ) როცა სამსახურის დროს ამა თუ იმ საკითხის შესახებ რაიმე ეჭვი დაებადება, მოვალეა, ახსნა-განმარტებისათვის საოლქოს ან საეპარქიო საბჭოს მიმართოს, მმ) მისს უპირველეს მოვალეობას შეადგენს ეკლესიაში ქადაგება და, საზოგადოთ, სწავლა-მოძღვრება. თუ ამ მხრივ იგი ზარმაცი ან დაუდევარია, სამსახურიდან დათხოვნილ იქნება, თთ) თავისს მრევლში მას უფლება აქვს სხვა მღვდელს რომლისამე მღვდელმოქმედების შესრულების ნება არ მისცეს; იი) დასასრულ, იგი მოვალეა, ღვთისმსახურების დროს თავისი ეპისკოპოსის სახელი მოიხსენიოს.

ბ) **დიაკონი (=მთავარი) და მედავითნე.** მთავარი და მედავითნე არიან მხოლოდ მღვდლის თანაშემწენი და უმისოდ არავითარი მღვდელმოქმედების შესრულება არ შეუძლიათ. ერთ მღვდელთან უსათუოდ ერთი მედავითნეც უნდა იყოს, ხოლო რომელ მრევლშიაც ორი ან მეტი მღვდელია, იმ მრევლს, თუ ჰსურს, მთავარიც შეუძლია იყოლოს. **კერძო აზრი:** რადგან თვით ცხოვრებამაც უარ-ჰყო მთავრის თანამდებობა, იგინი უნდა იყონ მარტო საკათედრო ტაძრებთან, ხოლო სხვაგან მთავრების ყოლა მრევლის სურვილზე ჰკიდია.

გ) **კრებულის წვერთა თვისებანი:** აა) **ფიზიკურის მხრით** კრებულის წევრად ასარჩევი კანდიდატი არ უნდა იყოს ყრუ, მუნჯი ან რომლისამე გადამდებ ხანგრძლივ სნეულებით შეპყრობილი. ამასთანავე, სამღვდელო და სამთავრო კანდიდატი უსათუოდ მამრი სქესისა უნდა იყოს. რაც შეეხება მედავითნეებს, საჭიროა იგინიც მამრი სქესისა იყვენ, ბბ) **გონებრივის მხრით**

საჭიროა სამღვდლო, სამთავრო და სამედავიტონო კანდიდატს საშუალო საზოგადო განათლება ჰქონდეს მიღებული, მაგრამ დროებით, სანამ ასეთი კანდიდატის შოვნა გასაჭირია, შესაძლოა, საკრებულო წევრთა კანდიდატად წამოყენებულ იქნას ისეთი პირიც, რომელსაც მიღებული აქვს არა უმცირეს დაბალის საზოგადო განათლებისა (მაგალითად, პროგიმნაზიისა, ოთხ-კლასიან სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებელთა კურსისა). ამასთანავე, როგორც სამღვდლო, ისე სამთავრო და სამედავიტონო კანდიდატმა უნდა იცოდეს წირვა-ლოცვისა და მღვდელმოქმედების წესები, რაც წინდაწინვე (არჩევნებამდე) უნდა იყოს შემოწმებული რომლისამე საოლქო საბჭოსაგან. ამგვარათ შემოწმებულ კანდიდატების სიები საჭიროა საეპარქიო საბჭოშიც ინახებოდეს. კანდიდატის **ზნეობრივ თვისებათა** გარკვევა და გამოცნობა თვით ამომრჩეველთა ნდობისა და სინიდისის საქმეა.<sup>12</sup>

**დ) კრებულის წევრთა არჩევა.** კრებულის წევრებს ირჩევს სამრევლო კრება, რომელსაც ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობას უწევს საოლქო საბჭო ან, მისივე მინდობილობით, ერთ-ერთი მისი წევრი. არჩევის შემდეგ საოლქო საბჭოს წარმომადგენელი შეადგენს საარჩევნო სიგელს და სამღვდლო და სამთავრო კანდიდატს წარუდგენს ეპისკოპოსს საკურთხად, ხოლო მედავიტონეს – დასამტკიცებლად.

*შენიშვნა.* საკათედრო კრებულის მდგომარეობის და რაოდენობის გარკვევა უნდა გადაიდგას საკათალიკოსო საბჭოს არჩევამდე.<sup>13</sup>

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტის მესამე თავი სრულად ეთმობა საეკლესიო ქონების საკითხსა და სამღვდლოების რჩენის წესს. საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტში კიდევ ერთხელ დაისვა ქართველი სასულიერო პირების რჩენის საკითხი. პროექტში უკვე ხმამაღლა გაუდერდა სამღვდლოების რჩენის წესის შეცვლის აუცილებლობა, თუმცა აღნიშნულ საკითხს სხვა რამ აბრკოლებდა კიდევ:

„§24. **ეკლესიის ქონებრივი უფლებანი.** როგორც იურიდიულს პირს, მრევლსა და სრულიად საქართველოს ეკლესიას უფლება აქვს სარწმუნოებრივისა და საქველმოქმედო მიზნით რაიმე ქონება შეიძინოს როგორც ყიდვით, ისე ანდერძით და შემოწირვით.

§25. **სამღვდლოების რჩენის წესი.** აუცილებლად საჭიროა შეიცვალოს არსებული წესი სამღვდლოების რჩენა-შენახვისა. დღევანდელი სამღვდლოება ჯამაგირს იღებს ხაზინიდან, ხოლო საზრდოს და წვრილ-წვრილ შემოსავალს – ხალხისაგან. აქედან წარმოსდგება თვით სამღვდლოების მდგომარეობის ორჭოფობა; იგი არც მთლად ხალხს ეკუთვნის და არც მთავრობას, რაიცა ჰქმნის მრევლის და სამღვდლოების გამწვავებულს ურთიერთობას. რომ ეს უხერხული მდგომარეობა მოისპოს და სამღვდლოება მარტო მორწმუნეებს ეკუთვნოდეს, საჭიროა სამღვდლოებას ინახავდეს მარტო ის, ვისაც იგი ემსახურება, ე.ი. მრევლსა, ანუ მორწმუნეებს. მასხადამე, პრინციპიალურად საჭიროა მრევლმა პირდაპირ თვითონ უზრუნველ-ჰყოს თავისი კრებული, საქართველოს ეკლესიამ – თავისი სამღვდლოება.

*შენიშვნა.* ჯამაგირს იღებს ნახევარი სამღვდლოებისა 400 მან. და ნახევარი კრებულთა 100 მანეთიდან 200 მანეთამდე და ზოგნიც სრულებით არ იღებენ ჯამაგირს.

§26. მაგრამ სანამ ის საეკლესიო ქონებანი, რომელნიც ხაზინის ხელში გადავიდა და დღესაც ხაზინის ხელში იმყოფება, ქართველ ხალხს არ დაუბრუნდება და სანამ იმ საეკლესიო ქონებათა ღირებულება, რომელნიც კერძო პირთა ხელშია გადასული, მომავალს საკათალიკოსო საბჭოს არ გადაეცემა საქართველოს ეკლესიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე, სანამ ის ჯამი, რომელიც დღეს ქართველ სამღვდლოებას ხაზინიდან ჯამაგირად ეძლევა, ხალხის სახელმწიფო გადასახადს არ ჩამოეკლება, მანამდე ქართველი სამღვდლოება მარტო ხალხს ვერ დააწვება სარჩენად. ამიტომ სანამ რუსეთის ან, კერძოდ, კავკასიის

<sup>13</sup> ქურნალი „მწყემსი“, 1906, №1-2, 15-30 იანვარი, გვ. 6-15; საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადეს მერაბ ვაჩნაძემ და ვახტანგ გურულმა. ტომი II. თბილისი, 2008, გვ. 170-172.

დამფუძნებელი კრება სამღვდლოების რჩენის საკითხს გადასწავებდეს, სახელმწიფო ვალდებულია ქართველ სამღვდლოებას ჯამაგირი აძლიოს, ხოლო მრევლმა იმდენი მისცეს, რამდენიც უზრუნველ-ყოფს მათ არსებობას<sup>14</sup>.

1905 წლის 18 დეკემბერს ქართველი სასულიერო პირების მიერ შემუშავებულ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ეკლესიაში მრავალი საკითხი იყო მოსაგვარებელი. აღნიშნული პროექტი კი ყველა საჭირობო საკითხს განმარტავდა, ისე, რომ საეჭვო და პასუხგაუცემელი კითხვები არ დარჩენილიყო. ფაქტიურად, 1905 წლის კრებამ შეამზადა ნიადაგი 1917 წლისათვის, როდესაც კვლავ აღდგა უკანონოდ გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

## Gvantsa Burduli

### Draft Plan of Reorganization of Georgian Orthodox Church (18 December 1905)

#### Summary

In 1811, Georgian Orthodox Church was made the annex of Russian bureaucratic system. Cancellation of autocephaly of Georgian church was followed by ravaging and robbing of church. Nevertheless Russian imperial government was not able to eliminate Georgian spirit in Georgian clergymen. Evidence of this was autocephaly movement commenced in Georgia from early 20<sup>th</sup> century.

Since spring 1905 the meetings of Georgian clergymen became more and more frequent, they demanded restoration of autocephaly of Georgian Apostle Church. From 1905, Georgian clergymen and civil have been sending letters to the Holy Synod of Russian church. From 7 to 18 December 1905, the meeting of Georgian delegates was arranged. At the meeting the (draft) plan for reorganization of Georgian Orthodox Church was developed. Goal of this work is to present the draft reorganization plan of Georgian work developed by the delegates and its significance.

---

<sup>14</sup> ჟურნალი „მწვემსი“, 1906, №1-2, 15-30 იანვარი, გვ. 6-15; საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადეს მერაბ ვაჩნაძემ და ვახტანგ გურულმა. ტომი II. თბილისი, 2008, გვ. 173.

თამარ ფხალაძე, ისტორიის დოქტორი

## ქართველი სამღვდელთა და ეროვნული სკოლა (XIX საუკუნის 80-90-იანი წლები)

ეროვნული მოძრაობის კარდინალურ საკითხს, რასაც ქართველი სამღვდელთა ხალხის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მისწრაფებების ამაღლებასაც უკავშირებდა, წარმოადგენდა ასიმილაციური სისტემის შემოტევისაგან უპირველესი ეროვნული საუნჯის – მშობლიური ენის – დაცვა. საეკლესიო ენის პრობლემა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ის პირდაპირ უკავშირდებოდა მოსახლეობაში სარწმუნოებრივი განცდის გაღრმავებას, მასში ქრისტიანული მორალის განმტკიცებას.<sup>1</sup>

ეკლესიის მსახურებს ყველაზე მჭიდრო და ქმედითი ურთიერთობა ჰქონდათ ხალხთან, ამ სახის კავშირის მნიშვნელობა იზრდებოდა იმითაც, რომ ეკლესია ფლობდა მოსახლეობაზე დადებითი გავლენის (სარწმუნოებრივი, ზნეობრივი, საგანმანათლებლო...) ბერკეტებს, რომელთა გამოყენებაც ფერხდებოდა მათ შორის არსებული ენობრივი ბარიერის გამო.<sup>2</sup>

მშობლიურ ენაზე ქადაგების აუცილებლობა არაერთ საგაზეთო წერილშია დასაბუთებული, განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მეტწილად მათი ავტორები სასულიერო წოდების წარმომადგენლები არიან. ისინი პრობლემისადმი სწორი მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე განმარტავენ ღვთისმსახურების დედა ენაზე წარმართვის მიზანშეწონილობას.<sup>3</sup>

რეალობის სირთულე სასურველი მიზნის განხორციელებას ხელს როდი უწყობდა – ქართული ენის სავალალო მდგომარეობა მისი გამოყენების შესაძლებლობებს უკიდურესად ზღუდავდა: „ქართულის ენის, ქართულის ლიტერატურის საეროსი თუ სასულიეროსი, ქართულის ისტორიისა საეკლესიოს და სამოქალაქოსი აქ სახსენებელიც არ მოიპოვება...“<sup>4</sup> – ასე აღწერენ თანამედროვენი სასულიერო სფეროში არსებულ არასახარბიელო ვითარებას. აღნიშნულის საპირისპიროდ სამღვდელთა პრინციპულად აყენებდა სასულიერო სასწავლებლებში მშობლიური ენისა და საეკლესიო საგნების: საღვთო სჯულისა და ღოცვების ქართულად სწავლების მოთხოვნას. ეს საგნები, როგორც წესი, რუსულად, აღსაზრდელთა უმრავლესობისათვის გაუგებარ ენაზე ისწავლებოდა, რაც შეუძლებელს ხდიდა მის, ისედაც რთულ შინაარსში წვდომას, მოცემული ცოდნის გათავისებას. ყოველივე ეს, ქართველი სამღვდელთა აზრით, აბრკოლებდა, როგორც მოსწავლეთა შემეცნებითი ძალების განვითარებას (მიღებული ცოდნის სქემატურობაზე რომ არაფერი ვთქვათ), ისე მათ აღზრდას ეკლესიური მოთხოვნების შესაბამისად.<sup>5</sup>

ქართული ენის დაცვისათვის ბრძოლის გამოძახილი იყო საეკლესიო პირთა ყრილობები, რომლებზეც ერთსულოვნად იღებდნენ სასწავლებლებში და ეკლესიებში მშობლიური ენის გამოყენების გადაწყვეტილებას. ამ მხრივ, ნიშანდობლივია 1882 წლის კრების დადგენილება:

<sup>1</sup> ჟურნალი „ივერია“, 1882, №11, გვ. 99.

<sup>2</sup> ჟურნალი „ივერია“, 1881, №7, გვ. 137-138.

<sup>3</sup> ჟურნალი „ივერია“, 1882, №11, გვ. 101.

<sup>4</sup> ჟურნალი „ივერია“, 1882, №11, გვ. 101.

<sup>5</sup> გაზეთი „ღრუბა“, 1885, №73.

ბერძნულისა და ლათინურის სწავლებისათვის გამოყოფილი საათები მთლიანად დათმობოდა ქართულს.<sup>6</sup>

აღნიშნული საკითხი ღრმა თეორიულ დონეზე განხილული გაზეთ „დროების“ მიმოხილვებში. მათში ძირითადი აქცენტი გადატანილია თანამედროვე პედაგოგიურ მოთხოვნათა საფუძველზე არსებული საგანმანათლებლო სისტემის ძირეულ (თვისობრივი) რეორგანიზაციის საჭიროებაზე. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების ბაზისურ პირობად კი აღიარებულია მშობლიური ენის მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესება.

ქართველ პატრიოტ-მოდერნიზატორთა საერთო ძალისხმევას, საზოგადოების სულ უფრო მზარდ ინტერესს სასკოლო-საეკლესიო პრობლემატიკისადმი შეუძლებელია არ მოჰყოლოდა სათანადო (რა თქმა უნდა ფორმალური ხასიათის) დათმობები ხელისუფლების მხრიდან. მოსახლეობაში საპროტესტო განწყობილების ზრდის შიში მმართველობას აიძულებდა ეღიარებინა ქართული ენის საგანმანათლებლო ფუნქცია.

კომპრომისულ გადაწყვეტილებათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ქართულ სკოლებში საღვთო სჯულის მშობლიურ ენაზე სწავლების უფლების დაშვება: „რადგან, საღმრთო ისტორია ისეთი საგანია, რომ შევირდმა, არამც თუ უნდა ისწავლოს, უნდა შეიყვაროს კიდევ, მის ზნეობრივ გაელენას დაუმორჩილოს მთელი თავისი არსება“.<sup>7</sup> ასეთი მოტივი ედო საფუძველად საეგზარქოსოს შესაბამის გადაწყვეტილებას. ამ სახის დათმობები საკმარისი როდი იყო საგანმანათლებლო სისტემის რუსიფიკატორული არსის შესაცვლელად, რაც წარმოადგენდა კიდევ ქართველი სამღვდელთა ნაწილის ბრძოლის საგანს. ისინი სავსებით სწორად აცნობიერებდნენ მშობლიური ენისათვის სრული უფლების მინიჭების მნიშვნელობას მთელი საზოგადოების კულტურული და ზნეობრივი მდგომარეობის გაუმჯობესების, თავისუფლებისათვის ბრძოლაში წარმატების მიღწევის თვალსაზრისით. „ეს მცირე ნაბიჯი წარმატების გზაზედ წინ წარვდგით და დაგვრჩენია მხოლოდ ვისურვოთ, რომ პირველს ნაბიჯს მეორე და მესამეც ზედ მოჰყავდეს და ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენის დედა-ენის მასწავლებელნი თავიანთს ახალს ალაგებზე მათს უწმინდესს მოვალეობას სამშობლოს წინაშე ისე მოეკიდებიან, როგორც შეშვენის თავიანთ ქვეყნისათვის გულშემატკივარ მამულის – შვილებს“.<sup>8</sup>

ქართველი სამღვდელთა პატრიოტულ მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ თვალსაჩინო სასულიერო მოღვაწეები, რომელთა ეროვნული და საგანმანათლებლო პოზიციები მიმართული იყო თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. ასევე თვალსაჩინო იყო მათი როლი ქართული კულტურისა და მწიგნობრობის განვითარებასა თუ დედა ეკლესიისათვის ისტორიულ-ტრადიციული შინაარსის შენარჩუნებაში.

მშობლიურ ენაზე სწავლების მოთხოვნას გამორჩეული ადგილი უკავია გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) მდიდარ თეორიულ მემკვიდრეობაში. მღვდელმთავარი სავსებით სწორი პედაგოგიური და რელიგიური თვალსაზრისით (არგუმენტაციით) ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას და მისი რეალიზაციისთვის პრაქტიკულ ნაბიჯებსაც ღებდა.<sup>9</sup> გაბრიელ ეპისკოპოსი არანაკლები პრინციპულობით აყენებდა საეკლესიო მსახურების ქართულ ენაზე წარმოების მოთხოვნას და შეუვალი დებულებებით ასაბუთებდა მეგრულ-სვანური ღოცვების კრებულის შეთხზვის მიზანშეუწონლობას.

საეკლესიო პირთა პასუხისმგებლობას ზრდიდა ის გარემოებაც, რომ მათ ხალხის სულიერ მოძღვრობასთან ერთად, მათი განათლების მისიაც უნდა ეკისრათ. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკისრებოდა სათანადო მომზადებისა და სულისკვეთების კადრის

<sup>6</sup> გაზეთი „დროება“, 1882, №248.

<sup>7</sup> მ. ხუციშვილი. საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული დონისძიებები რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერიოდში. თბილისი, 1972, გვ. 80.

<sup>8</sup> გაზეთი „დროება“, 1883, №167.

<sup>9</sup> მ. ხუციშვილი. საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში. თბილისი, 1987, გვ. 39.

შერჩევას. ხალხის ზნეობრივ და გონებრივ წინსვლას მხოლოდ ამ წიაღიდან გამოსული, მოსახლეობის მოთხოვნილებებისა და ზნე-ჩვეულებების გამთავისებელი მოძღვარი თუ შეუწყობდა ხელს. სწორედ ასეთ მოთხოვნას აყენებს გაბრიელ ეპისკოპოსი იანოვსკისთან პაექრობისას: „ნუთუ ბატონმა მზრუნველმა არ იცის, რომ ქრისტიანთა მოძღვრად უნდა იყოს აუცილებლად ადგილობრივი მკვიდრნი, მცოდნენი სამწყსოს ენისა და ჩვეულების ეს ქრისტიანული ეკლესიის მართვა-გამგეობის ძირითადი კანონია. სული წმინდა იმიტომ გადმოვიდა მოციქულზე ასწავლა ენანი მრავალნი, რათა ყოველ ერსა და ტომს ყურად ელო სამშობლო ენაზე სახარება ქრისტესი. როგორი უნდა იყოს მოძღვარი, რომელსაც არ გაეგება ენა, წესი და ადათი თავისი სამწყსოსი?“<sup>10</sup>

ქვეყნის კეთილდღეობისათვის მეტროპოლიტა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე), რომელიც ქმედით დახმარებას უწევდა საეკლესიო სასწავლებლებს – გორის ეპარქიის ხელმძღვანელობისას მან სოლიდური თანხა შეაგროვა სასულიერო სემინარიაში ქართული ენის კათედრის დასაარსებლად. იმერეთის ეპისკოპოსად გამწესებული მღვდელმთავარი ჩვეული მონღომებით იღწვოდა სასწავლებლის მოწყობისა და მათში სწავლების ქართულ ენაზე წარმართვისათვის. ნიშანდობლივია, რომ მოსახლეობა მის ღვაწლს სათანადოდ აფასებდა და ემადლიერებოდა: „...ჩვენ, გურულები განსაკუთრებით დავაღებულები ვართ მისი მობრძანებით, რადგან ის ჩვენთვის იქნება არა თუ სარწმუნოების და ზნეობის მასწავლებელი, არამედ თვით ჩვენი ცხოვრების პროგრესული მოძრაობის მოთავე. მოსვლისთანავე პირველი მისი ბაასი ჩვენთან იყო საჭიროებაზედ ჩვენი დედა-ენის მდგომარეობის გაუმჯობესებისა სკოლებში... აგრეთვე, დიდი ბაასი ჰქონდათ მის ყოველად უსამღვდელოებასთან ქართული და რუსული გალობის შემოღებაზე, გურიის სამოქალაქო სკოლებში...“<sup>11</sup>

ეკლესიებში ქართული გალობისა და ღვთისმსახურების ადგენის უფლებებისათვის იღწვოდა ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე). მას გამორჩეული როლი მიუძღვის საეკლესიო-სამრევლო სკოლების დაარსებასა და მათში სასწავლო პროცესის მშობლიურ ენაზე ორგანიზებაში. ამ უაღრესად ეროვნულ საქმიანობაში ხელშემწყობ გარემოებად იქცა ეპისკოპოსის ნაყოფიერი მოღვაწეობა „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მისიონერად და ამავე საზოგადოების სკოლების ინსპექტორად. სწორედ აღნიშნულმა თანამდებობამ გაუხსნა ფართო ასპარეზი მის აქტიურ საეკლესიო-საგანმანათლებლო საქმიანობას საინგილოში, ფშაგ-ხევსურეთში, მთიულეთსა თუ საქართველოს სხვა კუთხეში. ეროვნულ ნიადაგზე მოწყობილი სასწავლებლების გახსნის პარალელურად, ეპისკოპოსი ლეონიდი შემწეობას არ აკლებდა ხელმოკლე ოჯახებს, პირადად ზრუნავდა მათი შვილების განათლებისათვის – ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ეპისკოპოსის ინიციატივით დაარსებულ სასულიერო წოდების ღარიბთა სამზრუნველოს.

უაღრესად მნიშვნელოვანი და დასაფასებელი როლი შეასრულა ეპისკოპოსმა ლეონიდემ ქართველ მუსლიმთა განათლების, მათი კულტურისა და ეროვნული შეგნების ამადლების პროცესშიაც. სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა მისი მრავალმხრივი – საეკლესიო-მისიონერული, საგანმანათლებლო და კულტურულ-საზოგადოებრივი საქმიანობა საინგილოში.<sup>12</sup> აქ ეპისკოპოსის პირადი ძალისხმევით დაარსებულ იქნა რამდენიმე ელემენტარული (გარეგნულად საეკლესიო-სამრევლო ტიპის) სკოლა, რომლებიც ეროვნული გადაგვარების საშიშროების წინაშე მდგარი ქართველებისათვის (ინგილოებისათვის) მშობლიურ ენასა და კულტურასთან შეხების ერთადერთ საშუალებად იქცა.

გარდა ნაყოფიერი საეკლესიო-საგანმანათლებლო მოღვაწეობისა ეპისკოპოსი ლეონიდე არაერთი მამულიშვილური წამოწყების ინიციატორი იყო. უშუალოდ მისი თაოსნობით მოხერხდა

<sup>10</sup> გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 1991, №90.

<sup>11</sup> გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 1991, №90.

<sup>12</sup> ქეთევან პავლიაშვილი. საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში. თბილისი, 1996. გვ. 201.

მრავალი უნიკალური საეკლესიო-ისტორიული ნივთისა და ხელნაწერის მიგნება და კვალიფიციური შესწავლა. აღსანიშნავია, რომ ეპისკოპოსად განწესებული ლეონიდე საკუთარი ეპარქიის ეკლესია-მონასტრების წინამძღვრებს ავალებდა აღნუსხათ (აღწერილობათა დართვით) ყველა საეკლესიო ნივთი (ხელნაწერი) და მათი ისტორიული მნიშვნელობის დადგენის შემთხვევაში გადაეგზავნათ თბილისის საეკლესიო და ისტორიულ ნივთთა სიძველეთ-საცავში, რომელსაც წლების მანძილზე პირადად ხელმძღვანელობდა.<sup>13</sup>

დიდა ეპისკოპოს ლეონიდეს როლი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისათვის სათანადო იდეურ-პრაქტიკული საფუძვლების მომზადებისა და XX საუკუნის დამდეგისათვის ამ მიზნის განხორციელებაში. ეპისკოპოსის ეროვნული პოზიცია, მისი შეუპოვრობა ეკლესიის რუსიფიკატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში თვითმპყრობელობისათვის საკმარისზე მეტი საფუძველი აღმოჩნდა მღვდელმთავრის საქართველოდან გაძევებისა და მისთვის ღვთისმსახურების უფლების ჩამოსართმევად.

მშობლიური ენის შეუცვლელობაზე გარკვევით საუბრობდა კირიონ საძაგლიშვილი: „...საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ სამშობლო ენის შესწავლა და ცოდნა დიდი განძია ყველა ერისათვის. ყველა შეგნებული ელემენტის ვალია მეცადინეობა იმისათვის, რომ ჯეროვანი ადგილი მოუპოვოთ დედა-ენას სკოლებში...“<sup>14</sup>

სწავლებისა და საეკლესიო მსახურების მშობლიურ ენაზე წარმართვისათვის ბრძოლას ეპისკოპოსი კირიონი მთლიანად უკავშირებდა ქართველი ხალხისა და საქართველოს ეკლესიისათვის ეროვნულ-ტრადიციული სახის შენარჩუნებასა და პერსპექტივაში სახელმწიფოებრივ-ეკლესიური დამოუკიდებლობის აღდგენას. ეპისკოპოსის ბრძოლას რუსიფიკაციის წინააღმდეგ ხელისუფლების მხრიდან მკაცრი რეპრესიები მოჰყვა სამშობლოდან გაძევება, ღვთისმსახურების უფლების ჩამორთმევა. მიუხედავად სასტიკი დევნისა კირიონს არასოდეს შეუწყვეტია აქტიური საეკლესიო საქმიანობა, არ შეუნელებია ბრძოლა ქართული ეკლესიის გაეროვნულებისა და ავტოკეფალურობისათვის. მღვდელმთავრის მრწამს საეკლესიო ცხადად გამოხატავს მისი სიტყვები: „მაშინ ჩაითვლები ადამიანად, თუ სამშობლოს სათაყვანებელ ხატად გაიხდი“.<sup>15</sup>

ეპისკოპოსი კირიონი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა მის თანამედროვე დიდ ქართველ მოღვაწეებში. ქართველი საზოგადოების სახელოვანი წარმომადგენლები პატრიოტ საეკლესიო პირთა ბრძოლას ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის სრულ თანაგრძნობას უცხადებდნენ და საამისოდ კონკრეტულ ნაბიჯებსაც დგამდნენ – თერგდალეულთა ეროვნული პროგრამა ხომ სავსებით ეხმიანებოდა მათ სულისკვეთებას. ამიტომაც იყო, რომ კირიონის საქართველოდან გასახლებას, რაც ეროვნულ ძალთა წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების გაძლიერების მაწველებელი იყო, მწვავე გამოხმაურება მოჰყვა ქართველი ინტელიგენციის მხრიდან: „კირიონის ამბავმა ღაზი გამიყარა!... რაც იმელები მქონდა სულ გამიქარწყლდა...“ – წერდა აკაკი წერეთელი.<sup>16</sup>

ეპისკოპოს კირიონის მრავალმხრივ მოღვაწეობას არა მხოლოდ საქართველოში იცნობდნენ. ის, როგორც საქართველოს ეროვნული და ეკლესიური თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი, თვითმპყრობელობის მხაგრეული რეჟიმის უდრეკი მოწინააღმდეგე, უცხოეთშიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და პროგრესულ, დემოკრატიულ წრეებშიც არაერთი მხარდამჭერი ჰყავდა. კერძოდ, აღსანიშნავია ბელგიის „კაცთა უფლების ლიგის“ ხელმძღვანელის ეორჟ ლორანის მიერ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის ხამიაკოვისადმი გაგზავნილი ოფიციალური წერილი, სადაც კირიონის უდანაშაულოდ ცნობისა და შეწყალების მოთხოვნაა წამოყენებული.

<sup>13</sup> ილ. ნებოძირელი. იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი. თბილისი, 1902, გვ. 13-14.

<sup>14</sup> გაზეთი „დროება“, 1909, №96.

<sup>15</sup> გაზეთი „სახალხო განათლება“, 1990, №8, გვ. 3.

<sup>16</sup> გაზეთი „სახალხო განათლება“, 1990, №30, გვ. 8.



კირიონს სავსებით ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ეკლესიის თავისუფლებისათვის ბრძოლის განსაკუთრებული მნიშვნელობა. მისი განმარტებით საკითხის სიმწვავე მარტოოდენ საეკლესიო სფეროსა და ეკლესიის მართვის პრობლემატიკით არ განისაზღვრებოდა, არამედ ეკლესიის აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიციის გათვალისწინებით, მისი დამოუკიდებლობა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის, ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების მოპოვების რთულ, მაგრამ უსათუოდ მისაღწევ საქმეში საწინდრად, ძირითად მასტიმულირებელ მუხტად უნდა ქცულიყო: „ნურვინ იტყვის, რომ ეკლესიამ თავისი დრო მოჰამა, რომ ეხლა არა კულტურული, არამედ ანტიკულტურული ძალაა: მას კიდევ შესწევს იმდენი ძალა, რომ ხალხს ემსახუროს, გაუნათოს მას გზა უმჯობესი მომავლისაკენ... მან ხელი უნდა შეუწეოს ჩვენს განმტკიცება-გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენ ვპოვოთ შესაფერისი და დამსახურებული ადგილი“<sup>17</sup> – ასეთია ეპისკოპოს კირიონის ეროვნულ-საზოგადოებრივი და საეკლესიო მრწამსი.

ეპისკოპოსი კირიონი საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის მკვლევარიცაა. მას სწორად ესმოდა ისტორიის როლი და მნიშვნელობა ხალხის გამოფხიზლების, მათში ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების საქმეში. კირიონს არაერთი საყურადღებო ნაშრომი ეკუთვნის საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიაში, ეპისკოპოსი წარმატებით იკვლევდა ფოლკლორულ მასალებს, არანაკლები შედეგი მოჰყვა მის სამეცნიერო მოგზაურობებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (კახეთში, ქართლში, აფხაზეთში) – პირადად აღმოაჩნდა და შეისწავლა არაერთი ხელნაწერი და არქეოლოგიური ძეგლი: მიაგნო კახეთის დედოფალ თინათინის საფლავს; ხელმძღვანელობდა მცხეთისა და ალავერდის ტაძრების არქეოლოგიურ შესწავლას, მათ აღდგენა-რესტავრაციას. ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობისათვის ეპისკოპოსი მოსკოვისა და კიევის არქეოლოგიური საზოგადოებების საპატიო წევრად იქნა არჩეული.

კირიონს გადაწყვეტილი ჰქონდა უცხოეთში არსებული ქართული სავანეების მონახულება, მათი წიგნსაცავების შესწავლა და ქართული ხელნაწერების სამშობლოში ჩამოტანა. ამ მიზნით მან თხოვნით მიმართა უწმიდეს სინოდს – მისცემოდა პალესტინის ქართულ ეკლესიაში გამგზავრების უფლება, მაგრამ მღვდელმთავრის ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი აღმოჩნდა – მთავრობამ, რომელიც ეპისკოპოსს უნდობლად ეკიდებოდა და, არც საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გამდიდრებით იყო დაინტერესებული, კირიონს უცხოეთში გამგზავრების ნება არ დართო (1902 წ.).<sup>18</sup>

კირიონის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადმა შედეგებმა ასახვა ჰპოვა მის სამეცნიერო-პუბლიცისტურ ნაშრომებში: „ქართული ეკლესიის ისტორია“, „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიისათვის“, „დავით გარეჯელი და მისი მღვიმე“, „ქართველი სამღვდლოებისა და ეკლესია-მონასტრების როლი საზოგადოებისა და ეროვნული ეკლესიის წინაშე“ და სხვ.

ცარიზმის განზრახვას გაემლიერებინა ეკლესიისა და სასულიერო სასწავლებლების რუსიფიკაცია, საბოლოოდ ამოეძირკვა ქართული ენა, მძაფრ წინააღმდეგობას უწევდა ეპისკოპოსი ამბროსი ხელაია. დიდია მისი წვლილი რეაქციონერ საეკლესიო ჩინოვნიკთა გამოაშკარავებასა (ეპისკოპოსი არსენ იზოტოვი) და მათი ანტიქართული საქმიანობის ასპარეზის შეკვეცაში. აღსანიშნავია, რომ ეპისკოპოსის სწორმა (ქმედითმა) ეკლესიურ-ეროვნულმა პოზიციამ მნიშვნელოვნად შეაფერხა თვითმპყრობელობის გამთიშველი პოლიტიკა, რაც აფხაზი და ქართველი ხალხის ხელოვნურ დაპირისპირებას ითვალისწინებდა.

ეპისკოპოსის ღრმა პატრიოტიზმი, ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ბრძოლისათვის მზადყოფნა, ვერც ბოლშევიკურმა ტირანიამ შეანეღა. საყოველთაოდ ცნობილია კათალიკოს ამბროსი ხელაიას მემორანდუმის

<sup>17</sup> გაზეთი „სახალხო განათლება“, 1990, №30, გვ. 8.

<sup>18</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1902, №1833.

შინაარსი, რომლითაც მან, უმძიმესი ტერორის წლებში, გენუის საერთაშორისო კონფერენციას მიმართა და მსოფლიო თანამეგობრობას საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში თანადგომისაკენ მოუწოდა.

ამბროსი ხელაია ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იყო. დიდი დამსახურება მიუძღვის მას ქართული საისტორიო წყაროების, განსაკუთრებით ძველი ხელნაწერების შეგროვების საქმეში. აღსანიშნავია, რომ ამბროსი ხელაიამ აღმოაჩინა ჭელიშის „მოქცევაი ქართლისაი“-ს მანამდე უცნობი ვარიანტი, რაც ეპისკოპოსის სერიოზული კვლევის საგანი გახდა (წარმოებული კვლევის შედეგებით მღვდელმთავარი თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო სხდომის წინაშე წარსდგა). ამბროსი ხელაიას მეცნიერულ მემკვიდრეობაში უდაოდ გამოჩნეულია მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომების ციკლი (იბეჭდებოდა ჟურნალებში „განთიადი“ და „ცხოვრება“).<sup>19</sup>

როგორც ვხედავთ, ქართველი სამღვდელოების თვალსაჩინო წარმომადგენლები მნიშვნელოვანი გამოკვლევებით ამდიდრებდნენ ისტორიულ მეცნიერებას. მათ საყურადღებო ნაშრომები მიუძღვნეს საქართველოს ეკლესიის წარსულს; ცალკეულ მოწამეთა, სარწმუნოებრივი დედაწლის დამდებთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას; აღწერეს და შეისწავლეს ქართული ქრისტიანული კულტურის მდიდარი ტრადიციები, რითაც ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ისტორიული მეცნიერების წინსვლას და ხალხის ეროვნული თვითშეგნების გადრმაგებას. ამავე მიზანს ემსახურებოდა საქართველოსა თუ იმპერიის მრავალ ნაწილში გაფანტული ქართული ისტორიული საუნჯის: ძველი ხელნაწერების, ძვირფასი საეკლესიო ნივთების, სხვადასხვა სახის ეთნოგრაფიული ელემენტების შეკრება-აღნუსხვასთან დაკავშირებული საქმიანობა, რაც მტკიცე მეცნიერულ საფუძველს ქმნიდა ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-განზოგადებისათვის.

ქართული კულტურისა და ენის დაცვა-აღორძინების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ეპისკოპოსმა გიორგიმ (აღადაშიელმა). სწორედ მის სახელს უკავშირდება ქუთაისის სასულიერო სემინარიის დაარსება. სხვადასხვა ეპარქიების (გურია-სამეგრელო, იმერეთი) წინამძღვრობისას იგი დიდ დროსა და ენერგიას ახმარდა სასულიერო სასწავლებლების გახსნას, მათში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დახვეწას. შეუპოვარი იყო მისი პოზიცია მშობლიური ენის საგანმანათლებლო და საღვთისმსახურო ფუნქციების დაცვისათვის ბრძოლაში.

ეროვნულ მოღვაწეთა სახელოვანი პლეადის წარმომადგენელია ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე). მან სრულიად გამოააშკარავა თვითმპყრობელობის მზაკვრული ჩანაფიქრი - ენობრივი ბარიერის შექმნით ხელოვნურად გაემიჯნა ერთმანეთისაგან მოსახლეობა და ეკლესია. დავით ეპისკოპოსის აზრით, ერის გადაგვარების საშიშროება არსებულ სასკოლო ქსელში, სწავლების დამკვიდრებულ პრაქტიკაში იყო საძიებელი, რომელიც ეროვნულ და უახლეს პედაგოგიურ მოთხოვნათა საფუძველზე აუცილებლად უნდა შეცვლილიყო.

ქართული სასულიერო წოდების ღირსეული წარმომადგენელია დეკანოზი დავით დამბაშიძე. მის სახელს უკავშირდება ჟურნალ „მწვემის“ გამოცემა, რომელიც სრულიად გამოსატყავდა ქართველი სამღვდელოების ჭეშმარიტად ეროვნულ-სარწმუნოებრივსა და პროგრესულ საზოგადოებრივ პოზიციას. ჟურნალში სათანადო ასახვა ჰპოვა საეკლესიო სფეროში აღნუსხულმა პრობლემატიკამ, განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართველი საზოგადოების სარწმუნოებრივი შეგნების ამოღებაში, ხალხსა და ეკლესიას შორის ხელოვნურად აღმართული ბარიერის დაძლევისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის ზეობის მიუხედავად, ეკლესიისთვის ეროვნული სახის შენარჩუნებაში. ცალკე საუბრის თემაა ის მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები და კორესპონდენციები, რომლებშიც თვითმპყრობელობის კოლონიზატორული საგანმანათლებლო კურსის გამოაშკარავების პარალელურად, დასაბუთებული იყო არსებული სასკოლო სისტემის, სწავლების საშუალებებისა და ცოდნის

<sup>19</sup> გაზეთი „სახალხო განათლება“, 1989, №15, გვ. 8-9.

ხარისხის გაუმჯობესებისა და მოწინავე ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების აღორძინების აუცილებლობა.

ასევე აღსანიშნავია მღვდელ ანტონ კეკელიას მოღვაწეობა. გურია-სამეგრელოს ეპარქიაში მისი თაოსნობით 15 საეკლესიო სკოლა გაიხსნა, რომლებშიც სასწავლო პროცესი, უშუალოდ ანტონ კეკელიასა და სხვა შეგნებულ სასულიერო პირთა მეცადინეობით, სათანადო წარმატებით და, რაც მთავარია, მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. ანტონ კეკელია თავად იყო ქართველი პედაგოგიური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი: ასწავლიდა საღვთო სჯულს, მათემატიკას, უცხო ენას; დაუღალავად იღვწოდა მოზარდების ზნეობრივი და გონებრივი განვითარებისათვის, სამშობლოს ღირსეულ მოქალაქეებად, ქვეყნისა და ხალხის სიყვარულის სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის. ანტონ კეკელია პედაგოგიურ საქმიანობას შესანიშნავად უთავსებდა სხვა სახის აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მის სახელს უკავშირდება ეპარქიაში სამკითხველოების, ფოსტის, საავადმყოფოების, სასამართლოებისა და სხვა დაწესებულებების დაარსება, რასაც ადგილობრივ მაცხოვრებელთა კულტურული დონის შესამჩნევი ამაღლება, მათი ყოფითი და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვა.<sup>20</sup>

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს სხვა სასულიერო პირებმაც: მიხეილ მახათაძემ, იონა ნაჭყევიამ, ამბაკო თოფურაძემ, სვიმონ ნოდიამ, სამსონ კვაჭანტირაძემ, დიმიტრი მარღანიამ და ა.შ. უდაოდ დასაფასებელია მათი პატრიოტიზმი, შეუპოვარი ბრძოლა მშობლიური ენისა და ეროვნული ეკლესიის დაცვისათვის.

ქართველი სამღვდელოებისა და საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ქართული ენის მდგომარეობა ქალთა სასწავლებლებში. პრობლემის მნიშვნელობის განმარტებისას აქცენტი კეთდებოდა დედის (საზოგადოდ ქალის) როლზე მომავალი თაობების აღზრდის პროცესში, რაც გულისხმობდა მათ განმსჭვალვას ურყევი ეროვნული იდეალებით, მარადიული ზნეობრივი პრინციპებით.

ასეთი მაღალი საზოგადოებრივი საქმიანობის გაწევა სათანადო მომზადებას მოითხოვდა. სწორედ ამიტომ მიაჩნდა ქართველ სამღვდელოებს არსებული საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ნაკლად ქალთა სასწავლებლების სიმცირე დამატებით პრობლემებს ჰქმნიდა მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია, სკოლების მატერიალური მხარე თუ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას აუცილებელ პედაგოგიურ მოთხოვნათა უგულვებელყოფის დამკვიდრებული მავნე ტრადიცია. განსაკუთრებული სიმწვავეთ კი უპირისპირდებოდნენ მშობლიური ენისა და ეროვნული ცნობიერების მაფორმირებელი, შინაგანი ინტელექტუალურ-ზნეობრივი სამყაროს განმავითარებელი დისციპლინებისა (ლიტერატურა, ქართული სამოქალაქო და საეკლესიო ისტორია, კულტურული წარსული) და საშუალებების (შესაბამისი აღმზრდელობითი მეთოდები) აკრძალვის ველურ პრაქტიკას. ასეთი შინაარსის სკოლა, მათი აზრით, მავნე შედეგებს უფრო მოუტანდა ხალხს, მით უფრო, როცა საქმე ქალთა სწავლისა და აღზრდის საკითხს ეხებოდა.

არსებული სისტემის კრიტიკის პარალელურად, ქართველი საეკლესიო და საერო მოღვაწენი აყალიბებდნენ იმ პრინციპებს (უცვლელს თავისი ღირებულებითი მნიშვნელობით), რომელთა საფუძველზედაც უნდა აგებულიყო „საქალაქო“ სკოლები: „ნურავინ ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველოში საქალაქო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი ქალი... თუ სკოლა ამას არ იქმნის, ის სკოლა წყალსაც წაუღია... მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი, გონების გამხსნელი! ნუ გაურევთ სკოლის უწმინდესს საქმეში სხვა საქმეს, რომელიც სკოლას არ შეეფერება! ნუ გადაუდგებით მტკიცედ დადგენილს კანონებს პედაგოგისას! მოგვეცით სასწავლებელი ქართველის ქალისა, ქართველის დედისა...“ (ილია ჭავჭავაძე).<sup>21</sup>

<sup>20</sup> ქურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1988, №1, გვ. 9.

<sup>21</sup> ილიაჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული. ტ. V. თბილისი, 1955, გვ. 116-117.

ქართველი სამღვდლოების უადრესად პოზიტიური დამოკიდებულება ქალთა განათლებისადმი გამოიხატებოდა, როგორც შესაბამისი სასწავლო კერების დაარსებაში შეტანილ პირად წვლილში, ისე საკითხისადმი ოპტიმალურ მიდგომაში, თემის აქტუალობის არგუმენტირებულ დასაბუთებაში. სასულიერო წოდების პოზიციას გადმოგვცემს გაბრიელ ეპისკოპოსის შემდეგი სიტყვებიც: „ქრისტიანობა არ მოითმენს, რომ ქალს ჰქონდეს გონებრივი დამოკიდებულება მამაკაცთან, თუ გინდ მეუღლესთან, თუ გინდ მამასთან. გაუნათლებელთა და უსჯულთა ქვეყანათა შინა ქალი არის მონა... არა ესრედ არის განათლებულთა, ქრისტიანულთა საზოგადოებათა შინა. აქ ქალს აქვს დიდი პატივი და მნიშვნელობა“.<sup>22</sup>

ეს გამონათქვამი მრავალმხრივია საყურადღებო. მასში ნაჩვენებია თუ რაოდენ საჭიროა ქალის განათლება საოჯახო ურთიერთობების საუკეთესო ტრადიციების შესანარჩუნებლად, აგრეთვე, ქალის მიერ პროგრესული საზოგადოებრივი ფუნქციის განსახორციელებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის აზრით, განათლება არის სარწმუნოებრივი მდგომარეობის ამადლების უპირატესი გზა – განთავისუფლებისა და ჭეშმარიტ ღირებულებათა განცდის საუკეთესო საშუალება.

სხვადასხვა პუბლიკაციებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ქალთა სასწავლებლების რაოდენობისა და ხარისხის ზრდაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ხალხის მორალური გაჯანსაღება, თვით ქალის, როგორც საზოგადოების სუბიექტის, შესაძლებლობათა რეალიზაცია, რაც მისი ფუნქციონალური დატვირთვის გაზრდაში (რა თქმა უნდა პოზიტიური ნიშნით) უნდა გამოხატულიყო.

ეს პრობლემა ღრმა თეორიულ დონეზეა განხილული ჟურნალ „დუხოენი ვესტნიკის“ ერთ-ერთ კორესპონდენციაში. წერილის ავტორი ქალთა განათლების ამადლების საჭიროებას სავსებით სწორად უკავშირებს თანამედროვე პირობებში ყოფითი თუ საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმებისა და შინაარსის თვისობრივ სახეცვლილებას, რაც ბუნებრივად იწვევდა სოციუმისა საერთოდ და მის შემადგენელ სუბიექტთა სამოქმედო ასპარეზის გაფართოებას, მათდამი ტრადიციული გარემოს მიერ დაკისრებული ფუნქციების გამრავალფეროვნებას.<sup>23</sup>

სხვაგვარი იყო ხელისუფლების პოზიცია. ის საკუთარი კოლონიური ინტერესების პრიზმაში ჭერებდა ქალთა განათლების ამოცანებს საქართველოში: სასწავლებლებს, რომელთა რაოდენობა ისედაც მცირე იყო, თვითმპყრობელობის ერთგულების იდეით უნდა აღეზარდათ მომავალი დედები. ამ ამოცანის შესაბამისად სასწავლო პროცესის წარმოება ნიშნავდა სკოლებიდან მშობლიური ენისა და ისტორიის განდევნის კამპანიის გაძლიერებას.

სწორედ ასეთი ფაქტების შესახებ იუწყებოდა მაშინდელი ქართული პრესა. გაზეთ „დროების“ „შინაურ ქრონიკაში“ ვეცნობით ახალციხის ქართველი მოსახლეობის წუხილს აქაურ ქალთა სასწავლებლიდან საერთოდ ამოუძირკვავთ დედა-ენა „...ასე გასინჯეთ, „დედა ენა“ და ბუნების კარიც“ არა ჰქონდათ თურმე სკოლაში, რომ იმით ესწავლებინათ სამშობლო ენა თავდაპირველადვე. ქალებს სკოლაში შესვლისთანავე რუსული „ნაროდნოე სლოვო“ უჭირავთ ხელში და ეს წიგნია იმათი ერთად-ერთი სახელმძღვანელო“.<sup>24</sup> მშობლიური ენისადმი მსგავს დამოკიდებულებაში არა მხოლოდ ხელისუფლების მხაგრეული კურსი მუდავნდებოდა, არამედ საზოგადოების გარკვეული ნაწილის გულგრილობაც ეროვნული საკითხისადმი: „ეს ფაქტი (ახალციხის სკოლის მაგალითი) თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რა გულ-გრილობით და სიბეჭავით ვექცევით ჩვენს პირ-დაპირს ზნეობრივს მოვალეობას ზრუნვას იმ საქართველოს კუთხეებზე, რომლებშიაც ქართველობას მეტი ტანჯვა და შევიწროება აუტანია, შესუსტებულია რიცხვით და თითქმის ეროვნულის ერთობის გრძნობა და კავშირიც კი დაუკარგავს ჩვენთან“.<sup>25</sup>

<sup>22</sup> ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა თქმულნი 1870-1884 წლებში. ტ. II. ქუთაისი, 1913, გვ. 130.

<sup>23</sup> Журнал „Духовный Вестник Грузинского Экзархата“, 1899, №166, გვ. 2.

<sup>24</sup> გაზეთი „დროება“, 1884, №138.

<sup>25</sup> გაზეთი „დროება“, 1884, №138.

სოფელ ხეთას მაცხოვრებელთა გულისწერომა გამოუწვევია ერთი აქაური „საქალებო სასწავლებლის“ პედაგოგთა ნაწილისაგან ქართული ენის სრულ უცოდინარობას, მათი მხრიდან საგნისადმი უდიერ დამოკიდებულებას.<sup>26</sup> სამეგრელოს ქალთა სკოლებიდან მშობლიური ენის დეენის ფაქტებს სხვა პუბლიკაციებიდანაც ვეცნობით. მათში სწორადაა განმარტებული ასეთი პრაქტიკის უკიდურესად უარყოფითი გავლენა პედაგოგიურ პროცესზე, აღსაზრდელოა შემეცნებითი და ზნეობრივი უნარ-ჩვევების განვითარებაზე.<sup>27</sup>

არანაკლებ მძიმე ვითარება იყო თბილისის „საეპარქიო დედათა სასწავლებელში“. 1890-1891 სასწავლო წლის ანგარიშის მიხედვით სკოლაში, სადაც 138 ქართველი გოგონა სწავლობდა მხოლოდ სამი პედაგოგი ფლობდა ქართულს, ხოლო მშობლიური ენის გაკვეთილები პრაქტიკულად არც ტარდებოდა - „ყოველად საჭიროა ქართველმა სამღვდელოებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ეცადოს ქართულის ენის გაკვეთილების მომატებას. მით უფრო საჭირო საგანია ეს საგანი, რომ ზემოხსენებულს სასწავლებელში სწავლა დამთავრებული ქალები სამრევლო სკოლების მასწავლებლებადაც მიდიან და აბა რა მასწავლებელი უნდა იყოს ქართველ ყმაწვილების, თუ თვით მასწავლებელს ქართული ენა რიგინად არ ეცოდინება“.<sup>28</sup>

საერთო ჯამში, ნაკლოვან მხარეთა მიუხედავად, „საქალებო სკოლების“ გახსნას, უდაოდ დიდი საგანმანათლებლო (ეროვნულიც) მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამგვარი დატვირთვის გათავისება ხდებოდა მათი დაარსების (უმეტესი ნაწილი კერძო ხასიათის სასწავლებელი იყო) საწინდარი.

## Tamar pkhaladze

### The Georgian clergy and national school (80-90's of the XIX century)

#### Summary

The clergy took an active part in Georgian people struggle against the retrogressive tsarist regime. Protection of mother tongue, its unrestricted use in church and education spheres, taking care of preservation of national culture and its further development, as the final result, restoration of artificially severed connections between the church and population, strengthening of faith among population – that was a creed of Georgian clergy.

Execution of this extremely complicated and responsible mission required overcoming many obstacles. In this regard, the contribution of leaders of Georgian people, bishops Gabriel, Alexander, Kirion, David and other outstanding clergymen to enhancement of patriotic spirit, preservation of national content of the Georgian church or rescue of national culture and mother tongue cannot be overstated. The clergy did the best for foundation of woman education institutions and centers of primary education, for optimization of educational content and organization of academic activity. Despite the vigorous resistance of the authorities, this challenging task was partly accomplished nevertheless.

<sup>26</sup> გაზეთი „კვალი“, 1895, №42, გვ. 203.

<sup>27</sup> გაზეთი „კვალი“, 1895, №42, გვ. 3.

<sup>28</sup> გაზეთი „ივერია“, 1892, №3.

ლეგან ჯიქია, ისტორიის დოქტორი

## საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის ზუგდიდის სამაზრო ორგანიზაციის დაშლა (1923-1927 წწ.)

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია განახორციელა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და პარლამენტის (დამფუძნებელი კრების) წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ საქართველო დატოვა და ემიგრაციაში გაემგზავრა. მიუხედავად ამისა, საქართველოში ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად კვლავ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია რჩებოდა. ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლების მთავარი მიზანი ამ პარტიის (ასევე სხვა პარტიების) დაშლა-განადგურება იყო. ამ მიზნით საქართველოს საგანგებო კომისიაში („ჩეკაში“) შეიქმნა მესამე და მეოთხე ქვეგანყოფილებები, რომლებიც შესაბამისად მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ მუშაობდნენ. ყოველივე ამის შედეგად 1923 წლიდან საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების „თვითლიკვიდაციის“ პროცესი დაიწყო. ცხადია, ამ პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო რეგიონებში სამაზრო ორგანიზაციების „თვითლიკვიდაციის“ პროცესი, რომელსაც თვალსაზრისით საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი ადევნებდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკური) ზუგდიდის სამაზრო კომიტეტთან (პარტკომთან) დაარსდა ყოფილი სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის საინიციატივო ბიურო, რომელმაც მაზრის მასშტაბით სოფლებში მიაგვლინა პირები, რომლებსაც შესაბამის სოფლებში სოციალ-დემოკრატიული (მ) პარტიის კრებების მოწვევა ევალებოდათ. კრებაზე უნდა აერჩიათ დელეგატები სამაზრო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. 1923 წლის 9 აგვისტოს სოციალ-დემოკრატიული (მ) პარტიის საინიციატივო ბიუროს სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: **ბუხუტი ღურწკაია, მაკარ ყოლანდარია, კაპიტონ გუგუჩია, ილარიონ ხუბუტია** (კოოპტაციით მოწვეული). **ივანე ბაძაღუა** სხდომაზე არ გამოცხადდა. სხდომის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. ბიუროს თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა; 2. ბიუროს წევრების რაოდენობის გაზრდა; 3. ზუგდიდის მაზრის პუნქტებად დაყოფა (თემების მიხედვით) სამაზრო კონფერენციაზე დელეგატების ასარჩევად. ბიუროს თავმჯდომარედ **მაკარ ყოლანდარია** აირჩიეს, მდივნად – **ვასილ ღურწკაია**. გადაწყდა ბიუროს წევრებად მოეწვიათ: **ილარიონ ხუბუტია, ივანე ბაძაღუა, იოსებ კვარაცხელია, მამია ანჯაფარიძე**. ზუგდიდის მაზრა დაყოფილ იქნა შემდეგ რაიონებად: 1. პირველი ზუგდიდი; 2. მეორე ზუგდიდი; 3. დარჩელი; 4. ლია; 5. წალენჯიხა; 6. ჩხოროწყუ; 7. ახალი ხიბულა; 8. ხობი. რაიონებში გამოიყო შემდეგი პუნქტები: დარჩელის რაიონში – კახათი-დარჩელი, პირველ ზუგდიდში – ქალაქი ზუგდიდი, მეორე ზუგდიდში – კორცხელი, ლიაში – ლია, წალენჯიხაში – წალენჯიხა, ჩხოროწყუში – ჩხოროწყუ-ხაბუძე, ახალ ხიბულაში – ნარაზენი-ახალი ხიბულა, ხობში – ხეთა-ხობი. ბიუროს გადაწყვეტილებით ამ პუნქტებში მიაგვლინეს: ქალაქ ზუგდიდში – **ტერენტი ლატარია**, სოფელ კორცხელში – **გიორგი ლაგვილავა**, ჩხოროწყუსა და ხიბულის რაიონებში – **ვასილ ღურწკაია**, ხობის რაიონში – **მაკარ ყოლანდარია**, წალენჯიხისა და ლიის რაიონებში – **ილარიონ ხუბუტია**. სამაზრო კონფერენციის მოწვევის დღედ 1923 წლის 19 აგვისტო განისაზღვრა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 90, ფურცლები 7-8.

1923 წლის 18 აგვისტოს სოფელ კახათში სოციალ-დემოკრატიული (მ) პარტიის კრება გაიმართა. კრებას **ილარიონ გუგუზია** თავმჯდომარეობდა, მდივნობდა **ელიზბარ ჩახაია**. კრებაზე მოხსენებით **კაპიტონ გუგუზია** გამოვიდა, რომელმაც აღნიშნა: „ჩვენ ქვემო ხელის მომწერნი აშკარად და საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენ ვტოვებთ სოც-დემ. პარტიას და ვღებულობთ მე-3 ინტერნაციონალის პლატფორმას. მუშურ სიტყვას ვღებთ კომუნისტურ პარტიასთან ხელი ხელ ჩაკიდებული ვაკეთოთ მუშათა კლასის საქმე. მოუწოდებთ ჯერ კიდევ ამხანაგებს სოც-დემ. დადგნენ მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ უკანასკნელი იერიშის მისატანად ბურჟუაზიის დასამსხვრევად.“

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა კლასის მებაირახტრეს მესამე კომინტერნს და მის შემქმნელ კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!“

სოფ. კახათიდან კონფერენციაზე დელეგატად **მარკოზ გუგულის ძე ფაღავა** აირჩიეს.

სოციალ-დემოკრატიული (მ) პარტიის კახათის თემის ორგანიზაცია დატოვეს: **ბათლომე ყოლანდარია** (პარტიის წევრი 1917 წლიდან), **საშა გუგუზია** (პარტიის წევრი 1917 წლიდან), **ბეგლარ გუგუზია** (პარტიის წევრი 1917 წლიდან), **ეფრემ გულორდავა** (პარტიის წევრი 1917 წლიდან), **ილარიონ გუგუზია** (პარტიის წევრი 1917 წლიდან), **ელიზბარ ჩახაია** (პარტიის წევრი 1917 წლიდან), **მარკოზ ფაღავა** (პარტიის წევრი 1917 წლიდან).<sup>2</sup>

1923 წლის 17 აგვისტოს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მ) პარტიის ჭაქვინჯის, ხიბულისა და ახალი ხიბულის თემების ორგანიზაციის წევრების კრება გაიმართა. კრებას **პიმენ ღურჭკაია** თავმჯდომარეობდა, მდივნობდა **სიმონ ადამია**. კრებაზე სიტყვით **ვასილ ღურჭკაია** გამოვიდა. კონფერენციამ დელეგატად **ვანო შელია** აირჩია. პარტია დატოვეს: **სიმონ ხახუს ძე ადამიამ** (მასწავლებელი), **პიმენ ვასილის ძე ღურჭკაიამ** (პარტიის წევრი 1916 წლიდან), **ვანო ანდრიას ძე შელიამ** (პარტიის წევრი 1915 წლიდან).<sup>3</sup>

1923 წლის 17 აგვისტოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის დარჩელის ორგანიზაციის კრება გაიმართა. კრებას **კალისტრატე ხუფენია** თავმჯდომარეობდა, მდივნობდა **პორფირე სორდია**. კრებაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ზუგდიდის კომიტეტის სახელით მისასალმებელი სიტყვა **გრიგოლ როგავამ** წარმოთქვა. გრიგოლ როგავამ კმაყოფილება გამოთქვა კონფერენციის მოწვევის გამო და უსურვა მას წარმატება. გრიგოლ როგავას თქმით სამწუხარო იყო ის, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორი ფრთა გათიშული დარჩა და ამის ინიციატორები, მისი თქმით, სწორედ მენშევიკები იყვნენ. თუმცა გრიგოლ როგავამ აღნიშნა, რომ ამაში დამნაშავე იყვნენ არა პარტიის რიგითი წევრები, არამედ პარტიის ხელმძღვანელობა. დასასრულს, გრიგოლ როგავამ აღნიშნა: „ამიერიდან ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ხელი-ხელ ჩაკიდებული, დიდი ოქტომბრის რევოლუცია მივიყვანოთ მყუდრო ნავსადგურამდე და ის წითელი დროშა, რომელიც თქვენ გეკავათ ხელში გაბრწყინებულ იყოს თქვენი მუშაობით საბჭოთა მთავრობის სასარგებლოდ“. კრებაზე მოხსენებით გუგუზია გამოვიდა. კრებამ დელეგატებად აირჩია: **ლევან ზარანდია** და **სოლომონ დგებუაძე**. პარტია დატოვეს: **სოლომონ სპირიდონის ძე დგებუაძემ** (პარტიის წევრი 1917 წლიდან, ფერშალი), **ვალერიან დათას ძე ხუბუამ** (პარტიის წევრი 1916 წლიდან), **ლევანტი გაიოზის ძე ზარანდიამ** (პარტიის წევრი 1917 წლიდან), **ვარლამ კოსტას ძე მაქაცარიამ** (პარტიის წევრი 1917 წლიდან), **ბესარიონ ისიდორეს ძე ლატარიამ** (პარტიის წევრი 1917 წლიდან), **ილარიონ წურჭუმიამ** (პარტიის წევრი 1917 წლიდან),

<sup>2</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 90, ფურცლები 17-18.

<sup>3</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 90, ფურცლები 18-19.

ეგნატე გიორგის ძე როგავამ (პარტიის წევრი 1917 წლიდან), აკაკი ისლამის ძე მაქაცარიამ (პარტიის წევრი 1917 წლიდან).<sup>4</sup>

1923 წლის 19 აგვისტოს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის ზუგდიდის სამაზრო ორგანიზაციის დელეგატთა კრება გაიმართა. მასში მასშტაბით 24 დელეგატი გამოცხადდა. კრებას **მაკარ ყოლანდარია** თავმჯდომარეობდა (თავმჯდომარის მოადგილე – ილარიონ ხუბუტია), მდივანობდა **ტერენტი ლატარია**. სხდომის დღის წესრიგში სამი საკითხი იდგა: 1. დემოკრატიის თუ პროლეტარიატის დიქტატურა? (მომხსენებელი ს. ფარნიევი); 2. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის დღევანდელი მუშაობა (მომხსენებელი ა. ჭყონია); 3. არჩევნები სრულიად საქართველოს ყრილობაზე. კრებაზე მიღებული დადგენილების თანახმად, დელეგატებმა ოფიციალურად დატოვეს სოციალ-დემოკრატიული (მ) პარტია და მესამე ინტერნაციონალის პლატფორმაზე დადგნენ. კრებამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მ) პარტიის ყრილობაზე დელეგატებად აირჩია: **მაკარ ყოლანდარია, ილარიონ ხუბუტია, ტერენტი ლატარია და ერმინე შენგელია**.<sup>5</sup>

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მ) პარტიის სამაზრო ორგანიზაციების მიერ სალიკვიდაციო კრებების გამართვის მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლება კარგად ხედავდა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მ) პარტია არსებობას განაგრძნობდა. ამის დასტური 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ ისარგებლა 1924 წლის აჯანყების მარცხით და მიზნად დაისახა საბოლოოდ დაესამარებინა ეს პარტია.

1924 წლის ოქტომბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან ყოფილ სოციალ-დემოკრატთა შორის მომუშავე განყოფილება შეიქმნა, რომელსაც კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ერთი წევრი ხელმძღვანელობდა. განყოფილებაში შეიყვანეს ყოფილი სოციალ-დემოკრატების (მ) მიერ გამოყოფილი ორი პირი, რომელთაგან ერთი განყოფილების მდივნის, მეორე კი ინსტრუქტორის თანამდებობაზე დაინიშნენ. განყოფილების ზედამხედველობით გახეთ „კომუნისტში“, **კოწია სულაქველიძის** რედაქტორობით, შემოღებულ იქნა სპეციალური დამატება-ფურცელი „ახალგზელის“ სახელწოდებით, რომელიც ყოველკვირეულად (შაბათობით) გამოდიოდა.

ყოფილ სოციალ-დემოკრატთა (მ) შორის მომუშავე განყოფილების მთავარ მოვალეობას შეადგენდა გამოეყო მომხსენებლები ამა თუ იმ რაიონში კრების ჩასატარებლად. განყოფილებას ასევე ევალებოდა აღრიცხვაზე აეყვანა „ძველი გზის უარისმყოფელი“ სოციალ-დემოკრატები (მ), რათა მათგან კომუნისტური პარტიის რიგების შევსება მომხდარიყო. კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ყოფილ სოციალ-დემოკრატთა (მ) შორის მომუშავე განყოფილების მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. გეგმის მიხედვით, ყოფილ სოციალ-დემოკრატთა (მ) შორის მომუშავე განყოფილებები დაარსდა: საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტთან, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტთან, ასევე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ქუთაისის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის, შორაპნის, გორის, სიღნაღისა და თელავის სამაზრო კომიტეტებთან და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ფოთის პარტიულ კომიტეტთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ განყოფილებებს პარტიული (კომუნისტური) მდივნების ხელმძღვანელობით უნდა ემუშავათ, ხოლო განყოფილების ყოველდღიურ საქმიანობაში სათანადო ავტორიტეტის მქონე და აქტიური, საბჭოთა პლატფორმაზე მდგომი ყოფილი სოციალ-დემოკრატი (მ) უნდა ჩაერთოთ. კომუნისტური პარტიის (ბ) სამაზრო კომიტეტებთან შექმნილი განყოფილებების წინაშე შემდგომი ამოცანები იდგა: განეგრძოთ ყოფილი სოციალ-დემოკრატების (მ) აღრიცხვა; ხელი შეეწყობ

<sup>4</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 90, ფურცლები 22-23.

<sup>5</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 90, ფურცლები 9-11.



ყოფილი სოციალ-დემოკრატების (მ) კომუნისტური პარტიის (ბ) რიგებში გაწევრიანებისთვის; კავშირი უნდა ჰქონოდათ ყოფილი სოციალ-დემოკრატიული (მ) პარტიის წევრებთან; ხელი შეეწყობოთ „ახალი გზელის“ გავრცელებისთვის და აქტიურად ეთანამშრომლათ მის რედაქციასთან კორესპონდენციების მიწოდებით; პერიოდულად მოეწვიათ სამოქმედო რაიონში მცხოვრებ ყოფილ სოციალ-დემოკრატთა (მ) და უპარტიოთა კრება ცენტრიდან (თბილისიდან) წარმოგზავნილი კომუნისტების მოხსენებების მოსასმენად; გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ყოველთვიურად საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის და მასთან არსებული ყოფილ სოციალ-დემოკრატთა (მ) შორის მომუშავე განყოფილებისთვის მიეწოდებინათ.<sup>6</sup>

1925 წლის 17 თებერვალს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) ზუგდიდის სამაზრო ორგანიზაციის მოწინავე წევრების კრება გაიმართა. მართალია კრება მცირერიცხოვანი აღმოჩნდა, მაგრამ ის მაინც შეუდგა მუშაობას. კრებას **იასონ მუჯირი** თავმჯდომარეობდა, მდივნობდა **რაჟდენ ჯალალონია**. კრებაზე მოხსენება „მუშათა კომისიის“ სახელით **კ. მაჭარაძემ** გააკეთა. კ. მაჭარაძემ ვრცლად ისაუბრა 1924 წლის აჯანყებაზე და აღნიშნა ის, თუ რა სავალალო შედეგი მოუტანა ამ მოვლენამ ქართველ ხალხს. კ. მაჭარაძე ასევე მუშათა კომისიის მოღვაწეობას, მის როლსა და მუშაობას შეეხო. კრებაზე სიტყვით ასევე **ბარნაბა ძეველაია** გამოვიდა. კრებამ ერთხმად მოიწონა „მუშათა კომისიის“ მიერ აღებული გეზი და გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიც ისინი საბჭოთა ხელისუფლებას ჰპირდებოდნენ, რომ მასთან ერთად იბრძოლებდნენ საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ. კრებამ რწმუნებულთა კომისია აირჩია შემდეგი შემადგენლობით: **იოსებ კვარაცხელია, კალისტრატე ზარანდია, ვალოდია შუბლაძე, ნესტორ ალანია, გიორგი წულაია** და **აკაკი კვარაცხელია**. რწმუნებულებს დაევალიათ ზუგდიდის მაზრის თემებსა და სოფლებში სოციალ-დემოკრატიული (მ) პარტიის სალიკვიდაციო კრებები მოეწვიათ.<sup>7</sup>

1925 წლის 18 თებერვალს ქალაქ ზუგდიდში „საქართველოს მუშათა კომისიის“ ზუგდიდის სამაზრო „რწმუნებულთა კომისიის“ სხდომა გაიმართა. სხდომის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იდგა: „რწმუნებულთა კომისიის“ თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის არჩევა, მაზრის მასშტაბით კომისიის სამუშაო გეგმის შედგენა და „რწმუნებულთა კომისიაში“ მეშვიდე წევრის დამატება. „რწმუნებულთა კომისიის“ თავმჯდომარედ **იოსებ კვარაცხელია** აირჩიეს, მდივნად კი – **გიორგი წულაია**. კომისიის გადაწყვეტილებით ზუგდიდის მაზრა პირობითად შეიდრეონად იქნა დაყოფილი, სადაც კომისიის რწმუნებულები მიავლინეს. „რწმუნებულთა კომისიას“ მეშვიდე წევრად **რაჟდენ ჯალალონია** დაემატა, რომელიც კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს.<sup>8</sup>

1925 წლის 22 თებერვალს **დიდინების თემის** შრომის დარბაზში ყოფილი სოციალ-დემოკრატებისა (მ) და ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტების კრება გაიმართა. კრებას **მიხეილ შონია** თავმჯდომარეობდა, მდივნობდა **გრიგოლ ნანავა**. კრება მოწვეულ იქნა „თბილისის მუშათა კომისიის“ დარჩევის რაიონის რწმუნებულის **კალისტრატე ზარანდიას** მიერ. კრების მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო: „დღეს ჩვენ შეგნებულათ ვადიარებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის გამომხატველი მუშათა და გლეხთა ინტერესების, რომელიც დაგვიმტკიცა ცხოვრებამ. ამიტომ ჩვენ შეგნებულად ვიზიარებთ საბჭოთა სისტემას და ვდგებით მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.“

მასთან კრება სთხოვს თფილისის მუშათა კომისიას, რათა იშუამდგომლონ უმაღლეს მთავრობის წინაშე გადასახლებულთა დასაბრუნებლად, რომელნიც იმყოფებიან რუსეთში და აჯანყებაში მონაწილეობის მიღებით ადგილიდან დათხოვნილი პირების უფლების აღდგენაზე.“

<sup>6</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 237, ფურცლები 120-121.

<sup>7</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 237, ფურცელი 30.

<sup>8</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 237, ფურცელი 20.

კრების მიერ მიღებულ დადგენილებას ხელს აწერდნენ: გაგალი ტოტიშის ძე მაქაცარია, თეიმურაზ გუტას ძე ქარაია, ზოსიმე ჯუტუს ძე ჯობაგა, ფარნა ბურდღუს ძე შონია, გერასიმე ბადირიას ძე შონია, მისა ძუკიას ძე შონია, ესტატე ბარდღუს ძე ქირია, სანდრო პახვალას ძე ტურავა, ლავრენტი ჯონდოს ძე ბულია, ჭიჭი ბარდღუს ძე ქირია, იესე ანთიმოზის ძე მეგრელიძე, პარმენ ქუთუს ძე მიქავა, ბაგრატ ივანეს ძე ჯანაშია, აბრაამ ღუტუს ძე ქარჩავა, ამროსი ანდრიას ძე კუკავა, პლატონ ნიკოლოზის ძე ხაინდრაგა, სამსონ ბერის ძე ჯღარკავა, ნექტარ ანდრიას ძე კუკავა, არტენ ჯგეჯგეს ძე ზარქუა, ერასტო შავაიას ძე ქარჩავა, აკაკი ისლამის ძე მაქაცარია, ანდრო შავაიას ძე ქარჩავა, ლავრენტი საბას ძე ქირია, თევდორე მარკოზის ძე მიქავა, კალისტრატე გაიოზის ძე ზარანდია, გრიგოლ პავლეს ძე ნანავა, მიხეილ ბაგირიას ძე შონია, გრიგოლ თარას ძე კუტალია, სილოვან ბათლომეს ძე კუკავა, იპოლიტე ქირია, ილია ივანეს ძე ჯანაშია, აკაკი კოჭოს ძე კუკავა და ჭიჭი ქუთარის ძე ციცქარავა.<sup>9</sup>

1925 წლის 28 თებერვალს გაიმართა დარჩელის თემის აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში ყოფილი სოციალ-დემოკრატებისა (მ) და ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტების კრება. კრებას ნესტორ ხუფენია თავმჯდომარეობდა, მდივნობდა კირილე ქეცბაია. კრება მოწვეულ იქნა დარჩელის რაიონში „თბილისის მუშათა კომისიის“ რწმუნებულის კალისტრატე ზარანდიას მიერ. კრებამ საბჭოთა პლატფორმაზე გადასვლა დაადასტურა, რომელსაც ხელს აწერდნენ: რაისა დავითის ასული სორდია, პორფი ივანეს ძე სორდია, ჯოგო კოჩას ძე ჩანგელია, ანდრი ქერქენის ძე ბიგვაგა, ნესტორ სტეფანეს ძე ხუფენია, ერასტო კოჩას ძე ჩანგელია, ბადურა გაჯის ძე აბსანძე, ბარდღუ გოგის ძე აბსანძე, ბიქტორ ჯუტუს ძე ჯიქია, ერმინე ნიკოს ძე ხუფენია, ბესო გადის ძე ბერაია, ბიქტორ პავლეს ძე ხუფენია, ნესტორ მინას ძე შენგელია, დომენტი ნოჩოს ძე კორკელია, ესტატე კოჩას ძე ჩანგელია, ორესტი სტეფანეს ძე ხუფენია, ბუხო ნოჩოს ძე კორკელია და კირილე ჯირგუს ძე ქეცბაია.<sup>10</sup>

1925 წლის 3 მარტს დაბა ანაკლიის თეატრის დარბაზში ყოფილი სოციალ-დემოკრატებისა (მ) და ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტების კრება გაიმართა. კრებას სტეფანე გურგენაძე თავმჯდომარეობდა, მდივნობდა გერმანე სალია. კრების მიერ მიღებულ დადგენილებას ხელს აწერდნენ: სტეფანე ონისიმეს ძე გურგენაძე, სოლომონ სპირიდონის ძე დგებუაძე, ვალიკო დათას ძე ხუბუა, გიორგი (ხუბუ) კონსტანტინეს ძე ჩაჩავა, გერმანე დათას ძე სალია, კაპიტონ თემრაზის ძე ყორშია, დიმიტრი უთუიას ძე ყორშია, ალექსანდრე ბადუს ძე კორკელია, ოქროპირ ბერუს ძე ჭანტურია, ბაგრატ იანეს ძე ცაცუა და ესე ესეს ძე გურგენაძე.<sup>11</sup>

1925 წლის 5 მარტს კოკის თემის შრომის სკოლის დარბაზში ყოფილი სოციალ-დემოკრატებისა (მ) და ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტების კრება გაიმართა. კრებას მისა ნარმანია თავმჯდომარეობდა, მდივნობდა ვასილ (ადამურ) ცხაკაია. კრების მიერ მიღებულ დადგენილებას ხელს აწერდნენ: აგქსენტი შონია, რაჟდენ ცხაკაია, კიტი ნარმანია, სილიბისტრო შონია, ბაგრატ ნარმანია, ვარლამ ნარმანია, ლავრენტი ცხაკაია, პოკრო ხაზალია, ნესტორ თორია, მისა ნარმანია, დომე თუცბაია, ათანასე ქარდავა, ბესარიონ ქირია, პავლე ხაზალია და ადამურ ცხაკაია.<sup>12</sup>

1925 წლის 6 მარტს ორულუ-ურგეტის შრომის სკოლის დარბაზში ყოფილი სოციალ-დემოკრატებისა (მ) და ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტების კრება გაიმართა. კრებას ოლიფანტე წურწუშია თავმჯდომარეობდა, მდივნობდა ადამ ესართია. კრება მოწვეულ იქნა დარჩელის რაიონში „თბილისის მუშათა კომისიის“ რწმუნებულის კალისტრატე ზარანდიას მიერ. კალისტრატე ზარანდიამ პარტიის თვითლიკვიდაციის აუცილებლობაზე ისაუბრა და კრებას მოუწოდა საბოლოოდ დადებითად გადაეწყვიტა ეს საკითხი. საბოლოოდ, კრებამ შემდეგი დადგენილება მიიღო: „დღეს ჩვენ შეგნებულათ ვადიარებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის

<sup>9</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 237, ფურცელი 4.

<sup>10</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 237, ფურცელი 2.

<sup>11</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 237, ფურცელი 3.

<sup>12</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 237, ფურცელი 5.

გამომხატველი მუშათა და გლეხთა ინტერესების, რომელიც დაგვიმტკიცა ცხოვრებამ. ამიტომ ჩვენ შეგნებულად ვიზიარებთ საბჭოთა სისტემას და ვდგებით მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

მასთან კრება სთხოვს თფილისის მუშათა კომისიას, რათა იშუამდგომლონ უმაღლეს მთავრობის წინაშე გადასახლებულთა დასაბრუნებლად, რომელნიც იმყოფებიან რუსეთში და აჯანყებაში მონაწილეობის მიღებით ადგილიდან დათხოვნილი პირების უფლების აღდგენაზე.“

თხოვნას ხელს აწერდნენ ორულუ-ერგეტის თემის ყოფილი სოციალ-დემოკრატები (მ): **ალექსია გოგის ძე თოდუა, მიხა ბიბლათის ძე ლატარია, თადა მიქელას ძე ლატარია, ესტატე გიორგის ძე ნაჭყებია, ჩანთუ ერმინეს ძე კანკია, იოსებ ტაგუს ძე ჯიჭონაია, აბრაამ სისოს ძე კალანდია, რაჟდენ ძიკის ძე ჭანია, ვალოდია ნესტორის ძე გვაჯაია, ტარას ღვინჯილია, მამანტი პეპუს ძე მალანია, იასონ ალექსის ძე გაბლაია, ოლიფანტე ბუთას ძე წურწუშია, ადამი ივლიანეს ძე ესართია, ვლადიმერ ბესარიონის ძე ლატარია, აექსენტი თადას ძე ლატარია.**<sup>13</sup>

1925 წლის 6 მარტს ცაიში-კახათის თემის ყოფილი სოციალ-დემოკრატებისა (მ) და ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტების კრება გაიმართა, რომელსაც იპოლიტე ქირია თავმჯდომარეობდა, მდივობდა **სერაპიონ გეგეჭკორი**. კრებაზე მოხსენება „თბილისის მუშათა კომისიის“ ზუგდიდის სამაზრო რწმუნებულების წევრმა გიორგი წულაიამ წაიკითხა. სალიკვიდაციო აღრიცხვაში გატარდნენ: **ვასილ შამუგია, სოკრატ შამუგია, ივლონ აბაკელია, მარკოზ ყურუა, ივლონ გრიგოლაგა, სანდრო ქირია, ამბაკო წოწელია, თეიმურაზ ჭიჭინაძე, ბარნობა შამუგია, სილოვან შამუგია, ვარლამ შამუგია, არონ შამუგია, ერმინე უბილაგა, სერაპიონ გეგეჭკორი, ანტონ უბილაგა, პორფილე დგებუაძე, გაგა აბაკელია, ლევან აბაკელია, მამანტი ყურუა და ლავრენტი ხეიჩია.**<sup>14</sup>

1925 წლის 30 აპრილს ნარაზენის თემის ყოფილი სოციალ-დემოკრატებისა (მ) და უპარტიო გლეხების კრება გაიმართა. კრებას იაკობ თოდუა თავმჯდომარეობდა, მდივობდა დიმიტრი თოდუა. სალიკვიდაციო რეგისტრაციაში გატარდნენ: **დიმიტრი თოდუა, ისაია (კაკალი) თოდუა, იაკობ თოდუა, ნესტორ დიანოზის ძე თოდუა, ნესტორ სისოს ძე თოდუა, ბაგრატ შულაია, გერასიმე სილოგაგა, კალისტრატე სხულუხია, გიორგი პაჭკორია, ადამურ ბერიშვილი, ვლადიმერ სტეფანეს ძე თოდუა, კოსთაია ნანაგა, რაჟდენ სიკოს ძე თოდუა, გრიგოლ ბიგვაგა, აპოლონ ალექსანდრეს ძე თოდუა, გალაკტიონ ვასილის ძე გერსამია და მაკარ კვარაცხელია.**<sup>15</sup>

1925 წლის 9-12 ოქტომბერს ქალაქ თბილისში „მუშათა კომისიის“ რწმუნებულთა თათბირი გაიმართა. თათბირზე განხილული საკითხები გაზეთ „კომუნისტის“ მეშვეობით გაშუქდა.

1925 წლის 12 დეკემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მიხეილ კახიანმა და ყოფილ სოციალ-დემოკრატთა (მ) შორის მომუშავე განყოფილების მდივანმა დუგლაძემ საქართველოს მაზრებში წერილი გააგზავნეს, რომელშიც კიდევ ერთხელ იყო საუბარი „მუშათა კომისიის“ მიერ გაწეულ მუშაობაზე.<sup>16</sup>

1927 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, სამაზრო კომიტეტებში სპეციალური კომისია გამოიყო, რომელსაც დაევალა მაზრის მასშტაბით ყველა სახელმწიფო დაწესებულების ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან გაწმენდა მოეხდინა. ცენტრიდან დირექტივების მიღებისთანავე, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა **ისააკ ფვანამ** ყველა დაწესებულების ხელმძღვანელს „საეჭვო“ პირების თანამდებობიდან

<sup>13</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 237, ფურცელი 1.

<sup>14</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 237, ფურცელი 24.

<sup>15</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 237, ფურცელი 53.

<sup>16</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 237, ფურცლები 112-113.

განთავისუფლება დაავალა, განთავისუფლების ოფიციალური მიზეზი კი „მუშაობაში უპარგისობა“ უნდა ყოფილიყო. დავალება ზედმიწევნით შესრულდა.<sup>17</sup>

1927 წლის 15 აპრილიდან 19 აპრილამდე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილი „გადამსინჯავი და გამწმენდი კომისიის“ სხდომები იმართებოდა. სხდომებს **ვ. შეღია** თავმჯდომარეობდა, წევრებად კი იყვნენ: **მ. ჯინჯოლია**, **ა. ფარცვანია**, **ფ. ცხომარია** და **ი. კვარაცხელია**. კომისიამ განიხილა შემდეგი პირების საქმე და მიიღო შესაბამისი დადგენილებები: **გრიგოლ იოსეს ძე ჭაბუკიანი**, 30 წლის, უმაღლესი განათლებით, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქალაქ ზუგდიდის ცხრაწლედის მასწავლებელი, კრებამ აუკრძალა სამასწავლებლო საქმიანობა; **ლაგერენტი დავითის ძე კოდუა**, 39 წლის, საშუალო განათლებით, ყოფილი მემარჯვენე სოციალისტ-რევოლუციონერი (ესერი), მასწავლებელი, მცხოვრები აბასთუმნის თემში, კრებამ აუკრძალა სამასწავლებლო საქმიანობა; **ევგენი პლატონის ძე ხვინგია**, 25 წლის, საშუალო განათლებით, სოფელ დიდი ნეძში მასწავლებელი, მცხოვრები სოფელ ჭკადუაში, კრებამ აუკრძალა სამასწავლებლო საქმიანობა; **მიხეილ ილარიონის ძე შეღანია**, 21 წლის, საშუალო განათლებით, ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტი, სოფელ დიდი ნეძში მასწავლებელი, კრებამ აუკრძალა სამასწავლებლო საქმიანობა; **კატო მალხაზის ასული კეიღია**, 38 წლის, საშუალო განათლებით, ქალაქ ზუგდიდის შვიდწლედის სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები ქალაქ ზუგდიდში, კრებამ აუკრძალა სამასწავლებლო საქმიანობა; **ლუბა სტეფანეს ასული ჯობაგა**, 21 წლის, საშუალო განათლებით, სოფელ კახათის შვიდწლედის სკოლის მასწავლებელი; **შოთა ალექსანდრეს ძე ჭანტურია**, 21 წლის, საშუალო განათლებით, ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტი, სოფელ კორცხელის შვიდწლედის სკოლის მასწავლებელი, კრებამ აუკრძალა სამასწავლებლო საქმიანობა, დაპატიმრებულია; **ნიკოლოზ გიორგის ძე მახარია**, 33 წლის, საშუალო განათლებით, სოფელ ცაიშის შვიდწლედის სკოლის მასწავლებელი, კრებამ აუკრძალა სამასწავლებლო საქმიანობა; **გრიგოლ ანტონის ძე ზარდაგა**, 21 წლის, საშუალო განათლებით, ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტი, სოფელ ჭაქვინჯის სკოლის მასწავლებელი, კრებამ აუკრძალა სამასწავლებლო საქმიანობა, დაპატიმრებულია; **პაშა ივანეს ასული ჩომახია**, 29 წლის, საშუალო განათლებით, ქალაქ ზუგდიდში მასწავლებელი, კრებამ აუკრძალა სამასწავლებლო საქმიანობა; **ალექსანდრე ვახთას ძე თორდია**, 26 წლის, საშუალო განათლებით, სოფელ კორცხელის ოთხწლედის სკოლის მასწავლებელი, კრებამ აუკრძალა სამასწავლებლო საქმიანობა; **დავით ზიყვას ძე ხასია**, 33 წლის, ყოფილი სოციალ-დემოკრატი (მ), სოფელ უჩაშონის ოთხწლედის სკოლის მასწავლებელი, კრებამ აუკრძალა სამასწავლებლო საქმიანობა, დაპატიმრებულია; **მარო იასონის ასული ზუზუშვილი**, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, ყოფილი სოციალ-დემოკრატი (მ), ქალაქ ზუგდიდის სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელი, კრებამ აუკრძალა სამასწავლებლო საქმიანობა; **სტეფანე ზარდაგა**, საშუალო განათლებით, მოსამსახურე, სპეციალობით ფერმალი, მცხოვრები სოფელ ცაიშში, კრების დადგენილებით გაანთავისუფლეს თანამდებობიდან; **იონა ხარებაგა**, საშუალო განათლებით, სპეციალობით ფარმაცევტი, 1924 წლის აჯანყების მონაწილე, მუშაობდა ქალაქ ზუგდიდში მდებარე აფთიაქში, კრების დადგენილებით გაანთავისუფლეს თანამდებობიდან აღდგენის უფლების ჩამორთმევით; **არტემ ჯოჯუა**, საშუალო განათლებით, სპეციალობით ფარმაცევტი, მუშაობდა სოფელ დარჩელში არსებულ აფთიაქში, კრების დადგენილებით გაანთავისუფლეს თანამდებობიდან აღდგენის უფლების ჩამორთმევით, დაპატიმრებულია; **ბესარიონ გრიგოლია**, საშუალო განათლებით, სპეციალობით ფარმაცევტი, მუშაობდა სოფელ ანაკლიაში არსებულ აფთიაქში, კრების დადგენილებით გაანთავისუფლეს თანამდებობიდან აღდგენის უფლების ჩამორთმევით; **სიმონ ჯოლოსხაგა**, 47 წლის, ქალაქ ზუგდიდის გლეხთა სახლის გამგე, ყოფილი სოციალ-დემოკრატი (მ), კრების დადგენილებით გაანთავისუფლეს თანამდებობიდან, დაპატიმრებულია; **საშა კალანდარიშვილი**, ქალაქ ზუგდიდის

<sup>17</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 508, ფურცელი 23.

სასამართლოს საქმისმწარმოებელი, კრების დადგენილებით გაანთავისუფლეს თანამდებობიდან; **მისა ჭანტურია**, დასავლეთ საქართველოს პროკურორის თანაშემწის საქმისმწარმოებელი, კრების დადგენილებით გაანთავისუფლეს თანამდებობიდან; **კოსტა თეიმურაზის ძე მესხია**, 26 წლის, საშუალო განათლებით, ყოფილი სოციალ-დემოკრატი (მ), ქალაქ ზუგდიდის სატყეო განყოფილების საქმისმწარმოებელი, კრების დადგენილებით გაანთავისუფლეს თანამდებობიდან, დაპატიმრებულია; **დორთ თოდუა**, სოფელ კოკის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობის გამგეობის წევრი, კრების დადგენილებით გაანთავისუფლეს თანამდებობიდან; **ვლადიმერ ნარმანია**, სოფელ შამგონის სახერხი ქარხნის კანცელარიის თანამშრომელი, კრების დადგენილებით გაანთავისუფლეს თანამდებობიდან; **არსენა კუჭავა**, ყოფილი ოფიცერი, 1924 წლის აჯანყების მონაწილე, სოფელ ახალი აბასთუმნის ქარხნის საწყობის გამგე, კრების დადგენილებით გაანთავისუფლეს თანამდებობიდან; **სიო გოგჩიაშვილი**, სოფელ შამგონის სახერხი ქარხნის გამგე, კრების დადგენილებით გაანთავისუფლეს თანამდებობიდან; **გედეონ მატახერია**, ყოფილი ოფიცერი, 1924 წლის აჯანყების მონაწილე, სოფელ ახალი აბასთუმნის ქარხნის თანამშრომელი, კრების დადგენილებით გაანთავისუფლეს თანამდებობიდან; **ჭიჭიკო ლავრენტის ძე ივარდავა**, 1924 წლის აჯანყების მონაწილე, საქართველოს ჩაის ზუგდიდის განყოფილების ინსტრუქტორის რწმუნებული, კრების დადგენილებით გაანთავისუფლეს თანამდებობიდან, დაპატიმრებულია;

1927 წლის 24 ივნისს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა. სხდომაზე „გადამსინჯავი და გამწმენდი კომისიის“ მუშაობის შესახებ მოხსენება **ისააკ ჟვანიამ** გააკეთა. ისააკ ჟვანიას თქმით კომისიამ გარკვეული შეცდომები დაუშვა, რადგან თანამდებობიდან განთავისუფლებული ზოგიერთი პირი საბჭოთა პლატფორმაზე იდგა, ამიტომაც კომისიის 19 აპრილის ოქმში გარკვეული კორექტივები უნდა შესულიყო. მართლაც, სხდომამ ოქმში შესწორება შეიტანა, რის შემდეგაც თანამდებობაზე აღადგინეს: **გრიგოლ ჭაბუკიანი**, **იონა ხარებავა**, **ლავრენტი კოდუა**, **კატო კვიციანი**.

1927 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ზუგდიდის მაზრის „გადამსინჯავი და გამწმენდი კომისიის“ სხდომა გაიმართა. სხდომას **ისააკ ჟვანია** თავმჯდომარეობდა. სხდომას ესწრებოდნენ: **ბ. ჯანაშია**, ზუგდიდის სამაზრო საინფორმაციო პუნქტიდან („ჩეკადან“) **მ. კუკუტარია**, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი **კორნელი ქაცარავა**. სხდომამ თავის უფლებებში კიდევ რამდენიმე პირი აღადგინა.<sup>18</sup>

ამდენად, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების მიუხედავად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია რჩებოდა ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ პარტიად ქვეყანაში. ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლება მთავარ აქცენტს ამ პარტიის დაშლა-განადგურებაზე აკეთებდა. ამ პროცესის უკეთ წარმართვის მიზნით საბჭოთა ხელისუფლების ინიციატივით მაზრებში იმართებოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მ) პარტიის სამაზრო ორგანიზაციების „ნებაყოფლობითი“ კრებები, რომლებზეც ორგანიზაციის დაშლის გადაწყვეტილებები გამოჰქონდათ. მოგვიანებით საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რიგებიდან გარიცხა და თანამდებობებიდან გაანთავისუფლა ყოფილი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები). ეს პროცესი საბოლოოდ 1927 წელს დასრულდა. ამის შემდეგ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) გავლენა მოსახლეობაში მნიშვნელოვნად „გაიზარდა“.

<sup>18</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 508, ფურცლები 2-54.

**Levan Jikia**

**Dissolution of Zugdidi District Organization of Social-Democratic  
(Menshevik) Party of Georgia  
(1923-1927)**

Summary

In February-March, 1921, Soviet Russia occupied and annexed Democratic Republic of Georgia. Absolute majority of the government of Democratic Republic of Georgia and parliament members left Georgia and migrated to the other countries. In Georgia the soviet regime was established. Nevertheless, Social-Democratic (Menshevik) party remained the most influential political party in Georgia. Therefore, the main concern of the soviet government of Georgia was dissolution-elimination of this party (as well as the other parties). By the incentive of the soviet government, in Zugdidi District (as well as in the other districts) the meetings for liquidation of the district organizations of Social-Democratic (Menshevik) party were arranged and in 1923, these efforts were successfully completed. Later, by the resolution of the presidium of communist party (B) of Georgia, the special commissions were established within the district committees intended for cleaning of all state institutions from “anti-soviet” elements at the district level. In Zugdidi District this process ended in 1927.

**ვახტანგ გურული**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**დოკუმენტები და მასალები საქართველოს სახელმწიფოებრივი  
დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიისათვის  
(1918 წლის 26 მაისი)**

პირველმა მსოფლიო ომმა უკიდურესად დაძაბა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება რუსეთის იმპერიაში. ხელისუფლებამ კრიზისიდან გამოსავალი ვერ იპოვა, ისე მოუსწრო 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ, რომელმაც რუსეთში თვითმპყრობელობა დაამხო.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ, საიმპერიო ხელისუფლების სამართალმემკვიდრემ და თავისი ხასიათით დემოკრატიულმა, ხანმოკლე მმართველობის პერიოდში (1917 წლის 2 მარტი – 25 ოქტომბერი), ვითარების სტაბილიზაცია ვერ შეძლო. პირიქით, ფრონტებზე განცდილმა რამდენიმე სერიოზულმა მარცხმა სახელმწიფოებრიობის ნგრევის პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს ბოლშევიკებმა და 1917 წლის 24-25 ოქტომბერს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება განახორციელეს, დროებითი მთავრობა დაამხეს.

რუსეთში შექმნილი კრიზისული ვითარებით, პრაქტიკულად სახელმწიფოებრიობის ნგრევით, დაუყოვნებლივ ისარგებლეს ერთ დროს რუსეთის მიერ დაპყრობილმა თუ „ნებავოფლობით“ შეერთებულმა ერებმა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს: **ფინეთმა** (1917 წლის 6 დეკემბერს), **უკრაინამ** (1918 წლის 9 იანვარს), **ლიტვამ** (1918 წლის 16 თებერვალს), **ესტონეთმა** (1918 წლის 24 თებერვალს), **ბელორუსიამ** (1918 წლის 25 მარტს), **საქართველომ** (1918 წლის 26 მაისს), **აზერბაიჯანმა** (1918 წლის 28 მაისს), **სომხეთმა** (1918 წლის 28 მაისს), **პოლონეთმა** (1918 წლის 11 ნოემბერს), **ლატვიამ** (1918 წლის 18 ნოემბერს). ხსენებული ქვეყნების ისტორიოგრაფია, მიუხედავად დაშვებული სერიოზული შეცდომებისა, დიდების შარავანდედით მოსავეს იმ პოლიტიკურ ელიტას და პოლიტიკურ ლიდერებს, რომელთა წინამძღოლობითაც გამოცხადდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ასე შეიმოსა დიდების შარავანდედით **პერ ევინდ სვინსუვედისა** და **კარ გუსტავ ემილ მანერჰეიმის** (ფინეთი), **მიხაელ გრუშვესკისა** და **სიმონ პეტლიურას** (უკრაინა), **იუზეფ პილსუდსკისა** და **იან იგნაცი პადერვესიკის** (პოლონეთი) სახელები.

სრულიად საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე საქართველოში. 1921 წლიდან დაწყებული ქართველი ისტორიკოსები, პუბლიცისტები, მწერლები და პოლიტიკოსები ცდილობენ მუქ ფერებში წარმოადგინონ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორია. საყოველთაოდ ცნობილი დოკუმენტებისა და მასალების უგულვებლყოფის ფონზე ისინი წინასწარი განზრახვით, პოლიტიკური თუ სხვა მიზნებიდან გამომდინარე, აყალბებენ საქართველოს ისტორიას და ურთულესსა და უმნიშვნელოვანეს პერიოდს (1917 წლის მარტიდან 1918 წლის მაისამდე) გაუკუღმართებულად წარმოადგენენ. დღემდე მიმდინარეობს ქართული პოლიტიკური ელიტის, პოლიტიკური ლიდერების დაუსაბუთებელი ლანძღვა-გინება (და არა კრიტიკა)! ამ საძრახისი კამპანიის მონაწილეებმა არც კი იციან, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიის გაყალბებისას, ნებისთ თუ უნებლიეთ, იმეორებენ ვლადიმერ ლენინის, იოსებ სტალინის, სერგო ორჯონიკიძის, ფილიპე

მასხარაძის, ლევ ტროცკისა და სხვა ბოლშევიკი ლიდერების გამონათქვამებს, პოპულარიზაციას უწევენ ოთხი კლასის განათლების მქონე, მოსკოვის წითელი პროფესორის ინსტიტუტდამთავრებული ბოლშევიკი ისტორიკოსების ნაცოდვილარს. უფრო მეტიც, საქართველოს ისტორიის გაყალბებისას ფართოდ გამოიყენება თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა შეხედულებები. უკვე ცხადზე ცხადია და სულ უფრო და უფრო ღრმავდება ბევრი უარყოფითი ტენდენცია. სამწუხაროა, რომ ხშირად გვხვდებიან ადამიანები (მკვლევარები, პუბლიცისტები, მწერლები, პოლიტიკოსები), რომლებიც მთელი სერიოზულობითა და დიდი შემართებით ამტკიცებენ: 1) 1918 წლის 26 მაისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა სამართლებრივი ნორმების უგულვებლყოფით, უკანონოდ, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს – სამართლებრივი ნორმების ზედმიწევნით დაცვით, კანონიერად (თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიის თემა); 2) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგა შემთხვევით, არა ერის შინაგანი მზაობის შედეგად, არამედ საგარეო ფაქტორების გავლენით (საბჭოთა ისტორიოგრაფიის თემა); 3) ქართული პოლიტიკური ელიტა იყო გაუნათლებელი და არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე (საბჭოთა ისტორიოგრაფიისა და თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიის თემა); 4) 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმომწერი ქართველები რუსეთის მოქალაქეები იყვნენ და არა საქართველოს (თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიის თემა). ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ შეხედულებების მქადაგებლებმა არ იციან, რა ცუდ სამსახურს უწევენ თანამედროვე საქართველოს.

1918 წლის 26 მაისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შეფასება მოითხოვს საფუძვლიან ცოდნას, უამრავი დოკუმენტის ანალიზს, 1917-1918 წლებში ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში ზედმიწევნით ზუსტად გარკვევას. 1917-1918 წლებში მოღვაწე ქართული პოლიტიკური ელიტის განმქიქებელთა „ნაშრომებს“ და ზეპირ გამოსვლებს როცა ეცნობი, იმთავითვე ცხადი ხდება ერთი ჭეშმარიტება: ეს ადამიანები ან საერთოდ არ იცნობენ, ან ძალზე ზერეფე წარმოდგენა აქვთ იმ ურთულეს პროცესებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XX საუკუნის დამდეგიდან, კონკრეტულად კი, 1917-1918 წლებში. არავინ არ უარყოფს იმას, რომ ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ, პოლიტიკურმა ლიდერებმა დაუშვეს მრავალი საბედისწერო შეცდომა, რომელთა მიზეზების ასხნა ისტორიკოსთა და პოლიტიკოსთა ვალია. ამ მიზანს ემსახურებოდა ჩვენს მიერ 2011 წელს გამოქვეყნებული ნარკვევი „1918 წლის 26 მაისი“,<sup>1</sup> ასევე სხვა ნაშრომები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისტორიული პროცესის შეფასება, პოლიტიკური ელიტის მიერ დაშვებული შეცდომების გააზრება-გამომხეურება უნდა ემსახურებოდეს ერის ჭეშმარიტი ისტორიის დადგენას და არა პოლიტიკურ მიზნებს, უფრო მეტიც, საზოგადოების გათიშვასა და დაპირისპირებას. ამ რამდენიმე წლის წინ მავანისა და მავანის ინიციატივით დაიწყო დისკუსია, რომლის მიზანი იყო პასუხი გაეცა კითხვაზე: როდის უნდა ვიზეიმოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, 26 მაისს თუ 9 აპრილს? შეშფოთებულები, გამწარებულები და გაბორბტებულები გაჰკიოდნენ: 26 მაისი არ არის დამოუკიდებლობის აღდგენის დღე! 9 აპრილია ნამდვილი დამოუკიდებლობის დღე! ნუთუ ძნელია იმის აღიარება, რომ **1918 წლის 26 მაისი არაფრით არ ჩრდილავს, არ აუფერულებს 1991 წლის 9 აპრილის დიდებულებას და პირიქით.** აშკარაა, რომ ვიღაცას ასეთი პასუხი ხელს არ აძლევს, ვიღაცას სურს, რომ ერი მუდმივად გათიშული იყოს, უაზრო პოლემიკა დაუსრულებლად გრძელდებოდეს.

1917-1918 წლებში მოღვაწე ქართული პოლიტიკური ელიტის „კრიტიკოსებს“ შევახსენებთ: სანამ საუბარსა და წერას დაიწყებდნენ, წინასწარ განსაზღვრონ, ქართველ პოლიტიკოსთა შეურაცხყოფით ვის ბანაკში ხვდებიან, გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა ლამის ერისა და სახელმწიფოს მტრად გამოცხადებით ვის წისქვილზე ასხამენ წყალს. **ზვიად გამსახურდიას სახელის უკვდავსაყოფად სულაც არ არის აუცილებელი ნოე ჟორდანიას დამცირება, 1917-1918**

<sup>1</sup> ვახტანგ გურული. 1918 წლის 26 მაისი (ნარკვევი. დოკუმენტები. მასალები). თბილისი, 2011, გვ. 5-16.



წლებში მოღვაწე პოლიტიკური ელიტის განქიქება და გაბიაბრუება დიდების შარაგანდელით ვერ შემოსავს 1990-1991 წლებში მოღვაწე პოლიტიკურ ელიტას.

1918 წლის 26 მაისს წარმატებით დაგვირგვინდა ქართველი ერის ბრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ამ დიდ მონაპოვარს ვერაფერი დაჩრდილავს. რაც შეეხება იმას, თუ როგორი იყო ეს გამარჯვება ამის თაობაზე პოლემიკა კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ჩვენი აზრი კი ასეთია: **1918 წლის 26 მაისი თავისი არსით იყო ისეთი, როგორც იყო ქართული საზოგადოება, ქართული პოლიტიკური ძალები, ქართული პოლიტიკური ელიტა და ქართველი პოლიტიკური ლიდერები.** უკეთესი იმხანად მხოლოდ ოცნების სფეროს განეკუთვნებოდა.

ყოველივე ეს მთლიანად ეხება 1991 წლის 9 აპრილსაც.

ქვემოთ ვაქვეყნებთ დოკუმენტებსა და მასალებს, რომლებიც მკითხველს დაეხმარება კიდევ ერთხელ გაიაზროს, თუ რა ხდებოდა საქართველოში 1917-1918 წლებში.

**№1. საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ნოე ჟორდანიას მოხსენების – „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა“ – გამოცემის რეზოლუციის პროექტის შემუშავებული ეროვნულ-პოლიტიკური სექციის სხდომის ოქმი. 1917 წლის 19 ნოემბერი**

*19 ნოემბერი 1917 წელი*

**პირველი ქართული ეროვნული ყრილობა  
ეროვნულ-პოლიტიკური სექციის სხდომის ოქმი**

ინტერპარტიული საბჭოს დავალებით ნ. ჟორდანიას მიერ წაკითხული მოხსენების – „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობის“ – გამოცემის რეზოლუციების შესამუშავებლად საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ გამოყო ეროვნულ-პოლიტიკური სექცია, რომელშიაც შევიდნენ ყველა პოლიტიკურ ფრაქციათა წარმომადგენლები:

**სოციალ-დემოკრატებისაგან:** ნ. ჟორდანიას, გრ. გიორგაძე, ვ. ჯუღელი, გრ. ურატაძე, კ. გვარჯილაძე, მ. კლიმიაშვილი, ვ. ფალავა, დ. ონიაშვილი.

**სოციალისტ-ფედერალისტებისაგან:** გიორგი დასხიშვილი, გრ. რცხილაძე, გრ. გველეხიანი, იასონ ბაქრაძე, ი. ფანცხავა, ს. ფირცხალავა, დიტო უზნაძე, აკაკი ფალავა.

**სოციალ-დემოკრატებისაგან (ალიონელებისაგან):** პ. საყვარელიძე, დ. სულიაშვილი, დეო შენგელაია, ნიკ. ქარცივაძე.

**სოციალისტ-რევოლუციონერებისაგან:** ივ. გობენია, იოსებ გობენია, პარ. საბაშვილი.

**ნაციონალ-დემოკრატებისაგან:** გიორგი გვაზავა, გრ. ეშაპელი, ვას. წერეთელი, შალვა ამირეჯიბი, ტ. ტაბიძე, ლ. ჯაფარიძე, დ. გურამიშვილი, ირ. ამირეჯიბი.

სექციის თავმჯდომარეთ ყრილობის მიერ არჩეული იყო **ივ. გობენია**, მდივნად სექციამ აირჩია **აკაკი ფალავა**. პირველი სხდომა დაიწყო საღამოს 10 ს. საკრებულოს დარბაზში.

პირველად რეზოლუციის პროექტს კითხულობს **ნ. ჟორდანიას:**

„ქართული ეროვნული ყრილობა, მოისმინა რა მოხსენება ნ. ჟორდანიასი შესახებ დღევანდელი მომენტისა და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობისა, ადგენს:

1. ქართველი ერი, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში, სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე.
2. ქართველ დემოკრატებმა დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისა თავისი სუბილტროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატებისა და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და ნაციონალური მისწრაფებანი განახორციელოს.
3. რუსეთის შუაგულში განადგობული სამოქალაქო ომის მეოხებით დღეს არ არსებობს ერთი ცენტრალური რევოლუციური მთავრობა, ცნობილი მთელი რევოლუციური რუსეთის მიერ. ამ გა-

რემოებამ აიძულა ყველა განაპირა ქვეყნები და მათ შორის ამიერკავკასიაც თავისი შინაური საქმეები თავისივე ძალ-ღონით მოაგვარონ და შესაფერი დაწესებულებანი შექმნან.

4. ყრილობა მხარს უჭერს ამიერკავკასიის ახლად შემდგარ მმართველობის დროებით ორგანოს „ამიერკავკასიის კომისარიატს“.

5. ადგილობრივი მიმდინარე კითხვების სათანადო გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება აუცილებლად ხდის ამიერკავკასიის წარმომადგენელთა კრების მოწვევას იმ დეპუტატებისაგან, რომელშიც ახლად ირჩევიან რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის. რიცხვი დეპუტატებისა უნდა იქმნას გამრავლებული თანახმად პროპორციულად მიღებული ხმებისა სხვადასხვა პარტიების მიერ.

6. ყრილობა საჭიროდ სცნობს ამიერკავკასიის სეიმში შესდგეს ქართველ დეპუტატებისაგან ქართული ეროვნული საბჭო ნაციონალურ კითხვათა და საჭიროებათა გასარკვევად, გასაძღვლად და ცხოვრებაში გასატარებლად.

7. ყველა ამ ადგილობრივ ძალთა თავის მოყრა არა კმარა ყველა მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით საჭიროებანი კავკასიის ფრონტის შენახვისა, კითხვა ომისა და ზავისა, სასურსათო, ფინანსებისა და სხ. ჩვენი ძირითადი ინტერესები მოითხოვენ დაუყოვნებლივ აღდგენილ იქმნას რუსეთის რევოლიუციური მთავრობა და მოწვეული დამფუძნებელი კრება.

8. რუსეთის დამფუძნებელ კრებას ჩვენ მოვთხოვთ ისეთი ნაციონალური ნორმების შექმნას ქართველი ერისათვის, რომელიც მას მისცემს საშვალეებს თავისუფალ კულტურული განვითარებისას. ასეთ ნორმად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე. ტერიტორიის საზღვრები გაიმიჯნებიან დაინტერესებულ მოსახლდრე ერების თანხმობით. საქართველოში მომწვევადეული ნაციონალური უმცირესობანი მიიღებენ სრულ უფლებრივ გარანტიას კულტურული განვითარებისას. ყრილობა საჭიროთ აღიარებს ამ მთავარ კითხვაში მოხდეს შეთანხმება ამიერკავკასიის ერთა შორის საერთო ნაციონალური პლატფორმით დამფუძნებელ კრების წინაშე წარსადგომად.

9. თუ რუსეთის სამოქალაქო ომი გაგრძელდება და დამფუძნებელი კრების მოწვევა ახლო მომავალში ვერ მოხერხდება უნდა იქმნას მოწვეული ადგილობრივი დამფუძნებელი კრებები, რომელიც ურთიერთის თანხმობით დაამყარებენ შესაფერ დემოკრატიულ და ნაციონალურ წესწყობილებას, როგორც თვითოეულ ეროვნულ ტერიტორიულ ერთეულში, ისე მთელ ამიერკავკასიაში.

10. საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე ზრუნვა და მისი მოწვევა ევალება ეროვნულ საბჭოს“.

ამ პროექტის წაკითხვის შემდეგ სიტყვა ეძლევა **გ. გვაზავას**. იგი აცხადებს: ზოგიერთი მუხლი პროექტისა მესამეშეხება. უმჯობესია პირველი და მეორე მუხლი გაკვირით იყოს გამოთქმული. ამის გარდა ამიერკავკასიის სეიმში სექციის გამოყოფა ვერ არის სახეირო ერისა და თვით სოციალ-დემოკრატიისათვისაც. ამიერკავკასიის საარჩევნო ოლქში არეულია ჯარები, უცხო მოსახლეობა ქართველ ერში. თუ ყურადღებას მივაქცევთ აბსენტეიზმსაც მაშინ სეიმის ქართული სექცია ვერ იქნება ნამდვილი წარმომადგენლობა ქართველი ერისა. მეორე კიდევ, სეიმში ჩვენს სექციას სათანადო მნიშვნელობა არ ექნება. აუცილებელია საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომლის მოწვევამდი ყრილობის მიერ არჩეული საბჭო უნდა მოქმედებდეს.

**გრ. რცხილაძე** წინადადებას იძლევა შევუდგეთ პროექტის მუხლებრივ განხილვას. ამას მხარს უჭერენ ვას. წერეთელი, კ. გვარჯალაძე, წინააღმდეგია გრ. ვეშაპელი. გადის რცხილაძის წინადადება.

მომხსენებელი კითხულობს პირველ მუხლს და განმარტავს, თუ რად არის ასე ცხადათ გატარებული რუსული ორიენტაცია. იგი ამბობს: დღეს ობიექტური პირობები, გარდა პრინციპიალური მოსაზრებისა, ისეთია, რომ ჩვენ ცხადათ უნდა ვაღიაროთ რუსული ორიენტაცია. უმთავრესად ყურადღებას აქვს გარემოება, რომ ჩვენს ფრონტზე სდგას ამდენი ჯარი, რომელიც თუ ჩვენ სხვაგზას დავადექით, უკეთეს შემთხვევაში ხელს აიღებს ფრონტის დაცვაზე.

**გ. ლასხიშვილი** ეთანხმება ჟორდანიას მოსაზრებას, მაგრამ ზედმეტათ მიაჩნია ხაზგასმა ამ მდგომარეობისა, მით უფრო, რომ რუსეთთან კავშირი გამოთქმულია მეორე მუხლში.

მომხსენებელი კითხულობს მეორე მუხლს.

**ვეშაპელი**: რეზოლიუციებში ვილაპარაკოთ ისეთ რამეებზე, რაც ყველას გვაერთებს, ფრონტისათვის ჩვენს რეზოლიუციას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს. წმინდა რუსული ორიენტაცია შეგვზღუდავს, რადგანაც ჩვენის ყრილობის რეზოლუცია მარტო შინ და ფრონტზე არ გაიტანება; ამას გარეშენიც გაიგებენ და თუ ჩვენ იძულებული შევიქნებით ორიენტაცია შევცვალოთ მომავალში, მაშინ ასეთი რეზოლიუცია გვავენებს.

*ი. ბაქრაძე* მოითხოვს ისეთი რეზოლიუციები გამოვიტანოთ, რაც ფაქტიურად გატარდება ჩვენს ცხოვრებაში, სხვას თავი დავანებოთ.

*გრ. რცხილაძე* ავტორის რედაქციით პირველი მუხლი მიუღებელია: ფრონტი იფიქრებს ამით გამარჯვება უნდათო. ეს რეზოლუცია იწერება არა ფრონტისათვის და საგარეო სახელმწიფოებისათვის არამედ ქართველი ხალხისათვის. ჯერ ჩვენი საჭიროებანი უნდა ვაღიაროთ და მერე ვთქვათ ვისი დახმარებით გავანადგებთ მას.

*კონიაშვილი* იძლევა წინადადებას ამოიშალოს პირველი მუხლი და შესწორდეს მეორე.

*ჟორდანიას* პირველი მუხლი პოლიტიკაა, მეორე ემპირიზმი.

*ი. გობეჩია*: პირველი მუხლის წინააღმდეგი არა ვარ, თუ დაემატება: „რევოლუციურ რუსეთთან“.

ბოლოს შეთანხმებით პირველი მუხლი უარყოფილია და მეორე ხდება პირველ მუხლად. მეორე მუხლი უკამათოდ მიღებულია.

მესამე მუხლის შესახებ *გრ. ვეშაპელი* აცხადებს, რომ ჩვენ პარტიას (ნ. დ.) უნდა ქონდეს ადგილი ამიერკავკასიის კომისარიატში, ვინაიდან ჩვენ საპატიო ადგილი გვიჭირავს რეალურ ცხოვრებაში.

*რცხილაძე* წინადადებას იძლევა მხარი დაეუჭიროთ ამიერკავკასიის კომისარიატს იმდენათ, რამდენათაც იგი განახორციელებს რევოლუციონური ცენტრების დადგენილებებს.

*ს. მდივანი*: კომისარიატს მხარი დაეუჭიროთ, თუ იგი ადგილობრივ ერთა პოლიტიკურად ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს.

*ჟორდანიას*: ამ მუხლში პრინციპიალური მხარეა გამოთქმული.

ბოლოს ეს მუხლიც მიღებულია.

*გრ. რცხილაძე* აცხადებს: სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციამ განიხილა პროექტი და შემდეგი შესწორებანი შეიტანა (კითხულობს პროექტს შეცვლილი სახით). ამას გარდა ფრაქციამ დაადგინა: გამოვიდეს ხმის მიცემის დროს საკუთარს განცხადებით.

*გვაზავა*: საჭიროა შეთანხმება, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ისეთი რეზოლიუცია უნდა მივიღოთ, რაც გამომდინარეობს ჟორდანიას მოხსენებიდან, რომელიც ჩვენ მოვიწონეთ. თუ დეკლარაციები წავიკითხეთ, ჩვენ ავირევით, რადგანაც შემდეგმა ორატორებმა შეიძლება წინა ორატორები გააკრიტიკონ და მაშინ დაუსრულებელი კამათი უნდა გაიმართოს. 1 პუნქტი (ორიენტაციისა) უნდა მოიხსნას, როგორც არა გამომდინარე მოხსენებიდან. 2 და 3, როგორც გამომდინარე მოხსენებებიდან და მომენტისა და ძალთა განწყობილების შესაფერისი, უნდა დარჩეს.

*გრ. ურატაძე* ტაქტიკა გვავალებს ორიენტაცია რუსეთისა ვაღიაროთ დღეს. ეს სრულებითაც არ შეგვიშლის ხელს ხვალ შეცვლილ პირობების გამო სხვა დავადგინოთ.

*ჯუღელი*: დათმობა არ შეგვიძლია. ან მოტივებიც მიიღეთ, ან მოტივებიც უარყავით და პრაქტიკული რეზოლიუციებიც... ავირჩიოთ მხოლოდ საბჭო და ამით გავათავოთ. პირველი მუხლი ჩვენ არ გვავალებს საშუალოდ რუსეთის ორიენტაციას შევრჩეთ. 1 მუხლი გამომდინარეა მოხსენებიდან. თუ გვინდა საქმე გავაკეთოთ და დავაშოშმინოთ ადგილობრივი რუსული ელემენტები და პეტროგრადიც (სადაც კავკასიის გამოყოფაზე ლაპარაკობენ), ტაქტიკური მოსაზრებით დარჩეს მოტივაციაც.

*პ. საყვარელიძე* ვინც დაკვირვებით წაიკითხავს პროექტს, ის სწორეთ გაიგებს კიდევ. ორიენტაციაზე იყო ლაპარაკი მოხსენებაში და ჩვენც უნდა აღვნიშნოთ ეს რეზოლიუციებში. დეკლარაციამ შეიძლება დაუსრულებელი კამათი გამოიწვიოს. უნდა შეიქმნას ერთი ეროვნული ფრონტი. ორიენტაცია დარჩეს. ამას მოითხოვს პოლიტიკური სიბრძნე. დეკლარაციები არ იქნეს, ე.ი. დარჩეს პროექტი ისე, როგორც არის. მოხსენებამ ჩვენ შეგვაერთა. ხალხმა მოიწონა. ჩვენ უნდა დავადასტუროთ ეს.

*ირ. ამირეჯიბი*: საჭიროა ზურგს უკან მოვიხედოთ. საქართველოს მთელი აღმოსავლეთი ბრალსა სდებს კარების გაღებაში. უნდა ვიზრუნოთ, რომ ზარალმა არ გადააჭარბოს სარგებლობას.

*ალ. წერეთელი*: ჩვენი ფრაქცია ძლიერ აფასებს შეთანხმებას. თუ ჩვენ არ გამოვედით საკუთარი აზრით იმიტომ, რომ დისონანსი არ გვინდოდა შეგვეტანა. პრაქტიკული მუხლები ყველას გვაერთებს, მოტივაცია კი ვერა. 1 მუხლის წინააღმდეგ არ შეიძლება რაიმე გვექონდეს. მესამე მუხლი არსებითად წინააღმდეგია ერთი ფრაქციის მსოფლ მხედველობისა. ეს მუხლი ხალხზე ცუდ შთა-

ბეჭდილებას მოახდენს და თუ რუსეთში მოისპო ანარქია, მაშინ ამ მუხლით ჩვენვე ვსპობთ საშვა-  
ლებას ჩვენს საჭიროებაზე ვილაპარაკოთ... თუ მოტივაცია დარჩა, მაშინ აუცილებელია დეკლარა-  
ცია, თუ არა და მაშინ დეკლარაციასაც არ წავიკითხავთ.

**მაისურაძე** მოითხოვს დარჩეს მოტივაცია და აღიარებულ იქმნას რუსეთის ორიენტაცია.

**გვაზავა:** აქ რაღაც გაუგებრობაა. უწინ დასავლეთთან კავშირი თუ რუსეთის საშვალებით  
გვექნა, დღეს შეგვიძლიან პირდაპირ, უშვალო დამოკიდებულება ვიქონიოთ დასავ. ევროპასთან.  
ამიტომ მხოლოდ რუსული ორიენტაცია ტაქტიკურად მიუღებელია. რა არის რუსეთი ამ მომენტში?  
რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს ფილიანდიაზე, უკრაინაზე, ყუბანზე, მთიულეებსა, ადერბაიჯანზე  
და სხვაზე. ჩვენ გვინდა კავშირი რუსეთის დემოკრატიასთან, მაგრამ რუსეთის ორიენტაცია სხვაგ-  
ვარად იქნება გაგებელი. არ იქნება ეს სხვა ერებისათვის ბრძოლის გამოცხადება?

ამიერკავკასიაში, გარდა რუსეთისა, ესლებიან გერმანიის, საფრანგეთის, ოსმალეთის და სხვა-  
თა ინტერესები. სჯობს განუმეხა. საკმარისია მე-2 მუხლი. მოტივაციის სულ მოხსნაში არ ვეთან-  
ხმები სოციალისტ-ფედერალისტებს. მოტივაცია საჭიროა შეთანხმებისათვის.

**ნ. ჟორდანი:** მე და ჩემს პარტიულ ამხანაგებსა არა გვაქვს სურვილი ვინმეს მოვახვიოთ ჩვენი  
აზრი. ეს მოტივაცია მარტო ჩვენი არაა – ყველასია. დიდება ისაა, რომ ორ ფრონტს შუა ვართ:  
რუსეთისა და კავკასიის. მარტო ამიერკავკასიის კომისარიატის დაარსებამ რა გამოიწვია ფრონ-  
ტზე? – ისა, რომ ჯარებმა ეს ფაქტი გამოყოფად მიიღეს და განაცხადეს: თუ ასეა ჩვენ რაღას ვა-  
კეთებთ აქ? თქვენ დაიცავით თქვენი ფრონტიო. საჭირო შეიქმნა დეკემბრითა და შიკრიკებით გა-  
ფანტვა ამ ბურჟუასა.

**ქარუმიძე:** დეკლარაციები, რომ უარყვავით კარგი იყო, მაგრამ პირველი მუხლი ნამდვილი  
კვინტესენციაა დეკლარაციის. უწინ რუსეთი ძლიერი იყო, დღეს იგი უსასოა. დღეს რუსეთში არა  
თუ არ არის, არც მოჩანს ისეთი ძალები, რომლებმაც მოაგვარონ რაიმე. რუსეთის საღი ელემენტე-  
ბი სხვაგან, ევროპაში ეძებენ ხსნას. თუ რუსეთის ორიენტაცია გვარგებს ფრონტთან, გვაზარა-  
ლებს ამ ორიენტაციის მოწინააღმდეგე ხალხებთან. თუ აქ ოსმალეთი შემოვიდა, ხომ ჯავრს ამო-  
იყრის ჩვენზე ამის გულისათვის.

კამათი დასრულებულად გამოცხადდა და შეთანხმებით მიღებულ იქნა 1 მუხლი: „ქართველი  
ერი, დღესაც როგორც მთელს გასულ საუკუნის განმავლობაში, დგას რუსეთის ორიენტაციაზე“.  
ამასთან გადაწყდა 1 და 2 მუხლი შეერთდეს. ეს დაევალა სარედაქციო კომისიას, რომელშიც შე-  
დიან: ჟორდანი, რცხილაძე, ვეშაპელი და ივ. გობეჩია.

მერვე მუხლში სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციამ მოითხოვა იქ, სადაც ნათქვამია: „ასეთ  
ნორმათ მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმართველობა საკუთარი საკანონმდებ-  
ლო კრებით“, შეტანილიყო კიდევ: „ანუ ავტონომია“. ამ მოთხოვნამ წინააღმდეგობა გამოიწვია სო-  
ციალ-დემოკრატების ზოგიერთი წარმომადგენლების მხრით, რომელნიც თავიანთ აზრს იმით ასა-  
ბუთებდნენ, რომ შინაარსით აღიარებულია ავტონომია, ხოლო ეს ტერმინი მეტია, რადგანაც ჩვენი  
მასსა ამას ვერ გაიგებს სათანადოთ და აგვიმხედრდებაო. ასეთ აზრს იცავენ ჯუღელი, მაისურაძე,  
გრ. ურატაძე და სხ. ნ. ჟორდანი მომხრეა შეტანილ იქნას „ანუ ავტონომია“-ც. იგი აცხადებს: ჩვენ  
შეიძლება ფედერაციაც შევკრათ. ავტონომიის აღიარება კი დღეს მომწიფებულია და ვაღიარებთ  
კიდევ ამ მუხლით. ჩემი აზრით, „ანუ ავტონომიაც“ რომ ჩავართოთ, არა უშავს, რადგანაც ნამდვი-  
ლად დღეს უკვე ვაღიარებთ ავტონომიას.

ავტონომიის შეტანას იცავენ სოციალისტ-რევოლუციონერებიც. წინააღმდეგი არიან ამ შეს-  
წორების ნაციონალ-დემოკრატები და რადიკალ-დემოკრატები. რადგანაც ნაწილი სოციალ-დემოკ-  
რატების დაჟინებით წინააღმდეგია ამ შესწორების და მათ მხარი დაუჭირეს დასახელებულმა  
ჯგუფებმა. ეს შესწორება მოიხსნა.

მერვე მუხლის ბოლოს ამოიშალა სოციალისტ-ფედერალისტთა წინადადებით: „საერთო ნაცი-  
ონალური პლატფორმით დამფუძნებელი კრების წინაშე წარსადგომათ“.

შემდეგ აღიძრა საკითხი სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ და ერთხმად აღიარეს, რომ სა-  
მაჰმადიანო საქართველოს თვითმართველობის აღიარება შეტანილ იქნას რეზოლიუციებში.

სამცხის თანამჯდომარე

ივ. გობეჩია

გრიშანი

აკაკი შალვაძე

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 29, ფურცლები 21-24.  
მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი. ივანე გობეჩიასა და აკაკი ფაღავას ხელრთვა.

**№2. საოქმო ჩანაწერი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებისა და ანტანტის (ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის) დიპლომატების შეხვედრის შესახებ.  
1917 წლის 8 დეკემბერი**

**საქართველოს ეროვნული საბჭო  
აღმასრულებელი კომიტეტი  
სხდომის ჟურნალი  
№9**

**8 დეკემბერი 1917 წ.**

**დაესწრნენ:** *ნ. ჟორდანიას, ჩხენკელი, მუსხი, გობენია, ვეშაპელი, რამიშვილი, ლომთათიძე, საყვარელიძე, ს. ჯიბლაძე, ქარცივაძე, გვაზავა, რცხილაძე, ფარნიაშვილი, ლასხიშვილი, გუგუჭკორი.*

**მოწვეულნი:** *ელჩები ამერიკისა, ინგლისის, საფრანგეთისა, იტალიისა, გენერ. შორი.*

**თაგმჯღომაგაროგა**

**ნ. ჟორდანიას**

**მდიმნოგა**

**დ. ნახუტჩიშვილი**

**განსახილველი საგანი:** *ნ. ჟორდანიას* მიესალმება ელჩებს. მათაც უპასუხებს მისალმებაზე. შემდეგ დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომლის დროსაც გამოირკვა თუ რა აზრისანი არიან თანამედროვე პოლიტიკურ და სტრატეგიულ მდგომარეობის შესახებ როგორც ქართველობა, აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა ელჩები. უცხოელ ელჩების აზრი ასეთი იყო: ქართველები ჯარების შედგენას აგვიანებენ, უნდა დააშურონ; დისციპლინა ჯარში სრულებით დაცემულია, უნდა აღდგენილი იქნას, მაშინ ჩვენც თქვენთან ვიქნებით; ჯარში შემდგარი კომიტეტები კი უნდა მოისპოს, რადგან საქმეს ვნებენ; ჩვენ დახმარება შეგვიძლიან გაგიწიოთ ფულით, ხალხით და მასალით, იარაღის მოწოდება კი არ შეგვიძლიან; ეხლანდელი ომის ფრონტი უნდა დაიცვათ ქართველებმა და სომხებმა იმ ხაზზედ, სადაც ეხლა თხრილებია ჯარისა; მთავარსარდალი თქვენი (კავკასიის) და ჩვენი (მოკავშირეთა) ჯარებისა ერთი უნდა იყოს და იმაზედ იქნება დამოკიდებული ჯარების განაწილება ფრონტზე, პოზიციების ნაციონალურად განაწილება შეუძლებელია; ჩვენ ვიცნობთ ერთს მთლიანს რუსეთს და მის დროებითს მთავრობას, ცალკე ერებს კი – როგორც რუსეთის ნაწილებს, მით უმეტეს, რომ არც ქართველებს და არც სომხებს არა ჰყავთ თავიანთი საკუთარი მთავრობანი, ჩვენ ამიერკავკასიის კომისარიატი ვიცანით მთავრობათ და ურთიერთობაც გვაქვს მასთან; ამიერკავკასია უნდა შეუთანხმდეს სამხრეთ-დასავლეთის კავშირს, სადაც შეველენ უკრაინა და ციმბირიც, მერე რუსეთი აღსდგება როგორც ფედერატიული ერთეული.

რუმინეთის ფრონტიდან მოდიან უცხოელი აფიცრები, რომელნიც გამოდგებიან ინსტრუქტორებად ქართულ ჯარში და შეგიძლიათ ისარგებლოთ. რაც შეეხება მობილიზაციას უნდა მოხდეს იგი ნაწილ-ნაწილ რაიონებად: ჯერ ქართველებისა და სომხებისა და შემდეგ თათრებისა, ამ უკანასკნელთა გვიან მოხდეს, მათი გაწეობა და გამართვაც შეგვიანდება დიპლომატიურად, მანამდის კი ქართული და სომხური ჯარები პოზიციასზედ უნდა წავიდნენ.

ჩვენების მოხსენება ასეთია მოკლედ: ჩვენ ჯარი გვეყოლება მალე საკმაო, მაგრამ იარაღი არა გვაქვს საკმაო, იარაღი თქვენ მოგვეცით, ჩვენ დავიცავთ ჩვენს ტერიტორიას; ჩვენ რომ ოსმალს წინ დაუდგეთ განმარტობული ხომ არ დავრჩებით, ან მოკავშირენი რა გვარის დახმარებას გაგვიწვევენ? ჩვენი აფიცრები შესაფერისნი არიან თავიანთი მოვალეობა-მდგომარეობისა; მობილიზაციას ჩვენ ვერ მოვახდენთ, შემოვიღებთ სახალხო მილიციას, რომლისათვისაც მაინც იარაღი გეჭირია; სცნობენ საქართველოს, როგორც პოლიტიკურს ერთეულს, თუ არა?

შემდეგ მოლაპარაკებისა, სჯა-ბაასი ამავე საგანზედ კომიტეტმა გადასდო შემდეგ, ამისთვის დანიშნულ საგანგებო სხდომაზე.

თავმჯდომარე	<i>ნ. შორჯანიძე</i>
ბაგმე	<i>პ. სამხარელიძე</i>
მდივანი	<i>დ. ნახუცრიშვილი</i>

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცლები 14-15. მანქანაზე ნაბეჭდი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომათა ჟურნალში. დედანი.

**№3. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში გერმანოფილური საგარეო პოლიტიკური კურსის აღიარებისა და კონკრეტული სამოქმედო პროგრამის განსაზღვრის შესახებ. 1918 წლის 14 მაისი**

**საქართველოს ეროვნული საბჭო  
აღმასრულებელი კომიტეტი  
სხდომის ჟურნალი  
№58, 14 მაისს 1918 წ.**

**დაესწრნენ წევრნი:** *გ. ლასხიშვილი, გ. გვაზავა, ვ. გობეჩია, გ. ვეშაპელი, ნ. ხომერიკი, პ. საყვარელიძე, გ. რცხილაძე, ს. ჯიბლაძე; სტუმრები: შ. მესხიშვილი, ვ. ქიქოძე, ბ. პაპავა.*

თავმჯდომარეობდა	<i>გ. ლასხიშვილი</i>
მდივანობდა	<i>დ. ნახუცრიშვილი</i>

**განსახილველი საგანი:** ბ. გვაზავამ მოახსენა კომიტეტს გერმანიის სამხედრო უწყების წარმომადგენელ ბ. კაიზერთან და ადგილობრივ მოსახლე გერმანელთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებთან კერძო საუბრის შესახებ. ამ საუბრის დროს შემუშავებულ იქნა ოთხი მუხლი პირობებისა, რომელიც მოსაუბრეთა აზრით სასურველია აღმასრულებელმა კომიტეტმა გაუგზავნოს საზოგადოების თაემჯდომარეს ბ. ა. ჩხენკელს ცნობად და სახელმძღვანელოდ. ეს არის:

1. ეცნობოს გერმანიის საზოგადოების თაემჯდომარეს გენერალ ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს სურვილი და თხოვნა, ყოველნაირად ხელი შეუწყოს გერმანიამ საქართველოს საერთაშორისო და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხებს, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაწყვეტას.

2. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს მიიღოს სათანადო ღონისძიება, რომ გერმანიის ჯარმა განაგრძოს სვლა ჩრდილო-კავკასიაში, რათა იმდენად დაუახლოვდეს საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი იყოს მასთან კონტაქტის დაჭერა და საქართველო უზრუნველყოფილი იქნას გარედან მოსალოდნელი რაიმე საფრთხისაგან.

3. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფ ქართველ სამხედრო ტყვეებს, რაც შეიძლება მალე სამშობლოში სამხედრო წესით დარაზმულად დაბრუნებას.

4. ეთხოვს გენერალ ლოსოვს, ვიდრე ეს საქმე მოხერხდებოდეს, დასტოვოს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეები და მიანდოს გერმანიის ოფიცერთ მათი სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას შეეძლოს საჭირო შემთხვევაში გამოიყენოს ეს ჯარი შინაურ წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად.

თავმჯდომარე  
საქმეთა მმართველი  
მდივანი

ბ. ლასხიშვილი  
კ. საყვარელიძე  
დ. ნახუცრიშვილი

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 67. მანქანაზე ნაბეჭდი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ურუნალში. დედანი.

**№4. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ.  
1918 წლის 16 მაისი**

საქართველოს ეროვნული საბჭო  
აღმასრულებელი კომიტეტი  
სხდომის ურუნალი  
№59, 16 მაისს 1918 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს 7 საათზე

**დაესწრნენ:** ნ. ჟორდანიას, გ. ლასხიშვილი, ნ. ხომერიკი, გ. გვახავა, გ. ვეშაპელი, ჰაიდარ ბეგ აბაშიძე, პ. საყვარელიძე, ვ. გობეჩია, კ. მესხი; **სტუმრები:** იას. ლორთქიფანიძე, შ. მესხიშვილი.

თავმჯდომარეობდა  
მდივანობდა

ნ. ჟორდანიას  
დ. ნახუცრიშვილი

**განსახილველი საგანი:** წინადადება პ. საყვარელიძისა, რომ მიენდოს აღმასრულებელ კომიტეტს ან ცალკე კომისიას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის მოამზადოს ყოველნაირი ნიადაგი.

აზრთა გაზიარების შემდეგ მიღებულ იქნა ის წინადადება, რომ პრეზიდიუმის წევრებს ნ. ჟორდანიას, გ. ლასხიშვილს და გ. ვეშაპელს დაევალოთ დაასახელონ სამი წევრი დამოუკიდებლობის მოსამზადებელ კომისიისა, რომელთაც თათბირის შემდეგ დაასახელებს შემდეგი პირნი: ნ. რამიშვილი, დ. ვახნაძე და შ. მესხიშვილი.

**განაჩენი:** არჩეულ იქნას კომისია სამი კაცისაგან, რომელსაც დაევალოს: 1. მთავრობასთან მოლაპარაკება და შეთანხმება ლტოლვილთა საქართველოში დენის შესახებ ზომების მისაღებად; შეიარაღებულ ლტოლვილებს იარაღი აეყაროს; 2. ქართულ ჯართან და სამხედრო სექ-

ციასთან კონტაქტი იქონიოს და 3. სომეხთა ეროვნულ საბჭოს აცნობოს, თუ რამდენად რთულდება საქმე ლტოლვილთა საქართველოში გადმოხვეწით და რა ზომების მიღებას ფიქრობს იგი სირთულის თავიდან ასაცილებლად.

ამ კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ: ვლ. გობეჩია, შალვა მესხიშვილი და გრ. ვეშაპელი, რომელთაც ევალებათ ზემომოყვანილი დადგენილების შესრულება.

თავმჯდომარე

*ნ. შორღანიძე*

საქმეთა მმართველი

*პ. საყვარელიძე*

მდივანი

*დ. ნახუცრიშვილი*

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცლები 68-69. მანქანაზე ნაბეჭდი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ჟურნალში. დედანი.

**№5. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მოსამზადებლად შექმნილი სამთა კომისიის შესახებ.  
1918 წლის 17 მაისი**

**საქართველოს ეროვნული საბჭო  
აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის  
სხდომის ჟურნალი  
№61, 17 მაისს 1918 წ.**

**დაესწრნენ:** გ. ვეშაპელი, კ. მესხი, პ. საყვარელიძე, გ. გვაზავა; **სტუმრები:** დ. ვაჩნაძე, შ. მესხიშვილი, გენ. გაბაშვილი, პოლკ. კარგარეთელი, პოლკ. ზაქარიაძე.

**განსახილველი საგანი:** მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სამთა კომისიის მოქმედების შესახებ.

ამავე კომისიამ წარმოადგინა გადასაწყვეტად კითხვები: 1. ქ. თბილისის დაცვა ვის ჩაჰბარდეს; 2. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ხელმძღვანელი ორგანო.

**განაჩენი:** 1. უნდა გამოცხადდეს სამხედრო (ან საალყო) წესები ქ. თბილისში.

2. თბილისის კომენდანტად და გარნიზონის უფროსად დაინიშნოს გენერალი ახმეტელი, მის თანაშემწედ პოლკ. ნაქერელიძე, რომელთაც უნდა იმუშავონ ქართულ კორპუსის უფროსის გენ. გაბაშვილის ხელმძღვანელობით.

ხელმძღვანელ ორგანოდ ითვლება იგივე კომისია და მოქმედებს აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.

თავმჯდომარე

*პ. საყვარელიძე*

საქმეთა მმართველი

*დ. ნახუცრიშვილი*

მდივანი

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 71. მანქანაზე ნაბეჭდი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ჟურნალში. დედანი.



№6. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა,  
მიძღვნილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისადმი.  
1918 წლის 25 მაისი

საქართველოს ეროვნული საბჭოს  
აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა  
25 მაისს, 1918 წ.

დამის 11 საათზე

**დაესწრნენ:** ნ. ჟორდანიას, გ. ლასხიშვილი, პ. საყვარელიძე, კ. გვარჯაღაძე, ნ. ხომერიკი, ალ. ლომთათიძე, ს. ჯიბლაძე, შ. მესხიშვილი, კ. მესხი, ნ. რამიშვილი, იას. ლორთქიფანიძე, გ. ვეშაპელი, გ. ჟურული, ალ. ასათიანი, ი. მაჭავარიანი, დ. ვაჩნაძე, გ. გვაზავა, ირ. წერეთელი, ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, ვ. გობეჩია.

თავმჯდომარე  
მდივანი

ნ. ჟორდანია  
დ. ნახუტჩიშვილი

ნ. ჟორდანია აცნობს დამსწრეთ ა. ჩხენკელის დეპუტატს და წერილს, სადაც იგი თხოულობს დაჩქარებულ იქნეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგან გვიანდება და აუცილებელი კია.

შემდეგ თავმჯდომარე განმარტავს, რომ სურვილი იყო ამაღამ ათს საათზე შეკრებულყო სეიმი, რომელიც გამოაცხადებდა სეიმს დაშლილად და შემდეგ საბჭო გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ სეიმის ზოგიერთმა ფრაქციებმა შეკრებაზე უარი სთქვეს, მაგალითად მუსავაჰტმა განაცხადა, რომ მათ ჯერ არ განუხილავთ საკითხი და აზრი არ შეუმუშავებიათ, თუ ქართველებს სურთ დამოუკიდებლობის გამოცხადება, გამოაცხადონ, ჩვენ ხელს არ უშლით; სომხებმა განაცხადეს, რომ შესამუშავებელი აქვთ თავიანთი განცხადება და თხოულობენ გადაიდოს სეიმის სხდომა ხვალ დილით.

რადგანაც ჩვენ გვინდოდა მათთან თანხმობით საქმის გაკეთება, მაგრამ რადგან არ ხერხდება და არ სურთ, ჩვენ უნდა ცალკე ვიმსჯელოთ. სეიმის კრება დღეს არ მოხდება, დანიშნულია ხვალ დღის 12 საათზე. სეიმის შემდეგ საბჭო სასახლეშივე გამოაცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობას.

შემდეგ გაიმართა სჯა ბაასი იმის შესახებ, თუ როდის გამოცხადდეს დამოუკიდებლობა; რადგან ძალიან საჭიროა ამ აქტის გამოცხადება, რამდენიმე ორატორი იმ აზრისა იყო, რომ დღესვე გამოცხადებულიყო აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა.

მაგრამ ნ. ჟორდანიამ განმარტა, რომ დღევანდელი გამოცხადებით საქმე გართულდება, ვინაიდან სეიმი და მისი მთავრობა არსებობს, არ გაუქმებულა, მაშინ ორი მთავრობა იქნება, რაც შეუძლებელია; შეიძლება ზოგიერთმა წინააღმდეგობა გაგვიწიონ, დამოუკიდებელი საქართველო არ სცნონ, მათთან შეტაკება მოგვიხდება; ამიტომ გამოცხადება გადაიდება სახვალისათ.

რადგან შეთანხმება არ მოხდა, ამ ორ ჯგუფს შორის, კენჭი უყარა საკითხს: „**საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდეს დღეს თუ ხვალ**“.

პირველს მომხრე აღმოუჩნდა 6 ხმა.

მეორეს .... 4 ხმა.

გადაწყდა გამოცხადებულიყო დღესვე; ამის გამო ნ. ჟორდანიამ განაცხადა: რაკი დღესვე გამოცხადდება დამოუკიდებლობის აქტი, იგი პასუხისმგებლობას არ კისრულობს მოსალოდნელ შედეგებისას.

მაგრამ მცირე ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ დამოუკიდებლობის აქტი ჯერ შემუშავებული არ არის და ვერ იქნება წაკითხული; რამაც გამოიწვია თავის თავად აქტის გამოცხადების გადადება სახვალით.

ვინაიდან საქმე მაინც საშურია, **ნ. რამიშვილის** წინადადებით გადაწყდა: **ხვალ, 26 მაისს, დილით 10 საათზე მოხდეს სეიმის სხდომა, ხოლო 12 საათზე საბჭოსი.**

**ნ. ჟორდანიამ** შემოიტანა წინადადება: გარკვეულ იქნეს ის საკითხები, რომლებიც ხვალინდელ საბჭოს სხდომაზე, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, უნდა იქნეს განხილულ-და-დასტურებული:

**1. რა კანონები იქნება საქართველოში.**

დამოუკიდებელ საქართველოში დროებით იმოქმედებს ყველა ის ძველი კანონები და სეიმის დადგენილებანი, რომელნიც მოქმედებდნენ დღევანდლამდის ამიერკავკასიაში.

**2. ფინანსები.**

ა) ფულის ბეჭდვის წესი დარჩეს დროებით ძველი, ვიდრე შემუშავდებოდეს ჩვენი საკუთარი ფინანსური სისტემა.

ბ) ჩვენს საფინანსო დაწესებულებაში წარმოდგენილი ეკოლებათ თათრებს და სომხებს, სანამ ფულის სისტემა იქნება ძველი.

**3. რკინის გზა.**

რკინის გზის სამმართველო ჩვენს ხელში იქნება, მხოლოდ რაც სადაოა, ის გამოირკვევა შეთანხმებით მეზობლებთან.

**4. ეროვნული საბჭოს ორგანიზაცია.**

ა) აღმასრულებელი კომიტეტი უქმდება.

ბ) საბჭო ირჩევს თავის ახალ პრეზიდენტს მეორე კრებაზე.

გ) არჩეულ იქნას სამანდატო კომისია, რომელსაც დაევალოს საბჭოს რეორგანიზაციის საკითხის განხილვა, წევრთა და კანდიდატთა სიის გადასინჯვა.

**5. მთავრობის რეორგანიზაცია.**

ა) დაარსდეს რვა სამინისტრო, საკონტროლო ორგანო დაარსდეს ცალკე.

ბ) უქმდება სასურსათო და მზრუნველობის სამინისტროები.

გ) შეერთებულია: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მიწათმოქმედების და შრომის სამინისტროები.

დ) სამინისტროები იქნება შემდეგი:

1. შინაგან საქმეთა
2. საგარეო
3. სამხედრო
4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა
5. განათლების
6. მიწათმოქმედების და შრომის
7. იუსტიციის
8. გზათა

ე) მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა:

1. თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა – *ნოე რამიშვილი*
2. საგარეო – *აკაკი ჩხენკელი*
3. სამხედრო – *გრიგოლ გიორგაძე*
4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა – *გიორგი ჟურული*
5. განათლების – *გიორგი ლასხიშვილი*
6. მიწათმოქმედების და შრომის – *ნოე ხომერიკი*
7. იუსტიციის – *შალვა მესხიშვილი*
8. გზათა – *ივანე ლორთქიფანიძე*

**მცირე კამათის შემდეგ ყველა ეს წინადადება მიღებულ იქნა.**

წაკითხულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი, შემუშავებული კომისიის მიერ.

ამ პროექტის შესახებ გაიმართა კამათი, რომელიც დასრულდა იმით, რომ პროექტი შესწორებულ იქნეს კამათის დროს გამოთქმული აზრების თანახმად. შესწორება აქტის პროექტისა და ევალა ბ. ნ. ჟორდანიას.

კრება გათავდა 11 1/2 საათზე.

თამაზაშვილი

საქმეთა მმართველი

მდივანი

ნ. ჟორდანიას

პ. საჩხარელიძე

დ. ნახუცრიშვილი

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 49, ფურცლები 1-4. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

**№7. ნოე ჟორდანიას სიტყვა ეროვნული საბჭოს სხდომაზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს. 1918 წლის 26 მაისი**

**მოქალაქენო!** დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის, იშვიათის და ამავე დროს ტრაგიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ახლა ამავე დარბაზში ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს.

ამ ორი სახელმწიფოს შორის, რომელთაგანაც ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა. და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა **(ტაში)**.

საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს არსდება, არ იქნება მიმართული არც ერთის ერის, არც ერთის ხალხის, არც ერთის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მისი მიზანია დღევანდელი ისტორიული ქართველებისაგან დაიფაროს თავისი თავი და როცა ამას მოახერხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც, ვინც ჩვენს ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდი განსაცდელში **(ტაში)**.

თქვენ კარგად იცით, საქართველო ჩვეულება ბრძოლას თავისის არსებობის დასაცავად. ის საუკუნოებით იბრძოდა, რათა თავისი სულიერი ვინაობა, ნაციონალური ორგანიზმი და ტერიტორია შეენარჩუნებინა. მაგრამ იგი იბრძოდა მხოლოდ თავის დასაცავად და არ ებრძოდა სხვის არსებობას.

ამასთანავე იგი იბრძოდა არა მარტო ქართველთათვის, არამედ იმ ერებისათვისაც, რომელნიც მოსახლეობდნენ მის სახელმწიფოებრივ ფარგლებში.

მეტსაც ვიტყვი, ის იბრძოდა თავისი ფარგლების გარეც აგრეთვე სხვების დასაცავად.

ეს დიადი ისტორიული მაგალითი ცხოველმყოფელ ანდერძად დარჩა ქართველ ხალხს და ეს სრული გარანტიაა იმისა, რომ დღევანდელ ქართველ ერს შერჩენილი აქვს მისი ძირითადი ისტორიული მიდრეკილება – შეუსაბამოს თავისი ინტერესები სხვა ერთა ინტერესებს.

სწორედ ამიტომ არც ერთი ერი – ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები, თუ ჩვენი სახელმწიფოს გარე მყოფი, არ უნდა განიცდიდეს ჩვენ გამო რაიმე აღელვებას, სულიერ მტკივნეულობას და წყენას.

განა დღეს სეიმში არ განაცხადეს ორატორებმა, რომ არ არის ისეთი ერი, რომელიც ცუდად იხსენიებდეს ქართველ ერს?

ეს არის იმის თავმდეები, რომ ახალი სახელმწიფო, ახალი მთავრობა სავსებით გაამართლებენ ამ იმედებს.

მსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეთ და ჩვენს შორის მყოფ ერებთან.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ ერის დიდ ტრაგედიას, რომლის ერთი ნაწილი ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრობს, ხოლო მეორე ნაწილი – ჩვენს გარეთ.

ეს არის სომხობა.

ძველს ანდერძს დღევანდელი ქართველობაც გაიხსენებს და სომხის ერი იმავე მფარველობას პოვებს ჩვენში, რომელსაც პოვებდა იგი ქართველ მეფეთა შორის (**ხანგრძლივი ტაში**).

ჩვენ გვსურს კეთილგანწყობაში ვიყოთ ამიერკავკასიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობასთან – მუსულმანებთან. ჩვენ გვინდა, რომ მათ მოგებადონ, დაიარსონ ასეთივე სახელმწიფო და შეერთების ხელი გამოგვიწოდონ (**მხურვალე ტაში**).

ამასთანავე ეს მეგობრული დამოკიდებულება ჩვენს გარშემო მყოფი ერებისა იქნება მკვიდრი საფუძველი, რომელიც გაამაგრებს ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს და აგრეთვე ამ ერებსაც და საშუალებას მოუსაძობს ჩვენს საერთო მოქიშპეთ წიხლი ჩაგვცენ და დაგვანგრიონ.

ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში მოსახლეობს სხვადასხვა ერის უმცირესობა. ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლებამოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა – ქართველობა.

ეს ერნი, შეერთებულნი ერთის დროშის ქვეშ, შეჰკრავენ კავშირს იმ ერებთან, რომელნიც ჩვენის ქვეყნის ფარგლების გარეთ იმყოფებიან, და ამით წარმოიშეება ის სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ ჩვენს წინაშე დაღუპულს სახელმწიფოს.

ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერაციული კავშირი (**ხანგრძლივი ტაში მთელის დარბაზისა**).

ამრიგად, ჩვენი სავალი გზა, ჩვენი იდეალი უნდა იყოს ამ კავშირის შედგენა. ეს კავშირი იქნება ის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი – სახელმწიფოთა კავშირი, რომელიც საერთო ძალ-ღონე შეკრებილი, მთლიანი წარსდგება გარეშე მტრის წინაშე და დაიცავს თავის თავს (**ტაში**).

აი, მაშინ შეიძლება აღსრულდეს ის, რაც სეიმმა ვერ შექმნა.

და ის, ვინც ახლა შეუგნებლად მიდის ამიერკავკასიის ფარგლების გარეთ, შესაძლებელია კვლად მოუბრუნდეს და საერთო დროშის ქვეშ დადგეს.

ამით დამყარდება ამიერკავკასიის ერთობა და აქ მოსახლე ერების ძლიერება (**ხანგრძლივი ტაში და ოვაციები**).

**თავმჯდომარე:** ახლა მომეცით ნება გადავიდეთ იმ საგანზე, რომელიც ახლა იქნება წაკითხული.

**თავმჯდომარე** კითხულობს „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს“, შემდეგის შინაარსისას:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავისის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი, სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თავიანთი ძალ-ღონის ამარა, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იღვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს, მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული, საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს საყოველთაოდ აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. საერთაშორისო ომინობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შეესებულები იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 43, ფურცლები 1-3. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

**№8. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვა საქართველოს დამოუკიდებლობის ექვსი თვის თავისაღმა მიძღვნილ ეროვნული საბჭოს საზეიმო სხდომაზე.  
1918 წლის 1 დეკემბერი**

**მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას  
სიტყვა**

**მოქალაქენო!** ამ ასი წლის წინათ საქართველომ ხელი აიღო თავის დამოუკიდებლობაზე.

ამ ექვსი თვის წინად იმავე საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა (**ვლასა მგელაძე: გაუმარჯოს ამ დამოუკიდებლობას!**). ასეთი ორი, ერთი მეორის მოპირდაპირე, ერთი მეორის მოწინააღმდეგე აქტი არის იმავე დროს აქტი ჩვენი ცხოვრების ძირითადი პრობლემისა. ამ ორ აქტს შორის არის ერთი დიდი რამ საერთო, ის რომ ორივე აქტი იყო გამოწვეული ერთი და იგივე მიზეზით. და ამ ორმა აქტმა მიადწია ერთსა და იმავე შედეგს.

ამ ორი აქტის საერთო მიზეზი იყო ის, რომ ჩვენ, საქართველოს ხალხს, თავი დაეხსნა აზიურ ბარბაროსობისაგან. და შედეგი ორივე აქტისა იყო ის, რომ საქართველო ამ ორმა აქტმა იხსნა იმ აზიურ ბარბაროსობისაგან და შემოსევისაგან.

აქედან თქვენ ხედავთ, რომ 26 მაისის აქტი არ ყოფილა აქტი შემთხვევითი, აქტი უცაბედითი, მოგონილი რომელიმე პირის, ჯგუფის, ან პარტიის მიერ. არა, ბატონებო, ეს აქტი იყო ისტორიული აუცილებლობისა და ხალხის გულიდან ამოხეთქილი. ამ აქტით საქართველო გადაურჩა

განადგურებას, ამ აქტის საშუალებით საქართველოში არ შემოსულა შეიარაღებული ძალა ჩვენს სამტროდ.

ამ აქტით შემოვიდა, მართალია, შეიარაღებული ძალა ჩვენში, მაგრამ შემოვიდა ჩვენს საშველად და იმედი გვაქვს, და ვართ დარწმუნებული, რომ, თუ კიდევ შემოვიდა შეიარაღებული ძალა ჩვენში, ძალა ევროპიული – ეს ევროპიული შეიარაღებული ძალა იქნება ჩვენს სამოყვროდ და სამეგობროდ. ეს იმიტომ, რომ მთელი ჩვენი სულისკვეთება და ლტოლვილება, დაწყებული მეთერთმეტე საუკუნიდან იყო ის, რომ რამენაირად მოვშორებულიყავით აზიურ კულტურას და შევსულიყავით ევროპულ კულტურაში. და ამიტომ ჩვენ არ გვქონია და არც გვექნება მტრული განწყობილება ევროპასთან და არც ევროპას ექნება ჩვენთან.

თუ კი გერმანიის ძველი რეჟიმის ჯარები აქ მოგვეპყრნენ სათუთად და ოდნავად არ შელახეს ჩვენი ერის სუვერენობა, მით უფრო ჩვენ მოველით ასეთ მოპყრობას ახალ გერმანიისაგან და იმ ქვეყნებისაგან, რომლის წარმომადგენელი დღეს მოდიან ჩვენსკენ და რომლებმაც უკვე გუშინ ფეხი დაადგეს ჩვენს ტერიტორიაზე.

ასე რომ ჩვენ არ გემართებს ცრემლთა ფრქვევა და არც უიმედობა მხოლოდ ერთი პირობით: ჩვენ უნდა ვიდგეთ მაგრად ჩვენ ისტორიულ გზაზე და უნდა ვთქვათ გადაჭრით და ხმაბაღლა, რომ არ გვინდა არც ქაოსი, არც ბარბაროსობა, საიდანაც უნდა მოდიოდეს იგი – სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან (ტაში).

ჩვენ დღეს შეგვიძლიან შევიდეთ ევროპულ ხალხთა ოჯახში პირდაპირ, სრულიად უშუაშაშლოდ. დღეს ჩვენ უკვე ამ გზაზე ვართ და ჩვენის ნებით არ გადავუხვევთ (ტაში). მაგრამ გვეტყვიან ეს თქვენი მშვენიერი სურვილია და სურვილებით არავინ შესულა სამოთხეშიო. დიას, ეს ჩვენი სურვილია, მაგრამ არა სურვილი უნიადაგო, არა ისეთი, რომელსაც არა ჰქონდეს თავისი საპატიო საბუთები. თუ ვინმე იფიქრებს, რომ ამ ჩვენი სურვილით, ასეთი მსუბუქის ბარგით ვაპირებთ ხალხთა შორის თანასწორობის მოპოვებას, ის უეჭველად შემცდარია.

არა, ჩვენ შეგვიძლიან თვით უსასტიკესი არეოპავის წინაშეც წარვსდგეთ იმ საბუთებით, რომელიც ჩვენ გვაქვს. ამ საბუთად ჩვენ გვაქვს 6 თვის ისტორია. მოხდა ერთი დიდი ფაქტი, ის ფაქტი, რომელსაც ვერ უარყოფს ვერავინ. ეს ფაქტი გახლავთ ის, რომ რუსეთის დიდი რევოლუცია, რევოლუცია თებერვლისა, მთელ რუსეთის უზარმაზარ სივრცეზე მხოლოდ აქ, საქართველოში, განმტკიცდა, აქ შეისხა სისხლი და ხორცი.

თებერვლის მოპოვებულმა თავისუფლებამ ააფორიაქა მთელი რუსეთი, ააფორიაქა ყველა ხალხი. იქ გამოიწვია განაწილება იმ გვარად, რომ, ერთი მხრივ, აამუშავა ანარქია და მეორე მხრივ, აამუშავა რეაქცია.

მარტო აქ საქართველოში ამ თავისუფლებამ იპოვა თავისი ღირსეული პატრონი და გონიერი მოყვარენი, მან ვერ გააქანა ჩვენი ხალხი ვერც ანარქიისა და ვერც რეაქციისაკენ. დემოკრატია მხოლოდ აქ იშვა და აქ დაეპატრონა ქვეყანას.

– ერთი წლის რევოლუციის ქარტახილმა აქ გამოსჭვდა ხალხი თავისთავის პატრონი და თავისთავის მართველი. აქ, მხოლოდ აქ აღმოჩნდა დემოკრატია ისეთი ძლიერი, რომ არ გადასცდა თავის ისტორიულ გზას და არ აჰყვა არც ერთ იმ გზებს, რომელნიც გამოჩნდნენ შემდეგ თვეებში, და რომელთაც გამოიწვიეს რუსეთის აფორიაქება. თავისუფლება მხოლოდ ჩვენში არ აღმოჩნდა მტერი წესიერებისა. წესიერებამ მხოლოდ ჩვენში ჰპოვა ფესვები თავისუფლებისა. მოსპეთ ეს თავისუფლება და გაჩაღდება დიდი არეუ-დარევა. მოსპეთ წესრიგი და მოისპობა თავისუფლება. და საქართველოში აი ამ ორ ელემენტების შედუღება, თავისუფლება და მოქალაქეობრივი წესრიგი, ამ ორი ელემენტის შედუღება ქმნის ჩვენს ხალხისაგან პოლიტიკურ დემოკრატიას. და აი სწორედ ამ სუბუთით ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ უკვე ხალხი ევროპიული და დემოკრატული (ტაში).

აქედან თქვენ ხედავთ, და ეს უნდა დაინახოს ჩვენმა მტერმა და მოყვარემაც, რომ ჩვენ არა მარტო გვინდა ვიყვეთ დამოუკიდებელი, არამედ ჩვენ შეგვიძლიან ვიყვნეთ დამოუკიდებელი! (ტაში).

– ამ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ მიემართეთ ყოველივე ზომებს, რომ ამ ჩვენს დამოუკიდებლობას მისცემოდა იურიდიული და კონსტიტუციური ნორმები. ჩვენი პარლამენტი, ჩვენი მთავრობა, ჩვენი უწყებანი ამ საქმიან მუშაობაში არიან. თქვენ იცით, რომ 6 თვის წინად ჩვენ დავიწყეთ ჩვენი სახელმწიფოს შენება თითქმის ცარიელ ადგილიდან.

წინად იყო ბრძოლა თავისუფლებისათვის, ბრძოლა რევოლუციისათვის, არ იყო დრო, რომ ჩვენ არ გვემუშავნა აღმშენებლობის საქმეზე.

ამ უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ შევედექით მოპოვებულ თავისუფლების კონსტიტუციურ კალაპოტში ჩამოყალიბებას. ჩვენ ამ 6 თვის განმავლობაში მოვაწყვეთ აპარატი ადმინისტრაციული, შემოვიღეთ ერობა, მოვახდინეთ აგრარული რეფორმა და რაც უფრო საყურადღებოა, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს ჰქონოდა საკმარისი ქონება, რომ შეძლოს ფართე სახელმწიფოებრივი მეურნეობა დაიწყოს. და უნდა ვსთქვათ, ამ მხრივ ჩვენი პატარა რესპუბლიკა შეადგენს დიდ გამონაკლისს. არა მგონია, რომ რომელიმე არამც თუ პატარა, არამედ დიდ რესპუბლიკას ჰქონდეს იმდენი უძრავი ქონება რამდენიც დღეს ჩვენს რესპუბლიკას აქვს. ჩვენ მოვაწყვეთ ამ ექვსი თვის განმავლობაში ჯარი, ტამოუნები, შევიმუშავეთ ახალი გადასახადების სისტემა, საუკეთესო მიმოსვლა, გავამრავლეთ ფოსტა-ტელეგრაფი თითქმის ორჯელ და მრავალ მაზრებსა და სოფლებში გავიყვანეთ ტელეფონები. გარდა ამისა ჩვენ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება იმას, რომ ხალხი დაგვეკავშირებინა სწავლა-განათლებასთან მის სამშობლო ენით. გავამრავლეთ სახალხო სკოლები იქ, სადაც არ იყო, შევქმენით პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტი. ერთი სიტყვით, ჩვენ მივიღეთ ყოველნაირი ზომები, რომ ჩვენი სახელმწიფო მართლა დამსგავსებოდა სახელმწიფოს და არავის არ ეთქვა ჩვენთვის, თქვენ ერთ ადგილას იდექითო.

ჩვენ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება სამართლის შექმნას გასაგებ ენაზე. მოვახდინეთ სასამართლოს სრული რეორგანიზაცია.

აი მოკლედ ის, რასაც ვაკეთებდით ამ ექვსი თვის განმავლობაში, რის უკანასკნელი სიტყვაც ეკუთვნის დამფუძნებელ კრებას, რომელიც იქნება საქართველოში ამ ახლო ხანაში მოწვეული.

მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო აგრეთვე ერთ გარემოებას. ჩვენ აქ მოგვიხდა მუშაობა არა მარტო საქართველოს მაგიერ, არა მარტო საქართველოსთვის, არამედ თვით რუსეთის მაგიერ, ჩვენ მოგვიხდა მუშაობა რუსეთისათვის.

– ჩვენი მტრები ავრცელებენ ხმებს, ეს იბეჭდება არა აქ, არამედ იქ სადაც მაინცა და მაინც ჩვენს ოჯახზე არა იციან რა, რომ ჩვენ აღმართეთ ერთნაირი დევნა რუსების, განსაკუთრებით რუსების ოფიცრების წინააღმდეგ. ეს საბუთი არის მთავრი საბუთი ჩვენი მტრების ხელში. ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჩვენ საქართველოდან დიდად ღირსეულად გავაცილეთ რუსეთი და მისი აქ მყოფი წარმომადგენლები.

აქ გვაქვს ციფრები, რომლის წინაშეც უნდა დადუმდნენ ყველა ორგულნი და ცილის მწამებელნი.

26 მაისიდან 20 ნოემბრამდის ჩვენ დავხარჯეთ რუსეთის მაგიერად შემდეგი თანხები: ჩვენ მოვახდინეთ ფრონტის და ფრონტთან დაკავშირებული დაწესებულებების ლიკვიდაცია. თბილისის ხაზინიდან ამისათვის გავიღეთ 21 მილიონ 22 ათასი მანეთი, საველე ხაზინიდან 9 მილიონ 791 ათასი, სენაკის ხაზინიდან გავიდა 1 მილიონი, ფოთის ხაზინიდან გავიდა 736 ათასი მანეთი, ფოსტა ტელეგრაფის ოლქიდან 512 ათასი მანეთი. გარდა ამისა, იმ მიმდინარე ანგარიშებიდან, რომელიც აქ ჰქონდათ წინანდელ ხაზინის წარმომადგენლებს, ამ მიმდინარე ანგარიშებიდან გავიდა 1 მილიონ 436 ათასი მანეთი; რკინის გზიდან გავიდა 1 მილიონ 20 ათასი. სულ ამნაირად ჩვენ ამ ფრონტის და ფრონტთან დაკავშირებულ სხვა და სხვა დაწესებულებების ლიკვიდაციას მოვახმარეთ 26 მაისიდან 20 ნოემბრამდის 35 მილიონ 517 ათასი მანეთი. ამის გარდა, ჩვენ მივეცი ოჯახებს სამხედრო პირთა 1 მილიონ 32 ათასი.

ახლა ჩვენ გადავდივართ მეორე საქმეზე და უნდა ვთქვათ, რომ რაც ჩვენ აქ ვქენით, არც ერთ კუთხეს რუსეთისას არ უქნია ასე. თქვენ კარგად იცით აუარებელი ფული იყო დაგროვილი შემნახველ კასებში და ბანკებში. უნდა ვთქვათ, რომ ეს სულყველა წაღებული იყო პეტროგრადში,

იქ დაიხარჯა ომის საჭიროებისათვის. აგრეთვე ბანკებში შენახული ფული იყო წადებული მოიჯარადეთათვის სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან. ეს ფულიც დაიხარჯა. და აი ჩვენ ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანეთ ეს შემნახველი კასები, ეს ბანკები. ჩვენ ვიკისრეთ და მივეცით ამ შემნახველ კასებს 10 მილიონი მან., კერძო ბანკებს – 28 მილიონი. აგრეთვე ჩვენ მივეცით სახელდახელო ანგარიშების გასასწორებლად ბანკს და სახელმწიფო ხაზინას 23 მილიონი. ერთი სიტყვით, რუსეთის მაგიერ დავხარჯეთ 6 თვეში 98 მილიონ 244 ათასი.

აი ბატონებო, ამის შემდეგ ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჩვენ აქ ვინმე გავდევნეთ, ვისმეს უდიერად მოვექცეთ და აქედან ჩვენი დამოუკიდებლობა ვისმარეთ სხვის სამტროდ.

აი ბატონებო, ეს ციფრები აშკარად დადადებენ იმას, რომ ჩვენ თვითონ დარბობა ერმა და ასე ვთქვათ მჭლე ხაზინამ მიუხედავად თავის სიღარიბისა 98 მილიონი მანეთი გადავდეთ სხვის საჭიროებისათვის. და თუ მაინც ჩვენ ცილს გვწამებენ, და თუ მაინც სწერენ და ამბობენ რომ ჩვენ აქედან ვერეკებით, გავრეკეთ ძალით ვინმე – ამის მიზეზი სულ სხვაა. ეს გამომდინარეობს მტრობით ჩვენი დამოუკიდებლობისადმი, მათ ალაპარაკებთ შოვინისტური და სხვ. რეაქციონური სულისკვეთება. მაგრამ აქ ვიტყვით: ხელი შორს, ნურას უკაცრავად (ტაში). მხოლოდ აქ, ჩვენ, საქართველოში შევქედით შეგვექმნა ერთნაირი პოლიტიკური თავისუფალი და წესიერი მართვა-გამგეობა. მხოლოდ დაუძინებელ მტერს თავისუფლებისას და დამოუკიდებლობისას შეუძლიან გვიტხრას: აიღეთ ხელი და გადაეშვით შორს, იქ გამოუცნობ ქაოსში და იქ რაღაც რეაქციის მხარეში, ჩვენ ამას არ ვიზამთ და ჩვენ ამას ვერ ვიზამთ.

ჩვენ გვსურს უჭკველად ჩვენებური წესწობილება იყოს, როგორც რუსეთში, ისე მოსახლურ მეზობელ ერებში. ჩვენ მოხარულნი ვიქნებით რუსეთის, ნამდვილ რუსეთის აღდგენისა. ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, რომ ჩვენს ირგვლივ მყოფი მოძმე რესპუბლიკები და ერები იყვნენ უკეთ პირობებში და შექმნან ისეთი წესწობილება, რომელიც არის აქ ჩვენში. მერე ეს განა მოითხოვს ჩვენგან, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა მოვკლათ. არა, დემოკრატიული წესწობილება არსად არ მოითხოვს, რომ მეორე სახელმწიფოს დემოკრატია დაიხაროს. ვინც ასე ფიქრობს ისინი არ არიან დემოკრატები. იმათ არაფერი არა აქვთ საერთო დემოკრატიათან. ისინი, უჭკველია, სხვა მიზნებით, სხვა სურვილებით არიან გატაცებულნი. უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ამ სურვილების წინააღმდეგ მივიღებთ ყოველნაირ საშუალებას, რომ სურვილები დარჩნენ მათში მხოლოდ და მხოლოდ სურვილებად. ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოსთან ყოველთვის გვექნება მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი. მხოლოდ მათგან ჩვენ მოვითხოვთ ერთ პირობას: როგორც ჩვენ ვცნობთ მათ სახელმწიფოდ, ისე მათ სახელმწიფო ჩვენი უნდა იცნონ სახელმწიფოდ და უნდა გამართონ მოლაპარაკება ჩვენთან და ჩვენ მათთან, როგორც თანასწორმა თანასწორთან.

რაც გვსურს ჩვენ ჩვენთვის – ის გვსურს სხვებისათვის. აი ამ მოკლე მცნებით არის გამსჭვალული ჩვენი საგარეო პოლიტიკა. ვერავის შეუძლიან და ვერც დაგვწამებს, რომ ჩვენი დამოუკიდებელი რესპუბლიკა ამოდრავდა რომელიმე დამოუკიდებელ რესპუბლიკის ან რომელიმე ერის წინააღმდეგ.

მხოლოდ ნება მიბოძეთ გითხრათ, რომ ჩვენი ბედი არის ჩვენს ხელში. საქართველოს რესპუბლიკა იარსებებს, თუ ჩვენ შიგნით და გარეთ ამ ნიადაგზე მტკიცედ ვიქნებით.

ვისურვებთ თქვენ და ჩვენ შეგვიძლიან უსურვოთ ჩვენს შთამომავლობას, რომ 26 მაისის აქტი გადაიქცეს მუდმივ დღესასწაულად.

ეს აქტი არის აქტი გამარჯვებისა საქართველოს დემოკრატიისა და მისი თავისუფლებისა (მქუხარე ტაში).

**საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 72, ფურცლები 1-4. მანქანაზე ნაბეჭდი. ასლი.**



## 26 მაისი თუ 9 აპრილი? (პასუხი კითხვაზე, რომელიც არ უნდა დასმულიყო)

XX საუკუნეში ქართველმა ერმა ორჯერ შეძლო დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1918 წლის 26 მაისს, ასწვიდმეტწლიანი წყევტილის შემდეგ, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, ხოლო 1991 წლის 9 აპრილს, სამოცდაათწლიანი წყევტილის შემდეგ, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.“ ორივე მოვლენა უმნიშვნელოვანესია საქართველოს ისტორიაში, ორივე მოვლენა ღირსეულად უნდა აღინიშნოს. მხოლოდ საქართველოს არა აქვს ორი დიდი თარიღი (1918 წლის 26 მაისი და 1991 წლის 9 აპრილი), იგივე მდგომარეობაა ლიტვაში (1918 წლის 16 თებერვალი და 1990 წლის 17 მარტი), ესტონეთში (1918 წლის 24 თებერვალი და 1991 წლის 20 აგვისტო), ლატვიაში (1918 წლის 18 ნოემბერი და 1991 წლის 21 აგვისტო). მიუხედავად ამისა ლიტველებს, ესტონელებს და ლატვიელებს აზრადაც არ მოსვლიათ „ორიდან ერთი“ ამოერჩიათ, ორივე მოვლენა საამაყო მათთვის, ორივეს მიაგებენ პატივს.

დღეს საქართველოში დამოუკიდებლობის დღედ ოფიციალურად 26 მაისია აღიარებული. გაუგებარია რატომ ხედავენ ამ ფაქტში 9 აპრილის მნიშვნელობის დაკნინებას? რატომ მოითხოვენ დამოუკიდებლობის დღედ ოფიციალურად არა 26 მაისის, არამედ 9 აპრილის აღნიშვნას? ჩემი აზრით უმჯობესია ოფიციალურად დამოუკიდებლობის დღედ აღინიშნოს 26 მაისი. ეს მოსაზრება ემყარება შემდეგს:

**პირველი.** ქართველმა ერმა მრავალჯერ დაჰკარგა და აღიდგინა სახელმწიფოებრიობა, მაგრამ დამოუკიდებლობის აღდგენა საგანგებო სახელმწიფოებრივი აქტით პირველად 1918 წლის 26 მაისს გაფორმდა. თეორიულად ასეთი აქტი შეიძლებოდა გამოცემულიყო დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალის მეფობის ქაშს, გაცილებით ადრეც და გვიანაც. 1918 წლის 26 მაისამდე მიღებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სხვა აქტი, წერილობითი ან სხვა სახით დადასტურებული, ჩვენამდე მოღწეული არ არის.

**მეორე.** 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტმა“ ფორმალურად აღადგინა 117 წლის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობა. იგულისხმება რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება. იურიდიული ძალა ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტს მხოლოდ ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ გააჩნდა. მიუხედავად ამისა 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს“ სახელმწიფოებრიობა ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე კი არ აღუდგენია, არამედ **საქართველოში.** ე.ი 1918 წლის 26 მაისის აქტით დადასტურდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სამართალმემკვიდრე იყო არა XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის მიერ დაპყრობილი ქართული სამეფო-სამთავროებისა (ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიის, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროები), არამედ ერთიანი ქართული სახელმწიფოსი, რომელიც XV საუკუნის მეორე ნახევარში სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ამრიგად, ქართველმა ერმა 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით“ ფორმალურად დაიბრუნა ის, რაც დაკარგა XIX საუკუნის დამდეგს, მაგრამ რეალურად დაიბრუნა ისიც, რაც დაკარგა XV საუკუნის მეორე ნახევარში. თუ 1918 წლის 26 მაისის აქტს ამ თვალსაზრისით არ შევაფასებთ, მაშინ 1917-1918 წლებში, რუსეთის იმპერიის ნგრევის შემდეგ, თეორიულად შესაძლებელი იყო შემდეგი: აღდგენილიყო XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიის, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროები. 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტმა“ სწორედ ეს თეორიული შესაძლებლობა გამორიცხა – დასძლია, როგორც

სამსაუკუნოვანი (XVI-XVIII სს.) პოლიტიკური დაშლილობის, ისე რუსეთის ახგვიდმეტწლიანი კოლონიური პოლიტიკის უარყოფითი შედეგები.

**მესამე.** 1991 წლის 31 მარტს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე ჩატარებული რეფერენდუმის დროს მოსახლეობამ უპასუხა კითხვას: **მომხრე იყო თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?** კითხვის ამგვარად ფორმულირება აბსოლუტურად სწორი იყო. ცხადია, საქართველოს უზენაეს საბჭოს შექმნა მოსახლეობის აზრი ამგვარი კითხვითაც გაეგო: ხართ თუ არა მომხრე აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა? ამ შემთხვევაში 1991 წლის 9 აპრილის “საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის” ძალით მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე გაჩენილი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ე.ი. დღევანდელი საქართველო, ვერ იქნებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) სამართალმემკვიდრე, ანუ სამართალმემკვიდრეობითი კავშირი ხელოვნურად გაწყდებოდა. გარდა ამისა 1991 წლის აპრილში, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა საბჭოთა კავშირი, საქართველოსთვის პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელი იყო იმისი დეკლარირება, რომ ქართველი ერი ახდენდა 1918 წლის 26 მაისს, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, საეხებით კანონიერად აღდგენილი და 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და 1991 წლის 9 აპრილის „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ იურიდიულ საფუძველს 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ წარმოადგენდა.

**მეოთხე.** 1991 წლის 9 აპრილს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების შემდეგ ძალაში დარჩა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი, დროშა, და ჰიმნი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა იმას, რომ 1991 წლის მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე გაჩენილი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე იყო.

**მეხუთე.** 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მნიშვნელობის დაკნინების მიზნით ხშირად ხაზს უსვამენ იმას, რომ 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა გერმანიის მოთხოვნით. ასეთი მტკიცება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. 1918 წლის მაისისათვის შექმნილ ვითარებაში. საქართველოსა და გერმანიის იმპერიის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. გერმანელებმა ქართველი პოლიტიკოსები დაარწმუნეს იმაში, რომ ოსმალეთის აგრესიას ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა ვერ გაუძლებდა (რაც სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა!), ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დღეები დათვლილი იყო. რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი. საქართველოს ოსმალეთის მიერ ოკუპაციამდე უნდა გამოეცხადებინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. დამოუკიდებელი საქართველოს დაცვა შედიოდა გერმანიის ინტერესებში. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო, როგორც ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს ნაწილი, დაპყრობილი იქნებოდა ოსმალეთის მიერ. ოსმალეთის გაბატონება სამხრეთ კავკასიაში არ შედიოდა გერმანიის ინტერესებში. მართალია, ოსმალეთი გერმანიის მოკავშირე იყო, მაგრამ ომისაგან დასუსტებული ოსმალეთი სამხრეთ კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში, საბოლოოდ საბჭოთა რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის კონკურენციას ვერ გაუძლებდა და გერმანიაც რეგიონში თავის პოზიციებს დაკარგავდა. შექმნილ ვითარებაში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ოსმალეთის აგრესიას დაასწრო და სახელმწიფოებრიობა აღადგინა. გერმანიამაც პირნათლად შეასრულა დამოუკიდებლობის გარანტიის როლი. ცხადია, გერმანიის მხრიდან არვითარ ძალდატანებასა და „მოთხოვნას“ ადგილი არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა. პირიქით, საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აღდგენის მხარდაჭერის გამო გერმანიის იმპერიამ გაანაწიენა მისი მოკავშირე ოსმალეთი. აღარაფერს ვამბობთ საბჭოთა რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის მწვავე რეაქციაზე.

ასეთია პასუხი კითხვაზე, რომელიც შეიძლება არც დასმულიყო.

## **Vakhtang Guruli**

### **Materialien und Dokumente zur Geschichte der Wiederherstellung der staatlichen Unabhängigkeit von Georgien (26. Mai, 1918)**

#### Resümee

Die Februar-Märzrevolution von 1917 beendete die Zarenherrschaft in Russland. Die Revolution konnte aber die in den Jahren des Ersten Weltkrieges angefangene politische, ökonomische und soziale Krise nicht entschärfen. Ganz im Gegenteil - die Situation verschärfte sich äußerst. Russlands Staatlichkeit war bedroht. Diese Krise nutzten die von Russland annektierten Länder zu ihren Gunsten und erklärten sich für unabhängig: Finnland (6.12.1917), die Ukraine (9.01.1918), Litauen (16.02.1918), Estland (24.02.1918), Belarus (25.03.1918), Georgien (25.05. 1918), Aserbaidzhan (28.05. 1918), Armenien (28.05.1918), Polen (11.11.1918), Lettland (18.11 1918). Ungeachtet der schwerwiegenden Fehler, die dabei begangen wurden, wird die damalige politische Elite von der Historiographie dieser Länder glorifiziert. So wurden die Namen von Pehr Evind Svinhufvud und Carl Gustaf Emil Mannerheim (Finnland), Michael Grushevski und Symon Petljura (die Ukraine), Josip Pilsudski und Jan Ignacy Paderewski (Polen) in den Himmel gehoben.

Im Gegensatz dazu versuchen seit 1921 georgische Historiker, Publizisten, Schriftsteller und Politiker die Geschichte der Wiederherstellung der Unabhängigkeit von Georgien ins schlechte Licht zu stellen, indem sie allgemein bekannte Dokumente und Materialien absichtlich ignorieren. Aus politischen und anderen Gründen versuchen sie die Geschichte zu fälschen und die schwierigste und wichtigste Periode der georgischen Geschichte (zwischen März 1917 und Mai 1918) negativ darzustellen. Diese Tendenz ist nur durch das gründliche Erlernen der diesem Thema gewidmeten archivierten Materialien und anderen Dokumenten zu beseitigen.

ნინო შიოლაშვილი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი

### ყალბი საბუთების კვლევის მეთოდები და მათი კლასიფიკაცია საქართველოში

დიპლომატიკის, საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი დარგის შემქმნელის ჟან მაბილიონის განმარტებით „დიპლომატიკა არის ხელფენება ნამდვილი საბუთების გარჩევისა ყალბისაგან“.<sup>1</sup> ნამდვილი, ჭეშმარიტი საბუთების გვერდით ყოველთვის იქმნებოდა ყალბი სიგელებიც, რომელთა პრაქტიკული დანიშნულება ძირითადად მდგომარეობდა ქონებრივი ან წოდებრივი სიგელების დამტკიცება-განახლების ან სასამართლო პროცესებისას მათი მოწვევით-მტკიცებისათვის. საბუთების სიყალბე-სინამდვილის დადგენის აუცილებლობა საფუძვლად დაედო ისტორიის დამხმარე დარგის, დიპლომატიკის ჩამოყალიბებას.

დღეისათვის ყალბი დოკუმენტების შესწავლას წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ისტორიისათვის, იმისათვის, რომ ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის დადგენისას ისტორიკოსს არ გაეპაროს რაიმე შეცდომა და ყალბი დოკუმენტების ყალბი ცნობები ისტორიის უნებლიე გაყალბების წყაროდ არ იქცეს. „სანამ მკვლევარი საბუთით ისარგებლებდეს, მანამ მათი ღირსება უნდა ჰქონდეს გამორკვეული სიგელთმცოდნეობის თვალსაზრისით“<sup>2</sup> – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი თავის ნარკვევში „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“. სიყალბის დადგენა ყოველთვის ადვილი როდია. ნატყუარი საბუთის შემდგენელი უმეტეს შემთხვევაში წიგნიერი პირია, რომელმაც იცის საბუთის შედგენის წესი და კარგად იცნობს სიგელების ნიმუშებს, ზოგჯერ იმდენად წიგნიერადაა შესრულებული ყალბი დოკუმენტი, რომ მკვლევარს დიდი სიფრთხილე სჭირდება მის ამოსაცნობად. თუმცა არაიშვიათია, როდესაც ყალბი საბუთის შემდგენელი არაკვალიფიციურია და მისი შეცდომები ადვილი ამოსაცნობი ხდება. რამდენადაც ყალბი საბუთის შემდგენელი გონიერი პირია, იმდენად ძნელი ხდება სიყალბის დაჭერა.

ნატყუარი ანუ ყალბი საბუთების გამოსაკვლევადაც მათი უშუალო შესწავლაა აუცილებელი, რისთვისაც არსებობს ორგვარი წყარო: I) წყარო, რომელიც ცნობებს გვაწვდის ყალბი საბუთების შესახებ – საჩივრის წიგნები, სასამართლო განჩინებანი, „ექსპერტთა“ დასკვნები, მოწმეთა განცხადებანი და ა.შ.

II) უშუალო დაკვირვება შესასწავლ ობიექტზე, თუ: ა) რამდენად გამართულადაა შედგენილი საბუთი, პასუხობს თუ არა მისი სტრუქტურა საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებულ წესებს, ტრაფარეტებს და ა.შ. ბ) საბუთის „თხრობის“ შესატყვისობა იმ ეპოქის ნორმებთან, რა დროშია ხდება მოქმედება. გ) ურთიერთობის რაობა საბუთის გამცემსა და მიმღებს შორის. დ) თარიღის (ქრონიკონი, ინდიქტიონი, დასაბამიდან და ა.შ.), ბეჭდისა და პარაფის სისწორე. ე)

<sup>1</sup> **А. А. Введенский.** Лекции по документальному источниковедению истории СССР. изд. Киевского университета, 1963, стр. 28.

<sup>2</sup> **ივანე ჯავახიშვილი.** ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. IX. თბილისი, 1996, გვ. 523.

დასახელებული არიან თუ არა მოწმეები (საჭირო შემთხვევაში) და დამწერი. ვ) რამდენად ემთხვევა პალეოგრაფიული ნიშნები საბუთში მინიშნებულ თარიღს და ა.შ.

ქართულ დიპლომატიკაში საბუთების გაყალბების ორი ძირითადი ფორმა გვხვდება:

I) როდესაც დოკუმენტი თავიდან უტყუარია, გაფორმებულია ყოველგვარი წესების დაცვით – მოწმეებით, ნამდვილი ხელრთვა-ბეჭდებით და ა.შ. მაგრამ დროთა განმავლობაში დოკუმენტში აღწერილი სიტუაცია იცვლება, როდესაც დაინტერესებულ პირს ცალმხრივად შეაქვს შესწორებები და ეს ხდება ძალიან თვალსაჩინოდ. იგი მისთვის მიუღებელ ადგილებს მექანიკურად ამოკრეფს და თავის სასარგებლო მონაცემები შეაქვს საბუთში. მაგალითად, დოკუმენტში ამოშლილია ამა თუ იმ პირისა თუ ამა თუ იმ ადგილმდებარეობის ან სოფლის სახელი. ზოგჯერ ამოშლილი ადგილი თავისუფლად და რჩენილი, ანდა სხვა ხელითა და მელნითაა ჩაწერილი სასურველი სიტყვა. ასეთი დოკუმენტი უკვე სანდოობას კარგავს და ფალსიფიცირებულია.

II) როდესაც დოკუმენტი თავიდანვე წინასწარ მოფიქრებული ყალბი სქემით იწერება, ასეთ შემთხვევაში თუ ყალბისმქმნელი წიგნიერი კაცია „შეცდომებიც“ ნაკლებია, მაგრამ სპეციალისტ-მკვლევარისათვის საბოლოოდ მაინც ამოცნობილი ხდება.

მეორე შემთხვევისათვის დოკუმენტის შესწავლისას „დედნად“ წარდგენილ ზოგიერთ დოკუმენტში თვალში საცემია ქრონოლოგიური შეუთავსებლობა:

1. ქაღალდსა და ფიქსირებულ ფაქტს შორის – ქაღალდი ახალია, ფაქტი ძველი, ხელი არაა ტიპური – ყალბისმქმნელი ცდილობს „დააძველოს“ ხელწერა.
2. შეუსაბამობა დათარიღების სხვადასხვა სისტემით სარგებლობისას, მაგალითად: ერთმანეთს არ ემთხვევა ქორონიკონის, ინდიკტიონის და ქრისტეს დაბადებიდან გადათვლილი თარიღების მონაცემები.
3. არის შემთხვევები ყალბი ხელმოწერების.
4. ბეჭდების ცრუდ დასმის შემთხვევები.
5. ბეჭდების განზრახ დაზიანების, ჩამუქების ფაქტები.
6. ახალი ყალბი ბეჭდების მოჭრის შემთხვევები.
7. დოკუმენტში არ არსებული ეპიზოდების ჩართვა.
8. ცრუ მოწმეთა მოშველიება.
9. ქორონიკონის დასმის ადგილის გამუქება მურით (თითის ანაბეჭდით ან „დაბნელებული“ ბეჭდით).
10. საბუთის დაზიანების იმიტაცია: საწერი მასალის განზრახ დაზიანება-„დაძველება“-გაქექილობა; „სიძველისაგან“ „დახვევა-დაგლეჯვა“, კიდეების შემოცვეთა და ა.შ.
11. პალეოგრაფიული ნიშნების „დაძველება“ და ა.შ.

ამიტომაცაა, რომ თითოეული საეჭვო დოკუმენტი ინდივიდუალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

განსაკუთრებით საფრთხილოა დოკუმენტების პირებით (ასლებით) სარგებლობა სრული ნდობით. დამუშავებული პირები, ზოგჯერ ნამდვილი საბუთის თანადროულად კეთდებოდა და იურიდიულადაც ფორმდებოდა, როგორც ნამდვილი საბუთის დუბლიკატი თავისი ბეჭდით, ხელრთვით და ა.შ. ასეთი უტყუარი საბუთი იყო. დაინტერესებული პიროვნება ნამდვილი საბუთის ნამდვილ პირს სპობდა და საჭიროების შემთხვევაში ყალბი პირით სარგებლობდა. ალბათ ასეთი საბუთების რიგს მიეკუთვნება ჩვენს სიძველეთსაცავებში დაცული ძველ მასალაზე „დაძველებული“ მელნითა და ძველი ხელის მიბაძვით შესრულებული საბუთების ნაწილი, რომლებიც არც ხელმოწერილია და არც ბეჭედდასმული, ან ცრუ ხელმოწერილი და ცრუ ბეჭდიანი, ამდენად ასეთი საბუთები არაა იურიდიული ძალის მქონე. თუმცა გადაჭრით ეჭვის შეტანა მათ სიყალბეზე არ შეიძლება, რადგან დროთა განმავლობაში საჭირო ხდებოდა ამა თუ იმ საბუთის განახლება სიძველის, გაქექვის, დაზიანების, დაკარგვის და ა.შ. შემთხვევაში. საამისო მაგალითები საკმაოდ მოგვეპოვება. ასეთ შემთხვევაში თუ განმახლებელს დაძველებული დედანი ჰქონდა ხელთ, საქმე შედარებით ადვილად წყდებოდა. ხდებოდა ძველი

დედნიდან გადაწერა მეტ-ნაკლებად კარგად თუ ავად. მაგრამ თუ დოკუმენტი საერთოდ დაკარგული იყო, მისი აღდგენა მესხიერებით ხდებოდა. ასეთ საბუთებში სინამდვილეში მომხდარი ფაქტები თუ მოვლენები სიმართლეს შეესაბამება, რაც დგინდება ნარატიულ თუ სხვა წყაროებთან შეჯერებით. მაგრამ ნამდვილი არაა გამცემის ხელმოწერა, ბეჭედი, თვით საბუთის შედგენილობის სქემა; ზოგჯერ ადგილი აქვს ანაქრონიზმსაც, მაგრამ ასეთი ზეპირად აღდგენილი საბუთები არ შეიძლება მივიჩნიოთ ნატიყუარად, ანუ მათი გაჩენის აუცილებლობა გამოწვეულია არსებული საბუთის (ორიგინალის) დაკარგვით ან დაძველებით. გარეგნულად ასეთი საბუთები ძალიან ემსგავსება დედნებს. მათი ხელახალი შექმნა ხომ ძირითადად მესხიერებით ხდება. უმრავლესობა უთარიღოა – აშკარა შეცდომისაგან თავიდან აცილების მიზნით. საწერი მასალის, ხელწერის, დოკუმენტის სტრუქტურის, ხელრთვის, ბეჭდის და ა.შ. მეცნიერული ანალიზით შესაძლებელი ხდება მათი შეცნობა. ასეთ საბუთებს შეიძლება ვუწოდოთ „აღდგენილი“, „განახლებული“, ან „განმეორებით შედგენილი“ საბუთები და არა დედნები ან ყალბი საბუთები.

ყოველთვის ეჭვს იწვევს რიგ შემთხვევებში ნამდვილ ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ საბუთებში არსებული ამოშლილი თუ ჩასწორებული ადგილები.

შესაძლოა გვეფიქრა, რომ ზოგჯერ საბუთის დამწერის კალმის ლაფსუსის გასწორებასთან გვეკონდეს საქმე, მაგრამ ის გარემოება რომ შესწორება მოდის ძირითადად ყიდვა-გაყიდვის, ჩუქება-ბოძების, ქონებრივ ობიექტებზე, გადასახადების ოდენობის თუ სხვა მნიშვნელობის შემთხვევებზე, გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი წინაპრების საბუთის გაყალბების ერთ-ერთი ხერხი ნამდვილ დოკუმენტებში წაშლა-ამოშლა და ახალი ობიექტის შეტანა იყო.

ასეთი სიყალბეების წინაღმდეგ ბრძოლა ჩნდება იმთავითვე, როგორც კი ჩნდება ქართული ნატიყუარი დოკუმენტი (XV ს.). მაგრამ, ზოგჯერ სიყალბე შეუმჩნეველი რჩება, უფრო მეტიც, რუსეთის მმართველობის შემოსვლის შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისში, ნაყალბევს ხშირად ნამდვილ დოკუმენტად მიიჩნევენ, თუმცა არის შემთხვევებიც, როდესაც რუსული ექსპედიციები სიყალბესაც ამჩნევენ.

XV საუკუნეში ჩვენ უკვე დადასტურებული გვაქვს ფაქტი ნატიყუარი საბუთების არსებობის შესახებ. საფიქრებელია, რომ XV საუკუნის ქვემოთაც ექნებოდა ასეთ მოვლენას ადგილი, და თუ დღეს ადრეული ხანიდან ფაქტის ფიქსაცია არა გვაქვს ეს მხოლოდ წყაროების ნაკლებობით აიხსნება.

საბუთების გაყალბება ძირითადად ქონებრივი და წოდებრივი საკითხების გადასატრედად ხდებოდა. ნატიყუარი საბუთები XIX საუკუნის დასაწყისამდე ძირითადად სადავო ქონებასთან დაკავშირებით იქმნებოდა. სასამართლოზე მომჩივან-მოპასუხეს თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ევალბოდა წერილობითი დოკუმენტის წარდგენა და სწორედ აქ მუდგანდებოდა ზოგიერთი საბუთის სიყალბე. ზოგადად, სასამართლოსათვის ყალბი საბუთების არსებობა ცნობილი იყო. ამიტომ აქ წარმოდგენილი თითოეული საბუთის დიდი გულმოდგინებით შესწავლა ხდებოდა. საბუთის ნატიყუარობას მოსამართლეები რამდენიმე ნიშნის მიხედვით ადგენდნენ. ჩვენს დრომდე მოღწეული ქართული სასამართლო აქტები ძვირფას ცნობებს გვაწვდიან ყალბი საბუთების მაშინდელი ექსპერტიზის შესახებ.

ქართულ სასამართლო ორგანოებში ყალბი საბუთების გამოვლინების დონე საკმაოდ მაღალი იყო. ეს საქმე განსწავლულ პირთა ხელში იყო, რომლებიც დაწერილებით სწავლობდნენ ბეჭედებს, უდარებდნენ ხელწერას და პოულობდნენ მსგავსება-განსხვავებას – „ერთმანეთს უდგინეთ ერთის კაცის დაწერილი იყო, ასოები გვანდა ერთმანერთს“, სინჯავდნენ ამოფხევილ ადგილებს, ამოწმებდნენ ქორნიკონს, უყურადღებოდ არ რჩებოდათ შეუთავსებლობა, ანუ როგორც თვითონ აცხადებდნენ „წინა უკმობა“, ანსხვავებდნენ ერთმანეთისაგან არა მხოლოდ დამწერლობას, არამედ მელანსაც, ეჭვის ქვეშ აყენებდნენ საბუთში ტექსტის გაცხოველებას, დრმად უკვირდებოდნენ საბუთების შინაარსს და ცდილობდნენ არ გამოპარვოდათ ჭეშმარიტება. აკონტროლებდნენ ფაქტებისა და ქრონოლოგიის შეუთავსებლობას და თუ არა იმდროინდელ

მოსამართლეთა კარგი ცოდნა ნატყუარი საბუთების შეცნობისა, შეიძლებოდა დღეს ბუნდოვანი წარმოდგენა გექონოდა ნატყუარ საბუთთა რაობისა და რაოდენობის შესახებ.

XIX საუკუნეში ხდებოდა დოკუმენტების სარეგისტრაციო დავთრებში გატარება. გვაქვს შემთხვევები, როდესაც რუსული მმართველობის მიერ რეგისტრაციაში გატარებულ დოკუმენტებზე გაკეთებულია შენიშვნა რუსულ ენაზე, რომ ესა და ეს დოკუმენტი ნაყალბეკია. ასეთი დოკუმენტი სარეგისტრაციო დავთრებში აღარ შექონდათ, იგი პატრონს უბრუნდებოდა და მოსახლეობაში რჩებოდა, ზოგიერთი ალბათ კიდევაც ნადგურდებოდა. დღეისათვის გადარჩენილი ნაწილი ყალბი საბუთებისა საბოლოოდ სიძველეთსაცავებში აღმოჩნდა, ხოლო რეგისტრაციაში გატარებული თითოეული საბუთის შესახებ შედგენილია ოქმი.

ყალბისმქმნელები საბუთის „დაძველების“ მიზნით ხშირად საწერ მასალად ეტრატს იყენებდნენ.

სიყალბის დაფარვის თვალსაზრისით ეტრატის უპირატესობა ისაა, რომ მისი ასაკის განსაზღვრა ქაღალდთან შედარებით შეუძლებელია, რადგანაც იმპორტული ქაღალდი (ან ქაღალდის ნახევარფაბრიკატი), რაც საქართველოში შემოდიოდა, ასე თუ ისე ნიშანდებული იყო და ყალბისმქმნელს ქაღალდის გამოყენების შემთხვევაში ეჭვი ქაღალდის შეცნობისა ყოველთვის თუ არ აშინებდა, აფიქრებდა მაინც.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნატყუარი საბუთები მხოლოდ ეტრატზე არ იწერებოდა. ჩვენ ხელთა გვაქვს ქაღალდზე ნაწერი არა ერთი ნატყუარი დოკუმენტი, მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქაღალდის მოძიება ყოველთვის შეიძლებოდა საერო თუ საეკლესიო წიგნებში დატოვებული დაუწერელი ფურცლებიდან. ასეთი ფურცლები დღესაც მრავლად გვხვდება სიძველეთსაცავებში დაბინავებულ ჩვენს ძველ ხელნაწერებში.

ნაკლებადაა შესწავლილი ჩვენში ზოგადად ქაღალდის წარმომავლობის საკითხი. უკეთესადაა შესწავლილი ქართული სფრაგისტიკა და ნუმიზმატიკა, გვაქვს პალეოგრაფიული ცხრილები და ა.შ. ასე, რომ დღეისათვის ქართული საბუთების შესასწავლად მეცნიერულ-ტექნიკური დონე შეუდარებლად მაღალია, მაგრამ, სამწუხაროდ, იშვიათი გამოჩაკლისის გარდა ეს მიღწევები გამოუყენებელია.

საბუთის გაყალბების მიზანი, ცხადია, გართობა-თავშექცევა არ იყო. გაყალბება დიდ რისკს და ზოგჯერ დიდ შრომასა და ხარჯსაც მოითხოვდა – მსგავსი ახალი ყალბი ბეჭდის მოჭრა, ქაღალდისა და თვით საბუთის შემზადება და ყალბისმქმნელის ფსიქოლოგიურ-მორალურად დატვირთვა, საიდუმლოს დაცვა ასევე დიდი პრაქტიკული დანიშნულებით ხდებოდა. საბუთის გაყალბება ძირითადად სამამულე-სამემკვიდრეო ქონებასთან დაკავშირებით ხდებოდა, უფრო გვიან კი, XIX საუკუნეში წოდებრიობას უკავშირდება.

ნატყუარ საბუთებს, მიუხედავად სიყალბისა, მაინც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ასეთ საბუთებში ძირითადად ასახულია ის სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობანი, სადაც იქმნება ესა თუ ის ნატყუარი საბუთი.

ქართული ყალბი დოკუმენტების შესწავლასთან დაკავშირებით მეცნიერებს გარკვეული კვლევა-ძიებანი აქვთ ჩატარებული, ნაწილობრივ შესწავლილია ქართული სიგელების ერთი ჯგუფი – სასისხლო სიგელები, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საბუთები, მაგრამ დღემდე გეგმაზომიერი, მიზანდასახული კვლევა ნატყუარი საბუთების შესასწავლად ჩატარებული არაა. ქართული ყალბი დოკუმენტების გეგმიურად შესწავლა კი ხელს შეუწყობს ქართული დიპლომატიკის განვითარებას და საშუალებას მოგვცემს ვიქონიოთ კონცეფცია ქართული ნატყუარი დოკუმენტების შესახებ.

**Nino Shiolashvili**

**Methods of Research of the Falsified Documents and their  
Classification in Georgia**

Summary

Development of diplomatics, one of the sections of historical science was conditioned by the necessity of establishing whether the documents were falsified or not. There have always been created the falsified deeds, together with the valid documents. In Georgian diplomatics there are two key forms of falsification: I. Where the document was initially authentic, executed in compliance with all regulations but with time, the interested person has made unilateral corrections – erases the unacceptable words or inserts the data useful for him; II. Where the document was made according to the pre-developed false scheme. Therefore, each susceptible document is subject of individual research.

Though there are significant works of Georgian scientists in this sphere but no consistent targeted researches of the falsified documents were conducted. Planned study of the falsified documents would contribute to development of Georgian diplomatics and create conception about Georgian false documents.



ათონდილ კიკნაძე, პროფესორი

**თანამედროვე დიპლომატიური სამსახურების  
მდგომარეობის შედარებითი ანალიზი  
(ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის,  
საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის მაგალითზე)**

თანამედროვე დიპლომატიის შესახებ ჩატარებული კვლევები, ისევე როგორც სხვადასხვა მემუარული ლიტერატურა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თუ როგორი გავლენით სარგებლობენ საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების დიპლომატიური სამსახურები სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებისა და განხორციელების საქმეში.

დიპლომატიისა და საგარეო პოლიტიკის თემა მეცნიერებისათვის ყოველთვის იყო განსაკუთრებით საინტერესო საკვლევი ობიექტი (კისინჯერი, ბერიჯი, ბარსტონი, ქენანი, პიკერინგი, ჰაროპი, მარშალი, მაუთნერი, ჰოველი, ჰოსკინი, ისტი, დილერი, შტილინგი, ალენი, ჰამილტონი და ა.შ.).

უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიის შესწავლის ძირითად მეთოდებად გამოიყენება პოლიტოლოგიური კვლევის, ისტორიზმის, შედარებითი და სისტემური ანალიზის მეთოდები.

რამდენიმე ათეული წელია მიმდინარეობს დისკუსია დიპლომატიური სამსახურის მომავლის შესახებ. ამ დისკუსიის მონაწილენი ძირითადად იყოფიან პესიმისტებად და ოპტიმისტებად, მათზე, ვინც წინასწარმეტყველებს დიპლომატიის მზის ჩასვენებას და მათ ვისაც მიაჩნიათ, რომ დიპლომატია ჯერ კიდევ არის სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი სტაბილური სფერო.

მკვლევართა დაინტერესება ამ თემით გამოიწვია სუვერენული სახელმწიფოების, საერთაშორისო გლობალური პრობლემების, საერთაშორისო და რეგიონალური კონფლიქტების რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ და იმ მექანიზმების არაეფექტურობამ, რომლებმაც უნდა დაარეგულიროს თანამედროვეობის გლობალური პრობლემები.

ამ კვლევებს პასუხი უნდა გაეცა ისეთ კითხვებზე, როგორებიცაა: სჭირდებათ კი საერთოდ განვითარებულ ქვეყნებს დიპლომატია? ხომ არ ამოწურა მან თავისი შესაძლებლობები? აქვს კი მას შესაბამისი ძალა და გავლენა გაუმკლავდეს თანამედროვე გამოწვევებს? მოლაპარაკებების გზით დაარეგულიროს დღევანდელი მომძლავრებული კონფლიქტები? არსებობს კი საერთოდ დიპლომატიის გავლენის ცნება? თუ არსებობს, რაში გამოიხატება იგი?

მიუხედავად იმისა, რომ დასავლელი მკვლევარები და ცნობილი დიპლომატები (ზ. ბუქსინსკი, პ. კისინჯერი) თანამედროვე დიპლომატიის როლს სხვადასხვანაირად განიხილავენ და ზოგჯერ აკნინებენ კიდევ, ყველა მეცნიერი აღიარებს მის აუცილებლობას და მნიშვნელობას. საგარეო პოლიტიკური უწყებების და საზღვარგარეთის დიპლომატიური წარმომადგენლობების მდგომარეობის სტრუქტურული ანალიზი საკმაოდ ნათლად მეტყველებს იმ ეპოქალურ ცვლილებებზე, რომლებიც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს საერთაშორისო არენაზე.

თანამედროვე საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებამ გამოიწვია ის, რომ საგარეო პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტილებების მიმღებმა ცენტრმა დიპლომატიური უწყებიდან ქვეყნების პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრების ადმინისტრაციებსა და სხვა უწყებებში გადაინაცვლა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი „ახალი დიპლომატიის“ ამოცანებს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „დემოკრატიზაციის“ მხარდაჭერა და ადამიანის უფლებების დაცვა მთელ მსოფლიოში. მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, სამშვიდობო პროცესებისადმი ხელშეწყობა, ეკოლოგიის, ლტოლვილების, მიგრანტების პრობლემების მოგვარება, საერთაშორისო ტერორიზმის და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების მოგვარება, ამერიკული ბიზნესის ხელშეწყობა ახალ ბაზრებზე და სხვა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ახორციელებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას და იცავს ქვეყნის ინტერესებს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში და საერთაშორისო ორგანიზაციებში. სახელმწიფო დეპარტამენტის მიზნები და ამოცანები დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდის ქვეყნის ინტერესებიდან და კონკრეტული საერთაშორისო ვითარებიდან და სიტუაციებიდან გამომდინარე.

აშშ-ს საგარეო პოლიტიკური უწყება და სახელმწიფო დეპარტამენტი თავისი საქმიანობისას ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ძლიერ, ნაციონალურ უწყებებთან, რომლებიც ასევე არიან ჩართულნი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებისა და განხორციელების საქმეში, როგორც სახელმწიფო დეპარტამენტი, მაგალითად: თავდაცვის სამინისტრო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, დახვეწვის ცენტრალური სამმართველო, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, კონგრესი და სხვა. ისინი ყველანი წარმოადგენენ აქტიურ მოთამაშეებს საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებისას. ამერიკელი ავტორები დიდი ხანია აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი წარმოადგენს „ბიუროკრატიულ პიგმეას გიგანტებს შორის“.<sup>1</sup>

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ უწყებებთან პოზიციების თანხვედრისთანავე ამერიკელი დიპლომატები, ხშირად დამოუკიდებელი არიან გადაწყვეტილების მიღების დროს.

ცნობილი ამერიკელი დიპლომატი ჯ. ქენანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თეორიულად უცხოეთის სახელმწიფოს ყველა აქცია, რომელიც ერთი ან მეტი აქტორის ინტერესებს ეხება, უნდა განიხილებოდეს სახელმწიფო დეპარტამენტში, მაგრამ ყველა სახელმწიფო დეპარტამენტისგან და სააგენტოსგან განსხვავებით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს ყველაზე ნაკლები გავლენა აქვს ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში. ეს მას ნაკლებად ეფექტურს ხდის სხვა ოფიციალურ სტრუქტურებთან ურთიერთობისას.<sup>2</sup>

სიტუაცია განსაკუთრებით გართულდა ბოლო ხანს განვითარებული ტენდენციების გამო, როდესაც თეთრი სახლი საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებზე, განსაკუთრებით სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის სფეროში გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ თავის უშუალო გარემოცვასთან ერთად.

ამასთან, მარტო სახელმწიფო დეპარტამენტმა არ დაკარგა თავისი ტრადიციული როლის და კოორდინატორის ფუნქცია საგარეო-პოლიტიკურ კურსზე. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში გარკვეული უფლებამოსილება გადაცემული აქვთ მრავალრიცხოვან აქტორებს ვაშინგტონის პოლიტიკური სცენიდან. საუბარია ფედერალური მთავრობის არა მარტო დეპარტამენტებსა და სააგენტოებზე, არამედ კონგრესის სხვადასხვა კომიტეტებზე, რომელთა საქმიანობაზეც კონცენტრირებულია დიდი გავლენის მქონე ჯგუფების ყურადღება.

ერთმანეთთან მოპაექრე გავლენის მქონე ჯგუფების და მუდმივად ცვლადი ინტერესების პირობებში ვაშინგტონში მომუშავე უცხოელი დიპლომატის წინაშე დგას საკმაოდ რთული

<sup>1</sup> **Kegley C., Wittkopf E.** American Foreign Policy: Pattern and Process. New York. 1996. P. 385.

<sup>2</sup> **Kennan G. F.** Diplomacy without diplomats? // Foreign Affairs. 1997. September – October. P. 198-212.

ამოცანა, მოიპოვოს აუცილებელი მხარდაჭერა, მიაღწიოს აშშ-ს მთავრობასთან მოლაპარაკებებს იმ საკითხებზე რომლებიც „ორმხრივ ინტერესს“ წარმოადგენენ.

ქვეყანაში, სადაც საგარეო პოლიტიკური უწყება ტრადიციულად დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, სულ უფრო ხშირად წარმოიქმნება უწყებათაშორისი უთანხმოება და კამათი. თავის დროზე, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი გეგმავედა **Форин офис**-ის<sup>3</sup> საპირწონედ შეექმნა აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს ანალოგი „Foreign Affairs Unit“.

70-იანი წლების დასაწყისში იყო მცდელობა **Форин офис**-ის გავლენიდან გამოეყვანად ევროპის ინტეგრაციის საკითხები და შეექმნათ ევროპის საკითხებში მინისტრის თანამდებობა. ამ პროექტის განხორციელებას მაშინ ხელი შეუშალა დიპლომატიური უწყების წინააღმდეგობამ, თუმცა, საბოლოო ჯამში მაინც იქნა შემოდებული მთავრობაში ევროპის საკითხებში მინისტრის თანამდებობა. დღეისათვის საგარეო პოლიტიკის კოორდინაცია ხორციელდება პრემიერ-მინისტრის კაბინეტის დონეზე, რომლის ჩარჩოებში მუშაობენ სხვადასხვა კომიტეტები, რომლებიც შეიქმნავენ საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის, სადაზვერვო საქმიანობის და ევროპული ინტეგრაციის კურსის ძირითად მიმართულებებს.

ფორინ ოფისი აქტიურად მონაწილეობს ყველა გადაწყვეტილების შემუშავებასა და მიღებაში და დღემდე წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან კოორდინატორს. მაგრამ სხვა უწყებებთან უთანხმოება, კერძოდ პრემიერ-მინისტრის აპარატთან გარდაუვალია. ამ ურთიერთობების შესახებ აღნიშნავდა ყოფილი პრემიერ-მინისტრი გ. მაკმილლანი „არაფერი არაა იმაზე რთული და დელიკატური მთავრობის მართვისას, ვიდრე კარგი ურთიერთობის დამყარება პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს შორი“.<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ მარგარეტ ტეტჩერმა თავისი მმართველობის პერიოდში ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრი გადააყენა.

ასეთი მდგომარეობის თავისებური დადასტურება გახდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტ. ბლერის საზღვარგარეთული ტურნე 2002 წელს, რომლის დროსაც მან რამდენიმე დამოუკიდებელი გამონათქვამი დააფიქსირა ინგლისის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ამან მკვეთრი გაღიზიანება გამოიწვია ფორინ ოფისის ზოგიერთ ხელმძღვანელს და პარლამენტის წევრებს შორის, რომლებმაც განაცხადეს, რომ ჯობდა პრემიერ-მინისტრს საზღვარგარეთულ ტურნეში საგარეო საქმეთა მინისტრი გაეშვა, რადგან ასეთი დონის ვიზიტები მოითხოვს „მაღალ დიპლომატიურ ხელოვნებას“.

ბლერის კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ფორინ ოფისი იგნორირებული იქნა, რადგან ტონი ბლერმა მხოლოდ პირადი მრჩევლების დახმარებით ისარგებლა, უარი თქვა რა ტრადიციული დიპლომატიური ბიუროკრატიის დახმარებაზე.<sup>5</sup>

აღსანიშნავია, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ფედერალური კანცლერის უწყებას შორისაც ხშირია აზრთა სხვადასხვაობა და უთანხმოებანი. გერმანიაში ბუნდესკანცლერის ბიუროს შემადგენლობაში ჰყავს საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების პოლიტიკის სამმართველო. მისი მიზანია ფედერალური კანცლერის საგარეო პოლიტიკური საქმიანობის უზრუნველყოფა, მაგრამ ის ზრდის საკუთარ აქტიუობას საერთაშორისო კავშირების შენარჩუნებაში, მითუმეტეს, რომ ბოლო დროს სახელმწიფოთა მეთაურებს შორის პირადი კონტაქტები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა საერთაშორისო პრობლემების მოგვარებისას.

ვინაიდან კოალიციურ მთავრობაში ფედერალური კანცლერის და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტები სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს უკავიათ, აზრთა სხვადასხვაობა

<sup>3</sup> 1968 წელს მოხდა ფორინ ოფისის გაერთიანება თანამეგობრობის საქმეთა უწყებასთან, რის შედეგადაც მან მიიღო საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს სახელწოდება (ფორინ ოფისი).

<sup>4</sup> **Kegley C., Wittkopf E.** American Foreign Policy: Pattern and Process. New York. 1996.

<sup>5</sup> **La Guardia A., Brogan B.** Blair's odyssey leaves him open to some home truths. The Daily Telegraph. 2002. 31 January.

კანცლერის უწყებასა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის, რომელსაც უფრო ხშირად პარტიულ-პოლიტიკური საფუძველი უდევს, რაც პირდაპირ არ აისახება სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის კურსზე, თუმცა დროთა განმავლობაში ასეთი უთანხმოებები მაინც ხდება ხოლმე. საფრანგეთში, საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც ცნობილია თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, როგორც კე დკორსე, ჩართულია საგარეო პოლიტიკური საქმიანობის პროცესში, რომელსაც რიგი სტრუქტურები ახორციელებენ. მის სტრუქტურებს მიეკუთვნება გენერალური მდივნის ბიურო თავდაცვის საკითხებში, სადაც ყველა მინისტრია წარმოდგენილი, რომელთაც კავშირი გააჩნიათ თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან. სამინისტროთაშორისო კომიტეტი მუშაობს სამხედრო აღჭურვილობის ექსპორტის მიმართულებითა და ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის სახით.

კედკორსე-ს წარმომადგენლები ამ სტრუქტურების მუშაობაში იღებენ აქტიურ მონაწილეობას, ისევე როგორც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ძირითად როლს გადაწყვეტილებების მიღებაში ახორციელებს პრემიერ-მინისტრის აპარატი, ხოლო გადამწყვეტი სიტყვა საფრანგეთის პრეზიდენტს ეკუთვნის.

საფრანგეთის მთავრობა მკაცრად აკონტროლებს საგარეო პოლიტიკური აქტიურობის ფინანსურ ასპექტს. 1994 წელს შეიქმნა სამინისტროთაშორისი კომიტეტი, იმ სახელმწიფო სახსრების კოორდინაციისათვის, რომლებიც საერთაშორისო საქმიანობისთვის გამოიყოფა.

ამ კომიტეტის სათავეში დგას პრემიერ-მინისტრი, კომიტეტში შედის მთავრობის ყველა ის წევრი, რომელთა სამინისტროებსაც საზღვარგარეთთან ურთიერთობა აქვთ, კომიტეტში ასევე შედის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი და გენერალური მდივანი.

კომიტეტის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება საფრანგეთის უცხოეთთან კავშირების, საერთაშორისო ურთიერთობებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფონდების გამოყენების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ასევე საზღვარგარეთ წარმომადგენლობების რაოდენობის და სიდიდის განსაზღვრა, საერთაშორისო აქტიურობის გაზრდისათვის ზომების მიღება და ამ საქმიანობის ამსახველი ყოველწლიური ანგარიშების მომზადება. საგარეო საქმეთა სამინისტრო დიდ როლს თამაშობს ამ კომიტეტის მუშაობაში, სამინისტროს გენერალური მდივანი მის ოფიციალურ გამხმოვანებელს წარმოადგენს.<sup>6</sup>

ტრადიციულ დიპლომატიურ სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები დაკავშირებულია საკმაოდ პროზაულ ფაქტორთან – საბიუჯეტო ფინანსური საშუალებების ქრონიკულ უკმარისობასთან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა დიპლომატიური ბიუროკრატიული აპარატის კოლოსალური ზრდა. ეს აისახებოდა მრავალრიცხოვანი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნით და ცივი ომის ლოგიკით. საგარეო პოლიტიკური პრობლემების გაზრდილი სირთულეები, რომელთა გადაწყვეტაც სპეციალისტების სულ უფრო ფართო წრეს მოითხოვდა, სიტუაცია მიიყვანა იქამდე, რომ საელჩოები XX ს-ის ბოლო ათწლეულებში მარტო კარიერული დიპლომატებით არ იყო დაკომპლექტებული.

ამჟამად საელჩოს თანამშრომლები სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები არიან – სამხედრო, სადაზვერუო, კომერციული, ინფორმაციული, აგროსამრეწველო და ა.შ. ახალი XXI ს-ის დასაწყისისათვის ამერიკის საელჩოში ლონდონში აღირიცხებოდა თანამშრომელთა არაუმეტეს 20%, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ საგარეო პოლიტიკურ უწყებას.<sup>7</sup>

1790 წელს, როდესაც თომას ჯეფერსონი შეუდგა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შესრულებას, მთელი მისი აპარატი შედგებოდა ერთი კლერკის, 3 თანამშემწის, ერთი კურიერისა და ერთი საათობრივ ანაზღაურებაზე მყოფი თარჯიმნისაგან. ახალგაზრდა ქვეყანას ჰქონდა 2 დიპლომატიური წარმომადგენლობა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში და 10 საკონსულო პოსტი. სახელმწიფო დეპარტამენტის მთლიანი ბიუჯეტი 60 ათას დოლარზე ნაკლები იყო.

<sup>6</sup> Enjalran P., Husson Ph. France. The ministry of Foreign Affairs // B. Hocking. ed. Op. cit. P. 71.

<sup>7</sup> Perlez J. As diplomacy loses luster, young stars flee state department // American Diplomacy. 2000. 5 September.

დღეისათვის აშშ-ს დიპლომატიური ურთიერთობები გააჩნია 180-ზე მეტ ქვეყანასთან და 260-მდე დიპლომატიური და საკონსულო პოსტი აქვს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

XX ს-ის 40-იანი წლების ბოლოსათვის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში 700 ადამიანი ირიცხებოდა. 1990 წლისათვის მისი შტატი 10500 ჩინოვნიკით გაიზარდა.<sup>8</sup> დღეისათვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და საზღვარგარეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში 14 000 დიპლომატი და 60 ათასამდე დაქირავებული თანამშრომელი მუშაობს. 70-იან წლებში, საშუალო სიდიდის ქვეყანაში ამერიკის საელჩოში 1000 ადამიანი იყო, რომელთაგან დაახლოებით 15% ეკუთვნოდა სახელმწიფო დეპარტამენტს. აშშ-ს ყველაზე მსხვილი საელჩო 1000 კაცის შემადგენლობით საუდის არაბეთში აქვს.<sup>9</sup>

საზღვარგარეთის სამსახურის ასოციაციამ 1996 წელს გამოაქვეყნა დიპლომატიური წარმომადგენლობების სტრუქტურის მონაცემები. მსხვილ ამერიკულ საელჩოში მისიის მეთაურის მოადგილის გარდა არსებობს 11 ჯგუფი, რომელთა სათავეში იმყოფებიან მაღალი რანგის დიპლომატები (პოლიტიკური მრჩეველი, ეკონომიკური მრჩეველი, დიპლომატები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საკონსულო და ადმინისტრაციულ ჯგუფებზე, გარემოს დაცვაზე, სამეცნიერო-ტექნიკურ გაცვლაზე, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე და კულტურულ ურთიერთობებზე).

ამის გარდა საელჩოში, როგორც წესი, მუშაობს კოორდინატორი ლტოლვილთა საკითხებში, ინფორმაციული სისტემების სპეციალისტი, სპეციალისტი შრომის, სოფლის მეურნეობის პრობლემებზე, დახმარების პროგრამირების ხელმძღვანელი და ბოლოს დიპლომატი, მდივნის თანამდებობაზე საერთაშორისო საქმეების განხრით, რომელიც გარკვეულწილად პასუხისმგებელია ყველა მიმართულების კოორდინაციაზე. ასეთი მრავალრიცხოვანი შემადგენლობის გამო, მხოლოდ ზოგიერთ დიპლომატს შეუძლია იმედი იქონიოს ელჩთან რეგულარულ შეხვედრაზე ან მისი უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობაზე.

დიპლომატიური სამსახურის აპარატის ზრდა აღინიშნებოდა სხვა ქვეყნებშიც. 1914 წელს დიდ ბრიტანეთში აშშ-ის სულ 9 ელჩი იყო, პარიზის საელჩოში მუშაობდა 11 ადამიანი, ვაშინგტონში – 8. ამჟამად ინგლისის საელჩო აშშ-ში ითვლის 300-მდე ადამიანს. 2000 წ. ფორინ ოფისს ჰყავდა 2295 თანამშრომელი ცენტრალურ აპარატში 7481 საზღვარგარეთის წარმომადგენლობებში, აქედან მხოლოდ 3,5 ათასი იყო დიპლომატიური სამსახურის კადრი.<sup>10</sup>

1945 წელს კე დკორსე-ში სამინისტროს საშტატო განაწესში ირიცხებოდა 447 ადამიანი, 2000 წელს მათი რიცხვი 9475 კაცამდე გაიზარდა. მათგან ცენტრალურ აპარატში მოღვაწეობდა 3806 ადამიანი, დიპლომატიურ და საკონსულო სამსახურებში 4366, კულტურის ინსტიტუტებში 1303 ადამიანი. როგორც წესი, საფრანგეთის მსხვილ საელჩოში 100-დან 200-მდე დიპლომატი მუშაობს.<sup>11</sup>

იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების რაოდენობა 2000 წელს გატარებული დიპლომატიური რეფორმის შემდეგ 938-დან 1119-მდე გაიზარდა, პერსონალის საერთო რაოდენობა 6200 ადამიანია (5500 შტატიანი თანამშრომელია, დანარჩენები შრომითი ხელშეკრულებით არიან).<sup>12</sup>

გერმანიის დიპლომატიური სამსახურის სისტემაში 90-იანი წლების ბოლოს დაკავებული იყო 8800 ადამიანი, 2800 სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მუშაობდა, 6000 საზღვარგარეთის წარმომადგენლობებში. დღეისათვის გერმანიის დიპლომატიურ სამსახურში მუშაობს 6750 შტატიანი თანამშრომელი, მათ შორის: 62100 თანამშრომელი მუშაობს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, <sup>13</sup> 64650 საზღვარგარეთის დიპლომატიურ

<sup>8</sup> Kennan G. F. Diplomacy without Diplomats? Op.cit. P. 202.

<sup>9</sup> The Foreign Service Journal. <http://www.afsa.org/fsj/>.

<sup>10</sup> The Diplomatic Service List 1997. London: HMSO, 1997. P. 15-82.

<sup>11</sup> <http://www.diplomatie.gouv.fr/en/>

<sup>12</sup> <http://www.esteri>

<sup>13</sup> [www.auswaertiges-amt.de](http://www.auswaertiges-amt.de).

წარმომადგენლობებსა და მისიებში. ამასთან ერთად, მისიები საზღვარგარეთ იყენებენ 5500 გერმანულ და უცხოელ მოქალაქეებს, რომლებსაც ადგილსამყოფელ ქვეყანაში არჩევენ კონკურსის საფუძველზე. 1200 თანამშრომელი დროებით მივლინებულია საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა ფედერალური სამინისტროებიდან, მიწებიდან, ბიზნესორგანიზაციებიდან და სხვა დაწესებულებებიდან. გერმანიას საზღვარგარეთ აქვს 229 მისია, აქედან 153 საელჩო, 69 გენერალური საკონსულო და საკონსულოები, 12 მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციებში და ორი სპეციალური მისია. ამათ გარდა კიდევ არის: 345 საპატიო კონსული. საგარეო საქმეთა სამინისტროში მომუშავეთაგან მხოლოდ 688 ადამიანია დიპლომატი და ირიცხება „უმაღლესი კატეგორიის სამსახურში“. გერმანიის საზღვარგარეთის წარმომადგენლობებში თანამშრომლების საერთო რიცხვიდან მხოლოდ 900 ადამიანია დიპლომატი.<sup>14</sup>

საგარეო საქმეთა სამინისტრო წარმართავს გერმანიის ურთიერთობებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან გერმანიის საელჩოების, საკონსულოებისა და მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით. ის წარმოადგენს გერმანიის ინტერესებს მსოფლიოში, ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობას და იცავს გერმანელთა უფლებებს და ინტერესებს საზღვარგარეთ.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში სულ უფრო მეტად იზრდება მრავალმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების მნიშვნელობა, რომელმაც წარმოშვა ახალი ტიპის მუდმივი დიპლომატიური მისიების, ე.წ. საერთაშორისო ორგანიზაციებში მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობების შექმნის აუცილებლობა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას დღეისათვის მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობები აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში – ნიუ იორკში და მის ევროპულ ოფისებსა და სპეციალიზებულ სააგენტოებში – ვენეცისა და ვენაში, ევროკავშირსა და ნატოში – ბრიუსელში, იუნესკოში – პარიზში, ევროპის საბჭოში – სტრასბურგში, საერთაშორისო ორგანიზაციებში – რომში, ეუთოში – ვენაში. აღსანიშნავია, რომ მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობები არ ეწევიან საკონსულო მომსახურებას. გერმანიის მუდმივი დიპლომატიურ მისიებს საერთაშორისო ორგანიზაციებში ხელმძღვანელობენ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები.

პროფესიონალი თანამშრომლები არიან ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივი გერმანიის დიპლომატიურ სამსახურში. მოთხოვნები, რომლებსაც უყენებენ თანამშრომლებს დიპლომატიურ სამსახურში, ძალზედ მაღალია. მათი ამოცანები მოიცავს პრობლემების ყველაზე ფართო წრეს. გერმანიის დიპლომატიური სამსახური დისლოცირებულია მთელ მსოფლიოში. დიპლომატიური კადრები ექვემდებარება ე.წ. როტაციას. ეს პერსონალისაგან მოითხოვს სამუშაო ადგილის შეცვლას ყოველ 3-5 წელიწადში. ისინი ცენტრალური აპარატიდან სამუშაოდ გადაჰყავთ საზღვარგარეთის ქვეყნიდან ქვეყანაში და შემდეგ ბრუნდებიან საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში. აქედან გამომდინარე, დიპლომატებისათვის იშვიათი არ არის თავისი პროფესიული კარიერის მანძილზე მრავალჯერ შეიცვალონ სამუშაო ადგილი და ქვეყანა და უფრო მეტი დრო დაჰყონ საზღვარგარეთის ქვეყნებში. საგარეო პოლიტიკა არ მოიცავს მთავრობის საქმიანობის მთელ სპექტრს მაშინ, როდესაც მთავრობა ვალდებულია ქვეყნის შიგნით სხვადასხვა დონეებზე (ფედერაცია, მიწები და მუნიციპალიტეტები) მოაგვაროს არსებული პრობლემები საზღვარგარეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. კავშირების განვითარებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება დიპლომატიურ სამსახურს, რომელსაც წარმატებით მაღალ პროფესიულ დონეზე ახორციელებს თანამედროვე გერმანიის დიპლომატია უკანასკნელი 144 წლის მანძილზე.

<sup>14</sup> [www.auswaertiges-amt.de](http://www.auswaertiges-amt.de).

საგარეო ურთიერთობების სფეროში კომპეტენციის სფეროების აღრევამ სხვადასხვა აქტორებს შორის და საგარეო პოლიტიკური უწყების გაბერილმა ბიუროკრატიულმა აპარატმა, ბევრ ქვეყანაში აქტუალური გახდა დიპლომატიური სამსახურის ფინანსირების გონივრული შემცირების საკითხი.

თანამედროვე ამერიკელი დიპლომატიური სამსახურისთვის ფინანსური საკითხები სერიოზული პრობლემა გახდა. თავდაცვაზე და დახვეწაზე გაზრდილი საბიუჯეტო ასიგნაციები (რადგან 1998 წ. პენტაგონმა მიიღო 7 მლრდ. დოლარით მეტი თანხა, ვიდრე მოითხოვდა) ასევე დიპლომატიური უწყებებისათვის ბიუჯეტის შემცირება, პროფესიონალ დიპლომატებს რთულ მდგომარეობაში აყენებს.

დიპლომატიურ სამსახურზე საბიუჯეტო ხარჯები 80-იან წლებთან შედარებით 50%-ით შემცირდა.<sup>15</sup>

ადმინისტრაციამ 2001 წელს საგარეო პოლიტიკაზე მოითხოვა 22 მლრდ. დოლარი. კონგრესმა ეს ციფრი 20,3 მლრდ. დოლარამდე შემცირა. ძირითადად შემცირებულ იქნა ასიგნაციები მშვიდობის შენარჩუნების მიმართულებით (**peace keeping**), „ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებისადმი დახმარება, ბირთვული იარაღის გავრცელების შემაფერხებელ პროგრამებზე, ეს მაშინ როცა სენატის კომისიამ ასიგნაციები 420 მლნ. დოლარზე, ე.ი. თითქმის 40% შემცირა ხარჯები საელჩოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.<sup>16</sup>

დღეისათვის ხარჯები საგარეო პოლიტიკაზე, განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების ჩათვლით, ხარჯები სახელმწიფო დეპარტამენტებზე, საზღვარგარეთის სამსახურზე, შეიარაღებაზე კონტროლზე (**Arms Control and Disarmament Agency**), სახალხო დიპლომატიაზე, „ამერიკის ხმაზე“ და საერთაშორისო ორგანიზაციების საწევროები ფედერალური ბიუჯეტის 1,7% შეადგენს. 2004 წლისათვის კონგრესის და ადმინისტრაციის მიერ ეს ხარჯები კიდევ 12%-ით შემცირდა.<sup>17</sup>

დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკური სამსახურის საბიუჯეტო დაფინანსება 20 წლის განმავლობაში (1980-2001 წლამდე) შემცირდა 20%-ით. 1997 წელს ფორინ ოფისის ბიუჯეტი 1,1 მლრდ. ფუნტი სტერლინგი იყო (ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 0,3%) მაშინ როცა თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტმა პირველად გადააჭარბა 20 მლრდ-ს.

ფინანსური პრობლემები იწვევს კადრების ქრონიკულ დეფიციტს და დიდ სირთულეებს ნიჭიერი ახალგაზრდების ინგლისის დიპლომატიურ სამსახურში მოსაზიდად. შედარებით დაბალი ანაზღაურება, შრომის ცუდი პირობები, ხანგრძლივი სამუშაო დღე, სამსახურში სწრაფი დაწინაურების მინიმალური შანსი გახდა მიზეზი დიპლომატებს შორის გაზრდილი უკმაყოფილებისა და პესიმისტური განწყობისა.<sup>18</sup>

„დაუშვებელია“ – აღშფოთებას გამოთქვამდნენ თემთა პალატის წარმომადგენლები გამოიყოს 20 მლრდ. ფუნტი სტერლინგი თავდაცვაზე, როცა ქვეყნისათვის არ არსებობს არანაირი საფრთხე და შემცირდეს ხარჯები დიპლომატებზე, რომლებიც შეადგენენ საფრანგეთის შესაბამისი სამსახურების ხარჯების ნახევარს და გერმანიის ხარჯების 1/3-ს.<sup>19</sup>

ფინანსირების სიმწირეს აღნიშნავენ ფრანგი დიპლომატებიც, იმის მიუხედავად, რომ 2000 წელს პირველად 1995 წლის შემდეგ, მოხდა ტენდენციების ცვლილება კე დკორსე-ს ბიუჯეტის გაზრდის მიმართულებით. ამის მიუხედავად, სახელმწიფოს მიერ საგარეო პოლიტიკური საქმიანობისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფონდების თითქმის ნახევარს იღებდა,

<sup>15</sup> **Harrop W. C.** The conduct of American diplomacy // American Diplomacy. 2000. Spring. V. V. №. 2. P. 2.

<sup>16</sup> **Marshall P.** Adair. AFSA: Foreign Affairs funding crises // American Diplomacy. 2000. V.V, №.3.

<sup>17</sup> **Harrop W. C.** Conduct of American diplomacy // American Diplomacy. 2000. V. V. №. 2.

<sup>18</sup> **Mauthner R.** Diplomatic Disquiet. Financial Times. 1994. 24 January.

<sup>19</sup> **Howell D.** Britannia's business // Prospect. 1997. 15 January. P. 29.

ეკონომიკის და ფინანსების სამინისტრო, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ფონდების მხოლოდ 25%-ს.<sup>20</sup>

სიღვიო ბერდუსკონის იტალიის მთავრობის სათავეში მოსვლის შემდეგ იტალიურ პრესაში აგორდა ფართომასშტაბიანი კამპანია დიპლომატიურ სამსახურზე გაწეული უზარმაზარი ხარჯების წინააღმდეგ. ამ დროს არ ხდებოდა იმ ფაქტის აფიშირება, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთო ბიუჯეტი შეადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 0,26%. არ გაახმაურეს ისიც, რომ დიპლომატიური სამსახური მოითხოვდა საგარეო საქმეთა სამინისტროს საბიუჯეტო ფინანსირება გათანაბრებოდა ძირითადი ევროპული ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების ფინანსირებას. ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი დებულება კანონისა „საგარეო პოლიტიკური სამსახურის რეფორმის შესახებ“, რომელიც მიღებული იქნა პარლამენტის მიერ 2000 წელს.

დროის გამოწვევებმა თანამედროვე დიპლომატიურ სამსახურების დღის წესრიგში რეფორმების საკითხი დააყენა.

აშშ-ში პრეზიდენტის ადმინისტრაცია 90-იანი წლების ბოლოს გამოვიდა „სტრატეგიული ინიციატივით მენჯემენტის საკითხებში“. იგეგმებოდა პრიორიტეტების მკაფიო გამოყოფა, სტრუქტურების რეორგანიზაცია, პროცესების რაციონალიზაცია მცირედი ასიგნირების პირობებში. ძირითადი აქცენტი გაკეთებული იქნა დეცენტრალიზაციაზე (*devolution*), მმართველობით ფუნქციებზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დეცენტრალიზაცია ნიშნავდა პასუხისმგებლობის განაწილებას აპარატის მაღალ და დაბალ რგოლებს შორის.

მენჯემენტში სტრატეგიული ინიციატივის ჩარჩოებში შემუშავებული იქნა საელჩოების რეორგანიზაციის სპეციალური პროგრამა. 1992 წლიდან 1997 წლამდე დაარსებულ იქნა 36 ახალი საელჩო და საკონსულო. კერძოდ, საკონსულოები ლონდონში, ბორდოში, გენუაში, პალერმოში.<sup>21</sup>

პატარა ქვეყნების ოცდაათ საელჩოში პერსონალი შემცირებულ იქნა. დიპლომატიური სამსახურისათვის ხარჯების შემცირებას ეწინააღმდეგებიან პროფესიონალი დიპლომატები. აშშ-ს როგორც გლობალურ შესახელმწიფოს – აცხადებენ ისინი – უნდა ჰყავდეს წარმომადგენლები მსოფლიოს ყველა დედაქალაქში, მაშინაც კი თუ საელჩოში სამუშაოდ ერთი ან ორი ადამიანი დარჩება. აუცილებელია ჩვენი ყოფნა გაეროში მნიშვნელოვანი რეზოლუციების კენჭისყრისას, ასევე ყველგან, სადაც შეიძლება აღმოჩენილ იქნას სასარგებლო წიაღისეული, ან იქ, სადაც საერთაშორისო ტერორისტებმა შეიძლება თავშესაფარი იპოვონ და კიდევ იქ, სადაც საჭაერო სივრცესთან წვდომა შეიძლება გართულებული იყოს, ან იქ, სადაც ამერიკელი ტურისტის ან ამერიკულ კომპანიას და შეიძლება დასჭირდეს დახმარება ან თანაგრძნობა.<sup>22</sup>

სახელმწიფო დეპარტამენტში შეცდომად თვლიან ამერიკული ისტებლიშმენტის ზოგიერთი წარმომადგენლის აზრს დიპლომატიური სამსახურის როლის დაქვეითების შესახებ გლობალური ეკონომიკის, ტელეკომუნიკაციის, ინტერნეტის, ელექტრონული ფოსტის, გლობალური სატელევიზიო ქსელის პირობებში. რა თქმა უნდა, ამბობენ ისინი, პრეზიდენტს შეუძლია პირდაპირ დაურეკოს სხვა პრეზიდენტს, მაგრამ საეჭვოა მან შესძლოს ურთიერთობა ამ ქვეყნის მცოდნე სპეციალისტის კვალიფიციური რჩევის გარეშე, ან ექსპერტის გარეშე, რომელიც თანამოსაუბრის ენას ფლობს, იცის ქვეყნის ისტორია და კულტურა, შეუძლია მათი შეხედულებების ანალიზი და ამა თუ იმ გავლენის ჯგუფების განსაზღვრა.

ამერიკელი დიპლომატები თვლიან, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლობა კონგრესში ბევრად ჩამოუვარდება თავდაცვითი და სადაზვერვო უწყებების მასირებულ წარმომადგენლებს. ყოველთვის, როცა თავდაცვის მინისტრი ან ცსს-ს უფროსი კონგრესში

<sup>20</sup> *Дипкурьер* НГ. 2000. 28 сентября.

<sup>21</sup> См.: A Forecast for the Mid-twenty-first Century // American Diplomacy. 2000. V. V. №. 2 Commentary; The International Affairs Budget. US Department of State, Bureau of Public Affairs. 1995.October.

<sup>22</sup> *Hocking* (ed), Foreign Ministries.Op.cit. P. 242.



მიდიან, მათი მთავარი ამოცანა ფინანსირების მიღწევაა, მაშინ კი, როცა სახელმწიფო მდივანი კონგრესში გამოდის სიტყვით, იგი იცავს გარკვეულ პოლიტიკურ კურსს.

ამასთან დაკავშირებით 14 დიპლომატიკისგან შემდგარი ჯგუფი, რომელშიც ორი ყოფილი სახელმწიფო მდივანი – უ. კრისტოფერი და ჯ. შულცი შედიოდა, ასევე მაშინდელი სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი და პრეზიდენტის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისი, ასევე მაღალი დიპლომატიური რანგის ჩინოვნიკები, გამოვიდნენ კაპიტოლიუმზე სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური ოფისის გახსნის იდეით. წინადადების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელიც კონგრესსმენებს საზღვარგარეთულ პასპორტებს და ვიზებს აძლევს, „შეახსენოს მათ, რომ დიპლომატები ასევე წარმოადგენენ ნამდვილ ამერიკელებს“. საინტერესოა, რომ ამის შემდეგ პატრიოტულად განწყობილი კონგრესმენების და სენატორების მთელმა ჯგუფმა განაცხადა, რომ მათ არ გააჩნიათ საზღვარგარეთული პასპორტები.<sup>23</sup>

2000 წელს სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოამზადეს საინტერესო დოკუმენტი „ღია წერილი მომავალ სახელმწიფო მდივანს“. მისი ქვესათაური საკმაოდ ხატოვნად გამოიყურებოდა „SOS for DOS“ (გადაარჩინეთ სახელმწიფო დეპარტამენტი). წერილში დიპლომატები აღნიშნავენ, რომ „სახელმწიფო დეპარტამენტი ცუდად იყო დაკომპლექტებული კადრებით „XXI ს-ის გამოწვევებისათვის – მოქველდებულმა პროცედურებმა და სახსრების ქრონიკულმა უკმარისობამობამ თავის საქმე გააკეთა. ორგანიზაციული სტრუქტურა არაფუნქციურია, თანამშრომლები საქმით გადატვირთულნი არიან, საელჩოს ბევრი შენობა ცუდ მდგომარეობაშია. დეპარტამენტის ტრადიცია და კულტურა განახლებას საჭიროებს, მაშინ, როცა მისი პერსონალი ყოველდღიური უმნიშვნელო საქმეებითაა დაკავებული, არ გააჩნიათ რა მოქმედების საერთო გეგმა, ჩვენ გავდივართ XXI საუკუნის ზღვის უცნობ ტალღებში ჟანგის კემით“.

წერილში ასევე აღნიშნული იყო „სტრუქტურული არასრულყოფილება, რთული პროცედურები, უვარგისი ინფრასტრუქტურები, რომლებიც ხელს უშლიან დიპლომატებს რეაგირება მოახდინონ დროის გამოწვევებზე და სახელმწიფო დეპარტამენტს გადააქცევს ნაციონალური უსაფრთხოების სუსტ რგოლად“.<sup>24</sup>

ისტორიულმა ცვლილებებმა ახალი ამოცანების წინაშე დააყენა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. ომის დამთავრების შემდეგ მისი ძირითადი ამოცანა იყო ინგლისის საგარეო პოლიტიკური პოზიციების მაქსიმალურად შენარჩუნება იმპერიის რღვევის პირობებში. შეასრულა რა დასახული მიზნები, ფორინ ოფისმა შეძლო არ დაეკარგა თავისი საკვანძო მდგომარეობა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის რეალიზაციისას. ინგლისური დიპლომატიის უმაღლესმა პროფესიონალურმა დონემ ხელი შეუწყო ბრიტანეთის მისწრაფებას მიეღწია ისეთი განსაკუთრებული მდგომარეობისათვის, რომელიც აღემატებოდა მის რეალურ წონას მსოფლიო პოლიტიკაში.<sup>25</sup> ამის მიუხედავად, 70-იანი წლების ბოლოს სპეციალურმა სამთავრობო ჯგუფმა მოამზადა მოხსენება საგარეო პოლიტიკის მართვის სისტემის რეფორმირების შესახებ. მოხსენების ავტორები იქიდან გამოდიოდნენ, რომ ძვირადღირებული დიპლომატიური სამსახური არ პასუხობს ახლანდელ მოთხოვნებს და უნდა იქნეს მნიშვნელოვნად შემცირებული, ამ დროს კი სპეციალისტები, რომელთაც შეეძლოთ ბრიტანული ინტერესების დაცვა, ძირითადად დაკავებული იყვნენ შიდა უწყებრივ სტრუქტურებში. მოხსენებაში ასევე იყო წინადადება, რომ გაერთიანებული დიპლომატიური სამსახური (**Foreign Service**) და შიდა სამოქალაქო სამსახური (**Home Civil Service**) და მათ საფუძველზე შეექმნათ

<sup>23</sup> Equipped for the future – Managing U.S. Foreign Affairs in twenty-first century. Henry L. Stimson Center. Washington, 1998, October.

<sup>24</sup> Open letter to the next Secretary of State. SOS for DOS // <http://www.washdiplomat.com>.

<sup>25</sup> Allen D. UK. FCO: “Flexible, responsive and proactive”? // B. Hocking (ed). Foreign Ministries. Op.cit. P. 207-225.

საგარეო პოლიტიკური ჯგუფი (*Foreign Policy Group*). ინგლისური დიპლომატიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო ამ ბიუროკრატიულ შეტევასთან გამკლავება.

ჩვენს თვალწინ მიმდინარე ისტორიული ცვლილებების პირობებში ინგლისური საგარეო პოლიტიკური უწყებისათვის დამახასიათებელი მოქნილობა გამოიხატება მის უნარში წინასწარ დაასწროს თავის მოწინააღმდეგეებს და დაიცვას თავი, სხვაგვარად რომ ვთქვათ – დამოუკიდებლად ჩაატაროს საკუთარი სტრუქტურის რეფორმირება და შეეწინააღმდეგოს გარედან უწყების რეფორმირების მცდელობას. მაგალითად, მაშინ როცა ბევრმა ქვეყანამ საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში ჩანერგა ე.წ. „ფუნქციონალური პრინციპები“, ფორინ ოფისმა უარი თქვა ამ მოდის აყოლაზე. ბრიტანელი დიპლომატები სამართლიანად შიშობდნენ, რომ „ფუნქციონალობის“ შემოტანა აუცილებლად გამოიწვევდა ბევრი საგარეო პოლიტიკური საქმეების სხვა უწყებებზე გადაცემას.

სხვა არგუმენტებთან ერთად ბრიტანელმა დიპლომატებმა გამოთქვეს სკეპტიკური მოსაზრება რეფორმის შედეგების მოლოდინთან დაკავშირებით და ასევე იმის აუცილებლობის შესახება, რომ საერთაშორისო საქმეებში განხორციელებულიყო რეგიონალური და ქვეყანათმცოდნეობის სპეციალიზაციის ლოგიკა. სამინისტრო თვლის – ამტკიცებდნენ ბრიტანელი დიპლომატები – რომ ცალკეული ქვეყნების სპეციფიკის ცოდნა და ამის საფუძველზე ორმხრივი ურთიერთობების განვითარება სრულად შეესაბამება ბრიტანული ინტერესების დაწინაურების მიზნებს.<sup>26</sup>

რა თქმა უნდა, დიდ ბრიტანეთში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ზოგიერთმა უწყებებმა იჩქარეს დაეფუძნებინათ საკუთარი საერთაშორისო განყოფილებები. ამ დროს ფორინ ოფისმა დაიწყო მათთან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება. ამ გაწონასწორებულმა პოლიტიკამ საბოლოო ჯამში დიპლომატებს საშუალება მისცა შეენარჩუნებინათ „თანასწორთა შორის პირველების“ სტატუსი.

ამერიკელებისაგან განსხვავებით, პროფესიონალი ბრიტანელი დიპლომატები კვლავინდებურად იკავებენ ოპერატიული ხასიათის ვაკანსიების 85-90% ყველა დიპლომატიურ უწყებებში, ცენტრში და საზღვარგარეთ. მართალია ეს აიხსნება იმით, რომ დიპლომატიურ სამსახურში სხვადასხვა პროფესიების ადამიანების აყვანა ხდება, რაც ვიწრო პროფილის სპეციალისტებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის განსაკუთრებული შეუპოვრობა, რომელიც ფორინ ოფისმა გამოამჟღავნა თავისი ელჩების როლის შენარჩუნებისათვის. ფორინ ოფისმა შეძლო წინააღმდეგობა გაეწია თავისმოსხვეული რეფორმისათვის, რომლის შედეგადაც საელჩოში მომუშავე სხვა უწყებების წარმომადგენლებს შეეძლებოდათ ელჩის გვერდის ავლით საკუთარ სამინისტროებზე უშუალოდ გასვლა.

საფრანგეთშიც არსებობს დიპლომატიური კადრების დეფიციტი. 80-იანი წლების პერიოდში საფრანგეთის სახელმწიფო აპარატის საერთო 10%-ით ზრდის ფონზე, დიპლომატიური სამსახურის მუშაკთა რაოდენობა შემცირდა 5,5%-ით.

90-იან წლებში კვ დეკორსე-ს შტატები 8%-ით შემცირდა. ახლად გახსნილი საელჩოების კადრებით დაკომპლექტების მიზნით, საგარეო უწყება ევროკავშირის ქვეყნების დედაქალაქებში ყოველწლიურად ამცირებს თითო დიპლომატიურ შტატს. 10-15%-ით მცირდება საკონსულო ქსელიც. ოფიციალური პარიზი ამ შემცირებებს ხსნის ყოფილ კოლონიებში საფრანგეთის მოქალაქეების რიცხვის შემცირებით და ევროკავშირის ქვეყნებში ინტეგრაციული პროცესების შედეგად განვითარებული ცვლილებებით.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, 1998 წელს გერმანიის დიპლომატიურ სამსახურში სტრუქტურული რეფორმების გატარება დაიწყო. რეფორმის მიზანი იყო ცენტრალური აპარატის მუშაობის ეფექტურობის გაზრდა, სამინისტროს ქვედანაყოფებს შორის მოვალეობების რაციონალური განაწილების ხარჯზე. თანამშრომელთა რიცხვის შემცირება, შრომის

<sup>26</sup> Allen D. UK. FCO: “Flexible, responsive and proactive”? // B. Hocking (ed). Foreign Ministries. Op.cit. P. 207-225.

ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდებისა და თანამედროვე მარკეტინგის დანერგვა. რეფორმირება შეეხო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დეპარტამენტებს. ერთდროულად იქნა განხორციელებული საზღვარგარეთის სამსახურის შემცირება. ამჟამად უკვე დაიხურა გერმანიის 20 წარმომადგენლობა საზღვარგარეთ. საქმე ესებოდა ძირითადად წარმომადგენლობებს აფრიკის ქვეყნებში და საკონსულოებს ევროკავშირის ქვეყნებში.<sup>27</sup>

იტალიის დიპლომატიურ სამსახურში გათვალისწინებული „რაციონალიზაციის“ რეფორმის შედეგად ასევე ლიკვიდირებული იქნა საკონსულოების გარკვეული რაოდენობა. 1999 წელს ევროპაში დაიხურა 6 საკონსულო, კანადაში – ერთი. ასევე გაუქმებულ იქნა გენერალური საკონსულო ბერლინში და საკონსულო ავსტრიაში. ამის მიუხედავად, კადრების დეფიციტი წარმოადგენს იტალიური დიპლომატიის მტკივნეულ პრობლემას. 2000 წლის კანონის საფუძველზე საგარეო საქმეთა სამინისტროს შტაბები 20%-ით გაიზარდა.<sup>28</sup>

საგარეო საქმეთა სამინისტროში იტალიის პრემიერ-მინისტრის ს. ბერლუსკონის მოსვლით, რომელმაც 2002 წლის იანვარში საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელიც ჩაიბარა. „აპენინის ნახევარ კუნძულზე დაიწყო დიპლომატიური სამსახურის რადიკალური რეფორმირება. ბერლუსკონიმ იტალიის დიპლომატიური სამსახურის რეფორმირების გეგმის შემუშავების შეკვეთა ორ კონსალტინგურ ფირმას დაუკვეთა, რომელთაგან ერთი ტადიციულად კონსულტაციას უწევს ბრიტანელ ჩინოფნიკებს სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირების საკითხებში.

ბრიტანელი სპეციალისტების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გაკეთდა დასკვნა იმის შესახებ, რომ ფარნეზინა საერთაშორისო არენაზე იტალიის საგარეო პოლიტიკის გატარების დროს ცოდავს ფრაგმენტულობითა და იმპროვიზაციით, ეკონომიკური საკითხებისადმი არასაკმარისი ყურადღებით და მკაფიოდ გამოხატული კასტური ელიტარიზმით. ბრიტანელმა კონსულტანტებმა ბერლუსკონის ურჩიეს, რომ გაეერთიანებინა საგარეო საქმეთა სამინისტრო და საგარეო ვაჭრობის სამინისტრო ერთ უწყებად (კანადის მსგავსად), რითაც უზრუნველყოფდა მმართველობის ბერკეტების კონცენტრირებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ სფეროებზე საგარეო ურთიერთობების მიმართულებით (ბრიტანული ფორინ ოფისის მსგავსად). მოწვეული კონსულტანტების ძირითადი დასკვნა იყო, რომ ფარნეზინა უნდა გამხდარიყო „ბიზნესის კატალიზატორი“.<sup>29</sup> ამ მიზნით, შეთავაზებულ იქნა საელჩოების და საკონსულოების რიცხვის შემცირება. დიპლომატიური საქმიანობა უნდა გაძლიერებულიყო მხოლოდ იმ ქვეყნებთან, რომელთანაც ურთიერთობა მაქსიმალურ სარგებელს მოუტანდა ქვეყანას. ასევე უნდა მომხდარიყო საზღვარგარეთ მომუშავე პერსონალის შენახვაზე სახსრების ეკონომია, ადგილობრივი სპეციალისტების მოზიდვის ხარჯზე. ამის გარდა, რეკომენდაციები ითვალისწინებდა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე მონიტორინგის სისტემის შემოღებას, საგარეო პოლიტიკის ამოცანების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებას, დასაშვებ ნორმაში უნდა მოეყვანათ ფარდობა დასახულ მიზნებსა და მიღწეულ შედეგებს შორის.

ბერლუსკონი გამოვიდა განცხადებით, რომ დიპლომატიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ბიზნესისათვის ხელშეწყობა, ამიტომ ყველა იტალიურმა საელჩომ „ბრძოლის წინა ხაზზე“ უნდა დაიკაოს ადგილი საზღვარგარეთ იტალიის ეკონომიკური წინსვლის გასაძლიერებლად“. მან აშშ-ის მაგალითზე დაყრდნობით შესთავაზა საგარეო საქმეთა სამინისტროს იტალიისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყნებში ელჩებად გაეგზავნათ არა კარიერული დიპლომატები, არამედ საქმიანი წრეებისა და ბიზნესის წარმომადგენლები.

ამ და სხვა საკითხებში ბერლუსკონისთან პოლემიკაში შევიდა პროფესიონალურ დიპლომატიურ სივრცეში ყველაზე გავლენიანი დიპლომატიური მუშაკების პროფკავშირი. ერთის მხრივ, პროფკავშირების ხელმძღვანელებმა დადებითად შეაფასეს იდეა ფარნეზინას ხელში

<sup>27</sup> Терехов В. П. Дипломатическая служба Германии // Дипломатическая служба. Под ред. Торкунова А.В.

<sup>28</sup> <http://www.esteri.it/>.

<sup>29</sup> IBID.

საგარეო ურთიერთობების სფეროში ძირითადი უფლებამოსილების თავმოყრა, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის იყო გაფანტული. მეორეს მხრივ კი მათ განაცხადეს, რომ რიგ ქვეყნებში საელჩოებზე და საკონსულოებზე უარის თქმას ნეგატიური შედეგები მოჰყვებოდა. კერძოდ, იტალია, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობის პრეტენდენტია, შეიძლება ამ ქვეყნების ხმები დაკარგოს. უკმაყოფილება გამოითქვა ასევე ადგილობრივ მოსახლეობასთან მასიურად შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზეც, იმ საფრთხის გამო, რომ ადგილობრივი კადრების დიდმა რაოდენობამ „თავიანთი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება იმოქმედონ, რამაც გადაცდომა შეიძლება გამოიწვიოს“.

დიპლომატიური მუშაკების პროფკავშირში გაიხსენეს, ისიც რომ ელჩ-ბიზნესმენების ამერიკული სისტემას თვით აშშ-შიც სერიოზულად აკრიტიკებენ.

რთულია იმის თქმა, ფარნეზინას რეფორმირება რამდენად შორს შეიძლება წავიდეს, იმის გათვალისწინებით, რომ ისტორიულად იგი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფო უწყებაა იტალიაში.

თანამედროვე დიპლომატიურ სამსახურებში მიმდინარე პროცესების კვლევები ადასტურებს სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატიურ სამსახურებში პროცესების არსებით იდენტურობას. საგარეო პოლიტიკური უწყებები თითქმის ერთი და იგივე პრობლემებს აწყდებიან და ეძებენ გზებს მათი გადალახვისათვის. პროფესიული დიპლომატიური სამსახურისათვის ძალზედ ურთულეს გამოწვევად იქცა საბიუჯეტო დაფინანსების მნიშვნელოვნად შემცირება. უმრავლეს ყვევებში საბიუჯეტო სახსრების მკვეთრმა შემცირებამ კარიერული დიპლომატების შემცირება და დიპლომატიური პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაცია გამოიწვია.

რა თქმა უნდა საბიუჯეტო თანხების შემცირებამ და შიდა რეორგანიზაციებმა დიდი გავლენა მოახდინა საგარეო უწყებებში ფსიქოლოგიურ განწყობაზე და ადამიანის ფაქტორზე. საგარეო პოლიტიკურ უწყებებში ვაკანსიების შევსებამ სხვა უწყებების წარმომადგენლების მიერ, უმადლეს პოლიტიკურ თანამდებობებზე პოლიტიკური დანიშვნების მანკიერმა პრაქტიკამ მნიშვნელოვანწილად შეაფერხეს კარიერული დიპლომატების სამსახურებრივი წინსვლა, რამაც ბუნებრივია, გამოიწვია მათი უკმაყოფილება.

შექმნილმა ხელსაყრელმა ეკონომიკურმა კონიუქტურამ გამოიწვია ყველაზე პერსპექტიული და ნიჭიერი დიპლომატიური კადრების გადინება კერძო ბიზნესის სტრუქტურებში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით საკადრო პრობლემები შეექმნათ განვითარებული ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ უწყებებს, რომლებიც უკანასკნელ ათწლეულში განიცდიან პერსპექტიული დიპლომატიური კადრების ნაკლებობას და მათი უწყებები ყოველწლიურად 10-15%-ით დაუკომპლექტებელი რჩება.

ასეთია მოკლედ თანამედროვე დიპლომატიური სამსახურების მდგომარეობის შედარებითი ანალიზი აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის მაგალითზე, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ თანამედროვე დიპლომატიას ჯერ კიდევ არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები და იგი კვლავ რჩება სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური კურსის განხორციელების მთავარ მექანიზმად.

**Avtandil Kiknadze**

**Modern diplomatic service comparative analysis (on the examples of  
USA, Great Britain, Germany, Italy and France)**

Summary

The article examines problems, principles and methods of diplomatic service in USA, Great Britain, Germany Italy and France in comparative manner. The state of diplomatic institutions in these countries is observed.

Considerable attention is paid to genesis and evolution of diplomacy in the above-mentioned states. The article discusses different dimensions of modern diplomacy, as well as its ceremonial and prospects.

მაკა კვარაცხელია, ისტორიის დოქტორი

## საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხები თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში

თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულია დოკუმენტები და მასალები, რომელიც მოიცავს პერიოდს 1921 წლიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ქალაქის მმართველობის მოწყობა თბილისის რევოლუციური კომიტეტის შექმნით დაიწყო, რევოლუციურმა კომიტეტმა 11 თვე იარსება, რის შემდეგაც ქალაქის მმართველობა ტფილისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს გადასცა. ქალაქის მთავრობამ პირველივე დღეებში წარმატებულად აუწყო ფეხი საბჭოთა პოლიტიკას ყველა სფეროში, მათ შორის ეკლესიასთან დამოკიდებულებაში.

1923 წლის დასაწყისში ცვლილებები მოხდა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში და მის მართვა-გამგეობაში. თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1923 წლის 6 თებერვლის დადგენილებით მოხდა ქალაქისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების შეერთება, 1929 წლამდე თბილისის მაზრის შემადგენლობაში შედიოდა და თბილისის მუშათა და წითელარმიელთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ექვემდებარებოდა: მარტყოფის, ზემო და ქვემო წალკის, საგარეჯოს, ნორიოს, ავჭალის, ასბულახის, პრიუტის, წყნეთის, ასურეთის, კოჯრის, ყარაიახის, თელეთის, დიღმის, სართიჭალის, გომბორის, მანგლისის თემები (სულ 17 თემი). ხოლო 1929 წლიდან 1931 წლამდე გაერთიანებული იყო თბილისისა და ბორჩალოს მაზრები და თბილისის ოლქი დაყოფილი იყო 12 რაიონად და 86 საბჭოდ.<sup>1</sup> შესაბამისად ამ ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრები და „მორწმუნეთა საზოგადოებები“ თბილისის მუშათა და წითელარმიელთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე იყვნენ ანგარიშვადლებულნი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც განპირობებული იყო, ერთის მხრივ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკით, ხოლო მეორეს მხრივ რუსეთის ეკლესიის დამოკიდებულებით. საქართველოში 1917 წელს აღრიცხულია 1130 მოქმედი ეკლესია-მონასტერი, 2609 მღვდელი, 227 მთავარდიაკონი, 1606 დიაკონი, 29 მამათა მონასტერი 1188 ბერით, 6 დედათა მონასტერი 280 მონაზვნით. 1921 წლიდან იწყება ეკლესია მონასტრების დახურვა, სამღვდლო პირთა დევნა, შევიწროება, ეკლესიების ქონების კონფისკაცია და სხვ.

1924 წლის 21 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ხალხს ეკლესია-მონასტრების გახსნის უფლებას მხოლოდ მაშინ მისცემდა, თუ სოფლებსა და ქალაქებში დაარსდებოდა „რელიგიური საზოგადოებები“, რომელთა დამფუძნებელ წევრთა რიცხვი შეიძლება ნაკლები არ იქნებოდა. ამასთანავე, მორწმუნენი ტაძრებს, სამლოცველო სახლებსა და სხვა ქონებას უსასყიდლოდ მიიღებდნენ სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

<sup>1</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე ფონდის აღწერა, ტომი 1, ფურცელი 3.

რომელიც გაფორმდებოდა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტსა და „რელიგიურ საზოგადოებას“ შორის.

რელიგიური საზოგადოებების რეგისტრაციის ბოლო ვადა 1 თებერვალი იყო და 1924 წლის 16 თებერვლისათვის ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმს მოახსენებდნენ, რომ აღნიშნული დადგენილების შესაბამისად ტფილისის აღმასკომის მიერ რეგისტრაციაში გატარდა შემდეგი რელიგიური საზოგადოებები:

1. ტფილისის ავლაბრის წმიდა მარინეს რელიგიური საზოგადოება;
2. ტფილისის ყაზანის ღვთისმშობლის რელიგიური საზოგადოება;
3. ტფილისში მცხოვრებ ახალციხის ქართველ ებრაელთა საზოგადოება;
4. ტფილისის კალაუზნის ეკლესიის რელიგიური საზოგადოება;
5. ტფილისის ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიის რელიგიური საზოგადოება;
6. ტფილისის ვერის ნიკოლოზის რელიგიური საზოგადოება;
7. ტფილისის ანჩისხატის ეკლესიის რელიგიური საზოგადოება;
8. ტფილისის წმიდა სამების რელიგიური საზოგადოება;
9. ტფილისის კუკიის წმიდა ნიკოლოზის რელიგიური საზოგადოება;
10. ტფილისის წმიდა ფეოდოსიის ჩერნიგოვის ეკლესიის რელიგიური საზოგადოება;
11. ტფილისის გერმანელთა წმიდა პეტრე-პავლეს რელიგიური საზოგადოება;
12. ტფილისის წმიდა ალექსანდრეს და ნიკოლოზის რელიგიური საზოგადოება;
13. ტფილისის ებრაელთა მეორე სამლოცველო სახლის რელიგიური საზოგადოება;
14. ტფილისის დიდმოწამის ესტატეს რელიგიური საზოგადოება;
15. ტფილისის ქრისტიან მაღაკანთა რელიგიური საზოგადოება;
16. ტფილისის მთაწმინდის მამადავითის რელიგიური საზოგადოება;
17. ნავთლუღის წმიდა ბარბარეს ეკლესიის რელიგიური საზოგადოება;
18. ტფილისის ფერისცვალების რელიგიური საზოგადოება;
19. ტფილისის ქრისტიან ადვენტისტების მე-7 დღის რელიგიური საზოგადოება;
20. ტფილისის წმიდა იოანე ღვთისმშობლის რელიგიური საზოგადოება;
21. ტფილისის სომხის სამების წმიდა ღვთისმშობლის რელიგიური საზოგადოება;
22. ტფილისის წმიდა პროსოვიის ეკლესიის რელიგიური საზოგადოება;
23. პატარძეულის წმიდა შიოს რელიგიური საზოგადოება /გარე - კახეთი/;
24. ტფილისის წმიდა მიხაილ ტვერსკის რელიგიური საზოგადოება;
25. ტფილისის კუკიის ალექსანდრე ნეველის რელიგიური საზოგადოება;
26. ტფილისში მცხოვრებ ცხინვალის ებრაელთა რელიგიური საზოგადოება;
27. ტფილისის სიონის საკათედრო ტაძრის რელიგიური საზოგადოება;
28. ტფილისის ავლაბრის პეტრე-პავლეს რელიგიური საზოგადოება;
29. ტფილისის ავლაბრის მთავარანგელოზის რელიგიური საზოგადოება.<sup>2</sup>

ღვთისმსახურთა შევიწროება, ეკლესია-მონასტრების დახურვა და ნგრევა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა იმ ფონზე, როდესაც თბილისში საქართველოს საპატრიარქოს ჩამოართვეს სამხედრო ტაძარი, დახურეს ანჩისხატი, გელათი, ალავერდი, მითვისეს საქართველოს საპატრიარქო რეზიდენცია... თბილისის აღმასრულებელ კომიტეტში მიღებული დადგენილებები თუ გადაწყვეტილებები აღარავის უკვირდა. დახურული ტაძრის სხვა დანიშნულებით გამოყენება, ან ტაძრის ადგილას სხვა შენობის აგება ხშირად დამცირების მიზანს ატარებდა. ამგვარი ფაქტების არაერთი მაგალითი არის ასახული არქივში დაცულ დოკუმენტებში.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის 1924 წლის 23 აპრილის სხდომაზე განიხილეს საკითხი ფეოდოსიევის ქუჩაზე (ახლანდელი ვანო სარაჯიშვილის ქუჩა) და ალექსანდრეს ბაღში ეკლესიების დარღვევის შესახებ. დაადგინეს წინადადება მიეცათ ქალაქის კეთილ-მომწყობი განყოფილებისათვის დაუყოვნებლივ შესდგომოდა ეკლესიების

<sup>2</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 216, ფურცელი 9.

დარღვევას.<sup>3</sup> თბილისის აღმასკომის გაფართოებული პრეზიდიუმის სხდომის 1924 წლის 5 ივნისის სხდომაზე განიხილეს საკითხი ყოფილი ფეოდალური ეკლესიის შენობის გადაკეთების შესახებ და დაადგინეს – ეკლესიის შენობა გადაკეთებულიყო ქალაქის მუზეუმის ბინად.<sup>4</sup> 1909-1910 წლებში აშენებულ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას გუმბათები მოუნგრეს და საზოგადოებრივ შენობად გადააკეთეს.

თბილისის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის 1924 წლის 26 ივლისის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ კვირაცხოვლის ეკლესიის შენობა რაიონულ კლუბად გადაკეთებულა.<sup>5</sup>

ქალაქ თბილისის პრეზიდიუმმა 1928 წელს გადაწყვიტა ლენინის რაიონში, ნაძვალდეგში, დაკეტილი ტაძრის ადგილზე ახალი აბანოს აგება, ეკლესიის საადმინისტრაციო-სამრეწველო აქციონერულმა საზოგადოებამ „სამშენმა“ სამუშაოს სირთულისა და სპეციფიკის გათვალისწინებით საკითხი თავის თავზე აიღო.<sup>6</sup> ქალაქ თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების განკარგულების საფუძველზე 1928 წლის 18 აგვისტოს დაინიშნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევა ლენინის უბანში მდებარე ეკლესიის დაქვევული კედლების ნაწილიდან აგურის და სხვა მასალის გადარჩენა, რომელიც უნდა მოხმარებოდა იქვე ასაგებ აბანოს.<sup>7</sup>

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად აბანოს აგება რეზერვუარის ბაღში უნდა მომხდარიყო, მაგრამ გადაწყვეტილება შეცვალეს და არჩევანი პიონერების მიერ დაკავებულ ყოფილი ეკლესიის შენობაზე შეაჩერეს.<sup>8</sup>

ტფილისის ოლქის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის 1929 წლის 9 ოქტომბრის სხდომაზე დაადგინეს: „თანახმად საგარეჯოს სოფლის კრების დადგენილებისა, აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, რათა საგარეჯოში არსებული იოანე ნათლისმცემლის ეკლესია გაუქმებულ იქნას.“<sup>9</sup>

1931 წლის 18 სექტემბერს დიდმის მცხოვრებლებმა გაერთიანებულ კრებაზე გადაწყვიტეს ყოფილი ეკლესიის შენობა სკოლის შენობის ასაგებად გამოყენებინათ. დიდმის სასოფლო საბჭოზე ამგვარი სიტყვებიც გაუღერდა „ჩვენ, დიდმის გლეხობამ უკვე შევიგრძენით სამღვდელთა ცრუმორწმუნეობა და როგორც მათი ინტერესები იყო მიმართული მშრომელთა ინტერესების ჩახრჩობისაკენ და ჩვენთან მომხდარი ცოცხალი მაგალითით, თუ როგორ შევიდა მღვდელი ქურდივით ეკლესიაში და გამოიტანა ეკლესიის ქონება, ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ, დიდმის გლეხობას სრულიათ მიზანშეწონილათ მიგვაჩნია იმ დანგრეულ ეკლესიების მასალა გამოყენებული იქნას ახლად ასაგებ სკოლასათვის, რითაც საშუალება მოგვეცემა გლეხობას, აღეზარდოთ ჩვენი მომავალი თაობა.“<sup>10</sup>

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის 1931 წლის 29 სექტემბრის სხდომაზე მოისმინეს დიდმის მცხოვრებთა შუამდგომლობა დიდმის არსებული ეკლესიის დანგრევისა და მის ნაცვლად სკოლის აგების შესახებ და დაადგინეს დაეკმაყოფილებინათ მათი მოთხოვნა.<sup>11</sup>

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის 1933 წლის 20 აგვისტოს სხდომაზე განიხილეს საკითხი ყოფილი მილიუტინის ეკლესიიდან მობინადრეთა გამოსახლების და მისი პურის საცხობად გადაკეთების შესახებ.<sup>12</sup>

<sup>3</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 185, ფურცლები 88-89.

<sup>4</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 183, ფურცელი 35.

<sup>5</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 185, ფურცელი 144

<sup>6</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 5, ანაწერი 1, საქმე 431, ფურცელი 51.

<sup>7</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 5, ანაწერი 1, საქმე 431, ფურცელი 50.

<sup>8</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 5, ანაწერი 1, საქმე 431, ფურცელი 31.

<sup>9</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 765, ფურცელი 1.

<sup>10</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 964, ფურცელი 1.

<sup>11</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 964, ფურცელი 1.

<sup>12</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 1149, ფურცელი 14.



მოგვიანებით ვხვდებით გადაწყვეტილებებსა თუ დადგენილებებში ფაქტებს ეკლესიების სხვა დანიშულებით გამოყენების შესახებ, მაგალითად: 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1964 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ გელათის ქუჩის №13-ში მდებარე წმიდა ნინოს ეკლესია ირიცხებოდა 26 კომისრის საბინაო სამმართველოს კომუნალური მეურნეობის ფონდში და სახალხო მეურნეობის საბჭო სახელოსნოდ იყენებდა და საიჯარო ქირას №34 სახლმმართველობას უხდიდა. აღნიშნული გადაწყვეტილებით აღმასკომმა გადაწყვიტა ტაძარი ჩამოეწერა 26 კომისრის სახელობის რაიონულ საბინაო სამმართველოს კომუნალური მეურნეობის ფონდიდან და გადაეცა სახვითი ხელოვნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოსათვის.<sup>13</sup>

თბილისის ოქტომბრის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1976 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებაში „რაიონში კულტურის ძეგლთა დაცვის, მემორიალური დაფების მოვლა-პატრონობის და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ვკითხულობთ: „ხეთაგუროვის ქუჩა №7-ში მდებარე წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, რომელიც მე-19 საუკუნის ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშია, გამოყენებულია გრამფირფიტების გაერთიანება „მელოდის“ საწყობად, მასზედ მიშენებულია კომუნალური საცხოვრებელი სახლის დამხმარე სათავსოები.“ ხოლო ნ. ჩხეიძის ქუჩაზე მდებარე მე-17 საუკუნის ნაგებობა, ცნობილი „ჩუღურეთის ბაზილიკის“ სახელწოდებით, საცხოვრებელ სახლად იყო გადაკეთებული და უსისტემოდ დამხმარე სათავსოები ჰქონდა მიშენებული.<sup>14</sup>

აღსანიშნავია, რომ თბილისის საბჭოს აღმასკომის ფონდში დაცულია ქალაქ ტფილისში არსებულ ძველი არქიტექტურის მონუმენტალურ ძეგლთა სია, რომელნიც თანახმად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 4 ივნისის 95 დადგენილებისა, დაცული უნდა ყოფილიყვნენ ხელუხლებლად:

- 1/ ანჩისხატის ეკლესია და სამრეკლო;
- 2/ მეტეხის ეკლესია;
- 3/ სიონის ეკლესია ძველი სამრეკლოს ნანგრევებითა და ახალი სამრეკლოთი;
- 4/ ლურჯი მონასტერი /ვერაზე/;
- 5/ ჯვარის მამა /იერუსალიმის ქუჩაზე/;
- 6/ კარის წმიდა გიორგის ეკლესია /ანჩისხატის ქუჩაზე/;
- 7/ დარის მონასტერი;
- 8/ მამა დავითი /მთაწმინდაზე/;
- 9/ ქვაშვეთის ეკლესია /როგორც ხელოვნების ძეგლი/;
- 10/ ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესია;
- 11/ ვანქი;
- 12/ სურბგეორგი. საიათნოვას საფლავით და ძველი არაბული წარწერით /მაიდანზე/;
- 13/ პრეშტაკაპეტი /აბანოებთან/;
- 14/ სურბნიშანი;
- 15/ ხოჯავანქის ეკლესია სამრეკლოთი, გალავნითურთ და სამი მაგზოლეუმით;
- 16/ ფეთხანის ეკლესია სამრეკლოთი და ე.წ. ათეშქით;
- 17/ ქალთა მონასტერი წმიდა სტეფანესი /ყოფილი ბებუთოვის ქ/;
- 18/ ნორაშენის ეკლესია /სიონის ეკლესიასთან/;
- 19/ კათოლიკეთა ძველი ეკლესია მიძინებისა /ძველ ტფილისში/;
- 20/ მეჩეთი შაჰაბაზისა /ავლაბრის ხიდის ყურესთან/.<sup>15</sup>

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 4 ივნისის 95 დადგენილების თანახმად განათლების სახალხო

<sup>13</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 87, ანაწერი 1, საქმე 1405, ფურცელი 52.

<sup>14</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 71, ანაწერი 1, საქმე 2041, ფურცელი 16.

<sup>15</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 216, ფურცელი 15.

კომისარიატმა შეადგინა ინსტრუქცია სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ. ინსტრუქციაში ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესახებ აღნიშნულია, რომ მაზრის აღმასკომებს და მაზრის ქვემდებარე ორგანოებს /თემადმასკომებსა და სასოფლო საბჭოებს/ დაევალებათ სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა განყოფილების მიერ აღრიცხვაზე აყვანილი შენობების დასაცავად მიეღოთ სათანადო ზომები ხუროთმოძღვრების ძეგლთა დასაცავად /საერთო ნაგებობის შენობები, ციხე-კოშკები, სარწმუნოებრივი კულტის შენობები და სხვ./ ამასთანავე, დასახელებული ხუროთმოძღვრების ძეგლთა მიმართ უნებართვოდ იკრძალებოდა: მათი დანგრევა-დაქცევა; გადაკეთება, რომელიც გამოიწვევდა ძეგლის შინაგანი ან გარეგანი სახის შეცვლას; რემონტი; შენობის აგება ან მიშენება, რომელიც გამოიწვევდა ძეგლის გარეგანი სახის დაზარალებას და სხვა. თუ შენობას სარესტავრაციო სამუშაო დასჭირდებოდა, უნდა მომხდარიყო მხოლოდ სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ საგანგებოდ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. ძეგლების გამოყენების თვალსაზრისით მიიღეს სამი კატეგორია: 1. სამეცნიერო-სამხატვრო და საარქეოლოგიკო მნიშვნელობის ძეგლებად, რაც საჩვენებელ-სამუზეუმო ხასიათის იყო და შეიძლებოდა მისი პრაქტიკული გამოყენება; 2. ძეგლები, რომელთა გამოყენება სამუზეუმო კოლექციების მოსათავსებლად იყო შესაძლებელი მათი ისტორიული ღირებულების დაცვის დაუზიანებლად, საგანგებო ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლებოდა გადასცემოდა დაწესებულებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან კერძო პირს; 3. ძეგლები, რომელთა გამოყენება დასაშვებ იყო მხოლოდ სამეცნიერო და საჩვენებელი-სამუზეუმო მიზნისთვის და რომელთა გარეგნული ისტორიულ-მხატვრული სახე და შინაგანი „მორთულობა“ დაცული უნდა ყოფილიყო.<sup>16</sup>

მართალია, დიდი რისკის ფასად, მაგრამ ქალაქის საბჭოს აღმასკომში გამართულ სხდომებზე საბჭოს წევრები ხანდახან ახერხებდნენ ტაძრის გადარჩენას. მაგალითად 1925 წლის ქალაქის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების მიერ შეიქმნა სპეციალური კომისია თბილისში ნორაშენის და „ციხის პატარა“ ეკლესიების დანგრევის მიზანშეწონილობის შესახებ, ახალი ქუჩის გაყვანასთან დაკავშირებით. კომისიის წევრებმა, რომელთა შორის იყვნენ: ინჟინერი შაქრო ქურდიანი, პროფესორი სარგის კაკაბაძე, პროფესორი დავით ჩუბინაშვილი, გიორგი ჩიტაია, შალვა ჩხეტია, ქალაქის აღმასკომის ტექნიკური რევიზორი ინჟინერი აბაშიძე მოახერხეს დაეცვათ ტაძრები. მათ შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ ქალაქის კოლორიტის და ისტორიული მნიშვნელობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო ამ ისტორიული ძეგლების შენარჩუნება.<sup>17</sup>

ტაძრის ფიზიკური განადგურების საკითხი თუ არ აღიძვრებოდა, მისი ქონება მაინც განწირული იყო. ბოლშევიკი აქტივისტები ეკლესია-მონასტრებიდან დაურიდებლად ეზიდებოდნენ საეკლესიო ქონებას, ანადგურებდნენ ხატებსა და საღვთისმსახურო წიგნებს. მათ საპატრიარქო ქონების ნაწილი დაიტაცეს, ნაწილი გადაყარეს. ქალაქის საბჭოს აღმასკომში იქმნებოდა სპეციალური კომისიები, რომლებიც აღწერდნენ ეკლესია-მონასტრის ქონებას, ახდენდნენ ნივთების რეალიზაციას, ანაწილებდნენ დაწესებულებებში და სხვ.

თბილისის საბჭოს აღმასკომის 1930 წლის 10 იანვრით დათარიღებულ ოქმში ვკითხულობთ: „ტფილისის მუშათა ფართო მოთხოვნებისა გამო, მიზანშეწონილად ჩაითვალოს ტფილისის ყველა ზარების მოხსნა. წინადადება მიეცეს კომუნალურ განყოფილებას, დაუყოვნებლივ შეუდგეს ქალაქში არსებული ყველა ეკლესიის ზარების მოხსნას და გადაეცეს „რუდმეტალტორგს“. - ნება დაერთოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ აღრიცხვაზე აღებული ისტორიული კულტურის შენობათა (ეკლესიების) ზარების რეალიზაციიდან შემოსული თანხა, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში ჩაირიცხოს სამეცნიერო დაწესებულებათა

<sup>16</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 531, ფურცლები 1-2.

<sup>17</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 78, ფურცლები 317-318.

მმართველობის კულტფონდში და სიძველეთა დაცვის სპეციალურ ფონდში.<sup>18</sup> თან ერთვის „სია ტფილისში მდებარე ისტორიული კულტურის შენობათა, რომელთაც ჰქონდათ ზარები: სიონი, ანჩისხატი, დარიის მონასტერი, ჯვარის მამა, ვანქი, სუფსარქისი, ფეთხაინი, სტეფანეს მონასტერი, სურფ-ნიშანი, ხორაშენი, ჯივრაშენი, ქვიშეთი /ხელოვნების ძეგლი/“.<sup>19</sup>

ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც დათარიღებულია 1930 წლის 6 მარტით, კომუნალური მეურნეობის გამგის მოადგილე კილურაძე ცნობას აწვდის თბილისის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს იმის შესახებ, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და „რუდმეტალტორგს“ შორის დადებული ხელშეკრულების შედეგად მათ მიერ გაიყიდა ზარები - ტონა 610 მანეთად. მთლიანად ქალაქის ეკლესიებიდან მოიხსნა და გადაეცა „რუდმეტალტორგს“ საწყობისათვის ბრინჯაო - 32 543 კგ. რკინა - 2 879 კგ. თითბერი 907 კგ, თუჯი - 205 კგ. აღებულია თანხამ შეადგინა 19769 მანეთი და 08 კაპიკი, რომელიც მთლიანად გადაირიცხა ზოოპარკის მშენებლობის ფონდში.<sup>20</sup>

ტფილისის ოლქის აღმასკომისა და ტფილისის საბჭოს გამწესრიგებელი სხდომის 1930 წლის 10 იანვრის ოქმში ვკითხულობთ: „აღებული თანხა მოხმარდეს ზოოლოგიური ბაღისა და კულტურულ-დასასვენებელი სახლის მოწყობას“.<sup>21</sup>

თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულია სხვადასხვა ტაძრიდან კონფისკაცირებული ნივთების ჩამონათვალი.<sup>22</sup> მაგალითად მამკოდის წმიდა გიორგის სახელობის მონასტრის ქონების კონფისკაციას ავჭალის რაიონულ აღმასკომში შექმნილი სპეციალური კომისია აწარმოებდა, რომელიც დეტალურად აღწერდა, აფასებდა და ახარისხებდა მონასტრის მთელ ქონებას მისი შემდგომი რეალიზაციისათვის.<sup>23</sup> აღწერილია: ბარძიმი, ფეშხუმი, ჯვარი, კოვზი, სანაწილე, ხატები, საეკლესიო წიგნები, ბარძიმ-ფეშხუმის გადასაფარებელი, შანდლები, ფულის შესაწირი, სამღვდლო პირთა შესამოსელი, იაზმის წყლის შესანახი, ხალიჩა, ზარები, გვირგვინები, სახარება და სხვ. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის 1924 წლის 5 თებერვლის სხდომაზე გადაწყვიტეს მამკოდის მონასტერში აღწერილი ნივთები, აღწერილობითი სიის თანახმად, გადასცემოდა ადგილობრივ გლეხთა კომიტეტს ადგილობრივი საჭიროებისათვის.<sup>24</sup> საბოლოოდ, რაიონული აღმასკომის გადაწყვეტილებით მამკოდის წმიდა გიორგის სახელობის დედათა მონასტრის ქონება განაწილდა სხვადასხვა დაწესებულებაში, ხოლო რეალიზებული ნივთების თანხა გამოყენებული იქნა სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაზე.<sup>25</sup>

სოფელ გიორგიწმინდაში დაკეტილი ღვთისმშობლის შობის ეკლესიის გახსნის შესახებ აღმასკომის თავმჯდომარის ვლადიმერ სუხიშვილის მიერ საქმეზე დადებულია რეზოლუცია „გაიხსნას“. თუმცა აქვე ქალაქის აღმასკომსა და გარე-კახეთის აღმასკომს შორის მიმოწერით ირკვევა, რომ ეკლესიიდან გამოტანილი ქონების დაბრუნების შესახებ მორწმუნეთა თხოვნა უარყოფილი იქნა.<sup>26</sup>

ტფილისის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის 1924 წლის 28 მარტის სხდომაზე განიხილეს თელეთის საბჭოს შუამდგომლობა, რათა ადგილობრივი გლეხკომის განკარგულებაში დარჩენილიყო ეკლესიებისათვის ჩამორთმეული ნივთები. მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.<sup>27</sup>

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე 1926 წლის 9 აგვისტოს შესულია მარტყოფის ოლქის მცხოვრებთა განცხადება,

<sup>18</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 911, ფურცელი 1.

<sup>19</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 911, ფურცელი 3.

<sup>20</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 911, ფურცელი 4.

<sup>21</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 840, ფურცელი 2.

<sup>22</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 164, ფურცელი 1.

<sup>23</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 216, ფურცლები 3-4.

<sup>24</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 185, ფურცელი 23.

<sup>25</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 216, ფურცელი 1.

<sup>26</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 216, ფურცელი 28.

<sup>27</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 185, ფურცელი 22.

რომლითაც ითხოვდნენ ყოფილი მარტყოფის წმიდა ანტონის, იგივე ღვთაების, სახელზე აგებული ტაძრის გახსნას, რომელიც დაბეჭდილი იქნა მასთან მახლობელი პატარა ეკლესიებითურთ მარტყოფის მილიციის მიერ. წერილში მოსახლეობა ითხოვდა: „თანახმად მთავრობის მიერ გამოცემული ცირკულარისა, 10 აგვისტოს 1923 წ. და სხვადასხვა დროს გამოცემულის დეკრეტებისა... დიდის პატივისცემით გთხოვთ მოახდინოთ თქვენი განკარგულება, რომ გახსნილ იქმნას ზემოხსენებული წმიდა ანტონის ეკლესია და მით დააკმაყოფილოთ ჩვენი სარწმუნოებრივი მოთხოვნილება, რადგან ჩვენ სხვა ეკლესია არა გვაქვს მახლობლად.“<sup>28</sup> მოსახლეობის თხოვნა დააკმაყოფილეს. ამავე დროს პარალელურად მანგლისის საეკლესიო საბჭოს წარმომადგენელმა სს ცაკ-ში შუამდგომლობა აღძრა ადგილობრივი ეკლესიის გახსნის შესახებ იმ პირობით, რომ საბჭო ეკლესიაში წითელარმიელებს არ შეუშვებდა. ამ შუამდგომლობის საპასუხოდ სს ცაკ-ის მდივნის დავალებით მოსახლეობას უპასუხეს: „თანახმად საკავშირო ცაკ-ის დადგენილებისა, ყველა ყოფილი სამხედრო უწყების ტაძრები, რომელთა რიცხვში შედის მანგლისის ეკლესია, უნდა გადაეცეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათ, რის გამოც შუამდგომლობის დაკმაყოფილება ცაკ-ს შეუძლებლად მიიჩნია.“<sup>29</sup>

1925 წლის ქალაქ თბილისის აღმასკომის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ხარფუხის ეკლესიას რაღაც მიზეზით მატერიალური ზარალი მიაღდა. ხარფუხის რელიგიური საზოგადოება თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილებისაგან ითხოვდა ეკლესიის შეკეთებას. თხოვნაზე საზოგადოებას უარი ეთქვა „ეკლესიის შეკეთებას, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ჩვენ ვერ ვიკისრებთ იმ მოსაზრებით, რომ მისთვის საჭირო ხარჯები ხარჯთაღრიცხვით არ არის გათვალისწინებული და ამას გარდა ჩვენს მოვალეობას იგი სრულიადაც არ შეადგენს, კერძოდ, ამ შემთხვევაში რელიგიურ საზოგადოებას შეუძლია სასამართლოს საშუალებით აინაზღაუროს ის ზარალი, რომელიც როგორც აცხადებდნენ, მიყენებული აქვს აღნიშნულ საზოგადოებას.“<sup>30</sup>

1924 წლის 17 ოქტომბერს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ვლადიმერ (ლადო) სუხიშვილის სახელზე შევიდა წერილი დავით გარეჯის მონასტრის და მიმდებარე ტერიტორიის შესახებ, რომელსაც ადევს სუხიშვილის რეზოლუცია „შეიმუშავეთ მიმართვა“, თუმცა საქმის შემდგომი მსვლელობის შესახებ არქივში მასალები არ არის. წერილში აღნიშნულია: „როდესაც 1922 წელს საქართველოს და აზერბაიჯანის ტერიტორიის გამიჯვნა მოხდა, უმეტესი ნაწილი ამ ძეგლებისა მოექცა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრებში და ამნაირად დაინგრა ამ ძეგლების კომპლექტის მთლიანობა. ხსენებული ძეგლების აოსრების თავიდან ასაცილებლად სს ცაკის პრეზიდიუმის მიერ ა/წ იანვრის 15 დადგენილების თანახმად აღძრული იყო ა/კ ცაკის წინაშე შუამდგომლობა, რათა ხსენებული მიდამოები დაბრუნებოდა საქართველოს დავით გარეჯის მონასტრის ძეგლების შენარჩუნების და დაცვის მიზნით. ხოლო აღნიშნულ ნიადაგზე სს ცაკის მიერ აღძრული შუამდგომლობა არ შეეფერება დღევანდელ პირობებს, რის გამოც საჭიროა შეცვლილ იქნეს საბაბი ამ შუამდგომლობისა და სარჩულად მას უნდა დაედოს სხვა საფუძველი. ხსენებულ მონასტრის მიდამოებით, როგორც საზღვარი ადგილებით, ახალ გამიჯვნამდე სარგებლობდა ტფილისის მაზრის მოსახლეობა, დღეს კი ეს ადგილები შედის აზერბაიჯანის საზღვრებში და ტფილისის მაზრის მოსახლეობა მოკლებულია ამ საძოვრებით სარგებლობას. საჭიროა აღძრულ იქნას საკითხი აღნიშნული მიდამოებით სარგებლობის უფლებათა აღდგენის შესახებ, რასაც უნდა მოყვეს შედეგად საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკების საზღვრების ხელახლა გადამიჯვნა.“<sup>31</sup>

საბჭოთა ხელისუფლება ტაძრებთან და საეკლესიო პირებთან ერთად ეკლესიურ სახელწოდებებსაც ებრძოდა. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის 1929 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე მოისმინეს ტფილისის

<sup>28</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 401, ფურცელი 8.

<sup>29</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 185, ფურცელი 1.

<sup>30</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 331, ფურცელი 4.

<sup>31</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 228, ფურცელი 2.

ოლქის აღმასკომის შუამდგომლობა სოფლების გიორგიწმინდის, ნინოწმინდისა და მარიამჯვარის სახელწოდებების შეცვლის შესახებ, რის საფუძველზე დაადგინეს დაკმაყოფილებულიყო შუამდგომლობა და სოფელ გიორგიწმინდას დაერქვა „ახალი ცხოვრება“, სოფელ ნინოწმინდას - „მოსავალი“, ხოლო სოფელ მარიამჯვარს - „წითელი ძნა“.<sup>32</sup>

თბილისის საბჭოს აღმასკომს არაერთი წერილით მიმართეს ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების წევრებმა, რომ სათანადო ყურადღება მიქცეოდა სასაფლაოს, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იყო და საჭიროებდა კეთილმოწყობას. საბჭოს 1925 წლის 10 ივლისის შუამდგომლობიდან ირკვევა, რომ მოსახლეობაში უკვე იყო გავრცელებული ხმები, რომ იგეგმებოდა სასაფლაოს დახურვა და მის ადგილას „სასეირნო ბაღის“ გაკეთება.<sup>33</sup>

არქივში დაცულია დამკრძალავი სამმართველოს ხელმძღვანელის მოადგილის 1931 წლის 25 აგვისტოს საინფორმაციო ანგარიში, საიდანაც ირკვევა, რომ კომუნალური მეურნეობის განკარგულების თანახმად 1931 წლის 6 აგვისტოს თბილისის საბჭოს დამკრძალავ სამმართველოს დაევადა კალოუბნის ეკლესიის მიმდებარედ დაკრძალულთა „გადატანა“ სხვადასხვა სასაფლაოზე, რადგან კომუნალურ მეურნეობას გადაწყვეტილი ჰქონდა მიმდებარე ტერიტორიაზე ნაგებობის აგება. დაკრძალულ პირთა გადასვენების სამუშაოების ორგანიზებას სამმართველომ სამი დღე მოანდომა. სამუშაოს ძირითადად ღამით აწარმოებდა“.<sup>34</sup>

1922 წლის 18 დეკემბერს აღმასკომის თავმჯდომარეებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან დაეგზავნათ წერილი. ეკლესიის გალავანში არსებული შენობების ეკლესიების განკარგულებაში დატოვების შესახებ. იმ ეტაპზე გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 14 და 25 ოქტომბრის მიმართვების თანახმად და იმავე კომისარიატის 1922 წლის 3 ივლისის ცირკულარის დასამატებლად თავმჯდომარეებს ეცნობათ სახელმძღვანელოდ, რომ ეკლესიების გალავანში აგებული შენობები უნდა დარჩენილიყო ეკლესიებისა და მონასტრების განკარგულებაში, სანამ ამ საკითხზე სხვა განკარგულება არ იქნებოდა.<sup>35</sup>

1924 წლის 19 ივნისს თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა თბილისში რეგისტრაციაში გატარებული ყველა რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეებს მიმართა „ფრიად სასწრაფო“ წერილით, რომლის საფუძველზე საზოგადოებებს დაევადა 24 საათის განმავლობაში ეცნობებინათ მათ განკარგულებაში მყოფი საეკლესიო სახლების შესახებ. <sup>36</sup> მიუხედავად იმისა, რომ აღმასკომის მიერ რელიგიურ ორგანიზაციათა რეგისტრაციის ვადა დათქმული იყო 1924 წლის 1 თებერვლამდე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამის შემდეგაც მოხდა რამდენიმე რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაცია. ვინაიდან თბილისის აღმასკომის ადმინისტრაციიდან აღნიშნული წერილი 46 რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარის სახელზე გაიგზავნა:

1. ტფილისის ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
2. ტფილისის ვერის წმიდა იოანე ღვთისმეტყველის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
3. ტფილისის წმიდა მიხეილ ტვერელის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
4. ტფილისის ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;

<sup>32</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 778, ფურცელი 1.

<sup>33</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 331, ფურცელი 9.

<sup>34</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 989, ფურცლები 1-2.

<sup>35</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 42, ფურცელი 1.

<sup>36</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 229, ფურცელი 4.

5. ტფილისის კალოუზნის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
6. ტფილისის ამაღლების ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
7. ტფილისის მთაწმინდის მამადავითის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
8. ტფილისის ქრისტიან სომეხ წმიდა გეგორქის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
9. ტფილისის წმიდა სამების ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
10. ტფილისის სომეხთა წმიდა ღვთისმშობლის ვანქის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
11. ტფილისის ფეთხანის წმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
12. ტფილისის მოღნინის წმიდა გიორგის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
13. ტფილისის ქრისტიან სომეხთა ნორაშენის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
14. ტფილისის სიონის საკათედრო ტაძრის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
15. ტფილისის ებრაელთა პირველი რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
16. ტფილისის სომეხთა წმიდა ხარების ჯივრაშენის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
17. ტფილისის ანჩისხატის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
18. ტფილისის სომეხთა წმიდა კატუგიკეს ღვთისმშობლის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
19. ტფილისის ხარფუხის მართლმადიდებელ ქრისტიანთა ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
20. ცხინვალის ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებას;
21. ახალციხის ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებას;
22. ტფილისის ავლაბრის წმიდა პეტრე-პავლეს ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
23. ტფილისის ნავთლუღის წმიდა ბარბარეს ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
24. ტფილისის ეჩმიაძინის წმიდა გიორგის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
25. ტფილისის ფერისცვალების ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
26. ტფილისის ავლაბრის წმიდა მარინეს ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
27. ტფილისის ავლაბრის მთავარანგელოზის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
28. ჩუღურეთის წმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
29. კუკიის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
30. ტფილისის პოკროვსკის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
31. ტფილისის სომეხთა წმიდა კარაპეტის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
32. ტფილისის ქრისტიან ადვენტისტთა 7 დღის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;
33. ტფილისის სახარების სომეხური ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;

34. ტფილისის ლუთერანთა წმიდა პეტრე-პავლეს ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;

35. ტფილისის სომეხ კათოლიკეთა წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;

36. ტფილისის ებრაელთა მეორე ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;

37. ტფილისის ბაპტისტების რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;

38. ტფილისის წმიდა პეტრე-პავლეს რომაელ კათოლიკეთა ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;

39. კუკიის სასაფლაოს წმიდა ნინოს ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;

40. ტფილისის კუკიის ნორაშენის ღვთისმშობლის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;

41. ყაზანის ღვთისმშობლის და კუკიის წმიდა ალექსანდრე ნეველის გაერთიანებული ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;

42. ქრისტიან ბაპტისტთა წმიდა სახარების ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;

43. დიდუბის წმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;

44. ლობნესტორფის წმიდა პეტრე-პავლეს ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;

45. სახარების სასულიერო ქრისტიანთა რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს;

46. ტფილისის ქრისტიან მალაკანთა ეკლესიის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარეს.

არქივში დაცულია ყველა ზემოაღნიშნული რელიგიური საზოგადოების სპეციალური კითხვარის შესაბამისად შედგენილი პასუხი, თუ რა მისამართზე მდებარეობდა საეკლესიო ბინა, რა მასალით იყო ნაგები და რამდენი ოთახისგან შედგებოდა, ვინ ცხოვრობდა და რამდენს იხდიდა, ვის აძლევდა თანხას, იყო თუ არა შეტანილი ეს სახლი რელიგიური საზოგადოების ქონების სიაში და სხვა.<sup>37</sup> მაგალითად, სიონის ტაძრის რელიგიური საზოგადოების თავმჯდომარემ 1924 წლის 23 ივნისის საპასუხო წერილში დაწვრილებითი ცნობა წარადგინა თბილისის აღმასრულებელ კომიტეტში სიონის განკარგულებაში მყოფი შენობების შესახებ: მე-4 კომისარიატი, სიონის შესახვევი №11 მისამართზე მდებარე აგურის სახლი 12 საცხოვრებელი ოთახისაგან შედგებოდა, ირაკლის ქუჩა №4 მდებარე აგურის სახლიც 12 საცხოვრებელი ოთახისგან შედგებოდა, ხოლო სიონის ქუჩა №24 მისამართზე მდებარე სახლი 15 საცხოვრებელი ოთახისგან. ბინებში ბინადრობდნენ, როგორც ეკლესიის მსახურები, აგრეთვე სხვადასხვა მუშა მოსამსახურე და რამდენიმე მდგმური, შემოსულ თანხას იღებდა სიონის რელიგიური საზოგადოება.<sup>38</sup>

1924 წლის ივლისში საქმე ქალაქ თბილისის რელიგიურ საზოგადოებათა სამლოცველო სახლებთან არსებული საეკლესიო ბინების შესახებ ტფილისის უძრავ ქონებათა სამმართველოს გადაეგზავნა, ვლადიმერ სუხიშვილის რეზოლუციის თანახმად სამმართველოს დაუყოვნებლივ უნდა ჩაეხარებინა წარმოდგენილი სახლები და შემდეგ დაეწესებინა ქირა.<sup>39</sup>

საეკლესიო სახლების ბინადრებს გაუფორმდათ ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზეც ქალაქის ბიუჯეტში უნდა ჩაერიცხათ ქირა, თუმცა წლების მანძილზე სამლოცველო სახლების „არენდატორებს“ დავალიანება დაუგროვდათ და ამ მიზეზით 1929 წლის 4 დეკემბრის ტფილისის ოლქის აღმასკომის და საბჭოს მცირე პრეზიდიუმის სხდომაზე

<sup>37</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 229, ფურცელი 4.

<sup>38</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 229, ფურცლები 46-49.

<sup>39</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 229, ფურცელი 1.

დაადგინეს: „ვინაიდან ხელშეკრულებები სამლოცველო სახლების გადაცემის შესახებ ვერ შეასრულეს მორწმუნეთა საზოგადოებებმა, წინადადება მიეცეს კომუნალურ განყოფილებას გააუქმოს მათთან დადებული ხელშეკრულებები და ჩამოერთვათ სახლები.<sup>40</sup> მოგვიანებით ბინები მუშათა კოოპერატივების ხელში გადავიდა, რომლებმაც სამღვდლო პირებს მოთხოვეს დაუყოვნებლივ დაეცალათ აღნიშნული შენობები.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1925 წლის 19 დეკემბრის სხდომაზეც განიხილეს საკითხი თბილისის მაზრაში ჩამორთმეული საეკლესიო სახლების მორწმუნეებზე გადაცემის შესახებ, მაგრამ აღმასკომის გადაწყვეტილებით, ვინაიდან შენობებში მოთავსებული იყო სხვადასხვა ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულება, მორწმუნეთა მიმართვას უარი ეთქვა.<sup>41</sup>

აღსანიშნავია, რომ ყოფილი ეკლესიების ბინებში მოთავსებული იყო ისეთი დაწესებულებები, როგორც იყო: სოფლის საბჭო, ქოხ-სამკითხველო, კოოპერატივები, გლეხკომი, სამკურნალო პუნქტი და სხვ.

ქალაქ თბილისის პრეზიდიუმის სახელზე არაერთი თხოვნა შედიოდა თბილისის მოსახლეობის მხრიდან, რომლებიც შუამდგომლობდნენ სასულიერო პირებს თავიანთი შრომით და ამავეთ შექმნილი კერის შესანარჩუნებლად; ხშირად ხელოვნების ძეგლის დაცვის და სიძველის შენარჩუნების მოტივით ითხოვდნენ ადგილობრივ სასულიერო პირებს გაეგრძელებინათ მათი მოვლა პატრონობა, მაგრამ პასუხი ყოველთვის ერთი იყო – მსგავსი შუამდგომლობები არ კმაყოფილდებოდა. ერთ-ერთ წერილზე პასუხად საბინაო მუშათა კოოპერატივის სახლების მმართველი წერს: „საეკლესიო სახლებში ჩასახლებული მუშები შავ ანაფორებში ჩაცმულ პირებზე უკეთ შეძლებენ სიძველეთა დაცვას“.<sup>42</sup>

1937 წლის 25 ნოემბერს თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება გაეუქმებინა ანჩისხატის საეკლესიო საზოგადოებასთან გაფორმებული ხელშეკრულება 1930 წლიდან გადასახადების გადაუხდელობის გამო და ჩამორთმეოდა საეკლესიო შენობა მთელი ინვენტარით. კიროვის რაიონულ აღმასკომს დაევადა მოეხდინა აღნიშნული საეკლესიო შენობისა და ინვენტარის ჩაბარება და მისი სახლთა ტრესტზე გადაცემა.<sup>43</sup>

1928 წლის 6 ოქტომბერს ავჭალის თემის აღმასრულებელი კომიტეტი წერილით მიმართავს ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმს, რომ მოცემულ დრომდე მამკოდის მონასტრის სახლები არ იყო მუნიციპალიზებული. მონასტერი გაუქმებული არ იყო და მონასტრის „სახლებში“ ბერ-მონაზვნები ცხოვრობდნენ. წერილში აღნიშნულია, რომ ბერ-მონაზვნების შემცირების გამო ბოლო ხანებში აღნიშნული სახლები დაცარიელებული და დანგრევის პირას მისული იყო, ეს მდგომარეობა მამკოდის გლეხკომის წარმომადგენლებს შეუნიშნავთ და სახლებისათვის მცირედი სარემონტო სამუშაოები ჩაუტარებიათ, ზაფხულში კი სააგარაკოდ ჩასულთათვის მიუქირავებიათ. პარალელურად გლეხთა კომიტეტს ტფილისის აღმასკომის წინაშე აღუძრავს შუამდგომლობა, რომ ეს სახლები მათთვის გადაეცათ. თუმცა ავჭალის თემის აღმასკომს სამართლიანად მიაჩნდა მამკოდის მონასტრის ქონებას სახელმწიფო ორგანიზაცია დაპატრონებოდა თემადმასკომის სახით.<sup>44</sup>

1928 წლის 24 დეკემბერს თბილისის აღმასკომის სამაზრო-ტექნიკური სექციის ტექნიკოსმა ლეონტი კილასონიამ სოფელ გლდანის გლეხკომის თავმჯდომარისა და სოფელ მამკოდის საბჭოს წევრის თანდასწრებით საფუძვლიანად დაათვალიერეს მამკოდის მონასტერი, აღწერეს და დაასკენეს, რომ საცხოვრებელ სახლებს უნდა ჩატარებოდა საშუალო შეკეთება,

<sup>40</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 770, ფურცელი 1.

<sup>41</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 907, ფურცლები 2, 11.

<sup>42</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 211, ფურცელი 18.

<sup>43</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 1440, ფურცელი 59.

<sup>44</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 740, ფურცელი 5.



სასადილოს კაპიტალური რემონტი, რის შემდეგაც ბინები შეიძლება გამომდგარიყო საცხოვრებლად.<sup>45</sup>

საბჭოთა ხელისუფლებამ გააძლიერა ბრძოლა ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ. ამის დასტური იყო ისიც, რომ 1929 წელს შეიქმნა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის სრულიად საქართველოს ცენტრალური საბჭო“. მანამდე კი საქართველოს ყველა მაზრაში შეიქმნა „უღმერთოთა უჯრედები“. უღმერთოთა კავშირი სამაზრო უჯრედებს სთხოვდა ყოველთვიურად წარმოედგინათ ინფორმაცია, რამდენი ეკლესია დახურეს თავიანთ მაზრებში, რა ანტირელიგიური ღონიძიებები გაატარეს.

საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1929 წლის მარტში ცვლილება შეიტანა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 15 აპრილს დამტკიცებული დეკრეტის მეორე მუხლში – სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის ჩამოშორების შესახებ, აღნიშნული მუხლის შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ძალით იკრძალებოდა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო სასწავლო დაწესებულებებში ყოველგვარი რელიგიური სწავლება.<sup>46</sup>

საგულისხმოა აგრეთვე სრულიად საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს მიმართვა ყველა სკოლის ასაკამდე აღზრდის, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების და უმაღლესი სასწავლებლების დაწესებულებებისადმი ანტისაადღვომო კამპანიის ჩატარების შესახებ. მიმართვაში აღნიშნულია, რომ ანტისაადღვომო კამპანია ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ანტი-საშობაო კამპანია და ანტისაადღვომო კამპანიის ამოცანა მითხროვს სკოლებისაგან აუცილებლობას, რათა ფართოდ გაშალონ თავისი საზოგადოებრივი და სასარგებლო ანტი-რელიგიური მუშაობა.

სკოლებში უნდა ჩატარებულიყო მოხსენებები და საუბრები ანტირელიგიურ თემებზე (ლოთური დღესასწაულების და მარხვის წინააღმდეგ; რელიგია და ბრძოლა განახლებულ ადამიანის; კლასიკური არსებობა ქრისტიანული და ებრაული ადღვომის და სხვა). ეს ღონისძიებები მიზნად ისახავდა რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ჩამოშორებოდა რელიგიას და გაწევრიანებულიყო ახალგაზრდა უღმერთოთა და მებრძოლ უღმერთოთა უჯრედებში. აღნიშნული მიმართვის წარმატებულად პრაქტიკაში გატარებისთვის სკოლების პრემირებაც გადაწყდა.<sup>47</sup>

1938 წლის 25 ივლისს ქალაქ თბილისის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გვიშიანის სახელზე მუკ-ის (მებრძოლ უღმერთოთა კავშირი) თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებაში ვკითხულობთ: „პირველი მაისის ქუჩაზე №4-ში მდებარე კათოლიკეთა ეკლესია დაკეტილია და ითვლება უმოქმედოდ. კიროვის რაიონში ანტირელიგიური პროპაგანდის ფართოდ გასაშლელად მებრძოლ უღმერთოთა კავშირის რაისაბჭოს არ მოეპოვება სათანადო ბინა. გთხოვთ, აღნიშნული დაკეტილი, უმოქმედო, კათოლიკეთა ყოფილი ეკლესია გადმოგვცეთ უღმერთოთა კიროვის რაისაბჭოს, სადაც მოვაწყოთ რაიონულ ცენტრალურ ანტირელიგიურ კაბინეტს, ანტირელიგიურ გამოფენებს, იწარმოებს სისტემატური მუშაობა, რომლის საშუალებითაც ჩვენს რაიონში გავაჩაღებთ ანტირელიგიურ პროპაგანდას“.<sup>48</sup>

1938 წლის 27 ოქტომბერს შედგა ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც მოისმინეს ანტირელიგიურ პროპაგანდისტური მუშაობის და ამ მიმართულებით ორჯონიკიძის რაიონის მოსახლეობაში მიმდინარე წელს ჩატარებული კრებების შედეგების შესახებ. პრეზიდიუმი აღნიშნავდა ანტირელიგიური მუშაობის წარმატებას.

<sup>45</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 740, ფურცელი 4.

<sup>46</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 250, ფურცლები 1-3.

<sup>47</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 230, ფურცელი 1.

<sup>48</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 223, ფურცელი 24.

კრებებზე გამოსული მოქალაქეები ერთხლოვნად მოითხოვდნენ ხალხის „ოპიუმის და რეგრესიის“, „გონების დახლუნების და მეცნიერების საწინააღმდეგო კერების“, ეკლესიებისა და სობოროების დაკეტვას და მათ ადგილზე სკოლების და კულტურული დაწესებულებების აგებას. კერძოდ, ასეთი მოთხოვნა წამოყენებულა „ივანე ბოგოსლოვის“ და „ქვაშეთის“ ეკლესიების გაუქმებისა და პირველ რიგში ვანქის სობოროს დანგრევისას.

აღსანიშნავია, რომ ასეთ საკითხებზე სხდომას სისტემატურად ესწრებოდა „უღმერთოთა კავშირის“ წარმომადგენელი, აღნიშნულ სხდომაზეც სწორედ „უღმერთოთა კავშირის“ წარმომადგენლის სიტყვიდან ჩანს, რომ ითხოვენ მომავალში ჩატარდეს მუშაობა ბოგოსლოვის და ქვაშეთის ეკლესიების დანგრევაზე. მათი შეხედულებით შეიძლებოდა ერთი ტაძარი ეოფილიყო რაიონში მუხეუმის დანიშნულებით, მაგრამ საჭირო არ იყო დანარჩენი ტაძრების არსებობა.

პრეზიდენტმა გაითვალისწინა რა მოსახლეობის ფართო მასების მოთხოვნა, დაადგინა:

1. წარედგინოს საქართველოს უმაღლეს საბჭოს ორჯონიკიძის რაიონის სომეხ მოქალაქეთა წერილობითი მოთხოვნა და აღიძრას შუამდგომლობა ვანქის სობოროს გაუქმების და დანგრევის შესახებ, რომლის ადგილას მოითხოვენ სომხური ათწლეულის აგებას.

2. ამავე საფუძველზე აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს უმაღლესი საბჭოს წინაშე, ორჯონიკიძის რაიონში მდებარე „ივანე ბოგოსლოვის“ ეკლესიის დანგრევის შესახებ.<sup>49</sup>

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 9 აპრილის 351 დადგენილების შესაბამისად თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1961 წლის 19 ივნისს მიიღო 1254 განკარგულება „რელიგიური კულტების შესახებ კანონმდებლობის კონტროლის გაძლიერების შესახებ“, რომლის საფუძველზე დაწესდა რელიგიური კულტების შესახებ კანონმდებლობის შესრულების მკაცრი კონტროლი რელიგიური გაერთიანებების, სასულიერო პირების და კერძო პირების მიმართ; სისხლის სამართლის კოდექსის 233 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში მასალები უნდა წარედგინა აღმასკომში პროკურატურისთვის გადასაცემად; დაუშვებელი იყო ეარსებათ დაურეგისტრირებელ ჯგუფებს; სალოცავებისა და ტაძრების რეორგანიზაცია ან გაფართოება ქალაქისა და რაიონის საბჭოს აღმასკომთან შეუთანხმებლად;

ქალაქის აღმასკომის კულტურის განყოფილებასა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეებს ევალებოდათ ანტირელიგიური პროპაგანდა, თუმცა, პარალელურად, არ უნდა დაეშვათ რელიგიური ორგანიზაციის უკანონოდ რეგისტრაციიდან მოხსნა, ეკლესიებისა და სალოცავების დახურვა, მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფა.<sup>50</sup>

თბილისის ორჯონიკიძის რაიონული აღმასკომის მდივნის ნ.შ. მგალობლიშვილის მოხსენებით ბარათიდან ირკვევა, რომ რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობდა ქრისტიან-მალაკანთა საზოგადოების სამლოცველო (საბურთალოს ქუჩა №15). ამ ტერიტორიაზე გათვალისწინებული იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებული კოოპერატივი №267 საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რასაც ხელს უშლიდა სამლოცველოს შენობა. ხსენებული კოოპერატივის გამგეობა ქრისტიან-მალაკანთა საზოგადოების სამლოცველოს ალტერნატიული ფართი შესთავაზა და მათ არავითარი პრეტენზია არ გააჩნდათ ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ.

ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომთან არსებობდა კომისია 5 კაცის შემადგენლობით, კომისიის სამუშაო გეგმის პრიორიტეტულ საკითხებს წარმოადგენდა ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერება მოსახლეობაში მიკრო რაიონების საზოგადოებრივი საბჭოების და პედაგოგ-ორგანიზატორების გამოყენების გზით, რაც გულისხმობდა სკოლების მუშაობის შემოწმებას მოსწავლე-ახალგაზრდობის ათეისტური აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით; რეიდების მოწყობას სამლოცველოებსა და ეკლესიებში მორწმუნე ბავშვების გამოვლენის

<sup>49</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 79, ანაწერი 1, საქმე 100, ფურცლები 1-4.

<sup>50</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 3277, ფურცელი 264.

მიზნით; მათთან სათანადო მუშაობის ჩატარებას; ლექცია-მოსხენებების ჩატარებას და ასე შემდეგ.

მოსხენებითი ბარათიდან ასევე ირკვევა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის ათეისტური აღზრდის მიზნით სკოლებში ყველა კლასის ხელმძღვანელს სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული ჰქონდა სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით საუბრების ჩატარება და ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის კაბინეტ-ლაბორატორიებში ცდების ჩატარება რელიგიური ცრურწმენის გასაქარწმენებლად. „ცალკეული დისციპლინების მასწავლებლები მოხერხებულად უკავშირებენ ათეისტური აღზრდის მომენტებს გასაველ მასალას („ქაჯანა“, „სურამის ციხე“) მასწავლებლები, კლასის ხელმძღვანელები, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები აქტიურად იბრძვიან იმ მოსწავლეების წინააღმდეგ, რომლებიც მოხუცი ბებიების ზეგავლენით დადიან ეკლესიებში, ასევე იმათ წინააღმდეგ ვინც ინათლება და ატარებენ ჯვარებს“.<sup>51</sup>

რაიონების აღმასრულებელი კომიტეტები სისტემატიურად ატყობინებდნენ ქალაქ თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ამისთვის ზოგიერთი რაიონის აღმასრულებელ კომიტეტში სპეციალური კომისიაც კი მუშაობდა: მაგ. ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული რელიგიური კულტების შესახებ კანონმდებლობის დაცვის ხელშეწყობი კომისია (აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე ამხ. ვლელაშვილი) 1971 წლის 24 თებერვალს ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანს ამხ. ვ. დ. ჩალაძეს მოახსენებდა, რომ კომისიის მუშაობაში მთავარ ამოცანად კვლავ რელიგიური კულტების შესახებ კანონმდებლობის ფართო პროპაგანდა და მისი დაცვის ყოველმხრივ ხელშეწყობა რჩებოდა, რის გამოც კომისია თავის 1970/1971 წლების სამუშაო გეგმებში ითვალისწინებდა რაიონის საწარმოებში, დაწესებულებებსა და მოსახლეობაში ლექცია-საუბრების ჩატარებას თემებზე: „ვი.ლენინი რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ“; „მეცნიერება და რელიგია“; „ქრისტიანული სექტები და მისი რეაქციული არსი“; „ბაბტიზმი და მისი რაობა“; „ქრისტიანული რელიგია და მისი რეაქციული არსი“; „მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიისა და ათეიზმის შესახებ“ და სხვ.

ქუჩის კომიტეტებში 1971 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარებულ საუბრებში: „ათეისტური აღზრდის ამოცანები“; „რელიგიური სექტანტები“; „ქალი და რელიგია“ და სხვა.

მოსხენებითი ბარათიდან ჩანს აგრეთვე, რომ ლენინის რაიონში შექმნილი ყოფილა ათეიზმის სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა დოცენტი ვაჟა გოგებრაშვილი, რომელსაც მოცემულ დრომდე ჩატარებული ჰქონია 11 მეცადინეობა შემდეგ თემებზე: სახელმწიფოსა და პარტიის დამოკიდებულება რელიგიასა და ეკლესიასთან; როგორ უნდა ვიმუშაოთ ცალკეულ მორწმუნებთან; ქრისტიანობის წარმოშობა და მიმართულება; რელიგიურ გადმონაშთებთან ბრძოლა სოციალიზმის დროს; კითხვა-პასუხის საღამო თემაზე - „რელიგიური დღესასწაულები და წესჩვეულებების მანებლობა“. ადგილობრივი რადიოკვანძის მეშვეობით შესვენების დროს საამქროებში გადაცემა მოწყობილა.

რაიონი აგრეთვე აქტიურად ებრძოდა არარეგისტრირებული თემის „ბაბტისტების“ თავშეყრის ფაქტებს. იყენებდა თემის ხელმძღვანელების დაჯარიმების პრაქტიკას, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად კომისიის თავმჯდომარე მოსხენებით ბარათში აღიარებდა, რომ კომისიამ ვერ შეძლო აღნიშნული თემის სრული ლიკვიდაცია.<sup>52</sup>

ანტირელიგიური პროპაგანდა-აგიტაციის შედეგები მალევე აისახა მოსახლეობაში, ამის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუმცა, მინდა გამოვარჩიო ფრაგმენტი თბილისის აღმასკომის პრეზიდენტთან არსებული სარედაქციო კოლეგიის სხდომის ოქმებზე თანდართული ლექსიდან „ხუთწლელი ოთხწელში“:

<sup>51</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 4284, ფურცლები 1-3.

<sup>52</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 4294, ფურცლები 1-2.

„აღარ მინდა ეკლესია,  
აღარც მისი ჯვარიო,  
საქართველოს ურჩევნია  
ტრაქტორების ჯარიო“.<sup>53</sup>

თითქმის 70 წლის მანძილზე მსგავსი ღონისძიებების ფონზე „დამუშავებულ“ მოსახლეობას თავისი აგრესიული დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა სამღვდელთა პირთა მიმართ. ძირითადი ანტირელიგიური ღონისძიებები განხორციელდა XX საუკუნის 20-30-იან წლებში, განსაკუთრებით კი ქალაქის მთავრობა აგრესიული პოლიტიკით გამოირჩევა 1924 წლიდან. ამ პერიოდში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები იყვნენ: 1921-1927 წლებში ამბროსი (ხელაია); 1927-1932 წლებში ქრისტეფორე III; 1932-1952 წლებში კალისტრატე ცინცაძე; 1952-1960 წლებში მელქისედეკ III (ფხალაძე); 1960-1972 წლებში ეფრემ II.

უწმიდესისა და უნეტარესის კალისტრატეს კათოლიკოს-პატრიარქად ყოფნის წლებში მართალია სახელმწიფო პოლიტიკა არ შერბილებულა, შეიძლება ითქვას, გამკაცრდა კიდევ, რადგან ხელისუფლებამ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით შექმნა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა კომიტეტი, რომელსაც თავისი რწმუნებულები ჰყავდა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში. რწმუნებულის აპარატი იქცა საქართველოს ეკლესიის ოფიციალურ მეთვალყურედ. მაგრამ ამის მიუხედავად, პატრიარქმა შესაფერის დროდ მიიჩნია თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად მზადება და საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანს წერილობით მიმართა: თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულია სრულიად საქართველოს პატრიარქის წერილი, რომელშიც საუბარია სიონის ტაძრის რესტავრაციის საკითხებზე. „ჩემამდე მოაღწია ცნობამ, თქვენის განკარგულებით დაუწყია მუშაობა კომისიარს ტფილისის არსებობის 1946 წელში 1500 წლის შესრულების გამო. ვეგებებით ამ ცნობას, როგორც ყოველი შეგნებული საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, მოგართმევთ ამასთან ერთად ჩემს მიერ 1938 წლის ოქტომბრის 28 დათარიღებულ №89 მომართვის პირს, და გთხოვთ პატივისცემით, თუ დაინახავთ საჭიროდ გადასცეთ იგი თქვენ მიერ შექმნილ კომისიას, ვინაიდან მომართვაში აღნიშნულია მოსაზრებანი ტფილისის სააბატო ძეგლის სიონის შესახებ, რომლის პირველი შენობის საძირკველი ჩაყრილია 1500 წლის წინათ.“ პატრიარქის მიმართვის ძირითადი შინაარსი ამგვარია: „1. აღებულ იქმნას ა) ღესელიძის და ბარათაშვილის ქუჩებს შუა მდებარე შენობები ანანოვის ქარვასლიდან მაისურაძის ქარვასლამდე, ვარლამ ექზარხოსის მიერ 1812 წელში აშენებული ტლანქი სამრეკლოს თანდართვით, ბ) ტაძრის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით სასულიერო უწყებისა და კერძო პირების მიერ აგებული სახლები (ერთის გარდა) ბარათაშვილის ჩიხის დასაწყისიდან პირდაპირი ხაზით მტკვრამდე, გ) აფრიკაციის ქარვასლიდან (ტაძრის სამხრეთით) მარცხენა ფრთა სავსებით თუ არა, ზემოსართულში მაინც მზის სხივები ტაძრის საძირკველს რომ მოხვდეს (ქურდულად გამოჭრილი ფანჯრების დაგულებით), 2. ტაძარში შემყვანი კიბე გადატანილ იქმნას ღესელიძის ქუჩასთან, 3. შენობათაგან განთავისუფლებული მოედანი დაიწიოს სიონის დონემდე და იქ გაშენდეს ბად - ყვავილნარი, 4. ტაძარში სამხრეთით მიშენებული კარიბჭე, ერთ დროს საცხოვრებელ ბინად ყოფილი და მის მერე სამლოცველოდ გადაკეთებული, გადატანილ იქმნეს დასავლეთის კარების წინ, როგორც ეს არის მცხეთაში, ალავერდში, ახტალაში და სხვაგან, და 5. აღდგენილ იქმნეს ტაძრის ჩრდილოეთით მდებარე მესხუმეტე საუკუნის თავმონგრეული სამრეკლო.“<sup>54</sup>

მართალია XX საუკუნის მეორე ნახევრისთვის რეპრესიების ტალღა უკვე გადავლილია, მაგრამ მაინც ვხვდებით სამღვდელთა პირთა დამცირების ფაქტებს. მაგალითად: 1962 წლის 19 იანვარს ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის საფინანსო განყოფილებამ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შემოსავლების სამმართველოს დაგვლებით წერილები

<sup>53</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 229, ფურცელი 42.

<sup>54</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 90, ანაწერი 1, საქმე 105, ფურცლები 1-2.

დაუგზავნა: მცხეთის, ქუთაისის, ფოთის, პირველი მაისის რაიონის, ბათუმის საფინანსო განყოფილებებს, რომელთაც ავალებდა, შეემოწმებინათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ეფრემ II-ის /შიოს ძე სიღამონიძე/ შემოსავლები. აღნიშნულმა საფინანსო განყოფილებებმა თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედი ტაძრებიდან გამოითხოვეს ცნობები. მათი კვლევისა და ეფრემ II-ის მიერ შევსებული რიგი დეკლარაციების ფონზე „დეტალურად გამოარკვიეს“ თუ რა თანხები ჰქონდა მიღებული პატრიარქს თავისი მოღვაწეობის მანძილზე.<sup>55</sup> ამავე საქმეში დაცულია საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1962 წლის 19 ივნისის წერილი, რომელიც ატყობინებდა საქართველოს პატრიარქს და ქალაქ თბილისის ფინგანს, რომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მითითების შესაბამისად, 1962 წლის 1 ივლისიდან კათალიკოს-პატრიარქი დაბეგრული უნდა ყოფილიყო საშემოსავლო გადასახადით კანონის მე-5 მუხლით დაწესებული განაკვეთით.<sup>56</sup>

აღსანიშნავია, რომ სსრკ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 ოქტომბრის 3898 დადგენილების შესაბამისად ყველა სახის კულტურის ძეგლი, „რა სახითაც მოუღწევია“, დაცვისა და გამოყენებისათვის ეკუთვნოდა ძეგლთა დაცვის ორგანოებს, რომელთაც ევალებოდათ მათი მოვლა-პატრონობა.<sup>57</sup>

1978 წლის 12 აპრილს თბილისის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ოქტომბრის რაიონის კულტურის ძეგლთა დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭოს წინადადებით მიიღო გადაწყვეტილება ოქტომბრის რაიონის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლებისა და მემორიალური დაფების მოვლა-პატრონობაზე ორგანიზაციების მიმაგრების შესახებ, რომლის საფუძველზე რაიონში მდებარე „წმინდა ნიკოლოზის“ ეკლესიაზე პატრონობა მე-7 სარემონტო-სამშენებლო ტრესტს დააკისრა, ხოლო „ჩუღურეთის ბაზილიკა“ საბინაო სამმართველოს ჩააბარა.<sup>58</sup>

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1921 წლის 25 თებერვლიდან გაუსაძლის მდგომარეობაში იყო ჩაყარდნილი. ეკლესიის მიმართ სასტიკი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ჩინოვნიკების მხრიდან ინიცირებული ანტირელიგიური ქმედება, ათეიზმის აგიტაცია-პროპაგანდა კარგ ტონად ითვლებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა. ეკლესია-მონასტრების დარბევა-განადგურება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. არავის უკვირდა ტაძრის ადგილას აბანოს, მუშათა კოოპერატივის, სკოლისა და სხვა დაწესებულებების აგების ფაქტები; ეკლესიის შენობებში საცხოვრებელი ბინის, საწყობის, ავტოფარეხის, კლუბის, სახელოსნოს არსებობა; ეკლესიიდან გამოტანილი ქონების რეალიზაცია, საბჭოთა დაწესებულებებში დარიგება, დატაცება და სხვ. მარტო ის ფაქტიც საკმარისია, რომ ქალაქის ტაძრებიდან ჩამოხსნილი ზარების გაყიდვით მიღებული თანხით ზოოპარკის კეთილმოწყობა მოიფიქრეს - ცხოველთა გალიები გააკეთეს.

თითქმის 70 წლის მანძილზე მოსახლეობა ერიდებოდა ეკლესიაში შესვლას. მაღალჩინოსნები კი, იმ ფონზე, როდესაც ნებისმიერი ეკლესიის მხარდამჭერი ქმედება რეპრესიების მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო, არათუ ტაძარში შესვლას, საქმეზე დადებითი რეზოლუციის დადებასაც კი ერიდებოდნენ. ეს კარგად ჩანს შემდეგი ფაქტიდან, ერთ-ერთ წერილში სილიბისტრო თოდრია აფრთხილებს ლადო სუხიშვილს დავით გარეჯის მონასტრის ერთიანობის დაცვის მოტივით აღძრულ საქმეს „საქართველო-აზერბაიჯანს შორის საზღვრის გადახედვის შესახებ“ სარჩული შეუცვალოს და თბილისის მაზრის მოსახლეობისათვის საძოვრების საჭიროების მოტივით, აღძრას საკითხი საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ცენტრალურ აღმასრულებელ

<sup>55</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 183, ფურცელი 29.

<sup>56</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 183, ფურცელი 32.

<sup>57</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 87, ანაწერი 1, საქმე 1405, ფურცელი 52.

<sup>58</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 71, ანაწერი 1, საქმე 2279, ფურცლები 10-11.

კომიტეტში საძოვრები უფრო მნიშვნელოვანი იყო ვიდრე VI საუკუნის სამონასტრო კომპლექსის მთლიანობა.

## **Maka Kvaratskhelia**

### **Issues of Georgian Church in City Council Executive Committee's resolutions**

#### Summary

In 1921 of 25 February Orthodox Church was in unbearable condition. Cruel attitude towards the church was a part of Soviet Governments Policy. Anti-Religious actions from officials, Atheism propaganda campaign considered to be a good action. And the results were not late. Church Monastery massacre became as usual. No one wondered about the building of Bath houses; Cooperatives of workers, schools and other institutions instead of church. There were many facts about like realisation Churches properties, transmittion in the Soviet Institutions and others. The fact alone was enough that, they sold bells from churches and from that money they made animals cages in the Zoo.

Almost 70 years population avoided to enter in the churches. Officials evaded to put positive resolution on the issues. For example, when Silibistro Todria warned Lado Sukhishvili in one of his letters to protect the integrity of the David Garegy Monastery. The issue was initiated to Georgia Central Executive Committee. It meant the following: 1. Pastures were more important than whole Monastery Complex in VI centuries. 2. By Motivation of protection of David Garegy Monastery Complex, it would be possibly to sacrifice head of the city. (In spite of indifferent attitude towards Religion Vladimer Sukhishvili was shoot in 1938)

დურმიშხან ლაში, დოქტორანტი

## გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი – ქველმოქმედი და მეცენატი

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი განეკუთნება იმ საზოგადო მოღვაწეთა დასს, რომელთა შესახებაც ბიოგრაფიული ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში ძალზე მცირეა. ცნობილია, რომ გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი დაიბადა 1830 წლის 10 ნოემბერს თბილისში, მეტად ხელმოკლე ოჯახში. მას უმაღლესი განათლება არ მიუღია, მაგრამ ამას სრულიად არ შეუშლია ხელი იმაში, რომ იგი წარმატებული პიროვნება გამხდარიყო.

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილს საქართველოში ჰქონდა არა ერთი სამრეწველო ობიექტი, მაგრამ მისი მთავარი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა ატენის ხეობაში შექმნილი ხეტყის გადამამუშავებელი კომპანია, რომელიც ცნობილი იყო „ქართველიშვილი ზეზემანის“ სახელით, ამ კომპანიის შესახებ იმდროინდელ პრესაში არა ერთი სტატია დაიბეჭდა, მაგალითად, 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ერეკლე რამიშვილის წერილი, რომელშიც ვკითხულობთ „გ. დ. ქართველიშვილისა და ამხანაგობას ხის სახარში ქარხანა გორის რკინიგზის სადგურიდან აქვს გაყვანილი, ორმოცდაათის ვერსის მანძილზე საკუთარი რკინიგზის გზა ატენის ხეობაში, სადაც აქვს მრავალი ორთქლის მაშინები, ვაგონები და ამ სიშორეზედ არის რამდენიმე უზარმაზარი სადგურები, სახელოსნო, სატელეფონო და სხვანი, აგრეთვე ქარხნები ორთქლისა სხვა-და-სხვა მასალების სახერხნი და მოსახარშნი. მუშაობენ ყოველ დღე. სადაც მუშაობენ ათასი კაციდან ორიათასამდე. თვიურად აქვთ ჯამაგირი მუშებს თვრამეტი მანეთიდგან სამას მანეთამდე, დღიურ მუშას ოთხი აბაზიდან ერთ მანეთამდის. აქ მუშაობს აგრეთვე მრავალი ხარი, კამეჩი და ცხენი. მუშა ხალხი ყველა რჯულისა, მაგრამ უფრო და უფრო მეტი ჩვენი ქართველობაა. ამ ქარხნის გამართვამდის მე თვითონ ვიცი, რომ იქ ხვნისა, თესვისა და მკის გარდა, დღეში მუშას იშოვიდი ხუთ შაურად, ორ აბაზად, დღეს კი თუნდა შუაგულ ზამთარში, ვერ იშოვი მანეთის ნაკლებად, ან კი რად დადგება სხვასთან ნაკლებად, როცა ამ ქარხანაში ეძლევა იმდენი და როცა უნდა, ყოველთვის იმუშავენს, ყოველთვის ალაგიც არის, როცა სურს, თავისი შესახვედრის ფულს მიიღებს და სიხარულით დაბრუნდება თავის ცოლშვილში. ნუთუ ყოველივე ეს დიდად სასარგებლო საქმედ არ ჩაითვლება?

ამ საქმის გამო ამ ჩვენს საქართველოში, ყოველწლივ მილიონამდის ფული ტრიალებს. ვსთქვად, რომ ამხანაგობამ თუნდა სარგებლობაც ვერა ნახოს, ამ მუშა ხალხს ჩვენს საქართველოსას და სხვა მრავალს მაინც სარგებლობა აქვს და ექნება ასე დიდად, ვრცლად და საფუძვლიანად დაწყებულის საქმისაგან. მაგრამ ზოგის ენა კი აქაც არ დადგა და მხოლოდ იმიტომ სანსარებს, რომ დაჰკბინოს დაშხამოს ვინმე, კაცი ვართ, ცოდვა და ცდომა ყველას თავს ტრიალებს, იქნება ხანდახან სტყუიან და უკაცრავად იქცევიან ზოგიერთნი წვერნი ამხანაგობისა, იქნება ათასში ერთხელ უსამართლოდაც იჩაგრება ვინმე და ჯამაგირი დაეჭირება ხოლმე, მაგრამ ყოველივე ეს უსამართლობა კაცის ბუნების ნაკლებულებას მიეწერება და არა ბუნების საქმისას. ამას გარდა დიდი არაფერია, მხოლოდ წვეთია ზღვაში, ამ დიდსა და კეთილს საქმეში და დიდი ცოდვაა, ვიძახოთ ზოგიერთ გორელ მატრაკვეცასავით: „არა, ეგ საქმე სულ ტყუილზეა აშენებული“ არა, ტყუილზე აშენდეს და ამოდენა საქმე! დმერთო, შენ დავეისხენ უარესისაგან: მაგრამ რას ავტყუილვართ ჩვენცა და ვრეკავთ ყურუმსალებისავით, იმათი საქმე ხომ

დარდიმანდობაა, მთელს თავიანთს სიცოცხლეს ასეთი ვაუბატონები ისე არ ატარებენ, რომ ზარის რეკაზე ერთხელაც არ დაიწერენ პირჯვარს გულითა და სულით, სასოებით, ადამიანობით.<sup>1</sup>

ერეკლე რამიშვილის ამ წერილიდან ჩანს, რომ გიორგი ქართველიშვილის კომპანია იმ პერიოდში ერთ-ერთი წარმატებული კომპანია იყო და იქ დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეებს ყველანაირი პირობა შეუქმნეს სამუშაოდ.

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილს რუსეთ-თურქეთის ომის დროს კავკასიის გზის გავლით საქართველოში რუსეთიდან შემოჰქონდა პურის მარცვალი.

1889 წელს ატენის ხეობაში მოხდა სტიქიური უბედურება, რამაც ძალიან დააზარადა გიორგი ქართველიშვილის კომპანია, ფაქტობრივად იგი გააოტრების პირას მივიდა.

სტიქიური უბედურება იმდენად ძლიერი იყო, რომ იმდროინდელი პრესის არცერთი ნომერი არ დარჩენილა ისე, რომ მომხდარის შესახებ არ დაეწერათ, მაგალითად, გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა: „ზარალი, როგორც ატენის ხეობის მცხოვრებლებისა, ისე ქართველიშვილი-ხეხემანის კომპანიისა საგრძნობელია. როგორც მოგეხსენებათ ამ კომპანიამ დიდი ფული ჩააბნია ატენის ხეობაში, შპალების სახერხ-სახარშ ქარხნებისათვის შეისყიდეს რკინის-გზის ლიანდაგებისათვის ადგილები, გაიყვანეს გორიდან ატენის ხეობაში გზა ოცდაათი ვერსის მანძილზე, როგორც გაიმართნენ წელში და საქმე ისე დასდგა, რომ მოგება უნდა მოეცა, სწორედ ამ დროს უშუხთლა ბუნებამ, სოფელ ატენიდან სოფელ იკნევამდე კარგა მანძილზე რკინიგზის ლიანდაგი ისე მოჰგლიჯა, რომ ნაალაგვეი ძლივსდა ეტყობა, ხოლო ალაგ-ალაგ კიდევ ემჩნევა, რომ აქ გზა უნდა ყოფილიყო“.<sup>2</sup> მიუხედავად ასეთი დიდი ზარალისა, გიორგი ქართველიშვილს არ შეუწყვეტია თავისი ერისთვის კეთილი საქმის კეთება.

გიორგი ქართველიშვილი იმ პერიოდში მოღვაწე მრეწველების უმრავლესობისაგან გამოირჩეოდა თავისი კეთილსინდისიერებითა და ერისადმი დიდი სიყვარულით. 1901 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ერთი მეტად საინტერესო წერილი, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენი დროის ვაჭრობა და აღებ-მიცემობაში ერთგვარი მოძღვრებაა და კატეხიზმო ბრძანებლობს, აქ გაბატონებულია აღვირ-აწვევტილი პირადი სარგებლობა, რომელიც არაფერს არ ერიდება, არც სიყალბეს და არც მოტყუებას, არც ორპირობას და არც უნდობლობას. ამისთანა „საკომერციო“ მოძღვრება და კატეხიზმო გიორგი ქართველიშვილს გულით ეჯავრება, ვაჭრობასა და აღებმიცემობაშიაც იგი ზნეობით ხელმძღვანელობდა, ყველგან და ყველაფერში კაცური კაცი იყო.“<sup>3</sup>

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი დიდი მრეწველის გარდა იყო დიდი ქველმოქმედი და მეცენატი. მის სახელს უკავშირდება არაერთი კეთილი საქმის წამოწყება. სანამ გიორგი ქართველიშვილის მეცენატობაზე და ქველმოქმედებაზე ვისაუბრებდეთ მანამდე აღნიშვნის ღირსია გიორგი ქართველიშვილის დამოკიდებულება იმდროინდელი საზოგადოებისადმი, კერძოდ, იგი განეკუთვნებოდა ქართველ მამულიშვილთა იმ კატეგორიას, რომლებიც მხოლოდ ჩვენი ერის ქება-დიდებათ არ იყვნენ დაკავებულნი, არამედ ხშირად ჩვენი ერის სისუსტეებზეც ხმამაღლა საუბრობდა, ამასთან დაკავშირებით ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „ქართველი თავიანთ მამულებს მარჯვნივ და მარცხნივ ფანტავენ ისე, რომ თითონაც არ იციან რისთვის, ვისთვის და რათა?! ყოველივე მათ ხელიდან ეცლებათ, მხოლოდ მუცლის თამაშისა და ქეიფის გამო. რამდენი დიდი გვარი ოჯახი დაეცა ცუდის შვილების მეოხებით“.<sup>4</sup> ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს გიორგი ქართველიშვილის დამოკიდებულება იმ სენისადმი, რომელითაც დაავადდა იმდროინდელი საზოგადოების გარკვეული ნაწილი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველიშვილს არ ეპიტნაებოდა თავისი თანამოქმენი.

<sup>1</sup> ერეკლე რამიშვილი. გაზეთი „ივერია“, 1888, №170, გვ. 3.

<sup>2</sup> გაზეთი „ივერია“, 1889, №113, გვ. 2.

<sup>3</sup> გაზეთი „ივერია“, 1901, №210, გვ. 3.

<sup>4</sup> ზაქარია ჭიჭინაძე. გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი. 1904, გვ. 5.



ზაქარია ჭიჭინაძე იხსენებს თუ როგორ უყვარდა საუბარი გიორგი ქართველიშვილს ქართველების წარმატებაზე: „ქართველი ტომის დაწინაურების შესახებ ძლიერ უყვარდა საუბარი, ამ საუბრის დროს მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, სამწუხარო ამბავი კიდევ მასზედ დიდს ზეგავლენას ახდენდა, მის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა“.<sup>5</sup>

გიორგი ქართველიშვილი დიდ დახმარებას უწევდა ქართველ სტუდენტებს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არაა მოღწეული იმ სტიპენდიანტთა სია, რომლებსაც გიორგი ქართველიშვილი აძლევდა საშუალებას, რომ ესწავლათ.

ბევრი თანამედროვე საუბრობს ქართველი ახალგაზრდების მიმართ გიორგი ქართველიშვილის დამოკიდებულებაზე, მაგალითად, ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „ქართველ მოსწავლეებზედ მას ერთობ დიდი ფული აქვს დახარჯული, სადაც კი ხელის მოწერა გაიმართებოდა მოსწავლეთა სასარგებლოდ, იქ გიორგი დავითის ძე პირველ რიცხვშივე მოჰყვებოდა, ვინც კი მივიდოდა მასთან, თუნდ უცხო, თქვენ არ მომიკვდეთ, რომ იგი მისი სახლის ზარის რეკით არ დაიდლებოდა, ვინც კი ჩამოკრავდა ზარს, მაშინვე მზად იყო მსახური კარის გასაღებად“.<sup>6</sup>

გიორგი ქართველიშვილი ხშირად ყიდულობდა სახალხო წიგნებს და ურიგებდა გაჭირვებულ ოჯახისშვილებს, რომლებიც მოკლებული იყვნენ ამ ფუფუნებას, გარდა ამისა გიორგი ქართველიშვილი ფინანსურ დახმარებას უწევდა ქართულ თეატრს, ამასთან დაკავშირებით ზაქარია ჭიჭინაძე იხსენებს, რომ „1878 წელს ქართული თეატრის დაფუძნებას დიდის სიხარულით შეხვდა, მაშინ თეატრის ბილეთებს აქა-იქსახლებში ვგზავნიდით, ხან მეც კი მიმქონდა, ასევე უგზავნიდით, გიორგი დავითის ძეს და უნდა მოგახსენოთ, რომ იგი არცერთხელ თეატრის ბილეთს უკან არ დააბრუნებდა. ეს როგორც სხვა იმ დროის ქართველებმა იცოდნენ, გიორგი ბილეთის ხვედრი ფულის მაგიერ მეტსაც იხდიდა ხოლმე და წარმოდგენებსაც თავის დღეში არ დააკლდებოდა“.<sup>7</sup>

ზაქარია ჭიჭინაძის ამ მოგონებიდან ნათლად ჩანს გიორგი ქართველიშვილის დამოკიდებულება ქართული კულტურისადმი, მას ძალიან კარგად ესმოდა, რომ იმ პერიოდში რუსეთის კოლონიურ გავლენას ეროვნული ღირებულებები თუ გადაურჩებოდა მხოლოდ ქართული კულტურის პროპაგანდით, რომელიც თაობას აღზრდიდა ეროვნული სულისკვეთებით.

გიორგი ქართველიშვილი ხშირად ყიდულობდა სხვადასხვა ენაზე გამოცემულ წიგნებს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. შემდეგ საქართველოში ჩამოსულ მოგზაურებს თავისთან მიიწვევდა და წიგნებს ჩუქნიდა. ამით იგი ცდილობდა უცხოელებისათვის ეჩვენებინა ქართული კულტურა.

გიორგი ქართველიშვილის სახელს უკავშირდება გაზეთ „დროების“ გამოცემის დაფინანსება. ცნობილია, რომ როდესაც სერგეი მესხი დაავადდა და აღარ შეეძლო გაზეთის რედაქტორობა, დადგა გაზეთის დახურვის საშიშროება. მართალია, ივანე მანაბელს სურდა გაზეთის შექმნა და გამოცემა, მაგრამ მას საკმარისი თანხა არ გააჩნდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გაზეთ „კვალში“ ვკითხულობთ: „როცა სერგეი მესხი დაავადმყოფდა და იძულებული შეიქმნა ლიტერატურული მოღვაწეობისათვის თავი დაენებებინა და გაზეთის „დროების“ გამოცემა სხვისთვის გადაეცა, მაშინ ივანე მანაბელმა მოიწადინა „დროების“ შექმნა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო მანაბელს არ შეეძლო გაზეთის შექმნა, ამნაირად გაზეთის გამოცემა უნდა შეჩერებულიყო. მაგრამ „დროება“ იხსნა განსაცდელისაგან გიორგი ქართველიშვილმა რომელმაც გადასცა მანაბელს ხუთას-ექვსას თუმნამდე“.<sup>8</sup>

თბილისში არსებობდა ობოლთა გამგეობა, რომლის მთავარ ფუნქციას ღარიბებისთვის დახმარება წარმოადგენდა, მაგრამ გამგეობის ზოგიერთი წევრი მასზე დაკისრებულ მოვალეობას

<sup>5</sup> ზაქარია ჭიჭინაძე. გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი. 1904, გვ. 6.

<sup>6</sup> ზაქარია ჭიჭინაძე. გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი. 1904, გვ. 24.

<sup>7</sup> ზაქარია ჭიჭინაძე. გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი. 1904, გვ. 19.

<sup>8</sup> გაზეთი „კვალი“, 1901, №40, გვ. 852-853.

პირნათლად არ ასრულებდა, ამიტომ გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი იმ პერიოდში, როგორც თბილისში ყველაზე კაცთმოყვარე და ღატაკთა შემწე, აირჩიეს ობოლთა გამგეობის მზრუნველად. გიორგი ქართველიშვილმა გამოასწორა ის რთული მდგომარეობა, რაც გაბატონებული იყო ობოლთა საზოგადოებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ქართველიშვილმა არაერთხელ შეწირა ობოლთა გამგეობას თანხა.

გიორგი დავითის ძის დიდ მეცენატობად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ისტორიული ალბომის დაფინანსება, რომელიც შეასრულა ცნობილმა ფოტოგრაფმა ერმაკოვმა. 1888 წელს გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა: „შარშან ბატონმა გიორგი დავითის ძე ქართველიშვილმა ცნობილ ფოტოგრაფს ერმაკოვს შეუკვეთა საქართველოს ისტორიული ალბომი, ამ ხანებში ეს ალბომი ერმაკოვს უკვე შეუსრულებია, მთელი ალბომი იყოფა ექვს ნაწილად, ანუ ექვს დიდ წიგნად. ალბომში სისტემატურად ჩატანილია სურათები საქართველოს ყველა მონასტრებისა და ეკლესიებისა, იმათის კედლების ჩუქურთმებისა, ეკლესიათა სამკაულისა, ჭურჭლისა და აგრეთვე სურათები არქიელთა და კათოლიკოსთა შესამოსლისა და ყოველგვარ ეკლესიურ იარაღისა. ხელოვნურად გადმოღებულია სხვათა შორის, გელათის სახარების ზოგი მინიატურები და მრავალი ძველი წარწერები“.<sup>9</sup>

გიორგი ქართველიშვილის მიერ ზემოაღნიშნული საქმე უდაოდ დიდ მეცენატობად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ქართველიშვილის მიერ ერმაკოვის ხელით გამოცემულ ალბომს უდიდესი კულტურული მნიშვნელობა ქონდა, როგორც საქართველოს ისტორიისათვის, ასევე ქართული ხელოვნების ისტორიისათვის. საქართველოს ისტორიული ალბომი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დღეს იმ ისტორიული თუ კულტურული ძეგლების შესახებ, რომლებიც სამწუხაროდ აღარ არსებობს, ამიტომ გამომდინარე აქედან გიორგი დავითის ძის ამგვარი საქციელი, მართლაც რომ ფასდაუდებელია.

გიორგი ქართველიშვილის სახელს უკავშირდება ვახუშტი ბატონიშვილის „ქართლის ცხოვრების“ გამოცემა, რომლის დასაბუჯდად გამზადება დაავალა დიმიტრი ბაქრაძეს, მართლაც 1845 წელს გამოიცა აღნიშნული ნაშრომი, რომელსაც რუკა დაურთეს რომელიც შეადგინა ცნობილმა ქართველმა ფოტოგრაფმა ბ. წილოსანმა (იგი იყო გიორგი ქართველიშვილის სიძე) გიორგი ქართველიშვილს სურდა ვახუშტი ბატონიშვილის „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომიც გამოეცა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგანაც მისი ეკონომიკური მდგომარეობა აღნიშნულ პერიოდში საგრძნობლად შეირყა.

გიორგი ქართველიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრობის განვითარებას. იგი ხშირად აღნიშნავდა, რომ თუ გვინდა განვითარდეს ქვეყანა როგორც კულტურული, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისითაც, საჭიროა დავაფინანსოთ მომავალი თაობის განათლება. ამისათვის, გიორგი ქართველიშვილის აზრით, საჭიროა დავამკვიდროდ თანამედროვე ტექნოლოგიები. იგი ხშირად აღნიშნავდა „წავიდა ის დრო, როცა ქართველის კაცის ადემიციმა ორის ძველის დავთრით წარმოებდა. ეხლა აღარც ის დრო არის და აღარც ის ანგარიშები გამოდგება, ამის სამკურნალოდ არამცთუ მარტოდ წიგნებია ქართულს ენაზედ საჭირო, არამედ თვით კომერციული სკოლაც, რომ აქ მოზარდ თაობამ იაროს და ადემიციმის ვითარება შეიტყონ. ასეთ წიგნთა თარგმნის საჭიროებას დიდი მნიშვნელობა უნდა დაეთმოს თვით ჩვენგანაც, რადგანაც ქართულის ენაზედ ასეთის წიგნების სრულიად არაფერი არსებობს, ნუთუ ამის დრო არ მოვიდა, მოსვლით კი მოვიდა, მაგრამ პატრონი არ არის, რომ ამ საჭირო მხარეს ყურადღება მიაქციონ და პატრონობა გაუწიონ“.<sup>10</sup>

გიორგი ქართველიშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“, უფრო მეტიც, 1882 წლის 17 ივნისს გაიმართა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სხდომა, სადაც უნდა აერჩიათ თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე), ხაზინადარი, სეკრეტარი და საქმის-მწარმოებელი. როგორც „წერა-კითხვის

<sup>9</sup> გაზეთი „ივერია“, 1888, №189, გვ. 1-2.

<sup>10</sup> **ზაქარია ჭიჭინაძე**. გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი. 1904, გვ. 39.

გამავრცელებელი საზოგადოების“ ოქმებიდან ჩანს სხდომას ესწრებოდნენ იაკობ გოგებაშვილი, გიორგი ქართველიშვილი, სერგეი მესხი და ივანე მახაბელი, სხდომამ მიიღო შემდეგი სახის გადაწყვეტილება: „თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქნა თ. ი. გ. ჭავჭავაძე, საზინადარად ბ. გ. დ. ქართველიშვილი, სერგეტარად ა. ი. სარაჯიშვილი, საქმის მწარმოებლად გ. თ. ყიფშიძე“.<sup>11</sup>

გიორგი ქართველიშვილის კავშირი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ ამით არ შემოიფარგლებოდა, მან აღნიშნულ საზოგადოებას კანცელარიის მოსაწყობად შესწირა ასი მანეთი. გარდა ამისა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გიორგი ქართველიშვილისაგან მიიღო შეწირულობა სტამბის შესაძენად. ბუნებრივია, იბადება კითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ იმ პერიოდში თბილისში არა ერთი სტამბა არსებობდა და რა საჭირო იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ საკუთარი სტამბა ჰქონოდა? საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სტამბების უმრავლესობა წიგნების გამოსაცემად უზარმაზარ თანხებს თხოულობდა, ან ხშირ შემთხვევაში დამკვეთს ატყუებდა, რაც იყო მიზეზი იმისა, რომ მრავალი კარგი წიგნი დღის სინათლეს ვერ ეღივრა, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ გიორგი ქართველიშვილი იყო ინიციატორი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ჰქონოდა საკუთარი სტამბა, რისთვისაც მან საზოგადოებას შესწირა მის მიერ გამოცემული ვახუშტი ბატონიშვილის „ქართლის ცხოვრება“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილმა აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ წერილობით აცნობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, სადაც ვკითხულობთ: „1884 წელს როდესაც განვიზრახეთ გამოცემა სურათებიანი „ვეფხვის ტყაოსნისა“ რომლისთვისაც იყო შემდგარი კომისია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ ისრე იმ სახით როგორც ესხდა არის გამოცემული გავრცელდეს ქართულ საზოგადოებაში მაშინ მე სახეში მქონდა ნათქვამი იყო ჩემგანვე, რომ რაც გაყიდულიყო მე ჩემი დახარჯული ფული უნდა ამომეღო. დანარჩენი რაც დარჩებოდა ესე იგი ექვსი ათასი უნდა მოხმარებოდა საზოგადოებას, რომ იმ ფულით გამართულიყო სტამბა, რადგანაც ვერ გამართლდა ჩვენი სურვილი იმ მიზეზით, რომ ვერ გაიყიდა ამისთვის მივმართავ საზოგადოების მართველობას მიიღოს ჩემგან როგორც „ვეფხისტყაოსანი“ ისრეთ ისტორია ვახუშტისა გამოცემული ჩემგანვე ზემოხსენებული წერილი პირობით, რომ უფლებას ვაძლევ საზოგადოებას, გაჰყიდოს ეს ხსენებული გამოცემანი რა ფასადაც თითონ დაინახოს სასარგებლოთ, აღებული შემოსავალიდან ნახევარი მე მომცეს და ნახევარი დარჩეს სასარგებლოდ საზოგადოებისა და ის ფული, რომელიც დარჩება სასარგებლოდ საზოგადოებას გამართოს სტამბა, რადგანაც პირველშივე ჩვენი განძრახვა ეს იყო, უკეთუ საზოგადოებამ დაინახოს სხვა უმჯობესი რამ საგნისათვის მოხმარება, მაშინაც წინააღმდეგი არ ვიქნები“.<sup>12</sup>

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“ გაიმართა სხდომა გიორგი ქართველიშვილის შეწირულობის შესახებ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ თავის მოვალეობად სთვლის მოახსენოს საზოგადოების საერთო კრებას შემდეგი სასიამოვნო ამბავი: ამ რამდენიმე დღის წინად ბატონმა გიორგი დავითის ძე ქართველიშვილმა შეატყობინა გამგეობას წერილობით, რომ მას სურს გადასცეს წერა-კითხვის საზოგადოებას თავის მიერ გამოცემული სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ (800 ცალამდე) და ვახუშტის „საქართველოს ისტორია“ (1000 ცალამდე) იმ პირობით, რომ ამ წიგნების გაყიდვიდან შემოსული ფულის ნახევარი მიეცეს მას, ხოლო ნახევარი დარჩეს საზოგადოების

<sup>11</sup> საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე №45, ფურცელი 65.

<sup>12</sup> საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 454, ფურცელი 2.

სასარგებლოდ. გამგეობამ მადლობით მიიღო ასეთი შესანიშნავი შემოწირულობა და დაადგინა, რომ საზოგადოებას მოხსენებოდა“.<sup>13</sup>

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ სამადლობელი წერილი მიწერა გიორგი ქართველიშვილს, სადაც აღნიშნულია, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ, მიიღო რა თქვენი წერილი, თქვენს მიერ გამოცემულს „ვეფხისტყაოსნისა“ და ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ გადმოცემის შესახებ, იმ პირობით, რომ გაყიდულთაგან შემოსავლის ნახევარი თქვენ მოგცეთ და ნახევარი დარჩეს საზოგადოებას სასარგებლოდ. საზოგადოებაზე 14 თებერვალს ამა წლის (1895 წელი) დაადგინა ბ. გ. დ. ქართველიშვილის შემოწირულობა მიღებულ იქნას იმ პირობით, რა პირობაც მოხსენებულა ამ წერილში (იგულისხმება გიორგი ქართველიშვილის წერილი გაგზავნილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი)“.<sup>14</sup>

1887 წელს გიორგი ქართველიშვილმა თხოვნით მიმართა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომ იგი დაკავებული თანამდებობიდან გაენთავისუფლებინათ. ამასთან დაკავშირებით 1887 წლის 7 თებერვალს გამოსულ გაზეთ „ივერიაში“ ვკითხულობთ: „ბ. ნ. ი. გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი ხუთი წლის განმავლობაში ასრულებდა ერთგულად და უსასყიდლოთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხაზინადარობის თანამდებობას, ხოლო ახლა გამგეობამ მისი სურვილისამებრ, გაანთავისუფლა იგი ამ თანამდებობისაგან. გამგეობა აღნიშნულის საზოგადოებისა დიდს მადლობას უცხადებს ბ. ნ. გიორგი ქართველიშვილს ხანგრძლივის მისის მოღვაწეობისათვის საზოგადოების სასარგებლოდ“.<sup>15</sup>

XIX საუკუნის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის მუსირებდა აზრი იმის შესახებ, რომ მათ როგორმე მოეხერხებინათ შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირებული ფორმით დაბეჭვდა, გარდა იმისა, რომ იმდროინდელ საზოგადო მოღვაწეებს უნდა მოეძიათ სპონსორი, რომელიც დააფინანსებდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას, საჭირო იყო მოეძიათ „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი გამოცემები, რომლებიც გაბნეული იყო ქართველ თავად-აზნაურთა ოჯახებში.

1888 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ყველა კუთხეში ცნობილ ოჯახებს დაეგზავნათ გრიგოლ ორბელიანის ხელმოწერით სპეციალური მიმართვა, სადაც აღნიშნული იყო, რომ თუ ვინმეს გააჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი გამოცემები დროებით მიეწოდებინათ რედაქციისათვის, რომელთაც ტექსტის დადგენის შემდეგ კვლავ მფლობელებს დაუბრუნებდნენ.

გრიგოლ ორბელიანის ზემოაღნიშნულმა იდეამ თავისი შედეგი გამოიღო და რედაქციას გადაეცა 22 ხელნაწერი. ამ ხელნაწერებიდან აირჩა ყველაზე ძველი ხელნაწერები: ნ. კორინთელის (1646 წლის) და ბეჟან წერეთლის (1671 წლის) ხელნაწერები. გამომცემელთ ხელთ ჰქონდათ აგრეთვე ყველა ადრეული გამოცემები, ისეთები როგორებიც იყო: ვახტანგისეული (1712 წლის), ბროსე-ჩუბინიშვილ-ფალავანდიშვილისა (1841 წლის), ჩუბინიშვილის (1860 წლის) და სხვა.

გრიგოლ ორბელიანი გამოვიდა ინიციატივით, რომ რედაქციისადმი გადაცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებიდან ყურადღება შეეჩერებინათ ვახტანგისეულ გამოცემაზე, რადგანაც მისი აზრით ვახტანგი მეფე იყო და მის ხელთ მოექცეოდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საუკეთესო ვერსია, მაგრამ ტექსტის შერჩევასთან დაკავშირებით არსებობდა სხვადასხვა მოსაზრება, მაგალითად, ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ყველა ხელნაწერი ხმამაღლა უნდა წაეკითხათ და შეეჩინათ ხმათა უმრავლესობით.

<sup>13</sup> საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 426, ფურცელი 18.

<sup>14</sup> საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 454, ფურცელი 2.

<sup>15</sup> გაზეთი „ივერია“, 1887, №28, 2.

1881 წლის 6 თებერვალს გაიმართა პირველი ოფიციალური სხდომა გრიგოლ ორბელიანის თავმჯდომარეობით, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ ტექსტი გამოსაცემად უნდა მოემზადებინა ილია ჭავჭავაძეს, რაფიელ ერისთავს, ივანე მეუნარგიას და ივანე მახაბელს. სარედაქციო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ილია ჭავჭავაძე.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შერჩევასა და გამოცემაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულები აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, დიმიტრი ერისთავი, ვანო მახაბელი და სხვები. ზემოაღნიშნული პირებიდან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ვანო მახაბელი, რომლის სახელსაც უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემად დამფინანსებლის მოძიება, ამასთან დაკავშირებით ილია ჭყონია იგონებს: „ერთ დღეს დროების რედაქციაში ივანე მახაბელს ეწვია ცნობილი ქართველი მეცენატი გიორგი ქართველიშვილი და უთხრა: ვანო, ერთი მილიონი დამიგროვდა, საქმე ვერ მომიძებნია, აბა ერთი მწერალს და ბანკირს თუ გაქვს ნიჭი მოსაგები რამ მირჩიო.

– სწორედ დღეს მოვიდა კორესპონდენცია ქართლიდან პურის მოსავალი კარგია, მაგრამ მყიდველი არ ჩანსო, იყიდე მაგ ფულით და მოუგებლობა ხომ არ იქნებაო“.<sup>16</sup> მართლაც, გიორგი ქართველიშვილმა შეიძინა პურის მარცვალი საიდანაც საკმაოდ კარგი მოგება ნახა და 1000 მანეთი გადადო „ვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემად.

ვანო მახაბლისა და გიორგი ქართველიშვილის საუბრის შესახებ 1829 წელს „მნათობი“ იუწყებოდა, რომ „1000 მანეთი გადამიდგია შენს განკარგულებაში, რა საქმესაც მეტყვი, იმას დავახარჯებ. მახაბელმა უთხრა „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრული გამოცემა, ისიც დათანხმდა და საქმე გაიჩარხა“.<sup>17</sup>

„ვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემად, როგორც აღნიშნეთ, შეიქმნა კომისია რომელსაც ევალეობდა, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობა აღნიშნულ კომისიასთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა გიორგი ქართველიშვილს. 1884 წლის №210 გამოცემა გაზეთ „დროებისა“ იუწყებოდა: „გუშინწინ საღამოს სურათებიანი „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემლის ბ. ნ. გ. ქართველიშვილის წინადადებით შემდგარმა კომისიამ რომელმაც უნდა განაგოს როგორც ამ წიგნის დაბეჭდვისა და ზიხის მიერ სურათების დახატვის საქმე, ისე თვით ამ ორი წლის წინათ გასწორებულის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენაც, როგორც ვიცით „ვეფხისტყაოსნის“ გამასწორებელმა კომისიამ შეასრულა მხოლოდ ერთი ნაწილი თავის შრომისა, ნაწილი მცირე და მარტივი ახლა ახალს კომისიას ვალად ედგება უფრო ძნელი რთული და დიდად საგონებელი საქმე. რაც პირველმა კომისიამ ვარიანტები აღმოაჩინა, ახლა ახალმა უნდა განიხილოს, უნდა არჩევანში შევიდეს და გამოარჩიოს ის ფრაზა, ის სიტყვა, ის განმარტება, რომელიც იმის აზრით, უფრო ეკუთვნის რუსთაველის კალამს. საქმე როგორც ხედავთ, დიდად და დიდად მძიმეა.

ამას გარდა, კომისიის ვალაა გადათარგმნოს ფრანგულ ენაზე ბ. ზიხისთვის ის ადგილები „ვეფხისტყაოსნისა“, რომელებიც შეიცავენ აღწერას ზიხის მიერ დასახატ სურათებისას.

თუ მივიღებთ კიდევ მხედველობაში, რომ კომისიისავე ვალაა ყოველივე მიწერ-მოწერა აწარმოოს ამ საქმის შესახებ შეუკვეთოს და გამოიწეროს ახალი შრიფტი, სათაური ასოები, ცალკე მოსართობი ნახატები, ვინეიციკები და საორნამენტო კუთვნილებანი როგორც დაბეჭვდა თვით ზიხის სურათებისა ან პეტერბურგის და რომელსამე საზღვარ-გარეთის ლიტოგრაფიაში, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ კომისიას არა მცირე შრომა და ჯაფა მოეწიოს „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭვდის დროს“.<sup>18</sup>

1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო წერილი: „თუმცა განცხადებისამებრ სურათებიანი „ვეფხისტყაოსნის“ ამ წლის იანვრის პირველადე უნდა გამოსულიყო, მაგრამ ამ ძნელს და

<sup>16</sup> ლიანა ფერაძე. ჟურნალი „მწიგნობარი“, 2004, გვ. 117.

<sup>17</sup> ჟურნალი „მნათობი“, 1828, №7, გვ. 224.

<sup>18</sup> გაზეთი „დროება“, 1884, №210, გვ. 2.

ძვირფასს გამოცემას ბევრი დაბრკოლება დახვდა და ამის გამო პირობა ვადის შესახებ ვერ შევასრულეთ ერთი დაბრკოლება აუცილებელია თვით დიდ ქალაქშიაც და ადვილად წარმოსადგენია თბილისისთანა ქალაქში სადაც ჯერ ძვირფასი გამოცემა არ დაბეჭდილა. ჩვენ მივიღეთ ყოველივე ღონისძიება ამ დაბრკოლებათა ასაცილებლად და სრული იმედი გვაქვს, რომ წიგნი უეჭველად აპრილის დამდეგს გამოვა და გამოსვლისთანავე გაზეთში იქნება გამოცხადებული. ვისაც ხელი აქვს მოწერილი, მაშინ უნდა მოჰმართონ გამომცემელს წიგნის მისაღებად“.<sup>19</sup>

როგორც ამ წერილიდან ირკვევა გიორგი ქართველიშვილის მიერ დაფინანსებული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა გარკვეული მიზეზების გამო გაჭიანებულა, მართალია წერილში არაა დასახელებული ის მიზეზი, რამაც შეაფერხა პოემის გამოცემა, მაგრამ თუ წერილის შინაარსს დაუკვირდებით შესაძლებელია მიხვდეთ მიზეზს. საფიქრებელია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ფინანსურ საკითხებთან, რადგანაც გიორგი ქართველიშვილს აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ წარმატებული ჰქონდა, ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ პოემის გამოცემას აფერხებდა სათანადო სტამბის არარსებობა საქართველოში, ილუსტრირებული წიგნების დაბეჭდვის ტრადიცია იმ პერიოდში არცთუ ისე იყო განვითარებული.

მიუხედავად დაბრკოლებებისა, 1888 წელს დაიბეჭდა პირველად საქართველოს ისტორიაში ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსანი“, რომლის გამომცემლად მოგვევლინა გიორგი ქართველიშვილი.

რუსთაველის უკვდავი პოემის გამოცემის დაფინანსებას გიორგი ქართველიშვილის მხრიდან უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, სამართლიანად აღნიშნავენ გერმანელი მწერლები ბრეტა და არტურ ზუტენბერები, როდესაც გიორგი ქართველიშვილზე წერდნენ: „ძნელად მოსაფიქრებელია, ქართველმა კომერსანტმა ახალმა მეცენატმა 1000 თუმნამდე გადაიხადოს ლიტერატურულ ნაწარმოებთა დასაბეჭდად, ამგვარი ფაქტი ერთადერთია კავკასიის ლიტერატურის ისტორიაში და ამიტომ ღირს ამაზე ლაპარაკი“.<sup>20</sup>

1887 წელს საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III თავის მეუღლესთან ერთად გიორგი ქართველიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი თავის ხარჯით ათარგმნინა რუსულად, რომელიც შემდეგ ცალკე წიგნად დაიბეჭდა და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს მეუღლეს მიართვა, იმპერატრიცასაგან გიორგი ქართველიშვილმა სამადლობელი წერილი და ბეჭედი მიიღო. ამ ფაქტს გამოეხმაურა 1888 წლის №207 გამოცემა გაზეთი „ივერიისა“: „პარასკევს, 30 სექტემბერს, ბ. ნ. თ. გ. დ. ქართველიშვილმა და ი. მ. მეუნარგიამ მიართვეს მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცას, მისგან გამოცემული სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ ხავერდის ყდით, რომელზედაც ოქროს ასოებით იყო წაწერილი ქართული ასოებით მ. დ. თ. და მეორე მისგან შედგენილი რუსულ ენაზე წიგნაკი, რომელშიაც მოკლედ გამოთქმული იყო რუსთველის პოემის შინაარსი. ბ. ნ. გ. ქართველიშვილი და ი. მეუნარგია ღირსნი გახდნენ მისი უდიდებულესობის მადლობისა“.<sup>21</sup> ხოლო იმავე წლის ივერიის №209 ნომერში დაიბეჭდა კიდევ ერთი წერილი, სადაც გაზეთი იუწყებოდა, რომ „ბ. ნ. გ. დ. ქართველიშვილსა და ივანე მეუნარგიას, რომლებმაც მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცას მიართვეს ძვირფასი სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ და რუსულად გადაღებული „ვეფხისტყაოსანი“ უმაღლესად ებოძათ ბეჭდები, იაგუნდით და ბრილიანტებით შემკული“.<sup>22</sup>

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილმა გარდა რუსეთის იმპერატრიცისა საჩუქრად გადასცა ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსანი“ თბილისის სათავადაზნაურო სკოლას. თბილისის სათავადაზნაურო სკოლის დირექტორმა ალექსანდრე ჭიჭინაძემ სამადლობელი წერილი

<sup>19</sup> გაზეთი „ივერია“, 1888, №23, გვ. 1.

<sup>20</sup> ლიანა ფერაძე. ჟურნალი „მწიგნობარი“, 2004, გვ. 121.

<sup>21</sup> გაზეთი „ივერია“, 1888, №207, გვ. 1.

<sup>22</sup> გაზეთი „ივერია“, 1888, №209, გვ. 2.

გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“, რომელშიც კვითხულობთ: „ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით, მადლობა გადავუხადო ბატონს გიორგი ქართველიშვილს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულსა ჩემდამი თბილისის სათავადაზნაურო სკოლას გამოცემული მის მიერ სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“.<sup>23</sup>

გიორგი ქართველიშვილის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ იმდენად ღირებული იყო, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ საჩუქრად გაუგზავნა ქალაქ მაინციის გუბერნატორს, ხოლო ამ უკანასკნელმა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ სამადლობელი წერილი მოწერა, რომელიც 1900 წელს დაიბეჭდა „კვალში“: „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გაგზავნა ქალაქ მაინცში გუტენბერგის იუბილესთვის ბ. ქართველიშვილის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ ამ დღეებში მაინციის ქალაქის თავისაგან საზოგადოებას მოუვიდა მადლობის წერილი, რომელშიდაც ქალაქის თავი აცხობინებდა, რომ რუსთველის პოემა შეინახება გუტენბერგის სახსოვრად დაარსებულ ქალაქის მუზეუმში“.<sup>24</sup>

გიორგი ქართველიშვილის მეცნაბრობას და ქველმოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ემსახურებოდა ეროვნული თვითშეგნების პროპაგანდას. სწორედ გიორგი ქართველიშვილისნაირმა საზოგადო მოღვაწეებმა შეძლეს ის, რომ ეროვნული ღირებულებები გადაერჩინათ რუსული კოლონიური რეჟიმის პოლიტიკის გავლენისაგან, დარწმუნებული ვართ, რომ გიორგი ქართველიშვილი კიდევ ბევრი მამულიშვილური საქმის ორგანიზატორი იქნებოდა, რომ არა მისი უეცარი გარდაცვალება.

1901 წელს ქართულ საზოგადოებას გამოაკლდა კიდევ ერთი სასიქადულო მამულიშვილი გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი. მისი გარდაცვალება იქცა ტრაგედიად იმდროინდელი საზოგადოებისათვის, მის დაკრძალვას ესწრებოდნენ არა მარტო ქართველი საზოგადო მოღვაწენი, არამედ უბრალო მოქალაქენიც და გულისტკივილით, სიამაყით იხსენებდნენ გიორგი ქართველიშვილის ღვაწლს ქართველი ერის წინაშე.

გიორგი ქართველიშვილის დაკრძალვას ესწრებოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თითქმის ყველა წევრი, დრამატული საზოგადოების წევრები, ქალაქის მოურავის მოადგილე შესტაკოვი, ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები, თბილისის სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებლები.

პანაშვიდი გადაუხადა გორის ეპისკოპოსმა კირიონმა, გალობდნენ კარგარეთელისა და კავსაძის გუნდები, პანაშვიდის გადახდის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ: „ყოველი სული ქვეყნად მოვლენილი უნდა ასრულებდეს ციურ სამ ცნებას: ღვთისა და ეკლესიის სამსახურს, სწირავდეს ტაძარს სანთელსა და სარკმეველს, ცოლშილის ხელის შემწე იყოს, გზა ჭეშმარიტებისა და შრომა-მოღვაწეობა აღუნიშნოს და განათლებით უხელმძღვანელოს თავის საყვარელ სამშობლოს, თავის მემამულეთ. შემწეობა აღმოუჩინოს შეძლებისდაგვარად და მისი სიყვარული, სასოება საგალობელ საგნად აღსთქვას, ეს სამივე ცნება შენმა ჭკვიანმა და მგრძნობიარე სასოებით აღვსილმა გულმა პატიოსნად აღასრულა, ამისათვის ძვირფასო ყველასათვის გიორგი, არ ჩაირიცხები განსვენებულთა რიცხვში, რადგანაც შენი ხსენება, სიყვარული და მოღვაწეობა სამუდამოდ ერის გულში ექნება აღჭურვილი, ცად აღვლენილი შენი სახელობისა ვედრება ტკბილად მომდერად სიმებათ გარდაიქცევა, გიგალობებს შენ და ეგ ვარდები რომელიც საკაცეს გიმკობენ არ დატკენებიან არამედ ყოველთვის გულს შეგიმკობენ ნეტარს ცხოვრებაში და იქიდანაც შეიძლება მოუვლინო დადადი შენს სახელობასა და ქრისტეს ვედრება, სახელობის მფარველობა მამულისა და ერის სიყვარული ასწავლო“.<sup>25</sup>

გიორგი ქართველიშვილის დაკრძალვაზე შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე მღვდელმა კალისტრატე ცინცაძემ (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი): „ვინ არ

<sup>23</sup> ალექსანდრე ჭიჭინაძე. გაზეთი „ივერია“, 1888, №115, გვ. 2.

<sup>24</sup> გაზეთი „კვალი“, 1900, №7, გვ. 104.

<sup>25</sup> გაზეთი „ივერია“, 1901, №213, გვ. 2.

იცის მაგალითად, თუ რამდენად სასარგებლო ადამიანი იყო აწ განსვენებული გიორგი! ღვთისა და ეკლესიის მოყვარე, მამულისა და სამშობლოს ერთგული, ოჯახისა და ცოლშვილისათვის თავდადებული, განათლებისა და მწიგნობრობის მოტრფიალე მღვდელთა და მონაზონთა პატივისცემელი, ქერივთა და ობოლთა განმკითხველი, პატიოსნებით აღვსილი, დაუღალავი მუშაკი და საუკეთესო წარმომადგენელი ძველი ქართველი, დარბაისელი მამაკაცისა, ვის გულს არ მოხვდა ამბავი ამის სიკვდილისა, ვის არ ეუცხოვა სიკვდილი ამისა“.<sup>26</sup>

გიორგი ქართველიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთმა „კვალმა“ გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი სტატია, სადაც აღნიშნულია: „26 სექტემბერს, თბილისში გარდაიცვალა ჩვენში საკმარისად ცნობილი გიორგი ქართველიშვილი. განსვენებულს სკოლაში განათლება არ მიუღია, მაგრამ თავისი შრომით და მტკიცე ენერგიით მან დიდი პატივისცემა დაიმსახურა ადგილობრივ საზოგადოებაში კერძოდ: ცხოვრებაში გიორგი ქართველიშვილი ცნობილი იყო, როგორც სინდისიერი და განათლებული კომერსანტი, მაგრამ არა ამ მხრით არის საყურადღებო განსვენებულის ცხოვრება ქართველი საზოგადოებისათვის. გ. დ. ქართველიშვილს უყვარდა ქართული ლიტერატურა და მისი აღორძინება წარმატებისათვის ზრუნვა, ყველა იცნობს განსვენებულის მიერ გამოცემულ სურათებიან „ვეფხვისტყაოსანს“, რომელიც მას 200 მანეთი დაუჯდა. ეს კიდევ არაფერი, გიორგი ქართველიშვილს მიუძღვის უფრო დიდი ამაგი ქართული ლიტერატურისადმი. როცა სერგეი მესხი დაავადმყოფდა და იძულებული შეიქმნა ლიტერატურული მოღვაწეობისათვის თავი დაენებებია და გაზეთის „დროების“ გამოცემა სხვისთვის გადაეცა, მაშინ ივანე მანაბელმა მოიწადინა „დროების“ შექმნა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო მანაბელს არ შეეძლო გაზეთის შექმნა. ამნაირად გაზეთის გამოცემა უნდა შეჩერებულიყო, მაგრამ „დროება“ იხსნა განსაცდელიდან გიორგი ქართველიშვილმა. განსვენებულმა გადასცა 500-600 თუმნამდე, როგორც მოგვითხრობს ბ. ურბნელი და თვითონაც გამოცემლობა იკისრა. გარდა ამისა განსვენებული სხვა კეთილ და სასარგებლო საქმეებშიაც ყველას დახმარებას უჩენდა, რისთვისაც მას პატივისცემით მოიხსენებენ“.<sup>27</sup>

აი ასეთი შესანიშნავი მამულიშვილი 1901 წლის 30 სექტემბერს დაკრძალეს მის მიერვე აღდგენილ ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ეზოში.

## Durmishkhan Lashkhi

### Giorgi Kartvelishvili, a Prominent Georgian Philanthropist

#### Summary

Giorgi Kartvelishvili belongs to the group of entrepreneurs who were involved not only in doing their businesses, but also in making donations. Many patriotic actions are related to his name.

Giorgi Kartvelishvili was greatly assisting Reading and Writing Spreading Society, Georgian Theatre, a number of Georgian newspapers and journals (it is a well-known fact that due to his financial support the newspaper “Droeba” was not shut down), Georgian students.

Giorgi Kartvelishvili attached great importance to financing publishing of books. Giorgi Kartvelishvili was the person thanks to whom the poem “Night in Panther’s Skin” written by Shota Rustaveli and illustrated by Zichi, as well as the first volume of History of Georgia by Vakhushti Bagrationi were published.

<sup>26</sup> კალისტრატე ცინცაძე. ჟურნალი „მწეგმისი“, 1901, №20, გვ. 14.

<sup>27</sup> გაზეთი „კვალი“, 1901, №4, გვ. 853.



## საბა სალუაშვილი, დოქტორანტი

### სომხეთში მისვლის თარიღი, ანუ ლტოლვილობის კონკრეტული წელი

წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ლტოლვილობის დაწყების სავარაუდო წლის დადგენისათვის, საჭიროა გამოვიკვლიოთ მათი სომხეთში მისვლისა და იქ „რიფსიმიანთა წამების“ თარიღთან დაკავშირებული საკითხები.

#### 1) ლტოლვილთა „საბოლოო“ ადგილსამყოფელი

ქართულ წყაროებში, ქ. ეფესოდან ლტოლვილი წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების „საბოლოო“ ადგილსამყოფელთან დაკავშირებით, მცირეოდენი განსხვავებანი შეიმჩნევა. მოდით განვიხილოთ თითოეული მათგანი.

- „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ - „...და ვითარცა წარმოივლტოდა რიფსიმე ზღუად, გაიანე და ნინო და სხუანი ვინმე მათ თანა გამოვიდეს არეთა სომხითისათა, საყოფელთა თრდატ მეფისასა...“<sup>1</sup> თითქმის ანალოგიური ინფორმაციაა დაცული „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მეორე ნაწილშიც - „...რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედამძუძედ და ორმეოც და ათი სული წარმოვემართენით... და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა მას თრდატ მეფისასა...“<sup>2</sup>

- იგივე აზრი, ოდნავ განსხვავებულადაა წარმოდგენილი არსენ ბერისეულ რედაქციაში - „...იქმნა სივლტოლად რიფსიმესი საბერძნეთით და... მიჰმართა ადგილთა სომხითისათა მისთანა და ვითარცა მოიწივნეს მახლობელად სამოთხესა თრდატ მეფისასა...“<sup>3</sup>

მაშასადამე, ზემო თქმულიდან გვეუწყება, რომ სომხეთში მისული რიფსიმე და წმ. ნინო გაჩერებულან - „...სამოთხესა თრდატ მეფისასა“, მაგრამ ამ ადგილის სახელი არ გვიკონკრეტდება. სამაგიეროდ, აღნიშნულ წყაროთა ამ ნაკლს ერთგვარად ავსებს ლეონტი მროველი. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ „...და მოვიდეს ლტოლ-ვილნი არეთა სომხითისათა, ადგილსა მას, რომელსა ჰქვიან ახალქალაქი, უაღერეს შენებულსა, რომელ არს დვინი, საყოფელი სომეხთა მეფისასა...“<sup>4</sup>

<sup>1</sup> **მისეილ (გელა) სალუაშვილი, საბა სალუაშვილი.** „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“. თბილისი, 2010, გვ. 12; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. დასაბუჯდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ანკიევა და ც. ჯღამაიამ. ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით. წიგნი I (V-X სს.). თბილისი, 1963, გვ. 84.

<sup>2</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“. გვ. 60; „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. გვ. 115.

<sup>3</sup> „ცხოვრება წმიდა ნინოსი“. შედგენილი დიდის არსენ ქართლისა კათალიკოსის მიერ X საუკუნეში, XI-XII-ს ხელნაწერიდან. დაბეჭდილი მღ. პ. კარბელაშვილის რედაქციით და ბოლოთქმით. ტფილისი, 1902, გვ. 15.

<sup>4</sup> **სიმონ ყაუხჩიშვილი.** ქართლის ცხოვრება. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 82.

„ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ხელნაწერებში თრდატ მეფის ადგილსამყოფელის თაობაზე ასეთი ინფორმაციაა „...9 ახალქალაქ დ. 9 უაღერეს ჩ, ვალარ (შაპატი) („ვალარშის ნაგებო“) სომხ. აგათ., უაღერეს ცეტი. 9 საყოფელი მყოფთა სომეხთა ჩ (მყოფთა-მეფეთა)...“<sup>5</sup>

მოდით ახლა ვნახოთ, თუ რა კავშირი შეიძლება იყოს, აქ მოხსენიებულ - „ახალქალაქს“, „დვინსა“ და „ვალარშის ნაგებს“ შორის:

როგორც ვიცით, ვალარშაპატი, დღევანდელი ენშიაძინი, სომხეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია;<sup>6</sup>

თავად ენშიაძინის თაობაზე ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ „...ახლანდელი ენშიაძინის ადგილზე ძვ. წ. II ს-ში დასახლება ვარდკესავანი, რომლის ტერიტორიაზე II ს. I ნახევარში გაშენდა ქალაქი ვალარშაპატი (II ს. II ნახევარში სომხეთის დედაქალაქი)...“<sup>7</sup>

ლეონტი მროველის მიერ მითითებული დვინის თაობაზე ცნობილია, რომ „დვინი, ვოსტან დვინი, ქალაქი(ა) სომხეთში IV-XIII სს. მსოფლიო სავაჭრო ხელოსნობის ცენტრი. ერეკნის სამხრეთით 35 კმ-ზე IV ს. 30-იან წლებში არშაკუნიანებმა აქ ციხე ააგეს და სამეფო რეზიდენციაც გადაიტანეს...“<sup>8</sup>

მაშასადამე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქ. დვინის, როგორც სამეფო რეზიდენციის მშენებლობა ემთხვევა ლტოლვილების სომხითში ჩასვლის სავარაუდო დროს, მაშინ გასაგები ხდება, რომ ლეონტი მროველისეული ტერმინი „ახალქალაქი“, თავისი არსით ქ. დვინის, როგორც ახალი ქალაქის აშენებისეული დროის მიმანიშნებელი უნდა იყოს.

## 2) „მისვლიდან - „წამებამდე“

ქართულ წყაროებში, თრდატ მეფისაგან, ჩვენს მიერ საძიებელ წამებულ პირთა ოდენობის თაობაზე ასეთი ინფორმაციებია დაცული:

- „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ „...რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედამძუქედ და ორმეოც და ათი სული წარმოვემართენით. და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა მას თრდატ მეფისასა. იგინი მოიკლნეს...“<sup>9</sup>

- „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით კი - „...და ერთობით განზრახვითა ურთიერთას ყოველთავე დაუტევეს ქუეყანა იგი ფარულად ორმოცდაცამეტმან სულმან. და მოვიდეს ლტოლვილნი არეთა სომხითისათა... არა ერჩდა წმიდა რიფსიმე, მაშინ იწამა იგი, დედამძუქე მისი გაიანე და სხუანი მრავალნი მათთანნი...“<sup>10</sup>

- არსენ ბერი აღნიშნულის თაობაზე ასეთ ინფორმაციას გვაწვდის „...იქმნა სივლტოლად რიფსიმესი საბერძნეთით და გაიანე აღმზრდელი მისი და სხუანი იგი ერგასისნი (აქ: ორმოცდაათი – ს. ს.) სულნი... ვითარცა მოიწივნეს მახლობელად სამოთხესა თრდატ მეფისასა... წმიდა რიფსიმე და მისთანანი იგი იწამნეს სახელისა ქრისტესისა თრდატის მიერ...“<sup>11</sup>

- რიფსიმესა და გაიანესთან ერთად წამებულებს, XIII ს-ის მეტაფრასული რედაქცია ასე მოიხსენიებს „...და ესე რად განიზრახეს, მას ღამესა მეოტ იქმნნეს და მათ თანა იყვნეს სხუანიცა

<sup>5</sup> „ქართლის ცხოვრება“. ტ. I. გვ. 82.

<sup>6</sup> იხ.: ქს.ე. ტ. 4. „ვალარშაპატი“, ქს.ე. ტ. 4. თბილისი, 1979, გვ. 327.

<sup>7</sup> ქს.ე. ტ. 4. „ენშიაძინი“, ქს.ე. ტ. 4. თბილისი, 1979, გვ. 259.

<sup>8</sup> ქს.ე. ტ. 3. „დვინი“, ქს.ე. ტ. 3. თბილისი, 1978, გვ. 491.

<sup>9</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“. გვ. 60; „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. გვ. 115.

<sup>10</sup> „ქართლის ცხოვრება“. ტ. I. გვ. 82-84.

<sup>11</sup> „ცხოვრება წმიდა ნინოსი“. შედგენილი დიდის არსენ ქართლისა კათალიკოზის მიერ. გვ. 15.

სახლეულები დედანი... მაშინ თრდატ, ვითარცა ვერა აღასრულა ნებად თვისი, მისცა ტანჯვად და სიკუდილად წმიდანი იგი დედანი...“<sup>12</sup>

ჩვენთვის საძიებელი საკითხის განხილვისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია „რიფსიმიათა“ წამების კონკრეტული თარიღის დადგენა. ამ საკითხთან მიმართებაში, დღეისათვის, ერთიანი აზრი არ არსებობს. ბერძნულიდან 1981 წელს ქართულად გადმოთარგმნილი ვერსიის თანახმად „... იყო დღე იგი, რომელსა შინა იწამა წმიდად რიფსიმე, ოც და ექუსი თვისა სექტემბრისად...“ (მელიქსეთ-ბეგი 1920: VI და 28). თუმცა, თუ „... რიფსიმიათა წამების“ ძველ ქართულ თარგმანში ლტოლვილთა დასჯის დღედ 26 სექტემბერია მითითებული... არაბულ თარგმანში კი – 26 ოქტომბერი...“ (გოილაძე 1986: 154). ვახტანგ გოილაძე იქვე ასე აღნიშნავს: „...ლტოლვილი ქრისტიანები... 3 მაისს... უკვე ვადარშაპატში მოსულან, სადაც თრდატ III -მ სომეხთა ლტოლვილები სიკვდილით დასაჯა“.<sup>13</sup>

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი რედაქციები, გამოკვეთილად არაფერს ამბობენ, თუ დროის რა მონაკვეთია გასული რიფსიმიათა სომხითში ჩასვლიდან მათ წამებამდე. აღნიშნულის თაობაზე მინიშნება მხოლოდ არსენ ბერისეულ რედაქციაშია დაცული: „...იქმნა სივლტოლად რიფსიმესი საბერძნეთით და გაიანე აღმზრდელი მისი და სხუანი იგი ერგასისნი სულნი... ვითარ მოიწივნეს მახლობლად სამოთხესა თრდატ მეფისასა და დაადგრეს მუნ ჟამ რავდენმე...“<sup>14</sup> თუმცა, როგორც ვხედავთ, მინიშნებული „დაადგრეს მუნ ჟამ რავდენმე“, კონკრეტული ინფორმაციის შემცველი არ არის.

ქართულ წყაროთა შორის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ერთადერთია, რომელშიც რიფსიმიათა წამების კონკრეტული დროა მოცემული. ჩვენი შემდგომი თხრობაც, სწორედ მასზე დაყრდნობით იქნება აგებული.

### 3) ქ. ეფესოდან ლტოლვილობის დაწყებისა და სომხითში „რიფსიმიათა წამების“ კონკრეტული - რიცხვი, თვე და წელი

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ: „...რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედამიუქედ და ორმეოც და ათი სული წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა მას თრდატ მეფისასა. იგინი მოიკლნენ მუნ თთუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა...“<sup>15</sup>

ჩვენთვის საძიებელი ლტოლვილობის დაწყების კონკრეტული წლის დადგენაში დაგვეხმარება ქართულ წყაროში მითითებული „რიფსიმიათა“ წამების თაობაზე არსებული კონკრეტული თარიღისეული მინიშნება: „...იგინი მოიკლნეს მუნ თუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა...“.<sup>16</sup> თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ - „პირველ თვეში“: მარტია ნაგულისხმევი, მაშინ გამოდის, რომ „რიფსიმიათა წამების“ თარიღია 30 მარტი, რომელიც პარასკევი დღე ყოფილა. ჩვენთვის საძიებელი საკითხის გასაღებიც, სწორედ აღნიშნულ ინფორმაციაში უნდა ვეძიოთ.

<sup>12</sup> **სოლომონ ყუბანეიშვილი.** ცხოვრება და მოქალაქეობად ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოდსი.– ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. ტ. I. თბილისი, 1946, გვ. 220.

<sup>13</sup> **ვახტანგ გოილაძე.** წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის.– ჟურნალი მნათობი“, 12, თბილისი, 1986, გვ. 156.

<sup>14</sup> „ცხოვრება წმიდა ნინოსი“. შედგენილი დიდის არსენ ქართლისა კათალიკოზის მიერ. გვ. 15.

<sup>15</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“. გვ. 60; „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. გვ. 115.

<sup>16</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“. გვ. 60; „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. გვ. 115.

ჩვენ ახრით წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ლტოლვილობის სავარაუდო წელი: IV ს-ის 20-იანი წლების დასაწყისზე მოდის.<sup>17</sup>

ჩვენს მიერ გამოთვლილი თარიღებიდან ერთ-ერთი: აღმოსავლეთ რომის იმპერიის ერთპიროვნული მმართველის - ლიკინიუსის სიცოცხლის ბოლო წლებთან დაკავშირებულ ცნობებს ეყრდნობა, რომლის თანახმადაც 319/320 – 324/325 წლები გამოიკვეთა, სადაც - 319/320 წლები ლიკინიუსის მიერ ქრისტიანთა დევნის განახლების, ხოლო 324/325 წლები – მისი გარდაცვალების თარიღებია.<sup>18</sup>

იმაში გასარკვევად, თუ დასახელებულ დროით მონაკვეთში, რომელია ლტოლვილობის დაწყების კონკრეტული წელი, სწორედ ქართულ წყაროში მოცემული ლტოლვილთა წამების თარიღი დაგვეხმარება „...იგინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა...“<sup>19</sup>

მოდით ეხლა ვნახოთ წმ. ნინოს ცხოვრების სავარაუდო დროის მონაკვეთში, ანუ IV ს-ის 40-იან წლებამდე, კონკრეტულად რომელ წლებში იყო მარტის 30 რიცხვი პარასკევი დღე-ამისათვის გამოვიყენოთ ვ. კალანდაძის მიერ მომზადებული „კალენდარი მუდმივი და უნივერსალური“.

აღნიშნული კალენდრის მიხედვით <sup>20</sup> ვგებულობთ, რომ მარტის 30 რიცხვი პარასკევი დღე ყოფილა: 305, 311, 316, 322 და 333 წლებში. მაშინ თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენთვის საძიებელი ლტოლვილობის სავარაუდო წელი IV ს-ის 20-იანი წლების დასაწყისზე, უფრო ზუსტად კი, ლიკინიუსის მმართველობის ბოლო 319/320 – 324/325 წლებზე უნდა მოდიოდეს, მაშინ ზემოთ მოყვანილი წლებიდან, ამ დროით მიჯნაში, ერთადერთი, 322 წელი ხვდება.

მაშასადამე, ქართული წყაროებისა და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, შესაძლებელი გახდა ზუსტად დაგვედგინა „რიფსიმიანთა“ წამების კონკრეტული თარიღი, ესაა 322 წლის 30 მარტის პარასკევი დღე.

შესაბამისად, რადგანაც ქართული წყაროების მიხედვით წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ქ. ეფესოდან გამოქცევის თარიღია „თთუესა პირველსა ათხუთ-მეტსა...“ მაშინ გამოდის, რომ მათი ლტოლვილობა 322 წლის 15 მარტს, ხუთშაბათ დღეს დაწყებულა.

#### 4) „საწნეხელის“ არსი, ანუ ლტოლვილთა სომხითში ჩასვლის თარიღის თაობაზე

როგორც ცნობილია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მხოლოდ ლტოლვილობის დაწყებისა და მათი წამების კონკრეტულ თარიღებს გვითითებს და არაფერს ამბობს წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების სომხითში ჩასვლის დროითი მიჯნის თაობაზე.

უნდა ვიფიქროთ, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიის „მეფე“-„კეისარი“, ანუ ლიკინიუსი ეფესოდან გამოქცეულებისა და მათი სავარაუდო მარშრუტის თაობაზე 15 მარტის ახლო დღეებშივე შეიტყობდა და შესაბამის ღონისძიებასაც მიმართავდა. მის მიერ გატარებული ღონისძიების ერთგვარი ანარეკლი უნდა იკითხებოდეს ქართულ წყაროებში დაცულ იმ ინფორმაციაში, რომელიც კეისრის მიერ თრდატ მეფისადმი გაგზავნილ წერილს ეხება. აღნიშნული ცნობა მხოლოდ „ქართლის ცხოვრებასა“ და XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციებშია

<sup>17</sup> იხ.: ს. საღუაშვილი. ქართლის მოქცევის თარიღთან დაკავშირებული სასიტორიო ძიებები. თბილისი, 2010.

<sup>18</sup> იხ.: ს. საღუაშვილი. ქართლის მოქცევის თარიღთან დაკავშირებული სასიტორიო ძიებები. თბილისი, 2010.

<sup>19</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“. გვ. 60; „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. გვ. 115.

<sup>20</sup> ვ. ა. კალანდაძე. კალენდარი მუდმივი და უნივერსალური. თბილისი, 1973, გვ. 2-3.

დაცული<sup>21</sup> (თავის მხრივ, ამდაგვარი წერილის თაობაზე მიგვენიშნება აგათანგელოსის თხზულებაშიც<sup>22</sup>).

„წმ. ნინოს ცხოვრების“ გადმოცემ ამავე წყაროებში დაცულია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მინიშნებაც, რომლის მეშვეობითაც, ჩვენის აზრით, შესაძლებელი ხდება წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების სომხეთში ჩასვლის სავარაუდო თარიღის დადგენა.

თხრობის გაგრძელებამდე შევნიშნავთ, რომ ისტორიულ წყაროებში დაცული ნებისმიერი ინფორმაცია, როგორც წესი, კონკრეტული მინიშნების მატარებელია. ჩვენის აზრით, სწორედ აღნიშნული კუთხით უნდა იყოს საინტერესო დასახელებულ ქართულ წყაროებში არსებული „საწნეხელთან“ დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ „...და მოვიდეს ლტოლვილნი არეთა სომხითისათა... და შევიდეს მუნ საწნეხელთა ვენახისათა...“<sup>23</sup> და „...ვითარცა მოიწივნეს სომხითად, სამეფოსა თრდატისსა, დაიმალნეს საწნეხელთა შინა...“<sup>24</sup>

აღნიშნულ მონაკვეთებში ტერმინ „საწნეხელის“ გამოყენების სიხშირე ასეთია: „საწნეხელთა ვენახისათა“,<sup>25</sup> „საწნეხელთა მათ შინა“,<sup>26</sup> „დაიმალნეს საწნეხელთა“<sup>27</sup> და „საწნე-ხელთა შინა“.<sup>28</sup>

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ წყაროებში ტერმინი „საწნეხელი“ ორ-ორჯერ გვხვდება, ანუ სწორედ იმდენჯერ, რამდენჯერაც იგი სახარებაშია დაცული.<sup>29</sup>

მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „...იყო ერთი სახლის პატრონი, რომელმაც ჩაყარა ვაზი, ღობე შემოავლო, შიგ საწნახელი ამოკვეთა...“ (მათე 21, გვ. 33).

იგივე აზრი, ოდნავ განსხვავებულად, მარკოზის სახარებაში ასეა გადმოცემული: „...ერთმა კაცმა ჩაყარა ვაზი, შემოღობა, ამოკვეთა საწნახელი...“ (მარკ. 12,1).

მეორეს მხრივ, სახარებაში მაცხოვრის ასეთი სიტყვებია დაცული: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი და მამა ჩემი მევენახეა“ (იოანე 15,1). ამ კუთხით ვაზის ნაყოფის დაწურვისათვის განკუთვნილი საწნახელი, ერთ-ერთი ფორმით, მისტერიულად, ღმერთის არსის, ანუ სიტყვის (აქ - „მე ვარ ვაზის“) მიღებასთან კავშირდება.

აღნიშნული, ყველაზე უკეთ, ქრისტიანულ საეკლესიო დღესასწაულ ხარებასთან ერთგვარი პარალელის გავლების საშუალებას გვაძლევს, სადაც მისტერიული კუთხით მარიამი „საწნახელთან“, ხოლო მის ძე „ვაზთან“ ასოცირდება.

როგორც ცნობილია „ხარება ქრისტიანულ ეკლესიაში ერთ-ერთი საეკლესიო დღესასწაული(ა) (უძრავი), აღინიშნება 25 მარტს ძვ. სტილით (7 აპრ. ახ. სტილით). სახარების (ლუკა 1,28-35) მიხედვით, გაბრიელ მთავარანგელოზს უხარება მარიამ ღვთისმშობლისათვის, რომ მისგან იშვებოდა იესო ქრისტე, ძე ღვთისა. ქრისტოლოგიაში ხარება მიჩნეულია კაცობრიობის ხსნის დასაბამად, საუკუნეებით დაფარული ღვთის საიდუმლოს გამოცხადებად და სხვა...“<sup>30</sup>(აგათანგელოსის მინიშნება აღნიშნულ ტერმინთან მიმართებაში ასეთია: „...წარ-მოვიდეს მიერ და მოიწივნეს ქალაქსა არარატისასა და იყვნეს სადგურად მათდა საწნეხელნი ქალაქისანი...“<sup>31</sup> აქვე გავეცნოთ ამ ტერმინის გამოყენების სიხშირესაც: „საწნეხელნი

<sup>21</sup> იხ.: „ქართლის ცხოვრება“. ტ. I. გვ. 82-83; „ცხოვრებად და მოქალაქეობად ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოდისი“. გვ. 220.

<sup>22</sup> იხ.: „ცხოვრებად წმ. გრიგოლ პართელისადა“. შემდგენელი ლეონ მელიქსეთ-ბეგი. ქართული ძეგლები. I. საეკლესიო მწერლობა 2. ტფილისი, 1920, გვ. 22.

<sup>23</sup> „ქართლის ცხოვრება“. ტ. I. გვ. 82.

<sup>24</sup> „ცხოვრებად და მოქალაქეობად ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოდისი“. გვ. 220.

<sup>25</sup> „ქართლის ცხოვრება“. ტ. I. გვ. 82.

<sup>26</sup> „ქართლის ცხოვრება“. ტ. I. გვ. 84.

<sup>27</sup> „ცხოვრებად და მოქალაქეობად ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოდისი“. გვ. 220.

<sup>28</sup> „ცხოვრებად და მოქალაქეობად ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოდისი“. გვ. 220.

<sup>29</sup> იხ.: ივანე იმნაიშვილი. „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“. თბილისი, 1986, გვ. 525.

<sup>30</sup> ბ. ლომინაძე. ხარება. ქ.ს.ე. ტ. II. თბილისი, 1987, გვ. 437.

<sup>31</sup> „ცხოვრებად წმ. გრიგოლ პართელისადა“. გვ. 21.

ქალაქისანი“; „ვითარმედ საწნეხელთა“; „საწნეხელთა მათგან“; „იგინი საწნეხელთა“; „ზედა საწნეხელთასა“<sup>32</sup>).

ყოველივე ზემო თქმული საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ქართული წყაროებისეული მინიშნება, იმის თაობაზე, რომ სომხეთში მისული ქრისტიანი ლტოლვილები, თურმე „დაიმაღნეს საწნეხელთა შინა“,<sup>33</sup> შეფარულად უნდა გვითითებდეს კონკრეტულ თარიღზე – 25 მარტზე, რომელიც, ერთის მხრივ ხარების დღესასწაულის, ხოლო მეორეს მხრივ ლტოლვილთა სომხეთში მისვლის დროითი მიჯნის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული წყაროებისეული „საწნეხელი“, ხარების დღესასწაულის გამართვის დროზე დაყრდნობით, სწორედაც რომ ლტოლვილთა სომხეთში მისვლის თარიღზე – 25 მარტზე უნდა მიგვანიშნებდეს.

## 5) დასკვნა

და ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ საძიებელი საკითხის მთლიანი სურათის აღდგენა მხოლოდ „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქციაში დაცული ცნობების ურთიერთშეჯერებისა და ურთიერთანალიზის წყალობით ხდება შესაძლებელი, კერძოდ:

- უპირველეს ყოვლისა მოხერხდა წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ქ. ეფესოდან გამოქცევის წლის დადგენა, ესაა ახ. წ. 322 წელი;

- მხოლოდ: „მოქცევაჲ ქართლისაჲსეული“ ცნობა „...წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა...“<sup>34</sup> გვაუწყებს, რომ ლტოლვილები, დადგენილი წლის 15 მარტს, ხუთშაბათ დღეს გამოქცეულან;

- მხოლოდ: „ქართლის ცხოვრებისა“ და XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციებში დაცული ცნობის „...და ვითარცა მოიწივნეს სომხითად, სამეფოსა თრდატისსა, დაიმაღნეს საწნეხელთა შინა...“<sup>35</sup> თანახმად, მოხერხდა განგვესაზღვრა, რომ ლტოლვილები, სომხეთში ჩასულან დადგენილი წლის ხარება დღეს, 25 მარტის კვირა დღეს;

- მხოლოდ: არსენ ბერისეულ თხზულებაში დაცული ინფორმაციის მეშვეობით ვგებულობთ, რომ თურმე ლტოლვილები სომხეთში მისვლის (25 მარტის) შემდეგ, იქ გარკვეული დროის მანძილზე იმალებოდნენ „...ვითარცა მოიწივნეს მახლობელად სამოთხესა თრდატ მეფისასა და დაადგრნეს მუნ ჟამ რავდენმე...“<sup>36</sup>

- და ბოლოს, მხოლოდ: „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით ვგებულობთ, რომ თრდატ მეფის მიერ სომხეთში მისულ ლტოლვილთა წამება დადგენილი წლის 30 მარტს, პარასკევ დღეს, მომხდარა „...იგინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა...“<sup>37</sup> მაშასადამე, ზემო თქმული „ჟამ რავდენმე“, თურმე მარტის თვის 25-დან 30-მდე არსებულ დროით მიჯნას მოიცავს.

თავად წამებულთა თაობაზე კი არსენ ბერისეული რედაქცია ასე გვაუწყებს: „...წმიდად რიფსიმე და მისთანანი იგი იწამნეს სახელისათვის ქრისტესისა თრდატის მიერ და გურგუნ

<sup>32</sup> იხ.: შესაბამისად „ცხოვრებაჲ წმ. გრიგოლ პართელისაჲ“. გვ. 21, 22, 25, 31, 36.

<sup>33</sup> „ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსის“. გვ. 220.

<sup>34</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“. გვ. 60; „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. გვ. 115.

<sup>35</sup> „ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსის“. გვ. 220.

<sup>36</sup> „ცხოვრებაჲ წმიდა ნინოსის“. შედგენილი დიდის არსენ ქართლისა კათალიკოსის მიერ. გვ. 15.

<sup>37</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“. გვ. 60; „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. გვ. 115.

შემკობილნი ღირს იქმნნეს სასუფეველსა...“<sup>38</sup> ხოლო „ქართლის ცხოვრება“ კი აზუსტებს, რომ „...რომელნიმე მათ წმიდათაგანნი დაიმაღნეს და ივლტოდეს...“-ო.<sup>39</sup>

მაშასადამე, ქართული წყაროების მიხედვით, საძიებელ დროში მომხდარის მთლიანი სურათი ასეთია: ლტოლვილობის დაწყების წელია ახ. წ. 322 წელი; ქ. ეფესოდან მათი გამოქცევა მომხდარა 322 წლის 15 მარტს, ხუთშაბათ დღეს; ლტოლვილები სომხეთში მისულან ამავე წლის 25 მარტს, კვირა დღეს; ხოლო სომხეთში ჩასული ლტოლვილები თრდატ მეფეს იმავე წლის 30 მარტის პარასკევ დღეს უწამებია.

## **Saba Saluashvili**

### **The date of arrival in Armenia, concrete year of refugee**

#### Summary

Our findings has revealed that the starting year of the refuge is A. D322 year, Their flee from Ephesus was happened on Thursday, 15<sup>th</sup> March , 322 y. Refugees arrived in Armenia on 25 March, Sunday, in the same year and the king Trdat of Armenia tortured them On Friday, 30<sup>th</sup> March.

---

<sup>38</sup> „ცხოვრება წმიდა ნინოსი“. შედგენილი დიდის არსენ ქართლისა კათალიკოზის მიერ. გვ. 15.

<sup>39</sup> „ქართლის ცხოვრება“. ტ. I. გვ. 84.

## ირაკლი ვეშაგურიძე, დოქტორანტი

### წოვათა და წოვათუშები

თუშეთი მდებარეობს კავკასიონის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით. მისი ფართობია 896 კვ. კმ. თუშეთი საქართველოს მთიან კუთხეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდია.

მხარის ყველაზე ძველი და ზუსტი გეოგრაფიული აღწერილობა ვახუშტი ბატონიშვილს ეკუთვნის: „ხოლო თუშეთი არს ლოპოტისა, თორღისა და პანკისის აღმოსავლეთ, კავკასიის მთის ჩრდილოეთ კერძოთა შინა, და არს ორხევად და მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთის შუადად აღმოსავლეთს-სამხრეთს შორის და უდის შორის მდინარე თვისი, და მიერთვის სონა მდინარეს, რომელი განვლის ჩაჩანს და მიერთვის ბორაღანს თერგის მდინარეს ვახუშტი.“<sup>1</sup>

აბრამ შავხელიშვილი თუშეთის საზღვრებს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „თუშეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სოფელი ხუშეთი (დიდოეთის საზოგადოება), დასავლეთით – ალაზნის თავი, ანდაქი (ხევსურეთი), ჩრდილოეთით – ჩეჩნეთის მთიანეთი ხილდიხაროს, მაისტის, ტერელოსა და ჰაჩაროს საზოგადოებანი... ხოლო სამხრეთის საზღვარი გასდევს ალაზნის თავიდან მიმავალ გზას, რომელიც გაივლის აბანოს უღელტეხილს, ანდარაზნის თავს, ფურთკალოს თავს, ყადორის გადასასვლელს და ჩადის კახეთის ბარში“.<sup>2</sup>

მიუხედავად არცთუ კეთილგანწყობილი მეზობლების არსებობისა, თუშეთმა უძველესი დროიდან არსებული საზღვრები შეინარჩუნა. ა. შავხელიშვილი წერს, რომ „თუშეთის გეოგრაფიულ საზღვრებს დღემდე ცვლილება არ განუცდია... რაც განაპირობა ორმა გარემოებამ: პირველი და, ალბათ, არსებითი, იყო სიმამაცე და თავდაცვისუნარიანობა ადგილობრივი ხალხისა, მეორე – თუშეთის გეოგრაფიული მდებარეობა – ბუნებრივი სიმაგრეები, ზღუდეები როგორც ჩრდილოეთიდან, ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და მისადგომი გზების სირთულე“.<sup>3</sup>

თუშეთს ჩრდილოეთიდან ჩეჩნეთი, აღმოსავლეთიდან კი – დაღესტანი ესაზღვრება, რაც თუშების ეთნიკურ შემადგენლობაზეც საკმაოდ ნათლად აისახა, რის შესახებაც ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი.

მეცნიერთა შორის არ გვხვდება ერთიანი მოსაზრება თუშეთში ისტორიულად არსებულ თემთა ზუსტი რაოდენობის შესახებ; სახელდება განსხვავებული ციფრები. მაგალითად, გიორგი ბოჭორიძე 8 თემს ასახელებს, თუმცა, ყველაზე ხშირად ოთხი თემი იხსენიება: წოვათა, გომეწარი, ჩაღმა და პირიქითი. ვახუშტი ბატონიშვილი ასევე ოთხ თემს ასახელებს (პირიქითის ხეობის ნაცვლად, ის ფარსმანის თუშეთის ხევს ასახელებს).<sup>4</sup>

წოვათა გომეწარის ალაზნის ხეობის დასაწყისში მდებარეობს და საძოვარი მთებით შემოფარგლულ ქვაბულს წარმოადგენს. წოვათა ესაზღვრება ალაზნისთავსა და პირიქითის ხეობას, რომელთაც უძველესი დროიდან არსებული ბილიკებით უკავშირდებოდა.

პირიქითის ხეობაში გადასავლელ ბილიკზე დგას მაგეხის ციხე, რომელიც ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი თავდასხმებისგან იცავდა წოვათას.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბილისი, 1955, გვ. 553-554.

<sup>2</sup> აბრამ შავხელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან (თუშეთი XVI-XIX საუკუნეების I ნახევარში). თბილისი, 1977, გვ. 25.

<sup>3</sup> აბრამ შავხელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან (თუშეთი XVI-XIX საუკუნეების I ნახევარში). თბილისი, 1977, გვ. 21.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბილისი, 1955, გვ. 554.



წოვათას ალაზნისთავისკენ მიმავალი ბილიკი ყადოვანის დელეზე გადადის. ყადოვანის დელეზე დღემდე გვხვდება თეთრი ქვების ორი გროვა, ერთი შედარებით მომცრო, მეორე – უფრო მოზრდილი. გადმოცემის თანახმად ამ ადგილას საომრად მიმავალი თუშები ქვებს ალაგებდნენ და შემდეგ ომიდან დაბრუნებულები ქვას უკან აბრუნებდნენ, რითიც დაღუპულების რაოდენობას ადგენდნენ.

იმის გამო, რომ წოვათუშების საქმიანობას ძირითადად მეცხვარეობა წარმოადგენდა, სახნავ-სათესი მიწები შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი; დიდი ადგილი უკავია საძოვრებსა და საცხოვრებელ ფართს. წოვათა საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიას წარმოადგენდა. XIX საუკუნეში დაფიქსირებულია რამდენიმე მოზრდილი სოფელი და ნასოფლარი: წარო, ინდურთა, საგირთა, ეთელტა, მოზართა, ნადირთა და შავწყალი, რომლებშიც 1500-ზე მეტი ადამიანი სახლობდა.

XVIII საუკუნეში გიულდენშტედტის საქართველოში მოგზაურობის დროს, როგორც ჩანს, დასახლებული მხოლოდ ოთხი სოფელი იყო: „პირველ ოთხ სოფელში (წოვა (როგორც ჩანს წარო), საგირთა, ეთელტა, ინდურთა) ლაპარაკობენ ქართულნარევე ქისტურად...“<sup>5</sup>

წოვათაში ყოველ სოფელს საკუთარი სალოცავი გააჩნდა, მაგრამ წოვათის მოსახლეობისაგან დაცლის შემდეგ ეს სალოცავები თითქმის აღარ შემორჩენილა. ვერა ბარდაველიძე ასახელებს რამდენიმე სალოცავს: კობალე, ცორული, ივანე ნათლისმცემლის ხატი, მარიამ ღვთისმშობლის ხატი, ბერი სამება (სანება), წმინდა გიორგის ხატი, ბერ-სამების ნიში და სხვა.

ივანე ბუქურაულის თქმით, XIX საუკუნის მიწურულს წოვათაში სულ სამი სალოცავი იყო, რომლებშიც ჯერ კიდევ ხდებოდა რელიგიური რიტუალების აღსრულება, ფიწალო, სამების წმინდა გიორგი და წაროს სალოცავი: „ამ სამივე სალოცავის დღესასწაული ერთსა და იმავე დროს ხდება. სადამოზე ფიწალოსი ეთელტაში და მეორე დღეს სამების და წაროსი“.<sup>6</sup>

ვალერიან ითონიშვილი აღნიშნავს: „ერთდროულად სამივე სალოცავის დღესასწაული დღეობათა კალენდრის მიხედვით ორგანიზებული არ უნდა ყოფილიყო. ძველად, როცა იქ ხალხი ცხოვრობდა, ალბათ სხვადასხვა დროს დღესასწაულობდნენ, მაგრამ გაუკაცრიელების შემდეგ, ჩანს, შემოიღეს ერთდროულად შესრულება ამ წესისა, ვინაიდან წოვათაში რამდენჯერმე ასვლა არც ისე იოლი იყო“.<sup>7</sup>

ბერი სანების დღეობას წოვათუშურად დადალობა ეწოდება თანამედროვეობაში კი ის ზოგადად წოვათასთან ასოცირდება და სახელიც შესაბამისი მიიღო – წოვათობა.

წოვათუშები საკუთარ გადაადგილებასთან ერთად სალოცავების ნიშებსაც აგებდნენ. ბერი სანების ნიში (ბერი სანების ხატიდან წამოდებულ ქვებზე ხდებოდა სალოცავის აგება) გვხვდება ტბათანასა და სოფელ ზემო ალვანში.

წოვათის ნასოფლარები არქეოლოგიურად საკმაოდ სუსტადაა შესწავლილი, თუმცა, გარკვეული დასკვნების გაკეთება იმ მცირედი აღმოჩენებითაცაა შესაძლებელი. სერგი მაკალათია წაროში აღმოჩენილი ნივთებს ჩრდილო კავკასიაში, დერგავის და კომუნტის არქეოლოგიურ აღმოჩენებს ამსგავსებს და VIII-IX საუკუნეებს მიაკუთვნებს.<sup>8</sup>

წოვათის უდიდესი სოფელი იყო ალაზნის მარცხენა მხარეს ციცაბო მთის ფერდობზე გაშენებული წარო, რომელიც სანახევროდ დანგრეული ნასოფლარის სახითაა შემორჩენილი. წარო გამოირჩევა უნიკალური აკლდამებით. ვერა ბარდაველიძე დაწვრილებით აღწერს წაროში მდებარე 5 აკლდამას, რომელთა ნაწილი XX საუკუნის შუაში უკვე ჩაქცეული იყო.<sup>9</sup> დღეისათვის

<sup>5</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი, 1962, გვ. 263.

<sup>6</sup> ივანე ბუქურაული. ტბათანიდან წოვათამდე (მგზავრის შენიშვნები)– ჟურნალი „მოამბე“, 1897, №9, გვ. 44.

<sup>7</sup> ვალერიან ითონიშვილი. თუშეთი და თუშები. თბილისი, 2012, გვ. 148.

<sup>8</sup> სერგი მაკალათია. თუშეთი. თბილისი, 1983, გვ. 21.

<sup>9</sup> ვერა ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. II-2: თუშეთი. თბილისი, 1985, გვ. 119-121.

აკლდამების მდგომარეობა უკვე სავალალოა. აკლდამების სიძველის მაჩვენებელია სერგი მაკალათიას მიერ ნანახი და აღწერილი ბრინჯაოს ირმები, რომლებიც სავარაუდოდ VII-IX საუკუნეებს განეკუთვნება.

ვერა ბარდაველიძე იმოწმებს სოფელ დართლოში ჩაწერილ თქმულებას, რომლის მიხედვით „აკლდამები გამოყენებული იყო ჭირიანობის დროს. ყველა დაავადებული თავისი ფეხით მოდიოდა აქ, ჯდებოდა ქვის „მეჯზე“ და ელოდებოდა სიკვდილს“.<sup>10</sup> ამ თქმულებიდან განსაკუთრებით საინტერესოა „მეჯ“, რაც წოვათუშურად ნიშნავს დაბალ მაგიდას, ტახტს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აკლდამები გვხვდება ჩენეთ-ინგუშეთსა და საქართველოს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელსაც უშუალო შეხება ჰქონდა ვაინახურ სამყაროსთან (ხევსურეთი) ან სადაც უძველესი დროიდან ვაინახები სახლობდნენ (თუშეთი), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აკლდამები ვაინახური კულტურის ნაწილია.

წოვათის ერთ-ერთი უდიდესი სოფელი იყო ინდურთა. ისიც, წაროს მსგავსად, მხოლოდ ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. ინდურთის თავზე ორი მშრალი წყობით მკვიდრად ნაგები კოშკია აღმართული. კოშკებიდან მდინარისკენ სიპი ქვით მოპირკეთებული გვირაბი ჩადის, რომლის სიგრძე 70-80 მეტრია. რამდენიმე წლის წინ მხოლოდ პირველი 10-12 მეტრი იყო შემორჩენილი, დანარჩენი ნაგებობა კი ალაგ-ალაგ ჩაქცეულია.

XIX საუკუნის დასაწყისში ნიაღვარმა სოფელი საგირთა წალეკა. გადარჩენილი მოსახლეობა კახეთში, ალვანში ჩასახლდა. საგირთის მოსახლეობის მსგავსად, სტიქიური კატასტროფით, ავადმოყოფობებით თუ მტრის შემოსევებით დატანჯული წოვათის დანარჩენი მოსახლეობაც ალვანში გადასახლდა, წოვათას კი მხოლოდ ზაფხულობით აკითხავდნენ. XX საუკუნეში წოვათაში მხოლოდ მესაქონლეები ადიოდნენ და წოვათუშები საბოლოოდ დამკვიდრდნენ სოფელ ზემო ალვანში (XX საუკუნის 20-იან წლებში ალვანის ველზე მეორე სოფელი ქვემო ალვანი გაშენდა).

წოვათუშთა რაოდენობა 3 000-ს არ აღემატება. მათი უმეტესობა თავს წოვათუშად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ წოვათუშური ენა, რომელიც ნახური ჯგუფის ენებს მიეკუთვნება, გაქრობის პირასაა. ახალმა თაობამ წოვათუშური თითქმის აღარ იცის. წოვათუშური ენის გაქრობას რამდენიმე მიზეზი გააჩნია. ერთ-ერთი მთავარი ალბათ ის არის, რომ XX საუკუნეში შერეული ოჯახები მომრავლდა (როდესაც ერთ-ერთი მშობელი არ არის წოვათუში), განათლებას ხალხი ქართულ ენაზე იღებს და ნელ-ნელა ოჯახში სასაუბრო ენადაც ქართული იქცა, მანამდე კი ეს ფუნქცია მხოლოდ წოვათუშურს გააჩნდა. ამ ფაქტს ადასტურებს სერგი მაკალათია: „წოვათუშები თავიანთ წოვურ ენაზე მეტყველებენ. მათი ენა წარმოშობით დღიღურია და ქისტურის მონათესავე. მაგრამ ამ წოვურ ენაში მრავალია ქართულიდან ნასესხები და შეთვისებული სიტყვებიც. წოვებს უყვართ თავიანთი წოვური ენა და შინ და გარეთ ერთმანეთში წოვურად საუბრობენ. ოჯახში წოვური ყველამ იცის, მისი უცოდინარობა სირცხვილია. ბავშვები ენას ამ წოვურით იღვამენ და შემდეგ ქართულს სწავლობენ. ქართული, ბავშვებისა და ზოგიერთი მოხუცი ქალის გარდა, წოვებში ყველამ იცის“.<sup>11</sup>

XIX ბევრი იყო ისეთი წოვათუში, რომელმაც ქართული არ იცოდა. შეიძლება ითქვას, რომ ქართული მხოლოდ მამაკაცების იმ ნაწილმა იცოდა, რომელიც მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა და ბართან კონტაქტი ჰქონდა. ამ პერიოდში ქართული იყო „საგარეო“ ენა, წოვათუშური კი „საშინაო/ოჯახური“ ენა.

წოვათუშური „საოჯახო“ ენის ფუნქციას XX საუკუნის 80-იან წლებამდე ინარჩუნებდა. მთხრობელი გელა ჯიმშერიშვილი (დაბადებული 1970 წელს) იხსენებს: „სკოლაში,

<sup>10</sup> ვერა ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ტექნოლოგიები. ტ. II-2: თუშეთი. თბილისი, 1985, გვ. 29.

<sup>11</sup> სერგი მაკალათია. თუშეთი. თბილისი, 1983, გვ. 109-110.

დამამთავრებელ კლასებში, კლასელები შესვენებაზე თუ სკოლის შემდეგ წოვათუშურად ვსაუბრობდით“.

XX საუკუნის 90-იან წლებში მდგომარეობა შეიცვალა და მასიურად დაიწყო წოვათუშური ენის დავიწყება. დღეისათვის, როგორც აღვნიშნეთ, ის ახალი თაობის მხოლოდ მცირე ნაწილია თუ იცის.

ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია შემთხვევა, რომელიც დავით ცისკარიშვილს (დაბადებული 1993 წელს) გადახდა თავს. როდესაც მისი სკოლაში შეყვანის დრო მოვიდა გაირკვა, რომ ქართული ენა არ იცოდა, რადგან ოჯახი თუ ნათესავ-მეზობლები მუდამ წოვათუშურად საუბრობდნენ, სკოლაში მხოლოდ ერთი წლის დაგვიანებით შეიყვანეს მას შემდეგ, რაც ქართული კარგად ისწავლა.

წოვათუშთა გვარებიც, ენის მსგავსად, შეიძლება ითქვას ბილინგვური ფორმის მატარებელია. გვარები იმ თავისებურებით ხასიათდება, რომ ქართულად ზოგიერთი გვარი სახეცვლილი ფორმით, ზოგი კი სრულიად განსხვავებული სახით გვხვდება. პირველი ჯგუფის გვარების მაგალითებია: მანაბლიშვილი – მენრი, მეოტიშვილი – მეტური და სხვ. მეორე ჯგუფის გვარებია: მეითლარ, ფოცხორდარ – ცისკარიშვილი (ცისკარიშვილების გვარი ყველაზე მდიდარია და ათზე მეტ ქვეგვარს მოიცავს), ბლუჯრი – უშარაული და სხვა.

წოვათუშური გვარების რიცხვი ასზე მეტია. გვხვდება ისეთი გვარებიც, რომლებიც დღეს აღარ არსებობენ, გამქრალია. „ს. გარსევანიძის (გარსევანიშვილის) ჩანაწერების მიხედვით, რომლებიც მკაცრი სიმწიფით არის შედგენილი თითოეული გვარის წარმომადგენლებთან მრავალჯისი კონსულტაციების საფუძველზე, წოვების მარტო ცოცხალი გვარების რაოდენობა 140-მდეა“.<sup>12</sup>

წოვათუშების ბილინგვიზმი დამახინჯებელი იყო მეცნიერთათვის. ისინი ვერ ხსნიდნენ, თუ საიდან აქონდა წოვათუშთა პატარა თემს ორი განსხვავებული ენა. ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული წოვათუშთა ეთნოგენეზთან, რომელიც დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება. ამას ბოლო წლებში გამოქვეყნებული რამდენიმე ნაშრომიც ადასტურებს.

სხვადასხვა ხალხის ეთნიკური წარმომავლობის დადგენა ძალზე რთულია, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ამის მცდელობა უახლოეს წარსულში არ მომხდარა და ამა თუ იმ ხალხის წარმოშობის საკითხი არც დოკუმენტურადაა დაზუსტებული. ხშირად განსაზღვრების გაკეთება მხოლოდ ვარაუდის დაშვებით არის შესაძლებელი.

უძველესი ნაშრომი, რომელშიც თუშეთია მოხსენიებული, არის II საუკუნის ბერძენი გეოგრაფის კლავდიუს პტოლემეის შრომა „კავკასიის მთას და კერვანის მთებს შორის (ცხოვრობენ) ტუსკები და დიდურები“.<sup>13</sup>

ასევე ერთ-ერთი ძველია XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობა თუშეთის შესახებ: „ფხოველთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთსა“,<sup>14</sup> მაგრამ ეს თუ სხვა უძველესი ცნობები ზოგადად თუშეთის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, სადაც სხვადასხვა თემის მოსახლეობის კონკრეტული ეთნიკური კუთვნილება არ ჩანს. არც წოვათუშების შესახებ რაიმე მინიშნება ჩანს.

წოვათუშთა დოკუმენტურად დათარიღებული უძველესი მოხსენიება განეკუთვნება XVII საუკუნეში გაცემულ სიგელს „ორ ქვაზედ დაწერილი გუჯარი“, რომელიც კახეთის მეფე არჩილის (1664-1675) დროსაა შექმნილი. მასში საუბარია თუშებისთვის, კონკრეტულად კი „ერთობით თუშებისთვის, წოვას და ჩაღმისთვის“<sup>15</sup> აღვნიშნა და მიმდებარე ტერიტორიების

<sup>12</sup> არსენ ბერთლანი. წოვათის ნისლები (ხანდაზმული ნაფიქრალი). თბილისი, 2009, გვ. 114.

<sup>13</sup> პტოლემეისი. გეოგრაფიული სახელმძღვანელო. ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმნა ნ. ლომოურმა. თბილისი, 1955, გვ. 44.

<sup>14</sup> ქართლის ცხოვრება. ტ. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბილისი, 1955, გვ. 126.

<sup>15</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. ორ ქვაზედ დაწერილი გუჯარი.– გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1901, №1362, გვ. 4.

გადაცემაზე. XVII საუკუნემდე „წოვა“ ისტორიულ წყაროებში არ ფიგურირებს, რაც არ გამოორიციხავს მის ადრეულ პერიოდში არსებობას.

მართალია, გიორგი მელიქიშვილს წოვათუშთა წარმოშობის საკითხი საგანგებოდ არ უკვლევია, მას მიაჩნდა, რომ ხალხის სხენებული ჯგუფი შუამდინარეთიდან რამდენიმე ათასწლეულის წინ გადმოვიდა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე. გიორგი მელიქიშვილის მიერ რედაქტირებულ საქართველოს ისტორიის ნარკვევების პირველ ტომში ნათქვამია, რომ ტერმინი „წოვა“ (ურარტული „ცუვა“, სომხური „წოფჟ“, ანტიკური წყაროების „სოფენე“) პირდაპირ იმეორებს წოვათუშების სახელს.<sup>16</sup>

ასევე, აბრამ შავხელიშვილი მიიჩნევს, რომ წოვათუშები უძველესი დროიდან თუშეთში მცხოვრები ხალხია.

სერგი მაკალათია საკმაოდ ზედაპირულად ეხება წოვათუშთა წარმოშობის საკითხს და თვლის, რომ ჩრდილო კავკასიიდან მათი გადმოსახლება არაუგვიანეს VIII-IX საუკუნეებით ათარიღებს.<sup>17</sup>

დიდი რაოდენობით ვხვდებით ისეთ ნაშრომებსაც, რომლებშიც წოვათუშები ჩენეთ-ინგუშეთიდან გადმოსახლებულებად მიიჩნევიან. როლანდ თოფნიშვილი, ვალერიან ელანიძე, ნატალია ვოლკოვა და სხვანი თვლიან, რომ წოვათუშების ჩენეთ-ინგუშეთიდან გადმოსახლება და თუშეთში დასახლება მოხდა XVI-XVII საუკუნეებში.

როლანდ თოფნიშვილის მონოგრაფიაში „წოვა-თუშები“, ავტორი წოვათუშების თუშეთში XVII საუკუნეში დასახლების შესახებ მოგვითხრობს. ეს ვერსია როლანდ თოფნიშვილმა მოისმინა ერთ-ერთი წოვათუშის, ადამ ჩარხოშვილისგან, მიიღო როგორც სრული ჭეშმარიტება და თავისი თეორიის ქვაკუთხედად აქცია: თუ როგორ გაემართა ხუთი ქიზიყელი და ერთი მატნელი მწყემსი ოჯახებით ჯერ თიანეთში, შემდეგ ფშავის გომეწრის ხეობაში. იქიდან ისინი გადავიდნენ ინგუშეთში, სადაც ერთი კაცი კიდევ დაემატათ და... ასე იშვნენ წოვათუშები (უფრო სწორად, მათი წინაპრები, ვინაიდან ჯერ წოვათამდე არ მისულან). რამდენიმე თაობის შემდეგ ხალხის ეს ამორფული გაერთიანება ინგუშებმა თავისი მიწიდან განდევნეს (სადორების დაკავების გამო) და ჯგუფიც ჩენეთში გადავიდა, სადაც რამდენიმე ადგილი გამოიცვალა და იქიდან თუშეთში, პირიქითის ხეობის სამ სოფელში: ჰელო-ჭონთიო-გირევში გადასახლდა. აი, მხოლოდ აქედან გადავიდნენ ისინი წოვათაში ბახტრიონის ბრძოლიდან მესამე წელს.<sup>18</sup>

როლანდ თოფნიშვილს მიაჩნია, რომ ინგუშეთიდან გადმოსული წოვათუშები ჯერ პირიქითის ხეობაში (ჭონთიო, გირევი) დასახლდნენ (შემონახულია წოვათუშთა სასაფლაოც). შემდეგ კი, ადგილების სიმცირის გამო, ჩადმათუშებმა (პირიქითის ხეობის მოსახლეობამ) ისინი წოვათაში გაუშვეს. სხვათა შორის, ინგუშეთიდანაც ამ მიზეზით გამოდევნეს, ჩენეთიდანაც და პირიქითიდანაც. ნუთუ ასე მარტივად გასადევნ და გადასახლებულ ხალხს ჰგავდნენ წოვათუშები? როლანდ თოფნიშვილის აზრით, პირიქითის ხეობაში წოვათუშების ცხოვრების ვერსიას ამყარებს წარსულში არსებული შემთხვევა, როდესაც წოვათუშებს მიცვალებულები ჭონთიო-გირევში გადაჰყავდათ დასაკრძალად. ამ ფაქტის არსებობას, რასაკვირველია, ვადიარებთ, მაგრამ სულ სხვა და უფრო რაციონალური მიზეზებით ვხსნით (შესაძლოა, ეს ცალკეულ გვართან იყოს დაკავშირებული და მთელ ეთნოსზე არ ვრცელდებოდეს). თუკი წოვათუშები ჩენეთიდან გადმოსახლდნენ, ე.ი. მათი პირვანდელი სასაფლაოც ჩენეთში უნდა იყოს და შესაბამისად მიცვალებულიც ჩენეთში უნდა წავსვენებინათ. შორი გზის არგუმენტად მოშველიება არ გამოგადგება, რადგან არც წოვათიდან პირიქითის ხეობამდეა მოკლე და ადვილად გასავლელი გზა. გარდა ამისა, XVIII-XIX საუკუნეში უამრავი შემთხვევაა დაფიქსირებული, როდესაც საქართველოს ბარში დაღუპულ წოვათუშს წოვათაში მისვენებდნენ (გადაჭრიდნენ და ხურჯინში ათავსებდნენ), რაც დიდ სიძნელეებთან და რამდენიმე დღის გზის

<sup>16</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. ტომის რედაქტორი გ. მელიქიშვილი. თბილისი, 1970, გვ. 154.

<sup>17</sup> სერგი მაკალათია. თუშეთი. თბილისი, 1983, გვ. 21.

<sup>18</sup> როლანდ თოფნიშვილი. წოვა-თუშები. თბილისი, 2009, გვ. 28.

გავლასთან იყო დაკავშირებული. ასე რომ, პირიქითის ხეობა წოვათუშთა გარკვეული გვარებისთვის პირვანდელ საცხოვრებელს წარმოადგენდა და მათ მხოლოდ ამის შემდეგ გადაინაცვლეს წოვათაში.

ზოგადად, თქმულებები არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად ჭეშმარიტების შემცველია. ამავდროულად, ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი საკითხის შესახებ საპირისპირო შინაარსის მატარებელი თქმულებები გვხვდება. მათთან მუშაობისას სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო და ეს ეხება როგორც ერთი პოზიციის, ასევე საპირისპირო მოსაზრების გამამყარებელ გადმოცემებსაც, მაგალითად, ნატალია ვოლკოვასათვის აღმოსავლეთ ახიელებს ჩაუწერინებიათ გადმოცემა, რომლის მიხედვით „როდესაც ახიელები, შამიდან წამოსულები დასახლდნენ ყაზბეგის მთის ძირში, მაგრამ, ბაცავი-გურჯებთან მტრობის გამო ისინი იძულებულნი გახდნენ გადასახლებულიყვნენ...“<sup>19</sup> ამ თქმულებიდან გამომდინარე, წოვათუშები არათუ სადმე განდევნილ ხალხად წარმოგვიდგება, პირიქით, ისინი თვითონ დევნიან ახიელებს სამოსახლოებიდან. რთული სათქმელია, თუ რომელ გადმოცემას უნდა ვერწმუნოთ. ორივე ხალხის მესხიერებაშია შემორჩენილი და იმის განსაზღვრაც კი შეუძლებელია, რომელიმე მათგანი მაინც თუ შეესაბამება სიმართლეს, რადგან მსგავსი გადმოცემა ძალზე ბევრი და ხშირად ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია. ასე რომ, მხოლოდ ერთ გადმოცემაზე დაყრდნობით წოვათუშების ცალსახად გადმოსახლებულ ხალხის ჯგუფად განსაზღვრა დიდი შეცდომაა.

როლანდ თოფჩიშვილის ვარაუდით, წოვათუშების წინაპრები XVI საუკუნეში ჯერ თუშეთში პირიქითის ხეობაში სახლდებიან, ხოლო XVII საუკუნეში – წოვათაში. ეს მოსაზრება მცდარია და წინააღმდეგობაში მოდის წოვათუშთა იმ რაოდენობასთან, რომელიც XIX საუკუნის აღწერებშია დაფიქსირებული.

დავაკვირდეთ XIX საუკუნეში წოვათაში ჩატარებული მოსახლეობის კამერალური აღწერის შედეგებს: 1831 წ. – 1531; 1886 წ. – 1533<sup>20</sup>

55 წლის მანძილზე წოვათის მოსახლეობის საერთო რაოდენობა სულ 2 სულით გაიზარდა (აქვე აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში რამდენიმე ოჯახი ჩანს წოვათაში მიგრირებული), რაც დაახლოებით 0.13%-იანი ზრდაა. შევადაროთ ამ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის ზრდის დინამიკას: 1832 წ. – 897 000; 1886 წ. – 1 512 000<sup>21</sup>

როგორც ვხედავთ, ამავე პერიოდში საქართველოში მოსახლეობის ზრდის 69%-იანი მაჩვენებელი (615 000 სული) ფიქსირდება.

ბუნებრივია, მთის პირობებში ბართან შედარებით მოსახლეობა უფრო ნელა იზრდება მკაცრი ბუნებრივი პირობების, მტერთან ბრძოლის (ამ პერიოდში მიმდინარეობდა შამილის ომები) თუ სხვა მიზეზების გამო; ამიტომ წოვათის მოსახლეობის ზრდის დაბალი ტემპიც გასაკვირი სულაც არაა. გასაკვირი ისაა, თუ XV საუკუნიდან (ისიც ყველაზე ადრეულ შემთხვევაში) 1831 წლამდე პერიოდში როგორ მოახერხა 7-მა მეცხვარემ, საკუთარი ოჯახების ჩათვლით ოცდაათიოდე ადამიანმა, ქვეულიყო 1500 (!) სულიან თემად. გამოდის, რომ წოვა თუშთა რაოდენობა 50-ჯერ (!!!) გაიზარდა. ეს კი 5 000%-იანი ზრდაა.

მსგავსი რიცხვების გაცნობის შემდეგ ჩნდება კითხვა: თუკი XIX საუკუნემდე წოვათუშები ასეთი ტემპით იზრდებიან, რატომ ჩამოვიდა ეს ზრდა XIX საუკუნეში 5 000%-დან 0.13%-მდე? არგუმენტად სხვადასხვა კუთხიდან წოვათაში ადამიანების შეკედლება ვერ გამოდგება, რადგან, აღწერების მიხედვით, XIX საუკუნეშიც ვხედავთ ახლად ჩასახლებულ ქისტურ და ხევესურულ ოჯახებს და ეს 0.13%-იანი ზრდა სწორედ მათი ჩათვლით გვაქვს. ან მთის სხვა კუთხეების მოსახლეობა მსგავსი სისწრაფით რატომ არ მრავლდებოდა? განა ხალხი მარტო წოვათაში გარბოდა თავის შესაფარებლად? ის კი არა, წოვათიდან მიგრირებული გვარებიც არსებობენ და ესეც მთის მოსახლეობის მატება-კლების ბუნებრივი დინამიკის მაჩვენებელია. ყველა კუთხეში

<sup>19</sup> Н. Г. Волкова. Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII - начале XX в. Москва, 1974. стр. 143.

<sup>20</sup> როლანდ თოფჩიშვილი. წოვა-თუშები. თბილისი, 2009, გვ. 9.

<sup>21</sup> [http://www.geogen.ge/ge/main\\_nationalities\\_georgia/georgians/](http://www.geogen.ge/ge/main_nationalities_georgia/georgians/).

გვაქვს გაქცევა/გადასახლება-მიღების ფენომენი და ის ზრდის საერთო მაჩვენებელზე არსად ანომალურ გავლენას არ ახდენს. თუკი XIX საუკუნეში წოვათუშთა რაოდენობასა და თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე არსებულ გამრავლების მხოლოდ 0.13%-იან მაჩვენებელს გავითვალისწინებთ, არავითარი საფუძველი არ გვექნება, ვივარაუდოთ, თითქოს ეს მაჩვენებელი წინა საუკუნეებში უფრო მეტი იყო (XVII-XVIII საუკუნეები ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ეტაპია საქართველოს ისტორიაში, მათ შორის, გამრავლების კუთხით და არათუ გამრავლება, მოსახლეობის კატასტროფულ კლებასთანაც კი გვაქვს საქმე). ამ ფაქტს აღნიშნავს როლანდ თოფჩიშვილიც: „1830 წელს სოფელი საგირთა ღვარსა და მეწვერს წაუღეკაეს. ღვარცოფსა და მეწვერს საგირთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოუწყვეტია. დანარჩენი სოფლების მოსახლეობა კი იმავე პერიოდში შავ ჭირს გაუნახვერებია“. <sup>22</sup> ამდენად, გამოდის, რომ წოვათუშთა რაოდენობა წარსულში უფრო მეტიც კი უნდა ყოფილიყო.

შესაბამისად, სრულიად წარმოუდგენელია იმაზე ლაპარაკი, თითქოს ამდენი წოვათუშთა პირიქითა თუშეთის მხოლოდ სამ სოფელში დასახლდა: ნებისმიერ სოფელს მთაში გააჩნია მოსახლეობის რაოდენობის საკუთარი პოტენციალის მაქსიმუმი, რომელზე მეტს ის უბრალოდ ვერ დაიტევს და ვერ გამოკვებავს. ჭონთიო-ჰელო-გირვეს მაქსიმალურ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს XIX საუკუნის ბოლოს არსებული მონაცემები, რადგან ამ დროს მოსახლეობის გამრავლების კუთხით თუშეთშიც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. აღნიშნულ პერიოდში ზემოთ ხსენებულ სოფლებში ცხოვრობდა 70-80 ოჯახი და ეს ადგილი დამატებით რამდენიმე ასეულ ოჯახს ნამდვილად ვერ მიიღებდა. ამრიგად, ჩრდილოეთიდან შემოფარებული წოვათუშებისთვის დროებითი თავშესაფრის მიცემა ჭონთიოსა და გირვეში არსებული სასაფლაოების არსებობით ვერ აიხსნება.

საყურადღებოა XVI საუკუნის რუსეთის ელჩობის მიერ ნახსენები ტოპონიმი ფუძით „ბაც“, რომელსაც ნატალია ვოლკოვას ნაშრომში ვხვდებით: „1589-1590 წლებით დათარიღებულ რუსეთის ელჩობას თავად ზენიგოროდსკის მეთაურობით რეკომენდაციას უწევენ, რომ საქართველოში შემდეგი მარშრუტით წავიდეს: на Метские гребни, на Шихово племя, на Амалееву землю, на Батские гребни (т. е. горы)“. <sup>23</sup>

ამის გამო, ნატალია ვოლკოვა თვლის, რომ ბაცები (წოვათუშები) XVI საუკუნის მიწურულს უკვე თუშეთში ცხოვრობდნენ. როლანდ თოფჩიშვილი ხსენებული მსჯელობის შესახებ წერს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მსჯელობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან „ბაცაის“ ვაინახები უწოდებდნენ არა მხოლოდ წოვა-თუშებს (ბაცებებს), არამედ ქართულენოვან თუშებსაც“, <sup>24</sup> რასაც, ჩვენი მხრივ, კატეგორიულად არ ვეთანხმებით. რატომ ეძახდნენ ვაინახები ზოგადად თუშებს „ბაცებებს“? და დღეს რატომ ეწოდებათ მხოლოდ წოვათუშებს „ბაცები“? ხომ უნდა ჰქონდეს ყოველივე ამას ახსნა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას კი როლანდ თოფჩიშვილი თავს არიდებს! ხომ არ გაჩნდებოდა ეს დასახლება შემთხვევით? სავარაუდოდ, თუშეთში ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც ვაინახები „ბაცებებს“ ეძახდნენ და ეს ხალხი უნდა იყოს წოვათუშები, რადგან არცერთი ჩადმათუშური თემის მიმართ არავის არასოდეს უხმარია ეთნონიმი „ბაცავი“.

როლანდ თოფჩიშვილი იზიარებს ნატალია ვოლკოვას მოსაზრებას და აღნიშნავს: „ნ. ვოლკოვა კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს შაჰ-აბას I-ის დროს წოვა-თუშების (ბაცებების) წინაპართა საქართველოს მთიანეთში გადმოსახლების საკითხს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ირანელთა ლაშქრობები ჩრდილოეთ კავკასიაში არ დასტურდება. მისივე მოსაზრებით, გადმოცემაში შაჰ-აბასის ლაშქრობისა და ძალისმიერი გზით

<sup>22</sup> როლანდ თოფჩიშვილი. წოვა-თუშები. თბილისი, 2009, გვ. 10.

<sup>23</sup> Н. Г. Волкова. Бацбийцы Грузии (Этнографические Заметки). „Советская этнография“, №2, 1977, стр. 70.

<sup>24</sup> როლანდ თოფჩიშვილი. წოვა-თუშები. თბილისი, 2009, გვ. 31.

გამაჰმადიანების სიუჟეტი იმ დროს ჩართეს, როდესაც წოვა-თუშები (ბაცბები) უკვე თუშეთში ცხოვრობდნენ.<sup>25</sup>

ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში ვკითხულობთ: „ხოლო რომელნი არიან მხარეთა ქისტთა და ლლილუთა, უწყიან ენანი უფროს მათგანი. გარნა ფარსმანის ხევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი“.<sup>26</sup> თუკი ეს ხალხი გადმოსახლებულია, მით უმეტეს ისეთ გვიანდელ პერიოდში, რომელშიც თვით ვახუშტი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მას ამის შესახებ, სავარაუდოდ, ექნებოდა ინფორმაცია. საუბარია რამდენიმე ათასი ადამიანის გადმოსახლებაზე, რაც უფურადღებოდ ნამდვილად არ დარჩებოდა, მით უმეტეს, რომ ვახუშტი შეეცდებოდა, სხვა ხალხთა მსგავსად აეხსნა მათი ორენოვნება თუ უცხოენოვნება. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით ვახუშტის დამოკიდებულებას მაინც ვხვდებით დიდოეთის აღწერისას, სადაც იგი წერს, რომ „თუშნი და დიდონი, უკეთუ არიან წილნი ლეკოსისა, არამედ შემდგომად მეფეთა ქართველთა დაპყრობილი...“<sup>27</sup> აქ მკვლევარი თითქოს თუშების ეთნიკური წარმომავლობის საკითხს წყვეტს კიდევ. შესაძლოა, თუშების მიმართაც სულაც არ იყოს ეს სწორი შეფასება და ისინი არ ეკუთვნოდნენ ჩრდილოკავკასიურ ეთნიკურ ერთობას, მაგრამ ვახუშტი, მისთვის ხელმისაწვდომი მასალიდან გამომდინარე, ასე თვლის.

ღლიღველთაგან წოვების წარმომავლობის დამამტკიცებელ საბუთად რაფიელ ერისთავი იმოწმებს შემდეგ ამბავს: წოვებსა და გომეწრელებს შორის დაგა ყოფილა მიწებით სარგებლობის გამო. გომეწრის მამასახლისისათვის წოვებს მოუთხოვიათ დოკუმენტი იმ მიწის საკუთრების შესახებ, რომლითაც წოვები სარგებლობდნენ. მამასახლისს უთქვამს: რა საბუთი უნდა გეჭონდეს ჩვენ? რამდენიმე ასეული წლის წინათ ჩვენ მივიღეთ წოვები, როგორც სხვაგანიდან მოსულები. საცხოვრებლად მივუჩინეთ პატარა ადგილი – და ასევე ნება დავრთეთ საქონელი ეძოვებინათ ადგილში, რომელიც ადრე ჩვენ გვეჭირა. ამჟამად არ გვსურს, რომ წოვებს თუნდაც მცირე უფლებები ჰქონდეს ამ მიწაზე.<sup>28</sup>

ჩენწურ-ინგუშურად და წოვათუშურად მოლაპარაკეთა საკუთარ ენებზე ერთმანეთთან კომუნიკაცია, დღევანდელი მდგომარეობით, საკმაოდ გართულებულია. არის თუ არა შესაძლებელი, რომ სულ რაღაც 300 წლის წინ გადმოსულ წოვათუშებსა და დანარჩენ ვაინახურ ენებს შორის მსგავსი სხვაობა წარმოქმნილიყო? გარდა ამისა, წოვათუშური არ ამჟღავნებს რაიმე განსაკუთრებულ მსგავსებას ცალკე აღებულ ჩენწურთან და მის დიალექტებთან, ასევე ინგუშურთან. მეტნაკლები მსგავსება გვხვდება ორივე ენასთან მიმართებაში, რაც გვაძლევს საფუძველს, განვაცხადოთ: არც ერთი ამ კონკრეტული ტერიტორიიდან (ჩენწეთი და ინგუშეთი) წოვათუშები არ წამოსულან და ენებს შორის კავშირი მხოლოდ შორეული ნათესაობის დამადასტურებელია და არა სამიოდე საუკუნის წინ მათი რომელიმესგან გამოყოფისა.

წოვათუშთა და ჩენწურ-ინგუშთა ენებს შორის სხვაობას ხაზს უსვამს განსხვავება აღნიშნულ ხალხებში მიღებულ ეთნონიმებშიც. ჩენწები და ინგუშები ქართველებს ეძახიან „гүьржи“ (გურჯი). შესაძლოა, ეს ფორმა უკავშირდებოდეს „გურჯს“ და მხოლოდ ისლამის გავრცელების შემდეგ დამკვიდრებულიყო, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ უძველესი დროიდან იყოს მიღებული საშუალო-სპარსული „ვარჯან“ ან არაბული „ჯურჯან“. თუკი წოვათუშები მხოლოდ XVI საუკუნეში გადმოსახლდნენ თუშეთში, (საქართველოში) მათ საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ეთნონიმიც ჩენწურ-ინგუშური ფორმით უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ვხვდებით სრულიად სხვა სიტყვას, ისე, რომ ძველის კვალიც კი არ ჩანს. წოვათუშები ქართველის აღმნიშვნელ სიტყვად ხმარობენ „კოხივ“, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს საკუთრივ კახელის აღმნიშვნელ წოვათუშურ სიტყვას „კახლოვ“.

<sup>25</sup> როლანდ თოფჩიშვილი. წოვა-თუშები. თბილისი, 2009, გვ. 30.

<sup>26</sup> ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ს. ვახუშტიშვილის გამოცემა. თბილისი, 1955, გვ. 555.

<sup>27</sup> ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ს. ვახუშტიშვილის გამოცემა. თბილისი, 1955, გვ. 552.

<sup>28</sup> ვალერიან ითონიშვილი. თუშეთი და თუშები. თბილისი, 2012, გვ. 207.

ხევისურების აღმნიშვნელი ეთნონიმიც უძველესი ფორმითაა შემორჩენილი. წოვათუშები ხევისურებს უწოდებენ „ფხი“, რაც ეხმიანება ვაინახურ სიტყვას „ფხია“ და იქამდე უნდა იყოს გაჩენილი, ვიდრე ფხოველები ფშავებად და ხევისურებად დაიყოფოდნენ, რაც, როლანდ თოფჩიშვილის აზრით, XII საუკუნეში უნდა მომხდარიყო.<sup>29</sup>

საინტერესოა, რომ წოვათუშები საკუთარ თავს წოვათუშებს არ უწოდებენ, ან უწოდებენ იმ შემთხვევაში, თუკი უშუალოდ წოვათაში მცხოვრებზეა საუბარი. იშვიათად ხმარობენ ტერმინს „ბაცავ“, ყველაზე ხშირად კი იყენებენ „ვევენ“, რაც ნიშნავს ჩვენებურს.

წოვათუშების ეთნოგენეზზე საუბრისას გვერდს ვერც ჩაღმათუშების თუშეთში დასახლების საკითხს ავუვლით.

ვერა ბარდაველიძის მიერ ჩაწერილი ჩაღმათუშში მთხრობელების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ჩაღმათუშური გვარების უმეტესობა თუშეთში გვიანაა ჩასახლებული და მათი დიდი ნაწილი პირიქითში – ჩენურში, ჩაღმის თემში კი – დაღესტნური წარმომავლობისაა.<sup>30</sup>

ვალერიან ელანიძეს მოჰყავს თ. ოჩიაურის დაკვირვება ჩაღმათუშების შესახებ: „თუშეთში ყოფნის დროს ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით ქალების მეტყველება გავიგონეთ და ხშირად გვეგონა, რომ ხევისური დიაცების საუბარს ვისმენდით“. <sup>31</sup> ხევისურებთან კავშირზე მიუთითებს უამრავი საერთო სალოცავი. როგორც ჩანს ხევისურთა (ფხოველთა) თუშეთში დასახლება მთაში ქრისტიანობის პერიოდში მომხდარა.

გადმოცემების, მეურნეობის ტიპის თუ ენობრივი მახასიათებლების მიხედვით, ჩაღმათუშები თუშეთში გვიან დასახლებულნი ჩანან. ჩაღმათუშები საკუთარ თავს ჰყოფენ თემური კუთვნილების მიხედვით: გომეწრელი, პირიქითელი, ჩაღმა; წოვათუშები კი მათ საერთო სახელით „ჩაღმები“ მოიხსენიებენ. როგორც ჩანს, ის ადამიანები, რომლებსაც წოვათუშები ჩაღმებს უწოდებდნენ, ჯერ ჩაღმის თემში სახლობდნენ, შემდეგ კი პირიქითისა და გომეწრის ხეობაშიც დასახლდნენ. სხვაგვარად წარმოუდგენელია, გომეწრის და პირიქითის მეზობლად მცხოვრებ წოვათუშებს, რატომ უნდა შეერქმიათ ყველა დანარჩენისთვის ჩაღმა.

თუშეთის მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის, ჩაღმის, გომეწრისა და პირიქითის თემებში უამრავი წოვათუშური ტოპონიმი გვხვდება. ამ ფაქტის შესახებ საუბრობს ვალერიან ელანიძეც: „თუშეთში არის მთელი რიგი ადგილები, სასოფლო თუ მთელი საზოგადოების მიწა-წყალი, სადაც ქართულ გეოგრაფიულ სახელებთან ერთად, გვხვდება ტოპონიმები, რომელნიც ქისტურ-წოვეურ-ჩენურ-დიდოურ და ლეკურ ენებზე იხსნება“. <sup>32</sup> ვალერიან ელანიძე წოვათუშურთან ერთად ნახურ და დიდოურ-ლეკურ ენებსაც მოიხსენიებს, რომ მკითხველს მაინცდამაინც წოვათუშური არ მოხვდეს ყურში და ეს ტოპონიმები მათს კუთვნილებად არ ჩათვალოს. მკვლევარი გეოგრაფიული ადგილების დასახელებების (ცოკალთა, დადიკურთა, დიკლო, ხისო და სხვ.) გავრცელებას კეთილმეგობრული და მეზობლური ურთიერთობით ხსნის.

აკაკი შანიძეს მოყავს თედო უთურგაიძის ციტატა (რაც ეხმიანება იმავე ვალერიან ელანიძის შეხედულებას): „უდავოა, რომ წოვების მეზობლობას თუშურ კილოზე საკმაოდ შესამჩნევი კვალი დაუტოვებიაო“ და აგრძელებს: „არა, მეზობლობას კი არა, არამედ ქართულად მოუბარი თუშების მამა-პაპებიც ძველად იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც შემოჰრჩა წოვა-თუშებს და რომელმაც დანარჩენ თუშეთში ადგილი დაუთმო ქართულს“. <sup>33</sup>

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისტორიაში არ გვხვდება შემთხვევა, მეზობელი ხალხის მიწაზე უცხო ენაზე არსებული ტოპონიმები მხოლოდ კეთილმეზობლური ურთიერთობების საფუძველზე შექმნილიყოს. ვიმეორებთ, საკმე გვაქვს არა ერთ და ორ ტოპონიმთან, არამედ რამდენიმე ათეულთან. ასეთი მასობრივი გავრცელება მხოლოდ იმ

<sup>29</sup> <http://khevsureti.ge/?p=615>.

<sup>30</sup> ვერა ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. II-2: თუშეთი. თბილისი, 1985.

<sup>31</sup> ვალერიან ელანიძე. თუშეთის ისტორიის საკითხები. თბილისი, 1988, გვ. 17.

<sup>32</sup> ვალერიან ელანიძე. თუშეთის ისტორიის საკითხები. თბილისი, 1988, გვ. 209.

<sup>33</sup> აკაკი შანიძე. თუშები.– ჟურნალი „მნათობი“, 1972, №2, გვ. 104.



კონკრეტულ ენაზე (ამ შემთხვევაში, წოვათუშურზე) მოსაუბრე ხალხის დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრების პირობებშია შესაძლებელი.

აკაკი შანიძე სრულიად ნათლად და არგუმენტირებულად ასაბუთებს, რომ უძველეს დროში თუშეთის მთელი ტერიტორია წოვათუშთა წინაპრებით იყო დასახლებული: „ჩაღმა-თუშების ქართულში უხვად ურევია ელემენტები, რომლებიც უტყუვრად მოწმობს, რომ ერთ დროს მათი მამა-პაპანიც წოვა-თუშურად ლაპარაკობდნენ და შემდეგ თანდათან გადმოვიდნენ ქართულზე. ასეთი ელემენტებია, უპირველეს ყოვლისა, ადგილის სახელები, ფონეტიკური მოვლენები და შემდეგ ცალკეული სიტყვები“.<sup>34</sup>

აკაკი შანიძის მოსაზრებიდან გამომდინარე, თუშეთში ჩაღმათუშების დასახლების შემდეგაც კი ისტორიული სახელები რიგ ადგილებში კვლავ უცვლელი გვხვდება. თუკი პირიქითის ხეობაში ამის ახსნა შეიძლება ახლო მეზობლობით, ძალზე მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობითა (ეს ფაქტორიც, რასაკვირველია, გასათვალისწინებელია) და ჩენეთ-ინგუშეთიდან გადმოსულების სიმრავლით, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით სხვა ორი თემის – გომეწრისა და ჩაღმას შესახებ.

თუშეთის ტერიტორიაზე წოვათუშური ტოპონიმების შესახებ საყურადღებოა არსენ ბერთლანის მოსაზრებაც: „გარდა ამისა, თუშეთის (და არა მარტო თუშეთის) ტოპონიმთა წარმოებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია -გო, -ლო, -ჩო მაწარმოებლებს (ხმოვნის გრძელი კორულაციით), რომლებიც, თ. უთურგაიძის აზრით ნახური წარმომავლობისაა“ და „თვით თუშ- ძირის სემანტიკა უტოლდება ჩენურ, მაშასადამე, ნახურ სემანტიკას „შემოგარენი“.“<sup>35</sup>

წოვათუშები არ ხმარობენ ჩაღმათუშურ კილოზე წარმოქმულ ქართულ სიტყვებს და ლიტერატურული ქართულით საუბრობენ. სამაგიეროდ ჩაღმათუშები ხმარობენ წოვათუშურ სიტყვებს, ანუ აქ საქმე გვაქვს ჩაღმათუშების მიერ წოვათუშურიდან აღებულ კალკთან. შევადაროთ ეს ფაქტი იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით XVII საუკუნეში თუშები (ჩაღმათუშები) რამდენიმე ასეულ/ათასეულ წოვათუშს იფარებენ და მოწყალების სახით აძლევენ წოვათას. ამ შემთხვევაში გაუგებარია, თუ როგორ შეიძლებოდა, ეს ფაქტი ჩაღმათუშურ ტოპონიმიკაზე ასახულიყო.

ჩაღმათუშურ კილოზე წოვათუშურის (ნახურის) გავლენა მხოლოდ ლექსიკური ერთეულებით არ შემოიფარგლება. თედო უთურგაიძე აღნიშნავს: „ნახურის კალკად მიგვანჩნია თუშურისა და ხევსურულის საზოგადო და საკუთარ სახელთა მიმართვის თავისებური ფორმები, რითიც ისინი მკაფიოდ განირჩევიან ლიტერატურული ქართულისა და დანარჩენი კილოებისგან...“<sup>36</sup> ამავე დროს, „მიმართვის თუშურ და ბაცბურ ფორმებში შეიმჩნევა ხმოვანთა დაგრძელებისა და დავიწროების გარკვეული კანონზომიერება...“<sup>37</sup>

წოვათუშების მეურნების წამყვანი დარგი მეცხვარეობა იყო. ამის დასადასტურებლად XVII-XVIII საუკუნეების სიგელ-გუჯრები, აგრეთვე, XIX საუკუნის კამერალური აღწერის შედეგები შეიძლება მოვიშველიოთ.

წოვათუშები ნახევრად მომთაბარე ტიპის მეცხვარეობას მისდევდნენ. ზაფხულში მთის საძოვრებზე აძოვებდნენ ცხვარს, ზამთარში კი – კახეთის ბარში, რაც დღესაც ასეთივე სახით ხდება. უშუალოდ წოვათუშების მოხსენიების პირველი შემთხვევა დაკავშირებულია ზემოთ ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ სიგელში „ორ ქვაზედ დაწერილი გუჯარი“, რომელშიც საუბარია კახეთში საზაფხულო საძოვრების თუშებისთვის გადაცემაზე.

XVIII საუკუნეში კარგად ჩანს, რომ კახეთის ბარში გამოსაზამთრებლად ცხვარი, ძირითადად, წოვათუშებს ჩაჰყავთ. ამის მაგალითია გიულდენშტედტის დაკვირვება, სადაც იგი ალვანის ტერიტორიაზე წოვათუშებთან შეხვედრას აღწერს.

<sup>34</sup> აკაკი შანიძე. თუშები.– ჟურნალი „მნათობი“, 1972, №2, გვ. 104.

<sup>35</sup> არსენ ბერთლანი. წოვათუშის ნისლეტი (ხანდაზმული ნაფიქრალი). თბილისი, 2009, გვ. 32.

<sup>36</sup> თედო უთურგაიძე. ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება. თბილისი, 1966, გვ. 75.

<sup>37</sup> თედო უთურგაიძე. ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება. თბილისი, 1966, გვ. 81.

XIX საუკუნის კამერალური აღწერების შედეგად ჩანს, რომ თუშეთში არსებული ცხვრის უდიდესი ნაწილი წოვათუშების ხელში იყო. 1843 წლის აღწერით, წოვათუშების 252 კომლს ჰყავდა 56189 სული ცხვარი; ჩაღმის თემში მცხოვრებ 222 ოჯახს – 6850; პირიქითის 220 ოჯახს – 7460.<sup>38</sup>

შედარებით განსხვავებული რიცხვები მოაქვს როლანდ თოფჩიშვილს, მაგრამ საერთო შეფარდება დაახლოებით იგივეა: 80% – 20%-ზე წოვათუშების სასარგებლოდ.<sup>39</sup>

წოვათუშების მიერ საუკუნეების მანძილზე თუშეთის დანარჩენი ტერიტორიიდან წოვათისკენ გადაჯგუფებას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. ერთ-ერთი უმთავრესი იყო მეცხვარეობის შენარჩუნება. ამ კუთხით წოვათა-ალაზნისთავის უპირატესობას განამტკიცებს მათი კახეთის ბართან სიახლოვე. ალაზნისთავიდან ცხვარი ორ დღეში პანკისის ხეობაშია; მაშინ, როდესაც პირიქითიდან და ჩაღმადან 3-4 დღე მაინც სჭირდება კახეთში მოხვედრას. ალაზნისთავი-წოვათა შედარებით უსაფრთხოცაა. რასაკვირველია, იმ პერიოდში მთის არც ერთი ადგილი არ იყო ბოლომდე დაცული, მაგრამ პირიქითის ხეობას უშუალოდ ესაზღვრება ჩენჩეთი, ჩაღმას კი – დაღესტანი და აოხრების უპირველეს ობიექტს სწორედ თუშეთის ეს ტერიტორიები წარმოადგენდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ აღწევდა თავდამსხმელი თუშეთის სიღრმეში.

საყოველთაოდ ცნობილია თუშური ცხვარი, თუშური ყველი, თუშური ქუდი, რაც მრავალსაუკუნოვან ტრადიციასთანაა დაკავშირებული. ეს ტრადიცია ასევე საუკუნეების მანძილზე ცხვრის მოშენებას გულისხმობს, რასაც მისდევდნენ წოვათუშები. ჩაღმათუშებს კი ცხვარი მცირე რაოდენობით ჰყავდათ, რადგან ზამთრის პირობებში თუშეთში დიდი რაოდენობით ცხვრის შენახვა შეუძლებელია. სამაგიეროდ, შესაძლებელია იმ რაოდენობით შენახვა, რაც 1843 წლის აღწერაში პირიქითსა და ჩაღმის თემშია დაფიქსირებული. სავარაუდოდ, ჩაღმათუშებისთვის ცხვრის მოშენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონია, რადგან XIX საუკუნეში ჩაღმათუშურ სოფლებში დიდი რაოდენობით მსხვილი რქოსანი პირუტყვიც ფიქსირდება და მეცხვარეობა მათთვის მხოლოდ ერთ-ერთ საქმიანობას წარმოადგენდა და არა ძირითადს.

როგორც ჩანს, საუკუნეების მანძილზე თავდასხმების შედეგად შევიწროვებული წოვათუშები ნელ-ნელა ტოვებდნენ საკუთარ საცხოვრებელს, რაზეც წოვათუშური სახელების სიმრავლეც მეტყველებს (ამის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ) და სახლდებიან შედარებით უკეთ დაცულ, კარგი საძოვრებით გამორჩეულ და კახეთის ბართან ახლოს მდებარე ტერიტორიებზე, ხოლო მიტოვებულ ტერიტორიებს იკავებდნენ ჩრდილოკავკასიის მთიანეთიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შემოხიზნული გვარები.

არსებული წყაროებით და ინფორმაციით თუშეთში წოვათუშთა განსახლების ზუსტი თარიღის დადგენა წარმოუდგენელია. ერთი რამის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება: ლინგვისტური, ეკონომიკური და სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით, წოვათუშები თუშეთის მკვიდრი უძველესი მოსახლეობაა. ყოველ შემთხვევაში, ისინი თუშეთში ჩაღმათუშებზე უფრო ადრე არიან მოსულები. ჩვენს კატეგორიულობას ის არბილებს, რომ ათასობით წლის წინ თუშეთში მოსახლე ადამიანების ეთნიკური კუთვნილების დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია.

<sup>38</sup> ვალერიან ითონიშვილი. თუშეთი და თუშები. თბილისი, 2012, გვ. 72.

<sup>39</sup> როლანდ თოფჩიშვილი. წოვა-თუშები. თბილისი, 2009, გვ. 86.

**Irakli Veshaguridze**

**Ts'ovata and the Ts'ova-Tushs**

Summary

Novel studies in the origin and times of settlement of ethnic groups inhabiting the territory of Georgia, as well as research in interethnic relations between larger and minor ethnic communities have recently become increasingly essential with regard to positioning of Georgia in the Caucasus region.

This article does not aim producing an explicit definition of the times and reasons theTs'ova-Tush people, a small ethnic group inhabiting the north-eastern region of Tusheti, came to settle current Georgian land. Rather, our objective has been to establish reasonable limits to the timeframe and area of their movements. This becomes particularly important given that historical documents regarding the origin of Ts'ova-Tushs, are scarce and often unreliable.

We have scrutinized and critically analyzed contemporary historical works dedicated to the study of the Ts'ova on the one hand, and on the other hand, considered the scant historical texts that may be of help in this regard, with particular focus on demographic, economic and ethnolinguistic factors.

While majority of authors share the view that Ts'ova-Tushs settled in Georgia as migrants at a relatively later stage, we consider this outlook to be largely erroneous. We have tried to make a first step to proving that Ts'ovas have inhabited the land of Tusheti since the ancient times and can be regarded as autochthonous population of this highland Georgian region.

Given the broad range of components and factors to be considered in a study concerning the origin of an ethnicity, our comparatively short work as such could not have targeted at a final settlement of the dispute or arriving at a clear-cut conclusion. We hope, though, that the article will open the door to novel approaches and viewpoints in the problem of establishing the origins of Ts'ova-Tushs in Georgia.

**პოლიტიკური ნეიტრალიტეტი  
(საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილება)**

ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოს ისტორია თავიდანვე ისე განვითარდა, რომ საქართველოს ლავირება უხდებოდა ორ დიდ იმპერიას შორის და ქართული პოლიტიკური ელიტა იძულებული იყო, კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში დაპირისპირებული ორი ძალიდან რომელიმეს მხარე დაეჭირა, ანუ ორი ძალიდან ერთ-ერთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირში შესულიყო. კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში ძლიერი დაპირისპირებები იყო რომსა და პართიას, სპარსეთსა და რომს, ბიზანტიასა და სპარსეთს, არაბეთის ხალიფატსა და ბიზანტიას, ბიზანტიასა და თურქ-სელჩუკებს შორის...<sup>1</sup> განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა გვიანი შუასაუკუნეების ეპოქაში (XVI-XVIII სს.), როდესაც სამხრეთ კავკასიაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ჯერ ირანი და ოსმალეთი, ხოლო შემდეგ – ირანი, ოსმალეთი და რუსეთი.<sup>2</sup> 1801-1917 წლებში საქართველო რუსეთის მიერ იყო დაპყრობილი და აქედან გამომდინარე, ქვეყანას არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკა არ გააჩნდა. ქართველი ერი აქტიურად იყო ჩაბმული XIX საუკუნეში მიმდინარე რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებში და ამდენად, რუსეთის სამხედრო პოლიტიკური გეგმების განხორციელებაში იღებდა მონაწილეობას. სახელმწიფოებრიობადაკარგულ, დაპყრობილ ერს სხვაგვარად არც შეეძლო ემოქმედა.

საქართველოს მიერ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება შესაძლებელი გახდა რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ, როდესაც რომანოვების იმპერია დაინგრა და ქართველ ერს პოლიტიკური არჩევნის გაკეთების შესაძლებლობა მიეცა.

**1. დამოუკიდებელი პოლიტიკის შემუშავების ცდები საქართველოში  
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე  
(1917 წლის გაზაფხული – 1918 წლის გაზაფხული)**

ქართულ პოლიტიკურ ელიტას დამოუკიდებელი პოლიტიკის შემუშავების მცდელობა 1917 წლის გაზაფხულზე ჰქონდა. 1917 წლის აპრილში შედგა საქართველოს პირველი და მეორე ინტერპარტიული კრებები, მაგრამ ამ დროისათვის ამიერკავკასიას (სამხრეთ კავკასიას) განაგებდა რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული სამხარეო ხელისუფლების ორგანო – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი) და ქართული პოლიტიკური ელიტაც იძულებული იყო, ანგარიში გაეწია იმისათვის, რომ ამიერკავკასია და მათ შორის საქართველოც, იმ დროისათვის რუსეთის იმპერიის განუყოფელი ნაწილი იყო.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ქართული დიპლომატიის ისტორია. აკადემიკოს როინ მეტრეველის რედაქციით. თბილისი, 2003.

<sup>2</sup> ვახტანგ გურული. საქართველო და გარესამყარო. თბილისი, 2011.

<sup>3</sup> საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917 წლის აპრილი-ნოემბერი). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი სიტყვა დაურთო ზაირა გერგელავა-ჭელიძემ. თბილისი, 1999. გვ. 11-21.

1917 წლის 12 აგვისტოს შეიქმნა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანება – საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო. ამ დროისათვის სამხრეთ კავკასიაში ვითარდება სულ უფრო იძაბებოდა. რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის ხაზზე, მართალია, დიდი ბრძოლები აღარ მიმდინარეობდა, მაგრამ სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ რუსეთის კავკასიის არმია ოსმალეთის შემოტევისაგან სამხრეთ კავკასიას დიდხანს ვეღარ დაიცავდა. რუსეთის არმიის გახრწნა განსაკუთრებით სწრაფი ტემპით გაგრძელდა მას შემდეგ, რაც 1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება განახორციელეს და კანონიერი დროებითი მთავრობა დაამხეს. ასეთ ვითარებაში საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული ჯარის შექმნის საქმეს, რათა საქართველოს საკუთარი ძალებით დაეცვა თავი.<sup>4</sup> საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მსგავსად, არც საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას (გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს) გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯები ნეიტრალიტეტის პოლიტიკის შემუშავების მიზნით. პირიქით, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის ეროვნულ-პოლიტიკური სექციის სხდომაზე, ისევე, როგორც თვით ყრილობაზე, ორი პოზიცია გამოიკვეთა: ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტების ნაწილი მხარს უჭერდნენ პროდასავლური ორიენტაციის აღიარებას, ანუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს. სოციალისტ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტების ნაწილი კი პრორუსულ ორიენტაციას აღიარებდნენ, ანუ რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის მომხრენი იყვნენ. აქვე გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში ივლისისებოდა არა საბჭოთა რუსეთი, არამედ დემოკრატიული რუსეთი, რომლის მთავრობა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის გახსნამდე დაამხეს ბოლშევიკებმა.<sup>5</sup> საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ თავის რეზოლუციაში ჩაწერა: „ქართველი ერი, დღესაც, როგორც მთელს გასულ საუკუნის განმავლობაში, დგას რუსეთის ორიენტაციაზე“.<sup>6</sup> როგორც საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მასალებიდან ირკვევა, ასეთი რეზოლუციის მიღება სხვა მიზეზებთან ერთად განაპირობა იმან, რომ რუსეთ-ოსმალეთის კავკასიის ფრონტზე იდგა რუსეთის არმია, რის გამოც ქართულ პოლიტიკურ ელიტას პროდასავლური პოლიტიკური ორიენტაციის ყრილობის რეზოლუციაში დაფიქსირება არ შეეძლო. აშკარა ანტირუსულ პოლიტიკაზე უარის თქმით ეროვნულმა ყრილობამ მიაღწია იმას, რომ რუსეთის კავკასიის არმია არ ჩაერია საქართველოს საშინაო საქმეებში. მეორე მხრივ, აშკარა პროდასავლური პოლიტიკურ ორიენტაციისაგან თავის შეკავებით გარკვეულწილად უნდა შენელებულიყო საბჭოთა რუსეთის მისწრაფება აღედგინა იურისდიქცია საქართველოში. ამრიგად, პრორუსული ორიენტაციის დადასტურებით ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ შეძლო დროებით მაინც მოეხსნა საბჭოთა რუსეთის მხრიდან სამხედრო აგრესიის საფრთხე და ქვეყნის განვითარებისათვის მეტნაკლებად ნორმალური პირობები შეექმნა. საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას შექნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება რომ რეალისტურად არ შეეფასებინა, რეალისტურად არ შეეფასებინა რუსეთის კავკასიის არმიისაგან მომდინარე საფრთხე და საბჭოთა რუსეთის ჰეგემონისტური მისწრაფებები სამხრეთ კავკასიაში, შეიძლებოდა საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა – გაერთულებინა ურთიერთობა რუსეთის კავკასიის არმიასთან და გაეღიზიანებინა საქართველოში მოვლენათა განვითარებით ისედაც უკმაყოფილო საბჭოთა რუსეთი. გარდა ამისა, ქართული პოლიტიკური ელიტა თვლიდა,

<sup>4</sup> საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917 წლის აპრილი-ნოემბერი). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი სიტყვა დაურთო **ზაირა გერგუდავა-ჭელიძემ**. თბილისი, 1999. გვ. 30-62.

<sup>5</sup> **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული**. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918. თბილისი, 1998. გვ. 27-34.

<sup>6</sup> **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული**. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918. თბილისი, 1998. გვ. 28.

რომ რუსეთის კავკასიის არმიისა და საბჭოთა რუსეთის გაღიზიანებისაგან თავის შეკავება იმითაც იყო გამართლებული, რომ რუსეთის კავკასიის არმია საბოლოოდ ვეღარ შეინარჩუნებდა ბრძოლის უნარს, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში დაემხოვოდა. ამ ორი სასურველი მოვლენის მოლოდინში ქართული პოლიტიკური ელიტა მომავალ დემოკრატიულ რუსეთთან ურთიერთობის დამყარებაზე ფიქრობდა. დემოკრატიულ რუსეთთან ურთიერთობის განვითარება სამომავლო პერსპექტივა იყო. უფრო სწრაფად და უახლოეს ხანებში რუსეთი საქართველოს ოსმალეთის ოსმალეთის აგრესიული გეგმების აღკვეთისათვის დასჭირდებოდა. ყოველივე ზემოთ თქმულს თუ გაეითვალისწინებთ, შეიძლება დავასკვნათ: საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ პრორუსული ორიენტაციის დადასტურება სამხრეთ კავკასიაში რუსეთსა და ევროპაში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების რეალისტურ ანალიზს ემყარებოდა. თუმცა პირველი მსოფლიო ომის მეოთხე წლის დასაწყისში შექმნილი არამყარი, სწრაფადცვალადი და არაპროგნოზირებადი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ართულებდა პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრას. შეცვლილი ვითარება დაუყოვნებლივ ითხოვდა პოლიტიკური ორიენტაციის კორექტირებასაც. სულ მალე ქართული პოლიტიკური ელიტა იძულებული გახდა კვლავ სერიოზულად ემსჯელა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხზე. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და დემოკრატიული წყობილების დამყარების პროგნოზი არ გამართლდა. რუსეთში ბოლშევიკებმა ძალაუფლება შეინარჩუნეს; კანონიერი მთავრობის აღდგენის შანსი სულ უფრო მცირდებოდა. ბოლშევიკების აგიტაციის შედეგად რუსეთის კავკასიის არმია პრაქტიკულად ბრძოლისუუნარო გახდა. ქართული პოლიტიკური ელიტა კარგად ხედებოდა, რომ საბჭოთა რუსეთი სამხრეთ კავკასიასა და მათ შორის საქართველოზე, თავისი იურისდიქციის გაგრძელებას შეეცდებოდა. ერთი მხრივ ოსმალეთის, ხოლო მეორე მხრივ საბჭოთა რუსეთის აგრესიის საფრთხე საქართველოს ეროვნულ საბჭოს უბიძგებდა იქითკენ, რომ დიდი ყურადღება დაეთმო ქართული ჯარის შექმნისათვის და ამავე დროს პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ორ სამხედრო ბლოკს (ანტანტა, სამთა კავშირი) შორის სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე ეძებნა. ყოველივე ეს კი ადვილი საქმე არ იყო.

1917 წლის 8 დეკემბერს თბილისში ჩამოვიდნენ ანტანტის (ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ს, იტალიის) ელჩები და სამხედრო ექსპერტები. ქართულ პოლიტიკურ ელიტას იმედი ჰქონდა, რომ ოსმალეთის აგრესიისაგან საქართველოს ანტანტა დაიცავდა. შეხვედრაზე გაირკვა, რომ ანტანტას საქართველოსათვის ჯარით, შეიარაღებითა და ფულით დახმარების აღმოჩენა არ შეეძლო. ანტანტის დიპლომატები და სამხედრო ექსპერტები იმის გარკვევას ცდილობდნენ, ქართველები და სომხები რუსეთის არმიის წასვლის შემდეგ თავისი ძალებით შეძლებდნენ თუ არა გერმანიის მოკავშირე ოსმალეთის აგრესიის მოგერიებას. ამრიგად, ანტანტასთან სამხედრო პოლიტიკური კავშირის დამყარებას სხვა მიზეზებთან ერთად ართულებდა ის, რომ ჯერჯერობით საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო და არც საქართველოს ეროვნული საბჭო იყო საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებებით აღჭურვილი ორგანო. ორივე სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, ანტანტაც და სამთა კავშირიც, საქართველოს განიხილავდა რუსეთის შემადგენელ ნაწილად.

1918 წლის იანვარში რუსეთის კავკასიის არმიამ საქართველოს ტერიტორია დატოვა. საქართველო ოსმალეთის აგრესიის რეალური საფრთხის წინაშე დადგა. ქართული ჯარი მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა და მას ოსმალეთის აგრესიის მოგერიება არ შეეძლო. დაძაბულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას ამსუბუქებდა ის, რომ საბჭოთა რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიაზე, კასპიისპირეთსა და შავიზღვისპირეთზე იურისდიქცია დაკარგა და ჩრდილოეთიდან საქართველოში რუსეთის ჯარების შემოჭრის საფრთხე დროებით მოიხსნა.

ასეთ რთულ ვითარებაში საქართველოს ეროვნული საბჭო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ემზადებოდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ორი მეზობელი სახელმწიფო, საბჭოთა რუსეთი და ოსმალეთი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინა ხანებში (1918 წლის მარტი-აპრილი) ოსმალეთს

ოკუპირებული ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთი საქართველო (აჭარა, სამცხე-საათაბაგო). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტანტა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისადმი ინტერესს არ იჩენდა. რაც შეეხება მეორე სამხედრო ბლოკის, სამთა კავშირის, წამყვან სახელმწიფოს, გერმანიას, 1917-1918 წლებში გარკვეული ინტერესები გაუჩნდა საქართველოსადმი. გერმანიას საქართველო ჭირდებოდა აღმოსავლური პოლიტიკის ფორპოსტად. საქართველოს მდგომარეობას აუმჯობესებდა ის, რომ გერმანია და რუსეთი პირველ მსოფლიო ომში ერთმანეთს ებრძოდნენ და ამდენად, გერმანია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სამომავლო მოკავშირედაც განიხილებოდა. იმავედროულად, საქართველოს მდგომარეობას ართულებდა ის, რომ გერმანია და ოსმალეთი ერთ სამხედრო ბლოკში შედიოდნენ და ამდენად, საქართველოს გარკვეული სიძნელეები შეექმნებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ გერმანიის გამოყენების მცდელობისას. გერმანია იძულებული იქნებოდა თავისი მოკავშირის, ოსმალეთის, წინააღმდეგ რაღაც დათმობაზე წასულიყო, რაც შესაძლოა საქართველოსათვის საბედისწერო გამხდარიყო. საბოლოოდ, საქართველო-გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შედგა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გერმანიის აქტიური და ქმედითი მხარდაჭერით განხორციელდა. 1918 წლის 28 მაისს ფოთში საქართველო-გერმანიის ხელშეკრულება დაიდო. მალე საქართველოში გერმანიის არმიის ერთი დივიზია (ბავარიის დივიზია) შემოვიდა და სამხედრო-პოლიტიკური კავშირიც რეალურ საფუძველს დაემყარა.

## 2. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკის დეკლარირება

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა უაღრესად რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში. 1918 წლის მაისში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა პირველი მსოფლიო ომი. ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, ანტანტა და სამთა კავშირი, უკანასკნელ ძალებს იკრებდნენ. მართალია, 1917 წლის ომში ანტანტის მხარეზე ჩაება აშშ, მაგრამ 1918 წლის მარტში ანტანტის სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს გამოეთიშა რუსეთი, რომელმაც სამთა კავშირთან სეპარატიული ზავი დადო. მძიმე ვითარება იყო სამხრეთ კავკასიაში. რეგიონიდან რუსეთის არმიის გასვლის შემდეგ ოსმალეთმა დაიპყრო თითქმის მთელი სომხეთი და საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. ასეთ ვითარებაში ღლოკიურად ჩანდა, რომ ქართულ პოლიტიკურ ელიტას რომელიმე ბლოკთან მიერთებაზე ეზრუნა. ამ ვარაუდს ისიც აძლიერებდა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გერმანიის დახმარებით მოხდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მე-3 პუნქტი გვაუწყებდა: “საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა”.<sup>7</sup> ეს იყო ქართული პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი განაცხადი ნეიტრალიტეტის პოლიტიკის თვალსაზრისით. აქვე უნდა განვმარტოთ, თუ რა სახის ნეიტრალიტეტი გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ. ნეიტრალიტეტის ტიპს, როდესაც სახელმწიფო ნეიტრალურად აცხადებს თავს ომიანობის დროს და არაფერს ამბობს მშვიდობიანი პერიოდის შესახებ, ჩვეულებრივი (ევენტუალური, კაზუალური) ნეიტრალიტეტი ეწოდება. საქართველომ სწორედ ასეთი ტიპის ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. მაშასადამე, საქართველოს დემოკრატიული

<sup>7</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბილისი, 1990. გვ. 4; გურამ შარაძე, ვიორჯი შარაძე. ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. 1918-1921. თბილისი, 2001. გვ. 41.

რესპუბლიკის მიერ გამოცხადებული ნეიტრალიტეტი არ იყო დაკავშირებული მშვიდობიანობის დროს რაიმე უფლება-მოვალეობებთან. ჩვეულებრივი ნეიტრალიტეტი წარმოიშობა მესამე სახელმწიფოებს შორის ომის მდგომარეობასთან ერთად და მთავრდება ომის დამთავრებით ან თავად ნეიტრალური სახელმწიფოს ომში ჩართვით. 1918 წლის 26 მაისის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში დეკლარირებული საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტის დაცვის პოლიტიკა განაგრძო საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 12 მარტს. ამ დღეს ახლად არჩეულმა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ უცვლელად დატოვა აქტის მე-3 მუხლი ნეიტრალიტეტის შესახებ.<sup>8</sup> ბუნებრივად ისმის კითხვა: 1918 წლის 26 მაისის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტით ნეიტრალიტეტის დეკლარირება საერთაშორისო ომიანობაში იდეალისტური გადაწყვეტილება იყო თუ პრაგმატისტული? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილი არ არის. იგი მოითხოვს 1918 წლის მაისისათვის პირველი მსოფლიო ომის შედეგად ევროპასა და აზიაში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ანალიზს, კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში მეომარ მხარეთა ინტერესებისა და მისწრაფებების, სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ერებისა და ხალხების საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციისა და უშუალოდ საქართველოში რეალურ პოლიტიკურ ძალთა (პოლიტიკურ პარტიათა) განწყობილების გათვალისწინებას. ანგარიშგასაწვეი იყო ისიც, საქართველოს მხრიდან საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტის დაცვა მისაღები იქნებოდა თუ არა პირველი მსოფლიო ომის მონაწილე სამხედრო ბლოკებისათვის, უპირველეს ყოვლისა კი ორი აგრესიული მეზობელი სახელმწიფოსათვის – საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთისათვის? ნეიტრალიტეტის გამოცხადება და მისწრაფება მისი რეალიზებისათვის ერთია, მეორე და მთავარი ის არის, ვისთვის იქნებოდა ეს ნეიტრალიტეტი მისაღები და რომელი ქვეყანა (ქვეყნები) იქნებოდნენ ამ ნეიტრალიტეტის გარანტი. გარანტის, ფარული მოკავშირის, გარეშე ნეიტრალიტეტის გამოცხადებას აზრი არა აქვს, მისი რეალობაში განხორციელება შეუძლებელია.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტის გამოცხადება ასეთ ვითარებაში მოხდა:

**პირველი.** პირველი მსოფლიო ომი გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა. მეომარი სახელმწიფოები ადამიანური და მატერიალური რესურსების ამოწურვის წინაშე იდგნენ და მაინც აგრძელებდნენ ომს. ასეთ ვითარებაში საქართველოს ეროვნული საბჭო აცხადებდა, რომ იგი არავის მიემხრობოდა. საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტის გამოცხადებით, რასაკვირველია, საქართველოსადმი ინტერესს დაკარგავდა პირველ მსოფლიო ომში ჩაბმული ორივე სამხედრო ბლოკი. გამოდის, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი ფასი თვითონვე დასცა. შეიძლება დაისვას კითხვა: რა ისეთი დიდი პოტენციალი ჰქონდა საქართველოს, რომ მეომარ მხარეთა დაინტერესება გამოეწვია? საქართველოს დიდი სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობები მართლაც არ გააჩნდა, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი რამ: 1918 წლის 26 მაისს ვერავენ იფიქრებდა, რომ პირველი მსოფლიო ომი 1918 წლის 11 ნოემბერს დამთავრდებოდა. ომი შეიძლებოდა უფრო ხანგრძლივი გამომდგარიყო და ვერავენ გამორიცხავდა იმას, რომ მახლობელი აღმოსავლეთი და სამხრეთ კავკასია მნიშვნელოვანი საბრძოლო ოპერაციების რეგიონად ქცეულიყო. მოვლენების ამგვარი განვითარების შემთხვევაში საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ორივე მეომარი მხარის ცხოველი დაინტერესების სფეროში მოექცეოდა. 1918 წლის 26 მაისის აქტი კი საქართველოს რომელიმე სამხედრო ბლოკისადმი მიმხრობას უკრძალავდა.

**მეორე.** 1918 წლის 26 მაისისათვის უკვე კარგად იყო ცნობილი საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის აგრესიული გეგმები საქართველოს მიმართ. არ იყო გამორიცხული, რომ ამ ორი

<sup>8</sup> გურამ შარაძე, გიორგი შარაძე. ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. 1918-1921. თბილისი, 2001. გვ. 54.



სახელმწიფოდან საქართველო რომელიმეს დაეპყრო ან ორივეს მისი ტერიტორია გადაენაწილებინა. ამ შემთხვევაში საქართველოს არცერთი სამხედრო ბლოკი არ დაიცავდა.

**მესამე.** მძიმე ვითარება იყო სამხრეთ კავკასიაში. ჯერ კიდევ 1918 წლის 26 მაისამდე გაირკვა, რომ სომხეთი ანგლოფილურ ორიენტაციას ადგა, აზერბაიჯანი – ოსმალოფილურს, საქართველომ გერმანოფილური ორიენტაცია აირჩია. ამის გარეშეც საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთობას მომავალში, ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, სადავო სასაზღვრო ტერიტორიებისათვის ბრძოლა დაძაბავდა. გამორიცხული არ იყო ომიც. შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ მეზობლებთან ომში ჩაბმული საქართველო მოკავშირის გარეშე დარჩენილიყო.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესაძლო იყო პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის პროცესში საქართველო მნიშვნელოვან ფორფოსტად ქცეულიყო რომელიმე, ან ორივე მეზობელი მხარისათვის. 1918 წლის 26 მაისის აქტი გამორიცხავდა საქართველოს ტერიტორიაზე რომელიმე სამხედრო ბლოკის ჯარების შემოსვლას.

თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, 1918 წლის 26 მაისის აქტით საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტის გამოცხადება იდეალისტური პოლიტიკის გამოხატულება იყო და მოკლებული იყო რეალურ საფუძველს. ამავე თვალსაზრისით თუ შევხედავთ, 1919 წლის 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის უცვლელად მიღებაც არ იყო პრაგმატული პოლიტიკის გამოვლინება და კვლავ იდეალისტური პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა. 1919 წლის მარტისათვის პირველი მსოფლიო ომი უკვე დასრულებული იყო, მაგრამ ომი დასრულდა საქართველოს მოკავშირე გერმანიის დამარცხებით. გერმანიის დამარცხება საქართველოსათვის ორი თვალსაზრისით იყო საფრთხის შემცველი: 1) ოსმალეთი გერმანიის მოკავშირე იყო და გერმანიის გაკლენით იძულებული ხდებოდა შეეკვცა აგრესიული გეგმები საქართველოს მიმართ. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, რასაკვირველია, ოსმალეთი გერმანიას ანგარიშს აღარ გაუწევდა. 2) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანოფილური ორიენტაციის გამო ღიზიანდებოდა ანტანტის ბლოკი და განსაკუთრებით – ინგლისი. გერმანიის დამარცხების შემდეგ ინგლისს საქართველოს დასჯაში ხელს ვეღარავინ შეუშლიდა. ყოველივე ამის გათვალისწინება 1919 წლის მარტისათვის არც ისე რთული იყო, თუმცა გასაგებია ქართული პოლიტიკური ელიტის პოზიციაც, 1918 წლის 26 მაისის აქტიდან საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტის შესახებ მუხლის ამოღება გარკვეულ უხერხულობასთან იყო დაკავშირებული.

1918 წლის 26 მაისის აქტში დეკლარირებული ნეიტრალიტეტის დაცვა რომ რეალურ საფუძველს მოკლებული იყო, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 2 დღის შემდეგ გახდა ცნობილი. 1918 წლის 28 მაისს ფოთში საქართველო-გერმანიის ხელშეკრულების დადება და საქართველოს ტერიტორიაზე გერმანული დივიზიის განლაგება იმის მაუწყებელი იყო, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თვითონვე დაარღვია საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტის პრინციპი.<sup>9</sup> ასეა თუ ისე, საქართველო გერმანიის მოკავშირე გახდა. ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ქართულ ჯარს გერმანიის მხარეზე არ უბრძოლია.

საერთაშორისო ომიანობაში საქართველოს მუდმივი ნეიტრალიტეტის დაცვა არ შეეძლო საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარების გამო. ოსმალეთი პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა. მუდროსის ზავით (1918 წლის ოქტომბერი) ოსმალეთს უნდა დაეტოვებინა სამხრეთ კავკასიის და მათ შორის საქართველოს, დაპყრობილი ტერიტორიები. საქართველო გამოცხადდა ინგლისის საოკუპაციო ზონად. 1918 წლის დეკემბრის ბოლოსა და 1919 წლის დამდეგს ბათუმში ინგლისის სამხედრო კრეისერები შემოვიდნენ და ჯარები გადმოსხეს. საქართველოს

<sup>9</sup> ზურაბ ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. თბილისი, 2011. გვ. 86-90.

ტერიტორიაზე ინგლისის ჯარი განლაგდა. ამრიგად, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მე-3 მუხლში გამოცხადებული საერთაშორისო ომთანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტის დაცვა, რომელიც უცვლელად გადავიდა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 12 მარტს დადასტურებულ დამოუკიდებლობის აქტში, მოკლებული იყო რეალურ საფუძველს და იდეალისტური პოლიტიკის გამოხატულებას წარმოადგენდა.

### **3. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოღვაწეობა ქვეყნის საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად**

1918 წლის 11 ნოემბერს გერმანია და მისი მოკავშირეები პირველ მსოფლიო ომში დამარცხდნენ. ანტანტის წინაშე გერმანიამ უსიტყვო კაპიტულაციის აქტს მოაწერა ხელი. ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიოს ახალი პოლიტიკური რუკა გამარჯვებულ ქვეყნებს უნდა დაედგინათ. 1919 წლის იანვარში პარიზში გაიხსნა საზავო კონფერენცია. სწორედ პარიზის კონფერენციაზე უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს საერთაშორისო აღიარების საკითხი. უნდა განსაზღვრულიყო საქართველოს ადგილი საერთაშორისო არენაზე. პარიზის კონფერენციამ ერთი წელი, 1920 წლის იანვრამდე, იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში საერთაშორისო ასპარეზზე ბევრი რამ შეიცვალა, განსაკუთრებით კი ყოფილი რუსეთის იმპერიის სივრცეზე. თეთრი მოძრაობა დამარცხდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობა მშვიდობიან ფაზაში შედიოდა. პარიზის კონფერენციას სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად უნდა გადაეჭრა ყოფილი რუსეთის იმპერიის სივრცეზე აღმოცენებული დამოუკიდებელი ქვეყნების საერთაშორისო ცნობის საკითხი. 1920 წლის იანვარს პარიზის კონფერენციამ მხოლოდ დე-ფაქტო ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო დე-იურე ცნობისაგან თავი შეიკავა. პარიზის კონფერენციაზე ხელი მოეწერა საერთაშორისო ორგანიზაციის – ერთა ლიგის -შექმნის დოკუმენტს. 1920 წლის 14 დეკემბერს ერთა ლიგამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის წევრად არ მიიღო. რით იყო განპირობებული ეს წარუმატებლობა? წარუმატებლობას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა და მათ შორის ერთ-ერთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ არჩეული ნეიტრალიტეტის პოლიტიკა იყო. გამარჯვებულმა ანტანტამ და პარიზის კონფერენციამ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებული დამოუკიდებელი სახელმწიფოები ორ ჯგუფად დაყო. პირველ ჯგუფში შევიდნენ ფინეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და პოლონეთი. ამ ქვეყნებმა დამოუკიდებლობის პირველი ხანებიდანვე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა. ფინეთი, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი 1918-1919 წლებში აქტიურად ეხმარებოდნენ თეთრი მოძრაობის ერთ-ერთ გამომჩენელ წარმომადგენელს გენერალ ნიკოლაი იუდენიჩს პეტროგრადზე შეტევის დროს. საბჭოთა რუსეთის მხრიდან მუქარის მიუხედავად, ამ ქვეყნებს იუდენიჩისათვის დახმარება არ შეუწყვეტიათ, ხოლო დამარცხების შემდეგ ნიკოლაი იუდენიჩის სამხედრო ნაწილები საკუთარ ტერიტორიაზე შეიფარეს. კიდევ უფრო აშკარად დაუპირისპირდა საბჭოთა რუსეთს პოლონეთი და მისი ლიდერი იუზეფ პილსუცკი. 1920-1921 წლებში პოლონეთმა ომიც კი წამოიწყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. გამარჯვებულმა ანტანტა და საერთოდ ევროპის ქვეყნებმა ფინეთს, ლიტვას, ლატვიას, ესტონეთსა და პოლონეთს ეს დამსახურება დაუფასეს, დე-იურე აღიარეს და ერთა ლიგაში მიიღეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ნეიტრალიტეტის პოლიტიკიდან გამომდინარე, მხარს არ უჭერდა თეთრ მოძრაობას, მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად იცოდნენ, რომ დასავლეთი საბჭოთა რუსეთის გასანადგურებლად სწორედ თეთრ მოძრაობაზე ამყარებდა იმედს. ანტანტამ დაინახა, რომ საქართველომ

პრაქტიკულად არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა, ხოლო ხშირ შემთხვევაში მტრული პოზიცია დაიკავა რუსეთის მოხალისეთა არმიის მიმართ, როგორც გენერალ ანტონ დენიკინის, ისე გენერალ პეტრე ვრანგელის სარდლობის დროს (1918-1920 წწ.). სწორედ ამიტომ იყო, რომ დასავლეთი საქართველოს არ განიხილავდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ სერიოზულ ძალად. ცხადია, გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსეთის მოხალისეთა არმიისადმი პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერის აღმოჩენა დიდ საშიშროებასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ იგივე საშიშროება ემუქრებოდა ფინეთს, ლიტვას, ლატვიას, ესტონეთსა და პოლონეთს. იმის გამო, რომ ამ ქვეყნებმა მხარი დაუჭირეს რუსეთის მოხალისეთა არმიას, ევროპამ მხარი დაუჭირა მათ დამოუკიდებლობას. აქედან გამომდინარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შეცდომა დაუშვა, როდესაც არ დაეხმარა მოხალისეთა არმიას, რადგანაც ეს ერთადერთი საშუალება იყო იმისათვის, რათა საქართველოს თავი წარმოეჩინა როგორც ევროპის პოტენციურ მოკავშირეს. ხოლო ნეიტრალიტეტის პოლიტიკის მომიზეხებით მოხალისეთა არმიის არდახმარება და ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ არგამოსვლა დასავლეთმა საქართველოს მხრიდან ზურგის შექცევად აღიქვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნეიტრალიტეტის დაცვის საშუალება საქართველოს თავად არ ჰქონდა. ცხადი იყო, რომ ევროპა და საბჭოთა რუსეთი თანდათან დაპირისპირებულ მხარეებად ისახებოდნენ. ასეთ შემთხვევაში ნეიტრალური საქართველო არ ჭირდებოდა ევროპას, ხოლო საბჭოთა რუსეთი საერთოდ თავის ტერიტორიად განიხილავდა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1918-1919 წლებში რუსეთის მოხალისეთა არმიას ნეიტრალიტეტის მომიზეხებით მაშინაც კი არ დაუჭირა მხარი, როცა მოხალისეთა არმია მოსკოვზე სალაშქროდ ემზადებოდა. ამ დროსმთელ ჩრდილოეთ კავკასიასა და სამხრეთ რუსეთში და საბჭოთა მთავრობას დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი პოზიცია – ამ რეგიონებში საბჭოთა რუსეთს ჯარი არ ჰყავდა. თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით მოვლენებს აშკარა გახდება: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დასავლეთის პოლიტიკის წინააღმდეგ მიდიოდა და მოხალისეთა არმიას მხარს არ უჭერდა ორი მიზეზით: 1) მოხალისეთა არმიაზე გამარჯვების შემთხვევაში საბჭოთა რუსეთი დასჯიდა საქართველოს; 2) ქართულ პოლიტიკურ ელიტას, რომლის პოლიტიკურ ორიენტაციას სოციალისტური პარტიები განსაზღვრავდნენ, იდეური მოსაზრებით არ სუქდათ მონარქისტ გენერლებთან, რუსეთის მოხალისეთა არმიის სარდლებთან, ჯერ გენერალ ანტონ დენიკინთან (1918-1919 წწ.), ხოლო შემდეგ გენერალ პეტრე ვრანგელთან (1919-1920 წწ.) სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ჰქონოდათ. მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მონარქისტობის გამო მოხალისეთა გენერლებისათვის დახმარებაზე უარის თქმა საქართველოს მთავრობის მხრიდან არალოგიკური ნაბიჯი იყო. მით უმეტეს, რომ მოხალისეთა არმიის გამარჯვების შემთხვევაში რუსეთში მონარქიის რეინკარნაცია არარეალური იყო. ამ შემთხვევაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ წინ დააყენა სოციალისტური ღირებულებები, რითაც ანგარიში არ გაუწია იმას, რომ იმ პერიოდში საბჭოთა რუსეთის განადგურება დასავლეთ ევროპის ქვეყნების ინტერესში შედიოდა. როცა პოლონეთის ლიდერი იუზეფ პილსუცკი პოლონელთა სისხლს ღვრიდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, იგი მხოლოდ საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების განადგურებას ესწრაფვოდა და იმაზე არ ფიქრობდა, საბჭოთა მთავრობის დამხობის შემდეგ რუსეთში ხელისუფლების სათავეში მეფე აღმოჩნდებოდა თუ პრეზიდენტი. ბოლშევიზმისა და საბჭოთა სისტემის მოსპობა იყო იმ ეპოქის უმთავრესი ამოცანა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იუზეფ პილსუცკიც სოციალისტი იყო, მაგრამ გადაწყვეტ მთავრობაში მას სოციალისტური დოქტრინით არ უხელმძღვანელებია. თუკი საქართველოს მთავრობამ მართლაც იმის გამო არ დაუჭირა მხარი მოხალისეთა არმიას, რომ ისინი მონარქისტები იყვნენ, ეს სოციალისტური ღირებულებების სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა დაყენებად უნდა შევაფასოთ. ასევე შეიძლება ვივარაუდოდოთ, რომ ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლაზე უარის თქმა გაუბედობის, საჭირო მომენტში საჭირო გადაწყვეტილების ვერმიღების შედეგი იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი გამხდარიყო ევროპული ბანაკის წევრი. ხოლო

ის, რომ საქართველო დამოუკიდებლობის შენარჩუნებას საკუთარი ძალებით ვერ შეძლებდა და “საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტი” საბჭოთა რუსეთის ველიკოდერჟავულ პოლიტიკას წინ ვერ აღუდგებოდა, ეს ნათელი უნდა ყოფილიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის.

ნეიტრალიტეტის პოლიტიკა მოსკოვის ზეგავლენით აისახა საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაში. ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ავალდებულებდა დაუყოვნებლივ განეირადებინა და საკონცენტრაციო ბანაკებში მოეთავსებინა საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო შენაერთები – პეტრე ვრანგელის მოხალისეთა არმიის ნაწილები. ამასთან ერთად, საქართველოს დაუყოვნებლივ უნდა დაეკავებინა და განეირადებინა საქართველოს ნავსადგურებში შესული რუსეთის მოხალისეთა არმიის სამხედრო გემები, ხოლო ოფიცრები და ჯარისკაცები საკონცენტრაციო ბანაკებში მოეთავსებინა.<sup>10</sup>

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ომიანობის პერიოდში ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გატარების მცდელობამ გამოიწვია ის, რომ დასავლური სამყარო საქართველოს არ მოიაზრებდა პოტენციურ მოკავშირედ, არამარტო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ საერთოდ აღმოსავლურ პოლიტიკაში. ამიტომ იყო, რომ პარიზის საზავო კონფერენციამ საქართველო დე-იურე არ ცნო, რის უშუალო გაგრძელებასაც წარმოადგენდა ის, რომ საქართველო ერთა ლიგაში არ მიიღეს. ცხადია, დასავლეთ ევროპის ქვეყნები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით ზემოხსენებული ვალდებულებების აღებას მოწონებით არ შეხვდებოდნენ. მართალია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას რუსეთის მოხალისეთა არმიის ჯარისკაცები საკონცენტრაციო ბანაკებში არ მოუთავსებია, მაგრამ ისიც ნათელია, რომ 1920 წლის 7 მაისის მე-5 მუხლს დასავლეთი საქართველოს მხრიდან მტრულ მოქმედებად აღიქვამდა.

#### 4. დიდი მეზობლის დაშოშმინება

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე კარგა ხნით ადრე იყო ცნობილი, რომ დამოუკიდებლობის მიღწევის შემთხვევაში საქართველოს ორ დიდ მეზობელთან, ოსმალეთთან და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება მოუხდებოდა. უშუალოდ 1918 წლის 26 მაისამდე 2-3 თვით ადრე საბჭოთა რუსეთმა კონტროლი დაკარგა მთელ ჩრდილოეთ კავკასიაზე, ხოლო თეთრი მოძარაობის დაწყებისა და აღმავლობის პროცესში – საერთოდ მთელ სამხრეთ რუსეთზე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთს, სურვილის მიუხედავად, საქართველოს მიმართ სამხედრო აგრესიის განხორციელება არ შეეძლო. საბჭოთა რუსეთის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაზე 1920 წლის ბოლოს გავცეცლდა და რუსეთის მხრიდან საშიშროებაც რეალური გახდა.

საბჭოთა რუსეთისაგან განსხვავებით საფრთხე ოსმალეთის მხრიდან არსებობდა როგორც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინა თვეებში, ისე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ვიდრე პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხებამდე (1918 წლის ოქტომბერი). ამიტომ იყო, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას პირველ რიგში ოსმალეთის დაშოშმინება მოუხდა, რაც ძალზე ძვირი დაუჯდა ქვეყანას. 1918 წლის მარტ-აპრილში ოსმალეთმა დაიპყრო მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ართვინი, აჭარა). ოსმალეთის ჯარი მდინარე ჩოლოქზე შეაჩერეს. ოსმალეთმა ასევე დაიპყრო მთელი სამხრეთ საქართველო (ახალქალაქი, ასპინძა, ახალციხე).

<sup>10</sup> გურამ შარაძე, გიორგი შარაძე. ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. 1918-1921. თბილისი, 2001. გვ. 113-115.

ოსმალეთის ჯარის შეჩერება მხოლოდ ბორჯომთან მოხერხდა. ასე რომ, დამოუკიდებლობის აღდგენის დღისათვის საქართველოს მთავრობის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოზე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა არ აპირებდა, შერიგებოდა ოსმალეთის მიერ ქვეყნის ნაწილის ოკუპაციას. ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას ჭირდებოდა ძლიერი სამხედრო მოკავშირე. ახლადშექმნილი ქართული ჯარი ოსმალეთთან საბრძოლველად მოუმაზადებელი იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკავშირე გერმანია საქართველოს მთავრობას ურჩევდა, შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ოსმალეთისათვის დაეთმო მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები. მართალია, გერმანიას გულწრფელი სურვილი ამოძრავებდა დახმარებოდა საქართველოს, მაგრამ ოსმალეთი გერმანიის მოკავშირე იყო და ეს უკანასკნელი ვალდებული იყო ანგარიში გაეწია ოსმალეთის მოთხოვნისათვის. ოსმალეთის მხრიდან ანგარიშის გაწევა იმაში გამოიხატა, რომ ჯარები მდინარე ჩოლოქზე და ბორჯომთან შეაჩერა და შეტევა აღარ გააგრძელა. რასაკვირველია, ძლიერ ოსმალეთის სახელმწიფოს უფრო დიდი ანგარიში გაუწია გერმანიამ, ვიდრე ოსმალეთმა – საქართველოს, როგორც თავისი მოკავშირის მოკავშირეს. გერმანიას ოსმალეთთან საქართველოს გამო ურთიერთობის გაფუჭება არ აწყობდა, ხოლო საქართველოს გერმანიის გარდა სხვა პოტენციური მოკავშირეც კი არ ჰყავდა. ასე რომ, საქართველოს მთავრობა გერმანიის მხრიდან თუნდაც მცირედ დახმარებაზე და ოსმალეთის ჯარების მდინარე ჩოლოქზე და ბორჯომთან გაჩერებაზეც მადლობელი იქნებოდა, რადგანაც ამაზე მეტ დახმარებას ვერავისგან მიიღებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სხვა გზა არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ოსმალეთის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა. 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში ხელი მოეწერა საქართველო-ოსმალეთის ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც საქართველო-ოსმალეთის საზღვარი მდინარე ჩოლოქზე დადგინდა. ძნელი სათქმელია კიდევ რა დათმობებით მოუხდებოდა ოსმალეთის დაშოშმინება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომ არა პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხება და ოსმალეთის ჯარების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან. ოსმალეთთან ურთიერთობის მოგვარების პრობლემამ დროებით სიმწვავე დაკარგა. თუმცა 1920 წლის ბოლოდან და 1921 წლის დამდეგიდან ოსმალეთის დაშოშმინების პრობლემა ისევ აქტუალური გახდა. ეს დაკავშირებული იყო 1920 წლის ზაფხულში საქართველოდან ინგლისის ჯარების გაყვანასთან.

გენერალ ანტონ დენიკინის მოხალისეთა არმიის დამარცხების შემდეგ საბჭოთა რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიაში პოზიციები აღიდგინა. ცხადი გახდა, რომ გენერალ პეტრე ვრანგელის მოხალისეთა არმიაც მალე დამარცხდებოდა და საბჭოთა რუსეთის სამხედრო ფლოტი შავ ზღვაზე გაბატონდებოდა. დღის წესრიგში მთელი სიმწვავეით დაისვა საბჭოთა რუსეთის დაშოშმინების პრობლემა. ამ მიზანს ემსახურებოდა 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება. ხელშეკრულები მხარეები სხვადასხვა მიზანს ისახავდნენ. საქართველოს სურდა საბჭოთა რუსეთისაგან დე-იურე აღიარება მიეღო და მიაღწია კიდევ ამას. უფრო შორსმჭვრეტელი მიზნები ჰქონდა რუსეთს: 1) მოსკოვს სურდა არ დაეშვა საქართველოსა და რუსეთის მოხალისეთა არმიის კავშირი; 2) მიეღწია საქართველოში მოქმედი საბჭოთა რუსეთის მე-5 კოლონის ხელშეუხებლობისათვის; 3) მოედუნებინა საქართველოს მთავრობის ყურადღება; 4) საერთაშორისო ასპარეზზე დაემკვიდრებინა აზრი იმის თაობაზე, რომ საბჭოთა რუსეთს საქართველოს მიმართ აგრესიული გეგმები არ გააჩნდა. ყველა ამ მიზანს საბჭოთა რუსეთმა მიაღწია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთის დასაშოშმინებლად გამიზნული ხელშეკრულება უფრო სასარგებლო აღმოჩნდა რუსეთისათვის, ვიდრე საქართველოსათვის. ხელშეკრულების მე-5 მუხლით საქართველოს მთავრობამ დააკანონა ანტიქართული ორგანიზაციების არსებობა საქართველოში. საკითხავია, რამდენად ღირდა რუსეთის მიერ დე-იურე აღიარების მიღება, თუკი ამის სანაცვლოდ საქართველოში დე-ფაქტო ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციების არსებობა დაკანონდებოდა. ამით საბჭოთა რუსეთმა გვიანი მოქმედების ნაღმები ჩადო საქართველოში. მართალია, საბჭოთა რუსეთმა დე-იურე აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ

ხელშეკრულებით დაკანონებული ბოლშევიკური ორგანიზაციები ძირგამომხრელ საქმიანობას განახორციელებდნენ საქართველოში. ბოლშევიკური ორგანიზაციების დაკანონება ნიადაგის შემზადება აღმოჩნდა საქართველოში მომავალი შეჭრისათვის. ერთი წელიც არ იყო გასული ხელშეკრულების დადებიდან, რომ საბჭოთა რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ომი დაიწყო. ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ორი დიდი მეზობლიდან, ოსმალეთიდან და რუსეთიდან ვერცერთი ვერ დააშოშმინა; ერთის დაშოშმინების მცდელობა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაკარგვის ფასად, ხოლო მეორისა – დამოუკიდებლობის დაკარგვის ფასად დაუჯდა.

ორი დიდი მეზობლის დაშოშმინება საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ ოსმალეთი და საბჭოთა რუსეთი ერთმანეთს მოურიგდნენ. ოსმალეთმა ხელი არ შეუშალა საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობას. სამაგიეროდ, 1921 წლის 16 მარტის საბჭოთა რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებით რუსეთმა ოსმალეთს დაუთმო საქართველოს ისტორიული ტერიტორია (ართვინი, ლაზეთი, ტაო-კლარჯეთი).

\* \* \*

პირველი მსოფლიო ომის დასასრულსა და ომის შემდეგ შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში რუსეთის იმპერიის ყოფილმა კოლონიებმა ფინეთმა, ესტონეთმა, ლატვიამ, ლიტვამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს და შეინარჩუნეს კიდევ. რუსეთს, გერმანიასა და ავსტრიას შორის გადანაწილებულმა პოლონეთმაც კი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა და შეინარჩუნა. ისტორიკოსები და პოლიტოლოგები სავსებით სწორად მიიჩნევენ, რომ ფინეთის, ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის დამოუკიდებლობის შენარჩუნება ამ ერების თავგანწირული ბრძოლის გარდა განაპირობა კიდევ ერთმა ობიექტურმა ფაქტორმა – საბჭოთა რუსეთსა და დასავლეთ ევროპას შორის ბუფერული სახელმწიფოების არსებობის აუცილებლობამ. ამასთან დაკავშირებით ხშირად ისმის კითხვა: შეეძლო თუ არა საქართველოს ბუფერის როლი შეესრულებინა სამხრეთ კავკასიაში, საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის? რუსეთი ხომ მუდამ მიესწრაფოდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდებას, რაც დიდ საფრთხეს წარმოადგენდა დასავლეთ ევროპისათვის. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უნდა დავიწყოთ იმით, რომ ფინეთი, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა ბუფერულ სახელმწიფოებად იქცნენ არა ცალკე საბჭოთა რუსეთის ან დასავლეთ ევროპის მისწრაფებით, არამედ ორივე ძალის შეთანხმებით. ასე რომ, ამ რეგიონში ბუფერული სახელმწიფოების არსებობა ორი ძალის კომპრომისის შედეგი იყო, ეს კომპრომისი კი აუცილებლობით იყო გამოწვეული. სულ სხვა ვითარება იყო სამხრეთ კავკასიაში. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას კიდევ რომ მოენდომებინა ბუფერული სახელმწიფოს როლის შესრულება ეს შეუძლებელი იყო. დასავლეთ ევროპის პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ საბჭოთა რუსეთი სამხრეთ კავკასიის გავლით ევროპას ორი მიზეზის გამო საფრთხეს ვერ შეუქმნიდა: 1) საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის დაახლოება, რაც მოგვიანებით სამხრეთ კავკასიაში ტერიტორიების კომპრომისული გამიჯვნით დამთავრდა, გამორიცხავდა ოსმალეთში რუსეთის შეჭრას. ბოსფორ-დარდანელის სრუტეებს იგი სწრაფად და ადვილად ვერ დაიკავებდა. ევროპა ოსმალეთს დაეხმარებოდა და რუსეთის აგრესიაც აღიკვეთებოდა. ასე რომ, ევროპელი პოლიტიკოსები სწორად დაასკვნდნენ: სამხრეთ კავკასიიდან საბჭოთა რუსეთი ევროპას რეალურ საფრთხეს ვერ შეუქმნიდა. აქედან გამომდინარე, ევროპა დაინტერესებული არ იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ბუფერის როლის მინიჭებით.

# **Konstantine Guruli**

## **Political neutrality (Experience of Democratic Republic of Georgia)**

### Summary

Restoration of independence (26<sup>th</sup> May of 1918) and establishing of Democratic Republic of Georgia was held in very difficult military-political situation. In this thesis there are shown activities of the government of Democratic Republic of Georgia and Georgian political elite for securing independence. In period of 1918-1921 there was a massive work done in Georgia to get status of neutral country. Discussions were held about transformation of Georgia into buffer state. While all this would turn into reality, the government of Democratic Republic of Georgia was realizing politics of avoidance of two big neighbours – Osman Empire and Russia. With the act of independence Georgia declared itself as neutral country during international wars. Democratic Republic of Georgia stuck to neutrality policy during whole time of its existence. However, Georgia was not able to become neutral state. Neutrality of Democratic Republic of Georgia did not match with interests of Russia and Osman Empire. Both states were preparing to capture Georgian territory. Establishing of neutral state in South Caucasus in face of Georgia was not supported by the victorious countries of the World War I – England, France, Italy. Even more, the big countries of Europe did not recognize independence of Georgia until January 1920. In January 1920 Georgia was recognized only de-facto. In Europe the matter of recognition of Georgia was discussed in context of relations with Soviet Russia. As for relations with Soviet Russia European countries were careful. As a result official recognition of democratic Republic of Georgia was delayed. The countries of Western Europe found necessary the existence of buffer states (Finland, Estonia, Latvia, Lithuania) between Soviet Russia and Europe. But they did not find necessary the existence of buffer state at south border of Soviet Russia. This meant, that Georgia was not able to find its place in international system – Georgia was not able to become neutral country and could not play the role of buffer state. The military-economic potential of Democratic Republic of Georgia was so weak, that it would not be able to create any kind of strong army and would not be able to protect itself from aggressive neighbours (Osman Empire, Soviet Russia). This was proven during the war between Georgia and Soviet Russia in February-March of 1921. Neutrality policy declared by Democratic Republic of Georgia, was not realized because of military-political situation.

3 0 3 9 3 9 0 3



გიორგი ალიბეგაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### ტერმინები „თეორია“ და „ფანტაზია“ შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში

შუა საუკუნეების მწერლობის ლიტერატურულ-ესთეტიკური სააზროვნო სისტემა სამ ძირითად ასპექტს ითვალისწინებს: ძიებას ღვთისა, რომელიც რწმენას გულისხმობს; მშვენიერებისა – რომელშიც სწრაფვაა განსახოვნებისაკენ, სახისმეტყველებისაკენ; დაბოლოს, ჭეშმარიტებისა – რაც ნიშნავს ფილოსოფიას.

ტრადიციულად ძველ ქართულ მწერლობაზე დაკვირვება სამი კუთხით წარიმართება: ნაწარმოებთა ანალიზი თეოლოგიური თვალსაზრისით, თხზულებათა შესწავლა მხატვრულობის ასპექტით და ტექსტების კვლევა თეორიულ-ლიტერატურული პრინციპების გამოვლენის მიზნით. მწერლობის ამ მიმართულებით შესწავლას ხელს უწყობს ძველ ავტორთა დაკვირვებანი ცალკეულ ტერმინებზე, რომლებიც გვეხმარება ნაწარმოებთა ანალიზისას და საფუძველს იძლევა იმისას, რომ ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების ჩამოყალიბებას გავადგენოთ თვალი.

ამ კუთხით ყურადღებას იქცევს ორი ტერმინი - „თეორია“ და „ფანტაზია“.

#### თეორია

სიტყვა „თეორია“ და ამ ძირის მატარებელი სხვადასხვა ლექსიკური ერთეული ძველ ბერძენ ავტორებს განსხვავებულად აქვთ გააზრებული ვიდრე მისი ტერმინოლოგიური დანიშნულებით გამოყენებამდე. ბუნებრივია, ტერმინი „თეორია“ ქართველ ავტორთა მიერაც გაგებულია როგორც ლექსიკური, ასევე ტერმინოლოგიური მნიშვნელობით – ამოსავალი კი ბიზანტიელ მოღვაწეთა დაკვირვებაა.

ვნახოთ, თუ როგორ ესმის სიტყვა „თეორია“ სხვადასხვა ავტორს:

არისტოტელე: დაკვირვება, დათვალიერება, მიმოხილვა;

ჰეროდოტე და თუკიდიდე: დათვალიერება, უცხო ქვეყნის ნახვა, მოგზაურობა;

არისტოტელე, არისტოფანე, პლატონი: სანახაობა (სადღესასწაულო ან თეატრალური); მაგალითად, დიონისეს დღესასწაულები.

„თეორია“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება სიტყვა „თეოროსს“, რომელიც ნიშნავს „მაყურებელს“, „მოწმეს“, „დამკვირვებელს“. „თეოროსიდანვეა“ მიღებული ზმნური ფორმა „თეორეო“, რაც ნიშნავს „ყურებას“, „დაცქერებას“, „დათვალიერებას“, „მიმოხილვას“.

ამოსავალი სიტყვა „თეოროსისა“ ფილოსოფიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი შინაარსით არაა დატვირთული. მას უფრო პოლიტიკურ-საკულტო მნიშვნელობით ხმარობდნენ: „თეოროსი“ ნიშნავდა ან სახელმწიფო წარმომადგენელს, რომელიც საკულტო ხასიათის დავალებას ასრულებდა, ან სახელმწიფოს სრულუფლებიან წარმომადგენელს, ელჩს. ბიზანტიურ პერიოდში სიტყვა „თეოროსი“ კარგავს თავის ასეთ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობებს და საერთოდაც

აღარ გვხვდება. სამაგიეროდ განსაკუთრებულ დანიშნულებას იძენს „თეორიისა“ და „თეორეოს“ მანამდეც ცნობილი მნიშვნელობები:

„თეორეო“: ჭვრეტა, განხილვა, ფიქრი (არისტოტელესთან);

„თეორია“: განჭვრეტა, გონებით ჭვრეტა, ფიქრი (არისტოტელესთან და პლატონთან) ან მოძღვრება, თეორია (პლუტარქესთან და პოლიბიუსთან).

ბერძნული ენის ერთი და იმავე სიტყვის მრავალმნიშვნელოვნება ჩვენს წინაპრებს სიღრმისეულად ჰქონდათ გააზრებული. წმ. ევრემ მცირის შენიშვნით, ბერძნული ენა „უფსკრული ღრმა არს და იგივე და ერთი სიტყვად მრავალსა პირსა აღიარებს“; ამიტომ მთარგმნელებმა უნდა იცოდნენ „ზედმიწევნით რაბამობად ბერძენთა და ქართველთა ენებისაო“.

ასე რომ, სიტყვა „თეორია“ (teoria) ანტიკურ ხანაში ფილოსოფიური აზრით ნიშნავს „განჭვრეტას“, თითქმის „ეურებას“, „ფიქრს“. ასეთივე აზრითაა დატვირთული ზმნა „თეორეოც“ (teoreo). ს. ავერინცევის შენიშვნით, სიტყვა „თეორია“ ბერძნისათვის გულისხმობდა უმოქმედო და უანგარო „დაცქერებას“ სხეულებრივი და და უსხეულო ეიდოსთა ანუ სახე-იდეათა ხაზებში, ანუ „გონებით ჭვრეტას“ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ბერძნული ფილოსოფიისათვის ადამიანი არაა მუშაკი მსოფლიო სახელოსნოში, მაგრამ არც ასკეტია, რომელიც განდგომილია „თვალის ცდუნების“ გამო; იგი მაყურებელია, ხოლო სამყარო სანახაობაა.<sup>1</sup>

მოგვიანებით პლატონის, არისტოტელეს და ანტიკური ხანის სხვა ფილოსოფოსთა შემოქმედებითი მემკვიდრეობით დაინტერესებამ თავისთავად გაააქტუალურა ფილოსოფიურ-ესთეტიკური ტერმინოლოგიაც, მაგრამ ის შუა საუკუნეთა წმიდა მამებმა თავისებური შინაარსით შეავსეს, რასაც გარკვეული საფუძველი გააჩნდა.

„თეორია“ და „თეორეო“ სახარებაში უკვე საღვთო შინაარსს ატარებს. ოთხთავში ვკითხულობთ: „და ყოველნი მათ თანა მოსრულნი და რომელთა იხილეს ხილვად ესე, იცემდეს მკერდსა მათსა და წარვიდოდეს“ (ლუკა 23:48).

**„იხილეს ხილვად“** გულისხმობს იმ სურათს, როდესაც ხალხმა ჯვარცმული იესო საკუთარი თვალთ ნახა. აქ „ხილვა“ არა საკრალური „ჩვენების“ მნიშვნელობითაა ნახმარი, არამედ - „სანახაობის“, ოღონდ ეს „სანახაობა“ მაცხოვარს შეეხება და, ამდენად, უკვე მოინიშნება „ხილვა-სანახაობის“ მომავალი, საღვთისმეტყველო შინაარსით ხმარება.

გავიხსენოთ უცნობი ავტორის „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ერთი ეპიზოდი: სვეტის წინ მლოცავმა ნეტარმა ნინომ „იხილა ჭაბუკი ერთი ნათლითა შემოსილი. და ნინოსვე გვერდით დგეს შროშანა და სიღონია და იხილეს მათცა და ეტყოდეს ნინოს:

- რაი არს ხილვად ესე?

ხოლო მან ხელი განუხარა და უბრძანა განშორებად.

და კაცმან მან ნათლითა შემოსილმან აღჰმართა ძელი იგი...

და ვითარცა იქმნა ცისკარი, გამოვიდა მეფე ურვეული სვეტისა მისთვის და მიეახლა ადგილსა მას და ეყნოსა სული სურნელისა მიუთხრობელი. და **იხილა ხილვად** საშინელი და ეღვარებად ბრწყინვალე და სვეტი იგი მადლად ზე მდგომარე.<sup>2</sup>

„წმიდა ნინოს ცხოვრების“ „ხილვად“ „სანახაობით“ მხარეს მოიცავს, ოღონდ უკვე სასწაულებრიობის შინაარსითაა შევსებული.

როგორც ითქვა, ასევეა სიტყვა „თეორეო“ სახარებაშიც. ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირების გამო ის საღვთო აზრითაა დატვირთული: „დადგა ერი იგი და ხედვიდა“, თუ როგორ შეურაცხყოფდნენ იესოს (ლუკა 23. 35). „და დაჯდა იესო წინა შეფასის საცავსა მას და ჰხედვიდა, ვითარ-იგი ერი დასდებდა რვალსა ფასის საცავსა მას“ (მარკ. 12. 41); „ხოლო იყენეს დედანიცა, რომელნი შორით ხედავდეს, რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალენელი და მარიამ

<sup>1</sup> С. С. Аверинцев. Поэтика ранней византийской литературы. Москва, 1977, გვ. 50-51.

<sup>2</sup> ქართული პროზა. ტ. I. თბილისი, 1982, გვ. 206.

იაკობისი მცირისად და იესოს დედა და სალომე“ (მარკ. 15. 40); „იყო მუნ მარიამ მაგდალენელ და მარიამ იოსესი და ჰხედავდეს, სადა-იგი დასდებდეს“ ქრისტეს (მარკ. 15. 47).

სახარებიდან გამომდინარე, ქართველი მწერლობის „ხილვაც“, ერთი მხრივ, ნიშნავს „დაცქერებას“ რაიმე ღვთაებრივ საქმეზე, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთრივ „ხილვას“, „ჩვენებას“, „სასწაულებრივ სანახაობას“.

„თეორიისა“ და „თეორეოს“ ასეთ კონტექსტში მოქცევა სიტყვა „თეორიის“ ტერმინოლოგიურ დანიშნულებაშიც პოვებს ასახვას. ანტიკური გააზრება „თეორიისა“ - განჭვრეტა, გონებით ჭვრეტა, ფიქრი, მოძღვრება მთლიანად საღვთო შინაარსითაა შევსებული.

წმ. ეფრემ მცირე შენიშნავს: „შეისწავე, რამეთუ ყოველთა მხედველად ბერძენთა ენითა ითქუმის ღმერთი, ვინადეთგან ხედვასა **თეორია** პრქვიან და ღმერთსა **თეონ**. ამისთვის **ხედვად** თარგმანებენ სახელსა ღმრთისასა წესითა ეტიმიოლოგობისა, ესე იგი არს მზაპასუხობისადათა“.<sup>3</sup>

თუკი სიტყვა „თეორია“ ანტიკური ხანის ფილოსოფოსთათვის „განჭვრეტას“, „გონებით ჭვრეტას“ და სხვ. ნიშნავდა, ხოლო ქრისტიანულ მწერლობაში „ხილვით“ შეიცვალა, თეორიული-ლიტერატურული მნიშვნელობით ისაა „ხედვა“. ღვთის სახელი „თეონიც“ „ხედვად“ ითარგმანება, ვინაიდან უზენაესი ყოვლისმხედველია.

სიტყვები „თეორია“ და „თეონ“ ეტიმოლოგიურად არავითარ კავშირში არ არის ერთმანეთთან. საერთო მხოლოდ ძირის ნაწილი „თეო“ აქვთ. ამ შემთხვევაში წმ. ეფრემ მცირის განმარტება არაზუსტია; მაგრამ ეს არ არის მთავარი. არსებითი ისაა, რომ „**თეორია**“ – „**ხედვა**“ უშუალოდ ღმერთისგან გამომდინარეობს და მასვე მიემართება. ასე რომ, წმ. ეფრემის თანახმად, „თეორია“ არის ქრისტოლოგიური შინაარსის ტერმინი, შევსებული თეოლოგიური მნიშვნელობებით. აქედან გამომდინარე, ღვთაებაზე საუბარი მხოლოდ „თეორიულადაა“ შესაძლებელი. ასეთია ტერმინ „თეორიის“ საღვთისმეტყველო შინაარსი.

თუმცა აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას წმ. ეფრემ მცირე კიდევ უფრო აღრმავებს, რაც სხვა ნიუანსებით ავსებს ამ ტერმინს. წმ. იოანე დამასკელი „გარდამოცემაში“ წერს: „ხოლო შემდგომად და მეორედ უსაკუთრეს სახელი ღმრთისა არს ღმერთი, რომელი იგი ესრეთ **ი-სახისმეტყველების**, ვითარმედ იგი **ხედავს** ყოველსა, ანუ ამით გულისხმისყოფითა, ვითარმედ იგი ხედავს ყოველსა, ანუ ამით გულისხმისყოფითა, ვითარმედ სწუავს, რამეთუ ღმერთი ჩვენ ცეცხლშემწველ არს და განმლეველ ყოვლისა სიბოროტისა“.<sup>4</sup> „თეორია“ – „ხედვის“ ღვთისმეტყველებითი შინაარსის გვერდით აქ კიდევ ორი ასპექტი შემოდის – სახისმეტყველებითი და „სხნითი“ – ბოროტებისაგან მოკვდავთა დახსნისა ანუ ჭეშმარიტების გზის სწავლებისა.

წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ერთ-ერთი თარგმანი წმ. ეფრემს ეკუთვნის და იგი ეკლესიის მამის ზემომოყვანილ მსჯელობას ასეთ კომენტარს ურთავს: „უწყებად ჯერ არს, ვითარმედ ვინადეთგან ბერძენთა ენითა აღუწერია წმიდასა იოანე დამასკელსა წიგნი ესე, ამისთვისცა ბერძულად **სახისმეტყველებს** სიტყუათა ამათ, რამეთუ ბერძნულად ღმერთსა თეონე ეწოდების და ხედვასა თეორია, ხოლო ცეცხლსა **ეთინ** საღრამატიკოსოთა სიტყვითა, ამისთვისცა სახელი ღმრთისადა, რომელ არს თეონ, მსგავსებისაებრ მათ სიტყუათადასა **უ-სახის-მეტყველებია და ხედვისაგან**, რომელ არს ეთინ, ცეცხლად უთქუამს, ვითარმედ „ღმერთი ჩუენი ცეცხლ შემწველ არს“.<sup>5</sup>

როგორ გავიგოთ ტერმინ „თეორიის“ სახისმეტყველებითი ასპექტი? იოანე საბანისძის თქმით, „საშინელ და წმიდა არს და ყოვლად ძლიერ და საკვირველ და უფალი და ყოვლისა მპყრობელ არს სახელი მისი (ღვთისა). ვერ შემძლებელ ვართ ჩვენ მიწდომად სიმდიდრესა მას

<sup>3</sup> მ. შანიძე. შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა.– თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. XI. თბილისი, 1968, გვ. 78.

<sup>4</sup> რ. მიმინოშვილი. „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები. თბილისი, 1966, გვ. 118.

<sup>5</sup> რ. მიმინოშვილი. „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები. თბილისი, 1966, გვ. 118.

სახელსა მისისა, არამედ უძღურებისამებრ ჩემისა და გულსმოდგინებისა თქვენისა ვიწყო თხრობად“<sup>6</sup> და ჩამოთვლილია ის სიმბოლოები, რომლებიც უზენაესს მიემართება.

ასე რომ, უზენაესის სახელი „საშინელ და წმიდა არს“ (იოანე საბანისძე). იგი არის „ყოველთა მხედველი“ (წმ. ეფრემ მცირე). ხოლო „თეორია“ ნიშნავს „ხედვას“, რის საშუალებითაც ითარგმანება, განიმარტება „ყოველისმხედველის“ სახელი. ღმერთი კი არის „სოფელსა შინად, სოფლისა გარედ, სოფლისა ზეშთად, ზეშთაცად, ზეშთაარსებისად, მზედ, ვარსკულავად, ცეცხლად, წყლად, ქარად, ცუარად, ღრუბლად, ლოდად და კიდევ ყოველად-ყოველად და არცა ერთად მათ ყოველთაგანად“.<sup>7</sup>

წმ. იოანე დამასკელის ნათქვამი – „ღმერთი ჩუენ ცეცხლ შემწვევლ არს“ და წმ. ეფრემ მცირის განმარტება, – აქედან გამომდინარე, ეკლესიის მამას „სახელი ღმრთისად... ცეცხლად უთქვამსო“, – ემყარება ბიბლიურ და მისგან შემუშავებულ არეოპაგიტულ სახისმეტყველებით პრინციპებს. „ყოფა ღვთისად“ (წმ. დიონისე არეოპაგელი) ყველგან და ყველაფერში, პირველ ყოვლისა, ბიბლიაშია დადასტურებული - ამ წიგნის სხვადასხვა ეპიზოდში. „ღმერთი ცეცხლ შემწვევლ არს“, – წერია მეორე რჯულში (4.24) (ე.ი. „მშთანთქმელი ცეცხლია უფალი“). „სადმრთოთა სახელთათვისაში“ მითითებულია, რომ ღვთაების „ცნობად ყოველთა არსთაგან შეუვალ არს“<sup>8</sup>, რომ იგია „ყოველთაგან ყოველად შეუხებელი, და არცა გრძობად არს მისი, არცა ოცნებად, არცა ნებად, არცა სახელისდებად, არცა სიტყუად, არცა შეხებად, არცა ხელოვნებად“<sup>9</sup>, რადგან ღმერთი ყველგან და ყველაფერშია და ამასთანავე არც არის იქ, მისი სახელის განდიდება და გამოხატვა თეორიულად შეუძლებელიცაა და შესაძლებელიც.

კითხვას – „რად არს სახელი შენი?“ – წმ. დიონისე არეოპაგელის მიხედვით, უფლის ანგელოზი ასე პასუხობს: „რასა იკითხავთ სახელსა ჩემსა? და იგი არს **საკვირველ**“ (მსაჯ. 13. 18); ანალოგიურად ეუბნება უზენაესი მოსესაც: „მე ვარ, რომელი ვარ“ (გამოსვლ. 3. 14). ასე რომ, ამ შემთხვევაში უფლის სახელი არაა გაცხადებული.

ხოლო თუკი უფალი არის „ყოველად ყოველთა შორის“ (I კორინთ. 15.28. ამ მუხლს იმოწმებს წმ. დიონისე თავის თხზულებაში „სადმრთოთა სახელთათვის“. გვ. 12), იგი შეიძლება იყოს ცეცხლიც, ვინაიდან „უხილავი იგი (ღმერთი) მისი დაბადებითგან სოფლისადათ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების, და სამარადისოდ იგი ძალი მისი და ღმრთეებად“ (რომ. 1.20). ამრიგად, უზენაესის საქმეთაგან, „რომელნი არიან გარემოდს მისსა, საცნაურ იქნების ჩუენდა“<sup>10</sup> თავად უფალი, – განმარტავს წმ. ეფრემი.

ასე ივსება ტერმინი „თეორია“ გამომსახველობითი, სახისმეტყველებითი შინაარსით მისი ღვთისმეტყველებითი გააზრების პარალელურად.

წმ. ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნ წმ. დიონისე არეოპაგელის ნაშრომის - „საეკლესიოდსა მღდელთ-მთავრობისათვის“ - ექვს ქვეთავს: „საიდუმლოდ ნათლის-ღებად“, „საიდუმლოდ მიწრონის სრულ-ყოფისად“, „საიდუმლოდ სამღდელთა სრულებისად“, „საიდუმლოდ სამონაზუნოდსა სრულებისად“ და „საიდუმლოდ სიწმიდით დაძინებულთა“ - ცალ-ცალკე მოსდევს ღვთისმეტყველებით-სახისმეტყველებითი თეორიული მსჯელობა და ახსნა-განმარტება გამოყოფილი სათაურით – „ხედვად“ (teoria).

უფლის თუ მის სახიერებასთან ზიარებული საგნის ან ქმედების „ხედვითი“ წარმოსახვა, პირველ რიგში, რწმენაზეა დამოკიდებული. პირველი საფეხურია „თეოფილონი“ – ღვთის სიყვარული, რის შემდგომაც იწყება საგნის ან ქმედების სახისმეტყველებითი აღქმა.

<sup>6</sup> იოანე საბანისძე. ჰაბოს წამება-ქართული პროზა. ტ. 1. თბილისი, 1982, გვ. 122.

<sup>7</sup> პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). შრომები. გამოსცა ს. ენუქაშვილმა. თბილისი, 1961, გვ. 12.

<sup>8</sup> პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). შრომები. გამოსცა ს. ენუქაშვილმა. თბილისი, 1961, გვ.7

<sup>9</sup> პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). შრომები. გამოსცა ს. ენუქაშვილმა. თბილისი, 1961, გვ.10.

<sup>10</sup> შესავალი, გვ. 83

„გარდამოცემის“ IX თავში წმ. იოანე დამასკელი წერს: „წმიდა დიონისოს იტყვის, ვითარმედ „სიკეთე“ არა კმა არს ღმრთისათვის სათქმელად, რამეთუ პირველად ამისი ჯერ არს თქუმად, ვითარმედ არს და მერმელა ვითარმედ სახიერ არს“, <sup>11</sup> რაც განაპირობებს „ხედვითი“ მსჯელობისას საგნის ან ქმედების ბინარული თვისების გათვალისწინებას: „ორნი განკუთვნიანი არიან: ერთი ბუნებითი და არსებითი და მეორე – თვისებითი და პირობითი“. იოანე დამასკელი კიდევ უფრო გამოკვეთს სათქმელს კონკრეტული მაგალითის მოყვანით: თუ „ჭამითა და სუმიტ“ ვეზიარებით ქრისტეს „ღმრთეებას“ და ეს არის სარწმუნოებრივი აქტი და ამავე დროს, სახისმეტყველებითი მინიშნება მაცხოვრის ხორცსა და სისხლთან ზიარებაზე, „მერმესა მას საუკუნესა არღარა ესრეთ, არამედ მხოლოდ ხედვითა (noetos) ოდენ მისითა ზიარ მისსა ვიქმნებოდით“. <sup>12</sup> Noetos ნიშნავს გონებაჭკვრეპიტოს, გონებისთვის მიღწევადს პლატონთან და პლუტარქესთან; წმ. ეფრემი მას, როგორც ვხედავთ, სიტყვა „ხედვითს“ უსადაგებს.

ეს უკვე არის ტერმინ „ხედვაში“ ჭეშმარიტების ძიების ასპექტი ანუ ფილოსოფია, რაც გულისხმობს ფილოსოფიის არც ანტიკურ და არც თანამედროვე გაგებას, არამედ შუასაუკუნეებრივ შინაარსს - ფილო-სოფიას, სიბრძნის ანუ „ღვთის მოყვარეობას“ (წმ. ეფრემ მცირე). სიბრძნისა და ღვთის იგივეობრიობის დამადასტურებელი კლასიკური ფორმულა კი ბიბლიის გათვალისწინებით მედიევალურ ძეგლებში არის შემდეგი გამოთქმა: „სიბრძნეჲ იშენა თავისა თვისისა სახლი“, რაც, პირველ რიგში, სამყაროს დაბადებას ანუ შესაქმის აქტს გულისხმობს.

„თეორია“-„ხედვა“ სხვა ქართველ ავტორებსაც ანალოგიურად აქვთ გააზრებული. იოანე ჭიმჭიმელი ბერძნულ წინადადებას - *kata de panta ton tropon teorias* – ასე თარგმნის: „ხოლო ყოველთავე ამით სახითაებრ ხედვისა“.<sup>13</sup>

თუ როგორ ესმით „თეორიულ“-„ხედვითი“ მსჯელობა ძველ ავტორებს, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ წმ. ეფრემ მცირის ვრცელ კომენტარს ცხოვრებისა და ცნობადის ხეზე, რომელსაც „გარდამოცემის“ ხელმეორედ მთარგმნელი ღირსი არსენ იყალთოელიც იმეორებს: „ვინაითგან სულიერნიცა სიტყუანი ჰქონან აგებულებასა ხილულთასა მზრდელნი გონებისანი და კუადად ძალი ბუნებითი გრძნობისა უკუე შუებულ-მყოფელი, ხოლო სად სახელ-ედვა, რომელსა ცნობად ვიდრემე კეთილისად აქუს გახსნილსა სურვილად, ხოლო ცნობად ბოროტისად მიღებულსა ხორციელად, ვინაითგან მოძღუარ ექმნების ვნებათა ხორციელად მიმღებელთა მისთათვის, ვითარცა დავიწყებისა საღმრთოსა მომზიდველი მათ ზედა, რომლისთვისცა ამცნო ღმერთმან კაცთა ჯერეთ-ყოფად მიღებისა მისისა... ესრეთ უკუე თქუა აქა ხისათვის ყოველთა და შესატყვისად შესაძლებელისა სახის-მეტყუელებისა მიერ უსაიდუმლოებისა და უადრესისა სიტყვისა დამარხვითა მესაიდუმლე ქმნილთათვის გონებითა, ხოლო ჩუენ მიერ ღუმილითა პატივის-ცემითა მისითა“.<sup>14</sup>

ედემის ბაღში აღმოცენებული ხე ცხოვრებისა და ცნობადისა თავისთავად საღვთისმეტყველო შინა-არსით არის გასააზრებელი – ის არის „განრჩევაჲ კეთილისა და ბოროტისა“; ხისგან გამოთლილი ძეგებისაგან შექმნეს ჯვარი და ზედ აცვეს მაცხოვარი, რომელმაც თავისი მოწამეობრივი აღსასრულით კიდევ ერთხელ აჩვენა ადამის ძეთ „განრჩევაჲ კეთილისა და ბოროტისაჲ“; ხოლო ხისგან გამოთლილი სვეტის სასწაულმა წმიდა ნინოს ლოცვის წყალობით საბოლოოდ ასწავლა ქართველთ „განრჩევაჲ კეთილისა და ბოროტისაჲ“. ბოროტებაა ხის - საგნის „ხედვა“, „ცნობად... ხორციელად“ (ნაყოფის გახსნილად), რადგან: „არა ნივთსა ვჰმსახურებთ, არამედ სახესა ოდენ ჯუარისასა და სასწაულსა ძისა კაცისასა, რამეთუ ვიდრემდის სახე ჯუარისად იყო, თაყუანი-ვსცემთ, ხოლო რაჟამს დაიხსნის სახისა მისგან ნივთი

<sup>11</sup> რ. მიმინოშვილი. „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები. თბილისი, 1966, გვ. 82.

<sup>12</sup> რ. მიმინოშვილი. „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები. თბილისი, 1966, გვ. 83; გვ. 81

<sup>13</sup> კორნელი კეკელიძე. „თარგმანებაი ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმვირნელ მიტროპოლიტისაჲ“- ეტიუდები. ტ. XI. თბილისი, 1972, გვ. 225-226.

<sup>14</sup> რ. მიმინოშვილი. „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები. თბილისი, 1966, გვ. 141.

იგი ჯუარისად, დაღაცათუ ოქროდ იყოს, ანუ თვალნი პატიოსანნი, მიერთგან არღარა თაყუანის-ვსცემთ და ნუმცაღა ვინ თაყუანისსცეს“. <sup>15</sup> ამიტომ საჭიროა აღნიშნული საგნის არა „ნივთიერი“, არამედ სულიერი „ხედვა“, რაც არის ღვთისმეტყველების, სახისმეტყველებისა და ჭეშმარიტების ერთიანობის საიდუმლო, რომელსაც „მესაიდუმლოე-ქმნილნი“ დაიმარხავენ, ხოლო „ჩუენ მიერ დუმილითა“ პატივიცემა.

დაბოლოს, მოვიყვანოთ სულხან-საბა ორბელიანისეული სიტყვა „ღმერთის“ განმარტებას, რაც ერთგვარი შეჯამებაა ტერმინ „თეორიის“ შუასაუკუნებრივი გააზრებისა: „ღმერთი გამოითარგმანების **ხედვა** და წვა“; სხვა ხელნაწერის მიხედვით: „ღმერთაება ითქმის **ყოველთა მხედველისა** წინაგამგებლობისათვის და ყოველად სრულისა სახიერებისათვის, ვითარ ყოველსავე მოიხილაღს და შემოკრებით იპყრობს და თავისა მიერ თავისა აღავსებს ზეშთა მათ ყოველთა გარდა-რა-ეფინების, რაოდენიცა არიან მიმდებელი წინაგანგებულებისა მისისა... ღმერთი გამოითარგმანების **ხედვად** და წვად“ („ლექსიკონი ქართული“).

სიტყვა „ხედვის“ საბასეული ერთ-ერთი განმარტება ასეთია: „**ხედვად** უწოდენ ფილასოფოსნი მეცნიერებასაო“. „წვაზე“ მითითებულია - იხ. ღმერთი.

ასე რომ, „ღმერთის“ გამოთარგმანება „ხედვად“ და „წვად“ მიუთითებს, რომ შუა საუკუნეებში ტერმინი „თეორია“ და, აქედან გამომდინარე, თეორიული მსჯულობა, ესმოდათ როგორც უხენაესზე ფიქრი - შესაძლებლობა მისი არსის წვდომისა ღვთისმეტყველებითი, სახისმეტყველებითი და ფილოსოფიური ძიების ასპექტით. ამიტომ ხშირად „ხედვა“ სასულიერო მწერლობის ძეგლებში „სასწაულებრივ სანახაობას“ უკავშირდება და ლიტერატურათმცოდნეობით ტერმინოლოგიაშიც ამ გზით არის დამკვიდრებული. ადამიანს ღვთისაგან იმიტომ „ასხენ თვალნი ხედვად“ (იგულისხმება გონების თვალნიც), რომ „ხედავდეს“ – ასეთია წმიდა მამების მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა ერთგვარი შეჯამება აღნიშნულ ტერმინზე.

„თეორია“ – „ხედვაზე“ საუბრისას აუცილებელია გაავითვალისწინოთ, აგრეთვე, შუა საუკუნეთა ეპოქის „იგავის“ განმარტება; წმ. იოანე ოქროპირის მიხედვით, „იგავი“ არის:

1. „შინაგან მქონებელი დაფარულისა ძალისაჲ“ გამომაცხადებელი;
2. მსგავსება;
3. „სახის-მეტყუელება“;
4. „სიტყუად განმზავებელი გულის-ხმისსაყოფელებითა გრძნობადთა სიტყუათა და წარმომადგინებელი სოფლითა მიერ და ხილულთა ზეშთა სოფლისათა და უხილავთა“;
5. „სიტყუა აჩრდილოანი და მაგალითიანი“;
6. „**ხედვად თანა-შეტყუებული ხედვისა და მეცნიერებისა**“. <sup>16</sup>

როგორც ვხედავთ, „იგავის“ ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობის განმარტებისას წმ. იოანე ოქროპირი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ხედვა“ „მეცნიერებასთანაჲ“ კავშირში, ანუ ესაა აზროვნების იმ წესების ერთობლიობა (საღვთისმეტყველო, სახისმეტყველებითი და ფილოსოფიური), რომელიც გვეხმარება ღვთის შეცნობაში.

### ფანტაზია

„ფანტაზიამაც“, მსგავსად „თეორიისა“, არსებითი ტერმინოლოგიური ცვლილება განიცადა ანტიკური ხანიდან ვიდრე შუა საუკუნეებამდე. იგი არის შინაგანი ხილვით კონსტრუირებული „სანახაობა“, „ხედვა“, ზოგჯერ კი წყარო სახე-იდუალის შექმნისა. ამდენად, „ფანტაზია“ უფრო ლიტერატურულ-ესთეტიკური ტერმინია, ოღონდ, რა თქმა უნდა, რელიგიური მნიშვნელობით, საღვთისმეტყველო შინა-არსით დატვირთული.

<sup>15</sup> რ. მიმინოშვილი. „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები. თბილისი, 1966, გვ. 110.

<sup>16</sup> სიმონ ყაუხჩიშვილი. ხრონოლოგიური გიორგი მონაზონისა. ტფილისი, 1920, გვ.69.

Fantasia - „ფანტაზია“ ანტიკური ეპოქის ავტორთა მიერ სხვადასხვაგვარადაა მოაზრებული:

დიოდორე სიცილიელი - ჩვენება, დემონსტრირება;

პოლიბიუსი - ბრწყინვალეობა, დიდებულება, ელვარება;

პლატონი, პლუტარქე, სექსტუს ემპირიკუსი - წარმოსახვის ნაყოფი, მოჩვენება, ზმანება.

„ფანტაზიის“ ძირიდან ნაწარმოები სხვა ლექსიკური ერთეულებიც ანალოგიური მნიშვნელობისაა. რამდენადმე განსხვავებულია სიტყვა „ფანტაზმა“ (fantasma):

ესქილე - მოჩვენება, ზმანება, აჩრდილი, ღანდი;

თეოკრიტე - სიზმარი, ზმანება;

პლატონი, არისტოტელე - ანარეკლი, გამოხატულება, არეკვლა, ასახვა;

წარმოდგენა, წარმოსახვა.

ანტიკურ მოაზროვნეთათვის „ფანტაზია“ ძირითადად წარმოსახვის ხელოვნებასთანაა დაკავშირებული, თუმცა, ამასთანავე, მისი ფილოსოფიური მნიშვნელობა ფსიქოლოგიურ ასპექტსაც ითვალისწინებს. პლატონისა და არისტოტელეს მიხედვით, „ფანტაზია“ არის შთაბეჭდილება, ფსიქოლოგიური სახე, წარმოდგენა.

საყურადღებოა, რომ ანტიკური ხანის „ფანტაზია“ ამავე ეპოქის სხვა ტერმინთან – „მიმესისტან“ მიმართებით განიხილებოდა. Mimesis - „მიმესისი“ თუკიდიდესთან და არისტოფანესთან ნიშნავს „წაბაძვას“, „მიბაძვას“, „ადგენას“, „ასახვას“, „განმეორებას“, „მსგავსებას“, ხოლო პეროდოტესთან – „გამოსახვას“, „წარმოსახვას“, „ასახვას“, „გამოხატვას“, „გამოსახულებას“, „გამოხატულებას“.

„აპოლონიოს ტიანელის“ ავტორი ფლაბიუს ფილოსტრატე „ფანტაზიას“ უპირისპირებს „მიმესისს“. მისი აზრით, „ფანტაზია“ უფრო ბრძენი „ხელოვანია“, ვიდრე „მიმესისი“. რადგან ეს უკანასკნელი ფორმას აძლევს მხოლოდ იმას, რასაც იგი ხედავს, ხოლო „ფანტაზია“ კი იმასაც, რასაც იგი ვერ ხედავს<sup>17</sup>.

შუა საუკუნეებში „ფანტაზია“ სარწმუნოებრივი შინაარსით ივსება და ავიწროვებს ანტიკური ესთეტიკის „მიმესისს“. ჯ. მეთიუს შენიშვნით, ამ პერიოდის ბიზანტიურ ესთეტიკაში „phantasia“ გაიგება არა მხოლოდ როგორც წარმოსახვა ან „ხედვითი“ ხატი, არამედ აუცილებელი წინაპირობაც გრძნობითი აღქმის უნარისა (aisthesis).<sup>18</sup>

ბიბლიაში „ფანტაზია“ უკვე განსხვავებულ შინა-არსს იძენს. „საქმე მოციქულთას“ ერთ-ერთი ეპიზოდი ქართულად ასეა ნათარგმნი: „და ხვალისაგან მოვიდა აღრიბა და ბერენიკე მრავლითა საოცრებითა“ (fantasia) (25. 23). ქართულ თარგმანში ბერძნული „ფანტაზია“ „საოცრებად“ არის გადმოტანილი.

ასევეა ოთხთავშიც: „ხოლო მოწაფეთა ვითარცა იხილეს, ვიდოდა რად ზღუასა ზედა, შეძრწუნდეს და თქუეს, ვითარმედ საოცარ რადმე არს“ (მათ. 14. 26; მარკ. 6. 49), ოღონდ ამ შემთხვევაში „საოცარად“ გადმოტანილია „ფანტაზმა“.

ასე რომ, ანტიკური ესთეტიკური კატეგორია „ფანტაზია“ - გნებავთ ფილოსოფიური მნიშვნელობით (შთაბეჭდილება, ფსიქოლოგიური სახე, წარმოდგენა) - ამავე ტერმინის შუასაუკუნეებრივი გაგებისაგან პრინციპულად განსხვავდება. უფრო მეტიც, ქრისტიანობის ადრეულ ხანებში იგი დიოგენე ლაერტესთან „გამოცხადების“, „ჩვეულების“, „სანახაობის“ მნიშვნელობასაც იძენს (იხ.: სოფოკლეს „რომაული და ბიზანტიური პერიოდების ლექსიკონი“, ქრისტეს შობამდე 146 – ქრისტეს შობიდან 1100 წლების პერიოდი, კემბრიჯი, 1914).

<sup>17</sup> В. В. Бычков. Эстетика поздней античности. Москва, 1981, стр. 208.

<sup>18</sup> G.Mathew. Byzantine aesthetics. London, 1963, გვ. 115.

წმ. დიონისე არეოპაგელის თხზულებათა მთარგმნელს - წმ. ეფრემ მცირეს ბერძნული „ფანტაზია“ გადმოაქვს „ოცნებად“.<sup>19</sup> ვნახოთ ამ სიტყვის გამოყენების რამდენიმე კონტექსტი:

„არცა გრძნობად არს მისი (ღმერთის), არცა ოცნებად, არცა ვნებად, არცა სახელის-დებად, არცა სიტყუად, არცა შეხებად, არცა ხელოვნებად“ („საღმრთოთა სახელთათვის“);

უზენაესი „მომაქცეველიცა არს არსისა მიმართ, რომლისა მოაქცევს მრავალ სახეთაგან მოგონებათა და თითო-ფერთა ჩუენებათა, გინა თუ უსაკუთრეს არს თქუამად, ვითარმედ ოცნებათა“ („საღმრთოთა სახელთათვის“);

„საღმრთოდ კაცი“ „მსგავსითა მსგავსთა დაიმკვიდრებს, ვინაიცა ესევეთარი არაოდეს შფოთიან იყოს წინააღმდეგომთა ოცნებათა გინა გონებათაგან“ („საეკლესიოთა მღდელ-მთავრობისათვის“);

„მღდელი“ „იჯმნისა ყოველთა განმყოფელთაგან არა ხოლო ცხოველთა, არამედ ოცნებათაგანცა მათთა“ („საეკლესიოთა მღდელ-მთავრობისათვის“);

„ხოლო განყოფილთა მათგან არა მხოლოდ ცხოველთა, არამედ ოცნებათა მათთაგანცა ჯმნად სრულსა მას გამოაჩინებს მონაზონთა სიბრძნის მოყუარებასა ხელოვნებით მოქმედსა ერთ-მყოფელთა მცნებათასა“ („საეკლესიოთა მღდელ-მთავრობისათვის“);

„კუალად მუწევ ადვალთ და ვიტყვი, ვითარმედ არცა სულ არს, არცა გონება, არცა ოცნება, არცა ნება, ანუ მქონებელ სიტყვისა გინა მოგონებისა“... („საიდუმლოდ ღმრთის-მეტყველებისათვის“).

მოყვანილ მაგალითებში „ფანტაზია“ - „ოცნება“ გრძობით აღქმას გულისხმობს და უარყოფით კონტექსტშია მოქცეული, ვინაიდან ხორციელ, ფიზიკურ მგრძობელობას ნიშნავს. ასეთი ხორციელი „ოცნება“ კი ღვთაების წარმოსახავად ან მისთვის გამიზნული ქმედების გასააზრებლად დაუშვებელია.

როდისღა შეიძლება მივმართოთ „ფანტაზიას“ - „საოცრებას“ - „საოცარს“, - „ოცნებას“? ამის გასარკვევად მოვიყვანთ წმიდა მამათა რამდენიმე განმარტებას.

წმ. ბასილი კესარიელი შენიშნავს: „უხილავი იგი სოფლის დაბადებითგან დაბადებულთა მიერ ცნობილი იხილვებიან“;<sup>20</sup> წმ. იოანე დამასკელის მიხედვით, უზენაესი „თუ რად არს არსებით და ბუნებით, ესე მიუწდომელ არს არსებით და ბუნებით, ესე მიუწდომელ არს და ყოვლად უცნაურ. და ვითარმედ უხორცო არს, რამეთუ ვითარ ხორც იყოს მიუწდომელი და შეუსაზღვრებელი, გამოუსახველი და შეუსებელი, მარტივი და შეუხავებელი?“ რადგან „ბუნებანი უფლისანი არა ერთ გუამ არიან, არცა ერთ განცხადება, არცა ასო, არცა ადგილ, არცა ჟამ, რათა რაოდენობად აღყვანებულ იყვნენ, რამეთუ ესენი არიან შეკრებით აღსარიცხველნი“.<sup>21</sup>

ღმერთისა და მის საქმეთა „უცნაურება“ და „გამოუსახველობა“ სრულებითაც არ გამორიცხავს „ოცნებას“ და „გამოსახვითობას“, ვინაიდან „ის, რაც უხილავია მასში, მარადიული ძალა და ღვთაებრიობა მისი, სამყაროს შექმნიდან მისსავე ქმნილებაში ცნაურდება და ხილული ხდება“ (რომ. 1.20).

უზენაესის უხილავი არსის გაცხადება მის მიერვე შექმნილ ხილულ საგნებში ნიშნავს, რომ „ოცნება“ და სახეობრივი გამოხატვა დასაშვებია. როგორც წმ. ეფრემ მცირე შენიშნავს, „განმარტებად არა ხოლო შესაძლებელ არს, არამედ საცთურებადცა“.<sup>22</sup> რაც შეეხება განმარტების ფორმებს, „რომელიმე განმარტებით თარგმნის მუხლსა და რომელიმე სახის – მეტყუელებით“. ნებისმიერი სახის განმარტება „არს გამოცხადებად ძალსა სიტყუათა

<sup>19</sup> პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). შრომები. გამოსცა ს. ენუქაშვილმა. თბილისი, 1961, გვ. 10, 35, 176, 205, 206, 228.

<sup>20</sup> თ. ჭყონია. იოანე პეტრიწის „განმარტების“ ახალი წყაროს შესწავლისათვის.– კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებული: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი. თბილისი, 1965, გვ. 91.

<sup>21</sup> რ. მიმინოშვილი. „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები. თბილისი, 1966, გვ. 70, გვ. 109.

<sup>22</sup> ეფრემ მცირე. შესავალი, გვ. 82.



დაფარულებისასა“.23 თავის მხრივ „სახის-მეტყველებად შესაძლებელ არს არა ერთ სახედ ოდენ, არამედ მრავალ სახედდა“. განმარტებათა „საცთურებითი“ არსი კი ისაა, რომ „გონებით ოდენ ცნობილი და თუალითა არა ხილული“ საგნები „ღმრთისათვის ხორციელად ითქმებიან“, თუმცა „სულიერად გულისხმა-იყოფიან“.24 არც ის შენიშვნა უნდა დაგვაგიწყდეს, რომ „უხეშთაეს არს განმარტებით თარგმნა სახისმეტყველებით თარგმნისა“.25 მიუხედავად ამისა, არცთუ იშვიათად შეუძლებელია რაიმე საგნის, განსაკუთრებით კი უზენაესის, ვთქვათ, მდგომარეობის განმარტებითად თარგმანება. ამ დროს უპირატესობა უკვე სახისმეტყველებით კომენტარს ენიჭება. მაგალითად: „ჯდომად ღმრთისად სახისმეტყველებით ითქუმის და განმარტებით გულისხმისაყოფელად უღონო არს, რამეთუ იგი თავადი გარე-შეუწერელ არს: არც ზის, არც დგას, არც ვალს, არამედ ყოველივე აღუესიეს და შეუცავს, და იგი მხოლოდ არარაფს გან შეცვულ არს, არამედ პირად-პირად შეცვალებისათვის განგებულებათა მისთაფსა კაცობრივ მოპოვებულ იქმნებიან სიტყუანი ესე, ამისთვისცა ჯდომა სახელ-ედების შეურყეველობასა მშჯავრთა და განკითხვათა მისთასა“.26.

ამ ციტატიდან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის აზრი, რომ რიგ შემთხვევაში უპირატესობა სახისმეტყველებით თარგმანებას ენიჭება, არამედ ის თვალთახედვაც, რომ, კერძოდ, სახისმეტყველებითი თარგმანებისათვის დამახასიათებელი სახეობრიობა „კაცობრივ მოპოვებულია“ - ანუ მის შექმნას გარკვეული წარმოსახვის უნარი სჭირდება.

ასე რომ, შუა საუკუნეთა ავტორთათვის უზენაესი ყოვლისმომცველია და, ამავე დროს – არასტატიკური. სახისმეტყველებაში („კაცობრივ მოპოვებულ“ წარმოსახვაში) იგი არის „მთავარი საწაული“, მის ირგვლივ განლაგდება ყველა სიმბოლურ-ალეგორიული სახე, რომლებშიც კონკრეტიზირდება კიდევ თავად.

ამიტომ ნეტარი ავგუსტინეს მიერ დასმული კითხვა და იქვე გაცემული პასუხი არა რიტორიკული აზრითაა დატვირთული, არამედ გამოხატავს მედიევეალური აზროვნების წესს - ანტინომიურობას, ადამიანის ბუნებაში მარადიულ ჭიდილს სულსა და ხორცს შორის. „საერთოდ რისი თქმა ძალგვიძს შენზე? - სვამს კითხვას ნეტარი ავგუსტინე, - მაგრამ ვაი მათ, ვინც სდუმან შენზე, რამეთუ მრავლისმეტყველნიც დადუმებულან“.27

ნებისმიერი საგნის ბინარულობა კი შესაბამისად განაპირობებს სახეობრივი გამოხატვის ორმაგ გეარეობას: სახე ერთდროულად შეიძლება იყოს „თქმული და გამოუთქმელი, საცნაური და უცნაური“,28 აქედან, „უმსგავსო მსგავსება“ (წმ. დიონისე არეოპაგელი).

როგორც ითქვა, ტერმინ „ფანტაზიას“ წმ. დიონისეს შრომებში წმ. ეფრემ მცირე თარგმნის „ოცნებად“. წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ თარგმნისას კი fantasia გადმოაქვს „საოცრებად“, არსენ ივალთოელს - „ოცნებად“. Fantasma არსენთან „საოცარი“, ხოლო ეფრემი იმავე სიტყვით - „საოცრებად“ თარგმნის. 294.

„საოცრება“ - „ოცნება“ (fantasia) და „საოცრება“ - „საოცარი“ (fantasma) ეს ორი პარალელური ასოციაციური ლექსიკური ერთეული, რომელიც გარკვეულ შემოქმედებით პროცესს გამოხატავს, იწვევს „საცთურებას“ („განმარტება არა ხოლო შესაძლებელ არს, არამედ საცთურებადცა“) და უკავშირდება „საცნაურს“ („გონებითა ოდენ ცნობილი და თუალითა არა ხილული“).

ამრიგად, წმ. ეფრემ მცირე „ფანტაზიაში“ „სიტყვით მოგონებით“ მიღებულ წარმოსახვით სახეს გულისხმობს, რომლის აღწერა და გადმოცემა შეცდომისგან არაა დაზღვეული, პირიქით,

<sup>23</sup> ზ. სარჯველაძე. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი, 1984, გვ. 199, გვ. 229.

<sup>24</sup> ეფრემ მცირე. შესავალი. გვ. 86.

<sup>25</sup> ეფრემ მცირე. შესავალი. გვ.82.

<sup>26</sup> ეფრემ მცირე. შესავალი. გვ. 96.

<sup>27</sup> ნეტარი ავგუსტინე. აღსარება. საქ. ეკლ. კალენდარი. თბილისი, 1985, გვ. 123.

<sup>28</sup> რ. მიმინოშვილი. „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები. თბილისი, 1966, გვ. 84.

<sup>29</sup> რ. მიმინოშვილი. „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები. თბილისი, 1966, გვ. 144.

„აუცილებელიცაა“, რადგან აქაც ანტინომიურობა ასრულებს გადამწყვეტ როლს. ასე რომ, მიმეტურ გამოსახულებას ენაცვლება სიმბოლურ-ალერგიული - „ოცნებით“ წარმოსახული.

ბიკოვის მიხედვით, ფილოსტრატე „ფანტაზიაზე“ საუბრისას გულისხმობს არა უბრალოდ ნაწარმოების „იდეას“, არამედ „იდეას“, რომელიც შექმნილია ხელოვანის სიბრძნით, ანუ რამდენადმე გამონაგონსაც, მხატვრულ წარმოსახვასაც, რა თქმა უნდა, ანტიკური fantasia განსხვავდება თანამედროვე „ფანტაზიისაგან“ ანუ „წარმოსახვისაგან“, მაგრამ მაინც მის წინამორბედს წარმოადგენდა.<sup>30</sup>

გარდა ამისა, ფილოსტრატესთან fantasia შეკავშირებულია სამყაროს პოეტურ წვდომასთან; იგი ხშირად გვხვდება სინონიმად „სიბრძნისა“ და „წარმოდგენისა“ (gnome), რომელიც დაკავშირებულია ადამიანის სულის ღრმა მოძრაობასთან. <sup>31</sup> ხოლო კლიმენტი ალექსანდრიელი „ფანტაზიას“ ხშირად ხმარობს „ხატის“ (eicon) მნიშვნელობით.<sup>32</sup>

წმ. ეფრემი ბერძნულ სიტყვა gnome-ს თარგმნის ხან „ცნობად“, ხან „მეცნიერებად“, ხან „განზრახვად“ („დაკვირება“, გონება, გონიერება, აზრი), ხანაც „განჩინებად“ (განსაზღვრა, დადგენა),<sup>33</sup> ყველა შემთხვევაში gnome უკავშირდება ან მეცნიერებას, სიბრძნეს, ან „დადგინებას“, „წარმოდგინებას“, რაც იმას ნიშნავს, რომ წმ. ეფრემისათვის „ფანტაზია“ არის შერწყმა სიბრძნისა და წარმოსახვისა ანუ ღვთისმეტყველებისა და სახისმეტყველებისა.

ცნობილია, რომ წმ. დიონისე არეოპაგელი განასხვავებს სულიერი გამოხატვის ორ მეთოდს და შესაბამისად სახეთა ორ ტიპს, რომლებიც განირჩევიან ერთმანეთისაგან იზომორფიზმის ხარისხითა და პრინციპებით – მსგავსებით, „მგვანნით“ და „არამსგავსნით“, „არამგვანნით“. პირველი ტიპის სახე კატაფატიკური (წართქმითი) აღნიშვნის წესით გამოიხატება და ჯერ კიდევ კლასიკური ესთეტიკის წრეშია მოქცეული. მისი არსი ის არის, რომ სულიერი არსებები აღიბეჭდონ და გამოვლინდნენ სახეებში, რომლებიც მათ შეესაბამება და შეძლებისდაგვარად ენათესავენ კიდევ; ანუ „მგვანი“ სახეები უნდა წარმოადგენდნენ პოზიტიურ თვისებათა უმაღლეს ერთობლიობას. წმ. დიონისესთან „მგვან“ სახეებში კონცენტრირებულია სამყაროს ყველა „ხედვითი მშვენიერება“.

„უმსგავსო მსგავსებებს“ (რომლებიც მიიღება „თქმული და გამოუთქმელი, საცნაური და უცნაური“ სახისქმნადობის პრინციპის მიხედვით) ეკლესიის მამა უფრო მაღლა აყენებს - ესაა ღვთაების აპოფატიკური (უკუთქმითი) გამოხატვა. მისი წინამორბედი მოაზროვნე წმ. კლიმენტი ალექსანდრიელიც მიიჩნევდა, რომ ანალიტიკური გზით განუხორციელებელია ღვთის აბსოლუტური შეცნობა, რადგან „მისაღწევია შეცნობისათვის არა ის, რასაც ის წარმოადგენს, არამედ მხოლოდ ის, რასაც იგი არ წამოადგენს“.<sup>34</sup> წმ. დიონისეს აზრითაც, უზენაესის უხილავი და გამოუხატავი თვისებების საჩვენებლად უფრო მოსახერხებელია „უმსგავსო“ (არამგვანი) გამოსახვა. ამ დროს ადამიანმა არქექტივი უხეში მატერიალური ფორმებით არ უნდა წარმოიდგინოს.<sup>35</sup>

წმ. ეფრემ მცირე იზიარებს „აღხსნის“ წმ. დიონისესეულ მეთოდს. თვით ამ ტერმინს იგი ასე განმარტავს: „აღხსნა უწოდეს თარგმანებით განმარტებასა, რომელი არს გამოცხადებად ძალსა სიტყუათა დაფარულებისასა“.<sup>36</sup>

თუმცა „უმსგავსო“ სახეები არ არის მხოლოდ პირობითი ნიშნები და რაციონალისტური სიმბოლოები. შენიშნულია: ღვთის ატრიბუტები „ღვთისაა“ და ღმერთშია. არ შეიძლება ღმერთი იყოს თეთრი, ან მაღალი, ან სხვა რამ. ღმერთი აბსოლუტურია და არა იმიტომ, რომ ურიცხვ

<sup>30</sup> В. В. Бычков. Эстетика поздней античности. Москва, 1981, стр. 208.

<sup>31</sup> В. В. Бычков. Эстетика поздней античности. Москва, 1981, стр. 263;

<sup>32</sup> რ. მიმინოშვილი. „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები. თბილისი, 1966, გვ. 104-105.

<sup>33</sup> В. В. Бычков. Эстетика поздней античности. Москва, 1981, стр. 116.

<sup>34</sup> В. В. Бычков. Византийская эстетика. Москва, 1977, стр.131-133.

<sup>35</sup> ზ. სარჯველაძე. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი, 1984, გვ. 229.

<sup>36</sup> პეტრე იბერიელი. გვ. 27.

ნიშან-თვისებას ატარებს, არამედ იმის გამო, რომ მათზე მაღლამდგომია. იგი აბსოლუტურია თავისთავადობაში, ერთობაში. სხვაგვარად: ატრიბუტთა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აბსოლუტურობა იმაშია, რომ იგია არა საერთო, რაც სხვადასხვა ატრიბუტს მისტიკური გზით ერთზე დაიყვანს. მისტიკურობა აქ ნიშნავს, რომ ღვთაება სიმრავლისადმი არაა მიმართული როგორც გვარეობითი ცნება და ის ხდება მასზე მაღლამდგომელი „საერთობაც“. ესაა შეუძლებელის მეტაფიზიკურ სინამდვილედ ქცევა. მაგრამ რეალურად ამგვარი რაობის სინამდვილედ ქცევა შეიძლებოდა მხოლოდ პოეტურ ფანტაზიაში.<sup>37</sup>

იზომორფული გამოხატვის ამ მეთოდთან დაკავშირებით წმ. ეფრემ მცირე წმ. დიონისე არეოპაგელის თხზულებებზე დართულ ერთ-ერთ კომენტარში ასეთ აზრს გამოთქვამს: „ღმერთის მგალობელობა წმიდისა დიონისის სიტყუათაჲ არს. და კუალად რაჟამს მონასტერსა იტყოდის, ოდესმე არვედ უხმობს, ოდესმე – სიბრძნის სასწურთელად, ოდესმე – სტადიონად“<sup>38</sup> (სტადიონი - სულიერი ასპარეზი, სარბიელი. შდრ. I კორინთ. 9. 24).

ამიტომ, ასე ვთქვათ, სახეთა შექმნის „უმსგავსო მსგავსების“ პრინციპით ხდება ღვთაების რაობის წარმოსახვა-„ოცნება“ („ფანტაზია“). „ოცნებით“ მიღებული სახის ერთგვარი კლასიკური მაგალითია ხატი, რომელიც, როგორც ცნობილია, პორტრეტისაგან განსხვავებით, შინაგანი ხედვით კონსტრუირებული იდეალია. „ხატისქმნადობის“ პროცესში კი აუცილებელია „ოცნების“ შერწყმა „ხედვით“ ცოდნასთან (ანუ თეორიულ ცოდნასთან).

თუ გავითვალისწინებთ იოანე ბატონიშვილის შენიშვნასაც, რომ „ხელოვნება ორგვარია“ - „საქმიითი და ხედვითი“ და „ხედვითი ხელოვნება არის ღვთისმეტყველება“ („კალმასობა“), ხოლო „ხედვით ხელოვნებას“ ღვთისმეტყველების აზროვნების წესით უკავშირდება „ფანტაზია“ - „ოცნება“, დავასკვნით, რომ ეს უკანასკნელი ტერმინი არის ესთეტიკური, უფრო ზუსტად, სახისმეტყველებითი კატეგორია, მით უმეტეს, რომ, „ხედვითი ხელოვნებისგან“ განსხვავებით, „საქმიითი ხელოვნება“ ნიშნავს პრაქტიკულ საქმიანობას - მეცნიერებას, ფილოსოფიას.

## Giorgi Alibegashvili

### The Terms „Theory“ and „Fantasy“ in Medieval Georgian Literature

#### Summary

Medieval literary-aesthetic mentality system considers three aspects: search for God, which implies faith; for beauty, which is the quest to the reflection of reality by means of inner sense, to imagology; and for truth which means philosophy.

Traditionally, observation of Ancient Georgian Literature is carried out in three directions: analysis of writing in terms of theology; the artistry study of literary works; and the research of texts in order to reveal the theoretical and literary principles. Observations of some terms conducted by the ancient authors contributes to the study of literature within mentioned direction. It helps while analyzing and provides the possibility of tracing the formation of literary-theoretical mentality.

The terms „Theory“ and „Fantasy“ are considered exceptionally in this regard. In Medieval literary works „theory“ means God Contemplation, and “fantasy” means imaginary, imagological comprehension of Holy.

<sup>37</sup> რევაზ სირაძე. ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან. თბილისი, 1978, გვ. 119.

<sup>38</sup> ზ. სარჯველაძე. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი, 1984, გვ. 205.

**ტარიელ ფუტკარაძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## **ეთნოლინგვისტური დივერსიები საქართველოში (რუსული კონტექსტი)**

დღეს მთელი მსოფლიო აქტიურად ადევნებს თვალს კავკასიაში მიმდინარე პროცესებს; შესაბამისად, ამჟამად უფრო რეალურია საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს აღორძინების პერსპექტივა (ვიდრე ეს იყო მე-20 საუკუნეში) და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც. ამ გზაზე არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის ისტორიული დოკუმენტებისა და ობიექტური კვლევების მიწოდებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველო-რუსეთის კონფლიქტის არსის გარკვევასა და პოსტკონფლიქტურ პერიოდში მშვიდობიანი თანაცხოვრების სწრაფ აღდგენას. წარმოდგენილი სტატიის მიზანია რუსეთის იმპერიის მიერ ორგანიზებულ ენობრივ-კულტურულ დივერსიებზე თვალის გადევნება.

სინამდვილის კვლევას დიდად უშლის ხელს სამეცნიერო ასპარეზის პოლიტიზება, რაც, როგორც წესი, იმპერიული სახელმწიფოების ნებისამებრ ხორციელდება. სამწუხაროდ, ბოლო 80 წლის განმავლობაში, როცა მეცნიერული აზრი მთელ მსოფლიოში შთამბეჭდავად განვითარდა, ქართველი ერის ცხოვრების, კულტურის თუ ენის ისტორია, ძირითადად, საბჭოთა იმპერიის სქემით იწერებოდა; მაგ., „რატომღაც“ საბჭოთა კავშირში ნაკლებ პერსპექტიულად ითვლებოდა: ქართველური და ძველი წინააზიური კულტურების მიმართების ჰიპოთეზა, ივანე ჯავახიშვილისა და არნოლდ ჩიქობავას მიერ არგუმენტირებული იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის თეორია და სხვა. სამაგიეროდ, მეტისმეტი სუბიექტურობითა და ინტენსივობით შექდებოდა რუსეთ-საქართველოს „მეგობრული“ თანაცხოვრება; ქართველი ერის დაშლის მიზნით ქართველთა ცალკეულ კილოებს აცხადებდნენ უმწერლობო ენებად; ამ კილოებს მფლობელთ დანაგრულ „ხალხებად“ აცხადებდნენ და უქმნიდნენ „სამწიგნობრო ენებს“. ქართველობა ცხადდებოდა რამდენიმე დამოუკიდებელ ნაციად: საკუთრივ ქართველებად, ხევსურებად, თუშებად, სვანებად, ლაზებად, მეგრელებად, აჭარლებად, მესხებად...

მეცნიერების პოლიტიზების თვალსაზრისით, საინტერესო მსჯელობა აქვს გ. მელიქიშვილს: „ქართველთა ეროვნული თვითშეგნება ძლიერდება XIX საუკუნის ბოლოს; ამავე პერიოდში გამოქვეყნდა ფ. ჰომელის ახალი სამეცნიერო თეორია, რომლის მიხედვითაც ქართველობის წინაპრებად მიიჩნეოდა კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპის დიდ ნაწილში განფენილი წინარეინდოევროპული მოსახლეობა - „ხალხთა აღაროდიული ოჯახი: ელამელები, კასიტები, ურარტუელები (მათი შთამომავლები არიან ქართველები), პელაზგები, ეტრუსკები, ბასკები... ფ. ჰომელის სამეცნიერო თეორიამ გააძლიერა ქართველთა კონსოლიდაცია, მაგრამ ამ დროს ქართველობის წინააღმდეგ ანტაგონისტურად განეწვევნენ რუსეთის იმპერიის მესვეურნი და ამიერკავკასიაში არსებული ძლიერი სომხური ბურჟუაზია“.<sup>1</sup>

ქართველთა ისტორიის მიმართ თვისობრივად ამგვარი („გათიშე და იბატონე“) ინტერპრეტირება რუსეთსა თუ ზოგ საზღვარგარეთულ წრეში გრძელდება დღესაც (იხ.: მაგ., ი. კორიაკოვის, ჯ. ჰიუიტის, ი. ზეირეკის, ვ. ფოირშტაინისა და სხვათა შემოქმედება). გარეშე ძალები

<sup>1</sup> გ. მელიქიშვილი. ნარკვევები. I. გვ. 329.

ახლაც ცდილობენ საქართველოში ენობრივ-ეთნიკურ უმცირესობად გამოაცხადონ და ამ გზით დიდ სამწიგნობრო კულტურას მოწყვიტონ: ლაზები, მეგრელები, სვანები.<sup>2</sup>

რუსეთის იმპერიის მიზანიც უცვლელია: საერთაშორისო საზოგადოებისა თუ საქართველოს მოქალაქეების დეზორიენტირებით საქართველოს ტერიტორიის თანდათანობითი ოკუპაცია და ანექსია, პარალელურად, ქართველობის ენობრივ-ეთნიკური დაშლით ამ ტერიტორიის ისტორიული მფლობელი ერის სრული ასიმილაცია.

უცვლელია ქართველ ერის, ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის მიზანიც: საკუთარი სახელმწიფოებრიობის გადარჩენით ეროვნული იდენტობისა და კულტურის გადარჩენა. თანამედროვე გლობალისტურ მსოფლიოში ეს მიზანი მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუკი თანამედროვე მეთოდოლოგიით შეიქმნება ქართველი ერისა და საქართველოს ისტორიის ახალი, დეპოლიტიზებული და აკადემიური ენობრივ-ეთნიკური ისტორია.

XVI-XVIII საუკუნეებში ირანისა და ოსმალეთის მუდმივმა აგრესიებმა საქართველო აიძულა მოკავშირე ეძებნა დასავლეთ ევროპაში, მაგრამ ინდოეთის გზის ძიებაში ამერიკის პოვნით აუტირებულმა ევროპამ აღარ მოისურვა საქართველოს გამო დაპირისპირებოდა ძლიერ აღმოსავლურ იმპერიებს.

თავდაპირველად, რუსეთი ერთმორწმუნეობის მოტივით ცდილობდა ნდობა მოეპოვებინა საქართველოში და ამ გზით დამკვიდრებულიყო კავკასიაში;<sup>3</sup> შემდეგ კი ღია აგრესიაზე გადავიდა და იარაღის ძალით დაიფერო ქართული სამეფო-სამთავროები, საქართველოს ეკლესია და სხვა კავკასიური ხალხები.<sup>4</sup>

რუსეთის იმპერიამ 1864 წელს გამოაცხადა კავკასიის 100-წლიანი ომის დამთავრება. ამის შემდეგ რუსეთი ააქტიურებს აგრესიის მეორე ფორმას: კავკასიაში „დემოგრაფიული სიმძლავრის“ არსებითად შესაცვლელად, რუსეთის იმპერიის მოხელეები ენათმეცნიერულ-ეთნოლოგიური კვალიფიკაციების გაყალბებით იწყებენ კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობის, პირველ რიგში ქართველების ეროვნული იდენტობის მოშლას. ამისთვის რუსეთი ადრიდანვე ემზადებოდა; ამ თვალსაზრისით საინტერესოა შტაბსკაპიტან შახოვსკის 1834 წლის მოხსენება მეფისნაცვალ გ. როზენისადმი:

*„ჩვენთვის ყველაზე მომგებიანი იქნება, თუ სხვათა შორის [სვანეთში] შემოვიღებთ რუსულ დეთისმსახურებას, რაც მოაჯაჭვებდა ამ ხალხს თქვენთან. ამის შესასრულებლად აუცილებლად მიმაჩნია: გამოვართვათ რამდენიმე სვან დეთისმსახურს შვილები, ვასწავლოთ მათ საღვთო სჯული რუსულ ენაზე, ვაკურთხოთ მღვდლებად და ვავგზავნოთ თავიანთ ხალხში, რომელიც მათ სიხარულით მიიღებს, ხოლო მამები საკუთარი ნებით დაუთმობენ ადვილს თავიანთ შვილებს“.*

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთის იმპერია უკვე ინტენსიურად ცდილობს, საქართველოში დაამკვიდროს რუსული ენა; პარალელურად, ესწრაფვის რა შეზღუდოს ქართული ენის გამოყენების არეალი აფხაზეთში, სამეგრელოში, სვანეთში, იმპერიის მოხელეები აფხაზეთში ააქტიურებენ რუსულს, ხოლო სამეგრელოში ოფიციალურ დოკუმენტებს გამოსცემს მეგრული კილოს („ენის“) მიხედვითაც. ამ თვალსაზრისით „სანიშნო“ კავკასიაში რუსეთის მეფის წარმომადგენლის - „ნამესტნიკ“ დენერალ-ფელდცეისხმეისტერის, მიხაილის 1867 წლის 27 იანვრის „კანონი უფლებებისათვის, რომელთაცა მოიპოვებენ გლეხნი ყმობიდან გამოსულნი სამეგრელოში (ზუგდიდისა, სენაკის და ლენხუმის მაზრასა შინა)... ხელი მოწერილია:

<sup>2</sup> ვფიქრობ, ამგვარი ენობრივი დივერსია ზოგს უნებურად გამოსდის საკმარისი სამეცნიერო ინფორმაციის არფლობის გამო; იხ.: მაგ., <http://vlib.iue.it/history/asia/georgia.html>.

<sup>3</sup> იხ.: 1483 წ. მოსკოვში კახეთის მეფის ელჩების დოკუმენტური მასალა.

<sup>4</sup> ვრცლად იხ.: **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული**. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1801-1921). თბილისი, 2009; <http://sangu.ge/images/vguruli/17geo.pdf>.

ნაჩალნიკი გლავნის უპრაველნიისა კავკასიის ნამესტნიკი, სენატორი, სტატსსეკრეტარი ბარონი ა. ნიკოლაი“.

**შდრ., მეგრული ვარიანტის დასახელება:**

„თი უფლება შენი, ნამუსოთი სამარგალოს მახორუუ (მაზრეფი: ზუგიდი, სენაკი, ლეჩხუმა) პატრონტყორალიშე გშუულირი ყაზახეფი... ხე მოჭარილი რენ: ნაჩალნიკი კავკასიისი ნამესტნიკიში დუდი მართველობაში, სენატორი, სტატსსეკრეტარი ბარონი ა. ნიკოლაი“.

**შდრ., ასევე:**

1899 წელს გამოცემული მეგრული საანბანო სახელმძღვანელოს ავტორი ალ. გრენი ამ წიგნის წინასიტყვაობაში აცხადებს: *„ამ ანბანის შედგენისას მე მიზნად მქონდა, როგორც, თუნდაც არაპირდაპირ, გამომეწვია ნაციონალური ბრძოლისათვის მეგრელები, რომელნიც ითვლებიან უფრო ძლიერი ქართველი ხალხისაგან. ასეთი ბრძოლა, ჭეშმარიტად, სრულიად შეუძლებელია საკუთარი ეროვნული ანბანის უქონლად, [იმ ანბანისა], რომლითაც მეგრელი თავის აზრებს ისევე გამოხატავდა, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში – ქართველი“* (ს. ხუნდაძე, 1940, გვ. 104).

იდეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა, აგრეთვე, ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-მაიორ გერშელმანის 1900 წლის საიდუმლო წერილი, სადაც მითითებულია, რომ: „...указом грузинско-имеретинской синодальной конторы от 17-го марта 1898 г. за №2771, преподавание грузинского языка в школах Абхазии Самурзакани совсем воспрещено...“; ამ დოკუმენტით რუსები სამუზაყანოელ (გალელ!) მეგრელებს სხვა ეროვნებად, ხოლო მათ მეტყველებას სხვა „ენად“ წარმოაჩენენ და უპირისპირებენ დანარჩენ ქართველებს.

1918-20 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სამწლიან პერიოდში, ბუნებრივია, ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ იდენტობაზე შეიზღუდა იმპერიის ხელისუფლების ზეწოლა და დაიწყო ქართული ენის უფლებების აღდგენა. პარალელურად, საქართველოს ხელისუფლება ტრადიციული ქართული ტოლერანტობით მოეკიდა უმცირესობების ენობრივ უფლებებს, რაც იმაშიც გამოიხატა, რომ სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სხვა ეროვნების მოქალაქეებს თავიანთ ენაზე შეეძლოთ სიტყვით გამოსვლა, ხოლო 1918-21 წლების საქართველოს პარლამენტში არჩეულ დელაგატს უფლება ჰქონდა, თავის ენაზე წარმოეთქვა სიტყვა, თუ ეს ენა იცოდა პრეზიდენტის ერთმა წევრმა მაინც. საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთს განესაზღვრა ავტონომიური სტატუსი და სხვ.

1918-21 წლებში მომზადდა ბევრი იურიდიული დოკუმენტი დამოუკიდებელი საქართველოს აღორძინებისათვის.

რუსული იმპერიული პოლიტიკა უფრო აგრესიულად გაგრძელდა საქართველოს 1921 წლის ბოლშევიკური ანექსიის შემდეგ. ლენინისა და შემდეგ სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, გორბაჩოვის იმპერიაც ცდილობდა საქართველოს არა მარტო ტერიტორიულ დანაწევრებას, არამედ ქართველთა ცალკეული ჯგუფებისთვის ქართველური ისტორიის, კულტურის და ერთიანი ენობრივი იდენტობის გაუცხოებას. სტალინმა და სხვა ბოლშევიკებმაც კარგად იცოდნენ, რომ ერის დასანაწევრებლად პირველ რიგის ამოცანაა **„ენათმეცნიერული დივერსიებით“** (დიალექტების დამოუკიდებელ ენებად გამოცხადებით) ერის შემქნელი დედაენის გაუცხოება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამჟამინდელი რუსეთის იმპერია (პუტინ-მედევედევ-დუგინის რუსეთი) ახლა უფრო დახვეწილი მეთოდებით ცდილობს თავისი საუკუნოვანი მიზნის მიღწევას - ქართველი ერის დანაწევრების გზით კავკასიაში სამუდამო გაბატონებას.

„ენათმეცნიერული დივერსიები“ განსაკუთრებული აქტივობით განხორციელდა გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისის საქართველოში (თუმცა ამ მხრივ დღეს უფრო დიდი რისკფაქტორები ჩნდება). ეს იყო ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდი ქართველი ერის მთელი ისტორიის მანძილზე:

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ დაპყრობის შემდეგ სოციალურ-პოლიტიკური ტერორი მძვინვარებდა. თუ მეფის რუსეთი თავისი გენერლების, სასულიერო

პირებისა (იანოვსკებს, ვოსტორგოვებს, გერშელმანებს...) და თითო-ორი ადგილობრივი რენეგატის (აშორდიების) საშუალებით ცდილობდა ქართველთა დანაწევრებას, ბოლშევიკების ტაქტიკა უფრო ვერაგული გახლდათ: დემოკრატიისა და სოციალური თანასწორობის ლოზუნგით მოსული დამპყრობელი თავის მიზნის აღსრულებას შეეცადა ადგილობრივი ბოლშევიკ-კომუნისტების გამოყენებით.

#### **სტრატეგიული გეგმა იგივე იყო:**

გრძელდებოდა არამარტო აფხაზების, ოსების, სომხების, აზერბაიჯანელებისა და სხვათა ამხედრება ქართველი ერის წინააღმდეგ, არამედ გეგმაზომიერად ხორციელდებოდა ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებაც. მეფის მოხელეების მსგავსად, ბოლშევიკებმაც გამოაცხადეს, რომ მეგრელები, აჭარლები, სვანები, ლაზები, იმერლები, ხევსურები, თუშები და სხვ. ქართველები არ არიან და ქართველებისგან იხაგრებიანო. აქვე ერთი დეტალიც უნდა აღინიშნოს:

აფხაზებს ჩააგონებდნენ, რომ ქართველი მათი ისტორიული მტერია, რომ თითქოს, ქართველები იტაცებენ აფხაზთა მიწებს, ჩუმ-ჩუმად სახლდებიან იქ, ხელს უშლიან აფხაზური კულტურის განვითარებას და სურთ მოსპონ აფხაზი ერი; ზოგი აფხაზი მართლაც იჯერებდა ამ სიცრუეს. არადა, რუსეთის მიერ აფხაზთა გენოციდის შეჩერებას სწორედ ქართველი ინტელიგენცია ცდილობდა... დღესაც, პირველ რიგში ქართველებს შეუძლიათ, შეაჩერონ რუსეთის მიერ აფხაზთა განადგურებაც და, ზოგადად, კავკასიის სრული დაპყრობაც.

რუსეთის იმპერია „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით მოქმედებდა სამეგრელოშიც; ოღონდ აქ წინა პლანზე წამოსწია სხვა ტაქტიკური გეგმა; მაგ., „სოვეტიზაციის“ პერიოდში რუსები სამეგრელოს მკვიდრ ბოლშევიკებს იმავეს ვერ ათქმევინებდნენ, რასაც აფხაზებს, ამიტომ სხვა „იდეოლოგიური“ ფონი მოიძებნა: წინა პლანზე წამოიწია მეფის რუსეთის (პატკანიან-იანოვსკ-აშორდია-ვოსტორგოვების) მიერ დამუშავებული თემა - „დავიცვათ დანაგრული მეგრული ენა“; ამ „მოდრობის“ ბოლშევიკ ლიდერად მოგვევლინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ისაკ ჟვანია.

1925 წელს, ზუგდიდის პარტიულმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, ხოლო იმავე წელს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის (კახიანი, ოკუჯავა, ელიავა, გეგეჭკორი, ორჯონიკიძე) სხდომამ გამოიტანა დადგენილება სამეგრელოს სკოლებსა და სასამართლოებში მეგრული ენის შემოღების, ასევე მეგრული გაზეთის გამოცემის შესახებ. 1928 წელს მოსკოვიდან ჩამოვიდა ცკ ინსტრუქტორი პშენიციანი, რომელმაც შემოიარა სამეგრელოს სოფლები და დაასკვნა: „მეგრულ გლეხებს უნდა მიეცეთ სკოლა, სასამართლო და პოპულარული ბროშურა მშობლიურ ენაზე“. 1929 წლის 25 მარტს (კპ) მდივანმა კახიანმა მიიღო დადგენილება მეგრული ენის პრივილეგიების აღსადგენად სკოლაში, სასამართლო საქმის წარმოების, გამოძიების საქმეში. ამ დადგენილების მიხედვით იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცოდა (!), საქმის წარმოება და სასამართლოს წარმოება მეგრულ ენაზე უნდა შესრულდებოდა... (ი. ჟვანია, 1931, გვ. 147). ნიშანდობლივია: დადგენილების I და II პუნქტებში ერთმანეთს უპირისპირდება ქართული და მეგრული; IV პუნქტში კი მითითებულია, რომ დადგენილებები, განკარგულებები უნდა გამოქვეყნდეს როგორც სახელმწიფო ენაზე, ისე მეგრულ ენაზე“.

ამგვარი ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვა შეუძლებელი იყო რუსეთის მთავრობის, კერძოდ კი სტალინის ნებართვის (ან მითითების) გარეშე. რუსული იმპერიული მანქანა XVIII საუკუნეში დაწყებულ სვლას განაგრძობდა; „მაგრის“ როლის შემსრულებელნი კი სხვები იყვნენ (ბოლშევიკები: ფილიპე მახარაძე, ისაკ ჟვანია, მამანტი კვიციანი...).

1929 წლის ამ ავბედითი დადგენილების მერე ი. ჟვანიას და მის თანამზრახველებს ხელ-ფეხი გაეხსნათ. დაიწყო მეგრული სიტყვა-ფორმებით ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა. 1931 წ. იბეჭდება ი. ჟვანიას წიგნიც: „როგორ იბრძოდა სამეგრელოს მშრომელი გლეხობა საბჭოების ხელისუფლებისათვის“. იმპერიის მესვეურნი ამ წიგნს რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ჩანს მისი 30-ათასიანი ტირაჟითაც.

სამეგრელოში ბოლშევიკური „ენობრივი დივერსია“ აქტიურად ხორციელდებოდა 6 წლის მანძილზე (1929-1934). ლავრენტი ბერიასა და არნოლდ ჩიქობავას აქტიურობით 1934 წელს მსგავსი პუბლიკაციები შეწყდა; იმპერიის ხელისუფლებამ თანამდებობიდან გადააყენა ისაკ ჟვანიაც, რომელიც მალევე ფიზიკურადაც მოიშორეს.

ცნობილია, რომ 30-იანი წლების შუა პერიოდიდან ი. სტალინი ცდილობს მსოფლიოს დაანახოს მისი დაბადების ადგილის - საქართველოს - დიდი წარსული, რუსთაველის გენიოსობა და ა.შ. პარალელურად, 1937 წელს საქართველოს მთავრობის მეთაური ლ. ბერია „აღმოთებული“ წერს სტალინს, რომ საკავშირო აკადემიის ენათმეცნიერებისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტების მეცნიერები „თავგზაბნეულები“ არიან და „თავიანთი დასკვნებით ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან“ (წერილის პირველ ვარიანტში მათ „გველიკოდერუაველი“ სულით გაუღენთილებად მოიხსენიებს).<sup>5</sup>

საკითხი ეხება 1926 და 37 წლის აღწერების შედეგად საკავშირო აკადემიური წრეების მიერ საქართველოს დაყოფას სხვადასხვა ეროვნებად. კერძოდ, 1926 წელს რუსეთის (იგივე საბჭოთა) აკადემიამ საქართველო ასე დაყო: ქართველები (ქართლები, კახელები, თუშები, ფშავ-ხევსურები, სომხები, ჯავახები, მესხები, კლარჯები, ტაოელები, აჭარლები, გურულები, იმერლები, რაჭველები, ლეჩხუმელები), მეგრელები, ჭანები, სვანები, ბაცბები.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შესედეულებით კი 1937 წელს ასეთი სურათი გვაქვს: ქართველები, მეგრელები, ლაზები, სვანები, ბაცბები, აჭარლები.

იმავე წელს ანთროპოლოგიის ინსტიტუტს შეუდგენია თავისი ვარიანტი, რომელიც შემდეგ საფუძვლად დასდებია „ეროვნებათა ლექსიკონს“. აქ უკვე ქართველებად არიან მიჩნეული: მეგრელები, ლაზები, სვანები და ბაცბები, მაგრამ აჭარლები ცალკე ნაციად არის დასახელებული. ლ. ბერია ყველა მასალას იცნობს, მაგრამ აქცენტს აჭარლებზე აკეთებს და თხოვს სტალინს, ჩაერიოს და არ დაუშვას ასეთი შეცდომა „ეროვნებათა ლექსიკონში“, რადგან ეროვნებათა ასეთი დაყოფა ეწინააღმდეგება ბელადის მოსაზრებებს ნაციის შესახებ.

რუსეთის იმპერიის მიერ ქართველი ერის იდენტობის (თვითობის) მოშლა ახალი ინტენსივობით იგეგმება XX საუკუნის 70-იანი წლებიდან. 1978 წლის 14 აპრილს საბჭოთა იმპერიას ჰქონდა მცდელობა, გაეუქმებინა ქართული ენის - საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენის - ისედაც დაკნინებული სტატუსი. რუსეთს უფრო „ღიადი“ გეგმები ჰქონდა; წარმოვიდგინოთ მიხეილ სუსლოვის (1902-1982) დახურული მოხსენების ფრაგმენტს, რომელიც გამოქვეყნდა პარიზის ეროვნული საბჭოს უურნალში:

*„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არ დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშაოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკებში სხვადასხვა იქნება.*

*შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მიეცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსახლებლად გეგმირება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მიეცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავადვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დაეუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დაავარწმუნოთ, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის*

<sup>5</sup> უურნალი „საარქივო მოამბე“, VI, 2009, გვ. 116.

<sup>6</sup> „მებრძოლი საქართველო“, 26 მაისი, 2003.



წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს“.

1989 წლის 9 აპრილით საქართველოში იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, რომელიც დამთავრდა 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული, დემოკრატიული და არასაბჭოთა არჩევნებით. ამ გზით ხელისუფლებაში მოსულმა ეროვნულმა ძალებმა (ბლოკი: „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“) აღადგინეს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და რუსეთის სამხედრო შენაერთებს მიანიჭეს ოკუპანტის სტატუსი.

საქართველოს კანონიერი ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა აფხაზთა ენობრივ-კულტურული იდენტობის შენარჩუნებასა და ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბების საკითხს. ეროვნული ხელისუფლება ზრუნავდა ასევე, ოსთა და საქართველოში მცხოვრებნი სხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციისთვის. სამწუხაროდ, რუსულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ გააყალბა ეროვნული ხელისუფლების საშინაო პოლიტიკა და ქართველი რენეგატების დახმარებით რუსეთის მიერ ჩადენილი ვანდალური ფაქტები ქართველებს გადმოაბრალა (მაგ., ცხინვალის ქართულ სოფლებში დახვრეტილი ქართველები ეთნიკურ ოსებად გამოაცხადეს და სხვ.).

საქართველოს კანონიერმა ხელისუფლებამ 1991 წლის 31 მარტს ჩაატარა საერთო-სახალხო რეფერენდუმი და 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენა. რუსეთი მიხვდა რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება კავკასის სამუდამოდ აკარგვინებდა.

1991 წლის შემოდგომაზე რუსეთმა დაიწყო დამოუკიდებლობისკენ მსწრაფავი და რუსის ჯარისთვის ოკუპანტის სტატუსის მიმნიჭებელი ხელისუფლების დამხობის გეგმის განხორციელება (სამწუხაროდ, დასავლეთს იმხანად მიზნად ჰქონდა აღმოსავლეთ ევროპის, მათ შორის ბალტიის ქვეყნების გამოყვანა რუსეთის გავლენის ველიდან; კავკასია, უკრაინა, მოლდოვა, შუა აზია რუსეთის გავლენის ველში დარჩა).

კრემლის ინსტრუქციების შესაბამისად, ქართველმა პუტჩისტებმა მოამზადეს საქართველოს ხელისუფლების დამხობის გეგმა და განახორციელეს კიდევ.<sup>7</sup>

1991 წელს რუსეთი არ შეეგუა საქართველოდან წასვლის პერსპექტივას. მიუხედავად წარმატებული რეფერენდუმისა და დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადებისა, 1991-93 წლებში საქართველო მაინც აიძულეს რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში დარჩენილიყო.<sup>8</sup>

1991-1992 წლების მიჯნაზე რუსეთმა საქართველოში ძალადობით შეცვალა კანონიერი ხელისუფლება; „თავისად“ დატოვებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში რუსეთმა იარაღის ძალით დაამხო ასევე აზერბაიჯანისა და იჩქერიის კანონიერი ხელისუფლებებიც (აღსანიშნავია, რომ გარკვეული ძალები დღემდე ჩქმაღლავნ ამ მოვლენის არსს და საქართველოში კრემლის მიერ განხორციელებულ სამხედრო გადატრიალებას „სამოქალაქო ომად“ ნათლავენ).

1992-93 წლებში აფხაზეთისა და ცხინვალის მხარეში კონფლიქტების პროვოცირებით რუსეთის სამხედრო შენაერთებმა ამ ისტორიული ქართული მიწებიდან განდევნა ავტოქთონი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (ქართველები, კრემლის მოწინააღმდეგე აფხაზები, კრემლის მოწინააღმდეგე ოსები...).

ამის მიუხედავად, შევარდნაძის ხელისუფლებამ საოკუპაციო ჯარის სტატუსი მოუხსნა რუსეთის სამხედრო შენაერთებს; მეტიც, დამკურობელი "მეგობარ ქვეყნად" გამოაცხადა და რუსულ ჯარს ე.წ. ქართულ-„აფხაზური“ და ე.წ. „ქართულ-ოსური“ სინამდვილეში: ქართულ-რუსული კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო მისია დაეკისრა.

<sup>7</sup> ეს დადასტურებულია კიდევ ირაკლი ბათიაშვილის, ჯაბა იოსელიანის და სხვათა თვითაღიარებებით, რომლებიც გამოქვეყნებულია წიგნებსა თუ ინტერვიუების სახით.

<sup>8</sup> ბევრისთვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამო რუსეთი შეეცდებოდა, საქართველო დაესაჯა; იხ.: მაგ., ტ. ფუტკარაძე. „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, ანუ მიმდინარე პროცესების შესახებ“ – გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 სექტემბერი, 1991.

1993 წლიდან კავკასიაში იწყება რუსული ექსპანსიის ახალი ეტაპი: გენოციდისა და კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ რუსული კაპიტალის დრო დგება: ოკუპირებულ და ანექსირებულ ტერიტორიებზე არსებულ საქართველოს სტრატეგიულ სიმძლავრეებს ძირითადად რუსეთი ეუფლება.

დღეს დასავლეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ბათუმის მაგისტრალები. ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის თუ აღმოსავლეთი ევროპა უფრო ღირსებისა და უსაფრთხოების საკითხი იყო, შუა აზიის რესურსები და ამიერკავკასიის ენერგომატარებლები მათთვისაც და თურქეთისთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა: მხოლოდ ამიერკავკასიიდან რუსეთის გასვლის შემთხვევაში იქნება ევროპა ენერგეტიკულად დამოუკიდებელი.

შვედნადის 10-წლიანი მმართველობის შემდეგ ამ და სხვა ფაქტორებმა მალევე განაპირობა ამიერკავკასიაში გეოპოლიტიკური ბალანსის გარკვეული კორექტირების აუცილებლობა:

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ მხარდაჭერით დასავლეთმა შესამჩნევად გააძლიერა საქართველოში ევროატლანტიკური ორიენტაციის ძალები; შედეგად, საქართველოს ხელისუფლების, როგორც გეოპოლიტიკური მოთამაშის როლი გაიზარდა; ამან რუსეთში კიდევ უფრო გააძლიერა ამიერკავკასიაზე გავლენის დაბრუნების სურვილი; შედეგად მივიღეთ 2008 წლის აგვისტოს აგრესია - რუსული რევანშის მორიგი ეტაპი, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ ჯერ საინფორმაციო ომში, შემდეგ კი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში გადაიზარდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისშივე გააქტიურდა ენობრივ-ეთნიკური დივერსიები; კერძოდ, სამმეცნიერო ასპარეზზე თუ საინფორმაციო ველში გააქტიურდნენ ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ, არაქართველებად გამოაცხადონ აჭარლები, მესხები, მეგრელები, სვანები, ლაზები და სხვ.

სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან - 1991 წლის 9 აპრილიდან - 19 წელი გავიდა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ დღემდე ვერ შეძლო იმპერიული ენათმეცნიერულ-ეთნოლოგიური „ნაღმების“ განეიტრალება; მეტიც, **საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო ახლა უფრო აგებს საინფორმაციო ომს**, ვიდრე ოდესმე. დღეს უკვე ევროპელი პიუტები თუ ფოიერშტაინები აფრიალებენ „ყაზახში გაზეთს“ და დიდი ფინანსური გრანტებით „აღჭურვილი“ ატყუებენ მსოფლიოს, რომ თურმე ქართული ენის გავრცელების არეალი არ არის: სამეგრელო, სვანეთი, ლაზეთი, იმერხევი, ცხინვალის მხარე, აფხაზეთი და ქართველები არ არიან: მეგრელები, ლაზები, მესხები, სვანები...

ეფიქრობთ, ცივილიზებულ სამყაროსთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესში არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის აკადემიურ, დეპოლიტიზებულ აღწერებსა და კვალიფიკაციებს. თუ საერთაშორისო საინფორმაციო ველი არ გათავისუფლდება რუსულიმპერიული იდეოლოგიებისაგან (რომლებიც, საბჭოთა „მეცნიერების“ ინერციით, დღესაც დომინანტურია საერთაშორისო საცნობარო ქსელში), საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ქართველი ერის იდენტობას დაუძლეველი საფრთხეები შეექმნება.

### **დასკვნის ნაცვლად:**

ორ საუკუნეზე მეტია, ქართველი ერი კეთილმეზობლობას ესწრაფვის რუს ხალხთანაც, მაგრამ რუსეთის აშუამინდელი ხელისუფლებაც ყველა არალეგიტიმური ხერხით ცდილობს, თავისი გეოპოლიტიკური ამბიციის დაიკმაყოფილოს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე.

საქართველოს მოსახლეობა არასოდეს შეეგუება თავისი სასიცოცხლო ინტერესების შელახვას. ეს რუსეთმაც იცის, ამიტომაც, გამუდმებით ცდილობს, თვისობრივად შეცვალოს დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში და დემოგრაფიული სიმძლავრის მართვით სამუდამოდ

დამკვიდრდეს კავკასიაში; ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის იმპერიის ხელისუფლება სამი მიმართულებით მუშაობს:

1. ფსევდომეცნიერული დებულებების საქართველოში პროპაგანდით ცდილობს, რომ ქართველთა ნაწილს მაინც შეუცვალოს ეროვნული მეობა (იდენტობა); მაგ., რუსეთისგან დაფინანსებული პირები დღემდე წარუმატებლად ცდილობენ დააჯერონ სვანები, რომ მათი დედაენა არ არის ქართული ენა, რომ ისინი ქართველები არ არიან;

2. მძლავრი საინფორმაციო პროპაგანდით ცდილობს, დააჯეროს მთელი მსოფლიო, რომ ქართველები არ არიან: აჭარლები, მეგრელები, ლაზები, სვანები, ხევსურები, მესხები, თუშები და ა.შ. მათი მონაცემებით, საქართველოდ წოდებულ სახელმწიფოში ეს „ეთნიკური ჯგუფები“ „იზარებიან“ ქართველებისგან (/ქართულებებისგან), რამდენადაც მათ საკუთარი „დედაენების“ მიხედვით არა აქვთ სამწიგნობრო კულტურა. ამ „ხალხებს“ ე.წ. „ქართიზაციით“ თავს მოხვეული აქვთ „დამპყრობელი“ ქართველების ენა; მსოფლიო უნდა დაეხმაროს ამ „დაჩაგრულ“ „ეთნოსებს“.

3. საეჭვო ღირებულების „სამეცნიერო კვლევებით“ ცდილობს, დააჯეროს მსოფლიოს ელიტური წრეები, რომ არ არსებობს ერთიანი ქართული კულტურა; რომ საქართველო მცირე იმპერიაა; რომ ქართველებმა (/ქართულებმა) თავის დროზე დაიპყრეს და დღესაც ჩაგრავენ „უმწიგნობრო ენების“ მქონე „ხალხებს“: მესხებს, აჭარლებს, მეგრელებს, ლაზებს, სვანებს...

ამ ფონის შექმნის შემდეგ რუსეთისგან დაფინანსებული პოლიტიკური ძალების დახმარებით უნდათ ქართული მხარეების ავტონომიზაცია და ე.წ. ფედერაცია-კონფედერაციის გზით - საქართველოს დაშლა.

## Tariel Putkaradze

### Ethno-linguistic Diversions in the Georgia (Russian discourse)

#### Summary

1. Georgian identity and national culture (which incorporates centralized but tolerant state) have been formed in the course of the century-old struggle against various Invaders. Historically, some of them succeeded in their pursuit of fragmenting or partially annexing Georgia; during such times Georgian church remained to be the guarantor of integrity of the state established by the Georgians, and the Georgian nation never tolerated aggressors.

2. During the last 80 years when the scientific scholarship witnessed tremendous development in the whole world, unfortunately, the history of life, culture and language of Georgian nation was mainly written in accordance with the Soviet empire scheme; for instance, the hypothesis on interrelationship between Georgian and ancient Anterior Asian cultures, the relativity theory of Iberian-Caucasian languages cherished by Ivane Javakhishvili and Arnold Chikobava, etc. due to some reasons have been regarded as less promising. Instead, Russian-Georgian “friendly” co-existence has been excessively covered in a subjective manner and intensity; according to the ideology of the Russian Empire (disintegration of the nation – the owner of the territory in question!), “oppressed” nations have been offered “written languages” on the basis of Georgian dialects that were considered as unwritten languages. Besides, Georgians have been regarded as a combination of several independent nations, namely, Georgians, Khevsurs, Tushs, Svans, Laz, fians, Adjarians, Meskhs, etc.

3. External forces still attempt to declare Laz, Megrelians and Svans as Linguistic-ethnic minorities and thus separate them from extensive literary culture (I believe, due to the lack of scientific information some individuals involuntarily cause such linguistic diversion).

მანანა ტაბიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## საკუთარი სახელები ტექსტობრივ სივრცეში

თანამედროვე კუმანიტარული დარგების განსაკუთრებული დაინტერესება სიმბოლოებით (და მათ შორის, ლექსიკური სიმბოლოებით) შემთხვევითი არაა; სამეცნიერო აზრმა, გარკვეულწილად, უკვე მიაღწია ენობრივი მასალის ფაქტობრივი აღწერისა და სისტემური დახასიათების მწვერვალებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე ენის სისტემური დათვალიერება არ არის საკმარისი ისეთი რთული ფენომენის შესაცნობად, როგორც ენაა. საენათმეცნიერო ცოდნის ამჟამინდელმა დონემ თავად მოითხოვა ენობრივი მასალის ფართო კონტექსტში დანახვა და შესწავლა. ასე მიაღვა ლინგვისტიკა ტექსტს, რომელიც უკვე ახლებური მეთოდით უნდა შევიმეცნოთ და ავხსნათ.

ტექსტი ორმაგი ბუნებისაა: ჯერ ერთი იგი არის სინამდვილის ამსახველი კონცეპტებისა და კონცეფციების ერთობლიობა, და მეორეც, ის თავად წარმოადგენს სხვა ერთობლიობათა (მაგ. დისკურსის) კონცეპტსა და კონცეფციურ შემადგენელს. ტექსტი ძალზე მგრძობიარეა მასში ასახული რეალური და წარმოსახვითი დროისა და სივრცის თავისებურებათა მიმართ და წარმოადგენს მათ ისეთი ხერხებით, რომ ხდება არა მხოლოდ რეალობის ფოტოგრაფირება, არამედ მისი გასულიერება, ინდივიდუალური სპეციფიკით დატვირთვა. მაგალითად, კონტექსტის შემადგენელი ყველა ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის ცოდნაც კი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ზუსტად შევიგრძნოთ ტექსტი, თუკი არ გავითვალისწინებთ ყოველი ლექსიკური ერთეულის მორფოლოგიური, სინტაქსურ-სტილისტიკური და, რაც მთავარია, ტექსტური გარემო.

სწორედ თანამედროვე ეტაპზე გამოჩნდა, რომ საკუთარი სახელები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე უსემანტიკო, თუმცა კი ფუნქციურად დატვირთულ ლექსიკად მიიჩნეოდა, არცთუ უსემანტიკო ყოფილა; თუმცა მათი მნიშვნელობის ამოკითხვა ადვილი არ არის. თვით ლექსებმა „სახელი“, და მასთან სემანტიკურად თუ ფორმალურად დაკავშირებული სხვა ლექსიკური ერთეულები, ქართულში განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას არ გვიჩვენებენ. სახელი სახის (სახიერი) ფუძესაა დაყრდნობილი და ობიექტის გაპიროვნებას, განსახიერებას ემსახურება. ქართულში თითქმის ნებისმიერი სახელი, ლინგვისტური გაგებით, აპელატივიც შეიძლება იყოს და ონიმიც; ამას უზრუნველყოფს ენის აგლუტინაციურობა. ამჯერად ჩვენ სწორედ აპელატივსა და ონიმს შორის არსებული მყიფე საზღვარი გვაინტერესებს, რომელშიც საზღვრისმიმართი მხარეები სწორედ ტექსტის მეშვეობით გაირჩევა. ქართულში სიტყვა „სახელი“ მთელი ონომასტიკონის ფარგლებში მოქმედებს, და მისგან წარმოებული და იმავე სემანტიკურ ველში მოქცეული ლექსიკაც მასზეა დაფუძნებული (შდრ. სახელწოდება, სახელდება, სახელდება, ნასახელარი, დასახელებული, სახელოვანი, დაასახელა, მოსახელე, სახელად უხმო, სახელი დაარქვა, სახელად უწოდა, სახელს ეძახის და სხვ).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სახელ- ფუძესთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები შემდეგნაირადაა განმარტებული:

„სახელი - საწოდებელი (ნ. გარდასახელა, თანამოსახელე, ისახელ-ნართაულა, მეორე სახელი (ლაყაფთან), მრავალსახელი, სახელდება, სახელდობრ, სახელმოდგამი, სახელნართაული, სახელოვანი (სახელდიდი).

სახელოვანი - სახელდიდი, სახელი

სახელდებ (სახელდობ) სახელწარმოთქმით. სახელის წარმოთქმით. [სახელი]; სახელდობრ იგივე: [სახელი]

სახელმოდგამ უკვე არიან სახელითა ვიდრემდე ზიარნი, ხოლო საზღვრითა, ანუ წარწერითა განყოფილნი, ვითარ-იგი სახელი ძაღლისე სახელ-მოდგამ არს, რამეთუ ცხად-ჰყოფს კმელი(სა)ცა და ზღვისა(ას) ძაღლსა, გარნა სხვა საზღვარი აქვს კმელისასა და სხვა – ზღვისასა. ვინადთგან სხვადასხვა არს ბუნება მათი; ვინა(დ)თგან სხვადასხვა არს ბუნება მათი; ხოლო წარწერენ სახელმოდგამთა ესრეთ: სახელმოდგამ არიან, რომელთა სახელი ზოგადი იყო(ს) (+ თ ა ნ ა მ ო ს ა ხ ე ლ ე ვიდრემე არიან, რაოდენნი სახელითა და საზღვრითა წარწერითა სახელისათა ზიარ არიან, ვითარ-იგი ცხო(ვე)ლი ცხადჰყოფს კაცსაცა და ცხენსა, რამეთუ თ(ვ)ითოეული მათი სახელსაცა და საზღვარსა(ცა) ცხო(ვე)ლისასა მიითვალავს; ხოლო სხვათავე განყოფილთა ანუ თუ ერთი ქვემდებარე აქვს და ითქმინ სხვა სახელად, ვითარ-იგი აღსავალი და შთასავალი, რამეთუ აქვს მათ ერთი ქვემდებარე, რომელ არს კიბე, ანუ არა აქვს ერთი ქვემდებარე და ითქმინ სხვად, ვითარცა არსებად და შემთხვევითი, ამათ სახელიცა სხვა აქვს და წარწერაცა სხვა, არცა აქვს ერთი ქვემდებარე; ხოლო არიან რამე საშუაღ სახელმოდგამისა და თანამოსახელეთა ზიარნიცა და განყოფილნი სახელითაცა და საზღვრითა, რომელნი ს ა ხ ე ლ ნ ა რ თ ა უ ლ ა დ იწოდებიან, ვითარ-იგი ღრამმატიკოსობისაგან ღრამმატიკოსი, რამეთუ ზიარ არიან სახელითა, ხოლო განიწვადებიან დასასრულითა სახელებისათა, რომელ არს მარცვალი უკანასკნელი, და კვალად საზღვ(ა)რითა ზიარ არიანცა და განიყოფ(ებ)იან, რამეთუ ღრამმატიკოსობად უკვე მეცნიერებისა არს, ხოლო ღრამმატიკოსი არსება, რომელსა შინა არს მეცნიერებად.”

სახელწარმოთქმითი - სხვა სახელი მომატებული, რომელსა მსოფლიონი უ კ ა ნ ს ა ყ ი ვ რ ა დ უწოდენ მეორე სახელსა. სხვა სახელ მომატებული: ისახელწარმოთქმითა, სახელმოდგამი, [რთ, სახელი, უკან, უკანსაყოფრად]

წოდება- დაძახილი. ძახება. დაძახებასავით. ეწოდა, მიუწოდა, მოწოდება, მწოდებელი, უწოდა, წოდებული

წოდებული (ლევიტ.) დაძახებული. წოდება

უწოდა (2, 8 გამოსლ.) დაუძახა. დაუზახა.”<sup>1</sup>

და თუმცა ქართული ენის სიტყვაწარმოებითი უნარის ფონზე სახელის ფუძემ მოსალოდნელზე ნაკლები ოდენობის ლექსემები შეგვიქმნა, სემანტიკური თვალსაზრისით, სიტყვა „სახელის“ მნიშვნელობა ქართულში (და არა მარტო) განუზომლად დიდია. ამას ადასტურებს ისეთი მნიშვნელოვანი იდიომური შესიტყვებები, როგორცაა: სახელის გათქმა /სახელის მოხვეჭა /სახელის მოპოვება (ავტორიტეტის მოპოვება, ცნობილ, სახელგანთქმულ ადამიანად გახდომა).

სახელის გატება /სახელის გაფუჭება/ სახელის წახდენა - შერცხვენა, (ავტორიტეტის დაკარგვა, თავის მოჭრა).

ქართულ წერილობით ტექსტებში ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც სიტყვა „სახელი“ ერთსა და იმავე ტექსტობრივ მონაკვეთში გვხვდება როგორც ონიმური შესიტყვების ნაწილი და როგორც აპელატივი (შდრ. სახელი და სახელოვანი)

მაგალითად:

„ვიწყო მითხრობად ცხორებასა ქართველთა მეფეთასა და პირველითგანთა მამათა და ნათესავთა ამათ თუსთა – ერთი იყო მამად, **სახელით** თარგამოს. ხოლო შვილთა შორის თარგამოსისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი, ძლიერნი და **სახელოვანნი**, რომელთა **სახელები** ესე არს: პირველსა ერქუა ჰაოს, მეორესა – ქართლოს, მესამესა – ბარდოს, მეოთხესა – მოვაკან, მეხუთესა – ლექან, მეექვსესა – ჰეროს, მეშვიდესა – კავკას, მერვესა – ვეროს“ (ლეონტი მროველი).

<sup>1</sup> განუმარტავია: წოდება.

„...შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა აღმოვიდა ძე სპარსთა მეფისა ვაშტაქაშაბისი, **სახელით** სპანდიატ რვალი, გოლიათი და **სახელოვანი**“ (ლეონტი მროველი).

ცხადია, ლექსემა „სახელი“ აპელატივია, მაგრამ ანთროპონიმებთან ხშირად შედის შესიტყვებაში და თანდათანობით სინტაგმის აუცილებელ (თითქმის აუცილებელ) წევრად (ზოგჯერ მხოლოდ ნაგულისხმევ წევრად) მთავრდება, ეს მუდმივი „მსახლერეული“ ფუნქცია მას განსაკუთრებულ პოზიციაში აყენებს, და ონიმთან აახლოებს. ამას გვაფიქრებინებს სიტყვა „სახელოვანი“, რომელშიც „სახელ-“ ფუძეს კონკრეტული, პოზიტიური შინაარსის გადმოცემა ეკისრება და არა ზოგადად ნომინაციურობის გამოხატვა. სიტყვა „სახელი“ ზოგჯერ ნეიტრალურად, ზოგჯერ კი ექსპრესიულ-კონოტაციურად ობიექტის ნომინაციას უზრუნველყოფს.<sup>2</sup>

„და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი **სახელსა ზედა თვისსა**, ესე არს არმაზი, და ფარნავაზს სპარსულად არმაზ **ერქუა**“ (ლეონტი მროველი).

„და ესე ყოველი აღასრულა ფარნავაზ სიბრძნითა და სიქველითა და სიმჭნითა და სიმდიდრითა, ესუა ძე და **უწოდა სახელი** | საურმაგ“ (ლეონტი მროველი).

„ამან ფარნაჯომ უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენებად, და ამან აღაშენა ციხე ზადენი, და შექმნა კერპი, **სახელით ზადენ...**“ (ლეონტი მროველი).

„ხოლო ამად რად თხრობად მოვიწივე, ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და **სახელოვანი** გამომეტყუელნი, ვიტყვ უკუე უმიროსს და არისტოვლეს ელლინთა, ხოლო იოსიპოს ებრაელსა;“ (მატიანე ქართლისა).

„იყო ვინმე კაცი სპარსი, შარვანშეთ სიძე, **სახელით** მირმირან“ (მატიანე ქართლისა).

„დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, **სახელ-იდვა** მეფე აფხაზთა“ (მატიანე ქართლისა).

„და ლიპარიტ მორჩუნა ზემოსა კერძსა დაუკლებელად, და იყო მოყუარედ მისახუარასანს დოდლუბეგ სულტანი და საბერძნეთს – ბერძენთა მეფე, და ზრდიდა ბაგრატიის ძესა, გიორგის მცირესა, **სახელითა** მეფობისადა“ (მატიანე ქართლისა).

„ამიერითგან იწყეს ნიათა ცხორებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხოვარებისათა აღმოჭვრობად, ვინაფთგან ათორმეტ წელ ამათ **თვით-სახეთა** ჭირთა განგრძობილთა ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, **სახელმოდგამან დავით** ღმრთისა მამისამან, და თვით სამეოცდამეათორმეტმან შვილმან ამის დავითისმან, დავით“ (მატიანე ქართლისა).

საინტერესოა ისეთ შემთხვევა, როდესაც „სახელ-“ ლექსემა განსაკუთრებულად კონკრეტდება და ფაქტობრივ ენაცვლება საკუთარ სახელს; ასეთია „სხვისი სახელით ლაპარაკის“ მაგალითი:

„არა გასმიესა, რამეთუ ყოველი ცრულ **მფუცავი სახელსა ღმრთისასა** მის მიერ აღიჯოცოს?“ (მატიანე ქართლისა).

„**სახელითა** მამისადა და ძისადა და სულისა წმიდისადა...“

სახელის დარქმევის, ნომინაციის ფუნქციით ქართულში გამოიყენება: **ხსენებული, წოდება (ეწოდება, უწოდეს), რქმევა/დარქმევა/ერქვა; ჰქვია:**

„რამეთუ ესე აღსართან, **კახთა მეფედ ჳსენებული**, შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა, არიშინამან და ბაპრამ და დედის ძმამან მათმან ქავთარ ბა[ჰ]რამის ძემან, და მოსცეს მეფესა“ (მატიანე ქართლისა).

„და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა **ეწოდების** არმაზი, და პირველად შექმნა მუნ ზედა სიმაგრე და იშენა მუნ ზედა სახლი, და ვიდრე აღმართებადმდე მუნ ზედა კერპი არმაზისი, **ერქუა** მთასა მას ქართლი. და მის გამო **ეწოდა** ყოველსა ქართლსა ქართლი – ხუნანითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა.“ (ლეონტი მროველი).

<sup>2</sup> მაგ.: „შუშანიკის წამებაში“ „მამისაგან სახელით - ვარდან და სიყუარულით სახელი მისი შუშანიკ...“

„შემდგომად მისავე ქართლოს აღაშენა ციხე ორბისად, რომელსა აწ **ჰქჳან** სამშუღდე, და კუალად აღაშენა მტუერისციხე, რომელსა აწ **ჰქჳან** ხუნანი” (ლეონტი მროველი).

„და დაუტევა მათ ზედა პატრიკად, სახელით აზონ, ძე იარელოსისი, ნათესავი მისი, ქუეყანით ჰრომით, რომელსა **ჰქჳან** ფროტათოს” (ლეონტი მროველი).

„და მან აღაშენა ქალაქი ბიზინტიად, რომელსა აწ **ჰქჳან** კოსტანტინეპოლდე. ხოლო პლატონ დაუტევა ალექსანდრიას” (ლეონტი მროველი).

„მამა-ჩემი ჯდა მეშვიდე, მეფე მებრძოლთა მზარავი,  
სარიდან ერქვა სახელად, მტერთა სრვად დაუფარავი;  
აწ მე მწადს, თქვენსა წინაშე მეცა ვცნა ძალი გულისა,  
სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა».

საკუთარ სახელს, როგორც ობიექტის მაკონკრეტოზებელ საშუალებას, შეიძლება მიემაგროს ახალ-ახალი მნიშვნელობები ან ექსპრესიული მახასიათებლები, რომლებიც შეიძლება სამუდამოდ დარჩეს ამ სახელის ასოციაციურსივრცეში; კონკრეტული ტექსტიდან შექმნილი თავისებურებები ამიერიდან ამ ონიმის მუდმივ თანამდევად გადაიქცევა. ასეთია, მაგალითად, ვენერა მილოსელი – სიყვარული, აპოლონი – სილამაზე, ან ავთანდილი – მეგობარი, ტარიელი – გმირი და სხვ. ცხადია, ასეთი გამაფრებული მეხსიერება ძირითადად ლიტერატურულ და ისტორიულ სახელებს ახასიათებს; თუმცა ყოველ კონკრეტულ კომუნიკაციურ გარემოშიც შეიძლება მოქმედებდეს ე.წ. ლოკალური მეხსიერების მქონე საკუთარი სახელები.

ტექსტის სივრცული სტრუქტურის უკეთ გასაგებად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად ავტორის (მთქმელის) დამოკიდებულებას, მსჯელობის/თხრობის აგებისას ამოსავალი ადგილის, დროის, ტექსტში გადმოცემული ინფორმაციისადმი; ამიტომ, ზემოთმოყვანილ სტროფში სიტყვა „სახელი“ სხვადასხვა მნიშვნელობითა და კონოტაციითაა ნახმარი, და ამ მნიშვნელობათა განსხვავება სწორედ ტექსტობრივმა გარემომ განაპირობა.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვადასხვაგვარად ხდება სხვადასხვა ფუნქციურ ტექსტში სახელდების ორგანიზაცია. პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რას დავსახავთ ამოსავალ წერტილად: სახელის ობიექტიდან ამოვლივართ, სახელის დამრქმევის თუ ამ სახელის გამომყენებელი საზოგადოების პოზიციიდან, აქ თავს იჩენს სახელდების ობიექტის მიმართ ნომინატორის, ოპერატორის ან კორელატორის პოზიციის შეფარდებითობა ამ საკუთარ სახელში ჩადებული სრული ონიმური შინაარსობრივ/კონოტაციური ამპლიტუდის ცალკეული შემადგენლისადმი, რომელიც კონკრეტულ ტექსტშია გააქტიურებული.

მთავარი, რასაც საკუთარი სახელის (ჩვენს შემთხვევაში, პირთა სახელების) სემანტიკური სივიწროვის თაობაზე აღნიშნავენ, ისაა, რომ პირთა სახელებს არ შეუძლიათ სახელდების ობიექტის ბუნების გახსნა (განსხვავებით აპელატივისაგან, რომელიც გაცილებით მეტ დამახასიათებელ ელემენტს „ამჩნევს“ საგანში). თუმცა ეს აზრი სწორი არ არის; ხშირ შემთხვევაში რომელიმე ერთ ონიმთან (მეტადრე ანთროპონიმთან) დაკავშირებული სიმბოლური მნიშვნელობა და შესაბამისი კონოტაცია ბევრად აღემატება ტექსტში მოცემულ უამრავ აპელატიურ მახასიათებელს.

მაგალითისათვის მოვიხმობთ ლადო ასათიანის ცნობილ სტრიქონებს:

„სხვა რომ არ იყოს, ჩვენ ამ ლამაზი  
ქალების ეშხი დაგვიფარავდა,  
თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს,  
ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ - მარაბდა!”

პოეტი სწორედ ”მარაბდის ომთან” და არა ტოპონიმ ”მარაბდასთან” დაკავშირებულ შინაარსსა და კონოტაციას გულისხმობს, როდესაც მთელი ისტორიული ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ერთი სიტყვით შეახსენებს მკითხველს.

ე.წ. მოტივაციური ანთროპონიმების შემთხვევაში შესაძლებელია საკუთარმა სახელმა არასწორი შთაბეჭდილება შეგვიქმნას სახელდებულ პირზე, თუკი შინაარსის მქონე სახელი არ შეესაბამება სახელდებული პირის ნაღვილ თვისებებს: მაგ. საყოველთაოდ ცნობილი მზეჭაბუკ

ორბელიანი (ერეკლე მეორის მდივანბეგი და თავისი დროის გავლენიანი პირი) საკმაოდ შეუხედავი გარეგნობისა იყო. სწორედ ეს შეუსაბამობა სახელსა და რეალობას შორის დაუდო საფუძვლად ბესიკ გაბაშვილმა თავის ლექსს, რომლითაც მზეჭაბუკ (ჭაბუა) ორბელიანის განქიქება სურდა:

„სამართალია, არ ღირს იყო მაგ სახელისა,  
რადგან გიწვრთნია სიცრუე და ქცევა მელისა,  
შენნი მიჯნურნი ველად რბიან ბროლის ყელისა,  
შენმა გახეთქამ, ეშხი მოჰკლავსთ შენის წელისა,  
რა იქნება, რომ შენის პირით მზეს უდარაო?  
ღამით ეშმაკსა შეგადრიან, დღისით ბუაო,  
მაგ შენმა სახემ სიცოცხლე ხომ დაგამწარაო,  
მე შენი ქება მომენება, არ დაეფარაო“.

ხდება ისეც, რომ სწორედ საკუთარი სახელის ასოციაციური გამოყენება ტექსტში ტვირთავს ამ ონიმებს დამატებითი კონოტაციით და სულ უფრო და უფრო აშორებს პირველწარმოში მინიჭებულ თვისებებს. როგორც ცნობილია, რჩინარდ მესამის საზოგადოება ინგლისში ქომაგობს ინგლისის ისტორიისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი და უდავოდ სასარგებლო პოლიტიკური რეფორმატორის სახელს, და აპროტესტებს, რომ შექსპირმა ზიანი მიაყენა მის ავტორიტეტს და ისტორიული პროცესის ობიექტურად შეფასების საქმეს. ასევეა მედეა, რომელიც ვერიპიდეს კალამმა შვილების მკვლელად გადააქცია და, ზოგი თვალსაზრისით, კავკასიასა და კოლხეთთან არასასურველი ასოციაცია გააჩინა...

საკუთარი სახელების ფუნქცია ტექსტში (უპ. ყოვლისა მხატვრულ ტექსტში) განუყრელად უკავშირდება ტექსტის მთლიან შინაარსსა და სტილისტიკას.<sup>3</sup> ანთროპონიმთა განზოგადების უნარს მრავალი ნაშრომი ეძღვნება. უმრავლესობაში სწორედ ტექსტისა და ონიმის ურთიერთობაზეა გამახვილებული ყურადღება. ე. შოკენმაიერის ნაშრომში განხილულია ისეთი ცნება, როგორცაა „ფორსაიტის კომპლექსი“ ჯონ გოლზუორთის „ფორსაიტების საგას“ მიხედვით.<sup>4</sup> ავტორი აღნიშნავს, რომ ფორსაიტები, გვარი განმზოგადებელი ფორმანტით (როგორცაა მრავლობითის მაწარმოებელი), არის კოლექტიური საკუთარი სახელი, ანუ „საზოგადო საკუთარი სახელი“, რომელიც რომანის დასაწყისში არის *tabula rasa*<sup>5</sup>, თანდათან კი იგი იტვირთება ინფორმაციითა და კონოტაციური გამოცდილებით; ამ ტექსტობრივ ცოდნაში კოლექტიური საკუთარ სახელში შედიან ჯოლიონები და სომსები, სხვადასხვა ხასიათი და ამ ხასიათთა გამომავლინებელი ეპიზოდები. ასე რომ, გამონათქვამები „ფორსაიტის დაბადება“, „ფორსაიტის ქორწინება“, ფორსაიტის სიკვდილი (ან „ფორსაიტები არ კვდებიან“) უკვე არ ნიშნავს ერთი კონკრეტული ადამიანის ბედისწერას, ეს საგვარეულო, კოლექტიური ბედისწერაა, რომელიც რომანის ბოლოს უკვე აღარ გულისხმობს გვარს, ეს უკვე არის ხასიათი და ხვედრი, ეს უკვე არის „ფორსაიტისი“. ამ მაგალითით საუკეთესოდ გამოჩნდა, რომ ტექსტის ანალიზმა შეიძლება აგვიხსნას ნებისმიერი საკუთარი სახელის ონომასტიკური გარდაქმნები.<sup>6</sup> ამგვარი კვლევები შეიძლება ჩავატაროთ ნებისმიერ ენაში. თუნდაც თათქარიძეობის უაღრესად მეტყველი მაგალითი გავიხსენოთ. ან აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკიდან“ მოვიხმოთ ერთი პასაჟი: „ტყუილად არ სჩიოდა ძველად სამღვდელობა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სახარებაზე უფრო გაუტკბა ქვეყანასაო; საუკუნეების განმავლობაში, დიდი და პატარა, ყველა იმას ეწაფებოდა; კაცები ტარიელ-ავთანდილსა ჰბაძავდნენ, ქალები ნესტან-თინათინობას სცდილობდნენ, მეფე და

<sup>3</sup> В. И. Постовалова. Герменевтика „Философии имени“; А. Ф. Лосева. философия языка и язык философии; <http://www.nsu.ru/education/virtual/cs013postovalova.pdf>.

<sup>4</sup> Dr. E. Shokhenmayer. Name-based text analysis. Lab. MoDyCo, Paris West University Nanterre La Défense [http://onomastics.co.uk/category/feature-of-the-month/page/8/?eo\\_month=2015-01](http://onomastics.co.uk/category/feature-of-the-month/page/8/?eo_month=2015-01).

<sup>5</sup> Tabula rasa (Latin: “scraped tablet”—i.e., „clean slate“).

<sup>6</sup> Langendonck, Willy van . Theory and typology of proper names / Willy Van Langendonck. - Berlin ; New York : Mouton de Gruyter, cop. 2007. - XVI, 378 c. ; 24 cm. - (Trends in linguistics : studies and monographs, ISSN 1861-4302; 168).



კარისკაცები – როსტეგან-სოგრატობაზე სდებდნენ თავს, მსახური შერმადინობდნენ და მოხელე-გამდელეები კი ასმათობას სჩემობდნენ. აქაც, ამ შემთხვევაში, წერეთლის ქაღს გამოუჩნდა ასმათი და გაიმართა მიწერ-მოწერა. სიყვარულის უმეცარმა ახალგაზრდა ბაქრაძემ იგრძნო პირველად უცნაური რამ, გაიმსჭვალა სულიან-ხორციანად, მიჰყვა სიყვარულის მდინარეს, გადაჰყვა საჩქეფს და შეტოპა მორევი, გუნება შეეცვალა, ჩვეულებრივ რამებს თავი დაანება და მარტო ხილვას ეძლეოდა. „შორით ბნელა, შორით კენესაო“, - ამბობდა გუნებაში და სატრფოს საიდუმლოდ ითვალისწინებდა. იმ დროს ქაღები პირობას უდებდნენ საყვარლებს: „გვიჩვენეთ საქმენი საგმირონიო“.

აკაკისთან „ვეფხისტყაოსნის“ გმირების შესახებ ცნობილია ის, რაც ჯერ კიდევ არ იცის თვით ავთანდილმა (და ამ პოემის პირველწამკითხველმა) ავთანდილისა და ასმათის პირველი შეხვედრის უამს, გავისხენოთ:

„გითხრა, თუ ცოდნა გწადიან ჩენისა შენ სახელისა:

ტარიელ არის სახელი იმა მოყმისა ხელისა;

მე ასმათ მქვიან, რომელსა წვა მაქვს ცეცხლისა ცხელისა,

სულთქმა სულთქმისა ბერისა, მაშა თუ არ ერთხელისა“.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ქართულ ლიტერატურაში ამგვარი გააპელატივებული, ან ტექსტობრივად დატვირთული საკუთარი სახელი მრავლად მოიპოვება.<sup>7</sup>

სწორედ სახელთან დაკავშირებული მეხსიერება განაპირობებს ბავშვისათვის სახელის შერჩევის პრინციპებს. ასეთ დროს რამდენიმე ფაქტორს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა:

1. სახელის „მეხსიერებას“;
2. მშობლების რელიგიურობას;
3. სოციალურ-პოლიტიკურ ტენდენციებს;
4. კულტურულ ტენდენციებს;
5. მოდას.

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ სახელებს (შეიძლება ითქვას, დროსა და სივრცეში უნივერსალურ სახელებს) წარმოადგენს: გიორგი, დავითი, ნინო, თამარი და სხვ.

ქართველთათვის საკვებით ნათელია ამ სახელთა მეხსიერებით-კონოტაციური ძალა და პოპულარულობის მიზეზები.

სახელთა შერჩევის პრინციპები (ამ პრინციპთა ჩამონათვალი შეიძლება გაიზარდოს) უნივერსალურია ყველა ერისა და ქვეყნისათვის. მაგალითად, როგორც სტატისტიკა აჩვენებს XIII-XVIII საუკუნეებში ინგლისის მოსახლეობაში მამაკაცთა სახელების 70 პროცენტი მოდიოდა ისეთ ონიმებზე, როგორცაა: ჯონი, რობერტი, რიჩარდი და უილიამი. მიუთითებენ<sup>8</sup>, პირთა სახელების გარკვეული ტიპი გააქტიურდა. რაც უკავშირდებოდა მეთექვსმეტე საუკუნეში ინგლისის ეკლესიის წიაღში მიმდინარე გარდაქმნებს, როდესაც პურიტანული ტენდენციით უპირატესობა მიენიჭა ძველი აღთქმიდან მოხმობილ სახელებს (აბრაჰამი (აბრაამი), აიზეკი (ეზეკიელი), სემუელი (სამოელი), აბიგაილი, ან დაიწყეს სახელების შექმნა (მოწყალება, სინაზე, კეთილგონიერება, ზომიერება (Charity, Grace, Prudence, Temperance); წარსულში თავისთავად

<sup>7</sup> მანანა ტაბიძე. სემანტიკური გაფართოება-დავიწროების პროცესები ქართულ საკუთარ და საზოგადო სახელებში.–ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. ტ. X. თბილისი, 1993, გვ. 234-265.

<sup>8</sup> Peter McClure. Personal names and the development of English, <http://public.oed.com/aspects-of-english> და Peter Mc Mahon, The Name Meaning, Etymology, <http://www.namesdoor.com/h/name-meaning/peter-mc-mahon>.

სახელთა რაოდენობა დიდი არ იყო (დღევანდელთან შედარებით), იმ დროში ინგლისი მხოლოდ ათასამდე სახელს იცნობდა და იყენებდა.<sup>9</sup>

თანამედროვე მხატვრული ტექსტი გაურბის ექსპრესიას, ჩვენს დროში დედამიწის ერთიანობის, გლობალური მთლიანობის განცდა (ხშირ შემთხვევაში, ილუზორული) წარსულს დამაბრკოლებელ გარემოებად წარმოადგენს; სახელი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხსოვნა და სიმბოლოა. იქნებ ამიტომაც მოხშირდა სახელთა შეკვეცა, ატიპური გაფორმება, მამის სახელის გატანა ოფიციალური დოკუმენტებიდან, სახელთა სესხება... საით მივყავართ ამგვარ ტენდენციას? უმისამართო და უსახელო ადამიანისაკენ ხომ არა?

## Manana Tabidze

### The Proper Names in Textual Space

#### Summary

The proper name, as the definitive method, can bind to the new values or expressive characteristics, which may forever remain in the name associative space. From now on this particular text of acquired distinctiveness onimim turn into a permanent attendant. Obviously, with such a strong memory are characterized historical and literature proper names. However, each particular communicative environment may apply to the local memory with their personal names.

To better understand the spatial structure of the text itself is of great importance to the author (speaker) approach to reasoning, narrative starting building the place, the time, the information conveyed in the text.

In many cases one of onim, especially related to the symbolic meaning and the connotation anthroponim much higher than the apelatiur characteristics given in text.

That's the name of the memory determines the name of the principles of selection. In such cases, several factors are significant:

1. Memory of the name;
2. Religiousness of parents;
3. Social – political tendencies;
4. Cultural tendencies;
5. Fashion.

---

<sup>9</sup> სამაგიეროდ, დღეს ნაციონალური სტატისტიკის მიხედვით ინგლისსა და უელსში 60 800 სხვადასხვა ანთროპონიმია ფიქსირებული. მაგ.: 2009 წელს ინგლისსა და უელსში 706 248 ბავშვის დაბადება დაფიქსირდა, და მათგან 2 პროცენტს ვაჟებიდან ოლივერი, ხოლო ამდენივეს გოგონებიდან ოლივია ეწოდა.

ლია კარიჭაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი

### „ლეკვი ღომისა სწორია...“ სოციალური თუ ეთიკური კონტექსტი\*

არა მხოლოდ რუსთაველოლოგთა, მკითხველთა ფართო წრის ინტერესს ყოველთვის იწვევდა „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპი - „ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ (40).<sup>1</sup> ხშირად ტაეპის შინაარსს თანამედროვე საზოგადოებრივ პრობლემებს მთარგმნენ ხოლმე და ყურადღების მიღმა რჩებათ ეპოქა ან თუნდაც კონტექსტი, რომლის გათვალისწინების გარეშე ფრაზა თავის რეალურ შინაარსს მოწვევტილია.

1. აღნიშნული ტაეპის თანამედროვე ინტერპრეტაციები ძირითადად ასეთია: მას უკავშირებენ გენდერული თანასწორობის იდეას, ან ფიქრობენ, რომ ტაეპში საუბარია მეფის შვილთა, ვაჟისა და ქალის, უფლებრივ თანასწორობაზე. როგორც ჩანს, ორივე მოსაზრების არგუმენტები მყოფვა და ავტორთა მსჯელობა თავადვე მოიცავს ალოგიზმებს. მაგალითად, თანამედროვე მედიაში შესაძლოა წაიკითხოთ ამგვარი განმარტება: „ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, – წერს შოთა რუსთაველი. ეს სიტყვები XII საუკუნეშია ნათქვამი, მაშინ სიტყვა გენდერი არ არსებობდა, მაგრამ იდეა ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა ამ სიტყვებში აშკარად ჩანს. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ავტორი ამ სიტყვებში ზოგადად ქალსა და კაცს ნამდვილად არ იგულისხმებდა, და არც მათი იმ სახით თანასწორობაზე ისაუბრებდა, რა შინაარსის თანასწორობასაც ახლა ჩვენ ვგულისხმობთ. წინა საუკუნეებში არავინ არ თვლიდა, რომ ქალსა და მამაკაცს ერთნაირი უფლებები ჰქონდა. პირიქით, მთელს მსოფლიოში გავრცელებული იყო პატრიარქატი. ამ პერიოდში ქალებს არავითარი უფლებები არ გააჩნდათ და პროტესტსაც არავინ გამოხატავდა. ამ ფაქტის ასახსნელად შეიძლება მოვიშველიოთ ის ფაქტი, რომ თავად ჩვენი რელიგია ქადაგებს იმას, რომ ქალები თავმდაბლები და მამაკაცის მორჩილნი უნდა იყვნენ. მხოლოდ მოგვიანებით გაუჩნდათ ქალებს პროტესტის გრძობა იმის შესახებ, რომ ისინიც ისევე სრულუფლებიანები არიან, როგორც მამაკაცები. დემოკრატიის საყოველთაო გავრცელებამ წამოჭრა სქესთა თანასწორობის საკითხი ანუ ე.წ. გენდერული სიმეტრია.“

ცხადია, ამ მსჯელობით ავტორი თავადვე აქარწყლებს იმას, რის დამტკიცებასაც ცდილობს, რომ „იდეა ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა ამ სიტყვებში აშკარად ჩანს“. არც რელიგიის მოხმობა იქნებოდა ამ დისკურსში გამართლებული, რადგანაც ქრისტიანული მორჩილების საკითხი, კერძოდ, ქალის მორჩილება მეუღლისადმი, არ გულისხმობს მის სოციალურ დისკრიმინაციას და მისი სწორი გაგება შესაძლებელია მხოლოდ ქორწინების ქრისტიანული საზრისის გათვალისწინებით.

ტაეპის გაგების მეორე თვალსაზრისით, „ღომი“ მეფეს ნიშნავს და თანასწორობაც მხოლოდ მეფის შვილებს ეხება: „ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. გულუბრყვილობა იქნებოდა, რუსთაველის ამ აფორიზმში თანასწორობის იდეა დაგვენახა და ტრაპაზს მოველოდით, თუ როგორ წინ იყო ქართული ცივილიზაცია, მაშინ როცა ევროპელი ველურები ტყეებში დარბოდნენ. გენდერის და თანასწორობის მოდერნული გაგება XII საუკუნეში არ არსებობდა და არც შეეძლო რომ ეარსება. აქ მხოლოდ ღომის ლეკვებზეა საუბარი და არა

\* სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ტერმინი, ცნება და პარადიგმა „ვეფხისტყაოსანში“ (FR/399/1-20/13) – ფარგლებში.

<sup>1</sup> ტექსტი დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის საიუბილეო გამოცემიდან.

კატის კნუტებზე. თანასწორნი მხოლოდ ლომის ლეკვები შეიძლება იყვნენ, რადგან რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მეფეებს სქესი არა აქვთ; ისევე როგორც არა აქვთ ეროვნება და რაიმე სახის იდენტობა. ამის დასტურად ევროპელ მეფეთა დინასტიების (ბურბონების, ჰანოვერების, ლუქსემბურგების თუ რიურიკების) წარმოშობის ადგილისა და მათ მიერვე მართული ქვეყნების შედარებაც კმარა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მეფეთა ღვთაებრივი წარმოშობა მისი რაიმე ნიშნით მიკუთვნებულობას და მათ დიფერენციაციას შეუძლებელს ხდის. მეფის მისტიკურ, ანგელოზურ სხეულს სქესი და ეროვნება არა აქვს, რამეთუ ქრისტეს ტახტზე მჯდომი, იერარქიის მწვერვალი, ყოველგვარი იერარქიულობის და სოციალური წესრიგის მიღმა იმყოფება“ (გიორგი ხარიბეგაშვილი).

მსგავსი შეხედულებაა გამოთქმული გაიოზ მამალადის ნაშრომში - „რას ნიშნავს სინამდვილეში „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, ანუ სამეფო ლეგიტიმიზმის პრინციპები ვეფხისტყაოსანში“. ავტორი წერს: „რუსთველისეული აფორიზმი, „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, დიდი ხნის მანძილზე „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მხოლოდ გენდერული, ფემინისტური თანასწორობის შეგნების გამომხატველ, მაშასადამე, ქართული იდეოლოგიისა და ტრადიციის „პროგრესულობის“, „დემოკრატიულობის“ დამამტკიცებელ საბუთად ცხადდებოდა. ვაზირები ამბობენ, რომ თინათინი მეფის შვილია, ხელმწიფედ არის დანაბადი. „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, ნიშნავს მეფის შვილი, მამრობითი თუ მდედრობითი, არის თანაბარი. რუსთველს რომ სდომოდა ეთქვა, ყველა მდედრობითი და მამრობითი ადამიანი თანაბარიაო, იტყოდა სულ სხვაგვარად და სხვა კონტექსტში ...

**რადგან ნახსენებია ლომი, უნდა ვიცოდეთ, რომ ლომი ნიშნავს მეფეს. “**

ოდნავ ქვემოთ ავტორი ეხება ისტორიულ ტრადიციას და აღნიშნავს, რომ, „თუ მეფეს მხოლოდ ასული ჰყავს, ხოლო დინასტიას ჰყავს მამრობითი წარმომადგენელი, თუნდაც გვერდითი შტოდან, მაშინ ტახტი ეკუთვნის ვაჟს, თუმცა სასურველია (ეს მხატვრულად არის გადმოცემული) გვერდითი შტოს ვაჟი დაქორწინდეს მეფის ასულზე.“ ცხადია, ეს რეალობა ეწინააღმდეგება ზემოგამოთქმულ მეფის შვილების თანაბარუფლებიანობის თვალსაზრისს. მართლაც არამხოლოდ საქართველოს, ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, ტრადიციის თანახმად, მეფის შვილთა, ქალსა და ვაჟს შორის, ტახტის მემკვიდრედ ცალსახად მოიაზრებოდა ვაჟი და კითხვა, თუ რომელი უნდა გამეფებულიყო მათ შორის, არც დადგებოდა. არც ვაჟიშვილები არიან თანაბარუფლებიანნი ამ თვალსაზრისით, ტრადიციულად მეფობა გადადის უფროს ვაჟზე. სულ ორიოდ შემოხვევა აღინიშნა საქართველოს ისტორიაში, როდესაც იყო მცდელობა მემკვიდრეობის ლეგიტიმური უფლება გადასცემოდა უმცროს ვაჟს. ამის დასტურად მოვიხმობთ დავით აღმაშენებლის ანდერძს, რომელშიც მეფე თავის მემკვიდრედ და მომავალ მეფედ აცხადებს უფროს ვაჟს, დემეტრეს: „და მივანდვენ შვილნი და დედოფალნიცა, შუამდგომელობითა ღმრთისაითა, რათა ძმად მისი გაზარდოს. და თუ ინებოს ღმერთმან და ვარჯ იყოს ცვატა, შემდგომად მისსა მეფე ყოს მამულსა ზედა“.<sup>2</sup> ამდენად, დავით აღმაშენებლის სურვილი ყოფილა დემეტრეს შემდგომ მისი უმცროსი ძმის, ცვატას, გამეფება. კიდევ ერთი შემთხვევა ტახტის მემკვიდრეობის უფლების ლეგიტიმიზაციის მცდელობისა მომდევნო ვაჟზე უკავშირდება მეფე ერეკლე მეორის სახელს, თუმცადა ეს შემთხვევები გამონაკლისებად აღიქმება ისტორიულ ტრადიციაში. როდესაც საქმე ეხება მეფის ასულს, როგორც ერთადერთ მემკვიდრეს, მისი გამეფების პრეცედენტი (ვეფხისტყაოსანთა თამარ მეფეს) იყო უჩვეულო (და პირველი) მოვლენა, რომლის განხორციელებას წინ უძღვოდა საკმაოდ რთული და მტკივნეული პროცესები (დაკავშირებული დემნა უფლისწულთან). ქალის გამეფება არაბეთის სამეფო ტახტზე არ არის მიჩნეული ჩვეულებრივ, ტრადიციულ მოვლენად და მას ახლავს თავისი გამამართლებელი გარემოებანი, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

<sup>2</sup> დავით აღმაშენებლის ანდერძი. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. 1965.

როგორც ჩანს, აღნიშნული ტაეპი ადრევე გამხდარა რუსთველოლოგთა პოლემიკის საგანი. ნიკო მარი წერდა: „ამ ლექსს ძალიან აწვალებდნენ, რათა გამოეწურათ მისგან იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ შოთა ქალთა სწორუფლებიანობის მომხრე იყო.

ნამდვილად კი აქ ლაპარაკია თანასწორობაზე მეფის ოჯახის ვიწრო წრეში, როგორი თანასწორობაც ნადირთა მეფის ოჯახშიც არის“.<sup>3</sup>

კორნელი კეკელიძე ამგვარ ინტერპრეტაციას არ ეთანხმებოდა: „ნ. მარს, ალბათ, ყურადღება არ მიუქცევია იმისათვის, რომ მეფე როსტევენი, ეს შეუდარებლად სრულქმნილის, უმშვენიერესი ქალიშვილის-თინათინის მამა სწუხს და გოდებს იმის გამო, რომ ღმერთმა მას ვაჟიშვილი არ მისცა. მაშასადამე, მეფის ოჯახისთვისაც სულ ერთი არ ყოფილა ვაჟისა და ქალის ყოლა“.<sup>4</sup>

გუკოლ ბერიძის აზრით, აფორიზმში ქალთა თანასწორობაზე ლაპარაკი არ იქნება სწორი. „როსტევენი მეფე დამწუხრებულა: ვაჟი მემკვიდრე არ ჰყავს, მხოლოდ ერთი ქალი უზის. ვეზირები ანუგეშებენ: „თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია...“ ე.ი. ქალი გყავს, მაგრამ ხელმწიფედ წინდაწინვეა დაბადებული (ლაპარაკია სამეფო უფლების ღვთისმშობლობაზე). პირში არ გეფერებით, იცის მეფობა, ეს უთქვენოდაც გვითქვამს, საზოგადოდ, მისი საქმეები მისი შუქივით განათებულია. რატომ? იმიტომ, რომ **იგი შენი, ლომის, ე.ი. მეფის შვილია** და შენი შვილი, ქალი იქნება თუ ვაჟი - სულ ერთია. მაშასადამე, ამ მეოთხე სტრიქონში, თუ ვინმეა შექებული, ისევე მეფე და არც შეიძლება მაშინ, მე-12 საუკუნეში, ამგვარი საკითხების წამოყენება“.<sup>5</sup>

ნიკო მარს „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, პოემის სპარსული ორიგინალიდან გადმოღებულად მიაჩნდა, მსგავს აფორიზმს ნიზამი განჯელთანაც ვხვდებით: „ლომი ბრძოლაში სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

კორნელი კეკელიძის ღრმა რწმენით კი ეს აფორიზმი ქართულმა ისტორიულმა სინამდვილემ წარმოშვა: „ყველაფერი ეს შესაძლებელი და მოსალოდნელი იყო იმდროინდელ საქართველოში, სადაც ქალში ხედავდნენ არა „ბოროტის საწყისს ევას“, არამედ „ბოროტის დამთრგუნველის იესოს დედას“, იმ „ღვთისმშობელს“, რომლის „წილხვდომილად“ რუსთაველის ეპოქის დასაწყისში, გამოცხადებულ იქნა საქართველო. ეს მოსალოდნელი იყო საქართველოში, რომლის „განმანათლებლად“ ნინოს სახით, ქალი იყო აღიარებული... იმ საქართველოში, სადაც მეფობდა ქალი, თამარი, სადაც აჯანყებულ დიდებულ ფეოდალებს, ისტორიკოსის ცნობით, ამშვიდებდნენ და მორჩილებაში მოიყვანდნენ ხუაშაქი ცოქალისა და კრავაი ჯაყელის მსგავსი მანდილოსნები“.

ამ აზრს ნიკო მარიც იზიარებდა: „საქართველოში - XII საუკუნის ბოლოს სათანადო პირობები იყო ლიტერატურაში ამ საინტერესო მოვლენის განვითარებისათვის,“ - წერდა იგი. აქვე შენიშნავდა, რომ „ქალის კულტი“ არ არსებობდა აღმოსავლურ მუსლიმანურ ლიტერატურაში“.

სარგის კაკაბაძემ „ქალის კულტი“, როგორც ქართული ეროვნული მოვლენა, „სხვა საბუთებთან ერთად“ პოემის სიუჟეტის ორიგინალობის თეორიას დაუკავშირა.

„ღირსება დედათა პატივისა“ განსაკუთრებით ხაზგასმულია ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებაში „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოდსა და კათოლიკე ეკლესიისა“, რომელშიც ავტორი სვამს კითხვას: „რადსათვის უკუე დედაკაცი აჩინა და წარმოავლინა ღმერთმან ჩუენდა მიმართ“ და თავადვე ასახელებს მიზეზებს: საქართველო „ნაწილი იყო დედისა ღმრთისა“ და ამიტომაც ღვთისმშობელმა დედაკაცი წარმოავლინა

<sup>3</sup> **Н. Я. Марр.** Грузинская поэма „Витязь в борсовой шкуре“ Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема. ИАН, 1917.

<sup>4</sup> **კ. კეკელიძე.** ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი, 1981.

<sup>5</sup> **გ. ბერიძე.** ვეფხისტყაოსნის გარშემო. თბილისი, 1936.

საქართველოში; ღვთის განგებულებით, წარმართი ქართველები სუსტმა დედაკაცმა მოაქცია; უფალი თვით არჩევს დედაკაცს, განსაკუთრებულ პატივს სდებს მას, თვით მაცხოვრის აღდგომა ხომ პირველად ეუწეა დედაკაცს და მის მიერ სხვებს ეხარა.

ამდენად, თამარის ეპოქის საქართველოში როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური თვალსაზრისით, არსებობს მყარი საფუძველი „ქალის კულტისთვის“.

დავუბრუნდეთ აფორიზმს „ლეკვი ღომისა სწორია...“, რომლის მართებულად გაგებისათვის აუცილებელია რამდენიმე საკითხის შესწავლა პოემის ფაქტობრივი მონაცემების გათვალისწინებით. მაგალითად, იდენტურია თუ არა ცნებები „ქალი“ და „ღიაცი“? ჩანს თუ არა პოემის სიუჟეტის მიხედვით ქალისა და კაცის თანასწორობა რაიმე ნიშნით (სოციალური, მორალური ...)? რას ნიშნავს „ღომი“ მოცემულ ტაეპში და ზოგადად პოემაში რა მხატვრული ფუნქცია აქვს მას? როგორია კონტექსტი საკვლევი ტაეპისა?

### **ქალი და ღიაცი:**

პოემაში გამოიჯნულია ეს ცნებები: ღიაცად არც ერთხელ არ იხსენიება არც თინათინი, არც ნესტან-დარეჯანი, არც ასმათი. „ღიაცი“ უკავშირდება ფატმანის ეპიზოდს ან უშუალოდ მიემართება მას. ის ძირითადად თითქოს სქესს, ქალურ სისუსტეს, ემოციურობას უსვამს ხაზს. ორიოდ შემთხვევაა, როდესაც ნესტანი თავს ადარებს ღიაცს იმედგაცრუების ან თავმდაბლობის გამო:

„ხამს ღიაცი, ღიაცურად, საქმე დედლად,  
დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ ვერ ვიქნები შუა კედლად“ (542).

„ღიაცურად რად მოვღორდი“ (524,4).

განრისხებული დავარი მოიხსენიებს ნესტანს ღიაცად, ცხადია, მისი დამცირების მიზნით.

ფატმანისა და ავთანდილის ეპიზოდს უსწრებს სტროფი, რომელშიც ღიაცის მუხანათურ ბუნებაზეა საუბარი (უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი შინაარსის გამო სპეციალისტთა ნაწილი ამ სტროფს ჩანართად მიიჩნევს, თუმცაღა გამოცემათა უმრავლესობაში ის შესულია):

„სჯობს სიშორე ღიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის,  
გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის,  
მართ ანაზად გიღალატებს, გაჰკვეთს რაცა დაესობის,  
მით ღიაცსა სამალავი არასადა არ ეთხრობის“ (1092).

ფატმანი საკუთარ საქციელს ასე განსაზღვრავს:  
„ესე ამბავი მას თანა ვოქვი ღიაცურად, ხელურად“ (1221).

ავთანდილი ფატმანის შესახებ:

„ისი ღიაცი აქა ზის მნახავი კაცთა მრავალთა,  
მოსადგურე და მოყვარე მგზავრთა ყოველგნით მაგალთა“ (1105)

„თქვა, ღიაცსა ვინცა უყვარს გაექსვის და მისცემს გულსა,  
აუგი და მოყენება არად შესწონს ყოლა კრულსა,  
რაცა იცის გაუცხადებს, ხვაშიადსა უთხრობს სრულსა,  
მიჯობს მივეყვ, განლა სამე ვსცნობ საქმესა დაფარულსა“ (1106).

ჭაშნაგირი მიმართავს ფატმანს:

„არ გიშლი, ღიაცო, ფერთა მი-და-მო კრომასა,  
გამითენდების, განანებ მაგა მოყმისა ყოლასა.“

ქაჯთა ხელმწიფე დულარდუხტი მოიხსენიება ღიაცად, თუმცაღა იქვე მინიშნებულია მისი მტკიცე ხასიათი:

„დულარდუხტ არის ღიაცი, მაგრა კლდე, ვითა ღოდია...“ (1255).

ავთანდილის „ანდერძშიც“ ჩანს ღიაცი და თან ძალიან საყურადღებო კონტექსტში:

„რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭკელსა,  
შემდრკალსა. შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭკველსა,  
კაცი ჯაბანი რითა სჯობს ღიაცსა ქსლისა მბეჭკველსა,  
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭკელსა“ (799).

ტაეპი „კაცი ჯაბანი რითა სჯობს...“ თავის თავში მოიაზრებს პირუკუ თეზასაც: თუ კაცი ჯაბანი არა არის, ის თავისი მნიშვნელოვნებით აღმატება ქსლის მბეჭველ ქალს, ეს, ცხადია, გამორიცხავს, ქალისა და კაცის ზოგადი თანასწორობის იდეას.

### ლომი

სამეფო ნიშანი, ძლიერების სიმბოლო. ქრისტიანული საღვთისმეტყველო სიმბოლიკით ლომს ბინარული სემანტიკა აქვს: პირველი გაგებით, ის ქრისტეს სახეს უკავშირდება („გაიმარჯვა ლომმა იუდას ტომიდან“. ლომის სიმბოლურ-აღვებურიული მიმართება მაცხოვართან წარმოჩენილია ბასილი დიდის ნაშრომში „სახისა სიტყვაი“). მეორე მნიშვნელობით ლომი დემონურ ძალას, უხილავ მტერს გულისხმობს, როგორც ეს დასტურდება ფსალმუნშიც: „აღიღეს ჩემ ზედა პირი მათი ვითარცა ლომმან მტაცებელმან და მყვირალმან“ (3. 21. 12); „მიხსენ მე პირისაგან ლომისა და რქათაგან მარტორქისაგან“ (3. 21. 20).

„ვეფხისტყაოსანში“ „ლომი“ ერთ-ერთი აქტიური სახელია. არა პირადაპირი, არამედ მხატვრული მნიშვნელობით, ის გამოყენებულია 56-ჯერ სხვადასხვა მხატვრულ სახეში: შედარება, მეტაფორა, ეპითეტი. პროლოგში იგი უკვე ჩანს. საგულისხმოა, რომ 1903 წლის გამოცემამდე, რომელიც განახორციელა დავით კარიჭაშვილმა, მას განმარტავდნენ, როგორც მაცხოვრის სიმბოლოს. 1903 წლის გამოცემის კომენტარებში ეს სახე დაუკავშირდა დავით სოსლანს და მტკიცედ დამკვიდრდა რუსთველოლოგიაში. ძალზე მნიშვნელოვანია დადგენა იმისა, თუ ვის უწოდებს რუსთველი ლომს, რადგანაც ტაეპის „ლეკვი ლომისა სწორია...“ გასაღები სწორედ ლომის მხატვრულ სახეშია.

ვინ არის ლომი? მხოლოდ მეფე ან სამეფო ოჯახის წევრი? კონკრეტული სოციალური ფენის აღმნიშვნელია თუ ზოგადი ეთიკურ-ესთეტიკური სახე? პოემის შინაარსი ცხადყოფს, რომ ლომმა შეიძლება აღნიშნოს მეფეც (მაგალითად, როსტევეანი, ფრიდონი, ტარიელი) და არამეფეც, მაგალითად ავთანდილი, როდესაც ის მხოლოდ და მხოლოდ სპასპეტია. როგორც კი იგი გამოჩნდება, პოემის პირველსავე თავში, შედარებულია ლომთან:

„თავსა ზის პირმზე ავთანდილ, მჭერეტთაგან მოსანდომია,  
სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია“.

ასევე მას მიემართება ტაეპები:

„მუნ დადგა ლომი ავთანდილ“,

„რა ფატმანისსა შევიდა ლომი...“

„წავიდა ლომი მის მზისა მძებნელად“,

„ავთანდილისთვის ლომისა ძღვენი ფრიდონის ქველისა“.

როდესაც ტარიელი პირველად ჩნდება მკითხველის თვალსაწიერზე და იგი „უცხო მოყმეა“, უკვე ლომს უწოდებს რუსთველი: „შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა“.

არც ერთხელ ხატაეთის მეფე რამაზს არ უკავშირდება ლომის სახე, თუნდაც მისივე მსახურთა ან მოციქულთა მიერ. იგი ინდოეთის მოღალატე ქვეშევრდომია, თუმცა იბრძვის თავისი ქვეყნის სუვერენიტეტისთვის, მაგრამ ბრძოლის მისეული მეთოდები მუხანათური, რაინდისთვის შეუფერებელია.

ლომი, როგორც პერსონაჟის აღმნიშვნელი მხატვრული სახე, გამოყენებულია „ამირანდარეჯანიანშიც“ და საყურადღებოა, რომ ის მიემართება, როგორც პატრონს, ისე ყმას. „უბრძანა ყმასა მისსა, ინდო ჭაბუკსა მას ლომსა, და უთხრა ყოველი.“ „იგი ლომნი – აღი დილაში და ინდო ჭაბუკი ...“ - ორივე ყმაა. ბადრი იამინისძე, ინდო ჭაბუკის პატრონი, „ლომთა ლომად“ იწოდება. გამოდის, რომ ორივე თხზულების მიხედვით, ლომი არ აღნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ მეფეს ან სამეფო ოჯახის წევრს, ის შეიძლება მიემართებოდეს რაინდსაც, პერსონაჟს, რომელიც არის აღმატებული, ძლიერი, მამაცი და ღირსეული.

საყურადღებოა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ვაზირები ლომის ცნებას იყენებენ ქალთან მიმართებაში. ესე იგი, სქესობრივი კუთვნილება აქ გადამწყვეტი არ არის, რადაც სხვა

ფაქტორის ხაზგასმა ხდება. დავაკვირდეთ კონტექსტს, როდის წარმოთქვამენ ისინი „ლეკვი ლომისა სწორია...“

ამ სიტყვებს წინ უსწრებს ტაეპები:

„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღვთისა დანაბადია;

არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;

შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია ...“

ამ სტროფში ვაზირები თინათინს ახასიათებენ. „თუცა ქალია“ კი მიანიშნებს, რომ მისი გამეფება ჩვეულებრივი ამბავი სულაც არა არის. ტაეპში სიტყვისიტყვით ნათქვამია: მიუხედავად იმისა, რომ ქალია, ხელმწიფედ დაბადა ღმერთმა. შესაძლოა ამ ტაეპის ორგვარი ვაგება: 1. ხელმწიფედ დაბადა, ვითარცა შენი ერთადერთი მემკვიდრე. თუ მეფის შვილობა, მიუხედავად იმისა, მემკვიდრე ქალია თუ ვაჟი, მომავალ მეფობას უპირობოდ გულისხმობს, რაღა საჭირო იყო საგანგებო თათბირი, ან აღნიშვნა იმისა, რომ „თუცა ქალია“, ან დარდი მეფისა: „ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, - ვარ საწუთროსა თმობითა.“

ამ ტაეპის მეორე და, ჩვენი აზრით, უფრო საგულისხმო შინაარსია: თინათინი თავისი პიროვნებით, მონოლითური, ძლიერი ხასიათით, სიბრძნით, სამართლიანობით თუ სხვა, მეფეა, მეფურია, ხელმწიფედ დაბადა ღმერთმა. მართლაც, ვაზირები სწორედ მის ღირსებებსა და მეფობისთვის მზაობას უვამენ ხაზს:

„არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს, კვლა დია,

შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.“

ამას მოსდევს ერთგვარი დასკვნითი ხასიათის მეტაფორული აფორიზმი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. **თუ ლომი აღმატებულ, გამორჩეულ, მეფური თვისებების ადამიანს გულისხმობს, მაშინ ლეკვი, როგორც მომავალი ლომი, ეწოდება მემკვიდრეს, თუ ის ამ ღირსებათა მატარებელია, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ქალია თუ ვაჟი.** აქ აქცენტირებულია პიროვნული რანგი (ან არსებითი, თვისებრივი მსგავსება მშობელთან) და არა სქესი. ამ მეტაფორას ერთგვარად ესადაგება რუსთაველის მიერ სხვა ეპიზოდში ნათქვამი: „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“ (1323,4) გამოდის, რომ ვაზირები მეფეს ეუბნებიან: თინათინი შენი არა მხოლოდ ბიოლოგიური მემკვიდრეა, არამედ ღირსებათა მემკვიდრეც არის. შენი მსგავსია. სწორედ ამ ნიშნით თანაბარია ის მამაკაცთან.

სულხან-საბა ორბელიანის პერსონაჟი ჯუმბერი („სიბრძნე სიცრუისა“) ამბობს: „კარგის ნერგის ხილი ვარ“. „კარგი ნერგი“ აქ იმავე მხატვრული ფუნქციითაა მოხმობილი, რომლითაც „ლომი“ რუსთაველის ტაეპში. „ლეკვი ლომისა სწორია ...“ შინაარსობრივად ახლოა ქართული ანდაზასთან: „ქორი ქორსა სჩეკს და ძერა ძერუკასაო“ (ესე იგი, ქორის შვილი ქორია, ამავე ლოგიკით, ლომის ლეკვი ლომია, მიუხედავად იმისა, ძუა თუ ხვადი).

საინტერესოა, როგორ, რა ანალოგიით განმარტა ილია ჭავჭავაძემ ეს ტაეპი:

„ლეკვი ლომის სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო, უთქვამს რუსთაველს. ლომი ლომია, ერთია, - ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო, ამბობს დღესაც გლეხკაცი. მართალია, სწორია, ამას ჰმოწმობს ჩვენი ქართული ენაც და ენა ხომ ერთობ იმისთანა რამ არის, რომ მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც კაცი ჩანძახებს. ქართველი დედასაც კაცად ჰხადის და ამიტომ „დედა-კაცს“ ეძახის, როგორც მამას - „მამა-კაცს“. განსხვავება მარტო იმაშია, რომ თქვენ ერთი სქესისანი ხართ და ჩვენ მეორისანი, თქვენ დედობითა ხართ კაცნი და ჩვენ მამობით. არსება-კი ერთია, ორნივ კაცნი ვართ, ორნივ ღვთის სახისა და მსგავსებისანი. ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას. არა გვგონია რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებულიყო“ („პატარა საუბარი“, „ივერია“, 1898).

როგორც ვხედავთ, ილია „გეფხისტყაოსნის“ ტაეპის შინაარსს უკავშირებს ენაში შემონახული ღრმა საზრისის ცნებათა - მამაკაცისა და დედაკაცის -ურთიერთმიმართებას. ორივე კაცია, დედაკაციც და მამაკაციც, ამაში ჩანს მათი არსობრივი ერთობა - ხატობა ღვთისა.



ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მეტი საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ტაეპი - „ლეკვი ღომის სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ - მოიაზრებოდეს არა გენდერული თანასწორობის იდეის შემცველად, ან მეფის შვილების თანაბარუფლებიანობის ხაზგასმად, არამედ ეთიკური კონტექსტის მქონე მეტაფორად, რომელშიც განზოგადებულია იდეა: ღომის (გამორჩეული, ღირსეული პიროვნების) ლეკვი (ღირსებათა მემკვიდრე) ღომია, მიუხედავად იმისა, ძუ (ქალი) არის თუ ხვადი (ვაჟი).

## **Lia Karichashvili**

### **Social and Ethical Context of: „The Lion’s Whelp is a Lion...“**

#### Summary

Work offers analysis of the stance of the „Knight in the Panther’s Skin“: „The lion’s whelp is a lion, be it male or female“. It studies interpretations of the stance and states the view that according to the textual data the lion is not only king’s metaphor and it implies also supreme, distinguished person with king’s qualities, whelp, as a future lion is bearer of these qualities. In this case it does not matter whether it is male or female. I.e. metaphorically the viziers tell the King: Tinatin is not your biological successor, she is the successor of your qualities and by this she is equal to male.

Thus, it is reasonably regarded that the stance: „The lion’s whelp is a lion, be it male or female“ – should be regarded not as the one containing idea of gender equality or emphasizing equality of the King’s children but the metaphor with the ethical context generalizing the idea: lion’s (superior, kingly personality) whelp (child – similar to him, successor of his qualities) is a lion, whether male or female.

## პეტრე (პაატა) კვარაცხელია, დეკანოზი

### მისტიციზმი და ტერენტი გრანელი

„იშვიათია პოეტი, ისევე ეცხოვროს პოეზიით, როგორც ტერენტი გრანელი ცხოვრობდა, ამსიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. პოეზიას შეეძლო ყველაფერი შეეცვალა მისთვის, არამარტო მეორე ადამიანთან ურთიერთობა, არამედ პურიც, წყალიც, ჰაერიც ის პოეზიით სუნთქავდა და მისი ფილტვები, მთელი მისი არსება განუწყვეტლივ იჟლინებოდა ნისლიანი, დამეული სადგურების სუნით, სივრცეში გარინდული სამრეკლოების დუმილით, ყვითელი, გამხმარი ყვავილისა და ფოთლის მტვრით, შორეული წვიმებისა და გამოღებული სარკმლიდან მოულოდნელად გადმოღვრილი როიალის ხმებით ის თუ ფიქრობდა, ლექსზე ფიქრობდა და სიცოცხლეზე, სიკვდილზე მეტად უნდოდა კარგი ლექსის დაწერა. მისთვის ყველაფერი ჯერ ლექსის სახეს იღებდა და მხოლოდ მერე ხდებოდა გასაგები, მისაღები ან უარსაყოფი ის თავიდანვე განწირული იყო დასაღუპად, რადგან არ შეეძლო საკუთარ არსებაში პოეტი გამოეცალკეებინა ჩვეულებრივი ადამიანისგან, რომელსაც თბილი ოთახი, ცხელი კერძი, ქალის ხელი, ნათესავი და მეგობარი სჭირდება – წარმოდგენილი კი არა, ნამდვილი!“ წერდა ოთარ ჭილაძე. როდესაც ტერენტი გრანელზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, მისი დატანჯული სული, მისი მისტიკური პოეზია, მისი ღვთაებრივი, ზეციური მზერა და მისი იმქვეყნიური, ბოდღერისათვისდამახასიათებელი მისწრაფება გვაგონდება.

ტერენტი გრანელის პოეზია არის უმანკო, სულივით ამაღლებული, ღვთაებრივი და მარადიული მელოდია, ის ამ ბუნებით ღამაზ სამყაროში უკვდავი სულის და ღვთის ძიებაშია<sup>1</sup>.

ყოველთვის, როცა ცხოვრებისეული პრობლემები შემოგაწევა, როდესაც გეჩვენება, რომ მიჯაჭვული ხარ ამ ტანჯულ მიწას და არანაირი გამოსავალი თითქოს არ ჩანს, უცებ პოულობ გამოსავალს და ის ყოველთვის რაღაც ამაღლებულშია, იმ ზეციურ სხივში, რომელსაც ტერენტი გრანელი „მესამე გზას“ უწოდებს: „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“.

ცნობილი რუსი პოეტი-ფილოსოფოსი, ვლადიმერ სოლოვიოვი ქადაგებდა, რომ მხოლოდ სიღამაზე გადაარჩენდა სამყაროს. დღეს, როდესაც სამყარო ნგრევისაკენ და ტერორისკენ მისწრაფვის, სოლოვიოვის ფილოსოფიის „მარადიული სოფია, ღვთის ღოგოსი და კაცობრიობის სიღამაზე“ ნადგურდება, ბედნიერებაა შეეხო ტერენტი გრანელის პოეზიას, მის უმანკო სულიერებას, მის მარადისობისაკენ სწრაფვას, მის გონებრივ სიდიადეს, რომელიც ადამიანს აკეთილშობილებს და მაღალიდეალებისაკენ უბიძგებს.

მისი პოეზია არ არის ეზოთერული ან მხოლოდ არჩეული ესთეტებისთვის, როგორც მაღარმეს პოეზია, მხოლოდ სულიერებით სავსე ადამიანი თუ ჩასწვდება და შეიყვარებს მის ესთეტიკას.

„ძამიკო ტერენტი!“, – ეტყოდა ჩვენთვის ყოველად საყვარელი გალაკტიონი. მან ყველაზე უკეთ იცოდა ტერენტი გრანელის პოეზიის მისტერია, მისი ლექსის ვერსიფიკაცია, განუმეორებელი რითმის მელოდია. გალაკტიონი მხოლოდ ტერენტის თვლიდა ჭეშმარიტ მოწინააღმდეგედ პოეზიაში. ტერენტი გრანელის პოეზია აკრძალული იყო ლიტერატურულ, საბჭოურ საქართველოში და მას არანაირ გასაქანს არ აძლევდნენ ელემენტარული, ადამიანური

<sup>1</sup> ზაზა აბზიანიძე. გალაკტიონ ტაბიძე. თბილისი, 1998, გვ. 23.

არსებობისთვის. უფრო მეტიც, ის გვევლინება, როგორც ფრანგი მეცნიერები იტყობენ, „დაწყველილ“, დევნილ პოეტად<sup>2</sup>.

საფრანგეთში საბჭოური „პოეტური პირველობა“ არ არსებობს, სიტყვას „პოეტი“ არ უხდება ზედსართავი სახელი „დიდი“, პოეტი ხარ ან არა ხარ, მხოლოდ დრო არის მისი საბოლოო გოლგოთა. ამაში ხშირად დავრწმუნდებით, როდესაც ძველ კრებულებში უცხო, არაფრისმთქმელ სახელებს და პროპაგანდისტულ ლექსებს წავიკითხავთ. კონსტანტინე გამსახურდია ასე აფასებდა მის შემოქმედებას - „ჩვენი თანამედროვეობა მისტიკის სანიშნოს უყურებს. ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა პოეტის საოცარი გამბედაობით გამოცემულმა წიგნმა, რომელიც უფრო საოცარ წარწერას ატარებს: „ტ. გრანელი მოდის სისხლიანი საფლავიდან“. ჩვენ დროს ესაჭიროება ქრისტეს სისხლიანი სახის დემონური შემოხედვა. ევროპულის მასშტაბით მოხდა დიდი გარდატეხა, რადიკალიზმიდან მარჯვნივ-ფილოსოფიაში მისტიკა იმარჯვებს. პოეზიასაც მისტიკური ქროლვა ეუფლება. ახალგაზრდა ტერენტი გრანელი სიმპათიურია ამ მხრივ. წიგნში მრავალი გულწრფელი ცრემლია, დიდი მჭმუნვარება, დიდი სევდა, გაუხარებელ ნაღველში გამოზრდილი თაობისა. სტრიქონები აქა-იქ სევდიანია, როგორც ცოდვილი ქერუბიმების თეთრი ფრთების შრიალი.

ლექსების ტექნიკაშიც დიდი წინსვლა ეტყობა პოეტს. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ტერენტი გრანელი ალაგ-ალაგ დაშინებას გვიპირებს თავის „მკვდრების“ ფანტომებით. ჩვენ ისეთი საშინელი ვაკახანაღიის განმცდელი თაობის წარმომადგენლები ვართ, რომ სისხლიანი სურათებით ვერავინ დაგვაშინებს. დღეს რეალობა უფრო მეტ ტრაგიკულ მოტივებს იძლევა. უურჩევთ ახალგაზრდა პოეტს, მოიზომოს ფერადები; ფერადების ნაძალადევი დამუქება მხოლოდ იმას მოწმობს ყოველთვის, რომ ავტორს ალაგ-ალაგ ფერადების ჰარმონია აკლია.

ეს წიგნი უახლეს პოეზიაში ძლიერ თამამი სიტყვაა, მას ჩვენ თავის დროზე, ჯეროვან ყურადღებას მივაქცევთ. საოცარი მატერიალური სიღარიბე ეტყობა წიგნს, მაგრამ ეს აორკეცებს იმ ცრემლიან მჭმუნვარებას, რომელიც ასე ძლიერად ჰქრის ამ მინანქრის სტრიქონებიდან”.

ტერენტი გრანელი იყო დამოუკიდებელი პიროვნება და მას გააჩნდა პირადად მისთვის დამახასიათებელი საკუთარი სამყარო.

ამავე დროს, მისი ადრეული შემოქმედება მიეკუთვნება ლირიკულ პოეზიას, რომელიც მხოლოდ რომანტიკოსებს ახასიათებთ. ის უმდერის ბუნების სილამაზეს მძაფრი ბუკოლიური (სოფლის სილამაზის ტრფიალი) ან პასტორალური მისწრაფებით, რომელიც ასე მძაფრად იპყრობს ადამიანის სულს და გონებას.

„ადარ ეტყობა სოფელს ცვლილება და წაღენჯისა ისევ ისეა“... ამავე დროს, ის არის თანამედროვე პოეტი, რომელიც „დაწყველილი“, დევნილი პოეტების ბედს მიჰყვება, მეღანქოლიური სიმარტოვიდან ვერარ დე ნერვალის „მორბილულ“ (არაჯანსაღ) წარმოსახვამდე, ბედის ძიებაშია დამის წუხილის ნაპრაღებზე. მისი პოეზია არის სახეებით დატვირთული, როგორც ბოდლერი იტყოდა, „სიმბოლოების ტყე“. ის არ მიეკუთვნებოდა „ცისფერყანწელების“ სიმბოლისტურ სკოლას, მაგრამ მასზე დიდი გავლენა იქონია სიმბოლიზმის იდეალისტურმა იდეოლოგიამ. და, უფრო მეტიც, სიმბოლიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში.

ტერენტის ორიგინალობა მძაფრ მისტიკურ სულისკვეთებაშია. მის პოეზიას ბოლომდე ის პიროვნება ჩაწვდება, რომელსაც ესმის იდეალისტური ფილოსოფია, განსაკუთრებით ბერძენი ფილოსოფოსის – პლატონის „გამოქცაბულის“ თეორია, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ ადამიანი მიჯაჭვულია იმ მიწვევ გამოქცეულში და ის ვერ ამჩნევს სამყაროს სილამაზეს, ბუნებას და ღვთიურ ძალას, რომელიც დედამიწაზე სუფევს. იგი გვეუბნება ჩაბნელებული გამოქცაბულის შესახებ მას შემდეგ რაც ისინი, ვინც გამოქცაბულის გარეთ ჭეშმარიტი მზის სინათლე და ნამდვილად არსებული ნივთები დაინახეს, დაბრუნდებიან გამოქცაბულში, მათ აღარ შესწევთ უნარი მზერისა, მათი თვალები გადაეწვივნენ სიბნელეში ყოფნას მსგავსად იმ ადამიანისა,

<sup>2</sup> ჩვენი მწერლობა, 13.01. .2012, 1 (157).

რომელიც ვედარაფერს ხედავს ხოლმე ნათელი შუქის შეხედვის შემდეგ და ვინაიდან ისინი, აქ დაბლა სწორად ვედარ შეიმეცნებენ კედელზე გამოსახულ ჩრდილების სილუეტებს, მათ სხვადასხვა სახის სისულელები ემართებათ, რისთვისაც ისინი აბუნად ჰყავთ ავლებული იქ მყოფ დანარჩენებს, რომლებიც არასოდეს გამოსულან იმ გამოქვაბულიდან და იმ ხსენებული ჩრდილოვანი გამოსახულებების გარდა არაფერი უნახავთ. ტერენტი გრანელის პიროვნება, როგორც მისიპ ოეზია არაერთგვაროვანია. მას ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ფსიქიკურად იყო შერყეული და ამიტომ იძულებით განათავსეს სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც გარდა ლექსებისა, მან არანაკლებ ღირებული ნახატები დაგვიტოვა. ან ფერებით გადმოსცა ის მდგომარეობა, რომელიც თან ახლდა სურამში ყოფნის დროს. „მტკიოდა თუმც, ვის დაეუბახებდი, უფრო სითეთრე ელის შენს ხელებს, შუადამისას გარეთ გახვედი და ავადმყოფმა მთვარეს შეხედე“... შეიძლება ითქვას, რომ ყველა გენიოსში არის სიგიჟის მარცვალი... „ღმერთო გამაგიჟე და შენვე დამიცავ“... გენიასა და სიგიჟის შორის არსებული ზღვარი, უფრო მეტიც, გენიის გადასვლა სიგიჟეში არავის გადმოუცია ისე მკაფიოდ და დაწვრილებით, როგორც ეს გოეთემ წარმოგვიდგინა „ტორკვატო ტასოში“, რადგან მან მიზნად დაისახა ჩასწვლომოდა გენიოსს, როგორც ასეთს, ტრაგიკული მხრიდან და გენიოსის ტანჯვა უფრო მეტიც, მისი მოწამეობა თვალნათელი გაეხადა. გენია ვლინდება ხელოვნების ნაწარმოებში, რომლებიც ადგება და არაფრთოვანებს ადამიანებს არა რაღაც დროის მონაკვეთში, არამედ ყველა დროში, რომლებიც სამარადჟამო, წარუხოცველ ღირებულებას წარმოადგენენ საერთოდ ადამიანობისათვის, ანუ სხვა ქმნილებებით ვერ შეიცვლებიან და ვერ განიდევნებიან, არამედ რჩებიან, როგორც ერთადერთი, განუმეორებელი, შეუდარებელი და აქედან გამომდინარე, მარად ახალგაზრდა ნაწარმოებები. მარტოოდენ ასეთი ნაწარმოები წარმოადგენს გენიის უცილობელ ნიშანს, რადგანაც მხოლოდ და მხოლოდ ის არის უფრო მეტი, ვიდრე ადამიანის ქმნილება და, აქედან გამომდინარე მიეწერება სულს. „ჩემი გვარი გრანელი პოეზიას დარჩება“ პოეტის ეს წინათგრძნობა ჭეშმარიტად ახდა. მისტიკურ ლაბორინთებში მოხეტიალე პოეტი „გრძნობს მსოფლიოს და უსაზღვროს ეტრფის“ ეს კი საკუთარი ტავის შეცნობით იწყება. წინასწარმეტყველება საკუთარ გარდაცვალებაზე უძიროდ ღურჯი თვალებით დანახული უძილო სიზმარია.

თუ არ გვესმის გერმანელი ფილოსოფოსების მსოფლმხედველობა, ტერენტის მისტიკურ პოეზიას ვერ ჩავწვდებით. შოპენჰაუერის მეტაფიზიკური ინტუიცია და „პესიმისტური“ ფილოსოფია მშვენივრად ხსნის ტერენტის სევდიან გულისტკივილს და მისწრაფებას.

ტერენტი გრანელი ბავშვობიდანვე იყო შეპყრობილი ზეცის სხივით, ბუნების უსაზღვრო პეიზაჟებით, შემოდგომის ქარით, მინდვრის კოლორიტული ყვავილებით. 6 წლის იყო, როდესაც დედა გარდაეცვალა, საშინელი ღამე გაიტაცებს საყვარელ არსებას. ტერენტი თავის დედინაცვალს მიუძღვნის სიმბოლოებით დატვირთულ მისტერიულ სონეტს: „მამის საფლავთან აგატირებს ტკბილი წარსული კეთროვანებას რელიგია შენში ასრულებს მწუხრის წირვებში აინთება, როგორც კანდელი და კვლავ გელათის გესიზმრება შენ მონასტერი“ („სონეტი დედინაცვალს“). ბავშვობიდანვე შეუყვარდება წიგნი და კითხვა, კილომეტრებს გაივლიდა, რომ დადიანების ბიბლიოთეკაში გაეცნო სამყარო.<sup>3</sup>

ახალგაზრდობაში გამოიკვეთა მისი შემოქმედებითი პრინციპები და პოეტური ლაიტმოტივი. ეს არის თანამედროვე ქალაქის სპირალური საბჭოური ელემენტებით, კონფორტაცია გარემოსთან, რომელსაც ვერ ეგუება მისი სულიერება.

ღამის ნაპრალებმა დიდი კვალი დატოვა ტერენტის პოეზიაში. ახალგაზრდობიდან იგი აფექტური გრძნობით იქნება შეპყრობილი და მისტერია სამუდამოდ დაიკავებს ადგილს მის ფსიქიკაში. ღამის თემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის შემოქმედებაში. ერთი მხრივ, ის არის წყვილი და სიბნელე, ფანტომების და ბოროტების ადგილსამყოფელი, რომელიც პოეტში ბადებს შემზარავ შიშს, (პესიმისტური განწყობილებით იმდროინდელ საზოგადოებაში), მეორე მხრივ, შემოქმედების ინსპირაციას ახდენს ლექსის შესაქმნელად. და აქ, მაღარმეს „იდუმეს“

<sup>3</sup> გ. ცქიტიშვილი. ვიცი დრო მოვა ჩემი გაგების. თბილისი, 1990, გვ. 27.

საიდუმლოს შევეუერთდებით. მის პოეზიაში ქალის თემას მთავარი როლი აკისრია. ტერენტის აქაც განსხვავებული ხედვა აქვს. როგორც ნამდვილი შემოქმედი, საყვარელ ქალწულს იდეალიზებულ, უმანკო არსებად ხატავს. და ასეთ არსებას ის სამეულად: დედის, მუხის და ღვთისმშობლის სახით წარმოადგენს.

სიკვდილის თემა მთავარი მოტივია ტერენტის პოეზიისა. მთელი თავისი ცხოვრება სიკვდილის მანიით იყო შეპყრობილი, მას ხშირად ხედავდნენ სამგლოვიარო პროცესიებზე, დასაფლავებაზე და წირვის შემდეგ ეკლესიის ეზოებში. ეს ეტაპი მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ის ხომ „მესამე გზის“ მისტიკოსს ქადაგებდა, რომელიც სიცოცხლესა და სიკვდილის შორის იმყოფება შორეულ, დაუსრულებელ და ასტრალურ სივრცეში... ისევ მჭირდება მიწის ნაყოფი, მჭირდება ცეცხლი, წყალი, ჰაერი“... სიკვდილის საზღვრებიდან ხშირად შემობრუნებულია სიცოცხლისაკენ, თავისი მიწიერი არსება რომ დაემკვიდრებინა და აზრი მიეცა. სიკვდილის არსის ძიებას მიჰყავდა სიცოცხლის არსის ძიებისაკენ. სიცოცხლის აზრს სიკვდილის შიშით იმეცნებდა.

მისი შემოქმედება არის მთლიანი, ახალი ცხოვრების არსებობის წინასწარმეტყველი. ის დაიხსნის ადამიანს, გარდაიქმნება „პოეტი-ღმერთის“ ლირით. მისი რექვიემი უღერს გამაჟღერებელი სიდიადით და ვგრძნობთ ელვით დაცემული ანგელოზის სულს, ზეცისკენ რომ მიისწრაფვის: „შენ ვერ მიხილავ და ნურც დამეძებ, სადაც წამიღეს ბნელი მკლავებით. მე წუხელ მოვკვდი შუაღამეზე, როდესაც ერთდნენ ცის ვარსკვლავები“ ცოდნის გზაზე დიდი ფილოსოფია იღლება და ისვენებს. მისტიციზმი იწყებს იქიდან, სადაც ფილოსოფია მთავრდება. წინასწარმეტყველთ პირადი გამოცდილებით შეიცნეს ჭეშმარიტება და გაუმხილეს ის სამყაროს. ისინი მღეროდნენ: „მე ის შევიცანი, - უმაღლესი არსება, სხივმოსილი და მანათობელი ვით მზე, სიბნელის მიღმა მყოფი, მიუწვდომელი შთანთქმელი სიბნელის კლანჭებისათვის“. წინასწარმეტყველნი გვასწავლიან, რომ ტრანსცენდენტალური რეალობა და არსებობა, რომელიც ყველაფერს განასახიერებს, ერთი და იგივეა. მისტიკოსი არ არის დაბნეული ადამიანი, რომელიც ცაში დაფრინავს, თუმცა, სამწუხაროდ, ხალხი სწორედ ასე ფიქრობს მისტიკოსებზე. მისტიკოსი მაძიებელია, რომელსაც, დინამიური ენერჯით, სურს უსწრაფესად აღმოაჩინოს ჭეშმარიტება ინტუიციის ძალით. მესამე თავლის გამოყენებით, ის ხედავს ჭეშმარიტებას ყველაზე სწრაფად, ტყვიაზე სწრაფად, მაგრამ თუ ადამიანს სურს ასეთი სახის იარაღი ჰქონდეს, მაშინ, ბუნებრივია, მას მოუწევს ყველაფრისათვის თავის დანებება, რაც მასში არადღეთიურია. ის მიიღებს ყველაფერს, რაც ღვთიურია და შეეცდება მის აღზრდას თავის ცხოვრებაში.

მისტიკოსი ის არის, ვისაც სურს, რაც შეიძლება მალე დაინახოს ჭეშმარიტება, მისტიკოსი არ არის ის, ვინც აბუჩად აგდება ყველაფერს პრაქტიკულს, მაგრამ დასავლეთსა და ასევე ინდოეთში ადამიანები ყურადღებას არ აქცევენ მისტიკოსს. ისინი უბრალოდ ამბობენ: „ის არაპრაქტიკულია. მას მხოლოდ ღმერთი აინტერესებს; მას არ ადარდებს მსოფლიო. ის მხოლოდ მზეს გასცქერის, „წითელი მზე აელვარდა მინებთან“, როგორც ხიმენესი ამბობს: „ჩვენ ყოველ დღით ხელით ვეხებით მზეს, ცოცხალი ღმერთის გულივით წითელ მზეს“, „ჯერ საჭიროა მოვიპოვოთ ჭვრეტის ორგანო, რომელიც მსგავსი და ანალოგიურია თვით ჭვრეტის ობიექტისა. თვალი ვერასდროს დაინახავდა მზეს, ჯერ თვითონ რომ არ მიეღო მზის ფორმა“ მზე, როგორც ღმერთკაცის სიმბოლო, როგორც ბრწყინავი წყვილია... გრანელი წითელი მზის ხილვით, ისევ დამის მოლოდინშია, რომელიც ცისკენ მიაქანებს მისტიკოს პოეტს. უსასრულობა დაგმანული სარკმლიდან ბევრად მიმზიდველია, ვიდრე ღია ცის ქვეშ მზე მაცხოვრის სიმბოლოა, სამების ჰაოსტასის ხილული სახე. მამის, ძის და სულიწმინდისა. მზესთან განშორება, ღვთისგან განდგომის მომასწავლებელია, რომლითაც სიბნელეს უახლოვდება პოეტი.

გასცქერის მთვარეს,  
„წამების წამი დადგა,  
ნუთუ იღბალი არის.  
ერთად მიდიან სადაც  
ღამე, მთვარე და ქარი.

„მიწის ცქერით დაიღალა მთვარე“.

ქარი, რომელიც იწვევდა ქვეყნის სხვანაირ შეცნაურებას, მთვარიან ღამეში ქმნიდა დაუსრულებელ ფანტასმაგორიას, იუვივდებოდა მთვარეს და გარდაისახებოდა იმ შორეულ მისტიკად, რომელსაც უნდა გაენათებინა პოეტის მწუხარე სული. თითქოს მთვარე უნდა მოეტაცა, როგორც თეთრი დედოფალი, და გადაეღეწა ზღვაში, თითქოს სამყაროს დაუნდობელი ჯალათიც გახლდათ და იმავდროულად საყვარელიც, როგორც უხილავი ძლიერების მატარებელი ძალა. ღამის ანთებასაც რომ ნიშნავს და ანათემასაც, თავის შინაგანი წვა და კოცონი რომ ჰქონდა, და მიძიმე იყო მისი გუგუნე, როგორც შავი ზღვის დელფა ქარიშხალში, ის გაჩენელიყო შემოქმედებისათვის და არა ძილისთვის და ყოველი გენიოსური თხზულება მხოლოდ ღამით შექმნილიყო, სულის სარკედაც რომ წარმოდებოდა და ამით განსხვავდებოდა დღისაგან, როგორც ნიღბისგან. პოეზიას თუ გამოაკლდებოდა ქარი და ღამე? დარჩებოდა მხოლოდ სიცარიელე. ათასგვარი ფიქრით დატვირთული პოეტი ქარს წინ უდგა ვით ქანდაკება? აგერ გალაკტიონ ტაბიძის: თმას უწეწს ქარის გაბოროტებაო. ქარი არსებობდა მუსიკის და ორკესტრის, უჩინარ სტიქიას რომ წარმოადგენდა და მუსიკის უდიდესი აგონიისას ჩნდებოდა ჯადოსნური ქარი, რომელიც ცდილობდა გაეწყვიტა ადამიანის დაჭიმული ნერვები?) როგორც ვალერიან გაფრინდაშვილი იტყოდა, „და ამ ორკესტრის გაგოჟება მსგავსია ქარის“ ერთად ჩნდებოდნენ შემოდგომის და მოგონების ქარები და მასთან ერთად გაშლილი ველი, ფოთლების ცვენა, გაძარცვულ ტოტებში უცნაური ქანაობა და ტყის გუგუნე და სტკვენა, ეს ყველაფერი სამყაროს მისტიკურ შეგრძნებას რომ ქმნიდა? პოეტის სული ნაწილია ღამის, ვინ იცის რამდენი ფიქრი გაბნეულა ღამის სივრცეშიო - ისევ საკუთარი თავი გაახსენდებოდა:

„ღამის სივრცემ წვეთობით ჩემი სისხლი დალია“.

მისტიკოსი პოეტისთვის უხილავი სამყარო ბევრად უფრო ახლობელია, ვიდრე ყოველდღიური განივთებული მდგომარეობა. ის ხედავს ერთს და გრძნობს მეორეს. ღამე მისთვის იდეალური თავშესაფარია, როგორც განდგეილისთვის ბნელი გამოქვაბული, სადაც სხვა სინათლე და სხივია., საიდანაც ამოდის მზე, შორეული რიცხვის. ის მარადიულად გაცქერის მთებს, როგორც ღმერთის სავარაუდო სამყოფელს („სადღაც სდუმს მთები, სადღაც ნისლია“ მთა, მოსეს და ღმერთის შეხვედრის ადგილი, უთხრა უფალმა მოსეს: აჰა, გამოგეცხადები ზრქელ ღრუბელში, რათა მოისმინოს ერმა ჩემი ლაპარაკი შენთან, და სამუდამოდ გერწმუნოს. ამცნო მოსემ უფალს ხალხის ნათქვამი“. მთა, სულიერი ფერისცვალების ადგილი, ღმერთთან შეხვედრის სიმბოლო) ის ამ სამყაროს არ ეკუთვნის“. მაგრამ ნამდვილი მისტიკოსი არის ის, ვისაც სურს ხედავდეს დვთაებრივ საიდუმლოს ყველაფერში: ბუნებასა და ადამიანებში. მას სურს ჩასწავდეს დასაბამის არსს, უფრო სწრაფად, ვიდრე ნებისმიერი ადამიანი თავს უფლებას მისცემს წარმოიდგინოს ის. ეს არის ნამდვილი მისტიკოსი...შეისწავლეთ მისტიციზმი თუ გსურთ. ის გულის სიხარულს მოუტანს, გონებას - მისწრაფებას, სიცოცხლეს ნამდვილ, ასრულების მომტან და გასულიერებულ დარწმუნებას, მაგრამ ნუ ეცდებით განსაზღვროთ ის. ნუ ეცდებით განმარტება მისცეთ მას. თუ შეეცდებით განსაზღვროთ ის, თქვენ ვერ მიაღწევთ წარმატებას. თუ შეეცდებით განმარტება მისცეთ მას, თქვენ სასტიკად დამარცხდებით<sup>4</sup>.

ჩვენ გამოცდილებას ვიღებთ: მეცნიერებიდან - სამეცნიერო აღმოჩენებიდან; ისტორიიდან - ისტორიული გამოცხადებებისაგან; ფილოსოფიიდან - ფილოსოფიური იდეებიდან, რელიგიიდან - რელიგიური დოქტრინებიდან. ამ გამოცდილებებში ჩვენ ვხედავთ სუბიექტის და ობიექტის, არსის და არსებობის, ხილვის და რეალობის არსებობას, მაგრამ მისტიკური გამოცდილება, რომელიც დაუყოვნებლივი ერთიანობაა, სცილდება ყველა ასეთი სახის განსხვავებას. ეს გამოცდილება მუდმივი ერთიანობაა ზეზღვრულთან, რომელიც მარად გადალახავს საკუთარ თავს, რომელიც ყოველთვის აუწერელი რჩება. მისტიციზმო, საწყალო მისტიციზმო! როდესაც მას ამარტივებენ და ვერ აფასებენ, ის დაბლა ეშვება თავისი პირველყოფილი სფეროდან და რელიგიას უახლოვდება, მაგრამ თუ გულწრფელები ვიქნებით, ჩვენ მივხდებით, რომ ის უმაღლესი

<sup>4</sup> დ. გეგეშიძე. მისტიციზმის რელიგიური ბუნება. თბილისი, 1971, გვ. 76.

რელიგიური განცდა არაფერია, თუ არა გაურკვეველი, ბუნდოვანი და მისუსტებული აღქმა ჭეშმარიტებისა; მაშინ როდესაც ნებისმიერი მისტიკური განცდის დროს, ჩვენ ვიგრძნობთ ჭეშმარიტების ინტენსივობას, თვალუწვდენლობას და დარწმუნებულობას.

ჩვენ ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ რელიგიური ექსტაზი და მისტიური ექსტაზი ერთსა და იმავე როლს არ თამაშობენ ჩვენს შიდა ცხოვრებაში. რელიგიური ექსტაზი ეხება ადამიანურს ჩვენში. ეს ექსტაზი შემოიფარგლება სხეულის ცნობიერებით, დისციპლინირებული ან უდისციპლინო ვიტალით, გასხივოსნებული ან გაუსხივოსნებელი გონებით, სუფთა ან უსუფთაო გულით, მაგრამ მისტიკურ ექსტაზს დაუყოვნებლივ გადავყავართ ზეზღვრულში, სადაც ჩვენ მარადი სიცოცხლე გვეხვევა, გვკვებავს ყოვლის მასაზრდოებელი სინათლე და გვლოცავს ტრანსცენდენტალური ჭეშმარიტება.

პრიმიტიული რელიგია სთავაზობდა ექსტაზს ვიტალს ფიზიკურ გონებაში და მოსურნე გულში. სრულიად განვითარებული მისტიციზმი ამჟამად უსასრულოდ სთავაზობს თავის ექსტაზს გათავისუფლებულ სულებს და უსაზღვროდ მათ, ვინც განთავისუფლების ზღვარზეა. ესპანეთში ტერეზა ავილიელმა (თერეზა ოფ ვილა) შესთავაზა მსოფლიოს რაღაც ღრმად მისტიკური. მისი მისტიკური განცდები - მისწრაფებულ სულსა და განმანთავისუფლებელი ქრისტეს შორის ღვთაებრივი კავშირის კულმინაციაა. და ზუსტად ასეთნაირ კავშირში ადამიანის უმწეო შეუწყნარებელი ნება და ღმერთის ყოვლისშემძლე და ყოვლის-ასრულების მომტანი ნება გულში იკრავენ ერთმანეთს. „ქვეყანა ისეთივეა, როგორც იყო, გარემოებანი მეორდებიან, ერთი ხალხი ცხოვრობს, უყვარს და განიცდის ისევე, როგორც მეორე. მაშ, რატომ არ უნდა წეროს ერთმა პოეტმა ისევე, როგორც მეორე წერს?“ ასე აფასებდა ლიტერატურის იდუმალი კანონების თავისებურებას გოეთე. „ადამიანი შობილია არა იმისთვის, რომ მსოფლიოს პრობლემები გადაწყვიტოს, არამედ იმისთვის, რომ ეძიოს და მიაგნოს ამ პრობლემებს, შემდეგ კი მისაწვდომის ფარგლებში იმოქმედოს“, - ამბობდა გოეთე.

პატარა ადამიანი უძღურია რაიმე შეცვალოს სამყაროს წყობაში, თუნდაც გონიერული ჩარევით, მაგრამ სამოქმედო არეალი მაინც აქვს. მართალია, მოზომილი, „მისაწვდომის ფარგლებში“ ჩატეული, მაგრამ მაინც არეალი. სამოქმედო ასპარეზის შექმნამდე კი იმ „მსოფლიო პრობლემებს“ სჭირდება მოძიება და პოვნა, საგულდაგულო რომ მიმოვანტულა, გაბნეულა და დაღეჭილა ადამიანთა ცნობიერებაში.

სამყაროს წყობას რომ ვერაფერს მოუხერხებ, ცხადია, მაგრამ მასში მოფუსფუსე ადამიანებს თვალწინ რომ გადაუშლი იმ ხილულსა თუ უხილავ სამყაროს, რომელსაც ცხოვრების ყველაზე დიდი საიდუმლოება, სიცოცხლე ჰქვია, პიროვნულ სურვილებს რომ გააუკეთესებ, და საკუთარი თავის გამოხატვის, სიცოცხლის ტკობის მუხტით ადავსებ, სულის სარკეში ჩაახედებ, ჩაადრმავებ პიროვნულ არსში და საფიქრებლად მომართავ კაცის გონებას. ამგვარი სამოქმედო არეალის ფარგალი ღამის უსაზღვროებას იტევს და მთელ ცხოვრებას ითვლის დასაბამიდან, ვიდრე დღესამომდე. გენიალური ნიჭით გასხივოსნებული მართალი სიტყვის საზღვარი უსაზღვროებაზე გადის, („სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“) რადგან მასში მთელი სამყაროა მოქცეული იმ მიღმიერ სიბრძნესთან ერთად, რომელიც, როგორც საიდუმლო რამ, უხილავია კაცის თვალისათვის, ის უნარია დაუნჯებული, წუთისოფლის ორომტრიალში გარკვევას, მის მრავალსახოვან, ყოფითი ჭეშმარიტების შეცნობას რომ მიეღტვის. ტერენტი გრანელი გამუდმებით მარადიულ, სამშობლოსა და მთელი პლანეტისთვის აქტუალურ პრობლემებს, უზენაეს ჭეშმარიტებას ემსახურება. პოეტს ნათელმხილველივით და ნათელ მსმენელივით ხელეწიფება კავშირი პლანეტის საინფორმაციო ველთან, გიწვევს კოსმიურ უსაზღვროებაში. რათა ამხილოს წარსული, აწმყო, მომავლის სურათები. ის ყოველთვის გვასწავლის, რომ სიცოცხლე სიკვდილისათვის მზადებაა. მას სჯერა, რომ ადამიანში მხოლოდ ხორცია ხრწნადი და წარმავალი, სული კი მარადისობის წილია. კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „უკვდავება მხოლოდ მას დაუმკვიდრებია, ვინც ცოცხალი ზიარებია სიკვდილს. გზა უკვდავებისკენ მიმავალი სიკვდილის არკის ქვეშ გაივლის“ ტერენტი გრანელს ჰედესში ჭერეტის უნარი გააჩნია. ის წინასწარ ხედავს თავის „ღია სამარეს“, სამუდამო

მიძინებას, ესმის დების ღოცვები. უცდომლად წინასწარმეტყველებს თავის გარდაცვალების წელს, თვეს, რიცხვს, ხედავს უცერემონიო გასვენებს. „მოკვდები ღამით, გათენებისას, როდესაც გარეთ იქნება ზამთრის გაცივებული მთვარე და ყინვა. სიკვდილის წინ მომაგონდება თბილისის ღამეები და ჩემი უნაზესი და: ეს ორი შეერთებული კოცონი, რომელიც მწვავედა მე ყოველთვის ასე გათავდება სინათლე, გაქრებიან მოგონების წამები, გადავეცემი სიკვდილის მდუმარე ხელებს. ჩემი წამებული სხეული შეუერთდება მსოფლიო ელემენტებს, და მე ვიგრძნობ უმაღლეს მოსვენებას. ჩემი კუბო იქნება სადა და პროცესია უცრემლო. მე დამასაფლავებენ შუადღის ორ საათზე თბილისის ახლო“ მიცვალებულად გარდასახული პოეტის სული თავის კუბოსთან წარმოიდგენს უზენაეს არსებებს. სერაფიმებს, მარიამ ღვთისმშობელს ანგელოზის თანხლებით. თვით იესო ქრისტეს წინამძღოლობით მიემართება საბოლოო გზაზე:

„მკვდარი ვიყავი და უგრძობელი,  
ღია სამარე ჩემს გულს უცდიდა  
და ეცემოდნენ სადღაც წვიმები  
შორეულ ღრუბლის სანაპიროსთან,  
კუბოსთან იდგნენ სერაფიმები  
და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა,  
მიმასვენებდნენ ანგელოზები  
და კუბოს ქრისტე წინ მიუძღოდა“.

პოეტის ცხოვრება, შემოქმედება და სულიერი მდგომარეობა რეალურ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ის არის პირველი თუ არა ერთერთი პირველი, ვინც მისტიკის ჭრილში, პოეზიის ენით იქადაგა ღვთისმეტყველება. ღმრთისმეტყველი ის არის, ვინც პირდაპირი თუ ირიბი ცოდნით და ჭკვრეტით (ωρι) შეიცნობს ნათლად და განარჩევს ღვთიურთა და მოკვდავთა ქმედებას, ასევე ეშმაკისა და დემონის ქმედებებს. სხეულის თეოლოგია თავდაცვის საშუალებაა სხეულისა და სულის მტრებისა და სნეულებების წინააღმდეგ.

ტერენტი გრანელმა ღმრთისგან ზურგშექცეული სამყარო მთელი სიცხადით და „გულიდან სისხლის წვეთებით“ ღვთისკენ მიაბრუნა. მან სწორად განსაზღვრა მისი დანიშნულება „იმ ტალახში, რომელსაც ეწოდება მიწა“... რაც მეტად იცვლება დრო-ჟამიერი თუ სივრცისეული გაგება, ერთმანეთს ერევა რეალური თუ ირეალური, უფრო მეტად იმატებს სიღრმე, იშლება ჩარჩოები და ჩვენს თვალწინ იხატება ცხოვრების ალიაქოთში მოქცეული ადამიანის სახე, რომელიც ცდილობს, კი არ ჩაჰყვეს, აღმა აუყვეს ცხოვრების მდინარებას; კი არ გაიქცეს, იბრძოდოს; კი არ იფიჭიშოს-გაირინდოს.

„დღესაც ბაღში ვიმაღები,  
როგორც თეთრი მდუმარება.  
და მიზიდავს გრიგალივით  
სიჩუმე და მწუხარება,

მადლა თეთრი თავანია,  
გლოვა ისევ აინთება.  
ახლა ჩემი სავანია  
სიჩუმე და გარინდება“.

თავი დაადწიოს სულიერ სიდუხჭირეს; ჩასწვდეს ყოფიერების ჭეშმარიტებას, არ სხეურივდეს ბიწიერებას და ჰქონდეს რწმენა რწმენისა, ადამიანური ჟინით დაძლიოს ბოროტება თუ ცხოვრების წარმავალობა, შეიგრძნოს სიცოცხლის მადლი და გემო, აპოგეას სიზმარსა თუ ხილვაში აღწევს, რადგან მარადიული სურვილები, მორალურ-ზნეობრივი კანონები, რაც მისი სულის ამოუძირკვავ საყრდენს წარმოადგენენ, თავს არ ანებებენ იღუმალ ზმანებებში. დაფარული რწმენა ეს თვალთა ჭეშმარიტების მჭკვრეტი, გულია ჭეშმარიტების შემგრძნებელი და სული ჭეშმარიტების შემმეცნებელი. რწმენის წყალობით სამშვინველი მთლიანად აცნობიერებს



საკუთარ ევოლუციას თავის მარადიულ მოგზაურობაში. რწმენის მეშვეობით ჩვენ ვხედავთ თუ როგორ გარდაიქმნება ფორმა უფორმოში, სასრული - უსასრულოში და თვალს ვადევნებთ იმას, თუ როგორ იძენს უფორმო ფორმას და უსასრულო ხდება სასრული.<sup>5</sup>

ღმერთს მინდობა მეყველებს. ის მეტყველებს მღუმარებაში. ის გვიხსნის. ის მისწრაფებულს უხსნის იმას, რომ მატერია და სამშენიველი, რაოდენობა და თვისობრიობა, იმანენტური და ტრანსცენდენტალური ერთიანია. შინაგანი რწმენა ხსნის, რომ ცხოვრება არ შეიძლება იყოს უბრალოდ არსებობა, სამოცდაათი ან ოთხმოცი წლის განმავლობაში, დაბადებასა და გარდაცვალებას შორის; სიცოცხლე ეს თვით მარადიულობაა. ჩვენი დაბადება, ისე როგორც ჩვენი გარდაცვალება - მნიშვნელოვანი მოვლენაა ღმერთის არსებობაში. დაბადების შემდეგ ცხოვრება მიედინება სხეულში. გარდაცვალების შემდეგ კი - სულში „რომ ვერ შევქმელი გასვლა მიწიდან, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას“. „არ გაბეღო სიკვდილი, სანამ ცოცხალი ხარ“ მიწიდან გასვლა კი მისტიკოსთათვის აუცილებელი პირობაა. მიწიდან ცაში მოგზაურობა, დათოვლილი მწვერვალების დაპყრობა, გარედან საკუთარი თავის ყურება. „შენ დედამიწაზე უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ“ სწრაფვა უსასრულობისკენ ზეციდან დაბრუნება კი ისევ ცოდვებთან, სიბნელესთან, გაცრეცილ სხეულტონ ურთიერთობას ნიშნავს.

მისწრაფება-შინაგანი ვედრებაა უმაღლესი ცნობიერების მოხვეჭისა. თუ ჩვენი ადამიანური ცნობიერება ასვლას შეძლებდა ევერესტის სიმაღლემდე მისწრაფებას სამყაროში, რა წარმოუდგენელ სიხარულოს მოუტანდით ჩვენი უზარმაზარი პროგრესით ჩვენს შემოქმედს! ევერესტი -თვით მიუღწეველის სიმბოლოა. მიზნის, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ზეადამიანური გრძობით და სიმტკიცით. მისწრაფება-კაცობრიობის მგზნებარე სურვილია, გავიდეს ჩვეულებრივისა და ყოველდღიურის სფეროს მიღმა. თუ ჩვენი შინაგანი ვედრება მიაღწევდა ჩვენი ყველაზე ამაღლებული, ღვთითბოძებული უნარის პიკს, ჩვენ ევერესტი-მისწრაფება გვექნებოდა. ეს შთამაგონებელი საუბრები იმ ადამიანის, რომელმაც მწვერვალს მიაღწია, საუკეთესო და საიმედო ორიენტირია იმათთვის, ვინც მისწრაფვის ზევით, უმაღლესისკენ, წინ, უშორესისკენ, შიგნით, უღრმესისკენ. პოეზიის სიღამაზით, პროზის სიცხადით და წმინდა წერილის სიღრმით-ეს საუბრები მიმართულია არა გონებისკენ, არამედ მაძიებლის გულისა და სულისკენ. ასეთის უკვდავი ყვავილები-გზავნილები არასდროს ჭკნება, მარად იზრდება, იფურჩქნება, ბრწყინდება, ყვავილობს მიზანსწრაფული მკითხველის შინაგან განხორციელებულობასთან ერთად, რომელიც უფრო ღრმა და ფართო ხდება. „გული წმინდა დაბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიხსნე გვაგმა ჩემსა“ ეს იგივეა, რაც „გულიდან სისხლის წვეთები“...

პლანეტათა მგოსანი წმიდა პოეზიას და კოსმიურ აზროვნებას ზვარაკად შეეწირა, როგორც მაცხოვარი ადამიანთა შორის სიყვარულის და ღვთიური სიბრძნე-სიკეთის თესვას. ზეციური მარგალიტების მომპოვებელ მგოსანს მწარე მარტვილობა შეაგებეს და მხოლოდ ოცდაცამეტი წლის წამებული სიცოცხლე აკმარეს.

მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწვერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს. რა დიდებულია ტიცინ ტაბიძის ლექსად ნათქვამი პოეტური სიბრძნე: უთუოდ, ტერენტი გრანელიც ამგვარი პოეტური ღირსების, სიბრძნის და მაღალმგოსნური ზნეობის გახლდათ. ეს იშვიათი მხატვრული ფორმის ლექსი ხომ მხოლოდ და მხოლოდ ღვთიური ფონის მქონე და ნიჭგაზავებული მგოსანთაგანაა შექმნილი, რომელიც ნაღდი პოეზიის ფორმულას წარმოადგენს. ხოლო ტერენტი გრანელის ღრმად ფსიქოლოგიური ლექსი „პორტრეტი“ გენიალური ფერმწერის ერთი ამოსუნთქვით შექმნილი სურათივითაა. ასევე წმიდა პოეზიისთვის შობილი მგოსნის, გულის სითბოსეული ამოძახილია, იმ მგოსნისა, რომელშიც ერთი მისხალიც არაა არა პოეტის „ჩემი ცხოვრება არის პოემა, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“.

<sup>5</sup> შრი ჩინო. მისწრაფების ევერესტი. თბილისი, 2013, გვ. 9.

რამდენადაც დიდი ნიჭის პატრონია მწერალი, ის უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან. გენიოსი სდუმს და იხარშება ამ წუთისოფლის გაჩაღებულ ქურაში და ამავე დროს, ეს წუთისოფელიც სდუმს და ნახევრად მოხარშულიცაა მის ქურაში. გენიოსს არ შეუძლია იგრძნოს ეს ცხოვრება ნახევრად, მესამედ ან მეოთხედად, არამედ გრძნობს მთელად, ერთობლივ წარმოდგენელია ნიჭიერი მწერალი, გენიოსი უიშისოდ, რომ იმას არ აწუხებდეს ტკივილი ადამიანთა ცხოვრებისა მწერალი ადამიანთა ცხოვრების დარაჯია“. ჯვარცმისთვის განწირული პოეტი ადამიანის სულში მოგზაურობს და იხედება იმ შრეებში, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ცხოვრებისგან უარყოფილი პიროვნების დაღეწილი ბედი არასწორხაზოვნად მიჰქრის „უხილაგი ბაღებისკენ“ მაშინ კი მწუხარედ იტყვის – „ახლა ცემში ძნელია გენიოსის დანახვა, ახლა ცემი გაკილვა ყველას ეპატიება“ „დანახვა სიყვარულის ინტუიციას, დანახვა ბურუსში“, ეს უკანასკნელი კი ისეთი ძნელია, როგორც თომას მიერ მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის რწმენა. ყველა ეს ნაკლოვნება, რომელიც გენიალურ ინდივიდუალობას მოუდის, დიდი ხანია მიგვითითებს იმაზე, რომ გენიას და სიგიჟეს აქვთ ისეთი მხარე, სადაც ისინი ერთმანეთს ესაზღვრებიან, უფრო მეტიც – გენია ნაწილობრივ შეშლილობაში გადადის. მას სულ ცოტა სიგიჟის კვალი ატყვია. თვით პოეტურ შთაგონებას უწოდეს სიგიჟის ერთგვარი სახეობა. ჰორაციუსი მას (ამოდ სახილველ სიგიჟეს) უწოდებს. ვილანდი შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს, „ობერონის“ შესავალში. „საამური სიგიჟე დამთამაშებს შუბლზე“. სენეკას მოჰყავს არისტოტელეს გამონათქვამი (არც ერთი დიდი მოაზროვნე არ არსებულა ამ ქვეყნად სიგიჟის გარკვეული ნარევის გარეშე). არისტოტელე ამბობს „ყველა გენიოსი მეღანქოელია“. პლატონი მრავალ ადგილას ლაპარაკობს სიგიჟისა და გენიის მონათესაობის შესახებ: „ფერდოსში“ იგი პირდაპირ ამბობს, რომ გარკვეული სიგიჟის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს ნამდვილი მგოსანი. ამბობს, რომ ყოველი ის ადამიანი, ვინც წარმავალ საგნებში მარადიულ იდეებს შეიმეცნებს, შეშლილად გამოიყურება.

აი, რას წერს კონნე სპერელლი (კონსტანტინე გაჩეჩილაძე) ტერენტი გრანელის შესახებ: „ცისფერი თვალები, რომელშიაც ორი მიუწვდომელი სამყარო იხედებოდა, და ამას ხედავდა მხოლოდ გრანელი. ჩვეულებრივი ადამიანები, მათი ყოველდღიურობით, ერთსაც ვერ ხედავენ კარგად, ამიტომაც გრანელის უადრესად მოძრავ თვალებში ჩაწოლილი იყო სიხარული, რომ მან გადაიხედა ამის გადაღმა და დაეწაფა ნეტარების იებს, რომ მან შეიცნო საკუთარი სულის სიმაღლე და ეზიარა უკვდავებას. იქვე, იმ ბედნიერების გვერდით დაკვირვებული თვალი შეამჩნევს უზომო მწუხარებას, რაც გამოწვეული იყო იმის შეგნებით, რომ ეს მაღალი სული მომწვედელია ხრწნად ჭურჭელში, რომ სხეული ადამიანის დამძიმებულია მიწიერების ჟანტით და ბიწიერების ჭუჭყით. გრანელი იტანჯებოდა ამ მატერიალურ გარემოცვაში, მას სწავდა მსუთავი ბორკილების დამსხვრევა და დახშული კარის გარღვევა-ვერ შეძლო პოეტმა. მისი ღიმილი არასოდეს არ ყოფილა მთლიანი, ნახევარი მუდამ აშკარა სევდაში იკარგებოდა. აქაც კი აერთებდა იგი ხილულს უხილაგთან. ლაპარაკის დროს ბაგეთა ნახევარი მუდამ დახშული ჰქონდა, თითქოს ბაგეთა სათანადო განწყობით უნდოდა მსმენელის ნათქვამიდან უთქმელში გადაყვანა. ნერვიული თითებით იგი ენამჭვერ ორატორზე მეტს მეტყველებდა უსიტყვოდ. გრძელი, თხელი და ხუჭუჭა თმა გრანელის არასოდეს არ ყოფილა საგანგებოდ დაწყობილი, რაც პატრონის აფორიაქებულ ბუნებას ზედმიწევნით ამჟღავნებდა. წსეც ყოფნის ამაოებაზე მიუთითებდა. საუცარი, არამცთუ არ გაურბოდა იგი, პირიქით, თვითონ დაეძებდა შემთხვევას, რომ ჯვარზე გაეკრათ, რათა უღმერთობს საკუთარი თვალთ ენახათ „მეორე ქრისტე“.

სიტყვა ტერენტი გრანელის შემოქმედებაში მხოლოდ წამოწყებაა აზრის, მწუხარების სიღრმე და განცდის სიღიადე მის მიღმა გადატანილი. მისვლაა მასთან საჭირო. ზოგჯერ მრავალწერტილში მიუგნებელი აზრია ჩახვეული. ამას ის ამოიკითხავს, ვისაც სათანადო უნარი მოსდევს შინაგანი ჭვრეტის. ეს არის, ერთი შეხედვით, მეტერლინკისეული დუმილის ფილოსოფია. პოეტი აქ გვევლინება სიწმისა და სიშორის ნამდვილ მესობტედ „მე სხვა ვარ, ხალხი სხვაგვარად მიცნობს, და ჩუმი ვიტან წამებას ამდენს“ იმედიანი გამოხედვაც არ

ყოფილა მისთვის უცხო და უჩვეულო: „აღბათ ოდესმე გაივლის ჩემი ასეთი წამება“. ამ სიტყვებში გარკვეულად ისმის რწმენის ხმა, რომ მისი წამებაც მოძებნის საზღვარს და ტანჯვა-დასასრულს. „წვიმდა და ისევ მზე გამოვიდა და გავიშვირე მზისკენ ხელები“-ეს ხომ მიბრუნებაა მიწისკენ, პოეტი რომ გაურბოდა, როგორც გოლგოთას. აქ აშკარად ჩანს სიცოცხლესთან შერიგება. მიწასთან შერიგებული პოეტი მთელი ხმით აცხადებს: „კმარა ცრემლები, მეყო წამება“. „მე ვქმნი მაშინ, როცა საკუთარი გულის სადაფლაოზე დავედივარ“ ჰაინე პოეტი შეეყვარებულია ქარზე, როგორც ბალმონტიმ მზეზე. ძნელად მოინახება პოეტი, რომელიც ისე ხშირად ახსენებდეს ქარს, როგორც ტ.გრანელი. თითქოს მთელი მისი შინაგანი განცდა ქარის ფრთებზე განისვენებს. მისი განწყობის მავლინებელია მაინც და მაინც ქარი. მისი ლექსების ორ მესამედში ქარია გამოყენებული მწუხარების სიმბოლოდ; „ო, ყოველივე როგორ მომბეზრდა, ქარია ისევ და საღამოა“ (მოგონება ქარში)<sup>6</sup>.

ტერენტი გრანელის მისტიკური პოეზია, ტარიგად შეეწირა იმ ეპიქას, რომელშიც ღვთის სახელის ხსენება ისეთი დანაშაული იყო, როგორც რომის წარმართი იმპერატორის დიოკლეტიანეს დროს მართლმადიდებლობის აღიარება. პოეტმა გოლგოთაზე ჯვარცმული სულით და ლექსებით იღვთისმეტყველა. „დავალ ქვეყანაზე, როგორც შერისხული, შენი ზვარაკია, ღმერთო ჩემი სული“...

## **Peter ( Paata) Kvaratskhelia**

### **Mysticism in the poetry of Terenti Graneli**

#### **Summary**

As time goes by the poetry by TerentiGraneli is getting more and more actual and interesting for broad masses. Once in his life the poet said: “I know, the time of my comprehension will come”and now, we can boldly notice,that his words have come true\_lots of researches and monographs have been made about him. Our goal is to show his poetic heritage in different view for final realizing his real poetic trend. Mysticism and TerentiGraneli is a loud statement of it and it will attract attention of broad masses.

---

<sup>6</sup> მ. ქადაგიძე. სივრცეში დარჩენილი ფრაზები. თბილისი, 2003, გვ. 33.

ავთანდილ არაბული, აკადემიკოსი

## ალექსანდრე ყაზბეგის „ტანჯვის“ ეთიკა და ესთეტიკა („შემოვალ...დიდებით“)

ვაჟა-ფშაველა ორ გულისმიერ ლექსს უძღვნის ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებას. ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში იგი მთლიანად ამ განცდის ტყვეობაში იმყოფება. ორივე ლექსი „ივერიაში“ გამოქვეყნდა ათი დღის ინტერვალით: პირველი – 1893 წლის 11 დეკემბერს, მეორე – 21 დეკემბერს („ა. მ. ყაზბეგის გასტუმრების გამო“). მეორე ლექსი შინაარსობრივადაც მომდევნოა - იგი დიდი მწერლის მშობლიურ სტეფანწმიდაში დაბრუნებას, ანუ გადასვენებას ეხება, მაგრამ პოეტური სათქმელის თვალსაზრისით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ისინი შებრუნებული თანამიმდევრობით შეიქმნა: პირველ ლექსში მეტია იმ იდეის განზოგადება, რომლის გასამჟღავნებლადაც ეს ლექსები შეიქმნა. ასეთი განზოგადების შემდეგ კი იმავე შეხედულების კონკრეტიზაცია-ლოკალიზაცია ბუნებრივი არ არის (ცხადია, თუ რაღაც გარემოება არ მოითხოვს ამას).

რადაც უცნაურობა და მისტიკურობა ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებასა და დაკრძალვასაც ახლავს. 1893 წლის 10 დეკემბერს გარდაიცვალა მწერალი მიხეილის საავადმყოფოში და მხოლოდ 19 დეკემბერს მიასვენებენ თბილისიდან მის ცხედარს მშობლიურ სტეფანწმიდაში. ჯერ საავადმყოფოს სამლოცველოში გადაუხდის მას პანაშვიდს ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი, შემდეგ კი ქაშვეთში გადაასვენებენ. აქედან ემშვიდობება მას ქართველი საზოგადოება: აკაკი წერეთელი, გრ. აბაშიძე, ვ. გუნია... წაიკითხავენ ვაჟას და სხვათა ლექსებს. თვითმხილველნი გაცემას ვერ ფარავენ ხალხის საყოველთაო აქტიურობის გამო. თითქოს მმართველი რეჟიმიც ცდილობს, დეკემბრის უამინდობის მიუხედავად, მწერალი რაც შეიძლება შორს - „გადაკარგულ“ მშობლიურ კუთხეში „დააბრუნოს“. იქნებ ამიტომაც იჩენს თვალსაჩინო აქტიურობას გადასვენების ორგანიზებაში ცენტრალური ჟანდარმერია...

სწორედ უამინდობის გამო, გასვენებიდან მხოლოდ მესამე დღეს ჩაასვენებენ მწერლის ცხედარს სტეფანწმიდაში. აქ დაიკრძალება იგი, ძირითადად ადგილობრივთა გარემოცვაში, ტრადიციის დაცვით, სადად და ფარისევლური ფონის გარეშე...

დავუბრუნდეთ ვაჟას ორ მიძღვანს:

„ივერიაში“ გარდაცვალების მეორე დღეს სამძიმრით ამცნო ქვეყანას დიდი მწერლის აღსასრული. აქვე დაიბეჭდა ვაჟას ხსენებული პირველი ლექსი! ვაჟას მეორე ლექსს აქვეყნებს ივერიის ის ნომერი (1893, №276, 21 დეკემბერი), რომელიც თბილისიდანაც ცხედრის გადასვენებას იუწყება. თავად ვაჟა ამ დროს თბილისში არა ჩანს...

მაგრამ ეს ფაქტობრივი კითხვები მეორეხარისხოვანია იმასთან შედარებით, რასაც ჩარგლელი ბრძენის გულის ამოძახილი გვეუბნება. ვცადოთ თანამიმდევრულად გავადევნოთ თვალი ტექსტებს.

სრულიად აშკარაა, რომ ეს ორი ლექსი ერთი განცდით, ერთი სულისკვეთებითა და, რაც მთავარია, ერთი სუნთქვით არის შექმნილი. „ერთი სუნთქვითო“ რომ ვამბობთ, ამაში არა მხოლოდ ერთიან პათოსსა და იდენტურ რიტმულ ქარგას ვგულისხმობთ, არამედ იმასაც, რომ თითოეული მათგანი თითქოს „ერთი ამოსუნთქვითაა“ ნათქვამი. ეს „ერთი ამოსუნთქვა“ რაოდენობრივადაც იდენტურია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეორე ლექსის პირველი სტროფი უფრო წინათქმაა ლექსისა, ვიდრე მისი პარადიგმატული ნაწილი. დავაკვირდეთ: მწერლისადმი მიმართვა (II პირში თხრობა), რომელიც ძირითადი მაკონსტრუირებელი ელემენტია

პირველი ლექსისა, აქ მხოლოდ პირველი სტროფის შემდეგ რეალიზდება. აი, რას ამბობს II ლექსის I სტროფი, რომელიც თითქოს ხელოვნურად (და დაგვიანებით) არის მიმატებული აზრობრივად დასრულებულ ლექსზე:

*მთასაც ეუწყა ამბავი:  
დაკარგვა პირმშო შვილისა.  
გამოიღვიძე, ბუნებაგ,  
დრო აღარ არის ძილისა!*

ამ ლექსის შემდგომი განვითარება გვინგვენებს, რომ ეს არ არის ლექსის ძირითადი დისკურსი. სულაც არ აღმოჩნდება აქტუალური, თუ რა ეუწყა მთას და არც ის, თუ ბუნება რა მდგომარეობაშია. არცერთი ეს „ელემენტი“ არ არის ორგანული ამ ლექსების არქიტექტონიკისათვის.

ზუსტი შედარებისათვის პარალელურად მოვიყვანოთ ორივე ლექსის ტექსტს (პირველს - უკვე დამოწმებული I სტროფის გარეშე), ოღონდ ქრონოლოგიურის საპირისპირო თანმიმდევრობით:

#### ა. მ. ყაზბეგის გასტუმრების გამო

#### ალექსანდრე ყაზბეგს

მოგეგებება არაგვი,  
ყვავილთ დაგიფენს გზაზედა, დ  
ხომიცი, უყვარს დედასა  
შვილი დამდგარი ცდაზედა.  
გულს გაგიგრძილებს ნიავი,  
როცა შასდგები მთაზედა.  
გაუხარდებათ ქედებსა,  
მკვდარს მაინც გნახვენ თვალითა,  
უაბჯროდ არ გაგგზავნიან,  
წელს შეგიმკობენ ხმალითა.  
გიცნობენ თავის ერთგულსა  
ცრემლით მორწყულის კვალითა.  
ექნებათ დასაბარები, დ  
შენც დაისწავლი, მგონია, დ  
ამბავი იმათ ყოფნისა,  
ამბავი დასაღონია.  
ახლოს გყავს ბერი მყინვარი,  
ქედ-მოუხრელი გმირია;  
ის განუგეშებს, მხოლოდის, დ  
რჯული არ გაუწირია.

შვილო ტანჯულის ქვეყნისაგ,  
სული დაჰლიე ტანჯვითა,  
მიუხვალ მამა-პაპათა  
ამოღებულის ხანჯრითა,  
ცრემლად დამდნარის გულითა,  
დაღლილი მტრისა ჯავრითა!..  
ჯავრი ტანს ნაბდად გეხვევა,  
ცრემლი მიგყვება საგძლადა  
და ტრფობა შენის ქვეყნისა  
უქმს და ხელუყრელს აბჯრადა.  
თავს დგმული ეკლის გვირგვინი  
ფერხთ-წინდაუგდე გმირებსა,  
მამულისათვის გამწყდართა  
იმ საქართველოს შვილებსა.  
ცოცხლად იმედით მცხოვრებო,  
გთხოვ, იმათაც სცე ნუგეში!  
პირობა ქართველებისა,  
ვგონებ, მიგყვება უბეში!..  
უნწვენე შენი კალამი,  
ნაწები სისხლის გუბეში!

სტროფი, რომელიც პირობითად ჩამოვაცილეთ პირველ ლექსს, ერთგვარი პოეტური რემარკაა. ამ სტროფში ავტორი მიმართავს მთის ბუნებას, რომელმაც „პირმშო შვილი“ უნდა მიიღოს. შემდგომ კი „დისპოზიცია“ მთლიანად იცვლება და მიმართვის ადრესატი გარდაცვლილი მწერალია - ვაჟა მჟორე პირში ესაუბრება აღსრულებულ თანამოკალმეს. ამ სტილისტიკით ვაჟას ორივე ლექსი შეესატყვისება გლოვის პოეზიის ხალხურ ტრადიციას: „მგოსანნი გლოვისანი“, ჩვეულებისამებრ, უშუალო დიალოგში „იწვევდნენ“ დატირების ადრესატს და განსაზღვრულ სიტყვებს „დაუთვლიდნენ“ მას (დატირების ერთ-ერთ ფორმას სწორედ „დათვლა“ ერქვა).

თუ აღნიშნული პირველი ლექსის „რემარკას“ არ გავითვალისწინებთ, ეს ორი პოეტური ტექსტი სტრუქტურულად ფაქტობრივ იდენტურია: სტრიქონთა რაოდენობა თანაბარია, ერთნაირია სტროფული დაყოფაც (ოთხი სტროფი თითოეულში), ოღონდ სხვაობს თანამიმდევრობა

სხვადასხვა ზომის სტროფებისა: I ლექსში პირველი ორი სტროფი ექვსსტრიქონიანია, ბოლო ორი - ოთხსტრიქონიანი; მეორე ლექსში კი ექვსსტრიქონიანი სტროფები თავში და ბოლოშია მოქცეული, ხოლო ოთხსტრიქონიანები - შუაში (შდრ.: ზემოთ - ჩვენეული დაყოფა).<sup>1</sup>

ამდენად, განსხვავება ამ ორ ლექსს შორის შინაარსის პლანში უნდა ვეძებოთ. მართლაც, ეს ლექსები მწერლის ორგვარ „დაბრუნებას“ ასახავს: პირველ შემთხვევაში მწერალი საკუთარ მამაპაპეულ მთებს უბრუნდება და უკან იმავე გზას გაივლის, რა გზითაც მიეახლა დიდ მწერლობას. მეორე ლექსის მიხედვით კი ასახულია მწერლის შესვლა სულთა სასუფეველში.

I ლექსის „სიუჟეტი“:

1. პირველი არაგვი ხვდება სამშობლო მხარეში პატივით „დაბრუნებულ“ გმირს:

*„მოგვებება არაგვი, ყვაილთ დაგიფენს გზაზედა...“*

აშკარაა, იგულისხმება მთიულეთის ხეობა და არაგვი, რომელიც ბუნებრივად ეგება გზად ხევისაკენ მიმავალს და საკადრის პატივსაც მიაგებს. რეალურ დროსა და სივრცეში (მთიულეთი - დეკემბრის ბოლოს), ცხადია, წინ დასაფენი ყვაილები ვერ იქნება, მაგრამ იმ მარადისობის გზაზე, რომელსაც პოეტი წარმოსახავს, ასეთი პირობითობა რეალობაზე მეტია და „ყვაილების დაფენა“ დიდებით შემოსვას მიანიშნებს.

2. *„ხომ იცი, უყვარს დედასა შეილი დამდგარი ცდაზედა...“*

აქ დედად წარმოგვიდგება „ყვაილთ დამფენი“ არაგვის ხეობა. დედა დედაა, მაგრამ, მთის წვისსამებრ, აქ ხაზი გაესმის იმას, რომ „დედისმიერი“ დაფასება მხოლოდ სახელისათვის მებრძოლ შვილს ხვდება. ხალხური პოეტური ფორმულით - „ცდაზე დამდგარი“ - ეს სახელის მოსახვეჭად ასპარეზზე (ჩვეულებისამებრ, საბრძოლველად) გასული ვაჟკაცია.

3. და, აი, არაგვის ხეობის დიდებით გავლის შემდეგ მწერალი „შედგება“ მთაზე - ხევის (ანუ ჯვრის) უღელტეხილზე:

*„გულს გავიგრილებს ნიავი, როცა შასდგები მთაზედა...“*

(ამ პასაჟის მეტი განზოგადება შესაძლებელია, მაგრამ არა აუცილებელი).

4. მშობლიური მთების სიხარულის საგანი ის არის, რომ, ბოლოს და ბოლოს, დაუბრუნდათ მონატრებული შვილი:

*„გაუხარდებათ ქედებსა, მკვდარს მაინც ვნახვენ თვალითა...“*

5. მშობლიური მთები, რა თქმა უნდა, ისე შეამკობენ შვილს, როგორც ქვეყნისათვის თავდადებულ, სახელოვან შვილს შეეფერება:

*„უაბჯროდ არ გაგვზავნიან, წელს შეგიმკობენ ხმალითა...“*

ეს დეტალი დასამახსოვრებელია: მწერალი ფასდება ისე, როგორც მეომარი, ამიტომაც „შეიმკობა“ იგი არა მწერლის „იარაღით“, არამედ საომარი საჭურველით.

6. შემდეგ ტაეპში - შესანიშნავი პოეტური ხატით - ხაზი გაესმის მწერლის „მგლოვიარე“ ბიოგრაფიას; რაც მთავარია, ქვეყნის ბედის გამო არის ცრემლით მორწყული მწერლის მიერ განვლილი გზა:

*„ვიცნობენ თავის ერთგულსა ცრემლით მორწყულის კვალითა...“*

7. *„ექნებათ დასაბარები, - შენც დაისწავლი, მგონია, - ამბავი იმათ ყოფნისა, ამბავი დასაღონია...“*

მარადისობაში, წინაპრებთან მიმავალ სახელოვან შვილს დასაღონებელ ამბავს აბარებენ მშობელი მთები. რად არის მათი ყოფა ასეთი დასაღონებელი? ცხადია, ლელთ ღუნიასა და ხევისბერი გოჩას ანდერძისამებრ, არა საზრდელის, არამედ თავისუფლების მოკლების გამო...

8. დაბოლოს, პოეტის სიტყვით, აღსრულებული მწერალი ფაქტობრივ სპეტაკ მყინვართან არის „გათანაბრებული“; მინიშნებულია ისიც, რაც მათ შორის საერთოა - რჯულის უღალატობა:

*„ახლოს გყავს ბერი მყინვარი,*

*ქედ-მოუხრელი გმირია;*

<sup>1</sup> რადგანაც ვაჟა, ხალხური ტრადიციისამებრ, რთმის ცვლით არეგულირებს პოეტური ტექსტის სტრუქტურას, ბუნებრივია, სტროფული დაყოფისათვის ეს უმთავრესი რელევანტური ნიშანი გამოვიყენოთ.

*ის განუგეშებს, მხოლოდ ის, -  
რჯული არ გაუწირია.“*

II ლექსში თავიდანვე უფრო მაღალი რეგისტრია აღებული, აქ სათქმელის ვაჟასეული პოეტური შემზადება (ვთქვათ, ბუნების განცდა, რასაც I ლექსიც მისდევს) არ ხდება, პირდაპირ გლოვის ადრესატის “დაუნდობელი“ შეფასებით იწყება (რაც ორგანულია ხალხური ნატირლებისათვის):

*1. „შილო ტანჯულის ქვეყნისაჲ, სული დაჰლიე ტანჯუითა...“*

პირველსავე სიტყვებში აქცენტირებულია მწერლის ტანჯული ბედი (გავისხენოთ პირველი ლექსის - „ცრემლით მორწყულის კვალითა“), მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ტანჯვა „ტანჯული ქვეყნის“ შილს ეკუთვნის, რომ ქვეყნისა და მისი ერთგული შვილის ბედი განუყოფელია (ტანჯული ქვეყნის ღირსეული შვილი დაღსენილი ვერ იქნება)...

2. ასევე პირდაპირი და უშუალოა, ხალხური ტრადიციისამებრ, მწერლის წარდგომა გარდასულ წინაპართა წინაშე:

*„მიუხვალ მამა-პაპათა ამოღებულის ხანჯრითა,  
ცრემლად დამდნარის გულითა, დაღლილი მტრისა ჯავრითა!..“*

ჩვენ კიდევ ვნახავთ, რომ „ამოღებული ხანჯლით“ მხოლოდ მას შეუძლია შესვლა სასუფეველში, ვინც პირნათლად განვლო ბრძოლის ველი, ვინც ამქვეყნიური ვალი პირნათლად მოიხადა. ამავე დროს, შეფასება „დაღლილი მტრისა ჯავრითა“ იმაზე მინიშნებაა, რომ, მართალია, საგლოვი დიდების ადრესატმა ხმაღლაუგებლად იბრძოლა, თავისი მისია აღასრულა, მაგრამ მტრის ჯავრი ჯერაც ამოსაყრელია...

3. და, აი, ეს ჯავრი და დაუწყვეტელი ცრემლის დენა ის ერთადერთი „საგზალი“, რომელიც მწერალს საიქიოშიც თან მიაქვს:

*„ჯავრი ტანს ნაბდად გეხვევა, ცრემლი მიგვევა საგზლადა...“*

4. შემდგომი სტროფი დიდებული სურათია გმირის დიდებით წარდგომისა მამულიშიღლითა მართალ „სამსჯავროზე“:

*„თავს დგმული ეკლის გვირგვინი ფერხთ-წინ დაუგდე გმირებსა...“*

5. „ამოღებული ხანჯრისა“ და „ეკლის გვირგვინის“ თანხლებით რა მთავარი სათქმელი მიაქვს ახალშესვენებულს მამულიშვილებთან? ეს არის ნუგეში იმისა, რომ ქართველებს არ დაეწიებათ ვალი მამულისა და ფიცი თავისუფლებისა; „პირობა ქართველებისა“ - ეს ქართველთა ფიცის წიგნია უფლისა და სამშობლოს წინაშე:

*„ცოცხლად იმელთ მცხოვრებო, გთხოვ, იმათაც სცე ნუგეში!  
პირობა ქართველებისა, ვგონებ მიგვევა უბეში!..“*

6. ბოლოს კი უკვე უშუალოდ ჩნდება მწერლის დიდების საზომი და „ამოღებული ხანჯალი“, როგორც მთავარი ნიშანი მისი ტანჯული, მაგრამ პირნათელი ცხოვრებისა:

*„უწვენე შენი კალამი, ნაწები სისხლის გუბეში!“*

ლექსი ისევე მოსხლეტია და მაღალი ტონალობით მთავრდება, როგორითაც დაიწყო და ესეც გარკვეულად ხალხური ტრადიციის გამოძახილია. ამ აზრით პირველი ლექსი უფრო ლიტერატურული ნიშნების მატარებელია, ვიდრე ეს უკანასკნელი.

ფიქრობთ, არ არის აუცილებელი ამ ლექსების ტექსტობრივი და ქვეტექსტობრივი სტრუქტურის უფრო მეტად გაშლა და განვრცობა. ერთი რამ აშკარაა: ამ ლექსებს პირდაპირი კავშირი აქვს ქართული ხალხური (კერძოდ, გლოვისა და საგმირო) პოეზიის ტრადიციებთან; უფრო ზუსტად კი - ვაჟას მიერ შემოქმედებით ფარზე აზიდულ, ტრადიციულ კაი ყმის კულტთან.

ღიას, ამ ლექსების მიხედვით, ალექსანდრე ყაზბეგი ვაჟასთვის, პირველ რიგში, კაი ყმაა.

ვაჟასეული კაი ყმის კოდექსი ხალხის ტრადიციული ღირებულებებით საზრდოობს და, იმავე დროს, პოეტის მიერ სრულიად ახალ სიმაღლეზეა აყვანილი. ვაჟას მიხედვით, კაი ყმის ტიტული ეკუთვნის ყველა იმას, ვისაც უპირველესად სულის სიმტკიცე აქვს, ვინც ძლეულიც არ ნებდება, ვინც მტრის მძლავრებაზე იმარჯვებს განსაცდელთა დათმენით, ვისაც ფერს ვერ უცვლის სიკვდილის შიში...

ამ აზრით, კაი ყმაა თვით დაჭრილი არწივი, რომელიც ცალ მხარზე წაფერდებულიც კი არ ნებდება ყვაე-ყორნებს...

კაი ყმაა პოეტი, რომელიც უღმობელ წარმავლობას შეჰბმია სამკვდრო-სასიცოცხლოდ:

*„რაც უნდა ჭირი მომკერძო,  
ბილწთ არ შავეკერი ზავითა,  
მცნებას ვერ შემაცვლევინებ  
მოზღვავებულის ავითა!“*

ამიტომაც რა გასაკვირია, თუ აღექსანდრე ყაზბეგი „თანამებრძოლისაგან“ დაიტირება ისე ღირსეულად და ამაღლებულად, როგორც კაი ყმა. ნამდვილად ეკუთვნის „დამაარსებლისაგან“ ეს („კაი ყმის“) ტიტული მას, ვინც ერთადერთი აღმოჩნდა მათ შორის, ვისაც პირდაპირ შეეძლო მტრისთვის მტერი ეწოდებინა და მოყვრისთვის მოყვარე და ამით ქართველობისათვის პირი მოეწმინდა!

რაკი ვაჟას ლექსები გამიზნულად დავანაწევრეთ, ძნელი არ იქნება რამდენიმე ზუსტი მინიშნება გავაკეთოთ მისივე პოეტური სარაინდო კოდექსიდან - „კაი ყმა“:

*„ვინა, ვინ არის კაი ყმა?“*

ის, ვინც:

- 1. „სახე-სისხლგადამდინარი  
ტკივილსარგამოიტყოდეს.“*
- 2. „იქიდგეს ხმაღ-ამოწვდილი,  
საცდალაღმართსკვალავდეს.  
გაბეჩავებულს სიმართლეს  
უსამართლობას ძალავდეს.“*
- 3. „თავის სამარხად, სუდრად  
მარტოსახელსაწირავდეს.“*
- 4. „სწორსფიქრსაძღვედეს თემ-სოფელს,  
ცდუნებაარასძირავდეს.“*
- 5. „სულეთს შავიდეს ხმლიანი  
ღალიღალი საცხენითა...  
ქებაუყვილონ გმირებმა,  
გადასრულებმა ჩვენითა.“*

ვფიქრობთ, ნათელია, თუ რა მსოფლხედვია ტრანსფორმირებული აღექსანდრე ყაზბეგის ვაჟასეულ „დატირებაში“ (და ამ თვალსაზრისით აღნიშნული ორი ლექსი ერთი მთლიანია). მაგრამ ამ ორი მწერლის (და „კაი ყმის“) ღრმა შინაგანი კავშირის შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია გაგიაზროთ აღნიშნული კოდექსის ერთი უპირობო პირობა კაი ყმად აღიარებისათვის: ტკივილის დათმენა, განსაცდელის დაძლევა, ტანჯვით ამაღლება.

აღ. ყაზბეგის გმირები, უგამონაკლისოდ, ამ სავალდებულო გამოცდას გაივლიან და ამ გამოცდით მოიმკიან ამქვეყნიურ წარმავალ შეფასებასაც და, რაც მთავარია, საიმსოფლო დაფასებასაც.

აქ არის ვაჟასა და ყაზბეგის გმირთა სამყაროს შინაგანი ნათესაობა.

ხევისბურის ერთადერთი ვაჟი ონისე ყოველმხრივ საკარგემოდ შემზადებული ჭაბუკია.

მაგრამ მის წინაშე აღიმართა განსაცდელი, რომელთან ჭიდილშიც იგი დამარცხდა.

ის პრინციპები, რომელთა შესახებაც ზემოთ იყო საუბარი, ცხადია, ონისემაც ჩინებულად იცის. ამიტომაც ზუსტად აფასებს თავის მდგომარეობას განსაცდელთან პირველივე შეჯახების დროს:

*„ულვაში მაქვს, ქუდი მხურავს და გულიც უნდა დამმორჩილდეს!“*

მაგრამ ერთია სიტყვა (ცოდნა) და მეორე - მისი შესრულება (ქმედება). „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?!“



რაც მთავარია, ეს კოდექსი სისხლხორცეულია კაიყობაში დაჭარმაგებული გონასთვის, რომელიც ერთი დაწურული ფრაზით ზუსტად ეუბნება ყველაფერს პირმშო შვილს:

*- გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი!*

ეს ფრაზა სტრუქტურულად რთული თანწყობილი წინადადებაა, მაგრამ შემაღგენელ წინადადებებს შორის აზრობრივი კავშირი ასეთივე „თანწყობის“ არ არის. იქნებ ამანაც განაპირობა, რომ მისი პირველი ნაწილი სრულიად დამოუკიდებლად იქცა ფრთიან გამონათქვამად.

მაინც რას მიაწინებს ხევისბერის ამ მკაცრ სენტენციაში სიტყვა „ტანჯვა“?

ნაკლებ სავარაუდოა, იგი ამაში ფიზიკურ ტანჯვას, ანუ შესაძლო სასჯელს გულისხმობდეს (მიანიშნებდეს). ლოგიკური ოპერაციითაც ვერ მიიღება ამგვარი დასკვნა.

საზოგადოდ, რა არის ტანჯვა და სატანჯველი?

ცივილიზებული (შემმეცნებელი) ადამიანის გამოცდილებით, ტანჯვად მოიაზრება ადამიანის ხორციელი არსებობის ბრძოლა სულიერ (მორალურ) ვალდებულებებთან, ტანჯვა არის სურვილთა და გრძნობათა დაძლევა, გულის ჭიდილი გონებასთან, ტანჯვა არის არაერთ ამსოფლიურ განსაცდელთან ბრძოლა...

ტანჯვის დათმენა არის არა მხოლოდ ის, რომ „სახე სისხლგადამინარი ტკივილს არ გამოიტყოდეს“ და „კედებოდეს - არა გმინავდეს“, არამედ ისიც, რომ „ცდუნება არა სძირავდეს“ (და თუნდაც ისიც, რომ „მიძღვნილსა საუფროსოსა ამხანაგებსვე სწირავდეს“)...

საცთურთა გადალახვა, განსაცდელთა დაძლევა - ანუ ტანჯვით ამაღლება - აყალიბებს კაცობრიულ მცნებათა ძირითად ნაწილს.

ამას მიაწინებს ხევისბერი გონა შვილს ბიბლიური სიმკაცრით.

გასაოცარი დამთხვევაა განსაცდელთა (ტანჯვათა) და დათმენათამარადიული ხატის - იობის - (თვით)შეგონებასთან:

*„არამედ კაცი იშვების საღმობად, მართუენი ყანჩისანი მალალსა ფრინვენ (იობ. 5,7).*

„იობის წიგნის“ ერთ-ერთი რედაქციის ახალქართულ ვერსიაში ეს მუხლი ასე ჟღერს:

*„ადამიანი სატანჯველად იბადება და ნაპერწკლებივით მალლა მიისწრაფის.“*

დოკუმენტურად გაჭირდება დადგენა, იყო თუ არა აღექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი წყარო „იობის წიგნი“, მაგრამ იობის ბიბლიური ფიგურა რომ მწერლისათვის, საკუთარივე ბიოგრაფიიდან გამომდინარე, უცხო და უგრძნობელი არ უნდა ყოფილიყო, ეს აშკარაა.

ონისემ ვერა, მაგრამ აგტორმა სრულად დაიცვა ხევისბერის ანდერძის ორივე სენტენცია:  
*„გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!“*

*„ადამიანი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი!“*

ამიტომაც ამაღლდა იგი დიდებით.

ნაკლებ ცნობილ მწერალსა და პუბლიცისტს მიხედვით ბოჭორიშვილს ეკუთვნის სიტყვები:

„...და თუ მრავალთათვის შეუმჩნეველად დარჩა სანდროს დანაქადი: „შემოვალ საქართველოს კარებში დიდებით“, აღარავის შეჰპარვია ეჭვი, რომ იგი დიდებით გასცილდა საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ საგიჟეთში ამოხდა სული“.<sup>2</sup>

<sup>2</sup> „ქართული სიტყვა“, №4, 1923.

## **Avtandil Arabuli**

### **Ethics and Aesthetics of „Suffering” in Alexander Kazbegiks Works**

#### Summary

The characters of Al. Kazbegiks works establish themselves in their living environment through the peril (suffering). For example, Onise from „Khevisberi Gocha” who is warned in the decisive moment by his father with the following words: „A man is born to suffer”.

As it seems, the comprehension of this admonition has deep roots and is related to the moral code of the mountain characters by the author.

This point is crucial in the assessment of the writerks deeds, e.g. the poems by Vazha-Pshavela dedicated to him.

**გიორგი გოგოლაშვილი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**ხათუნა ყანდაშვილი**, დოქტორანტი

## მრავალგზისობის გამოხატვა კახურში

1999 წელს თსუ გამომცემლობამ გამოსცა „დოკუმენტები“ კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის“. ეს არის აჯანყებულ კახელთა საჩივრები და ჩვენებები (დაკითხვის ოქმები).

კახეთის ცნობილი აჯანყება 1812 წლის იანვრის ბოლოს დაიწყო და მოიცვა მთელი კახეთი (ქიზიყი, შიგნი და გარე კახეთი). აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მთავარმართებლის მარკიზ პაულინის გადაწყვეტილებით დაიწყო აჯანყების გამომწვევი მიზეზების შესწავლა. შეიქმნა საგანგებო კომისია. შეგროვდა ოცდაათამდე საჩივარი, ათეულობით მოწმე დაიკითხა. 1812 წლის ივნისში მთავარმართებელი შეიცვალა, კომისიამ მუშაობა შეწყვიტა და მოპოვებული მასალები პეტერბურგში გადაიგზავნა, შემდეგ ამ მასალამ ბინა დაიდო მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში. არქივიდან 1951 წელს მასალა გადმოწერა და გამოსაცემად მოამზადა ისტორიკოსმა შოთა ხანთაძემ, გამოსცა კიდევ 1961 წელს, თუმცა „არასასურველი გამოცემა“ სტამბაშივე განადგურდა. 1999 წელს შემთხვევით გადარჩენილი ცალის მიხედვით ხელახალი გამოცემა მოამზადა ისტორიკოსმა დ. ცინცაძემ. „დოკუმენტები“ საინტერესოა არა მარტო ისტორიული, არამედ ენათმეცნიერეული თვალსაზრისითაც; კერძოდ, კახური დიალექტის ისტორიული ვითარების გასარკვევად.

გამოკვეთილი დოკუმენტური მასალის მიხედვით ირკვევა, რომ მთხრობელები ჩვეულებრივი გლეხები არიან, წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი. მათზე წიგნის გავლენა გამორიცხულია, ისინი საუბრობენ ჩვეულებრივი სასაუბრო ენით. ჩამწერები სასულიერო პირები არიან, რომლებსაც ზოგ შემთხვევაში შესაბამისი განათლება აქვთ მიღებული. მასალის გაცნობისას აშკარად გამოიკვეთა ანტონ I-ის სკოლის გავლენა მართლწერაში, მაგრამ არსებითი ის არის, რომ ამბის გადმოსაცემად ის მორფოლოგიური ფორმები გამოიყენება, რომლებიც სწორად აქვს მიჩნეული მთხრობელს. ჩამწერი მორფოლოგიურ ფორმებს არ ცვლის. შეიძლება ტექსტი ფონეტიკური თვალსაზრისით სანდო არ იყოს, მაგრამ მორფოლოგიური ფორმების სანდოობაში ჩვენ ეჭვს ვერ შევიტანთ.

ჩვენ ამჯერად ხოლმეობითის ფორმები გვაინტერესებს. რა ვითარებაა ამჟამად მრავალგზისობის გამოხატვის თვალსაზრისით კახურ დიალექტში:

ქართული ენის ბარის დიალექტთაგან კახური დიალექტის ქიზიყური კილოკავი იმითაა გამორჩეული, რომ მრავალგზისობის ორგანული წარმოება აქ არის შემორჩენილი. ჩვენი დაკვირვება ძირითადად ემყარება ქართული დიალექტოლოგიის ქრესტომათიასა <sup>1</sup> და ა. მარტიროსვისა და გრ. იმნაიშვილის მონოგრაფიაში<sup>2</sup> წარმოდგენილ ტექსტებში.

როგორც აღვნიშნეთ, ქიზიყურ კილოკავში ორგანული წარმოება მეტ-ნაკლებად შემორჩენილია (როგორც მიუთითებენ, უმეტესად უფროსი ასაკის მთქმელებთან); გარე და შიგნი კახურში ხოლმეობითების კვალი ჩანს, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს მორფოლოგიური კატეგორია ცოცხალია.

ქიზიყურში დასტურდება როგორც პირველი, ასე მეორე ხოლმეობითის ფორმები:

<sup>1</sup> ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე. ქართული დიალექტოლოგია. ტ. I. თბილისი, 1961.

<sup>2</sup> ა. მარტიროსვი. გრ. იმნაიშვილი. ქართული ენის კახური დიალექტი. თბილისი, 1956.

„მამა მაიფშენტამდის თვალზე, შაინშენის და იტყოდის“ (დიალ. 222);

„გრძელ მიწებშიცა გვქონდის მიწა“ (დიალ. 214);

„ოთხას-ხუთას ცხვარი კვევანდის ერ ბინაში“ (დიალ. 167);

„შაბიან გათენები ხან ურემ, მამა-შვილი დაწვიან ნაბდქვეშ, მე გამიმძღვარიან ურემ წინა, თითონ კი ხვრინამდნენ“ (დიალ. 211).

თუმცა ამგვარი მასალიდან ჩანს, რომ მრავალგზისობის მორფოლოგიური გამოსატვა ადწერთი წარმოებით იცვლება. „გამოვლინდება ისეთი შემთხვევები, როდესაც 1. ხოლმეობითის ორგანულ ფორმებს დაერთვის **ხოლმე** ნაწილაკი; 2. სხვა მწკრივის ფორმებთან ერთად გვხვდება **ხოლმე** ნაწილაკი; 3. გამოიყენება **-ყე / -კე** ნაწილაკთა სახესხვაობები და 4. ამ მნიშვნელობით გამოიყენება უწყვეტლის მწკრივი“.<sup>3</sup> დასკვნა ქიზიყურის მიხედვით გაკეთდა. სხვა კილოკავებში ორგანული წარმოება თითქმის აღარ გვხვდება.

„ხანდახან ქარი მაღტეხამდის ხოლმე ხი ტოტ და ზამბა გადციოდის დაბლა“ (213; 14);

„კოლექტივში ეხლა იგეთი ვაზი მაფაეთ, რო სამ-ოთ რქად აძლევნხოლმე“ (216,24);

„ყოფილა შამთხვევა, რო ღვინობი და გიორგობითვეში პური მიღეწნია ხოლმე“ (215; 25);

„მამაჩემი იტყოდაყე: ბატონი ჩვენი წინა მხარში, გურჯაანში კვევანდაო“ (19; 30);

„მე როგორც პატარა, ვეხვევიაკ, ხან უბეში უჭერებიკ, ხან ყელზე ვეხვევიაკ მამათილს, დედამთილს, მაზლებს და მულებს“ (26; 29).

არსებობს არამ მარტიროსოვის გამოკვლევა „დიალექტიზმები XV- XVI საუკუნეების კახური ისტორიულ საბუთებში“.<sup>4</sup> ისტორიული დოკუმენტების მიხედვით საინტერესო დასკვნებია გაკეთებული, თუ რა ვითარება გვქონდა იმ პერიოდის კახურ დიალექტში. ხოლმეობითის ორგანული წარმოების შესახებ ავტორი მცირე შენიშვნას აკეთებს: „გვხვდება II ხოლმეობითის ფორმები; მაგ: კაცმა ცოლი გაყიდის და თავათ დარჩის“.<sup>5</sup> აქ მხოლოდ ეს ერთი მაგალითია დასახელებული. როგორც ჩანს, ავტორის მიერ შესწავლილ საბუთებში სხვა მაგალითი არ დასტურდება. დასკვნა შესაბამისად ის არის, რომ XV-XVI საუკუნეების კახურ დიალექტში ხოლმეობითის ორგანული წარმოება იშვიათი ფაქტია. ეს დასკვნა კითხვას აჩენს: თუ XX საუკუნეში ხოლმეობითის ორგანული წარმოება ფაქტია, 4-5 საუკუნით ადრინდელ მასალაში ეს ფაქტი უგრო მეტად უნდა იჩენდეს თავს.

ამ ფონზე ჩვენი საკვლევი მასალის ჩვენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ხოლმეობითი, როგორც მორფოლოგიური კატეგორია ცოცხალია და აქტიურად გამოიყენება მთელი კახეთის ტერიტორიაზე, არა აქვს მნიშვნელობა სად არის ტექსტი ჩაწერილი, ქიზიყში, გარე კახეთსა თუ შიგნიკახურში. ხოლმეობითს მწკრივებს ყველგან თანაბარი სიხშირით ვხვდებით მრავალგზისობის გადმოსაცემად. საილუსტრაციო მასალიდან მოვიყვანთ ნიმუშებს:

**ქიზიყი:** „კამისერისაგან პური რომ მოგვართვიან, როგორითაც ჩვენ ერთმანეთში ისყიდებოდეს, სრულებით ფასი არ მოგვციან და ისეთის ლიტრით გვართმევიდნან, რომ თოთხმეტი ლიტრა კოდათ მიწვიან და ბეგარასაგანაც შეწუხებულნი ვიყავით, რომელსაც ხარს აღარ შეძლის წადება“ (მადარო, ნუკრიანი);

„როცა იმათან მივიდით და შაფნივლით, უფრო დიდს მწუხარებაში მიგვციან რათა სთქვიო“ (ბოლბე);

„ქირას დაგვიპირდიან და მოცემა არსად იყვის“ (ვაქირი);

„ჩვენ ცოლებს ჩვენ თვალწინ ციან და ჩვენ დაგვიჭირიან და ჩვენ ცოლებთან გვციან“ (ჯუგაანი);

„ვაშკაცებ ცოლები წაართვიან და თითონ დაიჭირიან და უნამუსოთ გახდიან“ (ბოლბისხევი)

<sup>3</sup> ხ. ყანდაშილი. მრავალგზისობის გამოსატვა ქართული ენის კახურ დიალექტში.– კრებული იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. XXXIX. თბილისი, 2011, გვ. 202.

<sup>4</sup> ა. მარტიროსოვი. დიალექტიზმები XV-XVI საუკუნეების კახურ ისტორიულ საბუთებში. კრებული იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. IV. თბილისი, 1953.

<sup>5</sup> ა. მარტიროსოვი. დიალექტიზმები XV-XVI საუკუნეების კახურ ისტორიულ საბუთებში.– კრებული იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. IV. თბილისი, 1953, გვ. 266.

**შიგნიკასური:** „და ოდეს მივართმევდით პურსა, სამს კაცზედ ჩაფს ღვინოსა დათვრიან და სხვა უმჯობესი ღვინო ითხოვიან და ამა სიღარიბესა შინა მიცემულნი ხალხნი იშოვნიდნენ ღვინოსა უმჯობესა, შემდგომ სთხოვიან დედათაგანიც მოგვრეთო“ (ვეჯინი, გურჯაანი);

„არ იყო ჩვენი შეწყალება, რა საგპალი გეკონდის შევსჭამდით და დავრჩებოდით მშიერნი“ (თელავის მაზრა);

„კაცი რომ ავით გახდებოდა, ცემას დაუწყებდნენ ჰსტყუიო და საცა კარი მოკვდის, იმის მაგიერ უღელში ჩაგვაბემდნენ“ (კარდანახი)

**გარეკასური:** „რაც იმათ გადარჩის და ქვევრში ჩავასხემდით ისიც ქურდობით აგვისადიან, რაც შეეძლებოდათ წაიღიან და რაც დარჩის სულ მიწით ადავისიან და წაგვისდინიან, რომ ღვინოთ აღარ გამოდგებადგის“ (კაკაბეთი)

ამ ტიპის მაგალითები „კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტებში“ მრავლადაა. თავისთავად ტექსტის შინაარსი ისეთია, სწორედ მრავალგზისობის გამომხატველი ფორმების გამოყენება ხდება აუცილებელი. ასე რომ, ამ დროისთვის კახურ დიალექტში ცოცხალია მრავალგზისობის ორგანული წარმოება; ჩვეულებრივია I და II ხოლმეობითების გამოყენება.

ეს დასკვნა როგორ ეგუება XV-XVI საუკუნეების მასალის ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნას? წინააღმდეგობა არის, მაგრამ ამ წინააღმდეგობას ახსნა აქვს: ის ისტორიული საბუთები, რომლის ანალიზის საფუძვლებზეც იქნა გამოტანილი დასკვნა, როგორც ჩანს, თავისი ხასიათით იმ შინაარსისაა, რომ მრავალგზისი მოქმედების გამომხატველი ფორმების გამოყენება არ იყო საჭირო... ეს ფაქტი იმის დასტურიც არის, რომ როცა ამა თუ იმ მოვლენის გავრცელებაზე ანდა გამოყენების სიხშირეზე ვსაუბრობთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ საანალიზო მასალის შინაარსს, დანიშნულებას.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ „კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტები“ კახური დიალექტის ისტორიის სანდო წყაროა. ეს განსაკუთრებით ითქმის მორფოლოგიური ფაქტებისა და მოვლენების თაობაზე. კონკრეტულად, ამ მასალის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მრავალგზისობის მორფოლოგიური კატეგორია კახურ დიალექტში XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცოცხალია; I და II ხოლმეობითის მწკრივების გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა.

**Giorgi Gogolashvili**

**Khatuna Kandashvili**

### **Expressing Recurrence in Kakhetian**

#### **Summary**

Recurrence is no longer expressed by means of the iterative screeves in the Kakhetian dialect of the Georgian language. It is mainly expressed by the descriptive means and the continual screeve. Just in Kizik accent the iterative screeves are preserved as a rest. The situation was different in the nineteenth century. The screeves of iterative were used in Outer Kakhetian, Inner Kakhetian and Kizik. Those days they were actively used to express recurrence.

თეა ბურჭულაძე, ფილოლოგიის დოქტორი

## რთული შედგენილობის მსაზღვრელ-საზღვრულის ფორმაწარმოებისათვის

მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობა სამგვარია: შეთანხმებული, მართული და მართულ-შეთანხმებული. ეს ფორმები ქართულში საკმაოდაა შესწავლილი, მაგრამ ზოგი რამ მაინც საჭიროებს გარკვევას ან დაზუსტებას. ამჯერად საკითხი ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა მსაზღვრელად გვაქვს გარკვეული სტატუსის აღმნიშვნელი რამდენიმესიტყვიანი სახელწოდებანი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად გამოყოფილ ერთგვარ სუბსტანტიურ განსაზღვრებიან წინადადებათა გვერდით გვხვდება ისეთი სუბსტანტიურგანსაზღვრებიანი კონსტრუქციებიც, რომლებშიც ერთგვარი წევრები არ არის. მაგ., „ეს მოხდა რომელიღაც თანამშრომლის ბავშვის დაბადების დღეზე“; „მათი თუჯის ზარბაზნების ლულების ცქერას არაფერი მერჩია“... ასეთ წინადადებებში სუბსტანტიური განსაზღვრებები ურთიერთგანმსაზღვრელნი არიან. მაგალითად, დღეს განსაზღვრავს დაბადების, დაბადების – ბავშვის, ბავშვის – თანამშრომლის და ა.შ. აქ ესენი საზღვრულის (დღე) უშუალო განსაზღვრებები კი არა, არამედ ურთიერთგანმსაზღვრელი წევრები არიან. მაშასადამე, აქ გვაქვს მართულ მსაზღვრელთა რიგი.<sup>1</sup>

რა თქმა უნდა, ასეთ წინადადებებს გამოყენების თავისი არე გააჩნია, რაც სტილისტიკურადაა შეპირობებული. სუბსტანტიურ განსაზღვრებათა პრეპოზიციული რიგი მსაზღვრელთა შინაარსობრივ ორპირობებას თავიდან აგვაცილებს<sup>2</sup>.

მსაზღვრელის ერთ-ერთი სახეა დანართიც, ე.ი. არსებითი სახელი, რომელიც მეორე არსებითს საზღვრავს, ჩვეულებრივ საკუთარს. <sup>3</sup> ხაზგასასმელია ისიც, რომ ურთიერთგანმსაზღვრელ წევრთა გვერდით შეიძლება იყოს ე.წ. სუბსტანტიური დანართი, რომელიც წარმოშობით თვითაა სუბსტანტიური განსაზღვრება. ასეთი დანართი არაა გამოყოფილი და ამით, თითქოსდა, იქმნება ურთიერთგანსაზღვრებიან სინტაგმათა მთელი ჯაჭვი. თანაც, არსებითი სახელი და მსაზღვრელი არსებითი სახელი (დანართი) ისეთსავე დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, როგორშიც ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრული.<sup>4</sup>

აღნიშნულია, რომ შესიტყვების წევრები იბრუნვიან სხვადასხვაგვარად იმისდა მიხედვით, თუ როგორ ჯგუფდებიან ისინი სინტაქსურად. მაგალითად, შესიტყვებაში დიდი ხის ტოტი არის განსაზღვრება მართული მსაზღვრელისა (დიდი ხის), თუ საზღვრულისა (დიდი ტოტი). თუ დიდი მართულ მსაზღვრელს განსაზღვრავს, შეთანხმებულია, მასთან აღარ იბრუნვის (დიდი ხის ტოტი, დიდი ხის ტოტმა...), ხოლო, თუ დიდი საზღვრულის (ტოტი) მსაზღვრელია და პირველ ადგილზე დგას, იბრუნვის (დიდმა ხის ტოტმა).<sup>5</sup> აქედან ჩანს, რომ ამ ორი განსხვავებული ტიპის

<sup>1</sup> თ. ბურჭულაძე. ერთი სახის ურთიერთგანმსაზღვრელ წევრთა შესახებ.– საენათმეცნიერო ძიებანი. IX. თბილისი, 1999, გვ. 85.

<sup>2</sup> ლ. ლეჟავა. მსაზღვრელთა რიგი რამდენიმე არაერთგვარ მსაზღვრელებიან შესიტყვებაში.– კრებული ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. წიგნი პირველი. თბილისი, 1972, გვ. 91.

<sup>3</sup> აკაკი შანიძე. თხზულებანი. III. 1980, თბილისი, გვ. 88.

<sup>4</sup> ნ. ცქიტიშვილი. დანართის ძირითადი სტილისტიკური ფუნქციები და მართლწერასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი.– კრებული ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. წიგნი მეხუთე. თბილისი, 1983, გვ. 113.

<sup>5</sup> ლ. ლეჟავა. მსაზღვრელთა რიგი რამდენიმე არაერთგვარ მსაზღვრელებიან შესიტყვებაში.– კრებული ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. წიგნი პირველი. თბილისი, 1972, გვ. 78.

შესიტყვების სრული ფორმალური დამთხვევა გვაქვს სახელობით, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში. რაც შეეხება სხვა ბრუნვებს, ისინი ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნვის ნიშნებით ამ ორი ტიპის შესიტყვების გარჩევის შესაძლებლობას ქმნიან.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ აზრობრივი ბუნდოვანება და ორაზროვნება მსგავს შემთხვევებში ენაში მოწესრიგდა იმის მეშვეობით, რომ გამონათქვამები დაჯგუფდა გარკვეული წესის მიხედვით. ერთი მხრივ, არის შესიტყვებები, რომლებიც გარკვეულ სიმყარეს იჩენენ, არ ითიშებიან და მათ შეთანხმებული მსაზღვრელის წინ დასვამენ ხოლმე, მეორე მხრივ კი გამონათქვამები, რომელთაც ასეთი სიმყარე არ გააჩნიათ, ითიშებიან და ატრიბუტულ, შეთანხმებულ მსაზღვრელს შუაში ჩართავენ.<sup>6</sup>

ზოგადად, ნათესაობითში მართული განსაზღვრება განხილულია არაერთ მკვლევართა შრომაში (ვ. თოფურია, ა. კიხირია, ლ. ლექვაჯა...): თუმცა სუბსტანტიურ განსაზღვრებაზე დაკვირვებამ ზოგი თავისებურებანი წარმოაჩინა და ჩვენი ყურადღებაც მიიპყრო.

როგორც აღვნიშნეთ, ქართულში ხშირად გამოიყენება ისეთი სინტაქსური კონსტრუქციები, როცა მსაზღვრელად გვაქვს გარკვეული სტატუსის აღმნიშვნელი რამდენიმესიტყვიანი სახელწოდებანი. მაგალითად: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კულტურის ცენტრი“, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელექტრონიკა“ და სხვ.

სირთულეს ქმნის ასეთი ტიპის მსაზღვრელ საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმებისა და თანდებულ დართული ფორმების მართლწერის საკითხები. მსგავსი წინადადებების ხვადასხვადაა წერილობით გვხვდება როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში, ისე პრესაში.

მაგალითისათვის თავდაპირველად წარმოვადგენთ ნათესაობით ბრუნვისფორმიან შესიტყვებებს: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კულტურის ცენტრის“ შრომის შინაგანაწესი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურის ცენტრის“ შრომის შინაგანაწესი, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირ „კულტურის ცენტრის“ შრომის შინაგანაწესი... ასეთი ფორმები ხშირია ასევე საკანონმდებლო სახის დოკუმენტებში (დადგენილებები, განკარგულებები, ბრძანებულებები...): „**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ** სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ (განკარგულება №130, 2015 წ. 5 თებერვალი); **საჯარო სამართლის იურიდიულ პირ–სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს** თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების მიმართ არ გავრცელდეს ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა” (დადგენილება №331, 2015 წლის 23 თებერვალი); „საქართველოს მთავრობის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს **საჯარო სამართლის იურიდიული პირის საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის უფროსს გიორგი კურტანიძეს**“ (ბრძანებულება №2666, 2014 წლის 31 დეკემბერი)...

ცხადია, აქ გამოიკვეთება დასახელებული აგებულების მსაზღვრელ-საზღვრულის სხვა ბრუნვებში შეთანხმება-შეწყობის საკითხებიც. ჩანს, რომ გარდა აზრობრივი ბუნდოვანებისა, აქ ასევე სტილია გასამართი და დასახვეწი. თვითონ დასახელებულ ფორმათა წარმოების დადასტურებული სიტყვლეც მიუთითებს არაერთგვაროვნებაზე.

ვფიქრობთ, მსგავსი აგებულების მქონე მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობისას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ისეთ კონსტრუქციას, როცა რამდენიმესიტყვიანი მსაზღვრელი ბრუნვაში ეთანხმება ასევე რამდენიმესიტყვიან საზღვრულს. მხოლოდ, მთლიანი კონტექსტის

<sup>6</sup> ლ. ლექვაჯა. მსაზღვრელთა რივი რამდენიმე არაერთგვარ მსაზღვრელებიან შესიტყვებაში.– კრებული ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. წიგნი პირველი. თბილისი, 1972, გვ. 80-81.

გათვალისწინებით საჭირო ხდება მათ შორის ტირეს დასმა. პარადიგმა კი ასეთი სახით წარმოგვიდგება:

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „კულტურის ცენტრი“
- არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა – „კულტურის ცენტრმა“
- არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს – „კულტურის ცენტრს“
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „კულტურის ცენტრის“
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირით – „კულტურის ცენტრით“
- არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად – „კულტურის ცენტრად“

მსგავსი ფორმაწარმოება იქნება **სსიპ, შპს** და სხვა მსგავსი სტატუსის შემცველ რამდენიმეწევრიან სახელწოდებებთანაც:

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“
- საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – „მეწარმეობის განვითარების სააგენტომ“
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“
- საჯარო სამართლის იურიდიული პირით – „მეწარმეობის განვითარების სააგენტოთი“
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – „მეწარმეობის განვითარების სააგენტოდ“

მოყვანილ ფორმებში ჩვენთვის კომპანიების, დაწესებულებების რამდენიმეწევრიანი სახელწოდება დანართი არაა, ის სუბსტანტიური საზღვრულის ტიპია და ამიტომ იბრუნვის ისე, როგორც ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრული. რაკი სირთულეს სწორედ რამდენიმეწევრიანი შესიტყვებები ქმნის, ამიტომ აგებულების გასამარტივებლად, აზრის ცხადად გადმოსაცემად ტირეს გამოყენებაა მართებული – მიჯნავს ორ რთულ სახელწოდებას და ის უფრო ნათლად აღსაქმელს ხდის მთლიან კონსტრუქციას.

რაც შეეხება ამ რიგის მსაზღვრელ-საზღვრულის თანდებულდართულ ფორმებს, აქაც სხვადასხვა ფორმა დასტურდება: არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში „კულტურის ცენტრში“ დასაქმებული, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ „კულტურის ცენტრში“ დასაქმებული, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურის ცენტრში“ დასაქმებული, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ „კულტურის ცენტრში“ დასაქმებულში... ასეთი ფორმებიც ხშირია საკანონმდებლო სახის დოკუმენტებში: **„საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – სურსათის ეროვნულ სააგენტოში განხორციელებს მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია...“** (დადგენილება №367 4 ივნისი); „ამ დადგენილების მოქმედებიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოს... გადაცემა სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული **საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის“** (განკარგულება №39, 2015 წლის 5 თებერვალი)...

ასეთი ფორმაწარმოება განსაკუთრებით რთულია, რადგან ისედაც სინტაქსურად გადატვირთულ კონსტრუქციებს თან ერთვის თანდებულები. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დასახელებულ ფორმებში უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ მთლიანი კონტექსტი. ერთი შეხედვით, მხოლოდ საზღვრულის თანდებულებით ფორმებით წარმოება შეიძლება სტილურად მართებული ყოფილიყო: არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირ – „კულტურის ცენტრში“, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირ – „კულტურის ცენტრთან“, ან კიდევ, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირ – „კულტურის ცენტრისთვის“ – ანუ მსაზღვრელის ბოლო წევრი ფუძის სახით წარმოგვედგინა, ხოლო საზღვრული – თანდებულდართული ფორმით. თუმცა, ვფიქრობთ, როცა მას მთლიანი კონტექსტით გავიაზრებთ, გაუმართავი იქნება: არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირ – „კულტურის ცენტრთან“ არსებული ხარჯთაღრიცხვა, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირ – „კულტურის ცენტრისთვის“ დადგინდეს...

ჩვენი რეკომენდაცია ასეთია – თანდებული დაერთოს მსაზღვრელსაც და საზღვრულსაც, ოღონდ მათ შორის ტირე აუცილებელია შინაარსობრივ-სტილისტიკური გამართულობისა და



რთული დასახელებების გამიჯენისათვის. გარდა ამისა, ასეთი ფორმაწარმოებისას დაცულია ერთგვაროვნება ყველა თანდებულდართული ფორმების შემთხვევაშიც:

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში – „კულტურის ცენტრში“  
დასაქმებული პირები;

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე – „კულტურის ცენტრზე“  
მოგახსენებთ;

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთან – „კულტურის ცენტრთან“  
არსებული ხარჯთაღრიცხვა;

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის – „კულტურის ცენტრისთვის“  
დადგინდეს.

## **Tea Burchuladze**

### **Towards the formation of compound determinandum-determinatum**

#### **Summary**

Georgian often uses such syntactic constructions when the names containing several words denoting a certain status occur as a determinandum. Complication is made by the problem of agreement of typical determinandum-determinatum in a case as well as spelling of the forms with postpositions. I believe that in agreement of typical determinandum-determinatum a priority should be given to such a construction when a determinandum containing several words coordinates in case with a determinatum containing several words. Considering the entire context, it is required to put a dash between them. As regard the forms with postpositions, my recommendation is thus: a postposition should be added to a determinandum as well as determinatum, but a dash is required between them in order to make contents and stylistics well-done and to demarcate compound names. Additionally, similar forms with postposition are formed similarly, as well.

ლევან ბებურიშვილი, დოქტორანტი

## ორი სიმართლის საკითხი ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელში“

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში სამართლიანადაა აღიარებული, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთ უძირითადეს საკითხად პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა გვევლინება. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეთაა დასმული პოემა „სტუმარ-მასპინძელში“, თუმცა კრიტიკოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ფონზე ნაწარმოებში არსებითად გადმოცემულია ორ სიმართლეს შორის მოქცეული ადამიანის ტრაგედია. პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირება კი განპირობებულია ურთიერთშეუთავსებელი, სავალდებულო ზნეობრივი ნორმების კონფლიქტით. ასეთ შეხედულებას გამოთქვამს ისეთი ავტორიტეტული კრიტიკოსი, როგორცაა აკაკი ბაქრაძე. მისი აზრით, „ვაჟა-ფშაველას სამ პოემაში – „სტუმარ-მასპინძელი“, „აღუდა ქეთელაური“ და „გველის მჭამელი“ – დახატულია ორ სიმართლეს შორის მოქცეული ადამიანის ტრაგედია“. <sup>1</sup> უფრო დეტალურად კი კრიტიკოსი ამგვარად აანალიზებს ნაწარმოებში წამოჭრილ კონფლიქტს: „ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ზნეობრივი წესი – სტუმარ-მასპინძლობა და შურისძიება. ორივე, როგორც საზოგადოების, ისე პიროვნების მიერ თანაბრად არის აღიარებული... რა უნდა ჰქნას, ერთი მხრივ, ჯოყოლამ და, მეორე მხრივ, საზოგადოებამ? ორივე ადათის დაცვა შეუძლებელი და გამორიცხებულია... ჯოყოლამ (პიროვნებამ) სტუმარ-მასპინძლობის წესის დაცვა არჩია, საზოგადოებამ – შურისძიებისა. დაირღვა ჰარმონია. ორი სიმართლე დაეჯახა ერთმანეთს. მართალია ჯოყოლა, იგი იცავს სტუმარ-მასპინძლობის ადათს, მტყუანია ჯოყოლა – იგი არღვევს შურისძიების ადათს. მართალია საზოგადოებაც. იგი იცავს შურისძიების ადათს. მტყუანია საზოგადოებაც. იგი არღვევს სტუმარ-მასპინძლობის ადათს. ორი სიმართლის და ორი სიმტყუანის ბრძოლისას გაიმარჯვა საზოგადოებამ“. <sup>2</sup> აკაკი ბაქრაძე იმასაც საგანგებოდ აკონკრეტებს, რომ მართალია, საზოგადოება იმარჯვებს ფიზიკურად, მაგრამ ზნეობრივი გამარჯვება პიროვნებას რჩება.

იმავე შეხედულებას ავითარებს ზაზა შათირიშვილიც: „სტუმარ-მასპინძლისა“ და „აღუდა ქეთელაურის“ საერთო თემა პიროვნებისა და საზოგადოების კონფლიქტია. მაგრამ საქმე ისაა, რომ, მაგალითად, „სტუმარ-მასპინძელში“ ერთმანეთს უპირისპირდება არა „კოლექტიური“ და „ინდივიდუალური“, არა პიროვნება და საზოგადოება (თემი), არამედ ორი კანონი სტუმარ-მასპინძლობის „წესი“ (ოჯახის კანონი) და „წესი“ სისხლის აღებისა (თემის კანონი). ჯოყოლა და აღაზა იცავენ ერთ წესს, ხოლო თემი მეორეს და, ცხადია, რომ (როგორც ჭეშმარიტ ტრაგედიაში), ორივე მხარე მართალია“. <sup>3</sup>

კრიტიკოსის აზრით, ნაწარმოებში განვითარებული კონფლიქტები ცალმხრივად შესრულებული მოვალეობების შედეგია: „სტუმარ-მასპინძელში“ სამი კონფლიქტია: ჯოყოლა უპირისპირდება თემს, ანუ სტუმარ-მასპინძლობა უპირისპირდება სისხლის აღებას; აღაზასაგან ზვიადაურის დატირება ასევე, უპირისპირდება თემის კანონს, ხოლო სულ ბოლოს, ჯოყოლა ისევ უპირისპირდება თემს, რადგან „მარტო ბრძოლა“ სახლის, ოჯახის, ანუ საკუთარი ღირსების

<sup>1</sup> ა. ბაქრაძე. ადამიანი და ორი სიმართლე.– ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1983, N 8, გვ. 51.

<sup>2</sup> ა. ბაქრაძე. რწმენა. თბილისი, 1990, გვ. 194.

<sup>3</sup> ზ. შათირიშვილი. ვაჟა-ფშაველა და პოეზიის საწესი.– ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2006, N13, გვ. 28.

დაცვაა, ხოლო თემი, ცხადია, სხვაგვარად ფიქრობს. სამივე შემთხვევაში მართალია ორივე მხარე, რადგან ორივე მხარე ოდენ ერთ „წესს“, ერთ კანონს იცავს და აღასრულებს“.<sup>4</sup>

ზემოთ მოტანილ შეფასებებში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ორივე მხარე (ჯოყოლაც და თემი(ც) იცავს მხოლოდ ერთ სავალდებულო ადათობრივ ნორმას (ჯოყოლა – სტუმარ მასპინძლობის წესს, თემი – შურისძიების ადათს) რაც განპირობებულია იმით, რომ მსგავს ვითარებაში ორივე ადათის დაცვა გამორიცხებულია. აქ იგულისხმება ისიც, რომ ადათობრივი სამართლის მიხედვით, არაა განსაზღვრული, თუ რომელ ზნეობრივ ჩვეულებას ენიჭება უპირატესობა მსგავს შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ორივე მხარეს აქვს საკუთარი სიმართლე. აღნიშნული მოსაზრების სისწორის დასადგენად უნდა გაირკვეს, რამდენად თანმიმდევრულია ერთი მხრივ, ჯოყოლა, ხოლო მეორე მხრივ – თემი კანონთა აღსრულებისას, მართლაც დგას ნაწარმოებში ეთიკური დილემა, თუ შესაძლებელი იყო იმგვარად მოქცევა, რომ ადათობრივი სამართლის ნორმები არ დარღვეულიყო?

ჯოყოლას დახასიათებისას მიუთითებენ, რომ იგი უპირისპირდება თემს, რამდენადაც ჯერ მასპინძლობას უწევს მტერს, შემდეგ კი უარყოფს სისხლის ალების ადათს. გ. ქიქოძის მიხედვით, თემის პოზიციიდან ჯოყოლა მოღალატეა უმთავრესად იმის გამო, რომ მტერს მასპინძლობს: „ვაჟას გმირების უბედურება იწყება იმ წუთიდან, როცა ისინი სცდილობენ გადალახონ ბუნებრივი და ათასწლოვანი ტრადიციებით განმტკიცებული საზოგადოებრივი საზღვრები... ტრაგიკულია ჯოყოლასა და ალაზას ბედი „სტუმარ-მასპინძელში“: მათ უღალატეს თავიანთ თემს და ქისტების მოსისხლე მტერს მასპინძლობა და ჭირისუფლობა გაუწიეს“.<sup>5</sup>

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, რამდენად იბრძვის ჯოყოლა ათასწლოვანი ტრადიციის (სისხლის ალების) წინააღმდეგ და შეიძლება ჩაითვალოს თუ არა იგი მოღალატედ თემის პოზიციიდან იმის გამო, რომ მტერს უმასპინძლა.

იურიდიული განმარტების მიხედვით, ღალატი ადამიანის შეგნებული, გაცნობიერებული, წინასწარგანზრახული საქციელია. შესაბამისად, ჯოყოლას ღალატზე იმ შემთხვევაში შეიძლება საუბარი, ზვიადაურის ვინაობა რომ სცოდნონდა და მაინც სტუმრად დაეპატიჟა იგი. ნაწარმოებში კი მოქმედება იმგვარად ვითარდება, რომ ჯოყოლა მისდაუნებურად, წინასწარი განზრახვის გარეშე მასპინძლობს მტერს. თავის მხრივ, ქისტებმაც შესანიშნავად იციან, რომ ჯოყოლა არ არის მოღალატე და უბრალოდ ვერ სცნობს ზვიადაურს. მასპინძლისაგან გასული „დროული კაცი“ ასე ხსნის ჯოყოლას საქციელს:

„ქისტებო, ჩვენი მოსისხლე  
შემოგვეპარა ღამითა.  
სჩანს, რო ჯოყოლა ვერ იცნობს,  
არ უნახია თვალითა  
ეგ ჩვენი ამომგდებელი,  
ჩვენი მრბეველი ძალითა“;

ერთი სიტყვით, არავითარი საფუძველი არ გვაქვს, ვისაუბროთ ჯოყოლას მიერ თემის ღალატზე იმის გამო, რომ იგი ზვიადაურს მასპინძლობს. მეორე საკითხია ის, თუ რამდენად უპირისპირდება ჯოყოლა სისხლის ალების ადათს საერთოდ.

ნაწარმოების შესავლიდანვე ვიგებთ, რომ ჯოყოლა არათუ უარყოფს სისხლის ალების ადათს, არამედ სწორედაც რომ შურისძიების გრძნობით ადვსილი დაეხეტება წყვილიადში: „ძმის მკვლელის სისხლი სწყურია, კაცი რამ მოდის გზაზედა.“ არსად უპირისპირდება ჯოყოლა შურისძიების წესს შემდეგაც. მას სრულიადაც არ აქვს მისწრაფება რომელიმე ადათის დარღვევისაკენ, უბრალოდ თანმიმდევრულობის დაცვის მომხრეა, როდესაც ეუბნება მუსას: „მე გთხოვ გაუშვა, მუსაო, ნუ სტანჯავ უდიერადა, როცა გასცდება ჩემს ოჯახს, იქ მოეყარით ავადა“. სამართლიანად აღნიშნავს გრიგოლ კიკნაძე: „ჯოყოლა ამ შემთხვევაშიც ცნობს იმ

<sup>4</sup> ზაზა შათირიშვილი. ვაჟა-ფშაველა და პოეზიის საწყისი.– ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2006, N13, გვ. 28.

<sup>5</sup> გ. ქიქოძე. წერილები ხელოვნებაზე. თბილისი, 1936, გვ. 50.

ადათს, რომლის თანახმად ოჯახიდან გასული სტუმრის მიმართ ისევ ძალაში შედის სისხლისადების მოთხოვნა. ასე რომ, ჯოჯოლა სავსებით თანმიმდევრულია ადათების დაცვის თვალსაზრისით“.<sup>6</sup>

მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა, მიუთითებენ, რომ მართალია, თემში არსებობს ერთი მხრივ, სტუმრის ხელშეუხებლობის მოთხოვნა, ხოლო მეორე მხრივ, შურისძიების ადათი, მაგრამ არ არის ცხადად დადგენილი, რომელ მათგანს ენიჭება უპირატესობა იმ შემთხვევაში, როცა მტერია სტუმრად; როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს მასპინძელი, რომელი ადათი უნდა დაიცვას მან, სტუმარ-მასპინძლობის, თუ სისხლის აღების?

სინამდვილეში, ვაჟა-ფშაველას გმირებისათვის შესანიშნავად არის ცნობილი, თუ რომელ ადათს უნდა მისდიოს ამ დროს მასპინძელმა. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სტუმარმასპინძლობას. ეს მთიელთა უზოგადესი კანონია. აღნიშნული გარემოება კარგად ჩანს ვაჟა-ფშაველას პოემაში „სისხლის ძიება“. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ქიჩირი აპირებს, რომ მოსისხლე მტერს, ასლანს ესტუმროს. მიუხედავად იმისა, რომ ის შესანიშნავად იცნობს მასპინძლის მზაკერულ ბუნებას, მაინც ძნელად წარმოუდგენია, რომ ისეთი ზნეწამსდარი კაციც კი, როგორცაა ასლანი, გაბედავს და დაარღვევს სტუმარ-მასპინძლობის უწმინდეს მოვალეობას და ოჯახში მისულ მოწინააღმდეგეზე ხელს აღმართავს:

„მე კი ჩვენს, ჩერქეზთ რჯულზედა  
სახლში მიუვალ ძმურადა!..  
არც მე მექნება სანადვლოდ,  
არც თავი დაკარგულადა.  
სადმროთ წესს როგორ დაარღვევს,  
ისეც გაფუჭდა სრულადა?!“

მას შემდეგ, რაც ასლანი დაარღვევს ადათს და სტუმრად მისულ მტერს შეიპყრობს, ქიჩირი სთხოვს მას, რომ არ გაახმაუროს თავისი უღირსი საქციელი, რადგან ადათისადმი ესოდენ უპატივცემულო მოპყრობის მაგალითი ხალხზე არაერთგვაროვან ზეგავლენას მოახდენს:

„ნუ გააგონებ ჩერქეზთა,  
რომ მომატყუე ზავითა,  
ნუ წაპრყვნი მოძმეთ ბუნებას  
შხამ-საწამლაგით, ავითა.  
ეს ჩვეულება მტკიცედ გვაქვს:  
წმინდად შენახვა კერისა,  
პირობის დაურღვევლობა,  
ძმად შინ შენახვა მტერისა.“

თავის ეთნოგრაფიულ წერილში „ხევსურები“, ვაჟა-ფშაველა ხევსურთა წეს-ჩვეულების დახასიათებისას ცხადად მიუთითებს, რომ მთიელის ოჯახში სტუმრის ხელშეუხებლობა ნებისმიერ შემთხვევაში საგულდაგულოდაა დაცული: „სტუმარი ხევსურის სახლში ხელშეუხებელია. სტუმრის მოსისხლე მტერს, მასპინძლის მეზობელიც, თუნდა ძმაც რომ იყოს, არ შეუძლიან სტუმარს ხმა გასცეს; თუ კი ვინმე გაკადნიერდა, მაშინ თვითონ მასპინძელი გასცემს პასუხს სტუმრის მოდავეს, სისხლის დაქცევასაც არ დაერიდება, ოღონდ სტუმარი შეურაცხყოფისაგან დაიცვას.“<sup>7</sup> ზემოთ მოტანილი მაგალითები უეჭველად ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ სტუმრის ხელშეუხებლობა მთიელთათვის „სადმროთ წესია“. ღირსეული კაცი არასოდეს უმუხთლებს სტუმარს, თუნდაც იგი მოსისხლე მტერი იყოს. ეს გარემოება ხალხურ პოეზიაშიც სათანადოდ არის ასახული.

<sup>6</sup> გ. კიკნაძე. თხზულებანი. ტ. 1. თბილისი, 2005, გვ. 130-131.

<sup>7</sup> ვაჟა ფშაველა. ეთნოგრაფიული წერილები. თბილისი, 1937, გვ. 118.

ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც მტერი ოჯახის ზღურბლს გადაკეოდა, როგორც სტუმარი, უპირატესობა ენიჭებოდა სტუმარმასპინძლობის წესს და მის მიმართ მოქმედებას წვეკტდა შურისძიების ადათი. იგი ძალაში შედიოდა მხოლოდ მასპინძლის ოჯახის დატოვების შემდეგ. მაშასადამე, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჯოყოლა აღხასტაისძე სრულიად თანმიმდევრულად იქცევა და მისი მხრიდან რაიმე ვალდებულების შეუსრულებლობის (ანდა ცალმხრივობის) თაობაზე საუბარი გაუმართლებელია.

სინამდვილეში საკუთარ ადათს აქ თავად თემი არღვევს. თუნდაც ის ფაქტი, რომ ქისტები ცდილობენ მალულად დაატყვევონ ჯოყოლას სტუმარი, უკვე ცხადად მიუთითებს, რომ მათ აქვთ დანაშაულის გრძობა. თემი ვერ ითმენს, მტრის სისხლი სწყურია და ჯოყოლას ოჯახის ღირსების შეურაცხყოფის ხარჯზე სურს საწადელის მიღწევა. სამართლიანად შენიშნავს დავით წოწკოლაური: „თემი თვითნებურად იქცევა, როცა ჯოყოლას თავისი გადაწყვეტილების შესახებ არაფერს ამცნობს. პირიქით, ჯოყოლას ოჯახში მიგზავნილ მოთვალთვალეს თემი ავალებს, რომ „სოფლის განზრახვა არა გზით მას არ ჩაუგდოს ყურადა.“ ბუნებრივად დგება კითხვა: რატომ უმაღავენ ჯოყოლას თავიანთ მიზანს? ცხადია, იმიტომ, რომ ადათის დარღვევას აპირებენ.“<sup>8</sup> თუ სისხლის აღების ადათს ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორც სტუმარმასპინძლობის ტრადიციას, მაშინ ქისტებს უნდა ეცნობებინათ ჯოყოლასთვის ზვიადაურის ვინაობა და ამ შემთხვევაში ჯოყოლას შურისძიებას ვერავენ დაასწრებდა, რადგან მასზე მეტად არავის „სწყუროდა ძმის მკვლელის სისხლი“. მაგრამ საქმეც ისაა, რომ რადგან სტუმარმასპინძლობა აღემატებოდა სისხლის აღების ადათს, ქისტებმა კარგად იცოდნენ, ჯოყოლა არ უღალატებდა საუფლო წესს და სტუმრად მყოფ მოწინააღმდეგეზე ხელს არ აღმართავდა.

განსაკუთრებული სიცხადით ის გარემოება, თუ ვის მხარესაა ამ ვითარებაში სიმართლე, ჩანს ჯოყოლასა და მუსას სიტყვიერი დაპირისპირების დროს. ჯოყოლა სრულიად სამართლიანად ადანაშაულებს თანამოძმეებს საკუთარი რჯულის უგულებელყოფასა და საუფლო წესის გატეხვაში:

„- რას სჩადით? – შემოუძახა: –  
ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა?  
რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,  
თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?..  
ვის გაუყიდავ სტუმარი?  
ქისტეთს სად თქმულა ამბადა?..  
თვის რჯული დაგვიწყებით,  
მიტომ იქცევით მცდარადა;“

იმ შემთხვევაში, თუ თემსაც აქვს თავისი სიმართლე, როგორც ამას კრიტიკოსები აღნიშნავენ, მაშინ ჯოყოლას მიერ ნახსენებ „საუფლო წესს“ მოცემულ შემთხვევაში ქისტებმა სხვა „საუფლო წესი“ უნდა დაუპირისპირონ, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ადათის დამრღვევნი არიან, ვერ ახერხებენ ჯოყოლას წინააღმდეგ რაიმე ზნეობრივი არგუმენტის მოტანას. მათი ერთადერთი საბუთი ძალაა, თემის ერთპიროვნული გადაწყვეტილება:

„შენ და შენს სტუმარს, ორივეს  
ერთად გადგისვრით ბეჭითა.  
თემს რაც სწადიან, მას იზამს  
თავის თემობის წესითა...  
შენაც ამასთან შაკონავთ,  
თემის პირს რომ სტეხ, თავხედო!  
ჩვენის ნარჩევის დარღვევა  
შენ როგორ უნდა გაჰბედო?“

<sup>8</sup> დ. წოწკოლაური. ვაჟა-ფშაველას თეორიულ-ლიტერატურული ნაზრევი. თბილისი, 2008, გვ. 227-228.

ერთი სიტყვით, ჯოყოლას ადანაშაულებენ „თემის პირის გატეხვას“ და უმრავლესობის თანხმობით მიღებული ერთიანი გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობაში. თემისათვის ამ შემთხვევაში უზენაესი ავტორიტეტი „საუფლო წესი“ კი არ არის, არამედ – საკუთარი თავი („თემს რაც სწადიან, მას იზამს თავის თემობის წესითა“). თემი ისე ცვლის კანონს, როგორც მოცემულ სიტუაციაში აწეობს, ანუ იყენებს შერჩევით სამართალს. უზენაეს ავტორიტეტად კი გამოცხადებულია უმრავლესობის, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ „დემოკრატიული“ ნება. ამიტომაც არ შეუძლიათ ქისტებს, რომ ჯოყოლას დაუპირისპირონ მყარი ზნეობრივი თუ სამართლებრივი არგუმენტი. თემის მოქმედების პრინციპი შეიძლება შეფასდეს, როგორც მორალური რელატივიზმი, ეთიკური პოზიციის ცვლა სიტუაციისდა შესაბამისად.

თემისაგან განსხვავებით, ჯოყოლა მყარი ღირებულებების მქონე პიროვნებაა. ზნეობრივ კანონს მისთვის საყოველთაო, იმპერატიული მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ შემთხვევაში და პირნათლადაც აღასრულებს მას, თუნდაც მთელ თემთან დაპირისპირება მოუხდეს.

ზაზა შათირიშვილის შეხედულებით, ქისტების უღირსი საქციელის შემდეგ ჯოყოლა ეთიშება თემს და ბოლოს მხოლოდ საკუთარი ღირსებისა და ოჯახის დასაცავად იწეებს ბრძოლას: „...[ჯოყოლა] გადაწყვეტს, რომ „მარტოკამ უნდა იომოს“. მარტოკამ უნდა იომოს, რადგან მისი სტუმარი და ძმა დაუმარხავია, ხოლო მისი ღირსება შელახულია. ის უნდა შეებრძოლოს მტერს, რადგან უნდა დაიცვას უკვე არა მთლიანად თემი, არამედ ოდენ საკუთარი სახლ-კარი, ოჯახი, ოჯახის წესი, ანუ ღირსება“.<sup>9</sup>

აღნიშნული თვალსაზრისი სიმართლეს არ შეესაბამება. პოემის ტექსტი თვალნათლივ ადასტურებს, რომ მიუხედავად თემის მიერ ჩადენილი უღირსი საქციელისა, ჯოყოლა, როგორც ზნეობრივი გმირი, თანამოძმეთა ერთგული რჩება და სწორედაც რომ თემის დასაცავად იბრძვის ხევსურთა წინააღმდეგ. მისი „მარტოკა“ ბრძოლის მოტივი ის კი არ არის, რომ მას მხოლოდ საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა ანადვლებს, არამედ ის, რომ ქისტები თავს არიდებენ მას, ათვალწუნებული ჰყავთ იგი, როგორც თემის პირის გამტეხი და ახლოს არ გაიკარებენ ლაშქარში:

„- გავეყვი?! რას ამბობ, ჭკვა-თხელო?  
არ გამოვლევენ ახლოსა!  
მარტოკამ უნდა ვიომო,  
მთელმა ჯარვამ მნახოსა;  
ვინ ერთგულია, ვინ არა,  
ქვეყანამ დაინახოსა.“

მიუხედავად თემის მიერ მრავალგზისი უარყოფისა, ჯოყოლა, როგორც ზნეობრივი გმირი, მარტო იბრძვის ხევსურთა წინააღმდეგ, რათა ერთგულება დაუმტკიცოს ქისტებს. თემი კი კვლავ არასწორად აღიქვამს მის საქციელს და საბოლოოდ აქცევს ზურგს მას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელში“ ერთმანეთს უპირისპირდება არა ორი სიმართლე, არამედ სიმართლე და უსამართლობა. მაშინ, როდესაც მთელი თემი არღვევს საკრალურ ადათს, ერთი ადამიანი, ზნეობრივი გმირი იცავს საკუთარი ოჯახის, თემისა და, საერთოდ, ადამიანობის ღირსებას. „სტუმარ-მასპინძელში“ დახატულია იმ ადამიანის ტრაგედია, რომლისთვისაც უმრავლესობის ნებაზე მაღლა ზნეობრივი ღირებულება, სინდისის გრძნობა დგას. პრაქტიკულ-უტილიტარული მიზნებით დაბრმავებული საზოგადოება ძალადობს იდეალური ღირებულებებით მცხოვრებ ადამიანზე, ვისთვისაც ზნეობა განყენებული თეორია კი არ არის, არამედ - ცხოვრების წესი. მიუხედავად იმისა, რომ ჯოყოლა ფიზიკურად მარცხდება, იგი სულიერად იმარჯვებს და სწორედ ზნეობრივი მოვალეობის პირნათლად აღსრულებაში ხედავს ვაჟა-ფშაველა ადამიანის ცხოვრების უმთავრეს საზრისს.

<sup>9</sup> ზ. შათირიშვილი. ვაჟა-ფშაველა და პოეზიის საწყისი.– ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2006, N13, გვ. 29.

## **Levan Beburishvili**

### **Two issues of truth in Vazha-Pshavela's "Host and Guest"**

#### Summary

In this work is discussed ethical problem, which is depicted in Vazha-Pshavela poem "Host and Guest". One part of literary critics determine the conflict presented in the "Host and Guest" as a human tragedy arisen between two truth. In the work the mentioned view is analyzed in critical way and based on the relevant arguments is presented that the situation shouldn't be considered as an ethical dilemma. In fact in accordance with the poem the society for the practical purposes infringes sacral (religious) traditions, a person (Jokola) resists to this tradition infringement, due to which the society excludes him, so we haven't the reason to look any signs of fairness in the behavior of society. Therefore in the poem is not presented conflict of moral values but there is submitted moral personality tragedy, which is caused by social injustice.

# თარგმანმცოდნეობა



ეკა დუღაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

## წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონის უძველესი ქართული თარგმანები X საუკუნის ქართულ იადგარებში

წმინდა გიორგის დღესასწაულს ქართულ საეკლესიო ტრადიციაში დიდი ხნის ისტორია აქვს. წმინდა გიორგის ხსენება გვხვდება ჯერ კიდევ იერუსალიმურ ლექციონარში, რომელიც პალესტინურ კალენდარს ეყრდნობა. მისი უძველესი ფენა V-VI საუკუნეების საღვთისმსახურო პრაქტიკის გამომხატველია, ხოლო თავად ქართული რედაქცია VII საუკუნეში ჩანს ჩამოყალიბებული.<sup>1</sup>

ლექციონარში წმინდა გიორგის ხსენება ორ დღეზე 10 ნოემბერსა და 23 აპრილზე არის დადებული. ეს ფაქტი უკვე საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ წმინდა გიორგის ხსენება ქართულ ეკლესიაში საკმაოდ ადრე დამკვიდრდა. იერუსალიმურ კალენდარში ჩანს 23 აპრილი და 3 ნოემბრის დღესასწაული. რაც შეეხება 10 ნოემბერს, ეს გიორგი მთაწმიდელის მითითებით მხოლოდ ქართულ ტრადიციაში გვხვდება. ამ დღეს წმინდანის ბორბალზე წამებას იხსენებენ. აღმოჩნდა, რომ რეალურად აღნიშნული დღესასწაული 3 ნოემბერს უკავშირდება, იმ დღეს, როცა წმინდა გიორგის მოკვთილი თავი დაკრძალეს ლუდიაში და ბუნებრივია, დაწესდა წმინდანის ხსენება და ეკლესიის სატფურებაც. ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში 10 ნოემბერი გაჩნდა 13 სექტემბრის აღდგომის ეკლესიის სატფურების (ენკენის) დღესასწაულის (სექტემბერი – ენკენისთვე) ანალოგიით, 3 ნოემბერს ლუდიის ეკლესიის სატფურების მსგებსზე (ნოემბერი-გიორგობისთვე)<sup>2</sup>. იოანე ზოსიმეს კალენდარში გვხვდება ორივე 3 და 10 ნოემბერი. საგულისხმოა, რომ X საუკუნის დიდი იადგარის ნუსხებში Sin 1, Sin 14, Sin 64 წმინდა გიორგის ხსენება 10 ნოემბერს და 23 აპრილს არის. აქვე ჩანს კონსტანტინოპოლური პრაქტიკიდან შემოსული 25 მაისის დღესასწაული.<sup>3</sup> ამრიგად, ადრეულ ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში წმინდა გიორგის ხსენება რამდენიმე დღეს აღინიშნება.

ამ მოკლე მიმოხილვის შემდგომ შევნიშნავთ, რომ X საუკუნის იადგარის ნუსხებში კოზმა იერუსალიმელის წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი კანონი 23 აპრილს არის მოთავსებული.

კანონის თარგმანი Sin 1, Sin 64 წვირმისა და იელის იადგარებში გვხვდება. სინური ნუსხებისა და წვირმის კრებულის თარგმანები ტექსტობრივად ერთნაირია, იელის იადგარის თარგმანი კი რამდენადმე სხვაობს მათგან, როგორც ვარიანტულ დონეზე, ასევე თარგმანის პრინციპით. კერძოდ, ეს შეეხება ტექსტის მეტრულ მხარეს. ძლისპირ-ტროპართა თანაფარდობის თვალსაზრისით Sin 1, Sin 64, წვირმის თარგმანები ერთად დგება, ხოლო იელის კრებულის თარგმანი ცალკე. ეს უკანასკნელი უფრო ახლოსაა ტექსტობრივად შესაბამის ბერძნულ დედანთან.

განვიხილავთ ორივე თარგმანს ჰიმნოგრაფიული კანონის ორიგინალთან მიმართებით.

<sup>1</sup> К. Кекелидзе. Иерусалимский Канонарь VII века. Тифлис, 1912, стр. 26.

<sup>2</sup> К. Кекелидзе. Иерусалимский Канонарь VII века. Тифлис, 1912, стр. 282-286.

<sup>3</sup> უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს. ელ. მეტრეველმა, ლ. ხევსურიანმა, ც. ჭანკიევმა. თბილისი, 1980, გვ. 727.

მოიყვანთ ბერძნული ტროპარების ტექსტებს და შესაბამის ქართულ თარგმანებს.

1) Ἦθλων ἱερῶν  
ἀνύστας δρόμους  
ἀπὸ γῆς οὐκ ἀγέραστος  
στεφιδόρος ἀέπτως  
εὐσταλῆς, Γεώργιε,  
δειχθεὶς σταδιοδρόμος  
καὶ σὺν τοῖς ἀγγέλοις χορεύεις  
ἄσάμεν τῷ Θεῷ ἡμῶν,  
ὅτι δεδόξασται (I<sub>1</sub>)

მორბედება ღუაწლთაი რად მოიგე,  
რაჟამს მიისწრაფე ზეცისასა მას,  
დიდებულო გიორგი, იხილვე გვრგვნიშემოსილი  
მეუფისაგან და ანგელოზთა თანა ჰლადადებდი და  
იტყოდე: უგალობდეთ ღმერთსა ჩუენსა, რამეთუ დიდებულ არს (Sin 1, Sin 64, წვირმი)  
რაჟამს მოიგე მორბედება  
ღუაწლისა რჩულისად და მიისწრაფე ზეცისასა მას,  
რომელიცა შეიყუარე,  
იხილვე გვრგვნიანი, წმიდაო გიორგი,  
და იქმენ, ვითარცა მორბედი

ასპარეზისად, პატივცემულ მეუფისაგან და ანგელოზთა თანა  
ძნობითა ადიდებდ მას და იტყოდე: უგალობდეთ უფალსა რამეთუ დიდებულ არს (იელი).  
პირველი თარგმანი შემოკლებულია. ბერძნული ტროპარის „δειχθεὶς σταδιοδρόμος“ „არ არის  
თარგმნილი, მაშინ, როცა იელის თარგმანში ეს ფრაზა ზუსტად არის გადმოღებული „მორბედი  
ასპარეზისად“

კანონის მეორე სტროფის თარგმანები უფრო ახლოსაა ტექსტობრივად დედანთან.

2) Ἰδρῶτι χρῆστῶν  
εἰσέτι πόνων  
τοῖς ὑπερκοσμίαις ᾠθῆς,  
χορείαις σταζόμενος  
ἀσάματων τὰς τάξεις  
τοῖς ἐν σώματι, Γεώργιε,  
ἐκπλήξας θείους  
ταύταις συγχορεύων κραυγᾶς  
ἄσάμεν τῷ Θεῷ ἡμῶν,  
ὅτι δεδόξασται (I<sub>2</sub>)

ოფლითა ვნებათადთა გამოსწინდი ზეცისა განწყობილსა  
შორის, წმიდაო გიორგი,  
რაჟამს იგუემებოდე,  
ღუაწლითა შენითა

განაკვრვე უკორცონი და მათ თანა ძნობით ჰლადადებდი და იტყოდე: უგალობდეთ ღმერთსა  
ჩუენსა, რამეთუ დიდებულ არს (Sin 1, Sin 64, წვირმი).

ოფლითა ვნებითა შენისადთა გამოსწინდი  
განბრწყინებულთა შორის ზეცისათა, რაჟამს იგუემებოდე,  
გიორგი, და  
ღუაწლითა გუამისა შენისადთა განაკვრვენ უკორცონი

და მათ თანა დიდებული  
დადალებდ და იტყოდე: უგალობდეთ უფალსა, რამეთუ დიდებულ არს (იელი)

3) Ἰλαρήν μετέδωκας  
τοῖς πεινομένοις τὸν πλοῦτον  
καὶ πιαθεὶς ἐλαίῳ

ἀγάπης σῶμα καὶ ψυχὴν ἀθλητικῶς, Γεώργιε, τὸν τύραννον  
ἄμφω κατεπάλαισας (III<sub>1</sub>).

განუყავ სიხარულით სიმდიდრე შენი გლახაკთა და დასთრგუნე  
მრჩობლითა სათნოებითა მძლავრებად ბოროტისაჲ მის, დიდებულ გიორგი,  
და ჳმაჳყავ სიხარულით: წმიდა ხარ, უფალო (Sin 1, Sin 64, წვირმი).

ეს თარგმანი მოკლეა. დედნის „καὶ πιαθεὶς ἐλαίῳ ἀγάπης σῶμα καὶ ψυχὴν ἀθλητικῶς“ არ არის  
გადმოღებული.

განუყავი სიმდიდრედ შენი სიხარულით გლახაკთა,

რაჟამს განიპოხენ სულნი და ჳორცნი შენნი ზეთითა

მოწყალებისაჲთა, წმიდაო გიორგი, და დასთრგუნე მრჩობლითა

მით სათნოებითა მძლავრი იგი ბოროტი და ძლიერსა მას უგალობდ და იტყოდე: წმიდა ხარ  
შენ, უფალო (იელი).

ბერძნულის ერთი სიტყვა „τὸν τύραννον“ იელის თარგმანში გავრცობილია „მძლავრი იგი  
ბოროტი“, ხოლო პირველ თარგმანში გვაქვს „ბოროტისაჲ“. მეორე თარგმანი მეტად უახლოვდება  
დედნის ტექსტობრივად.

თარგმანთა შორის სხვაობა უფრო მკვეთრად ჩანს შემდეგ ტროპარში.

4) Στηριχθεὶς τῆ χάριτι  
καὶ πυρπολοῦμενος ἤϊλα  
μὴ ἐρωτᾶσιν ὠφθῆς  
ἐν ῥῶθῃ τοῖς μὴ ἴητοις  
ὑπὲρ Χριστοῦ, Γεώργιε, χολοῦμενος  
πλάνῃ δεισιδαίμοσι (III<sub>2</sub>)

განძლიერდი მადლითა, რაჟამს საღმრთოდთა შურითა

შეიჭურე, ღუაწლისა მძლეო გიორგი, და განრისხენ შენ ქრისტესთჳს

და საცთური მძლავრითაჲ განაქარვე და იტყოდე წმიდა ხარ შენ, უფალო (Sin 1, Sin 64,  
წვირმი).

ეს უკანასკნელი თარგმანი დედანს სცილდება შინაარსობრივად. „ღუაწლისა მძლეო  
გიორგი“ ქართველი მთარგმნელის ჩამატებულია, ასევე გამოტოვებულია ბერძნული დედნის  
მთელი ტაეპი „ἐρωτᾶσιν ... ἴητοις“.

რაჟამს განსძლიერდი

მადლითა და შეიჭურე შურითა, გამოუჩნდი მათ, რომელნი

არა გაკითხვიდეს

და ეპოე მათ, რომელნი არა გეძიებდეს და განჳრისხენ

ქრისტესთჳს, წმიდაო გიორგი, და საცთური უშჯულოთაჲ განაქარვე ძალითა უფლისაჲთა  
(იელი).

იელის თარგმანი ადეკვატურად იმეორებს ბერძნული ტროპარის შინაარსს. ანალოგიური  
ნიმუში ჩანს IV ოდის მეორე ტროპარის თარგმანში.

5) Σοφιστικῶς πλοκάς διέλυσας  
τῶν μύθων,  
αἰσχρῶν παθῶν δὲ

Θεὸς δημιουργός

ἔξμυστήριον

Τριάδος ὑπέροχον (IV<sub>2</sub>)

და ღმერთი შეგინებულნი სასტიკად მოიძულენ სასოებითა

მით სამებისადთა (Sin 1, Sin 64, წვირმი).

ეს ტროპარი საკმაოდ რთული შინაარსისაა (სოფისტური მოძღვრების სიყალბე გაანადგურე, შემოქმედი ღმერთების სამარცხვინო ვნებები მოიძულე სამების ძალით წინამბრძოლო). ახლა ვნახოთ, როგორი თარგმანია იელის კრებულში:

ღმერთი, რომელთა ვნებად დაჰბადეს,

სასტიკად მოიძულენ სასოებითა წმიდისა სამებისადთა

და იტყოდე: დიდებად ძალსა შენსა (იელი).

იადგარის არც ერთი თარგმანი არ მიყვება ზუსტად დედანს, მაგრამ იელის თარგმანი შედარებით ვრცლად გადმოსცემს ბერძნული ტროპარის ტექსტს.

6) Ἀνέκραξεν

ἐν παρηγοίᾳ τῆς κτίστη Γεώργιος

μὴ παραδός

ἐν χέρσιν τῶν ἀνόμων τὸν δοῦλον σου

ἀλλ' ἰσχύειν παράσχου

καταλῆσαι αὐτῶν τὰ φράγματα (VI<sub>1</sub>)

დალაღებდა უფლისა მიმართ წმიდად გიორგი

და იტყოდა:

ნუ მიმცემ მე, მონასა შენსა,

ჯელთა უსჯულოთასა, სახიერო ღმერთო,

არამედ შენ მიერ

დავჯნა აღძრვად მათი (Sin 1, Sin 64, წვირმი)

დალად-ყო კადნიერად დამბადებელისა მიმართ წმიდამან

გიორგი და იტყოდა: ნუ მიმცემ მონასა შენსა

ხელთა უსჯულოთა, სახიერ, არამედ მომეც მე

ძალი, რადთა დავჯნენ აღძრვად იგი მათი შენ

მიერ, კაცთმოყუარე (იელი)

იელის თარგმანი ტექსტობრივად ამ შემთხვევაშიც მიყვება პირველ თარგმანს. ქართველი მთარგმნელი იელის თარგმანის მაგალითზე ბერძნულ ტექსტს ავრცობს. უმატებს „წმიდამან გიორგი“ „Γεώργιος“. შემოაქვს სიტყვა „სახიერი“ და ბოლოს მთელი ფრაზა „შენ მიერ კაცთმოყუარე“ მთლიანად მთარგმნელის ინტერპრეტაციაა. აქვე საყურადღებოა დედნის სიტყვის „τὰ φράγματα“ (სიამაყე, ამპარტაუნება) ორივე თარგმანში დადასტურებული აზრობრივი განსახვავებული ეკვივალენტი „აღძრვად“.

7) Μεταθέντες

τῆν ἀσειλήν οἱ ἀλάστορες τύραννοι

ὄν ἐκήρυττες ζαοδότιν θεὸν κατεπλάγησαν (VI<sub>3</sub>).

მიიცვალნეს საკუირველებად თქუმითა მით უშჯულონი

იგი შემდგომად სათნოებითა შენთა გამოცდისა,

ნეტარო გიორგი, განუკვრდა ქრისტე ცხოვრების მომცემელი (Sin 1, Sin 64, წვირმი)

მიიცვალნეს საკუირველებად თქუმითა მით უშჯულონი

იგი და განუკვრდა მათ ქრისტე ცხოვრების მომცემელი

რომელსა შენ ჰქადაგებდ წინაშე ყოველთასა (იელი).

ახრობრივად ორივე თარგმანი მიყვება დედანს, მაგრამ ტექსტობრივი ცვლილებებსაც შეიცავს. მაგ: „πῆν ἀπειλή“ (რისხვა) არ არის თარგმნილი, ხოლო „οἱ ἀλάστορες τύραννοι“ (შურისმაძიებელი ტირანები) თარგმნილია როგორც „უშჯულონი“. იელის თარგმანის ბოლო ფრაზაც „რომელსა შენ ჰქადაგებდ წინაშე ყოველთა“ გავრცობილი თარგმანის დედნის „ὁ ἐκίρυσσες“ (რომელიც იქადაგე). ამ შემთხვევაშიც იელის კრებულის თარგმანი ტექსტობრივად ემთხვევა შინ 1, შინ 64, და წვირმის კრებულის თარგმანს. მხოლოდ ერთადერთი სიტყვა „παῖρα“ (გამოცდილება) იელის თარგმანში არ არის გადმოღებული. პირველი თარგმანში კი თარგმნილია. „სათნობათა შენთა გამოცდისა, ნეტარო“.

8) Ἐνακηρύττων ἄφθης  
 διακομένην πίστιν  
 ἀχλὺν ἀπάτης θριαμβεύων δέ,  
 Γεώργιε, ἔλεγες ὁ τῶν πατέρων ἡμῶν  
 Θεός εὐλογητός εἶ(VII<sub>2</sub>)

გამოწმნილი შენ ბრწყინვალედ და ჰქადაგე ხმამაღლად  
 სარწმუნოებად, ღირსო

გიორგი და ესრეთ ჰდაღაღებდი; მამათა ჩუენთა ღმერთო  
 კურთხეულ ხარ მარადის (Sin 1, Sin 64, წვირმი).

გამოსწმნილი ბრწყინვალედ და ჰქადაგებდ  
 სარწმუნოებასა უშჯულოთაგან განძებულსა და  
 გამოაცხადებდ სიციბლსა საცთურისასა, წმიდაო გიორგი, და იტყოდ:  
 მამათა ჩუენთა ღმერთო კურთხეულ ხარ მარადის (იელი)

„ἀχλὺν ἀπάτης“ (სიცრუის სიბნელე) Sin 1, Sin 64 და წვირმის კრებულის თარგმანში ეს ფრაზა უგულებელყოფილია. ხოლო იელის თარგმანში გადმოტანილია, როგორც „სიციბლსა საცთურისასა“. ამავ დროს გავრცობილია „διακομένην πίστιν“ „სარწმუნოებასა უშჯულოთაგან განძებულსა“.

9) Ὡς μὴ οἶσαν παροδικὴν λογισάμενος τέρψιν  
 ποικίλας στρέβλας ὑπέστης, Γεώργιε, χαίρων ἐλπίδι Θείας ξαφῆς  
 φρικτοῦ καταπέλτου δέ  
 μὴ φοιτίσας στεροῦντι  
 ψυχῆς ἔλεγες (VIII<sub>2</sub>).

შეჰრაცხე შენ სოფლისად ამის საშუებელი, ვითარცა  
 სიხარულით თავს-იდევ მრავალფერი  
 სატანჯველი, ფერჯთა შესასხმელი იგი საშინელი  
 სიმჯნითა არად შეჰრაცხე (Sin 1, Sin 64, წვირმი)

შეჰრაცხე სოფლისა ამის საშუებელი ვითარცა წარმავალი და  
 თავს-იდევ სიხარულით, ახოვანო  
 გიორგი, მრავალფერი სატანჯველი მოლოდებითა  
 ცხორებისა მის საუკუნოდსადთა და ფერჯთა  
 შესასხმელი იგი საშინელი შეურაცხ-ჰყავ სიმჯ-  
 ნითა გუამისადთა და იტყოდ (იელი).

ქართულ თარგმანში დედნის ის ნაწილი, სადაც დაკონკრეტებულია წმიდა გიორგის წამების ეპიზოდი „φρικτοῦ καταπέλτου δέ μὴ φοιτίσας“ (არად მიიხნიე საზარელ ისართა სატყორცნი) ორივე ქართულ თარგმანში სხვადასხვანაირად არის გადმოცემული:

„მრავალფერი სატანჯველი, ფერჯთა შესასხმელი  
 იგი საშინელი არად შეჰრაცხე“ (Sin 1, Sin 64, წვირმი).

„ახოვანო გიორგი, მრავალფერი სატანჯველი  
ფერკთა და შესასხმელი იგი საშინელი შეურაცხევ“ (იელი).

აქვე გამოყოფთ „στειρότητι ψυχῆς“ (სიმტკიცე სულისა) თარგმანს. „სიმწნითა გუამისადთა“ (იელი). „სიმწნითა“ (Sin 1, Sin 64, წვირმი) მთარგმნელის ინტერპრეტაციაა. ანალოგიური მაგალითია „Θείας ἤρας“ (საღმრთო სიცოცხლის) ქართულ თარგმანში კი გვაქვს „ცხორებისა მის საუკუნოსა“ (იელი). პირველ თარგმანში კი ეს ფრაზა არ არის გადმოტანილი.

10) Ἰερεὶς ἀσχυμῖσι  
βασιλεὶς εὐφροῖσι  
καὶ λαοὶ τῶν σῶν ἄθλων  
αἰνεοὶν καταγγέλλουτες,  
μάρτυς Γεώργιε,  
σὲ κατ' ἄξιαν μεγαλύνομεν (IX<sub>1</sub>).

მღვდელნი გიგალობენ შენ,  
მეფენი გადიდებენ და ერნი მიუთხრობენ ღუაწლისა  
შენისა სიმწნესა, ნეტარო გიორგი, მეოხ გუეყავ  
სულთა ჩუენთათჳს Sin 1, Sin 64, წვირმი).

მღვდელნი გადიდებენ, მეფენი გიგალობენ და ნათესავნი მიუთხრობენ  
სიმწნესა ღუაწლისა შენისასა,  
მოწამეო გიორგი, ამისთჳს  
ყოველნი ერთობით დაუცხრომელად გადიდებთ (იელი).

ბერძნული დედნის „κατ' ἄξιαν μεγαλύνομεν“ (ღირსეულად) ქართულ თარგმანში შეესატყვისება „ერთობით დაუცხრომელად გადიდებთ“. არც პირველი თარგმანის ბოლო ტაეპი არ მიყვება დედნის შინაარსს. „მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთათჳს“. როგორც ვხედავთ, იელის თარგმანი მეტად უახლოვდება დედნის ტექსტს.

11) Ἐπεκρότησαν πάνσοι  
οὐρανῶν αἱ δυνάμεις  
τοὺς σοὺς ἀγῶνας  
σὺ γὰρ  
τυθεὶς Θεῷ εὐηρέστησας,  
μάρτυς Γεώργιε,  
δὶό σε πίστει μεγαλύνομεν (IX<sub>2</sub>)  
ყოველნი მორწმუნენი

დღესასწაულსა შენსა ქებით პატივ-სცემენ დღეს  
და ყოველი სოფელი იხარებს, ნეტარო გიორგი,  
მეოხ გუეყავ შემასხმელთა შენთა (შინ 1, შინ 64, წვირმი).

ეს თარგმანი მნიშვნელოვნად სცილდება დედანს ტექსტობრივად. ὁὐρανῶν αἱ δυνάμεις~ თარგმნილია როგორც „ყოველნი მორწმუნენი“, „ყოველი სოფელი იხარებს“ მთარგმნელის ჩამატებულია. აქვე დედნის „μάρτυς“ გადმოღებულია „ნეტარო“, იელის თარგმანში კი ზუსტი ადეკვატი აქვს „მოწამეო“. დედნის ბოლო ტაეპი „δὶό σε πίστει μεγαλύνομεν“ ქართულ თარგმანში გადმოტანილია მთარგმნელის ინტერპრეტაციით: „მეოხ გუეყავ შემასხმელთა შენთა“.

ყოველნი დასნი ანგელოზთანი აქებენ ღუაწლსა შენსა  
მოდუაწეო, და შენ დაიკად და სათნო-ეყავ  
ღმერთსა, მოწამეო გიორგი, მას ჩუენცა ყოველნი  
ერთობით დაუცხრომელად ვადიდებთ (იელი).

„ὁπρᾶν αἰ δυσάμεις“ (ზეცისა ძალნი) მთარგმნელი თარგმნის, როგორც „დასნი ანგელოზთანი“.

აღსანიშნავია, რომ ორივე ქართულ თარგმანში ბერძნული ტექსტის ერთი სიტყვა „Γεώργε“, გავრცობილია ეპითეტით ყოლად ქებული გიორგი“ (იელი VII), „ბრძენო გიორგი“ (Sin 1, Sin 64, წვირმი), „წმიდაო გიორგი“ (იელი VII), „ღირსო გიორგი“ ( და წვირმი VIII), წმიდაო გიორგი“ (იელი), „ღირსო გიორგი“ (Sin 1, Sin 64, წვირმი).

იადგარების ქართული თარგმანების შედარებამ ცხადყო, რომ Sin 1, Sin 64, და წვირმის კრებულის თარგმანი ბერძნული დედნის ტექსტს უფრო მეტად სცილდება, ვიდრე იელის თარგმანი. პირველ შემთხვევაში ეს ფაქტი განპირობებულია დედნის ძლისპირ-ტროპარის თანაფარდობის დაცვით, რაც კარგად ჩანს ორივე ტიპის თარგმანების მარცვალთა რაოდენობის შედარებით.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ იელის იადგარის თარგმანი არ იცავს არც ბერძნული დედნის ძლისპირთა მარცვლების რაოდენობას და არ მიეყვება არც ძლისპირთა ქართულ თარგმანებს. გამოდის, რომ იელის იადგარის თარგმანი მეტრულად ანუ სალექსო საზომით და ფორმით დედნის ადეკვატური არ არის.

კოზმა იერუსალიმელის აღნიშნული კანონის ძლისპირები თავისებურებებს გვიჩვენებს. III ოდის ირმოსი იოანე დამასკელის კუთვნილებაა, IV და V ოდების ძლისპირთა ავტორები კი უცნობია. თვით ბერძნულ დედანშიც ძლისპირებსა და ტროპარებს შორის მარცვალთა თანაფარდობაც ისეთი ზუსტი არ არის, როგორც კოზმას სხვა კანონებში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კანონის თარგმნა ქართველ მთარგმნელს სირთულეს უქმნიდა. ეს სირთულე ზუსტად მეტრულ მხარესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რადგან ტექსტობრივად კანონი კოზმასთან დამახასიათებელი ნეოლოგიზმებით, კომპოზიტებით, ან არქაული ლექსიკით არ გამოირჩევა. როგორ უნდა ავსსნათ იადგარის ნუსხებს შორის თარგმანთა ამგვარი სხვაობა? ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი დადასტურებაა ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრებისა, რომ იელის იადგარი სინური იადგარებისაგან რედაქციულად სხვაობს. გარდა ამისა, აღნიშნული კანონის ორი თარგმანის შედარებისას იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ერთი მათგანი (იელი) იცნობს მის წინამორბედ შინ 1-ის თარგმანს, რომელსაც ტექსტობრივად ემთხვევა წვირმისა და შინ 64-ის თარგმანი. ამ ფაქტზე მიუთითებს ზოგიერთი ტროპარის თარგმანების დამთხვევა ტექსტობრივად, როცა მხოლოდ სიტყვათა გადანაცვლება შეიმჩნევა. ამიტომ კატეგორიულად ძნელია თქმა, რითი არის განპირობებული ერთი მხრივ, დედნის მეტრულად ადეკვატური და ტექსტობრივად დაცილებული, და მეორე მხრივ, ტექსტობრივად დედნის ადეკვატური, მაგრამ მეტრულად დაცილებული თარგმანის არსებობა.

ჩვენი აზრით, აქ მთარგმნელის ინდივიდუალური არჩევანი ჩანს. ერთ შემთხვევაში (შინ 1, შინ 64, წვირმი) მთარგმნელი დედნის ფორმას ანიჭებს უპირატესობას, მეორე შემთხვევაში კი, (იელი) დედნის ტექსტს. შესაძლებელია ბერძნული დედნის შინაარსის ადეკვატურობის დაცვა ქართულ საეკლესიო ტრადიციაში წმ. გიორგის კულტის განსაკუთრებული მნიშვნელობით აიხსნას. თუმცა ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია.

იადგარების ამგვარი სურათის ფონზე, საინტერესოა გიორგი მთაწმიდელის პოზიცია. გიორგის თვენში ჩანს კოზმას კანონის სრულიად სხვა, მის მიერვე შესრულებული, ახალი თარგმანი. მასში უგულვებელყოფილია კოზმას ორიგინალური ძლისპირები. იგი იოანე დამასკელის წმინდა გიორგის კანონის ძლისპირებზე გამართული, თანაც იოანეს და კოზმას კანონები გაერთიანებულია და ორივე მათგანის თარგმანს საერთო ძლისპირები აქვს. ამგვარი გადაწყვეტით მოხსნა გიორგი მთაწმიდელმა იადგარების თარგმანთა შორის არჩევანი. თვენში დადასტურებული ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ იადგარის ქართველი მთარგმნელის წინაშე სწორედ ბერძნული დედნის საზომის დაცვის პრობლემა იდგა.

**Eka Dughashvili**

**Old Georgian translation of St. George's Hymnographical Canon  
(According to X century Iadgari)**

Summary

In the tradition of Greek manuscript two Canons of Cosma Jerusalem and John Damascus dedicated to St. George, which were known in Georgian church practice are confirmed, translation of the Canon of St. George is existed in the Iadgari. the translation of St. George's Canon it is distinguished among other Canons of Cosma, because two of his different translations are confirmed in Iadgari.

In particular the translations of Iadgari of Tsvirmi and Sinaian collections are identical and the translation of Ieli Iadgari differs somehow from them. The latter is divorced from the original and distinguished with textual exactness.

Existence of two kinds of translations must be explained by keeping complexity of the form of the original. Translator of the Iadgari of Ieli can't keep textual exactness, though comparison of two type translations show, that translator of Ieli knew translation of Tsvirmi and Sinain lists.

In later hymnographic collection in George Mtatsmindeli's Minea interesting type of the translation of this Canon is met. George Mtatsmindeli, who compared Georgian translation with Greek originals by keeping their closeness to the original, translated canons of John and Cosma, joined and arranged them on the Heirmos of John. Thus compiled translation of the Canon of St. George appears in Minea.



თამარ მღებრიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

## ალექსანდრე პუშკინის „ძუნწი რაინდის“ პერსონაჟ ივანის სახელის თარგმანში შენარჩუნებისათვის

ალექსანდრე პუშკინის „მცირე ტრაგედიები“ („ძუნწი რაინდი“, „მოცარტი და სალიერი“, „ქვის სტუმარი“ და „ლხინი ჟამიანობის დროს“) მრავალმხრივ არის შესწავლილი ბ. გოროდეცკის, პ. ანენკოვის, ნ. ლერნერის, ვ. მანუილოვის, ლ. არინშტეინის, ი. ჩუმაკოვის და სხვათა მიერ. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასაზუსტებელი და სიღრმისეულად გასააზრებელი – მათ შორის „ძუნწი რაინდის“ ერთ-ერთი პერსონაჟის, მსახურ ივანის სახელის სპეციფიკა, რომლის კვლევის აუცილებლობის საკითხი მ. მურიანოვმა წამოჭრა და თარგმანში მისი გადატანის პრობლემაზეც შეაჩერა ყურადღება.

თავისებურად გაიაზრა ფრანგი ბარონის მსახურის რუსული სახელი ცნობილმა ქართველმა მთარგმნელმა და ლიტერატურათმცოდნემ თამაზ ჩხენკელმაც,<sup>1</sup> რომელმაც „ძუნწი რაინდის“ გარდა პუშკინის კიდევ ორი მცირე ტრაგედია თარგმნა.<sup>2</sup>

მ. მურიანოვი „უცნაურად“ მიიხნევს სახელ ივანს ტრაგედიის იმ „ეროვნული კოლორიტისთვის“, რომელსაც, „უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სახელები ალბერი, დელორუი, კლოტილდა, რემონი, ტიბო ქმნიან“ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ „სახელის ტრანსკრიფციისათვის არაორაზროვანი პასუხი სჭირდებათ მთარგმნელებს – პირველ რიგში, ფრანგულ ენაზე“. მისი აზრით, დასაზუსტებელია პუშკინისეული ივანის ინგლისური ტრანსკრიფციაც, რადგან დიდმა რუსმა პოეტმა „თავისი ტრაგედია, გარკვეული მოსაზრებით, ინგლისურიდან ნათარგმნად“ გამოაცხადა და „შექსპირის მსგავსად ხუთტერფიანი თეთრი იამბი გამოიყენა“.<sup>3</sup> გამოძინარე იქიდან, რომ ფრანგულ თარგმანში Иван „ფიგურირებს, როგორც ჟან, ინგლისურში ეყრდნობა იმავე ფრანგულ ფორმას Jean, ხოლო გერმანულსა და იტალიურში გადასულია, როგორც Johann და Giovanni“, მკვლევარი ფიქრობს, რომ მთარგმნელები „ბურგუნდიელი ბარონის მესაიდუმლეს რუსეთიდან გადახვეწილად მიიხნევენ, მაგრამ ვერ გადაუწყვეტიათ, პირდაპირ უთხრან ეს თავიანთ მკითხველს“, რადგან „რაინდთა წრეში, სადაც რელიგიურ საწყისს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა“, უბრალოდ, წარმოუდგენელია „უცხო სარწმუნოების ადამიანი მოსკოვის რუსეთიდან“.<sup>4</sup>

მ. მურიანოვისათვის ივანი არა „თვისტომებისგან შორს გადახვეწილი სლავი ან სერვანტესის სანჩო პანსას ანალოგია“, არამედ „ემაწვილი, რომელსაც აქვს სოციალური უფლება, იყოს სარაინდო ლიტერატურის არტურის ციკლის ცისფერსისხლიანი გმირის მოსახელე და ახალგაზრდა ბარონის თანხლები პირი, რომელიც რაინდის წოდების მოსაპოვებლად

<sup>1</sup> თ. ჩხენკელი. რეცენზია თ. მღებრიშვილის სადისერტაციო ნაშრომზე „ა. პუშკინის „მცირე ტრაგედიები“ ქართულ თარგმანებსა და სალიტერატურო კრიტიკაში“. თბილისი, 1990, გვ. 2. თამარ მღებრიშვილის პირადი არქივი; იხ.: დის-ის ავტორეფერატი <http://cheloveknauka.com/malenkie-tragedii-a-s-pushkina-v-gruzinskih-perevodah-i-literaturnoy-kritike>.

<sup>2</sup> იხ. ა. ს. პუშკინი. მცირე ტრაგედიები. „ძუნწი რაინდი“, „მოცარტი და სალიერი“, „ქვის სტუმარი“ (თარგმ. თ. ჩხენკელმა). თბილისი, 1978.

<sup>3</sup> Мурьянов. М. К реальному комментарию „Скупого рыцаря“, Временник Пушкинской комиссии. 1969, Ленинград: Наука. 1971, стр.101-102 <http://feb-web.ru/feb/pushkin/serial/v71/v71-101-.htm>.

<sup>4</sup> Мурьянов М. К реальному комментарию „Скупого рыцаря“, Временник Пушкинской комиссии. 1969, Ленинград: Наука. 1971, стр. 102 <http://feb-web.ru/feb/pushkin/serial/v71/v71-101-.htm>.

ემზადება“.<sup>5</sup> ამის დასაბუთებაში მკვლევარი ყურადღებას „ბიბლიურ-ქრისტიანულ Иоанн, Joannes-ზე“ შეახერხებს, მაგრამ ფიქრობს, რომ რაინდულ ლიტერატურაში არსებობს „მხატვრულად უფრო დამაჯერებელი პროტოტიპი, კრეტიენ დე ტრუასადა ჰარტმან ფონ აუეს რომანების პერსონაჟი ივანი ანუ ლომის რაინდი (ფრანგ. Yvain, ou le Chevalier au lion, იტალ. Ivano o il Cavaliere del Leone, შვედ. Ivan Lejonriddaren, გერმ. Iwein, der Löwenritter)“, რომელთანაც პუშკინის Иванგრაფიკულად იმდენად ახლოს დგას, რომ მათ იდენტურობაზე შეიძლება საუბარი. თუმცა იქვე გამორიცხავს პუშკინზე კრეტიენ დე ტრუას გავლენას, რადგან „ძუნწი რაინდის“ შექმნის პერიოდში, 1830 წელს, გარდა იმისა, რომ „ისტორიული ფონეტიკა, როგორც მეცნიერება, არ არსებობდა და შუა საუკუნეების ლიტერატურისადმი ინტერესმა თვით საფრანგეთშიაც კი ის-ის იყო, გაიღვიძა“, ფრანგი მწერლის „რომანი მთლიანად არ იყო გამოქვეყნებული“. ამიტომ ვარაუდობს, რომ პერსონაჟის სახელის შერჩევისას პუშკინმა სხვა, „რომელიც ქრესტომათიული წყაროთი“ ისარგებლა.<sup>6</sup>

ტრაგედიის მიხედვით ივანი ალბერთან იმდენად დაახლოებული პირია, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მ. შურიანოვს, რომ იგი ახალგაზრდა ბარონის „მესაიდუმლეა“. ალბერი მასთან არა მხოლოდ რაინდულ ორთაბრძოლაში გამარჯვებით იწონებს თავს, არამედ თავის ხელმოკლეობაზეც ჩივის – „...О бедность, бедность! Как унижает сердце нам она!“ – „...ო, სიღარიბე, როგორ ამცირებს შენი სუსხი რაინდის ყოფას!“<sup>7</sup>

მართალია, ივანი თავს უფლებას აძლევს, ურჩიოს ალბერს, რომ ფული მეფასზე სოლომონისაგან ისეხსოს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგი რაინდობის წოდების მოსაპოვებლად იღწვის. ყოველ შემთხვევაში, ავტორი ამის შესახებ არაფერს გვეუბნება, მაგრამ საგანგებოდ არც იმაზე მიგვითითებს, რომ ეს პერსონაჟი ახალგაზრდა ბარონის მსახურია.

გ. წიბახაშვილს „ერთი სახელის სხვადასხვაენოვანი ვარიანტების კლასიკურ მაგალითად“ მოჰყავს „ძველებრაული „იოჰანან“–იდან ხანგრძლივი „მოგზაურობით“ მიღებული“ არაერთი ფორმა: „იოჰან-იოან-იუხან-ხუან-ჟან-ფონ-ივან-ივანე-ივანეს-ჯანი-იან-ჟოან“, მათ შორის ივან და სვამს „მთარგმნელისათვის თავსატეხ კითხვას: ყველა ეს ფორმა ერთი სახელიდან მოდის, მაგრამ დღეს ეს ერთი და იგივე სახელია თუ სხვადასხვა?“<sup>8</sup>

ალბათ არ უნდა გამოვირიცხოთ, რომ პუშკინის მიერ ფრანგი ბარონის მსახურისათვის შერქმეული სახელი ორი სხვადასხვა ტრადიციის ერთგვარი ანარეკლია: კლასიკური წარმოშობის ეროპულენოვანი სახელები რუსულად ხშირად გადაჰქონდათ არა გამოთქმის, არამედ მათი გრაფიკული გამოსახულების, წერილობითი ვარიანტის მიხედვით. მაგალითად, ინგლისელი მეფეების სახელების Иоанн-ად გადმოცემა, აქვინელის სახელის Фома-დ გადატანა, რუსული სახელების გაფრანგულება – Пьер, Жан, Мари და სხვ.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მაშინდელ რუსულ ყოფაში ივან საკმაოდ გავრცელებული სახელი იყო მდებობითა შორის. მსახური კი, ძირითადად, ასეთი პირი იყო და ეს სახელი მას სოციალურად მოერგო. ალბათ გარკვეულწილად ამანაც განაპირობა, რომ პუშკინის ეს პერსონაჟი იმთავითვე ბარონ ალბერის მსახურად აღიქმება.

ა. შტარკმანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ალბერის მსახურის სახელი ივან – ერთადერთი რუსული სახელი ტრაგედიაში, შეგვასვენებს ან აშკარად მიგვანიშნებს“, რომ თხზულებაში განვითარებული მოვლენები „პირდაპირ კავშირშია რუსეთთან“.<sup>9</sup>

<sup>5</sup> **Мурьянов М. К** реальному комментарию „Скупого рыцаря“, Временник Пушкинской комиссии. 1969, Ленинград: Наука. 1971, стр. 103 <http://feb-web.ru/feb/pushkin/serial/v71/v71-101-.htm>

<sup>6</sup> **Мурьянов М. К** реальному комментарию „Скупого рыцаря“, Временник Пушкинской комиссии. 1969, Ленинград: Наука. 1971, стр. 102 <http://feb-web.ru/feb/pushkin/serial/v71/v71-101-.htm>

<sup>7</sup> **ა. ს. პუშკინი**. მცირე ტრაგედიები. „ძუნწი რაინდი“, „მოცარტი და სალიერი“, „ქვის სტუმარი“ (თარგმნა თ. ჩხენკელმა). თბილისი, 1978. გვ. 8-9.

<sup>8</sup> **გ. წიბახაშვილი**. თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. თბილისი, 2000. გვ. 75.

<sup>9</sup> **Штаркман А.** Скупой рыцарь по драме Пушкина. Из новой книги Анатолия Штаркмана- Александр Сергеевич Пушкин, глава 10. <http://www.proza.ru/2013/01/01/53>.

ეროვნული ნიშნის მატარებელია იგი ვ. კალინიკინისათვისაც.<sup>10</sup>

ძნელია დაბეჭდვით იმის მტკიცება, რა დგას ამ სახელის მიღმა, მაგრამ ცხადია, რომ პუშკინი ფრანგი ბარონის მსახურს შემთხვევით არ შეარქმევდა ივანს, რადგან როგორც მ. მურიანოვი აღნიშნავს, „დაუდევრობა და გულმაღვიწყობა“ მაინცდამაინც მისი შერჩევას რომ გამოეჩინა, პიესის „რემარკებში სხვა პერსონაჟთა სახელებისაგან განსხვავებით „ცამეტჯერ არ გაიუღერებდა“.<sup>11</sup>

ამას არც თ. ჩხენკელი უარყოფს, თუმცა ფიქრობს, რომ პიესის სხვა პერსონაჟებისაგან განსხვავებით მსახურის სახელი თარგმანში არ უნდა გადავიდეს, რადგან „როცა პირწმინდად ფეოდალურ ფრანგულ გარემოცვაში ბარონის მსახურს პუშკინი მაინცდამაინც ივანს არქმევს, ეს ისტორიული ნონსენსია; მაგრამ ეს არ აღიქმება ასეთად მხოლოდ იმის გამო, რომ ნაწარმოები დაწერილია რუსეთში დიდი რუსი პოეტის მიერ. სხვა ენებზე ეს, რა თქმა უნდა, უხერხულად აუღერდებოდა. და ბოლოს, თუკი ავტორი თავისი მიზნების შესაფერისად წყვეტს ანთროპონიმის საკითხებს, მთარგმნელსაც აქვს უფლება, იგივე მოიმოქმედოს იმ ნაწარმოების ღირსებისათვის, რომელიც ახლა უკვე სხვა ენასა და სხვა ერს ეკუთვნის“.<sup>12</sup>

მსახურის სახელი, რა თქმა უნდა, არ ჯდება საფრანგეთის ეროვნულ საზღვრებში, მაგრამ ავტორმა სხვა ანთროპონიმების მსგავსად მასაც გარკვეული ფუნქცია დააქისრა. ამიტომ შუა საუკუნეების საფრანგეთში პერსონაჟის რუსული სახელით შემოყვანა უფრო ავტორის ნებაა და ერთგვარი მინიშნებაა იმაზე, რომ სიძუნწის მანკიერება და მამა-შვილს შორის კონფლიქტი არც რუსეთისთვის იყო უცხო.

სპეციალურ ლიტერატურაში (პ. ფლორენსკის, იუ. ლოტმანის, ვ. ვინოგრადოვის, ვ. გირშმანის, ნ. ვინოგრადოვას და სხვ. ნაშრომებში) პერსონაჟის სახელი მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად არის მიჩნეული და ხაზგასმულია მისი როლი პერსონაჟის მხატვრული სახის შექმნაში, ეთნო თუ სოციო-ფსიქოლოგიური თავისებურებების წარმოჩენაში. როგორც ნ. ვინოგრადოვა აღნიშნავს, პერსონაჟის სახელში თავმოყრილია ისეთი მხატვრული ფუნქციები, როგორებიცაა „იდენტიფიკაცია, აღქმის ერთიანობის უზრუნველყოფა, პერსონაჟის დახასიათება, მისი სახისა და ნაწარმოების სიუჟეტის ფორმირება, ნაწარმოების სუბიექტურ-ობიექტური ურთიერთობების, სივრცის, დროისა და კომპოზიციური ორგანიზაციის ფორმირება, ინტერტექსტუალური კავშირების რეალიზაცია. იმაზე, თუ როგორაა განსაზღვრული სახელის წამყვანი ფუნქცია, ბევრად დაამოკიდებული როგორც თვითონ სახელის, ისე პერსონაჟის სახისა და მთლიანად ნაწარმოების ინტერპრეტაცია. სახელის მიერ შესრულებული ფუნქციები ნაწარმოების სხვა სახელებთან ურთიერთქმედებაში ვლინდება“.<sup>13</sup>

სწორედ ასეთ სახელთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ პუშკინისეული ივან, რომელიც გარკვეულ როლს თამაშობს არა მხოლოდ მსახურის მხატვრული სახის, არამედ პიესაში განვითარებული მოვლენების წარმოჩენაში.

მართალია, „ძუნწი რაინდის“ შუა საუკუნეების ფრანგულ კოლორიტს, ძირითადად, სხვა პერსონაჟთა სახელები – ალბერი, დელორჟი, კლოტილდა, რემონი, ტიბო ქმნიან, მაგრამ თავისი ფუნქცია აქვს ივანსაც, რომელსაც ერთგვარი რუსული ელფერი შეაქვს პიესაში. ამიტომ აუცილებელია მისი არათუ თარგმანში გადატანა, არამედ დედნისეული უღერადობის შენარჩუნებაც. რაც პიესის ქართულ თარგმანთაგან მხოლოდ პ. იაშვილისეულ თარგმანშია (1936) გათვალისწინებული, ხოლო რ. ერისთავისა (1899) და დ. კესაშვილის თარგმანებში (1913)

<sup>10</sup> Калинин В. Поэтика онимов в Маленькой трагедии Пушкина Скупой рыцарь// Пушкин: Альманах. Магнитогорск: МаГУ, 2004. Вып. 4. стр. 57- 67.

<sup>11</sup> Мурьянов М. К реальному комментарию „Скупого рыцаря“, Временник Пушкинской комиссии. 1969, Ленинград: Наука. 1971, стр.101-102 <http://feb-web.ru/feb/pushkin/serial/v71/v71-101-.htm>.

<sup>12</sup> თ. ჩხენკელი. რეცენზია თ. მღვბრიშვილის სადისერტაციო ნაშრომზე „პუშკინის „მცირე ტრაგედები“ ქართულ თარგმანებსა და სალიტერატურო კრიტიკაში“. 1990. გვ. 2. თ. მღვბრიშვილის პირადი არქივი.

<sup>13</sup> Виноградова Н. Имя персонажа в художественном тексте: Функционально-семантическая типология. Автореферат кандидатской диссертации. Тверь, 2001 - <http://www.dissercat.com/content/imya-personazha-v-khudozhestvennom-tekste-funktionalno-semanticheskaya-tipologiya>.

ქართულში დადგენილი ნორმების თანახმად, ე დაბოლოებით (ივანე) არის გადასული. რაც შეხება თ. ჩხენკელისეულ უსახელო მსახურს, იგი თითქოს მეტ დამაჯერებლობას სძენს პიესის ფრანგულ გარემოს, მაგრამ დაკარგულია მის სახელთან დაკავშირებული ავტორისეული ჩანაფიქრი, მისი იდეურ-მხატვრული დანიშნულება. შესაბამისად, სახეს იცვლის პერსონაჟი, რომლის სხვა პიროვნული მახასიათებლები დედანთან შესაბამისობაშია, მაგრამ მთლიანობაში პუშკინისეულ მსახურთან მაინც დაშორებული – მთარგმნელის შეხედულებისამებრ კორექტირებული და ინტერპრეტირებული. რაც თეორიულად მიუღებელია, რადგან როგორც ვ. კომისაროვი აღნიშნავს, თარგმანმა სრულფასოვნად უნდა ჩაანაცვლოს ორიგინალი როგორც ერთიანობაში, ისე დეტალებში და განახორციელოს ის ამოცანები, რის გამოც შეიქმნა თარგმანი.<sup>14</sup>

გ. წიბახაშივილი პირდაპირ მიგვითითებს, რომ „ავტორი საკუთარი შეხედულების მიხედვით არჩევს ნაწარმოების თემას, ჟანრს, შინაარსს, ტიპაჟს, სიუჟეტს, სტილს, მოცემულობას, სახეთა სისტემას, იდეურ მიმართულებას და სხვა კომპონენტებს. მთარგმნელი კი ვალდებულია ყველაფერი ეს მაქსიმალური სისრულით ასახოს თარგმანში. ვალდებულია, თუ ის მთარგმნელია და არა გადამკეთებელი“.<sup>15</sup> ამაზე ამახვილებს ყურადღებას ლ. ბრეგაძეც, რომლის დაკვირვებით „ყველა ვერ ახერხებს გარდასახვას, სათარგმნელი მწერლის მხატვრულ სამყაროში გადასახლებას, საკუთარი ენობრივ-სტილისტიკური მანერის დროებით დათრგუნვას, რაც საჭიროა იმისათვის, რომ სათარგმნელ ავტორს ჩვენი გემოვნება, ჩვენი სტილისტიკური შეხედულებები არ მოვახვიოთ თავს“.<sup>16</sup> მით უფრო თუ საქმე პუშკინის რანგის ავტორს ეხება.

აღბათ რიგითი მკითხველისთვის, განსჯის საგანი არ ხდება ფრანგულ ყოფაში ივანის სახელით მსახურის შემოყვანა. ეს მხოლოდ თარგმანმცოდნეთა დაკვირვების ობიექტია.

მთარგმნელი თუ კრიტიკოსი, ვინც კი პუშკინის შემოქმედებას შეხება, თავისებურად ცდილობდა მისი აზრების ინტერპრეტაციას, ნებით თუ უნებლიეთ, რადაცას აზვიადებდა, რადაცას ამარტივებდა, რათა თავი დიდი რუსი მგოსნის თანამოაზრედ გამოეცხადებინა, თავისი იდეები მისი ავტორიტეტით გაემყარებინა. ამის დადასტურებაა მ. მურიანოვის ვერსია და თ. ჩხენკელის თარგმანი.

## Tamar Mgebrishvili

### On preserving character name Ivan in translation of A. Pushkin's

#### The Covetous Knight

##### Summary

The paper deals with the analysis of a problem appearing during transfer of the only Russian anthroponym Ivan (Иван) in translation of Pushkin's short tragedy *The Covetous Knight*. While determining the specific character of the name, M. Murianov's, A. Shtarkman's and V. Kalinkin's views were taken into account. It has been suggested that by introducing the Baron's servant with the Russian name in the medieval French circle the author indicates to the fact that viciousness of misery and conflict between father and son are not alien to Russia either. In connection with this T. Chkhenkeli's viewpoint is also presented, namely, it is shown that for Georgian translator of *The*

<sup>14</sup> Комиссаров В. Теория перевода (лингвистические аспекты). Москва, 1990. стр. 233.

<sup>15</sup> გ. წიბახაშივილი. თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. თბილისი, 2000. გვ. 15.

<sup>16</sup> ლ. ბრეგაძე. თარგმანი და ორიგინალი. თბილისი, 2014. გვ. 91.

*Covetous Knight*, the Russian name given to the French Baron by Pushkin is historical nonsense, which is not to be repeated in the translation, and this character must be rendered without name.

For the in-depth understanding of this issue the work focuses on the role of anthroponym in the creation of artistic image of the character, demonstration of his ethnic and socio-psychological characteristics and the name of the servant is considered to be that important component of the play which must reach the reader of the translation without loss in order to create an adequate impression of the source text not only concerning the character, but also the events developed in the composition.

**ქეთევან ნიკოლაძე**, ფილოლოგიის დოქტორი

### **ოკაზიონალიზმების თარგმნის პრობლემა**

ხალხის ენა და კულტურა ძალზე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ერთი მხრივ, ენა ერთგვარად ასახავს ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანების აზროვნებას, სინამდვილისადმი და სამყაროსადმი დამოკიდებულებას და ა.შ. მეორე მხრივ კი, სწორედ მის ირგვლივ არსებულ მიკრო თუ მაკრო სამყაროსთან ურთიერთობით უყალიბდება ადამიანს სამყაროს სრულიად ინდივიდუალური და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხედვა და ინტერპრეტაციის უნარი. სინამდვილის ინტერპრეტაცია ყოველთვის იმ კულტურითაა ანუ ისტორიულ-საზოგადოებრივი კონტექსტითაა განპირობებული, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს; ასევე ისტორიულ-საზოგადოებრივი კონტექსტითაა განსაზღვრული ის, თუ როგორ გამოხატავს ადამიანი ენის საშუალებით სინამდვილის მისეულ აღქმას. მოკლედ რომ ვთქვათ, ენაში აისახება რეალობის ჩვენეული აღქმა და ენა არის საშუალება, რომლითაც სამყაროს ჩვენეულ ხედვას გადავცემთ სხვა ადამიანებს. ამა თუ იმ ენაზე ლაპარაკი ან ენის შესწავლა, ამავე დროს, ნიშნავს იმას, რომ ენობრივი კოლექტივის წარმომადგენელი თანდათან ითვისებს ენაში დამკვიდრებულ წარმოდგენებს, შეხედულებებს, განწყობებს.

საინტერესოა, რა კავშირშია ყოველივე ზემოთქმულთან თარგმნა? თუ გავიზიარებთ აზრს ენისა და კულტურის (ფართო გაგებით) მჭიდრო და ურთიერთქმედითი კავშირის შესახებ, თარგმნა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც კულტურული და ენობრივი ემანსიპაცია, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს იმას, რაც მიღებული და დამკვიდრებულია ენობრივ კოლექტივში. თარგმნის შეუძლია ენის საზღვრების რღვევა და გაფართოება, როგორც მსოფლმხედველობრივი, ისე ენობრივი ინოვაციის კუთხით და მთარგმნელს, შესაბამისად, უწევს არა მხოლოდ ენათაშორისი, არამედ კულტურათაშორისი მედიატორის როლის შესრულება.

### **თანამედროვე ტენდენციები თარგმანმცოდნეობაში**

თარგმანმცოდნეობა არის მეცნიერება თარგმნისა და თარგმანის შესახებ. ის თავისი არსით ფსიქოლინგვისტური და კოგნიტურ-ფსიქოლოგიური ხასიათისაა და იკვლევს მთარგმნელობით პროცესს ანუ იმას, თუ რა ხდება მთარგმნელის თავში თარგმნის დროს. მეორე მხრივ, მეცნიერება თარგმანის შესახებ იკვლევს თარგმანს ანუ მთარგმნელობითი საქმიანობის პროდუქტს; როგორც ვხედავთ, მეცნიერების ეს დარგი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათისაა.

თარგმანის თეორიასა და პრაქტიკას შორის დამოკიდებულება უკვე კარგა ხანია დისკუსიის საგანია ლინგვისტთა შორის. ამ საკითხთან დაკავშირებულ მოსაზრებათა შორის ყველაზე საინტერესოდ მიგვაჩნია ერთ-ერთი მათგანი, რომლის არსიც მდგომარობს შემდეგში: თარგმანის თეორიის ამოცანა არ უნდა იყოს ინსტრუქციებისა და მითითებების გაწერა, რომელზე დაყრდნობითაც მთარგმნელმა უნდა წარმართოს თარგმნის პროცესი, არც ისეთი კონცეფციების შემუშავება, რომლებითაც ყველა მთარგმნელმა უნდა იხელმძღვანელოს. მთარგმნელი თავისი თარგმანები-

თა და მთარგმნელობითი სამუშაოს შესახებ გაკეთებული კომენტარებით გვაწვდის ემპირიულ მასალას, რომლის გაანალიზება, აღწერა და ახსნა ევალუბა თარგმანმცოდნეს. თარგმანმცოდნეობა არ არის ნორმატიული მეცნიერება. მიუხედავად იმისა, რომ თავისი კვლევის ობიექტის განსაზღვრის დროს ის ვერ ცდება ნორმატიულ რეგულაციებს, რადგან უწევს სხვადასხვა კითხვაზე პასუხის გაცემა, როგორცაა, მაგალითად, რომელი ტექსტები მიეკუთვნება მისი კვლევის სფეროს და რომელი – არა.<sup>1</sup>

თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში თარგმანისა და თარგმნის ბევრი დეფინიცია არსებობს. ჩვენ შევეცდებით, მოკლედ მიმოვიხილოთ ისინი. ა. გ. ოთინგერის დეფინიცია სტატისტიკური ხასიათისაა, რომელშიც ისეთი ფაქტორები, როგორცაა ტექსტი და ტექსტის რეციპიენტი, საერთოდ არაა გათვალისწინებული. მისთვის თარგმნა არის ერთი ენის ნიშნების მეორე ენის ნიშნებით ჩანაცვლება იმ პირობით რომ, ამ ნიშნებს შორის ეკვივალენტობა არის დაცული<sup>2</sup>. ი. ც. ქათფორდისა და ჰ. ვაინრიხის დეფინიციებში ცენტრალური ადგილი ტექსტს უჭირავს: მთარგმნელობითი საქმიანობის დროს ხდება არა ცალკეული სიტყვების, არამედ წინადადებებისა და ტექსტების თარგმნა. თარგმნის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს არა სიტყვების, არამედ ტექსტის დონეზე. ე. ი. თარგმნა კომუნიკაციის კონტექსტში უნდა განვსაზღვროთ.<sup>3</sup> ვ. ვინთერისეულ განმარტებაში ჩნდება არა მხოლოდ ტექსტის, არამედ სამყაროს ცნებაც. ეს უკანასკნელი წარმოადგენს გარეგნობრივ მოვლენას, რომელიც ინტერპრეტაციაც ხდება ტექსტის მეშვეობით ამა თუ იმ ენის სპეციფიკაზე დაყრდნობით. ანუ აქ განმსაზღვრელია ენის სტრუქტურული (სინტაქსური და სემანტიკური) თავისებურებები: „თარგმნა არის ჩვენს ირგვლივ და ჩვენში არსებული სამყაროს სემანტიკის ინტერპრეტაციის, რომელიც ტექსტის სახით არსებობს, ჩანაცვლება მეორე, შეძლებისდაგვარად ეკვივალენტური, ტექსტით“.<sup>4</sup> ე. ა. ნაიდა, რომელიც თარგმნის პროცესისადმი ლინგვისტურ-კომუნიკაციური მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, თარგმანს განიხილავს, როგორც კომუნიკაციის აქტს, რომლის დროსაც ენის ცვლა, მხოლოდ ერთ-ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტორია. ყველაზე არსებითი ნაიდას შეხედულებებში არის ეკვივალენტობის ორი ტიპის გამოყოფა: ფორმალურად ეკვივალენტური თარგმანი ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით ორიენტირებულია ორიგინალის ენაზე. დინამიკური ეკვივალენტობის დროს კი – სათარგმნ ენასა და შეტყობინების მიმღებზე. ის, რომ დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპის დროს ხვედრითი წონა მიმღებზე მოდის, კარგად ჩანს იმ ტერმინოლოგიიდანაც, რომელსაც ე. ა. ნაიდა იყენებს. ის არ საუბრობს სათარგმნ ენაზე (სიტყვასიტყვით სამიზნე ენა target language), არამედ – მიმღების ენაზე (receptor language). თუ შევაჯამებთ ე. ა. ნაიდას შეხედულებებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თარგმანი, ერთი მხრივ, ორიენტირებული უნდა იყოს დედანზე (მთარგმნელის მოვალეობაა, პირველ რიგში, უზრუნველყოს დედნის შინაარსის, მეორე რიგში კი, სტილის გადმოტანა) და, მეორე მხრივ, ტექსტის რეციპიენტის ენაზე ისე, რომ თარგმანის ენაში მის მიერ შერჩეული ენობრივი ერთეული არა მხოლოდ ზუსტი, არამედ, ამავე დროს, ბუნებრივად უნდა იყოს.<sup>5</sup> ვ. ვილსისთვის „თარგმნა არის ტექსტის გადამუშავებისა და ვერბალიზების (ფორმულირების) პროცესი, რომელსაც დედნიდან შეძლებისდაგვარად ეკვივალენტურ თარგმანამდე მივყავართ და რომელიც დედნის შინაარსობრივ და სტილურ გაგებას გულისხმობს. თარგმნა, შესაბამისად, ორ ძირითად ფაზას მოიცავს: გაგების ფაზა, რომლის დროსაც მთარგმნელი დედნის შინაარსსა და სტილს აანალიზებს და ენობრივი რეკონსტრუქციის ფაზა, როდესაც მთარგმნელი ახდენს შინაარსობრივი და სტილური თვალსაზრისით გაანალიზებული დედნის რეპროდუქციას კომუნიკაციუ-

<sup>1</sup> W. Koller. Einführung in die Übersetzungswissenschaft. Tübingen, 2011, S. 7.

<sup>2</sup> A. G. Oettinger. Automatic language translation. Lexical and technical aspects with particular reference to Russian. Cambridge, 1960, S. 104.

<sup>3</sup> J. C. Catford. A linguistic theory of translation. London: Oxford University Press, 1965, 1. H. Weinrich. Erlernbarkeit, Übersetzbarkeit, Formalisierbarkeit. Theorie und Empirie in der Sprachforschung. Basel, 1970, S. 5.

<sup>4</sup> W. Winter. Impossibilities of translation. The Craft and Context of Translation. Austin/Texas, 1961, S. 68.

<sup>5</sup> E. A. Nida . A. Science of translation. Language 45. Washington, 1969, S. 12.

რი ეკვივალენტობის ოპტიმალური გათვალისწინებით”.<sup>6</sup> გ. იეგერის აზრით, თარგმნა მდგომარეობს ისეთი თარგმანის მომზადებაში, რომელიც ორიგინალის ეკვივალენტური იქნება კომუნიკაციური თვალსაზრისით.<sup>7</sup> ძალიან საინტერესო შეხედულებას ვაწყდებით მ. ვანერემისა და მ. სნელ-ჰორნბის ნაშრომში. ისინი თარგმნის პროცესს განიხილავენ მთარგმნელის პერსპექტივიდან, რომელიც, პირველ რიგში, ტექსტის გაგებით და შემდეგ პროდუცირებით არის დაკავებული. თარგმნის პროცესი ორ ფაზას მოიცავს: პირველ ფაზაში (ანალიზი) მთარგმნელი შეისწავლის ენობრივ მასალას ანუ ტექსტს თავისი ლინგვისტური კომპონენტებით (frames), რომელიც დედნის მკითხველში გარკვეულ ასოციაციებს იწვევს (scenes). მეორე ფაზაში (სინთეზი) მთარგმნელი ეძებს ენობრივ მასალას სათარგმნ ენაზე (frames), რომელიც თარგმანის მკითხველში „სასურველ“ ასოციაციას (scenes) გამოიწვევს.<sup>8</sup> (ტერმინები scenes და frames საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში. scenes აღნიშნავს ასოციაციას, რომელსაც ესა თუ ის სიტყვა ან ცნება ენის მომხმარებელში იწვევს – ასოციაცია, როგორც წესი, ეფუძნება ენის მომხმარებლის ცოდნას სამყაროს შესახებ; ამ ასოციაციის გამომწვევ მიზეზს, რომელშიდაც, ჩვეულებრივ, ესა თუ ის ტექსტი იგულისხმება, frames ეწოდება.)

თუ შევაჯამებთ ზემოთ მოცემულ დეფინიციებს, ძნელი შესამჩნევი არ იქნება, რომ არც ერთი მათგანი არ არის წმინდა დესკრიფციული ხასიათის. ყველა მათგანი შეიცავს ნორმატიულ ელემენტს ანუ ყველა დეფინიციის ნათქვამია არა მხოლოდ ის, თუ რას წარმოადგენს მთარგმნელობითი საქმიანობა, არამედ როგორი უნდა იყოს ის. ნორმატიულ ასპექტს მოიცავს, მაგალითად, ეკვივალენტობის ცნება. გარდა ამისა, განმარტებებში ყურადღებაა გამახვილებული საკითხებზე, რომლებიც თარგმნის პროცესში გარკვეულ როლს თამაშობენ. ესენია: დედანი, თარგმანი, ტექსტი, შინაარსი, სტილი, ტექსტის რეციპიენტი და ა.შ.

თანამედროვე თარგმანმცოდნეობა თავისი დეფინიციებისთვის ხშირად იყენებს მოდელის სახის გრაფიკულ საშუალებებს. საერთოდ, ვერბალური განმარტება ხშირად რთული და არათვალსაზრისით, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მასში ორი ან მეტი ფაქტორი თუ პირობაა ინტეგრირებული. მოდელის ფუნქციაა, ასაღწერი ფენომენის მნიშვნელოვანი ელემენტების აბსტრაქტული, მაგრამ ამავე დროს, თვალსაზრისით ფორმით წარმოდგენა. თარგმანის მოდელები, ისევე როგორც დეფინიციები, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი კომპლექსურობითა და მთარგმნელობითი საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინება-არგათვალისწინებით.

არსებობს ენობრივ ნიშნებზე ორიენტირებული მოდელი, რომელიც დიდწილად ა. გ. ოთინგერის შეხედულებას ემთხვევა. ამ მოდელის თანახმად, თარგმნის პროცესში ხდება დედნის ენის ნიშანთა გარდაქმნა სათარგმნ ენის ნიშნებად ინტერლინგვისტურად მუდმივი (უცვლელი) სიდიდის საფუძველზე, რომელიც დედნის ენასა და თარგმანის ენაში განსხვავებულად აღინიშნება. ამ მოდელის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ თარგმნის დროს ხდება არა დამოუკიდებლად არსებული ნიშნების ანუ სიტყვების თარგმნა, არამედ (კონ)ტექსტში მოცემული სიტყვების თარგმნა.

მოდელებში, რომლებიც გენერატიული ტრანსფორმაციის გრამატიკის ფარგლებში შეიმუშავეს, თარგმნა განიხილება, როგორც ანალიზისა და სინთეზის პროცესი. თუმცა ამაში არ იგულისხმება თარგმნის პროცესის მკაცრი ფორმალურ-სინტაქსური აღწერა, არამედ ინტუიციურ და ფუძნებული უკუტრანსფორმაცია, რომელიც ამ მოდელის შემქმნელთა აზრით, იმეორებს თარგმნის დროს მთარგმნელის თავში წარმართულ პროცესს. ეს უკანასკნელი, მათი ვარაუდით, შემდეგანაირად უნდა გამოიყურებოდეს: თავდაპირველად ხდება დედნის ენის რთული ზედაპირული სტრუქტურის დაყვანა უფრო მარტივ ზედაპირულ სტრუქტურამდე, რომელიც სათარგმნ ენაზე გარდაიქმნება ჯერ მარტივ სტრუქტურად, ხოლო შემდეგ – ტექსტად. აღნიშნულ მოდელს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. მის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გადაუმოწმებ-

<sup>6</sup> W. Wills. Zur Produktion und Rezeption sprachlicher Zeichen. Zeitschrift für germanistische Linguistik. Band 13, Heft 3, 2009, S. 72.

<sup>7</sup> G. Jäger. Translation und Translationslinguistik. Halle, 1975, S. 36.

<sup>8</sup> M. Vannerem. M. Snell-Hornby. Die Szene hinter dem Text: „scenes-and-frames semantics“ in der Übersetzung. Übersetzungswissenschaft. Eine Neuorientierung. Tübingen, 1986, S. 189.



ლია და შემდგომ კვლევას საჭიროებს ის, თუ რა ხდება მთარგმნელის თავში თარგმნის დროს, თუმცა კარგი ისაა, რომ რეკონსტრუქციის და სინთეზის პროცესი საკმაოდ მკაცრად კონტროლდება: ელემენტარული სტრუქტურების უფრო რთული სტრუქტურებით ჩანაცვლების დროს ხდება მათი სტილური დამუშავება ისე, რომ ისინი ოპტიმალურად აღწევენ თარგმანის მკითხველამდე.

მოდელს, რომელიც ე.წ. ტრანსლაციურ ლინგვისტიკაში შეიმუშავეს, საფუძვლად დაედო შეტყობინებების ტექნიკასა და ინფორმაციის თეორიაში გამოყენებული ცნებები და ტერმინები – კოდი და კოდის შეცვლა. კოდში იგულისხმება საკომუნიკაციო არხის ნიშანთა ერთობლიობა და ამ ნიშანთა შორის კავშირის მარეგულირებელი მექანიზმი. ნიშანთა ერთობლიობა ლინგვისტიკაში მოიაზრება როგორც ენის ლექსიკური მარაგი, ხოლო მათ შორის კავშირის მარეგულირებელი მექანიზმი როგორც სინტაქსი. ენობრივი კომუნიკაციის დროს კოდი საჭიროა იმისათვის, რომ გამგზავნმა მოახდინოს ინფორმაციის კოდირება, ხოლო მიმღებმა, რომელიც იმავე კოდის მფლობელია, შეტყობინების დეკოდირების შედეგად შეძლოს შესაბამისი ინფორმაციის მიღება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანური კომუნიკაცია ბევრად უფრო რთულია: 1. უშუალო კომუნიკაციის დროს კითხვა-პასუხი არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც არის. ამიტომ აქ კომუნიკატორი შეიძლება ერთსა და იმავე დროს გამგზავნიც იყოს და მიმღებიც; 2. გარდა ამისა, ადამიანური კომუნიკაცია ყოველთვის რომელიმე სოციალურ კონტექსტში მიმდინარეობს, სადაც გარკვეულ როლს თამაშობს მოსაუბრის/მესმენელის გამოცდილება და განათლების დონე, სოციო-კულტურული და ეკონომიკური ბაზა, კომუნიკატორების სოციალური როლები, სივრცობრივ-დროითი სიტუაციური კონტექსტი და ა.შ. 3. ნიშანთა რეპერტუარი ხანადახან ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკეთათვისაც კი არ არის იდენტური. როგორც ვიცით, ერთ ენობრივ კოლექტივში ორი ადამიანიც კი არ არსებობს, ერთსა და იმავე სიტყვასთან ზუსტად ერთი და იმავე მნიშვნელობას ან ასოციაციას რომ აკავშირებდეს. 4. ადამიანთა კომუნიკაციის მიზანი არ არის მხოლოდ ინფორმაციის გადაცემა, არამედ მისი შეფასებაც. ენას ასევე იყენებენ ასევე კონტაქტის დასამყარებლად, ბრძანებებისა და განკარგულებების გასაცემად, კითხვების დასასმელად და ა.შ. ენას ასევე შეიძლება ქონდეს წმინდა ესთეტიკური ფუნქცია (მაგ., მხატვრულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით – პოეზიაში).

რაც შეეხება მთარგმნელის როლს მთელ ამ პროცესში, ის უამაგალია გამგზავნსა და მიმღებს შორის და ახორციელებს კოდის ცვლას. მისი მოვალეობაა, კოდის შეცვლის მიუხედავად, შეძლოს ტექსტის შინაარსის, როგორც ინვარიანტის, შენარჩუნება. თარგმანის კომუნიკაციას სამ ფაზად ყოფენ: 1. კომუნიკაცია გამგზავნსა და მთარგმნელს შორის, რომელიც წარმოადგენს ორიგინალის ტექსტის მიმღებს; 2. გადასვლა დედნის ენიდან თარგმანის ენაზე, რომელსაც ახორციელებს მთარგმნელი; 3. კომუნიკაცია მთარგმნელსა და სათარგმნ ენაზე მოლაპარაკე მიმღებს შორის. ამ მოდელის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ის ვერ აკმაყოფილებს თარგმანის კომუნიკაციის სპეციფიკას და მთარგმნელობითი საქმიანობის კომპლექსურ ხასიათს. ეს განსაკუთრებით ეხება მთარგმნელს, რომლის როლიც, ამ მოდელის თანახმად, მხოლოდ კოდის შეცვლით განისაზღვრება. გარდა ამისა, მთარგმნელი სულ სხვა ტიპის მიმღებია, ვიდრე ორიგინალის ტექსტის „ჩვეულებრივი“ მიმღები. ის, როგორც დედნის ენის, ამ ენაზე მოლაპარაკეთა კულტურის და ტექსტში წარმოდგენილი სამყაროს მეტ-ნაკლებად მცოდნე, დედანს სულ სხვაგვარად აღიქვამს, ვიდრე თარგმანის მკითხველი, რომელსაც შეეხება მხოლოდ თარგმანთან აქვს. მთარგმნელი სრულიად სხვა ტიპის გამგზავნია, ვიდრე ორიგინალის ავტორი. მთარგმნელი ქმნის არა პროდუქციას, არამედ რეპროდუქციას ანუ პროდუქტიული ასპექტი აქ დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია.

დასკვნის სახით გვსურს ვთქვათ შემდეგი: ჩვენი აზრით, ძალიან კარგია, თარგმნისა და თარგმანის შესახებ ამდენი ერთმანეთისაგან განსხვავებული დეფინიცია რომ არსებობს. მთარგმნელი ყველა მათგანს უნდა იცნობდეს, რადგან თავისი მიზნებიდან გამომდინარე მას შეუძლია ყველა მათგანში იპოვოს ჭეშმარიტების პატარა მარცვალი (მაგ. თუ მთარგმნელის მიზანია, რაც შეიძლება მოკლე დროში, მიაწოდოს დაინტერესებულ პირს რომელიმე ელექტრონული ხელსაწყოს მოხმარების ინსტრუქცია, მაშინ ის სხვა ხერხს მიმართავს, ვიდრე მთარგმნელი, რომელიც მუშაობს პროზაული თუ პოეტური ნაწარმოების მხატვრულ თარგმანზე. ამ უკანასკნელისათვის,

რასაკვირველია, მნიშვნელოვანი იქნება ეკვივალენტობის მიღწევა არა მხოლოდ დენოტაციურ დონეზე). რაც შეეხება ჩვენს პირად მოსაზრებას, ის შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ: იმისათვის, რათა მთარგმნელმა შექმნას მაღალი ხარისხის თარგმანი, მისი მიზანი უნდა იყოს, დედნისა და თარგმანის ტექსტებს შორის დამყაროს დინამიკური ეკვივალენტობა, რაც იმთავითვე გამორიცხავს ეკვივალენტობას ისეთი მცირე ენობრივი ელემენტების დონეზე, როგორცაა სიტყვები, სინტაგმები თუ წინადადებები. (გამორიცხავს არა იმიტომ, რომ ეს სასურველი არ არის, არამედ იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია თვით სტრუქტურულად ერთმანეთთან ყველაზე ახლო მდგომი ენების პირობებშიც კი.) გარდა ამისა, ეკვივალენტობა მცირე ენობრივი ელემენტების დონეზე სულაც არ არის ტექსტებს შორის დინამიკური ეკვივალენტობის უზრუნველყოფის გარანტი, რადგან ტექსტი არ წარმოდგენს მხოლოდ ენობრივი საშუალებების ერთობას; მასში ასახულია და მასზე გავლენას ახდენს გარეენობრივი ფაქტორებიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესა თუ ის ტექსტი ენობრივ კოლექტივში არ არსებობს იზოლირებულად, ის თანარსებობს სხვა ტექსტებთან ერთად და შექმნილია ენობრივი ინდივიდის მიერ, რომლის აზროვნებაც და, შესაბამისად, ენაც დეტერმინირებულია კონკრეტული კულტურული გარემოთი (ამ სიტყვის ფართო გაგებით). ანუ ტექსტი ატარებს, როგორც მისი ავტორის ინდივიდუალურ, ისე ავტორის მშობლიური კულტურის მახასიათებლებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთარგმნელისთვის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ტექსტი, როგორც ინდივიდუალური და კულტურული ფენომენი და მისი უპირველესი ამოცანა სათარგმნ ენაზე იმავე ღირებულების მქონე ტექსტის შექმნაში უნდა მდგომარეობდეს.

### **მთარგმნელობითი საქმიანობის ფაქტორები და პირობები თარგმანის მკითხველი და მისი მოლოდინი თარგმანისადმი**

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ მთარგმნელობითი საქმიანობის დროს, არის თარგმანის მკითხველი და მისი მოლოდინი თარგმანისადმი.

ავტორის მიერ ტექსტის გათვლა მკითხველზე და ის, თუ რას ელოდება ეს ამ უკანასკნელი ტექსტისაგან, ორმხრივი და ურთიერთქმედითი პროცესია: მკითხველის მოლოდინი გარკვეულ ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ რა სახის ტექსტს შექმნის ავტორი; ტექსტიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მკითხველის მოლოდინს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ხდება ამ მოლოდინის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილება ან მისი გაცრუება. სხვადასხვა ჟანრის ტექსტი სხვადასხვა ხარისხით არის გათვლილი მკითხველზე: სტილურად ნეიტრალური ტექსტების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მოლოდინის სრული დაკმაყოფილება, ნორმიდან გადახრილი ტექსტების შემთხვევაში კი – არა;

აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ დედნისა და თარგმანის მკითხველს განსხვავებულ პირობებში უწევთ ტექსტთან ურთიერთობა. თარგმანის მკითხველი ეცნობა ტექსტს, რომელიც სრულიად სხვა ენობრივ სამყაროს მიეკუთვნება, რადგან მასში სათარგმნი ენის ენობრივ-სტილური საშუალებებია გამოყენებული. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სათარგმნ ენაში ერთმანეთის გვერდით არსებობენ ორიგინალური ნაწარმოებები და ერთი და იმავე ენიდან ან სხვადასხვა ენიდან შესრულებული თარგმანები, რომლებიც ამკვიდრებენ ახალი თარგმანების შექმნისა და რეცეპციის ნორმებს.

თუ მოვახდენთ მიმდებარის მოლოდინის დიფერენციაციას თარგმანის პერსპექტივიდან, აქ ექვსი ასპექტი უნდა გამოვყოთ:

1. თემატური სფერო,
2. მაკროაგებულება,
3. მიკროაგებულება,
4. ტექსტის ფუნქცია,
5. ენობრივ-სტილური გაფორმება,

## 6. ტექსტის გაგება და ინტერპრეტაცია.<sup>9</sup>

თუ რა თემას ეხება ტექსტი, ამის შესახებ მკითხველმა მისი სათაურიდან და ტექსტის ჟანრიდან გამომდინარე შეუძლია დაასკვნას. თუმცა თემატურ-შინაარსობრივმა ასპექტმა შესაძლოა ზოგჯერ უკანა პლანზე გადაინაცვლოს. ეს განსაკუთრებით ეხება პოეტურ ტექსტებს, რომლებშიც ესთეტიკური და ვიზუალური მხარე (კონკრეტული პოეზია) ხანდახან უფრო რელევანტური აღმოჩნდება ხოლმე. ტექსტის თემატურ მხარესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება – არცთუ ისე იშვიათად მთარგმნელი მეტისმეტად ერევა ტექსტის შინაარსში. საქმე შეიძლება ისე შორს წავიდეს, რომ მთარგმნელმა დედნიდან მთელი პასაჟი ამოიღოს, რადგან ეს უკანასკნელი სათარგმნი ენის კულტურაში მიღებულ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ თუ მორალურ ნორმებს ეწინააღმდეგება. აქ დგება საკითხი, პრინციპულად უნდა უარვევოთ თუ არა მთარგმნელის ჩარევა ტექსტის შინაარსში, რაზეც ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ჭირს. საქმე ის არის, რომ თარგმანის აღქმა კონკრეტულ სოციო-კულტურულ გარემოში ხდება, რომელიც განსხვავდება იმ სოციო-კულტურული გარემოსაგან, სადაც ორიგინალი შეიქმნა. შესაბამისად, ორიგინალის მკითხველისა და თარგმანის მკითხველის ზოგადი ცოდნა თუ ტექსტის გაგების წინაპირობები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ხშირად ორიგინალში იმპლიციტურად ჩადებული ინფორმაცია, რომელიც აღნიშნულ კულტურაში თავისთავად ცხადია და ყოველდღიური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს, თარგმანში ექსპლიციტურად უნდა გამოიხატოს. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი ტექსტს ურთავს კომენტარებს და ამგვარად ცდილობს შეავსოს მკითხველის ცოდნის დეფიციტი.

რაც შეეხება მაკროაგებულებას, როგორც ვიცით, ტექსტის აგებისას ავტორი მეტ-ნაკლებად ემორჩილება იმ წესებს, რომლებიც ამა თუ იმ ჟანრის ტექსტის სტრუქტურირებისათვის არის აუცილებელი. მკაცრად დადგენილი წესები არსებობს მიზნობრივი ტექსტებისა და სპეცტექსტებისათვის, როგორცაა, მაგალითად, მეცნიერულ-ტექნიკური ტექსტი, ბიოგრაფია, ინსტრუქცია, განცხადება, ჰოროსკოპი, საგაზეთო სტატია და ა.შ. თუმცა ლიტერატურული ტექსტებიც ექვემდებარება ტექსტის აგების გარკვეულ პრინციპებს. გავიხსენოთ თუნდაც დეტექტიური რომანი, ზღაპარი, აფორიზმი, სონეტი. ტექსტის აგების წესები ხშირად განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანასა და კულტურაში და ხანდახან ერთი კულტურის მიზნობრივი ტექსტების ფარგლებშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ დროსთან ერთად იცვლება ტექსტის აგებისა და სტრუქტურირების მოდელებიც. თარგმნის დროს ჩნდება კითხვა, უნდა მოარგოს თუ არა ან რამდენად უნდა მოარგოს მთარგმნელმა თარგმანი სათარგმნი ენაში არსებულ ნორმებს, აქვს თუ არა უფლება მთარგმნელს, შეცვალოს ტექსტის აგებულება და სტრუქტურა და ა.შ.

შემდეგი პუნქტი – ტექსტის მიკროაგებულება გულისხმობს მისი სიღრმისეული და სტრუქტურის ბმის საშუალებებს, რომლებიც მთარგმნელმა ისე უნდა გადმოიტანოს სათარგმნი ენაზე, რომ მკითხველს პრობლემები არ შეექმნას ტექსტის გაგების დროს. პრობლემა თავს იჩენს მაშინ, როცა ორიგინალის ავტორს ტექსტი გათვლილი აქვს ორიგინალის მკითხველის ისეთ ზოგად თუ ყოველდღიურ ცოდნაზე, რომელიც სათარგმნი ენის მკითხველს არ გააჩნია. ორიგინალის ავტორმა შეიძლება ბევრი რამე არ თქვას, „იგულისხმოს“, რაც გაუგებარი დარჩება თარგმანის მკითხველისათვის. ამ დროს მთარგმნელი დგას საკმაოდ მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე. ტექსტის იმპლიციტური ინფორმაცია გახადოს ექსპლიციტური, რათა ტექსტი გასაგები გახდეს თარგმანის მკითხველისათვისაც.

რაც შეეხება ტექსტის ფუნქციას, უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებენ ტექსტის პირველად და მეორად ფუნქციებს<sup>10</sup>. მაგ., პოეტურ ტექსტებს არა მხოლოდ ესთეტიკური ფუნქცია გააჩნიათ, არამედ ხშირად საინფორმაციო და (ან) პერსუასიულიც. კ. როსიპალი ამ მოვლენას უწო-

<sup>9</sup> W. Koller. Einführung in die Übersetzungswissenschaft. Tübingen, 2011, S. 107.

<sup>10</sup> W. Koller. Einführung in die Übersetzungswissenschaft. Tübingen, 2011, S. 11, 114.

დებს „ენები ენაში“.<sup>11</sup> აქედან გამომდინარე, განასხვავებენ სამეცნიერო, პოლიტიკურ, სარეკლამო და ა.შ. ენებს. ყველა ამ ენას აქვს განსხვავებული ფუნქცია, რაც მათში გამოყენებულ გამომსახველობით საშუალებებზეც აისახება. მაგალითად, ექსპრესიული სიტყვები და გამოთქმები სამეცნიერო-ტექნიკურ ტექსტებში, როგორც წერი, არ იხმარება. სპეციალური ტერმინოლოგია, მართალია, ლიტერატურულ ტექსტებშიც შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ ისინი ძირითადად მაინც სპეცტექსტებში გამოიყენება და ა.შ. ტექსტის ფუნქციებთან დაკავშირებით მთარგმნელი შემდეგი პრობლემების წინაშე დგას:

- **ორიგინალში მიაკვლიოს პირველად და მეორად ფუნქციებს;**
- **დაადგინოს, სავალდებულოა ან შესაძლებელია თუ არა თარგმანში ამ იერარქიის შენარჩუნება;**
- **გამოიკვლიოს, სათარგმნ ენაში რომელი ჟანრის ტექსტში რომელი ენობრივ-სტილური საშუალებები გამოიყენება.**

შემდეგი პუნქტი – ტექსტის ენობრივ-სტილური გაფორმება, საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია. სხვადასხვა ჟანრის ტექსტებისათვის სხვადასხვა ფუნქციონალური სტილის გამოყენებაა საჭირო. განსხვავებული ფუნქციონალური სტილი ნიშნავს სტილური ელემენტების/საშუალებების განსხვავებულ არჩევანს, კომბინაციას და გამოყენების სიხშირეს. მთარგმნელის მოვალეობაა, ორიგინალის ენობრივ და სტილურ ელემენტებს შეუხამოს ისეთი ელემენტები, რომლებიც სათარგმნ ენაში შესაბამისი ფუნქციონალური სტილის ენობრივ და სტილურ ელემენტებს შეესაბამებიან.

ბოლო და საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია ტექსტის გაგება და ინტერპრეტაცია. მკითხველი ნებისმიერი ტექსტის კითხვას იწყებს იმ იმედით, რომ მას გაიგებს ანუ შეძლებს საკუთარი ცოდნაზე დაყრდნობით ტექსტიდან ინფორმაციის მოპოვებას. მეცნიერული ტექსტისაგან ამა თუ იმ სფეროს სპეციალისტი ელოდება, რომ მას ტექსტის გაგებაში ხელს არ შეუშლის აზრის ხატოვანი გამოხატვა და სიტყვების პოლისემიურობა. პირიქით, სამეცნიერო ტერმინების გამოყენებამ უნდა გამორიცხოს ორაზროვნება და გაურკვევლობა. ლიტერატურული ტექსტების შემთხვევაშიც ელოდება მკითხველი, რომ ის მათ (ტრივიალური თვალსაზრისით მაინც) გაიგებს. თუმცა მეცნიერული ტექსტებისაგან განსხვავებით, ლიტერატურული ტექსტები სწორედ იმით გამოირჩევიან, რომ მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევიან. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც ასეთ დროს მთარგმნელს უნდა დაეკარგოს, არის ის, თუ ამ ინტერპრეტაციებიდან რომელი შეესაბამება ორიგინალის ინტენციას და რომელი – არა. ამის გასარკვევად მთარგმნელს შეუძლია ჩაატაროს დედნის ანალიზი, რომელიც ტექსტის საზრისის დადგენას ემსახურება. რასაკვირველია, ეს კვლევა ვერასოდეს იქნება აბსოლუტურად ობიექტური, რადგან ტექსტის ინტერპრეტაცია ყოველთვის არის შედეგი, ერთი მხრივ, ტექსტის ავტორის ინტენციისა და, მეორე მხრივ, იმ სიტუაციისა თუ ისტორიული ეპოქისა, რომელშიც მკითხველი ანუ მთარგმნელი ტექსტს ეცნობა.

## **თარგმნადობის, ინვარიანტისა და ეკვივალენტობის პრობლემა**

საკითხი, რომელიც თანამედროვე ლინგვისტიკაში ხანგრძლივი და ცხარე დისკუსიის საგანს წარმოადგენდა და წარმოადგენს, არის თარგმნის თეორიული და პრაქტიკული შესაძლებლობა/შეუძლებლობის პრობლემა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს პასუხთა ფართო სპექტრი, სადაც წარმოდგენილია აბსოლუტურად ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები: ერთნი საუბრობენ თარგმანზე, როგორც პრინციპულად შეუძლებელი ამოცანაზე, მეორენი თარგმანს შეუძლებლად მიიჩნევენ გარკვეული ჟანრის ტექსტებისათვის, მე-

<sup>11</sup> H. Rossipal. Konnotationsbereiche, Stiloppositionen und die sogenannten „Sprachen“ in der Sprache. Zeitschrift für germanistische Linguistik 4, 1973, S. 15.

სამე ჯგუფს მიაჩნია, რომ თარგმნას ექვემდებარება მხოლოდ ტექსტის რაციონალური კომპონენტები ანუ დენოტაციური მნიშვნელობა.

ჩვენ ზემოთ ვიმსჯელებთ კულტურისა და ენის მჭიდრო ურთიერთკავშირის შესახებ. ამ ურთიერთკავშირს ბევრი მეცნიერება იკვლევდა და იკვლევს. ესენია ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ანტროპოლოგია, ეთნოლოგია, ლინგვისტიკა და ა.შ. თარგმანმცოდნეობა კულტურას აიგივებს კომუნიკაციურ კონტექსტთან და ერთმანეთისაგან განასხვავებს კომუნიკაციურ კონტექსტებს, რომელშიც დედანია წარმოდგენილი და რომელშიდაც თარგმანია წარმოდგენილი. თუ დედნისა და თარგმანის ენის კომუნიკაციური კონტექსტები ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ საუბრობენ თარგმნის აბსოლუტური შესაძლებლობის შესახებ. თუ დედნის ენისა და სათარგმნი ენის კომუნიკაციური კონტექსტები არანაირ მსგავსებას არ ავლენენ. ამ დროს დგება თარგმნის აბსოლუტური შეუძლებლობის პრობლემა, ხოლო დედნისა და სათარგმნი ენის კომუნიკაციური კონტექსტების ნაწილობრივ თანხვედრის შემთხვევაში საქმე გვაქვს ნაწილობრივი თარგმნადობის პრობლემასთან<sup>12</sup>. საინტერესოა ის გარემოება, რომ ვ. კოლერი ეჭვქვეშ აყენებს მოსაზრებას თარგმნის აბსოლუტური შესაძლებლობის და შეუძლებლობის შესახებ და გვთავაზობს ფარდობითი თარგმნადობის თეზას (relative Übersetzbarkeit), რომელიც წარმოადგენს შუალედურ შეხედულებას თარგმნადობის შესახებ არსებულ ორ ექსტრემალურ მოსაზრებას შორის. ესენია თარგმნადობის რაციონალისტური ხედვა და შინაარსზე ორიენტირებული გრამატიკის წარმომადგენელთა ხედვა თარგმნის შეუძლებლობის შესახებ. პირველი ავითარებენ აზრს, რომ, თუ ყველაფერი, რისი გაფიქრებაც ადამიანს შეუძლია, შეიძლება ენის მეშვეობით გამოიხატოს, მაშინ პრინციპულად შესაძლებელი უნდა იყოს ისიც, რომ ის, რაც ერთ ენაში გამოიხატება, მეორე ენაში თარგმნას დაექვემდებარება; მეორე კი ფიქრობენ, რომ ენობრივი კოდექტივის წარმომადგენელთა მიერ სინამდვილის აღქმა მეტ-ნაკლებად დეტერმინირებულია ენის სტრუქტურით, ენები კი, მათი არსიდან გამომდინარე, არ ექვემდებარებიან თარგმანს (ამ აზრს იზიარებენ ლ. ვაისგერბერი, ბ. ლ. ვორფი და ა.შ).

ფარდობითი თარგმნადობა შემდეგ პრინციპებს ემყარება:

1. წარმატებული კომუნიკაცია თარგმანების მეშვეობით, თვით ენებს შორის დიდი გასხვავების პირობებშიც კი, ნიშანია იმისა, რომ ადამიანური ენა ბევრად უფრო მოქნილი, დინამიკური და მრავალშრიანია, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია. ასევე დინამიკურია ენას, სინამდვილესა და სინამდვილის აღქმას შორის დამოკიდებულება: დროსთან ერთად იცვლება კულტურა, კომუნიკაციის პირობები, ენის გამოყენება. ყველა თარგმანი გარკვეულწილად ცვლის როგორც სათარგმნი ენას, ისე სათარგმნი ენის კომუნიკაციურ პირობებს და რაც უფრო დიდია განსხვავება ორი ენის კულტურებს შორის, მით უფრო მოუწევს ენას თავისი დინამიკური და ცვალებადი ხასიათის გამოვლენა.

2. ორ ენას შორის განსხვავებები შეიძლება დაიძლიოს სწორედაც რომ ენის მეშვეობით. ამ დროს ენას შეუძლია გამოიყენოს თავისი კომუნიკაციური თუ მეტაკომუნიკაციური ფუნქციები: მაგალითად, სქოლიოში ჩატანილი კომენტარების, წინა - თუ ბოლოსიტყვაობის, ტექსტში ჩართული შენიშვნების მეშვეობით შესაძლებელია ძნელად სათარგმნი სიტყვებისა და ცნებების, ასევე კონოტაციური მნიშვნელობების განმარტება.

3. მართალია, ენა კულტურულად განპირობებული ფენომენია და ის გარკვეულწილად განსაზღვრავს ერის აზროვნებას, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანურ აზროვნებას ენისგან დამოუკიდებელი უნივერსალური ხასიათიც აქვს, რამაც უნდა უზრუნველყოს ორი ენის წარმომადგენელთა შორის კომუნიკაციური ურთიერთობა.

4. ის მოსაზრება, რომ ენა არის მთლიანად კულტურულად განპირობებული ფენომენი არის, შეგვიძლია გავაბათილოთ იმ არგუმენტით, რომ ერთსა და იმავე ენაზე შეიძლება სხვადასხვა კულტურულ გარემოშიც ლაპარაკობდნენ (მაგ. შეგვიძლია გავიხსენოთ საფრანგეთისა და ინგლისის ყოფილი კოლონიები). გარდა ამისა, მთარგმნელობითი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თარ-

<sup>12</sup> W. Kollé. Einführung in die Übersetzungswissenschaft. Tübingen, 2011, S. 166.

გმნის პროცესი კულტურულად თუ სტრუქტურულად მსგავს ენებს შორის არავითარ შემთხვევაში არ არის უფრო მარტივი, ვიდრე ამ თვალსაზრისით გასხვავებულ ენებს შორის.

5. პრინციპული უთარგმნელობის თეზის გასამყარებლად მაგალითის სახით ხშირად მოჰყავთ ცალკეული, ე.წ. უთარგმნელი სიტყვები და გამოთქმები. ასეთები მართლაც არსებობენ, მაგრამ ისინი გამოიყენებიან არა იზოლირებულად, არამედ ყოველთვის სხვა სიტყვებთან ერთად გარკვეულ კომუნიკაციურ სიტუაციაში. მთარგმნელის მოვალეობა არა ცალკეული სიტყვების, არამედ ტექსტის თარგმნაა. ამასთანავე, ისევე როგორც ტექსტის გაგება არ შეიძლება იყოს აბსოლუტური (თუნდაც მშობლიურ ენაზე), არამედ მხოლოდ ცვალებადი (პროგრესირებადი) და შედარებითი, ასევე ტექსტის თარგმნადობაც ფარდობითი ცნებაა.

მეორე საკითხი, რომელსაც შევხებით, ეს არის ინვარიანტის ცნება, რომელსაც მ. შრაიბერი შემდეგნაირად განმარტავს: „თარგმანი, უპირველეს ყოვლისა, ინვარიანტის არსებობის აუცილებლობას ეფუძნება ე.ი. აუცილებლობას დედნის გარკვეული ნიშნების შენარჩუნებისა“.<sup>13</sup> ის თარგმანის ორ ტიპს გამოყოფს: პირველი, რომელშიც შიდატექსტური ინვარიანტი (შინაარსი და ფორმა) დგას წინა პლანზე და მეორე, რომელშიდაც უპირატესობა გარეტექსტურ ინვარიანტს (მაგ. მხატვრულ ეფექტს) ენიჭება უპირატესობა. საინტერესოა, რომ ის საუბრობს ინვარიანტის შენარჩუნების სირთულეებზე სხვადასხვა ენობრივ დონეზე და გეთავაზობს სირთულეების გადაჭრის გზებსაც. ეს დონეებია: 1. ფონეტიკა და ფონოლოგია (აქ იგულისხმება ხმაბადებითი სიტყვები, ლექსის რითმა და ა.შ.), 2. გრაფიკა (აქ ერთიანდება ტიპოგრაფია, გარეგნული ფორმა, რომლებიც ზოგიერთი ქანრის ტექსტებში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, ასევე საკუთარი სახელეუბის ტრანსლიტერაცია, სასვენი ნიშნების დასმა და ა.შ.) 3. მორფოლოგია, 4. სიტყვაწარმოება (აქ შემოდის ჩვენთვის საინტერესო ოკაზიონალიზმები), 5. ლექსიკური სემანტიკა (აქ იგულისხმება სხვადასხვა ენაში გარეენობრივი რეალობის განსხვავებული სემანტიკური შეფასება, ასევე კულტურული სხვაობები, მეტაფორა, სიტყვათა თამაში და ა.შ.), 6. ონომასტიკა, 7. სინტაქსი, 8. ტექსტის ლინგვისტიკა და პრაგმატიკა, 9. ენის „არქიტექტურა“ (რეგიონალური, სოციალური და სიტუაციური ვარიაციები) და 10. შორისდებულები.<sup>14</sup> უ. ეკო შიდატექსტურ და გარეტექსტურ ინვარიანტებს მოიხსენიებს ტერმინებით „ენობრივი“ და „გარეენობრივი ფენომენები“.<sup>15</sup>

თარგმნადობისა და ინვარიანტის ცნებებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული თარგმანის ეკვივალენტობის ცნება. ი. ალბრეხტი ამ უკანასკნელის განმარტების დროს ხაზს უსვამს ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ „ეკვივალენტობა არ ნიშნავს იდენტურობას, არამედ ტოლფასობას (თანაბარფასიანობას)“<sup>16</sup> (მისი აზრით, იდენტურობას ინვარიანტის ცნება მოიცავს). ნივთების ან მოვლენების ტოლფასობა გულისხმობს, მაგალითად, იმას, რომ იდენტურია მათი ერთი ან რამდენიმე, კონკრეტულ სიტუაციაში რელევანტური ნიშან-თვისება და არა თვითონ საგნები ან მოვლენები.

დედნისა და თარგმანის იდენტურობა იმთავითვე გამორიცხულია იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მთარგმნელობითი საქმიანობის დროს საქმე გვაქვს (მინიმუმ) ორი განსხვავებულ ენასა და კულტურასთან. სწორედ ამის გამო საჭიროა ეკვივალენტობის ცნების უფრო ფართო სპექტრში მოაზრება, რასაც აკეთებენ ქ. რაისი და ჰ. ი. ვერმერი: „ეკვივალენტობა არის დედანსა და თარგმანს შორის ისეთი დამოკიდებულება, რომელსაც შესაბამის კულტურაში შეუძლია იმავე ხარისხის კომუნიკაციური ფუნქციის შესრულება“.<sup>17</sup> თითქმის იმავეს იმეორებს გ. ვოტიაკი: სათარგმნ ენაზე შექმნილი ტექსტი მაშინ შეიძლება ჩაითვალოს თარგმანად, თუ ის ორიგინალის ეკვივალენტურია კომუნიკაციური თვალსაზრისით. ე.ი. როცა მას მსგავსი ან, როგორც მინიმუმ, თითქმის იგივე კონგრუენტული კომუნიკაციური ღირებულება გააჩნია, როგორც დედნის

<sup>13</sup> M. Schreiber. Grundlagen der Übersetzungswissenschaft. Tübingen, 2006, S. 12.

<sup>14</sup> M. Schreiber. Grundlagen der Übersetzungswissenschaft. Tübingen, 2006, S. 74.

<sup>15</sup> U. Eco. Quasi dasselbe mit anderen Worten. Über das Übersetzen. München Wien, 2006, S. 303.

<sup>16</sup> J. Albrecht. Übersetzung und Linguistik. Grundlagen der Übersetzungsforschung II. Tübingen, 2013, S. 33.

<sup>17</sup> K. Reiß. Grundlegung einer allgemeinen Translationstheorie. Tübingen, 1984, S. 139.

ტექსტს<sup>18</sup>. ე. ა. ნაიდა განასხვავებს ეკვივალენტობის ორ ტიპს: ფორმალური და დინამიკური ეკვივალენტობა: ფორმალური ეკვივალენტობის დროს მთარგმნელი მაქსიმალურად არის ორიენტირებული დედნის ტექსტზე და ცდილობს მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცეს დედნის ტექსტის ზედპირული სტრუქტურის ელემენტები. დინამიკური ეკვივალენტობა გვაქვს ისეთ შემთხვევაში, თუ მთარგმნელი თარგმანს ისე არგებს სათარგმნი ენის კულტურულ გარემოს, რომ დედნის შეტყობინება არ იკარგება და სათარგმნი ენაზე იდენტური ეფექტი მიიღწევა. ფორმალური შესატყვისობა, როგორც წესი, არ არის საკმარისი, რომ დედნის ტექსტის შეტყობინება ადეკვატურად გადმოიცეს სათარგმნი ენის (განსხვავებულ) კულტურულ გარემოში. ამიტომაც ე. ა. ნაიდას უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია დინამიკური ეკვივალენტობის მიღწევა, რომლის წარმატებული რეალიზაციაც დედნის და სათარგმნი ენაზე კომუნიკაციური ეფექტის იდენტურობაში გამოიხატება.<sup>19</sup>

ვ. კოლერი გვთავაზობს ერთგვარ შკალას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია გადავამოწმოთ, არიან თუ არა დედანი და თარგმანი ერთმანეთის ეკვივალენტურები და რა სახის ეკვივალენტობაა თარგმანში წარმოდგენილი. კერძოდ, ის განასხვავებს ხუთ შემთხვევას:

1. დენოტაციური ეკვივალენტობა, რომელიც ორიენტირებულია ტექსტში გარეენობრივი მოვლენების გადმოცემაზე;
2. კონოტაციური ეკვივალენტობა, რომლის დროსაც მთავარია ისეთი კატეგორიების გადმოტანა, როგორიცაა, სტილი, სოციოლექტური და გეოგრაფიული ელემენტები;
3. ტექსტუალურ-ნორმატიული ეკვივალენტობა, რომლის დროსაც მთავარია ტექსტის ამა თუ იმ ჟანრის სპეციფიკური ელემენტების გადმოცემა;
4. პრაგმატული ეკვივალენტობა, რომელიც ტექსტის მიმღებზე არის მიმართული;
5. და ფორმალურ-ესთეტიკური ეკვივალენტობა, რომლის ორიენტირებულია დედნის ესთეტიკურ, ფორმალურ და ინდივიდუალისტური თვისებების გადმოცემაზე.<sup>20</sup>

რასაკვირველია, შეუძლებელია ეკვივალენტობის ყველა ამ სახეობის შენარჩუნება და გადმოტანა თარგმანში. მთარგმნელს მოუწევს, მიიღოს გადაწყვეტილება ერთი და რამდენიმე ინვარიანტის სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში ი. ალბრეხტი სასარგებლოდ მიიჩნევს ერთგვარ იერარქიულ შკალას, რომელიც შემუშავებულ იქნება ამა თუ იმ ტექსტში ინვარიანტების მნიშვნელობის გათვალისწინებით, რადგან მთარგმნელმა „კარგად იცის, რომ ყველაფრის ერთად შენარჩუნება შეუძლებელია“.<sup>21</sup>

## მხატვრული ტექსტების თარგმნა

ტექსტის ლინგვისტიკაში ტექსტების დიფერენციაციის უამრავი მცდელობა არსებობს, თუმცა ჩვენ ამჯერად ეს საკითხი თარგმანმცოდნეობის თვალსაზრისით გვაინტერესებს. ვ. კოლერი განასხვავებს ტექსტების ორ ძირითად სახეობას: მხატვრული და სპეციალური ტექსტები.<sup>22</sup> ეს, რასაკვირველია, ძალზე ზოგადი დიფერენციაციაა და თუ სხვა კრიტერიუმებსაც მოვიშველიებთ, როგორიცაა, მაგალითად, ლინგვისტური, კომუნიკაციური, მხატვრულ-ესთეტიკური და ა.შ. შესაძლებელია სხვა ჯგუფების გამოყოფაც.

<sup>18</sup> **G. Wotjak.** Äquivalenz, Entsprechungstypen und Techniken der Übersetzung. Äquivalenz bei der Translation. Leipzig, 1982, S. 113.

<sup>19</sup> **E. A. Nida.** Toward a science of translating: with special reference to principles and procedures involved in Bible translating. Leiden, 1964, S. 158.

<sup>20</sup> **W. Koller.** Einführung in die Übersetzungswissenschaft. Tübingen, 2011, S. 219.

<sup>21</sup> **J. Albrecht.** Literarische Übersetzung. Geschichte. Theorie. Kulturelle Wirkung. Darmstadt, 1998, S. 266.

<sup>22</sup> **W. Koller.** Einführung in die Übersetzungswissenschaft. Tübingen, 2011, S. 278.

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენენ მხატვრული ტექსტები, რომლებშიც, სპეციალური ტექსტებისაგან განსხვავებით, რეალობის განსაკუთრებული, სპეციფიური ხედვა ანუ სრულიად ინდივიდუალისტური სამყაროა წარმოდგენილი. პირველი, რაც მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს, სწორედ ეს ასპექტია – მას აბსოლუტურად სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მხატვრულ და სპეციალურ ტექსტებში ასახულ რეალობასთან. თუ სპეციალური ტექსტის მთარგმნელი ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციასა და სინამდვილეს შორის გარკვეულ წინააღმდეგობას წააწყდება, მისი მოვალეობაა, ტექსტი გაასწოროს. ამას ვერ გააკეთებს მხატვრული ტექსტის მთარგმნელი, რადგან ასეთ „ცდომილებას“ გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს შინაარსობრივი, ფორმალური თუ ესთეტიკური თვალსაზრისით. განსხვავებულად უნდა მოექცეს ასევე მთარგმნელი სპეციალურ და მხატვრულ ტექსტებში ასახულ დარგობრივ ინფორმაციას. თუ სპეციალური ტექსტის თარგმნის დროს მთარგმნელის მოვალეობაა, უპირველეს ყოვლისა, იზრუნოს ინფორმაციის მაქსიმალურად ზუსტად გადმოტანაზე, ანუ დენოტაციური ღირებულებების შენარჩუნებაზე, მხატვრულ ტექსტებში შეიძლება მოხდეს კონოტაციური მნიშვნელობის შენარჩუნების მიზნით, დენოტაციური მნიშვნელობის „გაწირვა“.

მხატვრული ტექსტებში ძალზე მნიშვნელოვანია ესთეტიკური ასპექტი, რადგან მხატვრული ტექსტები, როგორც ვიცით, იქმნება არა მხოლოდ ენაში არსებული ენობრივ-სტილური, არამედ ესთეტიკური ნორმების გათვალისწინებითაც. ლიტერატურული ტექსტების ესთეტიკური ხასიათი განსაკუთრებული სიძლიერით ჩანს მხატვრული თვალსაზრისით ინოვაციურ ტექსტებში, რომლებშიც დარღვეულია ლიტერატურული ან/და ენობრივი ნორმები. ესთეტიკურობას უკავშირდება ასევე შეფარული ან აშკარა ორაზროვნება, რომელთა ინტერპრეტაციაც მკითხველის ინდივიდუალურ აღქმაზეა მთლიანად დამოკიდებული. მთარგმნელმა ტექსტის ანალიზის დროს ერთმანეთისაგან უნდა განასხვავოს ესთეტიკური თვალსაზრისით ეფექტური (ავტორის მიერ წინასწარ დაგეგმილი) და არაეფექტური (შემთხვევითი) ორაზროვნება. ასეთი დიფერენციაცია მარტივი არ არის, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში მას გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, სიტყვათა თამაშის შემთხვევაში. ლიტერატურული თარგმანის დროს ჩვენ ველოდებით, რომ მაქსიმალურად დაცული იქნება დედნის ესთეტიკური მხარე შესაბამისი ენობრივი საშუალებების გამოყენებით, ხოლო ამ უკანასკნელთა არარსებობის შემთხვევაში მათი საგანგებო შექმნით. ლინგვისტები ქ. რაისი და ჰ. ი. ვერმერი თარგმნის ამ სახეობას „შემოქმედებით თარგმანს“ (sprachschöpferische Übersetzung) უწოდებენ.<sup>23</sup>

მნიშვნელოვანია ასევე მხატვრული ტექსტის ჟანრისა და ტიპის დადგენა, რადგან ამა თუ იმ ჟანრის ტექსტთან მჭიდროდ არის დაკავშირებული გარკვეული ენობრივ-გამომსახველობითი თუ ტექსტუალური საშუალებები, რომლებიც ხშირად განსხვავებულია სხვადასხვა ენაში. იმისათვის, რომ მთარგმნელმა (რომელიც ერთსა და იმავე დროს ტექსტის რეციპიენტიც არის და ავტორიც) წარმატებით მოახერხოს დინამიკური ეკვივალენტობის მიღწევა, მას შესაძლოა მოუწიოს დედნის ენის ჟანრობრივი კონვენციების შეცვლა სათარგმნი ენის ჟანრობრივი კონვენციებით.

ტექსტის ტიპს რაც შეეხება, აქ სამ სახეობას გამოყოფენ: ინფორმაციული, ექსპრესიული და ოპერატიული (ანუ პერსუასიული). ინფორმაციული ტექსტის მთავარი დანიშნულება ინფორმაციის გადაცემაა, ექსპრესიულის – ინფორმაციის გადაცემა და მხატვრული საშუალებების ორგანიზება, ოპერატიულისა კი – ინფორმაციის გადაცემა და დარწმუნება (აქ ასევე შეიძლება დაემატოს მხატვრული საშუალებების ორგანიზებაც). მთარგმნელმა აუცილებლად უნდა მოახდინოს ამ სახეობების იერარქია, ანუ განაღდაოს ისინი ტექსტში ეკვივალენტობის რეალიზაციისათვის რელევანტური თვალსაზრისით და ამის გათვალისწინებით წარმართოს თავისი მთარგმნელობითი საქმიანობა. მხატვრული ტექსტების შემთხვევაში წარმართველი, რა თქმა უნდა, ექსპრესიული ფუნქცია იქნება: „ექსპრესიული ტექსტის შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ეკვივალენტობის მიღწევა მხატვრული საშუალებების ორგანიზებისა და ფორმაზე ორიენტირებული

<sup>23</sup> K. Reiß. Grundlegung einer allgemeinen Translationstheorie. Tübingen, 1984, S. 136.



ენის დონეზე“<sup>24</sup> რაც ნიშნავს იმას, რომ უნდა მოხდეს ტექსტის შინაარსის გადმოცემა მხატვრული საშუალებების ანალოგიური ორგანიზებით. ანალოგიური კი გულისხმობს იმას, რომ ეკვივალენტობა მიღწევულ უნდა იქნეს სათარგმნი ენის სტრუქტურული თავისებურებების, კულტურაში არსებული კონვენციებისა და ლიტერატურული ტრადიციების გათვალისწინებით. ზოგიერთი ლინგვისტი აქ ერთგვარი „მთარგმნელობითი პოეტიკის“ შემუშავებასაც კი მიიჩნევს მიზანშეწონილად. ამ საკითხს უკავშირდება დედნის ტექსტის ავტორის ფაქტორიც, რომლის ინდივიდუალური სტილის კვლევა-შესწავლა და თარგმანში გადმოტანა მთარგმნელის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა: „ლიტერატურული თარგმანი, რომელიც იმით კმაყოფილდება და შემოიფარგლება, რომ გადმოსცემს ტექსტის სემანტიკის გამომსახველ ფორმებს, თავის მიზანს ვერ მიაღწევს, რადგან ის მხატვრული ნაწარმოების ყველაზე არსებითს ტოვებს ყურადღების მიღმა - ეს არის ავტორის ინდივიდუალური სტილი“.<sup>25</sup> რა ქმნის ავტორის სტილს? – ეს შეიძლება იყოს თხრობის სტილი, ტექნოლოგიების, სოციოლოგიების, დიალექტების, უცხო სიტყვების გამოყენება, ასევე რიტმი და ხმოვანთა ჰარმონია. მართლწერის წესების დაცვა/უგულვებელყოფა, პუნქტუაციის გამოყენების ფორმა და ა.შ.

გარდა ამისა, ქართველი ლინგვისტი დ. ფანჯიკიძე ყურადღებას ამახვილებს ერთ ძალიან მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ იმაზე, რომ დედნისა და ავტორის სტილის ერთგულება თავისთავად გამორიცხავს მთარგმნელის ინდივიდუალური სტილის არსებობას: „ინდივიდუალური სტილი მწერლის საკუთრებაა, მთარგმნელს კი მხოლოდ იმის უფლება აქვს, გამოამჟღავნოს ამ სტილის ობიექტურად შესაძლებელი სიზუსტით რეპროდუქციის ინდივიდუალური სტილი“.<sup>26</sup> სწორედ ეს იქნება თარგმანის წარმატებული განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა.

### ოკაზონალიზმების თარგმნის პრობლემა

როგორც უკვე ერთხელ აღვნიშნეთ, დედანსა და თარგმანს შორის ეკვივალენტური ურთიერთობა შესაძლოა დამყარდეს ტექსტის, როგორც საკომუნიკაციო საშუალების, სხვადასხვა დონეზე. რადგან ენებსა და კულტურებს შორის არსებული სხვაობების გამო ტექსტის ცალკეული ელემენტების ინვარიანტის შენარჩუნება და ეკვივალენტობის მიღწევა ერთდროულად რამდენიმე დონეზე შეუძლებელია, მთარგმნელს მოუწევს, პირველ რიგში, ჩაატაროს ტექსტის ძირფესვიანი ანალიზი. ეს უკანასკნელი გულისხმობს როგორც ტექსტის ენობრივი ელემენტების შესწავლას, ისე გარეენობრივი ფაქტორების კვლევასაც, როგორცაა, მაგალითად, ეპოქა, რომელშიც ავტორი ცხოვრობდა ან ცხოვრობს, ლიტერატურული მიმდინარეობა, რომლის წარმომადგენელიც ის გახლავთ, ტექსტის ჟანრი და ტიპი და ა.შ. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე მთარგმნელმა უნდა გადაწყვიტოს, ტექსტის რომელი ელემენტები არის კონკრეტულ სიტუაციაში რელევანტური და ამის საფუძველზე შეადგინოს პრიორიტეტების შკალა. მან უნდა განსაზღვროს, რა შემთხვევაში მოუწევს რომელიმე ელემენტის ეკვივალენტურ გადმოცემაზე კატეგორიული უარის თქმა და როგორ მოახერხებს დაკარგულის კომპენსაციას (ე.წ. „გადაადგილებული ეკვივალენტი“ – versetzte Äquivalente) ან რეპროდუქციას, რათა ამგვარად განახორციელოს ეკვივალენტობა ტექსტის დონეზე. ამ სელექციასა და იერარქიას, რასაკვირველია, თან ახლავს ერთგვარი სუბიექტურობა, თუმცა ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს სუბიექტურობა ნებისმიერობას უტოლდება. ის იმართება ტექსტში მანიფესტირებული ენობრივი ნიშნებით და ობიექტური ფაქტორებით, რომლებიც განსაზღვრავენ მთარგმნელობით პროცესს. ესენია: მოცემული ენობრივი კონტექსტი, სიტუაციური კონტექსტი,

<sup>24</sup> K. Reiß. Grundlegung einer allgemeinen Translationstheorie. Tübingen, 1984, S. 157.

<sup>25</sup> M. Walter. Stilistische Probleme der Übersetzung. Stilfragen. Tübingen, 1992, S. 305

<sup>26</sup> დალი ფანჯიკიძე. თარგმანის ისტორიის საკითხები. თბილისი, 1999, გვ. 47.

ტექსტის სოციო-კულტურული ინტეგრაცია, ტექსტის კუთვნილება ამა თუ იმ ჟანრისა და ტიპისადმი, სათარგმნი ენის სტრუქტურული თავისებურებებით და ა.შ.

იმ ტექსტის ანალიზი, რომელიც ოკაზიონალიზმებს შეიცავს, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიხატებოდეს მისი ლექსიკური საფარის შესწავლით. აქვე დავაზუსტებთ ოკაზიონალიზმის ჩვენს გაგებას: ოკაზიონალიზმი არის ზეპირ სამეტყველო სიტუაციაში სპონტანურად წარმოქმნილი, წერილობით ენაში კი, მაგ., ბელეტრისტიკაში, ჟურნალისტიკასა და სარეკლამო ენაში საგანგებოდ ნაწარმოები ერთჯერადი გამოყენების სიტყვა, რომლის სწორი გაგება და ინტერპრეტაცია ხშირად მხოლოდ კონტექსტის საშუალებით არის შესაძლებელი. ზეპირ სამეტყველო სიტუაციაში მისი წარმოება სამეტყველო ხარვეზის აღმოფხვრას ემსახურება, წერილობით ენაში კი, ძირითადად, ენის ეკონომიას, სტილური ეფექტის მიღწევას და სუბიექტური განწყობის გამოხატვას ისახავს მიზნად.

სადავო არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამა თუ იმ ტექსტში სიტყვების არჩევანი არასოდესაა შემთხვევითი – მას ბევრიშიდატექსტური და გარეტექსტური ფაქტორი განსაზღვრავს, ეს არჩევანი კი, თავის მხრივ, იძლევა საშუალებას, გავაკეთოთ დასკვნები ტექსტის შინაარსთან, თემატიკასთან, პრესუპოზიციასა და სინტაქსურ სტრუქტურებთან დაკავშირებით. ყოველ ლექსიკურ ერთეულს ავტორი საგანგებოდ ირჩევს და იმ გარემოებას, რომ ავტორი თავის არჩევანს არა მხოლოდ ენის უზუალურ, არამედ ოკაზიონალურ ნაწილზეც აკეთებს, მთარგმნელმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს. პირველი პროცედურა, რომელიც მთარგმნელმა უნდა ჩაატაროს, არის კონკრეტულ ტექსტში უზუალური და ოკაზიონალური ლექსიკური ერთეულების გამოიჭენა. მეორე საფეხური უკვე იმის შესწავლაა, რომელი ოკაზიონალიზმები გამოხატავენ ავტორის განწყობას, მის სტილურ ინტერესს და, შესაბამისად, რომელი მათგანის გადმოტანაა თარგმანში აუცილებელი. ამის შემდეგ მთარგმნელი უკვე იწყებს მის მიერ რელევანტურად მიჩნეული ოკაზიონალიზმების თვისებებისა და ფუნქციების კვლევას: ანუ რა ხარისხით ავლენენ ისინი სპონტანურობას, არალექსიკალიზებულობას, ნორმიდან გადახრას ან კონტექსტზე დამოკიდებულებას. ის ასევე ადგენს, რა მისია ეკისრებათ ოკაზიონალიზმებს სათარგმნი ტექსტის ფარგლებში: ენის ეკონომია, ლექსიკური ხარვეზის შევსება, სტილური ეფექტის მიღწევა, ავტორის სუბიექტური განწყობის გამოხატვა თუ ტექსტუალური ფუნქცია. მეოთხე ეტაპზე უკვე უნდა მოხდეს ოკაზიონალიზმების თვისებებისა და ფუნქციების სელექცია და იერარქია. აქ მთარგმნელს მოუწევს პასუხი გასცეს მთელ რიგ შეკითხვებს:

1. ოკაზიონალიზმის რომელი თვისებები და ფუნქციები არის ტექსტის საზრისისა და ავტორის ინტენციის გადმოსაცემად პირველხარისხოვანი?
2. რომელი მეორეხარისხოვანი თვისებისა თუ ფუნქციის დათმობა მოუწევს მას უფრო მნიშვნელოვანის გადმოცემის ხარჯზე?
3. შესაძლებელია თუ არა ამ დანაკარგის კომპენსაცია ან რეპროდუქცია ტექსტის დონეზე?

საკითხი, რომელიც მთარგმნელმა ასევე უნდა შეისწავლოს, არის ოკაზიონალიზმის სტრუქტურული შემადგენლობა. მან, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს, სათარგმნი ერთეულის საწარმოებლად სიტყვაწარმოების რომელი ტიპია გამოყენებული: კომპოზიცია, დერივაცია, კონვერსია თუ სხვა და, მეორე რიგში, გაარკვიოს, შესაძლებელია თუ არა დედნის ოკაზიონალიზმის გადატანა სათარგმნი ენაზე სიტყვაწარმოების იმავე ტიპის მეშვეობით, რადგან ოკაზიონალიზმის სტრუქტურას ზოგჯერ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ეკვივალენტობის მისაღწევად ტექსტის დონეზე.

როგორც ვხედავთ, ოკაზიონალიზმების თარგმნის დროს მთარგმნელმა საკმაოდ ბევრი ასპექტი უნდა გაითვალისწინოს. ესენია: 1. ოკაზიონალიზმის სემანტიკა ანუ დენოტაციური მნიშვნელობა, 2. ოკაზიონალიზმის თვისებები და ფუნქციები ანუ მისი კონოტაციური მნიშვნელობა და 3. ოკაზიონალიზმის სტრუქტურა. აქვე უნდა ითქვას, რაც უფრო დიდია ოკაზიონალიზმის კონოტაციური პოტენცია, მით უფრო შეზღუდულია მისი ეკვივალენტის მოძიების საშუალებები, რადგან კონოტაცია, ზოგადად, ძალზე რთული გადასატანია ერთი ენიდან მეორეში. თუმცა ვინაიდან

ჩვენი ინტერესის საგანს ის ოკაზიონალიზმები წარმოადგენენ, რომლებიც მხატვრულ ლიტერატურაში, კერძოდ კი პოეზიაში გვხვდება, „პოეტური ტექტების მიზანი კი, უპირველეს ყოვლისა, ესთეტიკური ეფექტია“;<sup>27</sup> ვფიქრობთ, რომ ოკაზიონალიზმების თარგმნის დროს ყურადღება მათი სწორედ მათ კონოტაციური მნიშვნელობაზე უნდა გამახვილდეს.

თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში ლექსიკური ერთეულების ეკვივალენტობის სამ სახეობას განასხვავებენ: სრული ეკვივალენტობა, ნაწილობრივი ეკვივალენტობა და ეკვივალენტობის არარსებობა. სრული ეკვივალენტობა ოკაზიონალიზმების შემთხვევაში ნიშნავს მათ შინაარსობრივ, ფორმალურ, ფუნქციურ თანხვედრას და დედნისა და სათარგმნი ენის ლექსიკური ერთეულების კომუნიკაციურ თანაბარღირებულებიანობას. ნაწილობრივი ეკვივალენტობის დროს ოთხ სხვადასხვა ფორმას განასხვავებენ: 1. იდენტური დენოტაციურ-სიგნიფიკატური მნიშვნელობები, იდენტური რეფერენცი და ნაწილობრივ იდენტური ან არაიდენტური კონოტაციური მნიშვნელობები, 2. იდენტური დენოტაციურ-სიგნიფიკატური და კონოტაციური მნიშვნელობები და არაიდენტური რეფერენცი, 3. ნაწილობრივ იდენტური დენოტაციურ-სიგნიფიკატური მნიშვნელობები და იდენტური პრაგმატულ-კონტაციური მნიშვნელობები, 4. ნაწილობრივ იდენტური დენოტაციური მნიშვნელობა და ნაწილობრივ იდენტური პრაგმატულ-კონოტაციური მნიშვნელობები<sup>28</sup>. როგორც ვხედავთ, ნაწილობრივი ეკვივალენტობის პირობებში მთარგმნელს ერთ ან რამდენიმე კომპონენტზე უწევს უარის თქმა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უარის თქმა ყველა ცალკეულ შემთხვევაში უნდა იყოს მთარგმნელის ინდივიდუალური არჩევანი და მთლიანად უნდა იყოს განსახლდრული თარგმანში კომუნიკაციური ეკვივალენტობის მიღწევის სურვილით.

ნულოვანი ეკვივალენტობა ნიშნავს იმას, რომ დედნის ენის ლექსიკური ერთეულები სათარგმნი ენაში საერთოდ არ არსებობს. განასხვავებენ რეფერენციალურ, ლექსიკურ-სემანტიკურ და სტილურ-პრაგმატულ ნულოვან ეკვივალენტობას. ყველაზე დიდ სირთულეებს მთარგმნელი სწორედ ასეთი ეკვივალენტობის შემთხვევაში აწყდება, თუმცა ენებს შორის, ძირითადად, ნაწილობრივ ეკვივალენტური ურთიერთობები არსებობს და ამიტომაც მთარგმნელისათვის თარგმნა ოპტიმიზაციის პროცესი უნდა იყოს და მთარგმნელიც სათარგმნი ერთეულებს შორის შეძლებისდაგვარად ოპტიმალურ იდენტურობას უნდა ესწრაფოდეს.

რაც შეეხება საკითხს, რა სტრატეგია უნდა აირჩიოს მთარგმნელმა ოკაზიონალიზმების თარგმნისას, აქ ა. შიულერი ხუთ პუნქტს გამოყოფს:

1. ოკაზიონალიზმის გადატანა სათარგმნი ენის ტექსტში;
2. ახალი ოკაზიონალიზმის წარმოება დედანში გამოყენებული ოკაზიონალიზმის მიხედვით;
3. ახალი ოკაზიონალიზმის წარმოება დედანში გამოყენებული ოკაზიონალიზმის ფორმისა და შინაარსის სრული უგულვებელყოფით;
4. გამოტოვება;
5. ოკაზიონალიზმის გამოყენება თარგმანის ტექსტის სხვა მონაკვეთში კომპენსაციის მიზნით.<sup>29</sup>

ჩვენ შევეცდებით ზემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიების ვიზუალიზაციას ქრისტიან მორგენშტერნის ლექსების ჩვენს ხელთ არსებული ქართული თარგმანების მეშვეობით. ოკაზიონალიზმის გადატანა დედნიდან თარგმანში შესაძლებელია, მაგალითად, ტერმინოლოგიის ან საკუთარი სახელების შემთხვევაში. მორგენშტერნის ერთ-ერთი ოკაზიონალიზმი Exaktfutur ლექსიდან „Unter Zeiten“ („დროთა შორის“) მთარგმნელ ი. ჯიოვეს ფორმით „ეგზაქთფუტ“ აქვს შემოთავაზებული:

<sup>27</sup> U. Eco. Quasi dasselbe mit anderen Worten. Über das Übersetzen. München Wien, 2006, S. 347.

<sup>28</sup> R. G. Gataullin. Probleme der Übersetzung stilistisch markierter und okkasioneller Wortbildungskonstruktionen. Germanistisches Jahrbuch der GUS „Das Wort“, 2000/2001, S. 54.

<sup>29</sup> A. Schüler. Neologismen als Übersetzungsproblem. Lebende Sprachen 51, 2006, S. 64.

Das Perfekt und das Imperfekt  
tranken Sekt.  
Sie stießen aufs Futurum an  
(was man wohl gelten lassen kann).

პერფექტი და იმპერფექტი  
თვრებოდნენ ჩუმად სექტით.

Plusquamper und Exaktfutur  
blinzten nur.

ფუტურუმის სადღეგრძელო  
სათქმელია, – რა გავწელო.

ეგზაქტფუტურ და პლუსკუამპერ

მხოლოდ იხდნენ, თვალს უკრავდნენ.

რაც შეეხება სათარგმნ ენაში ახალი ოკაზიონალიზმის წარმოებას დედანში გამოყენებული ოკაზიონალიზმის ფორმისა და შინაარსის სრული უგულვებელყოფით, ამის არაჩვეულებრივ მაგალითს ვაწყდებით მორგენშტერნის ლექსის „Werwolf“ თარგმანში. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული სიტყვებისა თუ ფრაზების შემთხვევაში მთარგმნელი უარს ამბობს (ან უწევს უარის თქმა) დენოტაციური მნიშვნელობის შენარჩუნებაზე, მაგ., სიტყვას Dorfschullehrer ის თარგმნის, არა როგორც „სოფლის სკოლის მასწავლებელს“, არამედ როგორც „სოფლის მოძღვარს“, ხოლო ფრაზას der seine Pfoten geduldig kreuzte vor dem Toten, რომელიც სიტყვასტყვით ითარგმნება, როგორც „თავისი თათები მოთმინებით გადაიჯვარედინა მიცვალებულის წინაშე“, ის ანაცვლებს ფრაზით „რომელიც მის სიტყვას მორჩილ მოელის“ და ა.შ. უნდა ითქვას, რომ თარგმანი ნამდვილად არის დედნის ეკვივალენტური. მთარგმნელი ამას ახერხებს ტექსტის საკვანძო სიტყვისათვის არაჩვეულებრივი ექვივალენტის გამოძებნით, რომელიც, მართალია, არ ემთხვევა მის დენოტაციურ მნიშვნელობას, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი წვლილი შეაქვს ლექსის სტილური ეფექტურობის, ავტორის ინტენციისა და ტექსტის საზრისის რეალიზაციაში. საქმე ის არის, რომ სიტყვა Werwolf ორ-შემადგენლიანია – კითხვითი სიტყვა wer (ვინ) და მარტივი არსებითი სახელი Wolf. ის საგანგებოდაა შერჩეული ტექსტის ავტორის მიერ მისი სტრუქტურის გამო – აღნიშნული კომპოზიციის პირველი უშუალო შემადგენელი იბრუნვის, მაგრამ არ გააჩნია მრავლობითი რიცხვის ფორმა – ამას კი ავტორის ინტენციის გადმოცემისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. თუ მთარგმნელი უპირატესობას მიანიჭებდა საკვანძო სიტყვის დენოტაციურ მნიშვნელობას და სიტყვასიტყვით გადათარგმნიდა მას, ტექსტი დაკარგავდა ყველაზე მნიშვნელოვანს – მხატვრულ ღირებულებას. მთარგმნელმა არჩევანი შეაჩერა სიტყვაზე „კენტავრი“, რომელიც, გარდა იმისა, რომ მაქციის მსგავსად (Werwolf „მაქციას“ ნიშნავს) მითიური არსებაა, სიტყვის სტრუქტურიდან გამომდინარე იძლევა იმის საშუალებას, რომ მისი პირველი უშუალო შემადგენელი შეიცვალოს ბრუნვის, მაგრამ არა რიცხვის მიხედვით. შესაბამისად, მთარგმნელი ახერხებს, ტექსტში შესანიშნავად გადმოსცეს დედნის შინაარსი და გარდა ამისა, მიაღწიოს იმავე ემოციურ ეფექტს, რაც ორიგინალისთვისაა დამახასიათებელი:

Ein Werwolf eines Nachts entwich  
von Weib und Kind, und sich begab  
an eines Dorfschullehrers Grab  
und bat ihn: Bitte, beuge mich!

„ერთ ღამეს ერთი კენტავრი

ცოლს და შვილს გაეპარაო,

სოფლის მოძღვარსა საფლავში

Der Dorfschulmeister stieg hinauf  
auf seines Blechschilds Messingknäuf  
und sprach zum Wolf, der seine Pfoten

შესთხოვს: „მაბრუნე, რა, ძმაო!“

geduldig kreuzte vor dem Toten:

„Der Werwolf“, - sprach der gute Mann,  
„des Weswolfs“- Genitiv sodann,

„dem Wemwolf“ - Dativ, wie man's nennt,  
„den Wenwolf“ - damit hat's ein End.'

Dem Werwolf schmeichelten die Fälle,  
er rollte seine Augenbälle.  
Indessen, bat er, füge doch  
zur Einzahl auch die Mehrzahl noch!

Der Dorfschulmeister aber mußte  
gestehn, daß er von ihr nichts wußte.  
Zwar Wölfe gäb's in großer Schar,  
doch "Wer" gäb's nur im Singular.

Der Wolf erhob sich tränenblind -  
er hatte ja doch Weib und Kind!!  
Doch da er kein Gelehrter eben,  
so schied er dankend und ergeben.

სოფლის მოძღვარი აღმოხდა,

საფლავის ქვაზე ჩამოხდა,

მიუგო კენტავრს, რომელიც

მის სიტყვას მორჩილ მოეღის:

კენტავრი, კენტავრმა, კენტსაურს,

კენტისაურის, კენტითაურით, კენტადაურად,

და ჰე, შენ კენტოაურავ!

სახე ასწია კენტავრმა,

გაბრწყინებოდა თვალია,

უთხრა: „ეს ერთი, ახლა კი

ბევრი მიბრუნე, მადლია!”

აქ კი მოძღვარი დაფიქრდა,

ჩაფიქრდა მეტად, გაფითრდა:

„თუმც აურები ბევრია მეტად,

კენტი კვლავ ისე დარჩება კენტად!”

კენტავრს გული დაეთუთქა, -

ცოლი, შვილი აღარ უნდა?!

თავად განუსწავლევლობით

რას იზამდა?! მადლი უთხრა.“

უნდა ითქვას, რომ ლინგვისტი ლ. ბრევაძე „ამართლებს” სათარგმნი ერთეულის დენოტაციური მნიშვნელობის გადმოტანაზე უარის თქმას, თუ ეს მხატვრული ტექსტის საზრისისა და ესთეტიკური ღირებულების შენარჩუნებისათვის არის აუცილებელი. თავის წიგნში „პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს“ მას სწორედ ქ. მორგენშტერნის პოეზიიდან მოაქვს მაგალითი:

Ein Wiesel

სინდიოფალა

saß auf einem Kiesel

იჯდა რივის ქვაზე

inmitten Bachgeriesel.

შუაში ნაკადული მოწანწკარებს.

Wißt ihr

იცით,

weshalb?

რატომ?

Das Mondkalb

სეპრე ადამიანმა (სიტყვასიტყვით: მთვარის სბომ)

verriet es mir

გამიმჟღავნა ეს

im Stillen:

საიდუმლოდ:

Das raffinier-

რაფინი-

te Tier

რეზუელი ცხოველი

tat's um des Reimes willen.

ამას რითმის გამო აკეთებდა<sup>1</sup>.

ლ. ბრეგაძე ამ ლექსის თარგმნასთან დაკავშირებით წერს: „სრულიად აშკარაა, რომ ამ ლექსის ურთიმოთ თარგმნას აზრი არა აქვს. ირეი ლევი თავის წიგნში „თარგმნის ხელოვნება“ მოჰყავს მორგენშტერნის ამ ლექსის სამი ინგლისური თარგმანი. სამივეში ორიგინალის სინდიოფალას ნაცვლად სხვადასხვა ცხოველები სხედან რიყის ქვაზე, და მაინც სამივე თარგმანი სწორია, რადგან უმთავრესი ამ ლექსში – მისი რითმათა სისტემა – სწორადაა გადატანილი ინგლისურად“.<sup>2</sup>

ოკაზიონალიზმი საერთოდაა გამოტოვებულია ლექსის „Geburtsakt der Philosophie“ („ფილოსოფიის დაბადების აქტი“) ქართულ თარგმანში: ორშემადგენლიანი კომპოზიციის ნაცვლად Menschenmann (ადამიანი მამაკაცი) მთარგმნელი იყენებს მარტივ სიტყვას „კაცი“. შედეგად, ტექსტი აღარ არის სტილურად მარკირებული და მინიშნებაც, რომ საუბარია პირველ ადამიანზე, რომელიც წმინდა წერილის მიხედვით მამაკაცი იყო, იკარგება, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ თარგმანი მაინც არის დედნის ეკვივალენტური კომუნიკაციური თვალსაზრისით (ჩვენი რეკომენდაცია იქნებოდა, მთარგმნელ ი. ჯიოვეს ნეიტრალური სიტყვის „კაცი“ ნაცვლად გამოეყენებინა, მაგალითად, ოკაზიონალური ლექსიკური ერთეული „ადამის-ძე“, რაც უზრუნველყოფდა ტექსტის სტილურ შეფერილობას):

Erschrocken schaut der Heide Schaf mich an,	წარმართული ცხვარი, მე რომ მინდვრად მნახა,
als sah's in mir den ersten Menschenmann.	შედეგა, თითქოს კაცი მხოლოდ ახლა ნახა.
Sein Blick steckt an; wir stehen wie im Schlaf;	მხერა გადმომედო. სიზმარია? ცხადი?
mir isr, ich sah zum ersten Mal ein Schaf.	ცხადი! მხოლოდ, თითქოს, ახლა ვნახე ცხვარი.“

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თარგმანი წარმოადგენს ენობრივ და კულტურულ ტრანსფერს, ხოლო მთარგმნელი ორ ენასა და კულტურას შორის შუამავალია. მისი უმთავრესი მოვალეობაა ორიგინალსა და თარგმანს შორის დაამყაროს დინამიკური ეკვივალენტობა, რაც, ჩვენი აზრით, სათარგმნ ენაზე იმავე კომუნიკაციური ღირებულების ტექსტის შექმნაში გამოიხატება.

## Ketevan Nikoladze

### Das Problem der Übersetzung von Okkasionalismen

#### Resümee

Das Übersetzen stellt sprachlichen und kulturellen Transfer dar, während man den Übersetzer als Vermittler zwischen zwei Sprachen und Kulturen bezeichnen kann. Die wichtigste Aufgabe des Übersetzers besteht darin zwischen dem Ausgangs- und dem Zieltext eine dynamische Äquivalenz herzustellen also in der Zielsprache einen kommunikativ gleichwertigen Text anzufertigen. Beim Übersetzen fiktiver Texte sollte der Wiedergabe von expressiven und ästhetischen Aspekten des Textes eine große Aufmerksamkeit geschenkt werden. Was die Übersetzung von Okkasionalismen angeht, so hat sich der Übersetzer für eine der fünf Strategien zu entscheiden: Übernahme des Okkasionalismus in den Zieltext, Nachbildung des Okkasionalismus im Zieltext mit den Mitteln der Zielsprache, Neubildung des Okkasionalismus in der Zielsprache unabhängig von Form und Inhalt des Okkasionalismus im Ausgangstext, Weglassung und Einfügung eines Okkasionalismus an einer anderen Stelle als kompensatorisches Mittel der versetzten Äquivalenz.

<sup>1</sup> ლექსის ქართული ვერსია წარმოადგენს ბჭკარედულ თარგმანს.

<sup>2</sup> ლ. ბრეგაძე. პერსონაჟები ხელებიან ერთმანეთს. თბილისი, 1982, გვ.6.

ს ა მ ა რ თ ა ჯ ო



## კორპორაციული მართვა ქართულ სამართალში (შედარებითი ანალიზი)

თანამედროვე საკორპორაციო სამართალი, გლობალური და კაპიტალური ბაზრების ტრანსფორმაციისა და ეკონომიკური პროცესების მზარდი დინამიკის პარალელურად, განიცდის საგრძნობ ცვლილებას და მოდერნიზებას. გლობალიზაციის ყოვლისმომცველი პროცესი განაპირობებს სამართლის ჰომოგენიზაციას, მსგავსი პრინციპებისა და ნორმების დანერგვას სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. თუმცა ნაციონალურ კანონმდებლობასა და დოქტრინას კვლავინდებურად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლის მეცნიერების ცალკეული დარგების, მათ შორის საკორპორაციო სამართლის განვითარებაში. გლობალური კაპიტალიზმის ეპოქაში ყალიბდება ახალი ორგანიზაციული ფორმები, იცვლება ორგანიზაციათა მართვისა და თვითრეგულირების მექანიზმები. საერთაშორისო და ტრანსნაციონალური პროცესები გავლენას ახდენს ნაციონალური კანონმდებლობის, იურიდიული დოგმატიკისა და სამართლებრივი პრაქტიკის მოდერნიზებაზე. ადამიანთა ორგანიზებული ეკონომიკური საქმიანობის საფუძველს სწორედ საკორპორაციო სამართალი იძლევა, შესაბამისად, სამართლის მეცნიერების მოცემულ დარგს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური, სამართლებრივი თუ პოლიტიკური სისიტემის გამართული ფუნქციონირების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

საკორპორაციო სამართლის ქვაკუთხედს კორპორაციული მართვის სისტემა წარმოადგენს, კორპორაციული მართვის მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტუალური უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე გახდა. კორპორაციების მიერ ბიზნესის, მართვა სულ უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს, როგორც ბაზრების ეკონომიკურ მანქვენებლებზე, ისე სოციალურ პრობლემატიკაზე, მოქალაქეთა კეთილდღეობაზე.

2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა დაადასტურა, რომ კომპანია, რომელიც არ იმართება აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არ არის ორიენტირებული ზრდაზე და აქვს გამჭვირვალობასთან დაკავშირებული პრობლემები, არა მხოლოდ განწირულია მარცხისთვის, ის საფრთხეს უქმნის თითოეული თანამშრომლის, კრედიტორ-დებიტორისა და სხვა დაინტერესებული პირის კეთილდღეობას.

კორპორაციული მართვის აუცილებლობა ხშირად კომპანიაში წარმოქმნილი პრობლემებითაა განპირობებული. კერძოდ, როდესაც ჩნდება ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის, საქმის გამჭვირვალედ წარმოების, ინტერესთა კონფლიქტის, აქციონერთა უფლებების დაცვის, მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობის და სხვა საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. განვითარებადი თუ უკვე განვითარებული ქვეყნებისა და ბაზრების, როგორც დიდი, ასევე მცირე მოთამაშეები, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ანალოგიურ პრობლემებს აწყდებიან. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველოს სამეწარმეო სივრცე წარმოადგენს, აღნიშნული პრობლემატიკა კანონმდებლობით არ არის სათანადოდ გაწერილი. აღსანიშნავია, რომ დღემდე მოღწეული ცნობებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კორპორაციული მართვის ფორმები და მათი რეგულირების საკითხები სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოში ექცევა უკვე ფეოდალურ საქართველოში. მე-12 საუკუნის ქართული სასამართლო იყო სამსაფეხურიანი და დამოუკიდებელი სამეფო ხელისუფლებისაგან. გარდა ამისა, ქართული სასამართლოს კოლეგიები იკრიბებოდა რეგიონული, იერარქიული, და პროფესიული ნიშნით. ცალკე არსებობდა აზნაურთა, მოქალაქეთა (ვაჭარ-ხელოსანთა) და გლეხთა სასამართლო კოლეგიები. ასევე სასამართლო კოლეგიები კუთხეების მიხედვით და რაც მთავარია, კორპორაციული გაერთიანებების მიხედვით (მევენახეთა, ფეიქართა, მესაქონლეთა, მიწადმოქმედთა და სხვა).

თანამედროვე საქართველოში არსებობს კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები. თუმცა ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ქართული კანონმდებლობა აღნიშნული საკითხის რეგულაციის ნაწილში საკმაოდ მწირია. კორპორაციული

მართვის მარეგულირებელ ძირითად ნორმატიულ აქტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“. აღნიშნული კანონით განსაზღვრულია კორპორაციული მართვის სუბიექტები მათი დაფუძნების და მართვის ზოგადი წესები. ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა ევროპულ სამართალში, კერძოდ, ევროპული ქვეყნების უმრავლესობას კორპორაციული მართვის მარეგულირებელ ძირითად ნორმატიულ აქტთან ერთად შემუშავებული აქვს სპეციალური კანონები, რომელიც უფრო დეტალურად არეგულირებენ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ თავისებურებებს. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამგვარი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ევროპაში უკვე წლების განმავლობაში მუშაობს და ამართლებს თავის ფუნქციას, საქართველოში ჯერ არ დამკვიდრებულა, ხოლო დამკვიდრების პროცესი ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

თემის აქტუალურობა, ერთის მხრივ განპირობებულია კორპორაციული მართვის ინსტიტუტის მნიშვნელოვანი ადგილით ქართულ და ევროპულ სამართალში, ასევე ეკონომიკაში, სოციალურ ურთიერთობებში და მეორეს მხრივ, დასახელებული ინსტიტუტის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების დღეს მოქმედი შინაარსით არსებობა, როლებიც სხვადასხვა სახის პრობლემებით ხასიათდებიან და ცვლილებებს, დამატებებს, ან შესაძლოა გაუქმებას საჭიროებენ.

იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში, როცა მეტოქეობა მსხვილ თუ მცირე კორპორაციებს შორის დღითი დღე მწვავედება, წინამდებრე სტატია სვამს პრობლემას - კორპორაციული მართვის მოუწესრიგებლობის სახით თანამედროვე ქართულ სამართალში, ხოლო სტატიის ძირითადი მიზანია - კორპორაციული მართვის ქართული და ევროპული სამართლებრივი ნორმების გაშუქება, რაც ხელს შეუწყობს ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისათვის ადეკვატური მითითებების შემუშავებას, რომლებსაც ქართველი კანონმდებლისათვის სარეკომენდაციო ხასიათი ექნება. ეს მიზანი თავის მხრივ დაკავშირებულია გამართული საკანონმდებლო ბაზის შექმნის მოტივთან, რომლის საბოლოო მიზანია - კორპორაციული მართვის სისტემის გაუმჯობესება და მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან, მისი სუბიექტების ფუნქციური დანიშნულების ზრდა, მართვის თანამედროვე მოდელების, მათთვის დამახასიათებელი მმართველობითი სტრუქტურის, საწარმოს ხელმძღვანელობითი საქმიანობის განხორციელების პრინციპების და მასშტაბების განსაზღვრა.

## 1. კორპორაციული მართვის განვითარების ზოგადი მიმოხილვა

კორპორაციული მართვა არ წარმოადგენს საკანონმდებლო ცნებას საქართველოში ისევე, როგორც გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში და აშშ-ში. ეს სახელწოდება უკანასკნელ 20-30 წლის განმავლობაში, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის მეცნიერებამ და თეორიამ შეიმუშავა. იგი ამჟამად ფეხს იკიდებს ევროპასა და იაპონიაში. ამ ფორმულირებაში იგულისხმება კანონით გათვალისწინებული ნორმათა ერთობლიობა. აგრეთვე ბირჟებისა და საზედამხებველო უწყებებისათვის გათვალისწინებული ნორმები, როგორცაა მაგალითად, ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომიტეტის (SEC) წესდებებისა და საწარმოთა დებულებებში დადგენილი წესები, რომელიც შეეხება პასუხისმგებელ, წარმატებაზე ორიენტირებულ, გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში ფასეულობის შექმნაზე ორიენტირებულ ხელმძღვანელობასა და კონტროლს ამ საწარმოებზე. კორპორაციული მართვა თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ყველაზე პოპულარული თემაა. ძნელია საკორპორაციო სამართლიდან სხვა რომელიმე თემის დასახელება, რომელსაც ასეთი დიდი ყურადღება მიეპყროს როგორც სამართლის მეცნიერების, ისე ეკონომიკური მეცნიერების წარმომადგენლების მხრიდან. ინტერესი კორპორაციული მართვის მიმართ არ შემოიფარგლება მხოლოდ მეცნიერებით. მაგალითად, გერმანიაში კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვის მიზნით სპეციალური ფედერალური სამთავრობო კომისიაც კი არსებობს, რომელიც პერიოდულად აქვეყნებს თავისი საქმიანობის ანგარიშს<sup>3</sup>. შესაძლებელია მრავალი

<sup>3</sup> Baums Theodor (Hrsg). Bericht der Registrungskommission Corporate Governance. 2001.0.Schmidt.

როგორც საერთაშორისო<sup>4</sup> ისე ნაციონალური<sup>5</sup> აქტის დასახელება, რომელთა საგანსაც შეადგენს კორპორაციული მართვის პრობლემატიკა.

კორპორაციული მართვის მიმართ ასეთი გამორჩეულად დიდი ინტერესის მიზეზი მრავალია და ისინი უმთავრესად დასავლეთის განვითარებული ეკონომიკისა და საკორპორაციო სამართლის მქონე ქვეყნებში არსებული საწარმოს მართვის საკითხებს უკავშირდება.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ცნება „კორპორაციული მართვა (Corporate Governance) თხუთმეტი წლის წინ დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნის საკორპორაციო სამართალში საერთაოდ არ არსებობდა<sup>6</sup>. როგორც ეს თანამედროვე საკორპორაციო და საზოგადოდ ბიზნეს სამართალში ხდება, ტონის მიძღვნი იმ საერთაშორისო დისკუსიებისა, რომლებიც კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებით წარმოიშვა და დღესაც მიმდინარეობს, იყო ინგლისურ-ამერიკული მეცნიერება და პრაქტიკა<sup>7</sup> ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში ეს დისკუსიები ცალსახად უკავშირდება კორპორაციების მმართველი ორგანოს - ბორდის - საქმიანობას, მის პასუხისმგებლობასა და მასზე კონტროლის განხორციელებას აქციონერების მხრიდან<sup>8</sup>

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ამერიკული კორპორაციული მართვის სინონიმად „საწარმოს კონტროლს“<sup>9</sup>, ან „საწარმოს ხელმძღვანელობის სისტემას“<sup>10</sup> მიიხსენებენ. კორპორაციული მართვის მრავალი დეფინიცია არსებობს თუმცა, ყველა დეფინიციისათვის საერთო არის ის, რომ კორპორაციული მართვა წარმოადგენს.

„კორპორაციების ხელმძღვანელობისა და კონტროლის სისტემას“<sup>11</sup>. უფრო ვრცელ დეფინიციას შეიცავს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პრინციპები კორპორაციული მართვის თაობაზე, რომელიც აქცენტს აკეთებს კორპორაციის მენეჯმენტს, მის ბორდს, აქციონერებსა და საწარმოს სხვა მონაწილეებს (ე.წ. Stakeholders)<sup>12</sup> შორის ურთიერთობების სისტემაზე, იმ საშუალებებსა და გზებზე, რომლებითაც მიიღწევა კორპორაციული მართვის ძირითადი მიზნები<sup>13</sup> კორპორაციული მართვის ძირითად მიზანს კი წარმოადგენს კორპორაციების მმართველი ორგანოების კონტროლის უზრუნველყოფა, რათა მათ ბოროტად არ გამოიყენონ თანამდებობრივი მდგომარეობა და სამართავად მინდობილი ქონების განკარგვის უფლებამოსილება, რაც პრაქტიკაში არცთუ იშვიათად ხდება.<sup>14</sup>

ერთმანეთისგან განასხვავებენ შიდა კორპორაციულ მართვასა და გარე კორპორაციულ მართვას, ანუ შიდა კონტროლსა (insider control) და გარე კონტროლს (outsider control).<sup>15</sup>

<sup>4</sup> მაგალითად „ევროპის კავშირში საკორპორაციო სამართლის მოდერნიზაციისა და კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მოქმედებათა გეგმა“ ე.წ. EU Action plan: (21.05.2003), ანდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პრინციპები: OECD Principles of Corporate Governance.

<sup>5</sup> მაგალითად გერმანული კორპორაციული მართვის კოდექსი (Deutscher Corporate Governance Kodex)

<sup>6</sup> Frentrup, paul, A history of corporate governance.1602-2002.Deminor.Brussels.2003

<sup>7</sup> Corporate Governance and Directors' Liability.Ed.by Hopt and Teubner.berlin.

<sup>8</sup> Hopt,Klaus,Corporate Governance in Europa:Neue Regelungsaufgaben und soft law.GesRZ 2002,S.4-5

<sup>9</sup> Hopt,Klaus,Corporate Governance in Europa:Neue Regelungsaufgaben und soft law. S.4

<sup>10</sup> Marsch-barnier.

<sup>11</sup> ასეთ მოკლე დეფინიციას იყენებს მოქმედებათა გეგმა: Modernising Company Law and Enhancing Corporate Governance in the European union –A plan to Move Forward.Brussels,21.05.2003

<sup>12</sup> რუსულ საკორპორაციო სამართალში დაინტერესებული პირები ეწოდებათ

<sup>13</sup> „Corporate Governance involves a set of relationships between a company's management,its board,its shareholders and other stakeholders. Corporate Governance also provides the structure through which the objectives of the company are set,and the means of attaining those objectives end monitoring performance are determined“ OECD Principles of Corporate Governance.OECD.2004. preamble.P.11.

<sup>14</sup> კორპორაციების ქონების ბოროტად გამოყენების შემთხვევები საკმარისზე მეტია. უკანასკნელი პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება მსოფლიოში ცნობილი გერმანული ავტოკონცერნისა და გერმანელების ეროვნული სიამაყის „ფოლკსვაგენის“ მენეჯერების მიერ საწარმოს ხარჯზე სხვადასხვა კერძო გასართობი ღონისძიებების დაფინანსება.

<sup>15</sup> Hopt,Klaus,Corporate Governance in Europa: Neue Regelungsaufgaben und soft law.,S.5.

შიდა კონტროლს განეკუთვნება კონტროლი აქციონერების მხრიდან. ამ სფეროში თანამედროვე საკორპორაციო სამართლისათვის დამახასიათებელია აქციონერთა უფლებების გაზრდა, განსაკუთრებით კორპორაციების ხელმძღვანელი (მართვის) ორგანოების მიმართ.<sup>16</sup>

გარე კონტროლის უმნიშვნელოვანეს ელემენტებად მიიხსენიება კონტროლი ბირჟების ან ბანკების, ასევე მასმედიის მხრიდან და ა.შ. ის რომ კორპორაციაც „კარგი მოქალაქე“ (Good citizen) უნდა იყოს დღეს ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენს.<sup>17</sup> მსხვილი კორპორაციები პრესისა და ელექტრონული მედიის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. გამოქვეყნებული ინფორმაციები არც თუ იშვიათად დიდ გავლენას ახდენს საწარმოთა აქციების კურსზე.<sup>18</sup> საგარეო კონტროლის ამ ინსტრუმენტების როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებულად სწრაფად იზრდება.

აღიარებულია, რომ კორპორაციები, რომელთა კორპორაციული მართვის კარგი სისტემა, ე.ი. შიდა და გარე კონტროლის კარგი მექანიზმები აქვთ, საერთაშორისო კონკურენციაში დიდი უპირატესობით სარგებლობენ, ინსტიტუციური ინვესტორებისათვის მიმზიდველნი არიან და შესაბამისად ამისა, იღებენ ფინანსურ, ეკონომიკურ და სხვა შედეგებსაც.<sup>19</sup>

საკორპორაციო სამართალი მთელ მსოფლიოში არეგულირებს საზოგადოების ორგანიზაციის ძირითად მომენტებს. რაც იძლევა შესაძლებლობას პასუხი გაეცეს კითხვას, თუ როგორ შეიძლება მოეწიოს თანამშრომლობა საწარმოს (საზოგადოების) ორგანოებს, მის წევრებსა და პარტნიორებს შორის იმისათვის, რომ საწარმომ მაქსიმალურად ისარგებლოს.

ისტორიულად კორპორაციებისა და სააქციო საზოგადოებების ორგანოთა სამართლებრივი რეგულირების საკითხში კონტინენტური ევროპის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები განსხვავებული გზებით წავიდნენ. ევროპამ აირჩია საკანონმდებლო რეგულირების გზა, რომ ამით ბოლო მოეღო საკორპორაციო სამართლის ნორმების ბოროტად გამოყენებისათვის. მაგალითად, ამ მიზნით გატარდა გერმანიაში 1884 წელს სააქციო რეფორმა, რის შედეგად გადაწვიდა ფუნქციები საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობას შორის და ეს ფუნქციები კანონით ზუსტად განისაზღვრა.<sup>20</sup> საერთო კრება მიჩნეულ იქნა საზოგადოების უმაღლეს ორგანოდ, თუმცა სამეთვალყურეო საბჭო კვლავაც რჩებოდა სააქციო საზოგადოების გაელენიან აშკარად გაბატონებულ ორგანოდ.<sup>21</sup>

1937 წელს, გერმანიაში მიღებულ იქნა ახალი სააქციო კანონი, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა საერთო კრების, როგორც მართვის უმაღლესი ორგანოს მიზანშეწონილობა და მთელი ძალაუფლება პრაქტიკულად გამგეობას გადასცა. გამგეობა ამ კანონით, გათავისუფლდა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მითითებებისგან.<sup>22</sup> ამ ცვლილებით როგორც ლიტერატურაში აღნიშნავენ, კანონმდებელი მიზნად ისახავდა მკვეთრად გაემიჯნა ერთმანეთისგან ხელმძღვანელობა და კონტროლი.<sup>23</sup>

თუ არ გავითვალისწინებთ მცირე და უმნიშვნელო ცვლილებებს, რომლებიც გერმანიის სააქციო კანონში 1965 წელს შევიდა, კონსტრუქცია - სამეთვალყურეო საბჭო, გაამგეობა 1937 წლის

<sup>16</sup> ამგვარ უფლებებს განეკუთვნება დირექტორების წინააღმდეგ სარჩელის შეტანის უფლება, საერთო კრების მოწვევის უფლება და ა.შ. კორპორაციული მართვის საერთაშორისო დისკუსიების შედეგად ეს უფლებები თანაბრად მკვიდრდება როგორც განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ისე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

<sup>17</sup> Hopt, Klaus, Corporate Governance in Europa: Neue Regelungsaufgaben und soft law.,S.5.

<sup>18</sup> მაგალითად, დაიმღერ - კრაისლერის გამგეობის თავმჯდომარის შრემპის გადადგომის შესახებ 2005 წლის აგვისტოში გაკეთებულმა განცხადებამ დადებითად იმოქმედა დაიმღერ - კრაისლერის აქციათა კურსზე. ამ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან მეორე დღესვე აიწია აქციების კურსმა. ეს აიხსნება იმ მოლოდინით, რომელიც დაკავშირებული იყო კონცერნის საქმიანობის პოლიტიკის განახლებასთან.

<sup>19</sup> Modernising Company Law and Enhancing Corporate Governance in the European union –A plan to Move Forward.Brussels,21.05.2003. Hopt, Corporate Governance in Europa:Neue Regelungsaufgaben und Soft law. S.5.

<sup>20</sup> დაწვრილებით:Hopt Klaus J.,The german Two-Tier Board:Experience,Theories,reforms.In: Comparative corporate Governance – The State of the Art Emerging Resarch.

<sup>21</sup> Kindler, Der amerikanische Aufsichtsrat.S.18-19.

<sup>22</sup> Fleischer, legal Transplants im deutschen Aktienrecht.NZG,24/2004.S.1132.

<sup>23</sup> Kindler, Der amerikanische Aufsichtsrat.S.19.

კონცეფციის მიხედვით დღემდე შენარჩუნებულია. მხოლოდ 1951-1952 წლების კანონებმა შეიტანეს ამ კონცეფციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ, იმ სააქციო საზოგადოებებში, რომელთაც 2000-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავთ, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის 1/3-ს უნდა შეადგენდნენ მუშა - მოსამსახურეთა წარმომადგენლები.<sup>24</sup>

განსხვავებით გერმანელი კანონმდებლისა თუ გერმანული საკანონმდებლო პოლიტიკისგან, ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა ნაკლებად ერეოდა შიდა კორპორაციული ურთიერთობების, კერძოდ კი, მართვის ორგანოების კომპეტენციის განსაზღვრაში განსაკუთრებული იმპერატიული ნორმების შემუშავების გზით. პირიქით დღემდე ამ ურთიერთობების იმპერატიული სახელმწიფო მოწესრიგება უარყოფითად ფასდება, ხოლო მოქნილობა ამერიკული საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთ დადებით თვისებად მიიჩნევა.<sup>25</sup>

თანამედროვე კორპორაციების მართვის ორგანოთა სისტემა, მათი უფლებამოსილებები, კომპეტენციათა გამოჯგნა ცალკეულ ორგანოებს შორის, პასუხისმგებლობის გადანაწილება თანამდებობის პირთა შორის და მასთან დაკავშირებული სხვა მრავალი საკითხი კორპორაციული მართვის თაობაზე არსებული საერთაშორისო დისკუსიების მუდმივი თემებია.

ერთმანეთისგან განსხვავდება მართვის მონისტური, ანუ ერთსაფეხურიანი (ე.წ. One-tier system), რომელსაც ასევე მონისტურ სისტემას ან ბოდრის მოდელსაც უწოდებენ და დუალისტური, ანუ ორსაფეხურიანი (ე.წ. Two-tier system), რომელსაც ასევე ორსაფეხურიან სისტემას ან სამეთვალყურეო საბჭოს მოდელსაც უწოდებენ პირველს განამტკიცებს ამერიკის შეერთებული შტატების საკორპორაციო სამართალი, ამ სისტემას განამტკიცებენ შემდეგი ევროპული სახელმწიფოები: დიდი ბრიტანეთი, დანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, შვეცია, ესპანეთი.

მეორეს - გერმანიის საკორპორაციო სამართალი, დუალისტური სისტემა განმტკიცებულია ასევე ავსტრიაში, შვეიცარიაში.<sup>26</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის სააქციო საზოგადოების შემოღებით ერთსაფეხურიანი სისტემის გამოყენების შესაძლებლობა გერმანიაშიც დამკვიდრდა.<sup>27</sup> ზოგიერთი ქვეყანა განამტკიცებს შერეულ სისტემას. მაგალითად საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ფინეთი პორტუგალია იძლევიან არჩევის შესაძლებლობას ბორდისა და სამეთვალყურეო საბჭოს მოდელებს შორის. პოსტ საბჭოთა ქვეყნების სამართალი იცნობს როგორც ერთ, ისე მეორე სისტემასაც გარკვეული თავისებურებებით.<sup>28</sup>

კორპორაციული მართვის სისტემა, რომელიც ქართულ საკორპორაციო სამართალშია განმტკიცებული, უმეტესწილად ეყრდნობა გერმანულ გამოცდილებასა და გერმანულ საკორპორაციო

<sup>24</sup> Kindler, Der amerikanische Aufsichtsrat. S.20.

<sup>25</sup> Kindler, Der amerikanische Aufsichtsrat. S.22

<sup>26</sup> Hopt, The german Two-Tier Board: Experience, Theories, reforms. p.228.

<sup>27</sup> 2004 8 ოქტომბერს ევროპის კავშირის ტერიტორიაზე ძალში შევიდა დადგენილება (დეკლარაცია) ევროპის სააქციო საზოგადოების (შოციეტას უროპეა) სტატუტის შესახებ. ამ დადგენილებით, რომელიც ევროპის კავშირის მინისტრთა საბჭომ 2001 წლის 8 ოქტომბერს მიიღო, განისაზღვრა ევროპის სააქციო საზოგადოების (შემოკლებით - ესს) სამართლებრივი სტატუსი. აღნიშნული დადგენილება კავშირის წევრ-სახელმწიფოებში პირდაპირ მოქმედებს და მისი დანერგვისათვის რაიმე სპეციალური საკანონმდებლო აქტის მიღება სავალდებულო არ არის, მაგრამ იმის გამო, რომ დადგენილება წევრ-სახელმწიფოებს აკისრებს გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების ვალდებულებას, შესაბამისად მიღებულ იქნა სპეციალური კანონებიც. მაგალითად, 2004 წლის 27 მაისს ავსტრიაში მიღებულ იქნა კანონი ევროპის სააქციო საზოგადოების შესახებ. ევროპის სააქციო საზოგადოების ორგანოთა დახასიათებისას ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანს ის თავისებურებები, რომლებითაც გამოირჩევა ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების კორპორაციული მართვის სიტემები. მათში გავრცელებულია როგორც დუალისტური, ისე მონისტური სისტემები. ამ სამართლებრივი რეალობისთვის კანონმდებელს ანგარიში უნდა გაეწიას ამიტომ დადგენილება ესს-ის მართვის ორგანოების განსაზღვრისას ორივე სისტემის გამოყენების შესაძლებლობას უშვებს. ევროპის სააქციო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შემდეგი ორგანოები: ა) აქციონერთა საერთაო კრება ბ) სამეთვალყურეო ორგანო და ხელმძღვანელი ორგანო (დუალისტური სისტემა) ანდა ერთი მმართველი ორგანო (მონისტური სისტემა).

<sup>28</sup> „ეს თავისებურებები ძირითადად განპირობებულია იმით, რომ ამ ქვეყნების კანონმდებლობის შექმნაში სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები მონაწილეობდნენ.“ - ლადო ჭანტურია. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. 110.

სამართალში არსებულ მართვის სიტემას. თუმცა ზოგიერთ საკითხში შეიმჩნევა ამერიკული საკორპორაციო სამართლის გავლენა.<sup>29</sup>

ამიტომ ვიდრე ვრცლად განვიხილავ ქართული კორპორაციული მართვის სიტემას, შევეხები კორპორაციული მართვის მონისტურ სისტემას, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე ძირითადად ამერიკული კორპორაციული მართვისთვის არის დამახასიათებელი და დუალისტურ სისტემას გერმანულ საკორპორაციო სამართალში.

კორპორაციების ხელმძღვანელობისა და მართვის აღსანიშნავად ამერიკულ საკორპორაციო სამართალში გამოიყენება ცნება კორპორაციული მართვა (corporate governance) აღნიშნული ცნების დეფინიციის თაობაზე შეხედულებებისა და დისკუსიების თაობაზე ზემოთ უკვე აღვნიშნე, აქ კი დავამატებ, რომ აშკარაა, რომ ამ ცნების გავრცელება თანამედროვე მსოფლიოში, მიუხედავად მისი მრავალი დეფინიციისა, ამერიკის შეერთებული შტატებიდან იღებს სათავეს.

კორპორაციების მართვის ერთსაფეხურიანი სისტემისათვის, რომელსაც ამერიკული საკორპორაციო სამართალი განეკუთვნება, დამახასიათებელია ის, რომ კორპორაციის ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციები თავმოყრილია ერთ ორგანოს - ბორდის<sup>30</sup> - დირექტორთა საბჭოს ხელში, თუმცა ის არაა ერთადერთი ორგანო, რომელიც ამერიკულ კორპორაციას აქვს.

ამერიკულ კორპორაციებში ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციები გადანაწილებულია აქციონერთა საერთო კრებას, ბორდს ანუ დირექტორთა საბჭოს და მენეჯერებს შორის. კორპორაციის მართვას ასორციელებს - ბორდი, რომელიც იმავდროულად სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებსაც ითავსებს. პრაქტიკულად ბორდი, თუ არ ჩავთვლით კორპორაციის აქციონერთა კრებას, კორპორაციის მართვის უმთავრეს ორგანოს წარმოადგენს. ამერიკული საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისგან არ განასხვავებს სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობას, როგორც ეს ქართულ ან გერმანულ სამართალშია.

## 2. საქართველოში კორპორაციული მართვის განვითარების ზოგადი მიმოხილვა

ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ჩვენს ქვეყანაში კორპორაციული მართვის ინსტიტუტი საკმაოდ სუსტადაა განვითარებული. ამ სფეროს საერთაშორისო საფისა საფინანსო კორპორაციამ (IFC) 2004 წლიდან იკვლევს .

სფეროს საერთაშორისო საფისა საფინანსო კორპორაციამ (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრმა, წარმატებით დაასრულა კორპორაციული მართვის პროექტი საქართველოში და მისი მუშაობის შედეგები შეაჯამა.

პროექტის მიზანი კორპორაციული მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებაში ქართული კომპანიების დახმარება იყო. პასუხისმგებლობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების დანერგვა კომპანიის საქმიანობაში მისი მომგებიანობის ზრდასა და ინვესტიციების მოზიდვას უწყობს ხელს.

(IFC)-ის პროექტმა კორპორაციული მართვის საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესებას და საქართველოს ბანკების ასოციაციის მიერ კორპორაციული მართვის ნებაყოფლობითი კოდექსის მიღებას შეუწყო ხელი. IFC-იმ ასევე ჩაატარა სემინარები და ინდივიდუალური კონსულტაციები კორპორაციული მართვის საკითხების იურიდიული და ფინანსური ასპექტების შესახებ და განახორციელა პილოტური პროგრამა შერჩეული კომპანიებისთვის და ბანკებისთვის. შედეგად, ოცდაერთ კომპანიასა და ბანკში 50 პროცედურა გაუმჯობესდა და

<sup>29</sup> მაგალითად საწესდებო კაპიტალის არასავალდებულოობა, მართვის ორგანოების ფუნქციათა არაიმპერატიულობა.

<sup>30</sup> ინგლისურ-ამერიკულ სამართალში მას ეწოდება board of directors - დირექტორთა ბორდი, ანუ დირექტორთა საბჭო და სათავეს იღებს ინგლისურ სამართალში.

კორპორაციული მართვის პრაქტიკის გაუმჯობესების შედეგად ყველა მათგანში საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა აღინიშნა.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ამ 2011 წელს დაბეჭდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, რომელშიც სიღრმისეულად არის განხილული კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა. პუბლიკაცია IFC - ის პროექტის დასრულების შემდეგაც დაეხმარება ქართულ კომპანიებს, გააუმჯობესონ კორპორაციული მართვის სტანდარტები და პრაქტიკა.

„ძლიერი კორპორაციული მართვის სისტემა ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა ინვესტორების მოსახიდად, IFC-ის პროექტმა ხელი შეუწყო ქართულ კომპანიებს, უფრო მიმზიდველნი გამხდარიყვნენ ინვესტორებისთვის. IFC-ის პუბლიკაციები, განსაკუთრებით კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, მომავალშიც პრაქტიკული რჩევებით შეუწეობს ხელს კორპორაციული მართვის სტანდარტების ამაღლებას.“

2006 წლიდან 2011 წლის იანვრამდე IFC - ის კორპორაციული მართვის პროექტი საქართველოში

BP-სა და მისი ნავთობის და გაზის პარტნიორებთან და კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (CIDA) თანამშრომლობით ხორციელდებოდა. IFC-ის ინვესტიციებმა საქართველოში თითქმის 500 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა სხვადასხვა სექტორის 35 პროექტში. გარდა ამისა, საკონსულტაციო პროგრამის ფარგლებში IFC მუშაობს საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმირების მიმართულებით, რაც მცირე ბიზნესის განვითარებას შეუწეობს ხელს. IFC - ის საკონსულტაციო პროექტი კომპანიებს სურსათის უვნებლობის სტანდარტების ამაღლებაშიც ეხმარება. საქართველო IFC-ის წევრი 1995 წელს გახდა.

IFC მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, განვითარებაზე ორიენტირებული ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტია, რომელიც განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორს უჭერს მხარს. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ეხმარება ხალხს სიღარიბის დაძლევაში და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში, უზრუნველყოფს კერძო საწარმოებს დაფინანსებით, რათა მათ მიეცეთ საშუალება, მეტი ადამიანი დაასაქმონ და აუცილებელი მომსახურებით უზრუნველყონ საზოგადოება. ასევე IFC სხვა ორგანიზაციების კაპიტალის მობილიზებას და საკონსულტაციო მომსახურების მეშვეობით მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს ქმნის. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს, 2010 ფინანსურ წელს მათ მიერ განხორციელებულმა ახალმა ინვესტიციებმა რეკორდულად მაღალ მონაცემს - 18 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია.

IFC-მა საქართველოში კორპორაციული მართვის სეგმენტის მეორე საფუძვლიანი კვლევა 2008 წელს ჩატარდა. როგორც IFC - ის კორპორაციული მართვის პროექტის მენეჯერი მაია თევზაძე გაზეთ 24 საათში განმარტავს, ქართულ კომპანიებში საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის მიერ ჩატარებული კვლევა (კორპორაციული მართვის ძირითად კომპონენტებში) ბოლო ოთხ წელიწადში მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს ადასტურებს. „თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და იმედი მაქვს, რომ IFC - ის სემინარები და კონსულტაციები ქართულ კომპანიებს კიდევ უფრო უკეთესი შედეგების მიღწევაში დაეხმარება,“ - ამბობს მაია თევზაძე.

IFC-ის მიერ შესწავლილი კომპანიების 77 პროცენტმა კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის კარგი ცოდნა აჩვენა. ამავე კვლევის თანახმად, ბევრ კომპანიას შეუძლია, ამ პრაქტიკის განხორციელებით თავისი საქმიანობა უფრო ეფექტური გახადოს.

2004 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ კომპანიების რიცხვი, რომლებიც კორპორაციული მართვის მნიშვნელობას აღიარებს. კერძოდ, კორპორაციული მართვა ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნია გამოკითხულთა 22 პროცენტმა. ეს მაჩვენებელი 2004 წელს 13,8 პროცენტს შეადგენდა.

გამოკითხული რესპონდენტების 30,7 პროცენტმა განაცხადა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში კორპორაციული მართვა მათ კომპანიებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ხოლო 27,3 პროცენტი მიიჩნევს, რომ კორპორაციული მართვის ხარისხი არ გაუმჯობესებულა. ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა იმ კომპანიების რიცხვი, რომლებიც დაინტერესებულია კორპორაციული მართვის საკითხებზე ინფორმაციის მიღებით ან გარე კონსულტანტების მომსახურებით. როგორც კვლევის შედეგები ცხადყოფს, იმ კომპანიების რიცხვმა, რომელმაც კორპორაციული მართვის

საკითხებში გარე კონსულტანტების მომსახურებას მიმართა, 17,3 პროცენტი შეადგინა, მაშინ როდესაც 2004 წელს რესპონდენტთა მხოლოდ 3,2 პროცენტმა განაცხადა ამის შესახებ.

კომპანიები ყველაზე ხშირად კორპორაციულ მართვას უკავშირებენ ისეთი ამოცანების გადაწყვეტას, როგორებიცაა: ინვესტიციების მოზიდვა, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების ეფექტურობის ამაღლება, აქციონერებსა და მმართველობით ორგანოებს შორის ურთიერთობების ეფექტურობის ამაღლება, კომპანიაზე ეფექტური ზედამხედველობის განხორციელება და შიდა კონტროლის ეფექტურობის ამაღლება. გამოკითხულთა შედარებით ნაკლებმა რაოდენობამ კორპორაციული მართვა ისეთ გარემოებებს დაუკავშირა, როგორებიცაა - მმართველი ორგანოების ანგრიშვალდებულების ამაღლება, კორპორაციული კონფლიქტების თავიდან აცილება და აქციონერთა უფლებების დაცვა, რადგან აღნიშნული ფაქტორები კარგი კორპორაციული მართვის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენს.

კითხვაზე, თუ რა არის ის ძირითადი ფაქტორები, რაც თქვენს კომპანიას კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისაკენ უბიძგებს, კომპანიების მიერ შემდეგი ფაქტორები დასახელდა: ფინანსური მანევრებლების გაუმჯობესების, კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და უცხოური ინვესტიციების გაზრდის სურვილი.

„კორპორაციული მართვის თემა საფონდო ბაზრის მოთხოვნებიდან წამოვიდა. კერძოდ, ამ თემის აქტუალურობა მცირე აქციონერების პრობლემებმა განაპირობა. რაც უფრო კარგად მუშაობს სააქციო საზოგადოება და ეფექტურია კორპორაციული მართვა, მით უფრო მეტი ინვესტიციების მოზიდვა ხდება საწარმოში. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, პრემიუმში მით უფრო მეტია კორპორაციულ მართვაში. მიმანია, რომ ქვეყანაში ფულის მოზიდვა საფონდო ბაზრის მეშვეობით უნდა ხდებოდეს. უნდა მოხდეს საფონდო ბაზრის განვითარების სტიმულირება, რაც კარგი კორპორაციული მართვის შემთხვევაში, კომპანიებისათვის დამატებით კაპიტალს მოიზიდავს," - ამბობს საფონდო ბირჟის ხელმძღვანელი გოგი ლოლაძე.

კორპორაციული მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება დამოკიდებულია როგორც სახელმწიფოზე, ისე კერძო სექტორზე. თუ პირველის როლი შესაბამისი კორპორაციული მართვის ხელშემწყობი მარეგულირებელი გარემოს ჩამოყალიბებაში გამოიხატება, მაშინ კერძო სექტორი შეიმუშავებს კორპორაციული მართვის ეფექტურ პრაქტიკას, რაც კომპანიების ცალკეულ შიდა დოკუმენტებში აისახება.

საქართველოში დღეს არსებული ბიზნესგარემოს ყველაზე პოპულარული ტენდენციაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და IPO-ზე (პირველადი საჯარო შეთავაზება) გასვლის პერსპექტივების უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, კომპანიებისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმ საკითხების დარეგულირება, რომლებიც განსაკუთრებით საყურადღებოა ინვესტორებისთვის.

მართალია, ინვესტორს აინტერესებს, თუ რამდენად გამართული ფინანსური მდგომარეობა აქვს კომპანიას, მაგრამ, აგრეთვე მნიშვნელოვანია, თუ რამდენად გამჭვირვალეა ინფორმაცია. მაგალითად, თუ კომპანია ვერ ახერხებს დაუდასტუროს ინვესტორს კომპანიის ბენეფიციარი მეწილეების ვინაობა, რამდენად დაცულია თითოეული აქციონერის უფლება და რამდენად ეფექტურად იმართება კომპანია, რთული იქნება პოტენციურ ინვესტორთან გარიგების წარმატებით განხორციელება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არ არსებობს კორპორაციული მართვის ერთი საუკეთესო მოდელი. კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული პრობლემატიკა განსხვავებულია დასავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში. დასავლეთ ქვეყნებში კორპორაციული მართვის ძირითადი პრობლემებია: აქციონერთა დაქსაქსულობისა და ინერტულობის გამო მენეჯმენტის გაკონტროლების პრობლემა; აქციონერებს ძირითადად, სააქციო საზოგადოების კაპიტალის მხოლოდ მცირე ნაწილი ეკუთვნით, ამიტომ ძნელია მათი მხრიდან მენეჯმენტის გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე ზეგავლენის მოხდენა. ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს მენეჯერთა მრავალმილიონიანი კონტრაქტები, პასუხისგებაში მიცემის სიძნელე და ინსაიდერული ინფორმაციის დარღვევით გამოყენება.

საქართველოში კორპორაციული მართვის ამაღლების დონეს აფერხებს ინფორმაციის, ფინანსების, კვალიფიციურ სპეციალისტთა და მმართველი ორგანოების მხრიდან ინტერესის ნაკლებობა. ასევე მნიშვნელოვანია კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების



არასრულფასოვნება და ხარვეზები კანონმდებლობაში. არ არის საკმარისი კომპანიაში საკითხების მხოლოდ შიდა დებულებით დარეგულირება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აუცილებელია არსებობდეს კანონმდებლობით დარეგულირებული მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მოუწოდებს კომპანიას შეასრულოს კორპორაციული მართვის მინიმალური მოთხოვნები. ასევე უმნიშვნელოვანესია კორპორაციული დავების ეფექტურად გადაწყვეტის მექანიზმებისა და პრაქტის არსებობა. ამ მხრივ საქართველოში რთული ვითარებაა.

და მაინც, რა არის მთავარი პრობლემა კორპორაციულ მართვაში?

- აქციონერთა მიერ თავიანთი უფლებების არცოდნა და მათი დარღვევა;
- კანონმდებლობითა და შიდა დებულებებით დადგენილი წესების უგულვებელყოფა;
- არაეფექტური მმართველობის ორგანოები და ფორმალური გაკონტროლება;
- გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან;
- ინფორმაციის არასაჯაროობა;
- ხარვეზები კანონმდებლობაში;
- კანონის მოთხოვნათა აღსრულების პრობლემა.

90-იანი წლებში განხორციელებული მასშტაბური პრივატიზაციის შედეგად შეიქმნა საწარმოები, სადაც თანამშრომლები იმავე საწარმოს აქციონერები გახდნენ. ბუნებრივია, მათ არ ჰქონდათ საწარმოს მართვის გამოცდილება და არც შესაბამისი ცოდნა თავიანთი უფლებების დასაცავად. არ იწვევდნენ მათ აქციონერთა საერთო კრებებზე და არც აქციონერებს გააჩნდათ იმის პრობლემა, რომ ირღვეოდა მათი უფლებები. ხშირია შემთხვევები, როცა ირღვევა აქციონერთა უფლება - მიიღონ ინფორმაცია კომპანიის მმართველობის ორგანოებისაგან. მიზეზი სხვადასხვაა: მათ არ იციან თავიანთი უფლებების შესახებ, რომ მიწვეულნი უნდა ყოფილიყვნენ საერთო კრებაზე პროცედურების დაცვით, ან უიმედობა, რომ სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში, ისინი შეძლებენ ამ უფლებების დაცვას. გამონაკლისია ის აქციონერები, რომლებმაც მიზანმიმართულად შეისყიდეს აქციები და კარგად აქვთ გათვითცნობიერებული თავიანთი უფლება-მოვალეობების არსი.

როგორც წესი, საერთო კრების მოწვევის შეტყობინება უნდა შეიცავდეს:

- საერთო კრების მოწვევის ადგილს, თარიღსა და დროს;
- სააღრიცხვო დღის თარიღს;
- საერთო კრების სახეობას;
- დღის წესრიგს;
- დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს გადაწყვეტილების მისაღებად;
- საწარმოს წესდებაში შესაძლო ცვლილებებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მოწვევა საერთო კრებაზე, ხშირია პროცედურული საკითხების დარღვევის შემთხვევები. მოწვევის შეტყობინება არ შეიცავს კანონით მოთხოვნილ სავალდებულო ინფორმაციას. საერთო კრების ოქმები ისევე, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს ოქმები, არ მოიცავს სრულ ინფორმაციას და არ არის შედგენილი სათანადოდ. ინფორმაცია მწირია და რეალურად არ ასახავს სხდომის მიმდინარეობას, დისკუსიებსა და გადაწყვეტილებების მიღების დასაბუთებას. აუცილებელია, რომ სხდომის ოქმი ფარავდეს მინიმუმ შემდეგ საკითხებს:

- სრულ ინფორმაციას განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით;
- წევრთა შორის გამართული დისკუსიების ჩანაწერებს;
- გადაწყვეტილების მიღების დასაბუთებას;
- წევრთა აპოზიციებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;
- დეტალურად გაწერილ მითითებებს კონკრეტულ საკითხებზე სამომავლო მოქმედებებთან დაკავშირებით.

სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით თავს იჩენს სამი ძირითადი პრობლემა:

- ფორმალური არსებობა;
- ნათესავეები და მეგობრები;
- არაკვალიფიციური წევრები.

კორპორაციული მართვის თითქმის ყველა კოდექსი მოითხოვს, რომ მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებლად სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა და დირექტორთა საქმიანობა ყოველწლიურად შეფასდეს. სამეთვალყურეო საბჭოს შეფასება არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც კომპანია აფასებს მისი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხარისხსა და საქმიანობას.

წარმოდგენელია სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებდეს დაკისრებულ მოვალეობებს მიუკერძოებლად, როდესაც წევრები ძირითადად ინიშნებიან მსხვილი აქციონერების მიერ, რომლებიც ხშირ შემთხვევებში კომპანიის დირექტორებიც არიან. ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა სამეთვალყურეო საბჭოში დამოუკიდებელი წევრების დანიშვნა, სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასების განხორციელება და კომიტეტების შექმნა. საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, ხშირია მოთხოვნა, რომ გარკვეული კომიტეტები მხოლოდ დამოუკიდებელი წევრებისგან შედგებოდეს და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მათი უმრავლესობის თანხმობით მიიღებოდეს. საბჭოში დამოუკიდებელი წევრის არსებობა ინვესტორს მატებს რწმენას, რომ მის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს კომპანიის ერთმანეთთან შესმატკბილებული მმართველები საკუთარი ინტერესებისა და შეხედულებებისამებრ არ გამოიყენებენ.

კომიტეტი საბჭოს დამხმარე ორგანოა, რომელიც იქმნება საბჭოს მიერ, რათა წინასწარ განიხილოს ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები მისცეს საბჭოს.

- კომიტეტს არ შეიძლება გადაეცეს საბჭოს უფლებამოსილებები;
- კომიტეტი, როგორც წესი, შედგება 2-3 ან, მეტი წევრისაგან;
- კომიტეტი შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი.

კომიტეტი საჭიროა იმდენად, რამდენადაც მობილური და ოპერატიულია იგი, გააჩნია ვიწრო სპეციალიზაცია, ამცირებს სამეურნეო ხარჯებს, ზრდის საბჭოში გადაწყვეტილებათა მიღების ოპერატიულობას.

პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ინტერესთა კონფლიქტსა და დაკავშირებულ მხარესთან დადებულ გარიგებებთან, არ წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს რეალობას. იგი პრობლემატურია როგორც დასავლეთის ქვეყნებში, ასევე განვითარებადი სამყაროსთვის. ინტერესთა კონფლიქტი არის სიტუაცია, როდესაც პირს, ან კორპორაციას უკავია ისეთი მდგომარეობა, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია პირადი, ან კორპორაციული სარგებელის მიღება. შეიძლება იყოს ინტერესთა კონფლიქტის სხვადასხვა შემთხვევები. ესენია მაგალითად, პირადი და საზოგადოების ინტერესების შეჯახება, ერთი პირის ორ სხვა და სხვა სამსახურთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი, ოჯახური ინტერესები და ა.შ. დაინტერესებულ პირებზე შეიძლება ჩაითვალოს: დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, მსხვილი აქციონერი, ერთმანეთთან დაკავშირებულ პირთა წრე. საქართველოში გავრცელებულია პრაქტიკა, რომ გარიგებები დაიდოს იმ კომპანიებთან, სადაც ხელმძღვანელები, ან აქციონერები, მათი ნათესავები, მეგობრები, ან ბიზნესპარტნიორები არიან. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მომგებიანი შეიძლება იყოს ასეთი გარიგება კომპანიისთვის, აუცილებელია, რომ ასეთი ინფორმაცია გამჟღავნდეს კომპანიის წინაშე. ამავე დროს, დაცული უნდა იყოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცედურაც. კომპანიის დაინტერესებული ხელმძღვანელი, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა იღებდეს მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარესთან დადებული გარიგების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს, რათა ყველა აქციონერი თუ მესამე მხარემ იცოდეს ასეთის არსებობა.

ასევე გავრცელებული პრობლემაა ინფორმაციის არასაჯაროობა. ძირითადად კომპანიები არ ახდენენ წლიური ანგარიშების გამოქვეყნებას, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არ არის ხელმისაწვდომი მცირე აქციონერებისთვისაც.

ნიშნდობლივია ისიც, რომ საქართველოს საკანონმდებლო ბაზა ძალიან მწირია იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალით, რომლებიც არეგულირებს კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო, ის დებულებები, რომლებიც არსებობს, არ არის საკმარისი და ვერ ასახავს დღევანდელ მდგომარეობას. საქართველოში კორპორაციული მართვის პრინციპების წყაროებია: ნორმატიული აქტები (საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ეროვნული

კომისიის შესახებ“), საერთაშორისო სტანდარტები (OECD-ის - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კორპორაციული მართვის პრინციპები, თვითრეგულირებადი ორგანიზაციების წესები), კორპორაციული კულტურა (სააქციო საზოგადოების შიდა დოკუმენტები, საქმიანი ურთიერთობების პრაქტიკა, კორპორაციული პრეცედენტები). ასევე ნოვაცია „კორპორაციული კოდექსის“ სახით, რომელიც არ წარმადგენს ნორმატიულ აქტს, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია საქარათველოში კორპორაციული მართვის კულტურის განვითარებისათვის.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით არ არის დეტალურად დარეგულირებული ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი და ამდენად, არსებული დებულებები ბუნდოვანია. ასევე, საგულისხმოა იმის აღნიშვნაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა მუხლი საგაღმწეო გამოსყიდვასთან დაკავშირებით, მაგრამ კანონმდებელმა მიიღო იგივე მუხლი განსხვავებული ნუმერაციით და უმნიშვნელო ცვლილებით, რაც ვერ აგვარებს საგაღმწეო მიყიდვასთან დაკავშირებულ რეალურ პრობლემას. ასევე, გარკვეული მნიშვნელოვანი დებულებები გათვალისწინებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონშიც, თუმცა ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ანგარიშვალდებულ საწარმოებზე. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, თუმცა ძნელია დასახელებული შემთხვევა, როცა ამ მუხლების გამოყენებით პასუხი ეგოს კომპანიის ხელმძღვანელობას.

იმისათვის, რომ საქართველოში გაუმჯობესდეს კორპორაციული მართვის პრაქტიკა და პრობლემები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, სასურველია, გადაიჭრას შემდეგი საკითხები: გაუმჯობესდეს მმართველი ორგანოების ფუნქციონირება, კერძოდ: ერთი პირის მიერ სამეთვალყურეო საბჭოში წარდგენილი წევრები სრულდენობის შეზღუდვა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთავიდან ასაცილებლად. დამოუკიდებელი წევრების წარდგენა. სამეთვალყურეო საბჭოში დამოუკიდებელი წევრების არსებობა ინვესტორისთვის, გარკვეულწილად, გარანტიას წარმოადგენს, რომ მის მიერ განხორციელებული ინვესტიციები მიზანმიმართულად იქნება გამოყენებული და ამასთან, პირადი ინტერესებისთვის არ გამოიყენებს რომელიმე მსხვილი აქციონერი თუ კომპანიის დირექტორი. კომპანიის მმართველობის ორგანოებს შორის უფლება-მოვალეობათა გადანაწილება შიდა დებულების მეშვეობით, რათა ყველა სტრუქტურული დანაყოფისთვის ნათელი იყოს მათთვის დაკისრებული მოვალეობები, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც დაეკისრებათ პასუხისმგებლობა. კომპანიის რთული შიდა სტრუქტურული ექანიზმის გამო შეიძლება ამ ყოველივეს კანონით დარეგულირება არაეფექტური აღმოჩნდეს, ამიტომ კომპანიამ თავად უნდა იზრუნოს კომპანიის წესდებაში ასეთი დებულებების გათვალისწინებაზე, ან გაითვალისწინონ დამხმარე დებულებები. აუცილებელია გაძლიერდეს კომპანიის შიდა კონტროლი, რაც უკავშირდება ძლიერი შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას (შიდა კონტროლი არის პროცესი, რომელსაც ახორციელებს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი და სხვა პერსონალი. მისი დანიშნულებაა ოპერაციების ეფექტურობის, ფინანსური ანგარიშგების საიმედოობის, კანონების და წესების სათანადო შესაბამისობის უზრუნველყოფა). მარტო დებულებების, წესებისა და ინსტრუქციების მიღება საკმარისი არ არის იმისთვის, რომ კომპანია მუშაობდეს გამართულად, თუ არ ხორციელდება ეფექტური კონტროლი მის დაცვაზე. ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია კომპანიებმა ისეთი დამხმარე ორგანოები ან ინსტიტუტები დააარსონ, როგორებიცაა: კომიტეტები და კორპორაციული მდივანი.

დასავლეთში კორპორაციული მდივნის ინსტიტუტს ხანგრძლივი ისტორია აქვს. კორპორაციული მდივნები ორგანულად შეერწყნენ კორპორაციული მართვის სისტემას, მყარად მოიკიდეს ფეხი და ასრულებენ რიგ უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს. ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში, მაგალითად ინგლისში, კორპორაციული მდივნის თანამდებობა საგაღმწეო კი არის ყველა სააქციო საზოგადოებისათვის. კორპორაციული მდივანი არის თანამდებობა, რომლის მეშვეობითაც ერთი ადამიანი კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ მრავალ ფუნქციას ითავსებს. ის, როგორც წესი, არ არის მხოლოდ მდივანი, რომელიც ოქმების შედგენით შემოიფარგლება - პირიქით, იგი კომპანიის ერთ-ერთი წამყვანი თანამდებობის პირია, რომელიც პასუხს აგებს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების შედგენაზე. კორპორაციული მდივანი უზრუნველყოფს კომპანიის სამი მთავარი მმართველი რგოლის ინფორმაციულ ურთიერთქმედებას. იგი პასუხისმგებელია კომპანიის წინაშე ძლიერი კორპორაციული

მართვის შენარჩუნებაზე. კორპორაციული მდივნის ეს უკანასკნელი ფუნქცია უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. მას უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, თუმცა ეს მოთხოვნა აუცილებელია მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში. იმისათვის, რომ პიროვნება კორპორაციული მდივანი გახდეს, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- მან უნდა იცოდეს კორპორაციული და ფასიანი ქაღალდების სამართლის საფუძვლები და ერეკოდეს კომპანიის ბიზნესში;
- უნდა ჰქონდეს კომუნიკაციის უნარი და განვითარებული ინტუიცია;
- უნდა შეეძლოს კონფლიქტების მედიაცია და კონსენსუსის მიღწევა;
- იყოს დეტალებზე ორიენტირებული, მაგრამ ამავე დროს, მოქნილი;
- კორპორაციული მდივანი უნდა იყოს აბსოლუტურად მიუკერძოებელი და მოქმედებდეს კომპანიის ინტერესებში.

კორპორაციული მდივნის ფუნქციები: სამეთვალყურეო საბჭოსა და საერთო კრების სხდომების პროცედურული უზრუნველყოფა, პასუხისმგებელია კორპორაციულ დოკუმენტაციაზე, თუ კომპანიას 50-ზე ნაკლები აქციონერი ჰყავს, კორპორაციულ მდივანს რეგისტრატორის ფუნქციაც ეკისრება. მას ასევე ევალება ბირჟის ყველა მოთხოვნის დაცვაზე ზედამხედველობა. ერთი სიტყვით, იგი ცენტრალური ფიგურაა, რომელსაც დახმარებისთვის მიმართავს ყველა აქციონერი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და დირექტორი. მდივანი პასუხისმგებელია კორპორაციული ნორმების დაცვასა და ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოსთვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის დროულ და სრულყოფილ მიწოდებაზე. კორპორაციული მდივანი ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და არც ერთ წევრს არა აქვს უფლება დამოუკიდებლად გაანთავისუფლოს იგი. ის პასუხისმგებელია მთლიანად საბჭოსა და ზოგადად კომპანიის წინაშე.

ამასთან, შეფასების მექანიზმის დანერგვა საკმაოდ ეფექტური მეთოდია დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკაში, რათა კომპანიებმა განსაზღვრონ, თუ რამდენად ნაყოფიერია მმართველობის ორგანოების მუშაობა და რა ხარვეზები გააჩნია მათ. კორპორაციული მართვის თითქმის ყველა კოდექსი მოითხოვს, რომ მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებლად სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა და დირექტორთა საქმიანობა ყოველწლიურად შეფასდეს. სამეთვალყურეო საბჭოს შეფასება არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც კომპანია აფასებს მისი სამეთვალყურეო საბჭო სწევრების საქმიანობის ხარისხსა და საქმიანობას. მმართველობის ორგანოთა შეფასება საჭიროა, რადგან, იგი ზრდის ამ ორგანოთა საქმიანობის ეფექტურობას, უკეთესსაზღვრავს მოვალეობებს, აუმჯობესებს შიდა პროცედურებს, აუმჯობესებს სანგარიშგაღებულებას, უფრო მიზიდველს ხდის კომპანიას ინვესტორებისთვის. ასევე მმართველობის ორგანოთა შეფასებისას შეიძლება წავაწყდეთ უარყოფით შედეგებს. მაგალითად, წევრები ამბობენ უარს და გარიყულად გრძნობენ თავს. შეიძლება წარმოიქმნას შიდა გათიშულობა, რის შემდეგაც ძნელია ახალი წევრების მოძებნა.

ასევე უნდა მოხდეს ინტერესთა კონფლიქტის დარეგულირება შიდა დებულებების მეშვეობით. უნდა მოხდეს საზოგადოებისათვის წლიური ანგარიშის წარდგენა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა საჭიროებს დახვეწას კორპორაციული მართვის კუთხით, კერძოდ, უნდა მოხდეს მარეგულირებელი ნორმების გაძლიერება, კორპორაციული მართვის კოდექს(ებ)ის მიღების წახალისება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უნდა ხდებოდეს დადგენილი ნორმების აღსრულება. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სასურველია სახელმწიფომაც დააფიქსიროს თავისი ნება კორპორაციული პრაქტიკის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და დანერგოს უფრო მოქნილი, ეფექტური მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც შეიძლება კომპანიებისათვის კორპორაციული მართვის მინიმალურ სტანდარტებს მაინც განსაზღვრავდეს.

საგულისხმოა, რომ კარგი კორპორაციული მართვის უპირატესობა იკარგება, თუ არ გვაქვს დავის გადაწყვეტის კარგი საშუალება. მართლაც დავის გადაწყვეტის სათანადო საშუალების არჩევა ხშირად სერიოზულ თავსატეხსაც კი წარმოადგენს დაინტერესებული მხარისათვის. არსებობს სამი ძირითადი გზა, რომელთა მეშვეობით ხდება სახელმწიფოებო დავების განხილვა: სასამართლო, არბიტრაჟი და დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული საშუალებები.

სასამართლო და არბიტრაჟი დავის გადაწყვეტის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. არსებობს მოსაზრება, რომ იურისტებს ურჩევნიათ დავის განხილვა სასამართლოში, ხოლო

ბიზნესმენები უპირატესობას არბიტრაჟს ანიჭებენ. მართლაც არბიტრაჟი უფრო ხშირად გვხვდება საერთაშორისო ხელშეკრულებებში, თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ არბიტრაჟი აპრიორი სჯობს სასამართლოს. ბევრი რამ დამოკიდებულია ცალკეული საქმის გარემოებებზე. ასევე ბევრია ნათქვამი და დაწერილი თითოეული საშუალების დადებით თუ უარყოფით მხარეებზე, მაგრამ უდავოა, რომ არბიტრაჟს აქვს გარკვეული მახასიათებლები, რომლებიც მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ბიზნესმენებისთვის. მაგალითად, მხარეებმა შეიძლება ამოირჩიონ არბიტრი ან არბიტრები, რომლებსაც ისინი მიანდობენ თავიანთი დავის გადაწყვეტას (ან განსაზღვრავენ ორგანოს, რომელსაც მიანდობენ დავის გადაწყვეტი ტრიბუნალის არჩევას) და რომლებიც ფლობენ სათანადო ინფორმაციას იმ დარგის ან საკითხის შესახებ, რაზეც წარმოიშვა დავა. არბიტრაჟში პროცედურები უფრო მოქნილი და ნაკლებად დაძაბულია, ვიდრე სასამართლოში, მხარეებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ აკონტროლონ მათი მსვლელობა. საქმის განხილვა კონფიდენციალურია, ისევე როგორც საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან გასათვალისწინებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი - როგორც სტატიტიკა ცხადყოფს, სულ უფრო და უფრო იზრდება იმ სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებიც შეუერთდნენ ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციას „უცხო ქვეყნებში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ მაშინ, როდესაც იმ სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებმაც მოახდინეს ჰააგის 1971 წლის კონვენციის რატიფიცირება „უცხოეთში მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე“ გაცილებით მცირეა. ასევე არბიტრაჟის უპირატესობად ხშირად ასახელებენ მის სისწრაფესა და ნაკლებ ღირებულებას, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი სასამართლო პროცესი რამდენიმე დღეში დასრულებულა, ხოლო ხარჯებს რაც შეეხება, აშშ-ში არბიტრაჟის იურისტების ანაზღაურება გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე სასამართლოში მომუშავე იურისტებისა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული ცალკეული საქმის გარემოებებზე. თუმცა როგორც უკანასკნელი ტენდენციები ცხადყოფს, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. მაგალითად, აშშ-ში, დაახლოებით 800 კომპანია, მათ შორის **Time Warner, UPS, General Electric, the Prudential და Coca-Cola**. სასამართლოში სარჩელის შეტანამდე ცდილობს გამოიყენოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები. აღნიშვნის ღირსია, რომ ასევე მნიშვნელოვანი რაოდენობა კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული დავებისა წყდება არასასამართლო გზით - 2001-2006 წლებში ICC-ის მიერ განხილულ სამეწარმეო სამართლის დავებიდან 20 პროცენტს შეადგენდა კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული დავები. ასევე ნიშანდობლივია, რომ კორპორაციული დავების გადასაწყვეტად არბიტრაჟთან ერთად ხშირად გამოიყენება დავის გადაწყვეტის ისეთი ალტერნატიული საშუალება, როგორცაა: მედიაცია. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბოსნია, სადაც 300 სამედიაციო ხელშეკრულებიდან 220 აქციონერებისა და ინვესტორების დავებზე მოდიოდა. მნიშვნელოვანია განვაზოგადოთ რას წარმოადგენს მედიაცია და რა კორპორაციული დავების გადაწყვეტა შეიძლება მისი მეშვეობით? მედიაცია შედის ზემოაღნიშნული დავების გადაწყვეტის მესამე კატეგორიაში (რომელსაც, ასევე, მიეკუთვნება კონსილიცია და ექსპერტის დასკვნა) და დავების გადაწყვეტის ყველაზე გავრცელებული ალტერნატიული საშუალებაა. თანახმად 2008 წლის 21 მაისის ევროგაერთიანების დირექტივისა „კომერციულ და სამოქალაქო საქმეებზე მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ“, მედიაცია განისაზღვრა როგორც „სტრუქტურული პროცესი, რომელშიც ორი ან მეტი მხარე ნებაყოფლობით საფუძველზე ცდილობს მედიატორის მეშვეობით მიაღწიოს შეთანხმებას მათ შორის წარმოშობილ დავაზე. ეს პროცესი შეიძლება ინიცირებულ იქნეს მხარეების მიერ ან შემოთავაზებული/ნაკარნახევი სასამართლოს მიერ. „მზავს განმარტებას იძლევა ასევე CEDR“ „მედიაცია ეს არის მოქნილი პროცესი, რომელიც წარმართება კონფიდენციალურად და სადაც ნეიტრალური პირი ეხმარება მხარეებს მიაღწიონ შეთანხმებას მათ შორის წარმოშობილ დავაზე, მაგრამ წარმართავს პროცესს მხარეთა კონტროლის ქვეშ დავის გადაწყვეტის საშუალებებსა და პირობებზე.“

მედიაციას აქვს შემდეგი უპირატესობები არბიტრაჟსა და სასამართლოსთან შედარებით: პროცესის ნაკლები ღირებულება - პროცედურების ღირებულება, როგორც წესი, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სასამართლოში ან არბიტრაჟში; პროცედურების სისწრაფე - მხარეები შეიძლება შეუდგნენ

მოლაპარაკებას, როგორც კი მიაღწევენ თანხმობას მედიაციის გამოყენებაზე (მოლაპარაკება, როგორც წესი, რამდენიმე დღე გრძელდება); ხარისხი - მედიატორები აირჩევიან მათი უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მიხედვით; მოსალოდნელობა - მიღებული გადაწყვეტილება არ არის სავალდებულო შესასრულებელი მხარეებისათვის; მოქნილობა - მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მედიაციის სახეობასა და გამოსაყენებელ პროცედურებზე (მაგალითად, ე.წ. “მინი ტრიალ”, როდესაც ერთმანეთს მოსალაპარაკებლად ხვდებიან ორი კომპანიის უმაღლესი პირები, ან მედიაციისა და არბიტრაჟის ერთობლიობა, იმ შემთხვევისთვის, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მედიატორი იკისრებს არბიტრის როლს), ისევე როგორც პროცედურების ჩატარების დროსა და ადგილზე; კონფიდენციალურობა - მხარეებს შეუძლიათ გაუმჟღავნონ ერთმანეთს მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც მათ სურთ (მოლაპარაკების შინაარსი და გაცვლილი ინფორმაცია კონფიდენციალურია, მხარეებს შეუძლიათ გაამჟღავნონ მიღწეული შეთანხმების შედეგები); შემცირებული რისკები - მხარეები არ არიან ვალდებული დაეთანხმონ მოლაპარაკებას ან შემოთავაზებულ დავის გადაწყვეტას, და მიმართონ დავის გადაწყვეტის სხვა ხერხს, მათ შორის სასამართლოს; პასუხისმგებლობა - არ არის წინასწარ სავალდებულოდ განსაზღვრული, რომ მხარეებმა აუცილებლად უნდა მიაღწიონ შეთანხმებას; არასავალდებულობა - მართალია, მედიაცია არ არის შინაარსობრივად სავალდებულო პროცესი, მისი შედეგებიდან გამომდინარე, მოლაპარაკების შედეგი შეიძლება გახდეს შესრულების საგანი, როგორც ხელშეკრულება ან შეთანხმება; ნებაყოფლობითობა - თუ არ არსებობს სასამართლოს მოთხოვნა, მხარეები არ არიან ვალდებული მიმართონ მედიაციას. ყველა შემთხვევაში, მხარეებს არ მოეთხოვებათ, რომ მიაღწიონ შეთანხმებას; ხედვა - მედიაციისას მხარეებმა შეიძლება მიიღონ თავიანთი პოზიციების უფრო ობიექტური და დამოუკიდებელი შეფასება დავის დაწყებამდე, მით უფრო, რომ ბევრი რამ, ასევე შეიძლება შეიცვალოს დავის წარმოშობის შემდგომ.

მიუხედავად მედიაციის სიახლისა, ის უკვე აღიარებულ იქნა, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ რიგი სახელმწიფოების კორპორაციული მართვის კოდექსები უშვებს აქციონერების მიერ დავის გადაწყვეტას ალტერნატიული საშუალებების გამოყენებას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ იორდანის, კოლუმბიის და ბრაზილიის კორპორაციული მართვის კოდექსები. უფრო მეტიც, აზიის უმეტეს სახელმწიფოებში, მედიაცია დავის გადაწყვეტის ყველაზე გავრცელებული და გამოყენებადი საშუალებაა, რაც განპირობებულია ამ რეგიონის სპეციფიკითა და ტრადიციებით, სადაც უპირატესობა ენიჭება მხარესთან კონსენსუსის მიღწევას და არა დაპირისპირებას. სავარაუდოდ, ამან განაპირობა ის, რომ ისეთ სახელმწიფოებში, როგორცაა: ჩინეთი, იაპონია, კორეა, ტაივანი, ინდონეზია, სინგაპური, ინდოეთი და ბანგლადეში, დავის გადასაწყვეტად ძალზე ხშირად გამოიყენება მედიაციისა და არბიტრაჟის კომბინაცია. რაც შეეხება დავებს, რომელთა გადასაწყვეტად შეიძლება გამოვიყენოთ მედიაცია, როგორც სხვადასხვა მონაცემები ცხადყოფს, დავის გადაწყვეტის ეს სახეობა წარმატებით გამოიყენება კომერციული, შრომითი და უცხოელ ინვესტორებთან დავების შემთხვევაში. ასევე, უცხოეთში მედიაცია ეფექტურად გამოიყენება კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული დავების გადასაწყვეტად, რაც გარკვეულწილად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ბევრი კორპორაციული მართვის პრინციპი მოცემულია კორპორაციული კოდექსის ან კომპანიის შიდა აქტებით - შესაბამისად, დავები შეიძლება წარმოიშვას ისეთ საკითხებზე, რომლებიც არც კი იყოს გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი კანონმდებლობა ხშირად არ პასუხობს კორპორაციული მართვის თანამედროვე სტანდარტებს). ასეთ შემთხვევაში მედიაციას შეუძლია მოაგვაროს ისეთი საკითხები, რომლებიც არასათანადოდ, ან საერთოდ არ არის დარეგულირებული მოქმედი კანონმდებლობით და ამით ხელი შეუწყოს ეფექტური კორპორაციული ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ზოგადად, მედიაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული ისეთი დავების გადასაწყვეტად, როგორცაა: პირადი ინტერესის შემცველი გარიგებები - გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, ბორდის წევრების ინტერესთა კონფლიქტი, ინსაიდერული ოპერაციები; წლიური ანგარიშები - დავები აქციონერებსა და ბორდს ან/ და აუდიტორს შორის, აქციონერების მიერ ანგარიშის დამტკიცებაზე უარის თქმის შემთხვევაში; ბორდის წევრების არჩევა ან დანიშვნა - დავები აქციონერებსა და ბორდის დანიშვნის კომიტეტის წევრებს შორის

წარმოდგენილ კანდიდატურებზე, ან არჩევის/ დანიშვნის კრიტერიუმებზე; ბორდის ანაზღაურება და ბონუსები - დავები აქციონერებსა და ბორდის ანაზღაურების კომიტეტთან ან ბორდთან ანაზღაურების მოცულობაზე ან კრიტერიუმებზე; აქციათა ღირებულების დადგენა - დავები აქციონერებსა და ბორდს შორის აქციების შეფასების მეთოდზე (მაგალითად, აქციათა სავალდებულო მიყიდვისას ან აქციათა ან ბონდების გამოშვებისას); კომპანიის შთანთქმის პროცესი - დავები აქციონერებსა და ბორდს შორის შემოთავაზებული შთანთქმის გეგმის პირობების და შესაბამისობის შესახებ კომპანიის შიდა წესებთან (წესდება ან აქციონერთა შეთანხმება) და გარე მარეგულირებელ ნორმებთან (მაგალითად, ლისტინგის წესები, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და ა.შ.); ინფორმაციის გამჟღავნება - დავები აქციონერებსა და ბორდს შორის შესაბამისი ინფორმაციის მიუწოდებლობის ან/და არასათანადო გამჟღავნების გამო; უმცირესობაში მყოფ აქციონერთა უფლებების დაცვა - დავები უმცირესობაში მყოფ და უმრავლესობის მქონე აქციონერებს შორის ბორდის წევრთა წარდგენასთან/ დანიშვნასთან დაკავშირებით, ან აქციათა სავალდებულო მიყიდვისას; ბორდის მიერ უფლებამოსილებათა არასათანადო განხორციელება - დავები აქციონერებსა და ბორდს შორის უკანასკნელის მიერ ჩადენილ დარღვევებზე ან მართვაში დაშვებულ შეცდომებსა თუ გადაცდომებზე; არაშესაბამისობა კორპორაციული კოდექსებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან - დავები აქციონერებსა და ბორდს შორის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების არშესრულების გამო და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევაზე.

მედიაციას ხშირად უწოდებენ არბიტრაჟის ნაირსახეობას, რომელსაც წარმართავენ იურისტები, ისინი შეიძლება მოგვევლინონ როგორც კარგი მედიატორები. თუმცა, იურისტები მეტწილად ორიენტირებული არიან მეორე მხარეზე გამარჯვების მოპოვებაზე. მედიაციისას კი მთავარია შეთანხმების მიღწევა. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია, პოტენციურ მედიატორს გააჩნდეს თვისებები, რომლებიც აუცილებელია მხარეებისათვის საერთო პოზიციის საპოვნელად კორპორაციული მართვის დავებზე. მათ შორის, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია: მიუკერძოებლობა, პასუხისმგებლობა, ტაქტი, კარგი მეტყველება, გამოცდილება ასეთი კატეგორიის დავების გადაწყვეტისა და ამ დარგის სათანადო ცოდნა.

როგორც ხემათ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, დავა კორპორაციული მართვის თითქმის ყველა საკითხზე შეიძლება გადაწყდეს მედიაციის მეშვეობით. თუმცა, როგორც ყველა მოვლენას, მედიაციასაც აქვს გარკვეული უარყოფითი მხარეები. უპირველეს ყოვლისა, მედიაცია იქნება ეფექტური მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარეს სურს დროულად და ეფექტურად გადაწყვიტოს დავა - შესაბამისად, ერთ-ერთი მხარის მიერ მედიაციის პროცესში მონაწილეობისგან თავის შეკავება ან გაჭიანურება დააკარგინებს მედიაციის პროცესს ეფექტურობას და მძიმე ტვირთად დააწვება მხარეებს. მედიაციისთვის პრობლემურ საკითხად ხშირად ასახელებენ მხარეთა ფსიქოლოგიურ მოუშალებლობას დაუთმონ გარკვეული პოზიცია მეორე მხარეს და მორიგებით დაამთავრონ დავა (მიუხედავად იმისა, რომ ასეთი განზრახვა, თავის დროზე, ხელშეკრულებაში ან სხვაგვარად განცხადებულ იქნა მხარეთა მიერ).

მიუხედავად იმ გარკვეული წინააღმდეგობებისა, რაც შეიძლება თან ახლდეს მედიაციის პროცესს, გვსურს აღვნიშნოთ, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, მათ შორის მედიაცია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც სასამართლო სისტემა არ არის მოწოდების სიმადლეზე მიკერძოებლობის ან სათანადო გამოცდილების ნაკლებობის გამო. ასეთ შემთხვევებში, კომპანიის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ხელი უნდა შეეწყოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებას. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ასევე, პოტენციურ ინვესტორთან ურთიერთობებში, ვინაიდან ისინი, როგორც წესი, ყურადღებას აქცევენ ორ ძირითად მომენტს - ქვეყანაში და ცალკეულ კომპანიაში მათი ინვესტიციის დასაცავად არსებულ საიმედო გარემოს (რაც მიიღწევა კარგი კორპორაციული მართვის კულტურით და მიმდევრობით) და კომპანიის მართვასთან დაკავშირებული დავების ეფექტურად გადაწყვეტის შესაძლებლობების არსებობას. შესაბამისად, თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს სათანადო პირობებს, კომპანიამ საამისოდ უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა.

ხემათ განხილული კორპორაციული მართვასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის საშუალებებიდან მედიაცია, როგორც ასეთი, სიახლეს წარმოადგენს საქართველოსთვის, რასაც ვერ

ვიტყვი არბიტრაჟზე, რომელსაც გამოყენების საკმაოდ დიდი პრაქტიკა აქვს ჩვენს ქვეყანაში. თუმცა, საქართველოში თითქმის არ არსებობს კორპორაციული დაგების განხილვის პრაქტიკა. შეიძლება ითქვას, ამ ბოლო ხანებში უკვე იკვეთება ტენდენცია, როდესაც პარტნიორებს (აქციონერებს) წესდებით შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ დავის წარმოშობის შემთხვევაში, ის უნდა გადაწყდეს არბიტრაჟის ან მედიაციის მეშვეობით. ეს ტენდენცია, რა თქმა უნდა, დადებითია და მისასალმებელი, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც მოქმედი სამეწარმეო კანონმდებლობა ანიჭებს სრულ თავისუფლებას კომპანიებს თავიანთი წესდებით გაითვალისწინონ კანონისგან განსხვავებული წესები ისევე, როგორც შესაძლებლობას, რომ კომპანიას არ ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო და მისი ფუნქციები გადანაწილდეს საერთო კრებასა და დირექტორატს შორის, რამაც შეიძლება ბევრი გაუგებრობა გამოიწვიოს და მნიშვნელოვნად გაზარდოს დაგები მხარეებს შორის. ეფექტობ, თუ სახელმწიფოს მიერ სასამართლო სისტემის რეფორმირებასთან ერთად გადადგმული იქნება ნაბიჯები დავის გადაწყვეტის დამოუკიდებელი და ეფექტური ალტერნატიული საშუალებების (ისეთი, როგორც არბიტრაჟი და მედიაციის) განსავითარებლად, ეს ხელს შეუწყობს უფრო სტაბილური და ლიბერალური სამეწარმეო გარემოს დამკვიდრებას საქართველოში.

„კორპორაციული მართვის კოდექსი“ სიახლეს წარმოადგენს ქართულ საკორპორაციო ურთიერთობებში, კოდექსის დამკვიდრების მთავარი ფლაგმანები კი საფონდო ბირჟები არიან.

ცნობილია, რომ საბანკო სექტორი მეტად სათუთი და ამავე დროს, მოწინავე სექტორია ქვეყანაში. მის განსავითარებლად სახელმწიფო ვალდებულია, რომ დროდადრო იგი გარკვეული პროექტებითა და კოდექსებით უზრუნველყოს. სწორედ კომერციულ ბანკთა დახმარებას ითვალისწინებს ზემოთხსენებული კოდექსიც. თუმცა, ეს უკანასკნელი არ იქნება ნორმატიული დოკუმენტი.

ამ კოდექსით კორპორაციული მართვის ხარისხის ამაღლება და საერთაშორისო სტანდარტებში „ჩაჯდომა“ შესაძლებელი. კოდექსის შინაარსი როგორც აქციონერთა უფლებებს, ისე მმართველობით ორგანოებსაც ითვალისწინებს. საერთო ჯამში კი მისი მიზანი ბანკებში კარგი კორპორაციული პრინციპების დანერგვაა. ამ პრინციპების ათვისება, რასაკვირველია, სავალდებულო არ იქნება. კორპორაციული მართვის კოდექსის ნათელი მაგალითი და შეიძლება ითქვას, კორპორაციული მართვის სამშობლო დიდი ბრიტანეთია. კოდექსის შესრულება ინვესტორთა გადასაწყვეტია. კოდექსს აკონტროლებს ჩომპლყ ორ ხელაინ - „შეასრულე და ახსენი“, რომელიც კორპორაციულ ბანკებს შორის საკმაოდ პოპულარულია.

ბანკები მთელი ქვეყნისთვის ფინანსების მიმწოდებლები არიან. სწორედ მათ შეიძლება დააქციონ ან ააშენონ ქვეყანა, რაც ფაქტიურად „ლიმან ბრაზერს“-ის მაგალითზეც აშკარაა. ეს უკანასკნელი სწორედ ცუდი და არაადეკვატური პრაქტიკის გამო გაკოტრდა, რაც კრიზისის ერთ-ერთი ამომავალი წერტილი გახდა. მართვის კოდექსი ასევე ითვალისწინებს შიდა დებულებებსა და სამუშაოს აღწერილობასაც. მოწინავე საკითხებია აქციონერთა უფლებებიც, რომელიც აქციონერებთან ეფექტურ, სამართლიან ურთიერთობასა და თანაბარ მოპყრობას ითვალისწინებს. გასათვალისწინებელია, რომ კოდექსი არ ნიშნავს გარკვეულ შეზღუდვებს. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ არანაირი პრეფერენცია არ იყოს ადგილობრივსა და უცხოელ აქციონერთა შორის.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს კომერციული ბანკების პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. სამეთვალყურეო საბჭო დამოუკიდებელი წევრებისაგან უნდა შედგებოდეს, ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ ბანკის ადმინისტრაციას, ან თუნდაც მცირედი შეხება ჰქონდეთ მის გადამწყვეტ ორგანოებთან. მათ უნდა შესძინონ ბანკს ახალი ხედვა და რაც მთავარია, არ დამალონ როგორც კარგი, ასევე არაეფექტური ფაქტორები. კოდექსი ასევე ითვალისწინებს ფუნქციების სწორ და ადეკვატურ გადანაწილებას, შერეულ სამეთვალყურეო საბჭოსა და ჩანაცვლების ფუნქციებსაც. აღმასრულებელი საბჭო დიდ როლს თამაშობს ბანკების განვითარებაზე; შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმართავს ბანკის მიმართულებას და პასუხისმგებელია უფლებამოსილების ადეკვატურ გადანაწილებაზე.

კორპორაციული მართვის კოდექსის შემუშავებლებმა გაითვალისწინეს შიდა კონტროლის ფუნქცია და რისკების მართვაც. კოდექსის უფრო ეფექტურად განსახორციელებლად ბანკებში



შეიქმნება შიდა საქმეთა მაკონტროლებელი კომიტეტები. მათ შორის იქნება აუდიტისა და რისკების მართვის კომიტეტი. აღსანიშნავია, რომ მათში მენეჯმენტის ჩარევა დაუშვებელია. კომიტეტის წევრთა რაოდენობა კი ბანკის სიდიდეზეა დამოკიდებული, რაც უფრო დიდია ბანკი, მით უფრო მეტი წევრი შედის კომიტეტში (დაახლოებით სამამდე მაინც უნდა იყვნენ). კომიტეტის არსებობა დამოუკიდებელი არ არის. ის გამუდმებით მოწმდება გარეშე ექსპერტის მიერ, რომელიც პერმანენტულად უნდა აფასებდეს კომიტეტის მუშაობას. შიდა აუდიტიც, რასაკვირველია, დამოუკიდებელი უნდა იყოს ბანკისაგან და მასში მენეჯმენტის ჩარევა დაუშვებელია. პერიოდული როტაცია კი ეფექტური მუშაობის საწინდარია.

კორპორაციული კოდექსის შემუშავება ითვალისწინებს ბანკების სუფთა და გამჭვირვალე მუშაობას და ყველანაირი ინფორმაციის გამჟღავნებასაც, რომელიც დაკავშირებული იქნება ბანკების გეგმებსა და აქციონერებთან. ამ მხრივ, აქციონერებსა და ბანკებს შორის უკეთესი კავშირი დამყარდება. ინფორმაცია, რომელიც აქტიურად უნდა მიეწოდებოდეს აქციონერებსა და ბანკებთან დაკავშირებულ პირებს, გულისხმობს ბანკის მიზნებისა და სტრატეგიის გაცნობას; ასევე მფლობელთა სტრუქტურას; წლიურ ფინანსურ ანგარიშებს; სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის შესახებ ინფორმაციას; ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურას; მხარეებთან წარმოებული გარიგებების შინაარსსა და მასშტაბებს; ინფორმაციას შიდა დოკუმენტების შესახებ.

რასაკვირველია, ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტად და დროულად გამჟღავნებული. რაც შეეხება კორპორაციული მართვის საბჭოს შეფასებას, იგი თავად განსაზღვრავს შეფასების მეთოდს, საბჭოს მიერვე დამტკიცებული დებულების შესაბამისად. შეფასება ხდება ყოველთვიურად.

კორპორაციული მართვის კოდექსი აგვარებს ინტერესთა საფუძველზე მომხდარ კონფლიქტებს და მათი თავიდან აცილებაზე მუშაობს. ბანკი, როგორც წესი, ფლობს ჰოლდინგს, რომელსაც მართვის რთული მექანიზმები აქვს. თუმცა, ბანკისთვის ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭო საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი. რასაკვირველია, აქაც განსაკუთრებული გამჭვირვალობაა საჭირო, მკაფიო ურთიერთობა ყველა მოთანამშრომელე წევრთან.

კორპორაციული მართვის კოდექსის ძირითადი ცნებებია: კორპორაციული მართვა, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი; დამოუკიდებლობა; შერეული სამეთვალყურეო საბჭო; ჰოლდინგი.

საქართველოში საკორპორაციო სამართლის პირველი კოდიფიკაციიდან 17 წელი გავიდა. მეწარმეთა კანონმა საფუძველი ჩაუყარა ახალ, კერძო ინიციატივასა და კერძო საკუთრებაზე დამყარებულ საბაზრო ეკონომიკას. პირველი კომერციული საზოგადოებები - სააქციო თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები ამ კანონის მიხედვით წარმოიშვა და განვითარდა. შიძლება ითქვას, რომ ახალი ქართული ეკონომიკა ამ კანონით შექმნილმა სამეწარმეო სუბიექტებმა ჩამოაყალიბეს.

კანონის მიღებიდან დღემდე მასში მრავალი ცვლილება შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ცვლილება არ ყოფილა ერთნაირად წარმატებული თუ წარუმატებელი, ისინი ადასტურებენ ერთ ისტორიულ პროცესს, რომელსაც საქართველოში საკორპორაციო სამართლის განვითარება ეწოდება.

ქართული საკორპორაციო სამართლის ახალი კოდიფიკაციის თვალსაზრისით გამორჩეულად დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ევროპის საკორპორაციო სამართალს. ამიტომ ლოგიკურად მიმართა ევროპის საკორპორაციო დირექტივებისა და დადგენილებების გაშუქება.

### **3. ევროპის საკორპორაციო დირექტივებისა და დადგენილებების ზოგადი მიმოხილვა**

საკორპორაციო სამართლის პირველი ევროპული დირექტივა, რომელიც საჯაროობის დირექტივის სახელწოდებითაც არის ცნობილი, ევროპის თანამეგობრობათა საბჭოს მიერ მიღებულ იქნა 1968 წლის 9 მარტს. მისი მიზანი არის ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის შეზღუდვათა გაშუქება. ამ კონტექსტში დირექტივა ყურადღებას ამახვილებს კაპიტალური საზოგადოების საქმიანობის, განსაკუთრებით კი მათი დამფუძნებელი ან სტატუსის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი დოკუმენტების გახსნილობისა და მათ ხელმისაწვდომობაზე მესამე პირთათვის. კაპიტალურ საზოგადოებებთან ურთიერთობაში მყოფ მესამე პირებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი და ამომწურავი

ინფორმაცია ამ საზოგადოების შესახებ - ეს არის პირველი დირექტივის უმთავრესი მიზანი და მის მისაღწევად ევროპული საკორპორაციო სამართლის აღნიშნული დოკუმენტი აწესებს კაპიტალური საზოგადოებების შესახებ ზოგ ინფორმაციის გახსნილობის ვალდებულებას.

2003 წლის 15 ივლისს მიღებულ იქნა ახალი დირექტივა, რომელმაც ცვლილებები შეიტანა პირველ დირექტივაში. ეს ცვლილებები ძირითადად გამოიწვია ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტრანსნაციონალური სამეწარმეო საქმიანობის განვითარებამ. ამის შესაბამისად, ცვლილებებმა მიზნად დაისახეს გახსნილობის მოვალეობის განხორციელებისა და მისი შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების გაიოლება.

დეკლარირებულ მიზანთან მიმართებაში დირექტივის ძირითადი თემა არის კაპიტალური საზოგადოების წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადებული გარიგებების ნამდვილობის საკითხი. კერძოდ, მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული იმ საფუძვლების ნუსხა, რომლებიც საზოგადოების წარმომადგენლობით ორგანოთა მიერ დადებული გარიგებების ბათილობას იწვევენ. ეს მიზანდასახულობა ემსახურება იმას, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობაში მყოფ პირებს ჰქონდეთ სტაბილური და მყარი გარანტიები საქმიანი კონტაქტების დამყარებისა და განხორციელებისათვის.

საკორპორაციო სამართლის მეორე ევროპული დირექტივა მიღებულ იქნა 1976 წლის 13 დეკემბერს. პირველისგან განსხვავებით, იგი მხოლოდ სააქციო საზოგადოებებს შეეხება და აწესრიგებს სააქციო საზოგადოების დაფუძნებისა და მათში საწესდებო კაპიტალის გავრცელებისა და შემცირების საკითხებს იმ მიზეზით, რომ დაცული იქნას როგორც საზოგადოების აქციონერების, ისე საზოგადოების კრედიტორების ინტერესები. დირექტივის თანახმად, სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი დოკუმენტები და წესდება უნდა იძლეოდნენ ამომწურავ ინფორმაციას საზოგადოების კაპიტალის შესახებ, ხოლო კანონმდებლობა კი უნდა უზრუნველყოფდეს კაპიტალის, როგორც კრედიტორთა უზრუნველყოფის საშუალებას.

მოცულობითაც და მნიშვნელობითაც მეორე დირექტივა შეიცავს ფუძემდებლურ წესებს, რომლებიც დიდი ხანია უკვე იქცნენ სააქციო სამართლის შინაარსის განმსაზღვრელ ნორმატივებად ევროპულ სამართალში.

საკორპორაციო სამართლის მესამე ევროპული დირექტივა შეეხება სააქციო საზოგადოებების შერწყმასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და იგი მიღებულ იქნა 1978 წლის 9 ოქტომბერს.

დირექტივა რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს ისახავს, რომელთა განხორციელებამაც უკვე დიდი როლი ითამაშა სააქციო საზოგადოებების შერწყმის ერთიანი ევროპული მოწესრიგების უზრუნველყოფის საქმეში. სწორედ წევრ სახელმწიფოებში სააქციო საზოგადოებების შერწყმის მომწესრიგებელი სამართლის ნორმების კოორდინირება და საზოგადოებათა შერწყმის ინსტიტუტის შემოღება იყო მესამე დირექტივის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი.

შერწყმის სამართლის მომწესრიგებელი ნორმების კოორდინირების გამოკვეთილ მიზანდასახულობას წარმოადგენს შესარწყმელი საზოგადოებების აქციონერთა მაქსიმალური ინფორმირება შერწყმის პროცესთან დაკავშირებით და მათი უფლებების სათანადოდ დაცვა.

სააქციო საზოგადოებების შერწყმის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არა მხოლოდ აქციონერების ინტერესები, არამედ შესარწყმელი საზოგადოებების კრედიტორთა უფლებები. ამიტომ მესამე დირექტივა მიზნად ისახავს იმ კრედიტორთა უფლებების დაცვასაც, რომელთა მდგომარეობაც შერწყმის შედეგად შეიძლება გაუარესდეს.

საკორპორაციო სამართლის პირველი ევროპული დირექტივით გათვალისწინებული საჯაროობის ვალდებულება წითელი ზოლივით გახდეს ყველა დირექტივას. ეს იგრძნობა მესამე დირექტივაშიც, რომელიც სააქციო საზოგადოებების შერწყმის პროცესსაც გახსნილობის პრიზმაში ატარებს.

მიუხედავად იმისა, რომ რიგითობისა და ქრონოლოგიის მიხედვით მეექვსე დირექტივას წინ უსწრებს მეოთხე დირექტივა, რომელიც კაპიტალური საზოგადოებების ანგარიშწორების საკითხებს შეეხება, თემატურად მეექვსე დირექტივა დაკავშირებულია მესამესთან და ავსებს კიდევ მას. საკორპორაციო სამართლის მეექვსე ევროპული დირექტივა მიღებულ იქნა 1982 წლის 17 დეკემბერს და არეგულირებს საზოგადოებათა გაყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მესამე დირექტივის მსაგავსად მეექვსე დირექტივის ძირითად მიზანს შედგენს აქციონირებისა და კრედიტორების დაცვა იმ საფრთხისგან, რომელიც საზოგადოების გაყოფის შედეგად შეიძლება წარმოიშვას. იმავედროულად, განსხვავებით საზოგადოებათა შერწყმის დირექტივისგან, მეექვსე დირექტივა წევრ სახელმწიფოებს ანდობს იმის გადაწყვეტას, დაუშვებენ თუ არა ისინი საზოგადოებათა გაყოფის ინსტიტუტის შემოღებას.

მეექვსე დირექტივა არ აკონკრეტებს, თუ რომელ საზოგადოებებზე ვრცელდება მისი მოქმედება, მაგრამ მესამე დირექტივაზე მითითება ადასტურებს არა მხოლოდ ამ ორი დირექტივის ორგანული კავშირის ფაქტს, არამედ იმასაც, რომ გაყოფის წესები სააქციო საზოგადოებების მიმართ უნდა იქნას გამოყენებული.

მართალია, საზოგადოების შერწყმისა და გაყოფის დირექტივებმა მრავალი საკითხი მოაწესრიგეს, მაგრამ ევროპის კავშირის წევრი სხვადასხვა სახელმწიფოს კაპიტალური საზოგადოებების მონაწილეობით საერთაშორისო შერწყმათა საკითხებს ისინი არ შეხებიან. არადა ამ ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობა, იმის გათვალისწინებით, რომ კაპიტალური საზოგადოებების საქმიანობამ ტრანსნაციონალური ხასიათი შეიძინა, აშკარად თვალშისაცემი იყო. როგორც დირექტივის შესავალშია აღნიშნული, მრავალი ადმინისტრაციული თუ სამართლებრივი სირთულე, რომლებიც სხვადასხვა ფორმის კაპიტალური საზოგადოების შერწყმას უშლიდა ხელს, მნიშვნელოვანი ხელშეშლელი ფაქტორი იყო შიდა ბაზრის განვითარების საქმეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2005 წლის 26 ოქტომბერს ევროპის პარლამენტმა და საბჭომ მიიღეს დირექტივა, რომელიც ცნობილია „სხვადასხვა წევრი სახელმწიფოების კაპიტალური საზოგადოებების შერწყმის შესახებ“ სახელწოდებით.

დირექტივა ავალებს წევრ სახელმწიფოებს, რომ მათ დაუშვან ერთი ქვეყნის კაპიტალური საზოგადოების შერწყმა სხვა წევრი ქვეყნის კაპიტალური საზოგადოებასთან. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუკი ნაციონალური სამართალი საერთოდ კრძალავს მოცემული სამართლებრივი ფორმების საზოგადოებათა შერწყმას.

კაპიტალური საზოგადოებების საერთაშორისო შერწყმათა რეგულირებისას გამოიყენება ნაციონალური სამართლის ნორმები, თუკი დირექტივით რამე სპეციალური წესები არ არის დადგენილი. ნაციონალური სამართლის ნორმების გამოყენების წინაპირობა არის ის, რომ ისინი არ უნდა აწესებდნენ შეზღუდვებს საწარმოთა დაფუძნებისა და კაპიტალური ბრუნვის თავისუფლებისათვის.

ევროკავშირის საკორპორაციო სამართლის დირექტივები და დადგენილებები არა მხოლოდ მოცულობით, არამედ მინიშნელობითაც გამოირჩევა. მისი ყველა ასპექტის განხილვა ნაშრომში არც შესაძლებელია და არც მიზანშეწონილი, ამიტომ დანარჩენი დირექტივებისა და დადგენილებების დასახელებით შემოვიფარგლები, პირველ რიგში იმის დემონსტრირებისთვის, რა მოცულობისა და სირთულის ღონისძიებებია გასატარებელი ქართულ საკორპორაციო სამართალში იმისათვის, რომ პასუხობდეს ევროპული საკორპორაციო სამართლის მოთხოვნებსა და მეთოდებს:

დირექტივები

- განსაზღვრული ტიპის კორპორაციებში წლიური ანგარიშგების შესახებ - მეოთხე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა (1978 წლის 25 ივლისი);
- კონსოლიდირებული ანგარიშგების შესახებ - მეშვიდე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა (1983 წლის 13 ივნისი)
- წევრ-სახელმწიფოებში დაუძნებელი ფილიალების საჯაროობის შესახებ - მეთერთმეტე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა (1989 წლის 21 დეკემბერი)
- ერთი პირის საზოგადოების შესახებ - მეთორმეტე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა (1989 წლის 21 დეკემბერი)
- ევროპის სააქციო საზოგადოების მართვაში საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობის შესახებ - საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა (2001 წლის 8 ოქტომბერი)
- კორპორაციათა გახსნილობის ვალდებულებათა შესახებ - ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (2003 15 ივლისი)

- საწარმოთა შექმნის თაობაზე სავალდებულო შეთავაზების შესახებ - ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივა (2004 წლის 21 აპრილი)
- წლიური ანგარიშგებისა კონსოლიდირებული ანგარიშგების წესების შეცვლის შესახებ - ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (2006 წლის 14 ივნისი)
- სააქციო საზოგადოებათა დაფუძნებისა და კაპიტალის შენარჩუნებისა და შეცვლის შესახებ - ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (2006 წლის 6 სექტემბრის)
- აქციონერთა უფლებების შესახებ - ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (2007 წლის 11 ივლისი)
- დადგენილებები:
  - საბჭოს დადგენილება ევროპის ეკონომიკური ინტერესის ჯგუფების შესახებ (1985 წლის 25 ივლისი)
  - ევროპის სააქციო საზოგადოების შესახებ - საბჭოს დადგენილება (2001 წლის 8 ოქტომბერი)
  - ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების შესახებ - საბჭოს დადგენილება (2002 წლის 19 ივლისი)
  - ევროპის კერძო საზოგადოების შესახებ - დადგენილების პროექტი

## დასკვნა

თანამედროვე საკორპორაციო სამართალში კორპორაციული მართვის ინსტიტუტი, როგორც ვნახეთ, მარავალ ასპექტს მოიცავს. მე შევეცადე მათგან მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი გამეშუქებინა და მეჩვენებინა თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს კორპორაციული მართვის ინსტიტუტი საქართველოში ევროპული სამართლის მაგალითზე.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის განვითარებული ეკონომიკისა და განვითარებული საკორპორაციო სამართლის მქონე ქვეყნები და საქართველო ეკონომიკური თუ სამართლებრივი განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული დოკუმენტები კორპორაციული მართვის სრულყოფის საკითხებზე ანალოგიურ მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს შეიცავენ. ეს აიხსნება იმითაც, რომ ხდება ფასიანი ქაღალდების ბაზრის გლობალიზაცია, რაც ფასიანი ქაღალდების სამართალთან ერთად გავლენას ახდენს საკორპორაციო სამართალზე.

მართალია, სხვადასხვა სამართლებრივი ოჯახის წარმომადგენელი ქვეყნების საკორპორაციო სამართალი თავისებურებით ხასიათდება, მაგრამ ფუძემდებლურ საკითხებში მათ მსგავსი ან ერთნაირი სამართლებრივი ჩარჩო-პირობები აქვთ. ეს აიოლებს კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლას, თუმცა სამართლებრივი მეთოდები, რომლებიც ამ სისტემების თავისებურებას გამოხატავს, ართულებს ცალკეული საკითხების შედარებით ანალიზს. მაგალითად ის რაც გერმანიაში კანონით არის მოწესრიგებული, ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლო პრაქტიკის რეგულირების საგანია, საქართველოში საერთოდ დარჩენილია რეგულირების გარეშე, აქვე უნდა აღინიშნოს ის თავისებურება რაც ქართულ საკორპორაციო სამართალს ახასიათებს ბოლო განხორციელებული ცვლილების შედეგად, კერძოდ კანონი „მეწარმეთა შესახებ“ გამოკვეთილად დისპოზიციური გახდა, აშკარა გავლენა იგრძნობა ამერიკული მოდელის, თუმცა მაინც რჩება კონტინენტური ევროპული საკორპორაციო სამართლის ჩარჩო-მოთხოვნები მაგ. მმართველობით ორგანოების არსებობა მსგავსად ევროპის ქვეყნების საკორპორაციო სამართლისა თუმცა დღეს მოქმედი რედაქციით მმართველი ორგანოების ფუნქციების და მართვის მეთოდთა საგრძნობლად განსხვავდება ზემოთ უკვე აღნიშნული გერმანიის ორსაფეხურიანი სისტემისგან. ასევე ხაზი უნდა გაესვას კანონის უმეტესი ნორმების სქემატურობას, ზედპირულობასა და ხშირ შემთხვევაში ნორმების გაუგებრობას.

გერმანიისგან განსხვავებით, სასამართლო პრაქტიკა საქართველოში კორპორაციული მართვის, მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხებზე მწირია, რის გამოც რთულდება იმის დადგენა თუ როგორ გამოიყენება საკორპორაციო სამართლის ნორმები.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კორპორაციული მართვის ხარვეზიანი და არაეფექტური სამართლებრივი შედეგი, არ წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის მხოლოდ სამართლებრივი ბაზის ნაკლებობას, რომელიც მხოლოდ კანონმდებლების, მეცნიერების ან და სამართლის სფეროში დაინტერესებული ადამიანთა განხილვის და დისკუსიის საგანია. ნაციონალური სამართლის ნორმების ბაზა არის ტესტი იმის დასადგენად, თუ რა ტიპის სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე, ხოლო რაც შეეხება საკორპორაციო სამართალს და მის მიხედვით საქართველოში კორპორაციულ მართვის ინსტიტუტს ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი კავშირი აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან.

სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით, ვფიქრობ რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს კონტინენტური ევროპის კოდიფიცირებულ სამართალს: მოვალეობათა კატალოგი და პასუხისმგებლობის წინაპირობების ზუსტად უნდა იყოს კანონით განსაზღვრული, რათა თვითნებური ინტერპრეტაციის შესაძლებლობები მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. გარდა წმინდა სამართლებრივი რეგულირებისა, ამგვარ კანონშემოქმედებას აღმზრდელობითი მისიაც აქვს: სამეწარმეო საზოგადოებათა ხელმძღვანელები სწავლობენ კიდევაც, თუ როგორ უნდა მართონ საწარმო, რა მოეთხოვებათ მათ მოცემული სამართლის მხრიდან. კოდიფიცირებული სამართლის ეს უკანასკნელი ასპექტი ძალიან მნიშვნელოვანია. ის საყურადღებოა ასევე მოსამართლეებისთვის, რომლებმაც ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ნორმები უნდა გამოიყენონ. ასევე დღევანდელი ქართული რეალობის გათვალისწინებით, როდესაც სახელმწიფოს პრიორიტეტს წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვა, ძალზე მნიშვნელოვანია კანონმდებლობამ მესამე პირებთან ურთიერთობის საკითხები იმ კუთხით მოაგვაროს, რომ ნაკლები იყოს რისკის ფაქტორი.

ჩვენი სახელმწიფოსათვის აუცილებელია იმ პროცესების სიღრმისეული შესწავლა რაც ევროპის საკორპორაციო სამართალში მიმდინარეობს. სხვა შემთხვევაში ქართული კორპორაციები სერიოზული კონკურენციის გაწევას ვერ შეძლებენ ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, როდესაც მეტოქეობა მსხვილ თუ მცირე კორპორაციებს შორის დღითიდღე მწვავედება.

## **Eka Luashvili**

### **Corporate Governance in Georgian Law (Comparative analysis)**

#### **Summary**

In parallel of global and capital market transformation and increasing economic processes modern Corporate law is experiencing a significant changes and modernization. Corporate Law provides the basis of human economic activity, subsequently, the above mentioned branch of law has the utmost importance for the proper economic, legal and political functioning.

In modern Georgia there exists legal norms related to different issues of Corporate Governance. However, the Georgian Legislation in that particular issue is rather limited.

The main legal act which regulates Corporate Governance is Law of Georgia on Entrepreneurs. General rules of management, subjects of corporate management and rules of their establishment are regulated by this law. The situation is different in European Law, in particular, the vast majority of the European countries, apart from the main legal act for regulation of corporate management, they have special laws that defines peculiarities connected with corporate management

in detail. Unfortunately, the system which is well-adapted by Europe still is not established in Georgia and the process of establishment moves slowly.

In modern corporate law the institution of corporate management involves many different aspects but in our article the most important issues will be dealt with. There are suggested ways of for developing the institution of Corporate Governance in Georgia in accordance with European law.

The following fact must be taken into consideration, the legal consequence of imperfect and ineffective corporate management is not only the deficiency of a legal framework, which is the subject to discussions and analysis for legislators, who are interested in science and law. Basis of national law norms is a test to determine what kind of state we are dealing with, as for the Corporate Law and accordingly, Georgian Corporate Governance can be said to have a direct connection with our country's economic development.

In legal regulatory system, I think that priority should be given to the codified law of Continental Europe, in order to minimize the possibilities of arbitrary interpretations. This last aspect of codified law is very important, as it is also significant for the judges, who are supposed to use official responsibility standards. By taking Georgian reality in consideration, when the priority of the state is to attract the investors, it is relevant for legislation to settle the matter with third parties for the less risk factor.

For our state it is necessary to study the European Corporate Law in depth, otherwise Georgian corporations won't be competitive in the era of economic globalization, when the rivalry between the large and small corporations is getting intensive.

## სარჩევი

### ისტორია

სერგო ვარდოსანიძე, კონსტანტინოპოლის ქართული სკოლა და XIX საუკუნის საქართველო.....	6-11
ვანტანგ გურული, რა მოიპოვა და რა დათმო საქართველომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით.....	12-22
როზეტა გუჯეჯიანი, ისტორიის რეპრეზენტაცია – ყანსავ ყიფიანი – ლეგენდა თუ სინამდვილე?.....	23-34
ავთანდილ კიკნაძე, მოლაპარაკებების წარმართვის ამერიკული სტილი.....	35-41
გვანცა ბურდული, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმის პროექტი (1905 წლის 18 დეკემბერი).....	42-52
თამარ ფხალაძე, ქართველი სამღვდლოება და ეროვნული სკოლა(XIX საუკუნის 80-90-იანი წლები).....	53-61
ლევან ჯიქია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის ზუგდიდის სამაზრო ორგანიზაციის დაშლა(1923-1927 წწ.).....	62-70
ვანტანგ გურული, დოკუმენტები და მასალები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიისათვის (1918 წლის 26 მაისი).....	71-91
ნინო შიოლაშვილი, ყალბი საბუთების კვლევის მეთოდები და მათი კლასიფიკაცია საქართველოში.....	92-96
ავთანდილ კიკნაძე, თანამედროვე დიპლომატიურისამსახურების მდგომარეობის შედარებითიანალიზი(აშშ, დიდიბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისადა იტალიისმაგალითზე).....	97-109
მაკა კვარაცხელია, საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხები თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში.....	110-126
დურმიშხან ლაშხი, გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი – ქველმოქმედი და მეცენატი.....	127-136
საბა სალუაშვილი, სომხეთში მისვლის თარიღი, ანუ ლტოლვილობის კონკრეტული წელი.....	137-143
ირაკლი ვეშაგურიძე, წოვათა და წოვათუშები.....	144-155
კონსტანტინე გურული, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილება).....	156-167
<b>ფილოლოგია</b>	
გიორგი ალიბეგაშვილი, ტერმინები „თეორია“ და „ფანტაზია“ შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში.....	169-179
ტარიელ ფუტყარაძე, ეთნოლინგვისტური დივერსიები საქართველოში (რუსული კონტექსტი).....	180-187
მანანა ტაბიძე, საკუთარი სახელები ტექსტობრივ სივრცეში.....	188-194
ლია კარიჭაშვილი, „ლეკვი ლომისა სწორია...“ სოციალური თუ ეთიკური კონტექსტი.....	195-201
პეტრე (პაატა) კვარაცხელია, მისტიციზმი და ტერენტი გრანელი.....	202-211
ავთანდილ არაბული, ალექსანდრე ყაზბეგის „ტანჯვის“ ეთიკა და ესთეტიკა („შემოვალ...დიდებით“ ).....	212-218
გიორგი გოგოლაშვილი, სათუნა ყანდაშვილი, მრავალგზისობის გამოხატვა კახურში.....	219-221
თეა ბურჭულაძე, რთული შედგენილობის მსახდვრელ-სახდვრულის ფორმაწარმოებისათვის.....	222-225
ლევან ბებურიშვილი, ორი სიმართლის საკითხი ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელში“.....	226-231

*თარგმანმცოდნეობა*

**ეკა ღუღაშვილი**, წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონის  
უძველესი ქართული თარგმანები X საუკუნის ქართულ იადგარებში.....233-240

**თამარ მღებრიშვილი**, ალექსანდრე პუშკინის „ძუნწი რაინდის“ პერსონაჟ ივანის  
სახელის თარგმანში შენარჩუნებისათვის.....241-245

**ქეთევან ნიკოლაძე**, ოკაზიონალიზმების თარგმნის პრობლემა.....246-263

*სამართალი*

**ეკა ღუღაშვილი**, კორპორაციული მართვა ქართულ სამართალში  
(შედარებითი ანალიზი).....265-286



## Contents

### *History*

<b>Sergo Vardosanidze</b> , Georgian School in Constantinople and XIX century Georgia.....	6-11
<b>Vakhtang Guruli</b> , What did Georgia achieve and what did Georgia lose with signing the treaty of 7 <sup>th</sup> May 1920.....	12-22
<b>Rozeta Gujejiani</b> , The Repezantion of the Histor y – Kansav Kipiani – Legend or Reality?.....	23-34
<b>Avtandil Kiknadze</b> , US Negotiation Style.....	35-41
<b>Gvantsa Burduli</b> , Draft Plan of Reorganization of Georgian Orthodox Church (18 December 1905).....	42-52
<b>Tamar pshaladze</b> , The Georgian clergy and national school (80-90's of the XIX century).....	53-61
<b>Levan Jikia</b> , Dissolution of Zugdidi District Organization of Social-Democratic (Menshevik) Party of Georgia (1923-1927).....	62-70
<b>Vakhtang Guruli</b> , Documents and materials for studying the history of restoration of independence of Georgia (May 26, 1918).....	71-91
<b>Nino Shiolashvili</b> , Methods of Research of the Falsified Documents and their Classification.....	92-96
<b>Avtandil Kiknadze</b> , Modern diplomatic service comparative analysis (on the examples of USA, Great Britain, Germany, Italy and France).....	97-109
<b>Maka Kvaratskhelia</b> , Issues of Georgian Church in City Council Executive Committee's resolutions.....	110-126
<b>Durmishkhan Lashkhi</b> , Giorgi Kartvelishvili, a Prominent Georgian Philanthropist.....	127-136
<b>Saba Saluashvili</b> , The date of arrival in Armenia, concrete year of refugee.....	137-143
<b>Irakli Veshaguridze</b> , Ts'ovata and the Ts'ova-Tushs.....	144-155
<b>Konstantine Guruli</b> , Political neutrality (Experience of Democratic Republic of Georgia).....	156-167

### *Philology*

<b>Giorgi Alibegashvili</b> , The Terms „Theory“ and „Fantasy“ in Medieval Georgian Literature.....	169-179
<b>Tariel Putkaradze</b> , Ethno-linguistic Diversions in the Georgia (Russian discourse).....	180-187
<b>Manana Tabidze</b> , The Proper Names in Textual Space.....	188-194
<b>Lia Karichashvili</b> , Social and Ethical Context of: „The Lion's Whelp is a Lion...“.....	195-201
<b>Peter ( Paata) Kvaratskhelia</b> , Mysticism in the poetry of Terenti Graneli.....	202-211
<b>Avtandil Arabuli</b> , Ethics and Aesthetics of „Suffering“ in Alexander Kazbegiks Works.....	212-218
<b>Giorgi Gogolashvili, Khatuna Kandashvili</b> , Expressing Recurrence in Kakhetian.....	219-221
<b>Tea Burchuladze</b> , Towards the formation of compound determinandum-determinatum.....	222-225
<b>Levan Beburishvili</b> , Two issues of truth in Vazha-Pshavela's „Host and Guest“.....	226-231

### *Translation Studies*

<b>Eka Dughashvili</b> , Old Georgian translation of St. George's Hymnographical Canon (According to X century Iadgari).....	233-240
<b>Tamar Mgebrishvili</b> , On preserving character name Ivan in translation of A.Pushkin's <i>The Covetous Knight</i> .....	241-245
<b>Ketevan Nikoladze</b> , The problem of translation of occasionalisms.....	246-263

### *Jurisprudence*

<b>Eka Luashvili</b> , Corporate Governance in Georgian Law (Comparative analysis).....	265-286
---	---------